644/2
2003

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცისკარი

www.opentext.ge/tsiskari

სამხატვრო სალიტერატურო ჟურნალი

11-12 | 2003



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცისკარი

დამფუძნებლები:
საქართველოს მწერალთა კავშირი
ჟურნალ „ცისკრის" რედაქცია

www.opentext.ge/tsiskari

11-12 | 2003

დაარსებულია 1852 წელს აღდგენილია 1957 წელს

მთავარი რედაქტორი:
ზაურ კალანდია

სარედაქციო საბჭო:
ბაღათერ არაბული
ლევან მალაზონია
ელზა მეტრეველი — მთ. რედაქტორის მოადგილე
მიხო მოსულიშვილი

მხატვარი:
გიორგი წერეთელი

ტექრედაქტორი:
ზიული სირაძე

გამომცემელი:
ლევან თითმერია

საქართველო, თბილისი, ხიდის ქუჩა №1
ტელ.: 99-85-81 მთ. რედაქტორი
98-36-43 მოადგილე

## შინაარსი

131

### პოეზია, პროზა

3. დალი ცაავა. ლექსები
7. ოთარ წურწუმია. პუმპუ. ნაწყვეტი რომანიდან
21. ვაჟა ხორნაული. ლექსები
26. შალვა ფორჩხიძე. ლექსები
30. მიხეილ ანთაძე. მწერლობის აპოლოგია. მოთხრობა
43. ომარ შამათავა. ლექსები
47. დავით ტაკიძე. ლექსები.
50. ზაზა ქინქლაძე. ლტოლვილი ციდან. მოთხრობა
56. თამარ სამსონიშვილი. ლექსები
58. თინათინ ჭეჟია. ნოველები
61. იური კახნიაშვილი. ლექსები
63. გიორგი კანკავა. წერილი საგიჟეთიდან. მოთხრობა
66. ნოდარ ბაქრაძე. ლექსები
68. თამაზ ექვთიმიშვილი. პატარა თეთრი კენჭები. მოთხრობა
70. დიმიტრი ლობჟანიძე. ჩაბმულა. მოთხრობა

### ახალი თარგმანები

74. ზამბულატ იდიევი. ურჩხულის ნიშნობა. მოთხრობა. თარგმანი და კომენტარები მიხეილ ლანიშაშვილისა და ბელა ქისტაურის
88. ემანუილ სვეტლოვი. ეკლესიასტე. თავი წიგნიდან „ახალი აღთქმის ზღურბლთან". თარგმნა ნოდარ ებრალიძემ
93. ედუარდ ლიმონოვი. პოეტის შთამაგონებელი მზეთუნახავი. მოთხრობა. თარგმნა ჯუმბერ თითმერიამ

### ვლოცულობდი და სანთელი მენთო

98. ელზა მეტრეველი. „როგორ გვახსოვხართ, რომ იცოდეთ, გაგიხარდებათ..."
გივი ძნელაძე. ლექსები

### თვალსაზრისი

103. რამაზ შენგელია. მზე დედაა ჩემი, მთვარე მამა ჩემი...

### წერილები

114. მანანა ჩიტიშვილი. დილიდან დაღამებამდის
124. მურმან თავდიშვილი. პირველიცა და მარადიულიც
130. მამუკა ცეცხლაძე. ჩვენ და ჩვენი უფლებები
141. შოთა ვადაჭკორია. ისევ აჭარის ავტონომიის შესახებ
148. მადლენ მირიანაშვილი. „პატრიოტი პესიმისტი"
151. მიხეილ მიქაძე. საქართველო-სომხეთის კონფლიქტი და მისი შედეგები



ეროვნული ბიბლიოთეკა

# დალი ცაავა

## კაპრიჩიო – 17



შენ კი გეგონა, უშენობას ვერ ავიტანდი,
ზამთარში ზვავი წამლეკავდა, გაზაფხულზე – წარღვნის ნაკადი,
ნისლის ყურეში შავნაღველი აშლიდა აფრებს,
ყრუ და უსტარი მარტოობით შევშლიდი ქარებს.
შენ კი გეგონა, ეფემერას ჰგავდა იმედი,
ქვეყნის კიდემდე მიმიყვანდა შორეული გზების ხავერდი,
მობეზრდებოდა სულს ობლობა და უდრტვინველი
მიიძინებდა სამსხვერპლოზე ლურჯი ფრინველი.

შენ კი გეგონა, მხოლოდ შენთვის მღეროდა თარი,
დაღლიდა სიმებს ძველი სევდა და საკვნესარი,
გადამიხსნიდა მაჯას სივრცე უგანთიადო,
აყვავდებოდა ქვა – საკევრე, გახმებოდა ხე – ავოკადო.
შემოდგომაა... ნაღამური ბორგავს მდინარე,
ავდრის ღრუბლებმა წნორის ჭალებს გადაუარეს,
წუხს უსახური, ხან ოწინარს, ხანაც ჭიშკარს ამიჭრიალებს,
ვუზივარ სართავს და ვიგონებ ჩამქრალ ჩქერალებს.

შემოდგომაა... ო, მაშინაც დამი, ფარსაგი,
იდგა ედემში, წენგოსფერი მეცვა პერანგი,
ცა იყო მღვრიე და უგონო, ადიდებდა ღამეს ბოროტი,
მერქვა ცოდვილი... წყალს მიჰქონდა მთვარის ნაფოტი.
შემოდგომაა... ნოემბერი ხლართავს ფარდაგებს,
მალე სიკვდილი ამ კუნძულსაც გააჩანაგებს,
ნისლის ყურეში მიმცხრალ აფრებს აშლის ქარავი,
წავალ საითმე, იქნებ ვინმემ შენი ყოფის მითხრას ამბავი.

საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კაპრიჩიო – 22

იტირე, ჩემო სიჭაბუკევ, შენს გაზაფხულებს
მოედო ხავსი. ჰა, საცაა ქარიც ჩაცხრება,
მუნჯი სიმშვიდე შეეხება რკინის საგდულებს
და სინანული გადათელილ გზებს დაადგება.
რა მეშველება?! მე იმ დღეთა ერთგული ტყვე ვარ
და ღელავს ყურე, ვით ზამბაკში შავი ჯავარი,
ამაოდ ეძებს ჩემი მზერა დაკარგულ ვარსკვლავს –
კასიოპეა – უნუგეშო ცის სახსოვარი.

რა მეშველება?! მე იმ სიზმრებს ვარ მიჯაჭვული,
სიყვარულის წილ რომ მოჰქონდათ შეშლილ ივლისებს,
გამოაღვიძებს ხსოვნის ყვავილს ხმა შორეული
და განშორებას ხელმეორედ მოისაკლისებს
სიმი – მწუხარე...
იტირე, ჩემო ფოთოლცვენავ, მიენდე ვარამს;
დიდია ღამე და ეს ღამე მხოლოდ შენია,
მიველახლები განძარცული მძვინვარე წკვარამს,
მაღლა სამოთხეს უფლის მადლი გადაჰფენია.

რა დამრჩენია?! მხრები მტკივა, ვწევარ პირაღმა,
ჰოი, მარადის იდუმალო თვალსაწიერო!
მომენატრება გათენება ნისლებს გადაღმა –
ისევ შლეგი ვარ და ქარივით უმეხსიერო...
რა დამრჩენია?! უსასრულოდ ცივი ზამთარი,
ჩანგი მწუხარე – ხელს ჩამოკრავს, აქვითინდება,
ამირევს ჟამკარს მებოძირზე მთვარე მენცარი
და მამლის ყივილს ბეწვის ხიდთან დაელოდება.

იტირე, ჩემო ბედისწერავ, შვებაა ცრემლი...
სარგუნებელი მოირებმა უკვე გარგუნეს,
აპრიალდება ერთხელ კიდევ სატანის გრდემლი
და სულში დიდი მარტოობა დაისადგურებს.

## კაპრიჩიო – 31

მთვრალი კაქტუსი – მომაკვდინებელი დუმილით გახევებული, ჩაარტახებული აბანოზის შავ აკვანში, დამწყდარი ნერვების ტევრში, ობობა საკუთარ ქსელში – ხასი და ზარქაში. მორიელი გრძნეულის კალთაში, გული საგულეში – ყრუ-მუნჯი ფასკუნჯი რკინის გალიაში. ქარის იავნანა ქარიან ღამეში...

მთვრალი კაქტუსი – შლეგი, შეშლილი კორიფანტი, ჩემი ოთახის ფეერიულ სიმშვიდეში, ფოლიანტების მტვერში, გაზაფხულის ჭექა-ქუხილში, ძარღვიანი ჩანჩქერების თავსხმაში, აღზევებული ერთადერთი ფანჯრის რაფაზე. ვიქტორია. ნიაგარა, კასტალია. ქარის იავნანა ქარიან ღამეში...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთვრალი კაქტუსი – გადარეული ინფანტი, ფრანტი, მოულოდნელი
და უცაბედი, კვესი და აბედი, ასანთი, დენთი, ალი... წყალი,
პეშვით მიტანილი მწყურვალის ბაგემდე. სხივი – მთვარის მარადიული
სიმაღლიდან ჩამოღვრილი. კედელს მიმსხვრეული ბროლის სამელნე,
ლაქა – ლურჯი ყვავილი!..
ქარის იავნანა ქარიან ღამეში...

## კაპრიჩიო – 32

ანა-მარია, სველ ქვიშაზე გამორიყულო სადაფქარო,
მაჩუქე შენს წიაღში ანთებული ჭიოტა მარგალიტი –
რწმენის ნაპერწკალი, როცა ფანჯარაში ტირის თებერვალი.

ტირის თებერვალი, მხოლოდ სიზმარია თეთრი მაგნოლია,
ქარის აგონია აფრებს გადაედო, თითქოს აღსასრული
გარდაუვალია, თითქოს ჯოჯოხეთის შავი ჭიშკარია
პონტოს ევქსინოსი.

ბრმაა ალბატროსი, ფრთებს იქით მთებია, მთებზე სირინოზი,
არარად ქცეულა ჩემი ავგაროზი. ბედი მუხთალია,
ჟამი – უარესი. ლევიათანების მოდის საუკუნე,
ბორგავს ანთარესი.

წვეთავს სიმაღლიდან შხამი სისხლისფერი. სიმი, სიყვარულით
გულში ანაჟღერი, ჩაწყდა, ჩაიფერფლა მხარე საზღაპრისი.
ჩემი აკვანია მკვდარი ოაზისი. მღერის იავნანას
ქარი კუდიანი.

ო, ანა-მარია... ტირის თებერვალი...

## კაპრიჩიო – 14

დუმს ვიოლინო, ნერვიულად ცრის ოქტომბერი,
იგონებს წარსულს გაწყვეტილი ოდესღაც სიმი...
თეთრი ქედანი უკვე გასცდა ცეცხლისფერ ღრუბლებს
და სულში კვნესის უნუგეშო ცის რეკვიემი.
ვიცი, ეს ღამე უეჭველად მომიყვანს ზღვასთან,
მახსოვს ნაპირი, მთვარეული ხომალდის აფრა...
ეთხოვებოდა პერსეფონე ვარდების მხარეს,
ღვთის გარეგანი იცინოდა ბნელეთის კართან.

ვიცი, ეს ღამე არასოდეს მომიყვანს შენთან,
მახსოვს ნაპირი, აღარ მახსოვს ხე – ძირნაყარი...
ბედის გამრიგეს დაეხურა წიგნი სამისნო
და შემზარავად ახლო იყო გზის გასაყარი.
ვიცი, ეს ღამე ნაწვიმარი ქუჩებით დამღლის,
დაეკიდება საკვამურზე ფიქრი უვნებო,
გადავეყრები კუდიანი ვარსკვლავის აჩრდილს,
რომ სიკვდილამდე შეშლილივით ქარში მეძებო...

2. მეძებე, როცა შორეული დღეების ექო
აზრიალდება დამშეული ლომის ხახაში,
მზე ჭიაფერი საპყარივით აივლის ბექობს
და მობეზრდება უდღეური ბედის თამაში.
მეძებე, როცა შემოდგომის გვიანი ჟამი
აბოჭავს ფოთლებს, დაოკდება ღამე – აფთარი
და არსაიდან მარტოობის ცალი ქალამნით
ჩამოშვავდება უმკაცრესი შენი ზამთარი.

მეძებე, როცა გაიშლება ხსოვნის ყვავილი,
ცაიერადი შემოიხსნის ვერცხლის არტახებს,
შვების სანაცვლოდ სულს წაიღებს სატანაილი,
და შავნაღველი დახშულ კარებს გააპარტახებს.
მეძებე, როცა ამღერდება სიმი ეული,
გადაიქუხებს უდაბნოში ხმა მოღაღადე...
მოვა თიბათვე, გამთენიის ნამით ცვრეული
და უმიზეზოდ იბობოქრებს ზღვა – სამარაგდე.

3. დუმს ვიოლინო. ფანჯრის მიღმა სხვა ზამთარია...
თოვს ტირისდენი, თავდაღმართზე მიქრის მარხილი,
ქორონიკონი მოსისხარის ხელმა არია
და მერმისიდან აღარ ისმის ჩემი ძახილი...
ნუ მესიზმრები, უდაბური სულის სენაკი,
გადაეჩვია გაზაფხულის კორიანტელებს,
შავი აქატის კრიალოსანს მარცვლავს ეშმაკი
და დაღლილ მხრებზე უხმაუროდ მაყრის ფანტელებს.

ჟღერს კაპრიჩიო – სიყვარულის გვიანი ხარკი,
ცის კაბადონზე უფლისწულად ზის ორიონი,
თენდება, ფურცელს ღვთაებრივი ანათებს ბაკმი
და მისდევს მშვიდად სიტყვას სიტყვა,
სტრიქონს სტრიქონი...

## კაპრიჩიო – 30

ასეა, ცოდვილ ვარ წინაშე უფლისა ქალი – ქარაფინდა,
ბედი მაქვს პოეტის, სანთელ-საკმეველი სხვისი რაღად მინდა,
ვებრძვი ქარბორიებს ნიშანდადებული შეგირდი მთვარისა,
ურჩი და უგრეხი, ძირით ძირობამდე კოლხური გვარისა.
ვზი კარს სამარისა, ოდეს შავნაღველი შემომეღრუბლება,
იდარებს, ვმღერივარ, თურმე სიყვარულით გული არ იღლება,
ზღვა დამესიზმრება, წამით გაცხადდება არე ბუნდოვანი,
მზერას დაატყვევებს მოსული სხვაგნიდან უცხო კიდობანი.

მოვა გათენება, ცაზე ცისარტყელას აღბეჭდავს საბაოთ...
ჯერ არს გაზაფხული, ბნელეთის ქურუმო, ნუღარ მცდი ამაოდ.
სულში ზეთისხილის აყვავდება, ჩაცხრება ვნებები,
ვყოფილვარ ოდესღაც ჩიტი მგალობელი, ოდესმე ვიქნები.
ჯერ კი სოდომური ცეცხლის წვიმებია და ქარებს მიჰყვება
უკვე გარდასული დღეების ტკივილი, ფერფლი და დიდება,
ხმას მღაღადებლისა ზედა უდაბნოსა ჰგავს ჩემი ძახილი,
რომელი თქვენგანი არის უცოდველი, აღიღეთ მახვილი!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ წურწუმია

# პუმპუ

(ნაწყვეტი რომანიდან)



თბილისში საბჭოეთის დაშლისთანავე ვითომ იატაკქვეშა, ქერათმიანი პუტანები (ჩვენში უფრო, კალთამადლიანი ქალიაო, იტყვიან) როგორლაც შეუმჩნევლად და უცებ გაუჩინარდნენ (ქალაქს მხოლოდ ფრანგული სიტყვა — პუტანალა შემორჩა), მაგრამ ქერათმიანების გაუჩინარებით შექმნილ „პრობლემას" ადგილობრივმა „შავგრემანებმა" ასევე უცებ და მოულოდნელადვე გაართვეს თავი — ქერათმიანებიც გამოჩნდნენ, თეთრ-ყირმიზებიცა და წითურნიც, ტანწერწეტნიც...

დრომ გამოამზეურა.

პუტანებს ვიღაც გონიერმა პირდაპირ დღისითმზისით და სახალხოდ მაშინვე ადგილიც მიუჩინა, საკმაოდ მყუდრო და უსაფრთხო ალაგას, „ცირკის" ხიდზე შეყარა ისინი... იქ იკრიბებოდნენ, გამოდიოდნენ (კი, იქნებ, ახლაც იქ დგანან); „სექს-მანიაკების" გამოჩენის მოლოდინში სიგარეტს წყვილ-წყვილად და ჯგუფჯგუფადაც აბოლებდნენ, ერთობოდნენ, ლალობდნენ... უფრო მორცხვები კი გაფანტულად, თითქმის ყველგან, ყველა ქუჩაში და აქა-იქ, განმარტოებულად, ცალ-ცალკედაც დგებოდნენ... (როგორლაც ახერხებდნენ და გაქროლებულ „ავტომობილშიც" ისე შემოგხედავდნენ, თვალში თვალს ისე ყრუანტლისმომგვრელად გაგიყრიდნენ, რომ მერეც კარგა ხანს გამახსოვრდებოდათ, დაგენანებოდათ კიდევაც, რომ აჩქარდით, ჩაუქროლეთ, წამითაც არ წაამუხრუჭეთ...).

მთლად მორცხვი და ჩუმჩუმელა სულაც თურქეთს მიემგზავრებოდა... სავაჭროდ... მთლად, მთლად ჭკუის კოლოფი და უკარება-მორალისტი — გერმანიაში, თირკმლის გასაყიდად... და ვერც ვერავის უსაყვედურებდით მაინცდამაინც...

დიახ!

"სე-ლა-ვი..."

გაჭირვებამ „იზამა".

საბჭოთა საქართველო საქართველოს ემშვიდობებოდა.

თბილისში არც შუქი იყო და აღარც გაზი.

ფაბრიკა-ქარხნები არ მუშაობდა.

რა ხანია, ასე გახლდათ და ბოლოც აღარ უჩანდა...

ნიკამ ის გოგონა შორიდანვე შენიშნა.

კრწანისიდან მომავალმა სიონის ეკლესიასთან ტროტუარზე მდგარს თვალის ერთი შევლებისთანავე შეატყო, რომ, მანქანას თუ შეაჩერებდა, ჩაუჯდებოდა.

შეაჩერა (თუმცა, მანამდე რამდენიმეს გულგრილად ჩაუქროლა).

გვერდითა კარის სახელურს გადასწვდა, გამოაღო.

— სალამი! — მიესალმა, გაუღიმა. — დაბრძანდით! — სავარძელზე ანიშნა.

გოგონა კითხვის ნიშანივით წამოიხარა, წამით უკანა სავარძელსაც შეავლო თვალი, შემოღიმა, მერე ოდნავ ყოყმანით, მაგრამ უხმოდ ჩაჯდა.

გზა ერთად გააგრძელეს.

კი, ეგ იყო.

ჰქონდა ნიკას თვალი.

— თქვენ რა გქვიათ?

გოგონამ უხმოდვე გამოხედა, არ უპასუხა.

— მე... მე ბოთე მქვია... თქვენ?

— ბოთე?

— დიახ... ბოთე!

— რატომ ბოთე?

— გაგიკვირდათ?

— არა, მაგრამ...

— აბა, ახლა აქ მანქანას ჭკვიანი შეაჩერებდა? — „ბოთემ" ჩაიცინა. — ხომ მართალია?

უცნობმა მხარი აიწურა, გამოხედა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თანაც ყველა სოლიკოც ვერ იქნება.

— კი... არა... არა, რა თქმა უნდა. — გოგონამ ამოიხვნეშა.

— სამწუხაროდ, ასეა... ჩვენ, რაზე იყო, რომ შევჩერდით? — ბოთემ ჩაახველა. — მოდი, თავიდან დავიწყოთ, კარგი?

— კარგი.

— თქვენ რა გქვიათ?

—პუმპუ.

- პუმპუ? — ბოთესაც გაუკვირდა. — პუმპუ, პუმპუ... თქვენ რა, აფრიკელი ხართ?

— რატომ აფრიკელი?

— არა, ისე... მგონი, წინა ცხოვრებაში იქაური ვიყავი, ყველგან აფრიკა მელანდება... ბარელამ გვარიც მითხარით, იქნებ, ნათესავებიცა ვართ, ა?

— დადია...

— დადია?

— კი, დადია.

— პუმპუ დადია?

— ასე გამოდის...

— კი, ბატონო... კეთილი... აქ საიდან გაჩნდით, ეკლესიაში იყავით?

— არა.

— აბა?

— მეგობართან...

— ჰოო?

წამით დუმილი ჩამოწვა.

ბოთეს კინაღამ წამოსცდა, „შემთხვევით, ნასექსარი ხომ არ ბრძანდებითო, ქალბატონო, ახალი?"

(ხუმრობით, რა თქმა უნდა).

— ალბათ, მეგობარ გოგონასთან იყავით, ხომ?

— დიახ, მეგობარ გოგონასთან.

— კი, ბატონო, დაგიჯერეთ...

— ოჰ, რა ვიცი მე... ქმარშვილიანია, ახლახან გადმოვიდა ამ ბინაში.

— კეთილი... თქვენ აქაური ბრძანდებით?

— რა თქმა უნდა, მაგრამ... ორი-სამი თვეა, რაც კაპუსტინოდან ჩამოვედი.

— ეგ სადღაა?

გოგონას ყვითელბეწვიანი, ფაფუკი ცხვრის ქურქი ეცვა, მთლად გაბანძებულსაც არ ჰგავდა.

— რუსეთში, მოსკოვის გარეუბანია... იქ ვცხოვრობდი.

— მართლა?

— კი, იქ ვიყავი გათხოვილი.

— თქვენ რუსი ბრძანდებით? — ბოთემ გახედა, ღიმმორეულმა შეათვალიერა. შავთვალწარბა გოგონა იყო, ზოგჯერ წამიერი, ფრთხილი გამოხედვითაც მიმზიდველი; თითქოს გულუბრყვილო, პირველყოფილი, რაღაცნაირი შიშნარევი, ველური გამოხედვითაც მომხიბლავი.

— ქართველი, კაცო! — გოგონამ ამოხედა, მერე უცებ, სრულიად მოულოდნელად თავი ასწია, „ყელი ნიავს გადაუგდო" და მთელი გულით, ხმამაღლა გადაიკისკისა.

— ქართველი, რომელი კუთხიდან? — ბოთე ოდნავ შემცბარი მიაჩერდა. რაღაც გამომწვევად ცინიკური გადაკისკისება იყო.

— აფხაზეთიდან...

— ჰოო?

ბოთეს ღიმილი ჩაუქრა.

სიგარეტს გადასწვდა.

სიტყვა — ლტოლვილი არ ახსენა, ყველაფერი ისედაც გასაგები იყო.

ერთხანს ხმა არ ამოუღია.

შემდეგ გახუმრება სცადა:

***"ჰოპა, ჰოპა, ამერიკა, ევროპა,***
***ა ეტო ევრო-აზია,***
***ჩტო-ზა ბეზობრაზია..."***

სიგარეტი გადააგდო.

ისევ თანამგზავრს მიუბრუნდა.

— ახლა საითკენ გაგვიწევია?

— მე მუხიანში მინდოდა ასვლა...

— იქ რა ხდება, პუმპუ?

— არაფერი... ვალი აქვს ჩემი ერთს... თუ მომცა.

— ჰოო?.. რამდენი?

— ოჰ, რა ვიცი...

— მაინც?

გოგონამ უხმოდ გამოხედა.

— ოცი ლარი?

ისევ დუმილი.

— ოცდაათი?

"ცირკის" ხიდს უახლოვდებოდნენ.

— მოდი, ჩემთან ავიდეთ, ყავაზე დაგპატიჟებთ. — ბოთემ ჩაახველა, ისევ გახედა.

— თქვენთან, სად?

— ბინაში... სახლში.

— სახლში?

— მერე რა მოხდა, მარტოხელა ვარ...

— სად ცხოვრობთ?

— აქვე, საბურთალოზე.

— მართლა მარტოხელა ხართ?

— გაგიკვირდათ?

— არა, მაგრამ... მერე მუხიანში გამიყვანთ?

— რა თქმა უნდა!

— კარგი... ოღონდ სულ ცოტა ხნით... — გოგონამ გამომცდელად გამოხედა. — ყავა მართლა გაქვთ?

— მაქვს... უნალექო... რამდენია ეს „სულ ცოტა ხნით?"

— ალბათ, ნახევარი საათი... მე მართლა მეჩქარება.

— კი, ბატონო, იყოს ერთი საათი...

საბურთალოსკენ აუხვიეს.

სახლს მიადგნენ.

ბოთე ეზოში, იქვე შესასვლელი ჭიშკრის გვერდით ჯიხურთან აყუდებულ რამდენიმე უსაქმურს უხმოდ მიესალმა, შემდეგ ჩაკეტილი ჭიშკარი გამოაღო და ისევ საჭეს მიუჯდა.

მანქანა ეზოში შეიყვანა.

მანქანაში გასუსულ გოგონას კარი გამოუღო.

შემოიპატიჟა.

— აი, ესეც ჩემი ფაზენდე! — სტუმარს პატარა ეზოსა და სახლზე ანიშნა.

— დედაა, რა ლამაზია! — გოგონა აღფრთოვანდა.

— რას ვიზამთ, დაცინვას კაცი არ მოუკლავს... ეგა ვართ, რაიცა ვართ! — ბოთემ ხელები გაშალა და კიბის საფეხურები აირბინა, სახლში შესასვლელი კარიც გამოაღო.

სტუმარს ოთახებიც დაათვალიერებინა.

მერე ჟურნალების მაგიდასთან სავარძელზე ანიშნა.

— გთხოვთ!

— გმადლობთ! — გოგონამ ოდნავ გვერდზე გაიწია, დივანზე ჩამოჯდა.

— ქურქს ხომ არ გაიხდიდით?

— ოჰ, რა ვიცი... მე მართლა მეჩქარება... — სტუმარმა რაღაცნაირად შემოღიმა, ქურქი გაიხადა, დივანზე მიაგდო. — თქვენ მართლა მარტო ცხოვრობთ?

— კი, მარტოკა.

— სულ, სულ?

— დიახ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თქვენები სად არიან?
— შორს... აქედან არ ჩანან...
წამით დუმილი ჩამოწვა.
— ცოლი?
— ცოლი არ მყოლია.
— კარგი რა!
— ასეა და რა ვქნა?
— სულ, სულ არასოდეს, არავინ?
— როგორ გითხრათ... ზოგჯერ მაგონდება ხოლმე ერთი, რომელიღაც მცურავ-მყვინთავის ბეწვში გახვეული...
— ახლა სადაა?
— არ ვიცი... კატებმა შეჭამეს...
— აკი არ მყოლიაო? — გოგონას გაეცინა.
— არ მყოლია ჰქვია, რომ ჯვარი არასოდეს არავისთან დამიწერია... არც ქორწილები გადამიხდია... თუმცა, ეგრეთ წოდებულ „ზაქსში" და ვიღაც-ვიღაცებთან ხელი ბევრჯერ მომიწერია.
— ბევრჯერ?
— კი, ბევრჯერ...
— მაინც რამდენჯერ?
— ალბათ, სამ-ოთხჯერ...
— რა ამბავია, შე კაცო... რატომ?
ბოთე წამით დადუმდა.
პირადულზე ახლობლებთანაც არასოდეს ულაპარაკია, იქ ხელების ფათურის უფლებას ხშირად საკუთარ თავსაც არ აძლევდა, მაგრამ ახლა სრულიად უცხო, უცნობ გოგონას რატომღაც სიამოვნებით, რაღაცნაირი გემოსჩატანებითაც უპასუხა.
— კარგი, გეტყვით, — სიგარეტს გადასწვდა, ჩაიცინა, - ყველა ქორწინება ფიქტიური გახლდათ, მხოლოდ და მხოლოდ ჩაწერის მიზნით. ზოგი მაშინ ამ გზით საბჭოთა რეჟიმს საზღვარგარეთაც გაურბოდა, ზოგიც — აქვე, საბჭოეთშივე იცვლიდა ადგილ-სამყოფელს... სხვათა შორის, რეჟიმი მაინცდამაინც არც კრძალავდა.
— რატომ?
— ალბათ, ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლო ასეთი ქორწინებების სიუხვესაც მოსახლეობის მზარდი კეთილდღეობის მაჩვენებლად ასაღებდა...
— და მაინც — რატომ ოთხჯერ?
— იქ, სადაც ვეწერებოდი, დიდხანს ვერ ვძლებდი... მომენატრებოდა აქაურობა, აქეთ გამოვრბოდი, გამამწარებდნენ აქ — იქით გავრბოდი.
— გაგამწარებდნენ?
— დიახ!
— ვინ?
— არ ვიცი...
— მაინც?
— არ ვიცი-მეთქი!
— მითხარით!..
— ჩინოსნები... საბჭოთა საქართველოს ჩინოსნებთან ურთიერთობა... საერთოდ, ჩინოსნები მთელი პლანეტის პრობლემაა; დავიჯერო, არაფერი გსმენიათ ჩინოსნების მიერ გასრესილ ახალგაზრდობაზე?
- მე არა, არაფერი...
— სრულიად მარტივი, ელემენტარული გონიერების გამოვლენის უფლების შემზღუდველი კანონების შემქმნელი რეჟიმი და მისი გაიძვერა, მექრთამე ჩინოსნების მეთვალყურეობის ქვეშ ცხოვრება საშინელება იყო.
— ხომ გადაშენდნენ?
— გადაშენდნენ?.. ეგენი პენსიაზე გასვლამდე არც ერთი ავადმყოფობითაც კი არ ავადდებიან, სურდოც კი არ ემართებათ ხოლმე.

— მართლა?.. ქალებთან როგორი ურთიერთობა გქონდათ? — გოგონამ ამოიხვნეშა.
— ნორმალური.
— კარგი ქალები გყავდათ?
— კი, ძალიან...
— ყველა, ყველა?
— კი, ყველა... მე ბედი მწყალობს, სექს-დალტონიკი კი ვარ, მაგრამ არც ერთი ცუდი ქალი არ შემხვედრია, ყველა ედემის ბაღიდან გამოძევებული ჩემკენ გამორბის ხოლმე.
— გასაგებია... — სტუმარმა უცებ ზანტად, გემრიელად გაიზმორა, მერე სრულიად მოულოდნელად ასევე გემოსჩატანებით, გემრიელადვე დაამთქნარა.
კატასავით, პირდაპირ ურცხვად და ბოლომდე.
ბოთემ თვალი აარიდა.
მერე თვითონაც დაამთქნარა.
შებრუნდა.
მაშინვე ტუჩებზე აიფარა ხელი.
— მაპატიეთ! — შემდეგ სტუმარს გახედა. — ბოდიში!..
— რა უნდა გაპატიოთ?
— ბოდიში, რომ დავამთქნარე-მეთქი, გითხარით...
— რომ დაამთქნარეთ? — გოგონამ ისევ გაიკვირვა და უცებ მთელი გულით გადაიკისკისა. — დამთქნარება რა საბოდიშოა?
— არა?..
— არა, რა თქმა უნდა... რა არის ამაში საბოდიშო?
— არა, არაფერი? — ბოთე ღიმმორეული მიაჩერდა.
— ოჰ, რა ვიცი მე... — პუმპუ გამომცდელად მიაჩერდა და მერე უცებ ისევ თავშეუკავებლად, ხმამაღლა გადაიკისკისა.
— ყავას ხომ არ ინებებდით?
— ყავას?
— არა?..
— ყავა რად მინდა?.. — გოგონა ოდნავ მოიღრუბლა. — მეჩქარება... მუხიანში გამიყვანთ?
— გაგიყვანთ, მაგრამ პირდაპირ ახლა, ასე უარაფროდ? — ბოთეს ირონიული ღიმილი გაუკრთა სახეზე. — რატომ ჩქარობთ?
— აქ რა გავაკეთო?.. თუ გეზარებათ, მე თვითონ გავალ, ავტობუსს გავყვები.
— არა, არ მეზარება.
ბოთეს დროს დაკარგვა (მთლად ტყუილა დროის დაკარგვა) თვითონაც არ უყვარდა, მაგრამ ეს გოგონა თავიდანვე ისე მოეწონა, რომ გადაწყვიტა, მაშინვე ფულით არ დატკებოდა, არ დაემცირებინა (თუმცა, ახლა ჯიბისკენაც კი გაურბოდა ხელი, ძლივსლა იკავებდა თავს).
უხალისოდ წამოიწია.
წამოდგა.
(აღარ აკადრა).
დივანზე მიგდებულ ქურქს გადასწვდა, ჩაცმაში უხმოდ მიეშველა.
მერე მაინც თავი ველარ შეიკავა, შემოატრიალა, ჩაიხუტა, სადღაც კისრისა და ყურის არეში აკოცა, მიუალერსა. შემდეგ ტუჩებსაც გადასწვდა, მაგრამ უპასუხოდ, მხოლოდ ცივი, ნახევრად მოკუმული ტუჩებილა შეაგებეს.
— კარგი, წავედით! — მაშინვე შეეშვა, სიგარეტს დასწვდა.
ფული ბოლოს, გასასვლელ კართან, ქურქის ჯიბეში ჩაუდო.
— ეს ჩემი პატარა საჩუქარია. — შინაურულად, ყასი-

დად ჩაუდო, თუმცა ისე, რომ გოგონას კუპიური დაენახა.

დაინახეს.

წამსვე ჰკიდა თვალი.

გაუკვირდა.

შეეტყო, რომ უკვე აღარ ელოდა.

— რისთვის?

— ეგ ისე... ყოველ შემთხვევისთვის...

— გმადლობთ! — გოგონამ ხმადაბლა, ოდნავ დაბნეული, მაგრამ დამტკბარი, ალერსიანი ხმით ჩაიდუდუნა და, თითქოს დარცხვენით, მობოდიშებითაც ამოხედა. — მადლობა. — გაიმეორა და მადლიერებით აღსავსე თვალები შემოანათა.

მუხიანში რომელიღაც მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლთან შეჩერდნენ.

მანქანა ერთ-ერთ სადარბაზოსთან ჩააყენეს.

ბოთემ შუშა ჩამოწია.

სართულებს ახედა.

მესამე სართულზე ვიღაც გოგონა ფანჯრის რაფას გადმოყუდებოდა, ცნობისმოყვარეობით აციმციმებული თვალებით გადმოჰყურებდათ.

— ჩვენ კიდევ შევხვდებით? — ბოთემ თვალი აარიდა, თანამგზავრს მიუბრუნდა.

— რა ვიცი... — პუმპუმ მხარი აიწურა.

— ჰო, უფალმა უწყის... აქ დიდხანს უნდა დაჰყოთ?

— არც ისე...

— მაინც?

— ალბათ, ორი-სამი საათი.

— ორი-სამი-ოთხი?

— ოჰ, რა ვიცი მე...

— ახლა რომელია?

— პირველის ნახევარი.

— შვიდისთვის რძომ გამოგიაროთ? — ბოთემ ჩაიცინა, პუმპუმ რაღაც მოიტყუა (აღარ ჩაეძია).

— როგორც გინდათ... გამოიარეთ!

— რატომ გადასხვაფერდით?

— არა... გამოიარეთ!

— შვიდისთვის?

— კი, გამოიარეთ... რა იყო?

— არა, არაფერი... მანქანა ისევ აქვე შევაჩერო?

— აქვე შეაჩერეთ... კარგი, წავედი!

— კი, ბატონო!

— ასე რატომ გეღიმებათ? — პუმპუმ მანქანის კარი გამოაღო, ჩავიდა.

— მიხარია, რომ გაგიცანით! — ბოთემ მანქანა დაქოქა. — კარგი, მეც წავედი... შვიდზე აქ ვიქნები.

მანქანა ისე შემოატრიალა, რომ მესამე სართულზე ცნობისმოყვარე გოგონასთვის შეეხედა.

შეხედა.

— სალამი! — უცნობს დიდი ხნის ნაცნობივით მიესალმა.

— გამარჯობა! — გოგონამაც მაშინვე გადმოღიმა, ხელი აწია.

კი, ესეც ის იყო.

(დიახ, მართალია, პიკასოს იმ ცნობილი ექვსეულთაგანი).

აღარ ესიამოვნა.

სადარბაზოებს გახედა.

პუმპუ უკვე აღარ ჩანდა (სად, რომელ სადარბაზოში გაუჩინარდა, ვეღარ დაინახა).

ისევ ფანჯრებს ახედა.

იქაც არავინ.

არც მევალე, აღარც გადამხდელი.

ეწყინა.

უხალისოდ გაშორდა იქაურობას.

წამოვიდა.

ისევ საკუთარ ჭიშკარს მოადგა, შეაღო დაცარიელებული სახლის კარი.

ყავა მოადუღა.

ტელევიზორი ჩართო.

ფინჯანი წამოიღო, დივანზე წამოწვა.

სიგარეტი გააბოლა.

მერე, პუმპუს ტკბილი გაზმორება და გადაკისკისება რომ მოაგონდა, გაეღიმა...

ბოთე თავის დროზე სამყაროს კინაღამ ფრანგად მოევლინა (ეს უკვე დამთქნარებაზე მოაგონდა); მისი დიდედა, ქალბატონი ელენე (ბებიკოს ეძახდა) საქართველოს „განთლებამდე" მთელი წელიწადნახევარი პარიზში ცხოვრობდა (აზნაურის ქალი გახლდათ), საქმროც იქაური, პარიზელი ფრანგი, ვინმე ჟუნ-ჟარამი ჰყოლოდა, ერთ მშვენიერ დღეს, თუმცა რატომ მაინცდამაინც მშვენიერ, უბრალოდ, ერთ დღეს, საქმროს კინოში დაუპატიჟნია, კინო მაშინ ახალი შემოსული, ფრიად ძვირადღირებული სიამოვნება ყოფილა ("ჩინემას" ეძახდნენო, ამბობდა ნეტარხსენებული), ფრანგს დარბაზში, პირდაპირ ფილმის მსვლელობისას თურმე ტუჩებზე თეთრი, თეთრი, გაქათქათებული ცხვირსახოცი აუფარებია და ნაზად, რაც შეიძლება, თავაზიანად დაუმთქნარებია... დაუმთქნარებია იმ უბედურს, დაუფჩენია პირი და ყველაფერიც მაშინვე, იმ ერთადერთი დამთქნარებისთანავე დამთავრებულა...

"როგორ მაკადრა, ჩემს გვერდით დაქორწინებამდე მაინც როგორ მოიწყინა" — ახლაც აღშფოთებული იხსენებდა ხოლმე (ახლა რა, ახლა უკვე რა ხანია, ცოცხალი აღარ იყო, მაგრამ ბოთეს დღესავით, მაინც ახლასავით ახსოვდა).

მერე გრიგოლ ბაბუას გაჰყოლია (ბაბუ სოფლის სკოლაში რუსულს ასწავლიდა, რუსული რომანსების ტრფიალი, თვითონაც მშვენივრად მღეროდა და უკრავდა გიტარაზე). შემდეგ ორივეს თითქმის ერთად, ბაბუს — გიტარაზე რუსული რომანსების დამღერება-დაღიღინებასა და ბებიკოს — ბაბუს მოქეიფე, რომანტიკოსი მეგობრების დახვედრა-გაცილებაში, ქვაბებში ღომისა და ელარჯის ჩაზილვა-ჩაჩურგუზებაში, ხაჭაპურების გამოცხობასა და გოჭ-ინდაურების, წიწილების შენვაშეპიწკინებაში ამოაღამდა თვალები.

დიახ, ასე იყო.

ნაღდი ამბავია.

ასე, რომ ბოთე, ჟუნ-ჟარამის ის ერთი, მხოლოდ ერთადერთი, ალბათ, სულ რაღაც რამდენიმეწამიანი დამთქნარება რომ არა, შესაძლოა, სამყაროს საფრანგეთში და ფრანგადაც მოვლენოდა.

მადლობა უფალს, რომ ასე არ მოხდა.

(კი, ბატონო, აქ ერჩია).

ბოთე ფიქრებიდან ჭიშკრის ზარის ხმამ გამოიყვანა.

დაღლილად წამოდგა.

ცივი ყავა მოწრუპა.

ნესტორა იყო.

ჭადრაკის თამაში უნდოდა.

შემოუშვა (გაეხარდა კიდევაც, შვიდ საათამდე დროს გაიტანდა).

ნესტორა — მელაძუა, დიდი კიტრი კაცი, ჭადრაკშიაც როგორღაც აჭრიჭებდა და იტყუებოდა, ოდნავი, სულ წამიერი ყურადღების მოდუნება და ლაზიერს ან ცხენს, კუს (გააჩნია, რომელი სად დასჭირდებოდა) უჯრიდან-უჯრაზე ვითომ ისე შემთხვევით და ურცხვად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყასიდად გადააჩოჩებდა (ანდა სულაც გააქრობდა, მოიპარავდა), გაგაოგნებდათ... ამხელდით — ხმამაღლა შეიცხადებდა (მეზობლების გასაგონად), ისე შემოგეკამათებოდათ, იმდენს იწრიალებდა, სხვა რომ არაფერი, შეგეცოდებოდათ — ჯანდაბას მისი თავი, მართლა ხომ არ მომეჩვენა, ტყუილა ცილს ხომ არ ვწამებ ამ კაცსო, იფიქრებდით. უსინდისოდ გაიოცებდა, ურცხვად შეიცხადებდა, იქაქანებდა და ზოგჯერ გაჰქონდა თავისი, ვითომ იგებდა კიდევაც... არა, უნიჭო ნალდად არ გახლდათ, პატიოსნად ეაზროვნა და ეთამაშა — ითამაშებდა, მაგრამ მთელი ნიჭი და ენერგია მოტყუება-გაცურებაზე ფიქრში მისდიოდა, „ასე იყო — ისე იყო," „აქ იდო — იქ იდოს" მტკიცებაზე ეხარჯებოდა.

ბოთე ტყუილს ვერ იტანდა (ვერც სხვისას და ვერც თავისას), თამაში კი არა, წვალება გამოდიოდა, მაგრამ ჭადრაკი უყვარდა და შეძლებისდაგვარად ითმენდა... (სხვას კიდევ ეგ სჯობდა). გაფრთხილებული ჰყავდა, ტყუილში გამოიჭერდა — თამაშს წყვეტდა, მიუხედავად ასაკოვნებისა, ეზოდან უბოდიშოდ აძევებდა. ნესტორა არ იმჩნევდა, მაინცდამაინც არ ბრაზობდა (ეს კი ჰქონდა კარგი ჩვევა). მართალია, უკმაყოფილოდ, მაგრამ ისე რა, თავისთვის, ბურდღუნ-ბურდღუნითლა მიიძურწნებოდა ხოლმე.

სახლში არ შემოიპატიჟა.

ჩვეულებრივ, ჭადრაკი ეზოში ჩაიტანა (მზიანი ამინდი კი იყო, მაგრამ საკმაოდაც ციოდა), კაკლის ჩეროში, მაგიდაზე გაუშალა დაფა.

— იცოდე, არ მომატყუო! — ნესტორამ, სანამ სვლას გააკეთებდა, გამაფრთხილებლად ასწია საჩვენებელი თითი, ამოხედა მზაკვრულად და წამსვე აქეთ, ცინიკურად შემოუტია (ფსიქიკურ შეტევაზეც მაშინვე გადადიოდა, თამაშის დაწყება და მისი აქაქანებაც ერთი იყო, პირს ვერ დაამუწინებდით).

— მე არ მოგატყუო? — ბოთემ მშვიდად ჩაიცინა.

— აბა, მე სად ვიცი ტყუილი?

— უჰ, რას ამბობ... შენ და ტყუილი?

ბოთემ ამოიხვნეშა, უსიტყვოდ მიაჩერდა და უცებ წამით, სულ ერთი წამით, კბილებდაკრეჭილი ვირეშმაკას სახე დალანდა (შეეშინდა, ადრეც რამდენჯერმე ასეთი რამ სხვაგან და სხვასაც შენიშნა). ცნობილია, რომ ვირი ჩლიქოსანთა ოჯახს მიეკუთვნება, ოთხფეხა ცხოველია, მშვენიერი სიმპათიური არსებაა, მაგრამ, ვირს თუ ორი ფეხი მოშორდა და სატანისებრ მოცინარი, კბილებდაკრეჭილი წარმოგიდგა, შემზარავია.

— შენი ტყუილი სად ვნახე? — ბოთემ მაშინვე თვალი აარიდა. — მთელი ცხოვრება მაგით არ იცხოვრე?

— სამწუხაროდ, ვერა... — ნესტორამ მოულოდნელად სინანულით გადააქნია თავი, — მთელი ცხოვრება ვერა, ველარა... მაგრამ იმედი მაქვს, რომ წინ კიდევ მექნება რაღაცა...

— კი, კაცო, ელოდე...

— კაცო, ტყუილს მაშინ გასავალი ჰქონდა, ყველაფერი ტყუილზე არ იყო აგებული? სიმართლეს ვინც ამბობდა, გიჟად აცხადებდნენ, მოსკოვში აგზავნიდნენ სამკურნალოდ, დაგავიწყდა?

— შენ რა იცი... რაღაც თანამდებობა გეკავა?

— რატომ რაღაც?.. საკმაოდ მაღალი თანამდებობის პირი ვიყავი.

— ეშინოდათ, საშიში „პირი" ბრძანდებოდით?

— საშიში მხოლოდ პატიოსანი გახლდათ...

— პატიოსანი? — ბოთემ გაიკვირვა.

— დიახ, პატიოსანი და სულელი, რომელსაც რეჟიმისა სჯეროდა, პატიოსნად ემსახურებოდა... მე ძმაკაციც ვიცოდი და მეგობარიც, ნათესავიც; ჩემთან თუ ვინმე მოვიდოდა, პატარასაც მომხედავდა, საქმეს ვაკეთებდი, არავინ გამიფუჭებია.

— შენ ხეზე თუ ასულხარ ოდესმე?

— ხეზე?.. რა მინდოდა იქ?

— ბალი ან ქლიავი არ გიჭამია?

— შენ არხეინად იყავი, მე არაფერი მიჭამია. — ნესტორამ წმით ბრაზიანად ამოხედა და პაიკით სვლა გააკეთა, მერე უცებ პატარა თითით მეორე პაიკიც უჯრიდან უჯრაზე გადააცოცა.

— დადე პაიკი თავის ალაგას! — ბოთემ გააფრთხილა. — შეეშვი ტყუილებს...

— რაო, აქ არ იდო?

— იცოდე, შევწყვეტ თამაშს!

— შეწყვიტე!

— დადე-მეთქი!

— სად იდო? — ნესტორამ ისევ დაკრიჭა კბილები. — აქანა?

— ყოჩაღ, გცოდნია... შეეშვი მაგ ცხენსაც...

— შევეშვი... ვაა, რა აგრესიული ხარ დღეს!

— არ გრცხვენია, ბიჭო?.. კომპარტიის წევრი ხომ იყავი?

— არ ვყოფილვარ!

— აბა?

— პარტიას, რომლის წევრიც გახლდით, ახლაც *„დათვი მოგერიოს, ბაბა დაუძახეო."* ჰქვია.

— ანდა *„ჩათრეულს ჩაყოლილი?.."*

— ზუსტად...

კარგა ხანს შემორჩნენ ჭადრაკს.

ნესტორამ წააგო.

ბოთემ „თანაგრძნობით" ჩამოართვა ხელი.

შემდეგ ხელ-პირი გადაიბანა, თმა გადაივარცხნა და, შვიდს რომ თხუთმეტი დააკლდა, მანქანა დაქოქა, ისევ მუხიანში და იმავე სადარბაზოს მიადგა.

პუმპუ შორიდანვე სწორედ იქ, იმ ფანჯარასთან და იმ გოგონასთან დალანდა, ორივენი ერთად გადმოყუდებოდნენ ფანჯრის რაფას.

შემდეგ პუმპუმ ჩამოირბინა.

მანქანას გარედან მოადგა.

არ ჩაჯდა.

— არ მოდიხართ? — ბოთემ შეჰღიმა.

— ოჰ, რა ვიცი მე...

— რატომ?

— დღეს ცუნცუს ბავშვის დაბადების დღე ყოფილა... მე არც ვიცოდი... პატარა სუფრის გაშლას აპირებს, უნდა მივეხმარო... დიდი ბოდიში...

ბოთე დადუმდა.

— ცუნცუ ჰქვია? — შემდეგ თვალებით მაღლა, მესამე სართულზე ანიშნა.

— კი, ცუნცუ.

— კარგია... ესე იგი, არ მოდიხართ, რჩებით?

— რა ვქნა, ველარ მოვდივარ...

— ვალი?

— რა ვალი? — პუმპუ ოდნავ შეცბა, თითქოს წამონითლდა. — აა, ვალი? ვალი არ დაიკარგება...

— რა თქმა უნდა, თუ არ დაიკარგა, არ დაიკარგება... მერე ღამე აქედან როგორ აპირებთ წასვლას?

— წავალ როგორმე... მიკრო-ავტობუსები ხომ თორმეტამდე მუშაობენ!

— გინდათ, ისევ გამოგივლით... მე გვიან ვიძინებ ხოლმე.

— ოჰ, არა... მე ხომ არ ვიცი, როდის მორჩებიან...

— რა ვქნათ?

— რა რა ვქნათ?
— როდის შევხვდეთ?
— როცა გინდათ... თქვენ ხვალ სახლში ხართ?
— კი, მთელი დღე.
— ხვალ მე თვითონ გამოგივლით.
— მოაგნებთ?
— კი, რა თქმა უნდა!
— რა დროს გამოივლით?
— დილით, როგორც კი ავდგები, წამოვალ...
— წამოხვალთ საიდან, სად ცხოვრობთ?
— აბანოთუბანში, იქვე, ეკლესიასთან.
— აბა, იქ მეგობართან ვიყავიო?
— მერე რა, ის გოგონაც იქვე გვერდითა ქუჩაზე ცხოვრობს.
— თქვენც ქირითა ხართ?
— კი, ქირით...
— ერთოთახიანში?
— არა, ოთახში... უფრო სწორად, ოთახში კუთხე მიქირავს, ერთი მონჯღრეული დივანია ჩემი, პატრონი საწოლზე იძინებს, მე — დივანზე... დიასახლისს ადა ჰქვია, მუფიზალოვაა გვარად, თუ ასე ძალიან გაინტერესებთ.
— ადა?
— ჰო, ადელინა...
— მუშაობთ?
— არა.
— რატომ?
— სადაა სამუშაო?
— აბა, როგორ, რითი ცხოვრობთ? — ბოთემ გამომცდელად ჩახედა თვალებში.
— ოჰ, რა ვიცი მე...
— წამით დუმილი ჩამოწვა.
— რამდენს გახდევინებთ ქალბატონი ადელინა?
— ორმოც ლარს.
— ოჰჰ!
— ასეა.
— ტელეფონი?
— მაქვს...
— კარგია... ბინისა თუ ჯიბისა?
— ჯიბისა არა, ისა... — პუმპუს გაეცინა. — ბინის ტელეფონია, ისიც მეზობლისაა, მაგრამ კარგი კაცია, თუ დამირეკავთ — დამიძახებს... გინდათ, ჩაიწერეთ ნომერი.
ბოთემ ჩაიწერა.
— ეგ ისე, ყოველ შემთხვევისთვის, რამე იყოს, დაგირეკავთ ხოლმე.
— დარეკეთ... ეკა იკითხეთ.
— რატომ ეკა?
— ო, რა ვიცი... იქ ასე მეძახიან...
— ეკა-რებეკა?
— რებეკა რატომ? — პუმპუმ გადაიკისკისა.
— არა, ისე... დილით ხომ მოხვალთ?
— მოვალ...
— აბა, ნახვამდის. — ბოთემ მანქანა დაქოქა, ხელი გაუწოდა. — გელოდებოდეთ იქნებოდეს იქნება... — სადარბაზოში გაუჩინარებულ პუმპუს ხუმრობითაც დაადევნა.
ფანჯარას ახედა, დაელოდა.
არავინ გამოჩნდა.
ისევ ახედა.
ისევ არა, არავინ.
ნელა დაიძრა ადგილიდან.
შემდეგ იქვე, სულ რაღაც ასიოდ ნაბიჯზე დიდი სიჩქარით მომავალი ძველი, მოფამფალებული „ჟიგული" შემოეფეთა. მოსახვევიდან ამოვარდნენ, რატომღაც ბრაზიანი, შემმოწმებელი თვალები შემოანათეს, გამოაყოლეს.
მანქანაში ორნი ისხდნენ.
პოლიციელებს ან კრიმინალებს ჰგავდნენ.
ბოთემ სვლა შეანელა, მერე მანქანა სულაც გვერდზე გადააყენა, შეაჩერა. უკანა ხედის სარკით სახლის სადარბაზო და ცუნცუს ფანჯარა მოძებნა, სარკე გაასწორა, დააყენა.
"ჟიგულმა" სწორედ იმ სადარბაზოსთან წაამუხრუჭა, ბული დააყენა, შემდეგ წაიწია, ფანჯრებქვეშ დადგა.
ფანჯარას ცუნცუ მოადგა.
გადმოეყუდა.
ჩამოჰლიმა.
მანქანიდან ორი შავკოსტუმიანი, ჩასუქებული, ფაფუკლიპიანი ახალგაზრდა გადმოვიდა.
ზანტად, მთელი „ღირსებით" გადმოლაგდნენ, ახედეს ფანჯარას.
"გადმობრძანებითა" და გარეგნობითაც მიხვდებოდით, ვინც იყვნენ.
ჩანდა.
ცუნცუ ორივეს უხმოდ მიესალმა, უხმოდვე შეიპატიჟა, ანიშნა, ასულიყვნენ და უცებ, წამით აქეთ, ბოთესკენაც გამოექცა თვალი და იქით, ოთახის სიღრმეშიც ვიღაცას გახედა, რაღაც ანიშნა.
პუმპუ არა,
არ გამოჩნდა.
ბოთეს პოლიციის სამსახურის არსებობის აუცილებლობა სავსებით შეგნებული ჰქონდა, ყველგან, ყველა ქვეყანაში მოსახლეობის ნაწილი მაინც ყოველთვის მზადაა, კანონი თავის სასარგებლოდ დაარღვიოს (სხვანაირად რომ იყოს, პოლიციის არსებობა საჭიროც აღარ იქნებოდა). მსგავსი სამსახურების არსებობის უარყოფა მხოლოდ ბრიყვს შეეძლო; მტრისას, უპოლიციოდ ადამიანი რასაც ჩაიდენდა, მაგრამ ისიც მტრისას, საბჭოთა პერიოდიდან შემორჩენილი, კანონიერებასთან უბრად მყოფი, იმ პერიოდში კრიმინალური სამყაროს უმარტივესი, სავსებით გასაგები მეთოდებითა და საშუალებებით „მუშაობას" შეჩვეული, გუშინდელი მილიციელი (პატიოსან პოლიციელთა გულდასაწყვეტად) რასაც სჩადიოდა. ჩვეულებრივ, კანონმორჩილ საზოგადოებაშიც კი მხოლოდ ფარულ ზიზღსა და სიძულვილს იწვევდა.
ბოთესაც რაც შეიძლება თავაზიანად და ცივილიზებულად — აღარ „ევასებოდა," თუმცა მაინცდამაინც არც აღიზიანებდა, აგერ, გუშინწინ მსოფლიოს „განითლებაზე" მეოცნებე პროპაგანდის მსხვერპლი, გაბრიყვებული ყოფილი „კომუნიზმის მშენებელი" ათეისტიც — გიჟს ჰგავდა. ქალაქში მათივე აღზრდილ, უწიგნურუგუნურთა მთელი ლაშქარი დაბოდიალებდა.
მანქანა დაქოქა.
გზა გააგრძელა.
პუმპუს ტელეფონის ნომერი ამოიღო, გზადაგზა დახია, ნაკუწ-ნაკუწ აქცია, გადაყარა. დილით თუ მოვიდოდა — მოვიდოდა, არადა, თვითონ ძებნას აღარ დაუწყებდა, არც დაურეკავდა... დახია, გადაყარა და თითქოს სამყარო გაუფერულდაო, მაშინვე მოიწყინა; ინანა.
მანქანა მაინც არ შეაჩერა.
ქაღალდის ნაკუწები არ აკრიფა, გულამღვრეულმა გააგრძელა გზა.
ღამე ცუდად ეძინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ მთელი დღეც იწრიალა.
პუმპუ არ მოვიდა.
მეორე დღეს მუხიანისკენ „ჩაისეირნა".
სადარბაზოში — არავინ.
დაკეტილი ფანჯარა.
დაყრუებული სახლი.
გულდაწყვეტილი გამობრუნდა.
პუმპუ მხოლოდ მესამე დღეს გამოჩნდა.
აღარ ელოდა უკვე, გახარებული შეეგება.
ეზოშივე გადახვია ხელი.
აკოცა, სახლში შეიყვანა.

— რატომ მომატყუე?

— ოჰ, რა ვიცი მე... — პუმპუმ მიამიტურად შემოღიმა. — სუფრიდან გვიან აიშალნენ, მერე ყველამაც მაშინვე ლოგინს მიაშურა... მე სუფრის ალაგებას შევუდექი, ვერ ვიტან აულაგებელ სუფრას, თეფშები და ჭიქები დავრეცხე...

— იცი თეფშის გარეცხვა?

— დედაა, რა არის, რომ არ შემეკითხა? — შემოხედა, გადაიკისკისა.

— რა იყო? — ბოთე მონუსხულივით მიაჩერდა, უხდებოდა პუმპუს გადაკისკისება. — დადიას ქალს, ხომ შეიძლებოდა, რომ აღარ სცოდნოდა... კარგი, გუშინ რატომ არ გამოიარე?

— მთელი ღამის უძინარს როგორ გამომევლო?

— გუშინაც, კაცო?

— გუშინაც, რა ვიცი მე... ველარ გამოვედი...

— სტუმრები ბევრი გყავდათ?

— როდის?

— მაშინ...

— სად, მაშინ?

— ქალო, იმ საღამოს, მუხიანში!

— აა, არც ისე... თქვენ რომ წახვედით, ცუნცუს ქმარი და მისი მამიდაშვილი მოვიდნენ, მერე კიდევ რამდენიმე ქალი და ბავშვი, მეტი არავინ ყოფილა...

— ქმარი? — ბოთემ ჩაახველა. — ცუნცუს ქმარი პოლიციელია?

— კი, მგონი... თქვენ საიდან იცით?

— მამიდაშვილიც?

— იცნობთ?

— არა, მაგრამ...

— რა მაგრამ? — პუმპუ გამომცდელად მოაჩერდა.

— კარგი რა... ხომ იცით, რომ დავინახე.

— მე დავინახე?

— შენ არა, ცუნცუმ...

— რა დაინახა?.. გინდათ, ავიდეთ ცუნცუსთან, ჰკითხეთ!

— რა ვკითხო?

— ჰკითხეთ, ვინ იყვნენ-თქო!

— გმადლობთ, ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ ორივეს... ორივე...

— მე რა შუაში ვარ?

— არა, ისე...

— მართლა, ნეტა გენახათ, რასა ჰგავდნენ! — მერე მოულოდნელად, თითქოს ანუგეშა, დაამშვიდა. — თფუ, როგორ იქცეოდნენ!..

— მჯერა.

— რა გჯერა?

— გადახდითაც არაფერი გადაიხადეს, ხომ?

— რა უნდა გადაეხადათ? — პუმპუ ოდნავ შეცბა, სახე შეეცვალა.

— არა, არაფერი... ბავშვს რამე თუ აჩუქეს-მეთქი, უნდა მეკითხა.

— აჩუქეს არა, ისა...

— ჰოდა, მეც ეგ გითხარი... — ბოთემ ჩაიცინა.
წამოდგა.
სიგარეტს გადასწვდა.
შემდეგ სტუმარი სამზარეულოში შეიპატიჟა.
მაცივრიდან რაღაც-რაღაცები გადმოალაგა. მერე იქვე, სამზარეულოშივე შემოუსხდნენ მაგიდას.

პუმპუს უცებ თითქოს მაგიდაზე დადებულ საგნებზე შეუჩერდა თვალები, გარინდება დაეუფლა (მარადისობა თითქოს რაღაცას აფიქსირებდა). შემდეგ შეირხა (ჩინელებმა იციან — ყველაფერი რხევით იწყება) და სრულიად მოულოდნელად (ბოთეს აზრით — უდროო დროსა და უალაგო ალაგას), თითქოს ისე, სასხვათაშორისოდ, მაგრამ სავსებით გულახდილად, საკუთარი პერსონის გვერდით ვინმე „გონიერი", ნორმალური ადამიანის გამოჩენა ინატრა...

ბოთემ უხმოდ დაუმოწმა.

პუმპუ სიგარეტს გადასწვდა.

მერე იმ გონიერთან თუნდაც სულაც დროებითი, მაგრამ რაიმე ერთობლივი, ორივესთვის სასარგებლო საქმიანი კავშირის დამყარების სურვილიც სავსებით ბუნებრივადვე ამცნო.

(კი, რა თქმა უნდა, ცოტა ამინდიც თუ შეუწყობდა ხელს).

ბოთემ ესეც უხმოდ დაუმოწმა.

შემდეგ უხმოდვე გადასწვდა ყავის ფინჯნებს და ორივემ ერთად სასტუმრო ოთახისკენ გადმოინაცვლა; ჟურნალების მაგიდის გარშემო შემოწყობილ სავარძლებში ჩასხდნენ.

ბოთე სამყაროს აღიქვამდა, როგორიც იყო და გარშემო ადამიანებსაც — როგორნიც გახლდნენ, მაგრამ პუმპუსგან არაფერი სწყინდა, გაჩხიბულივით იჯდა, უსმენდა, თუმცა ქვეცნობიერად გრძნობდა, ნანობდა უკვე კიდევაც, რომ სულ ტყუილა შეეცადა მის ზნეობრივად ამაღლებასა და გაკეთილშობილებას და, მაინც, გულახდილად და პირდაპირ ახლაც ვერაფერს სთავაზობდა, ისევ რაღაცისგან რაღაცის გამოძერწვაზე ფიქრობდა.

პუმპუ ისევ თეთრი ძაფებითვე კერავდა, მისი ასაკისთვის სრულიად ბრძნული და შეუფერებელი, შორსგამიზნული, იქნებ, უკვე ვიღაცასთან მოფიქრებულმოაზრებული, შემდგომ ერთობლივადვე აწონილ-დაწონილი, ყავაზე შემოწმებული აზრებით იმუხტებოდა.

ეშმაკობდა.

ბოთემ გახედა და წამით, აქაც სულ ერთი წამით, მის წინ რომელიღაც წუწურაქულად კბილებწანწვეტებული მტაცებელი არსება დალანდა.

ტანში გააზრიალა.
ეწყინა.
ყავას გადასწვდა, მოწრუპა.
პუმპუც უცებ, თითქოს შესცივდაო, ისე შეიშმუშნა.
შეირხა.

— მე ახლა წავალ, მაგრამ... თუ თქვენი სურვილი იქნება, დილით მოვალ და ოთახებს დაგილაგებთ, იატაკსაც მოგირეცხავთ, კარგი?

— უკვე მიდიხართ?

— კი, წავალ... დილით ან დღის მეორე ნახევარში მაინც აუცილებლად გამოვალ და საღამომდე დავრჩები...

— კარგი რა!..

— რა ვქნა, არ წავიდე? — გოგონა გამომცდელად მოაჩერდა.

— სად მიგეჩქარებათ?

— ოჰ, რა ვიცი მე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაინც?

— რა ვიცი...

წამით დუმილი ჩამოვარდა.

— კი, ბატონო, როგორც გენებოთ! — ბოთემ სიგარეტი საფერფლეში ჩააჭყლიტა, წამოდგა, დივანზე მიგდებულ ქურქს გადასწვდა, აილო, დაელოდა.

— მაგდებთ? — სტუმარმა ღიმილით ამოხედა.

— არა, როგორ გეკადრებათ, თვითონ არ თქვით, მივდივარო?

— მე არ მითქვამს, ახლა, ამწუთას-მეთქი!

— მაშინ დარჩით.

— არა, წავალ... ახლა წავალ, მაგრამ საღამოს გამოვალ...

— საღამოს?

— ჰო, საღამოთი...

— დღეს საღამოს?

— კი, დღეს...

— მოხვალთ და დარჩებით?

— დავრჩები.

ბოთემ წამით თვალებში ჩახედა.

— არ მომატყუო. — მერე აკოცა.

— არა.

— იცოდე, გელოდები...

— მოვალ-მეთქი!..

— კარგი, გაგიყვან ახლა, სადაც გინდა.

— არ მინდა გაყვანა... ავტობუსს გავყვები.

— ფული?

— მაქვს... რაღაც ხურდები კი მიყრია ჯიბეში.

ბოთემ საფულე ამოიღო.

ფული ჩაუდო.

—ოო, მაქვს-მეთქი... მადლობა.

ჭიშკართან ისევ აკოცა:

მერე კუტიკარი გამოაღო და ჯიხურთან აყუდებულ უსაქმურებს მიესალმა. პუმპუს ქუჩის გაღმა ავტობუსების გაჩერებაზე ანიშნა, ხელმეორედ დაემშვიდობა.

დადგა.

იქვე, გვერდით, სასურსათო მაღაზია, კიდევ რამდენიმე ჯიხური და პატარა დახლიც იყო, ხილ-ბოსტნეულითაც ვაჭრობდნენ.

სიგარეტი ამოიღო, „ბირჟავიკებს" გახედა.

"საერთო სახალხო საკუთრების" პერიოდში ქურდბაცაცობას მიჩვეული, მაშინდელ ორმანეთიან ძეხვზე ატირებული (პეწას გარდა), მაშინაც არაფრისმაქნისი მატყუარები ზამთარ-ზაფხულ, წვიმასა თუ ქარში იდგნენ და სხვის ფულებს ითვლიდნენ, მხოლოდ ტყუილა ლაყბობითა და ქილიკით ერთობოდნენ, თუმცა დასალევსაც მუდამჟამ და დღეში რამდენჯერმეც პოულობდნენ (მაშინ ზოგი პურის ნატეხს გამოარბენინებდა, ზოგიც — ყველისას), ალკოჰოლითაც ებრძოდნენ უიმედობასა და ერთფეროვნებას, მამაცურად მიუყვებოდნენ „მოსეს გზას..."

ბოთე არ განსჯიდა. პლანეტის იმ ნაწილში მოუწიათ ცხოვრებამ, სადაც დროის დიდმა ნაწილმა დამპყრობლურსა თუ რელიგიურ ომებში, რევოლუციებსა და უფსკრულებში სულ ახალ-ახალი ხტუნვა-ხტუნვით ჩაიარა.

პუმპუს გამოჩენისთანავე რამდენიმემ მაშინვე „მუცელი შეისუნთქა", რეგვენული სიურცხვით შეათვალიერა იგი, ზოგმა, თითქოს ფრთები შეიფერთხაო, მხარიც შეათამაშა, პირდაპირ „ინდოურული" დაუარა (ინდაურს რომ დაუსტვენენ და გრქქ! — გაიფოფრება ხოლმე, სწორედ ისე).

— მაგარი გოგოა, ძმაო, მაგარი! — პეწამაც ურცხვად გააყოლა თვალი (ეგ ოდნავ მოშორებით, მაღლა უბანში ცხოვრობდა), — ბოთეს ვითომ შინაურულად მოუახლოვდა. — სად პოულობ ხოლმე, ა?

— წადი, შე წუნკალო, შენა! — ბოთემ კინაღამ პანჩური უთავაზა.

მერე გაღმა, ავტობუსს დალოდებულ პუმპუს თვითონაც შეავლო თვალი. პუმპუსაც არ გამოჰპარვოდა ინდოურთა ფაფხური, თითქოს ამანაც ფრთები შეისწორშეიფერთხაო, მოკლე-მოკლე ნაბიჯებით გაიარ-გამოიარა, წინ და უკან გაბაკუნდ-გამობაკუნდა, უკანალიც გამომწვევად გააკვეთ-გამოაკვეთა.

ბოთე გულამღვრეული შეტრიალდა.

— შენ, ბიჭო, იმდღეს რა იყო, რომ ძლივსღა მომესალმე? — პეწას მიუბრუნდა. — ბევრი ფული იშოვე?

— როდის არ მოგესალმე?

— ვითომ არ იცი!

— აა, ალბათ, ბუქსირით თუ მივდიოდი...

— შენ არ იცოდი? — ბირჟავიკებს კიდევ ერთი ღიმმორეული კვაჯია გამოეყო, მიუახლოვდა. — ეგ რომ ახლა აქ დგას, ფიქრობ, მარშრუტკას ელოდება?.. თქვენც არ მომიკვდეთ, სანამ ზეითკენ მიმავალი რომელიმე შარვალშემოჭიმული ქალი არ გამოჩნდება, ადგილიდან ფეხსაც არ მოიცვლის, ისე აღმართზე ასვლა ეზარება... მერე ძუკნა ძაღლივით ენაგადმოგდებული აეკიდება და მისდევს იმ ქალს, გარშემო ვერაფერს ამჩნევს ხოლმე, აი, ამას ეძახის ბუქსირს ეგ უბედური, ეგა...

— ჰმმ, ჰმმ-ფრრ... — პეწამ ხელი ტუჩებზე აიფარა და ცუღლუტურად ჩაიფრუტუნა, შემდეგ ბოთეს მოადგა, ვითომ თვალები გადაუბრიალა. — სადაა ჩემი სათვალე, ხომ იცი, რომ ჩიჩმი (მხედველობა) არ მივარგა?

— „შენი" სათვალე?

— კაცო, თუ მართმევდი, რაღას მჩუქნიდი?

პეწა, ასაკით უკვე ორმოცს გადაცილებული, მარტოხელა, ძველი ნაჯიბგირალი ყომარბაზი, ბოთეს რატომღაც დანარჩენ ბირჟავიკებს ერჩია. სათვალე სულ რაღაც ორიოდ კვირის წინ აჩუქა (ნათურის შუქზე თვითონაც სათვალით კითხულობდა ხოლმე), პეწამ რომ — ჩიჩმი არ მივარგა, უკვე დუშაშს დუბეშისგან ველარ ვარჩევო, — შემოსჩივლა, გული აიჩუყა და აჩუქა, მაგრამ მეორე დღესვე მადლობის მაგიერ ურცხვად — აი, ის უკეთესი, შენთვის რომელიც დაიტოვე, უფრო მევასა, მოდი, გამიცვალეო, — რომ უთხრა, ბოთეს ძალიან არ ესიამოვნა, წამიერი ფიქრის შემდეგ პეწა სახლში შეიპატიჟა, ასადილა, ღვინოც გამოუტანა, მერე სათვალე გამოართვა, შეათვალიერა — რამეს ხომ არ მატყუებ, ბიჭო, ხომ არ გაგიტეხიაო, — ყასიდად იკითხა და სათვალე აუჩქარებლად შეატრიალ-შემოატრიალა ხელში, ბოლოს საწერი მაგიდის უჯრა გამოაღო და იქ შეაგდო.

პეწა უმადურობისთვის დაისაჯა.

ერთიც დაკარგა და მეორეც.

— არ იცი, რატომაც დაკარგე სათვალე? — ბოთე ღიმმორეული მიაჩერდა.

— ვიცი... უმადურობისთვის. — პეწამ ხელები ასწია. — ღირსი ვიყავი, [illegible]ებ, მაგრამ... ახლა გამოუშვი ამნისტია, ა? — შე[illegible].

— კიდევ რისთვ[illegible]?

— სიხარბისთვ[illegible]სე არ მითხარი?

— კიდევ?

— კიდევ რა?

— აბა, გაიხსენ[illegible]ეზი?

— აა, უმადურ[illegible]ა სიხარბის მიზეზი რეგვენიზმიაო, ასე არ ბრძა[illegible]რგი, ნუ კი გადამაყოლე ახლა მაგ სათვალეს...

ბოთეს გაეცინ[illegible]უშვა ამნისტია.

გამოუტანა სათვალე.

— ეს რა არის? — პეწამ დახედა, წამსვე ცალყბად ჩაიცინა. — ისევ ის გამაიტანე?

— იცოდე, ხელმეორედ თუ წაგართვი... — ბოთე დაემუქრა.

— ჰოპ, ჰოპ! — პეწამ ხელები გაასავსავა, გაიქცა, გაღმა ავტობუსების გაჩერებასთან დადგა. — აი, ახლა კი მართლა დაველოდები ბუქსირს! — სათვალე მოირგო, ისევ ცუღლუტურად ჩაიქირქილა.

პუმპუ გაჩერებასთან უკვე აღარ იდგა.

ბოთე უხალისოდ შებრუნდა სახლში.

დივანზე მიეგდო.

ფიქრები მოაწვა.

მერე ტროტუარზე წაღმა-უკუღმა გატასავებული პუმპუ და მისი აქეთ-იქით გაკვეტებული უკანალიც რომ თვალწინ დაუდგა, წამოხტა, მანქანა დაქოქა და თვითონაც ქალაქში გავიდა.

სანაპიროდან ცირკის ხიდისკენ აუხვია.

პირველსავე შეხვედრილ პუტანასთან შეაჩერა მანქანა.

წინა გვერდითა კარი გამოაღო.

— პლიიზ! — გოგონას სავარძელზე ანიშნა, გაუღიმა.

— ფენქიუ!

გზა ერთად გააგრძელეს.

ტანწერწეტი გოგონა იყო (სახითაც არა უშავდა).

— რას ამბობთ, რამდენიო? — ბოთემ ოდნავ ბრაზიანად, მოურიდებლად იკითხა.

— გააჩნია, რას ინებებთ! — გოგონამ უკანა ხედის სარკე უბოდიშოდ თავისკენ შეატრიალა, წამწამები შეითვალიერ-შეისწორა. — რომელი გინდათ?

— რა რომელი... რა თქმა უნდა, მამაპაპური...

— ოცი ლარი.

— ის მეორე?

— მეორე რომელი, ორალური?

— კარგი, გავანებოთ თავი... — ბოთე იმ სიტყვის მნიშვნელობას მაინცდამაინც აღარ ჩაეძია, ხელი ჩაიქნია. — იყოს მამაპაპური.

ათიოდ წუთში ისევ სახლს მოადგა.

ბირჟავიკებმა უხმოდ გამოხედეს.

შეტრიალდნენ.

პეწაც ადგილზე ბრძანდებოდა (ეტყობა, მისმა მოსაწონმა, შარვალშემოჭიმულმა საბუქსირემ აღარ გამოიარა), სათვალე გაიკეთა, გამოხედა, მერე ესეც ფრიად თავაზიანად და დარბაისლურად შეტრიალდა.

— ვაა, ჩემი კარგი... — ხელები ცისკენ აღმართა.

ბოთემ საწოლ ოთახს მიაშურა.

ელექტროქურა ჩართო (მზე კი ანათებდა, მაგრამ ციოდა, უკვე ნოემბრის მიწურული გახლდათ).

საწოლზე გაიშხლართა, ხელები თავქვეშ ამოიდო.

სტუმარს გახედა.

— თქვენ რა გქვიათ?

— კეკელა... თქვენ?

— მე?.. — ნიკა წამით დაფიქრდა. — მე ბოთე... მოდი, კეკი, წამოწექი.

— ფული? — კეკიმ ხელი, თითქოს ხუმრობით, მაგრამ გამოიშვირა.

— კი, ბატონო!

— ოცი.

— რა თქმა უნდა — ოცი.

წამოდგა, ფული ჩაუდო.

ისევ წამოწვა.

— ახლა რა ვქნათ, ჩვენ გაგხადოთ თუ თვითონ გაიხდით?

კეკიმ უხმოდ გამოხედა, უკვე ისედაც ნახევრად გაეხადა, მერე ბიკინიც (დიახ, პატარა, კრებდიშინის ცხვირსახოცივით სიფრიფანა ნიფხავი) წვივებისკენ უხმოდვე ჩაასრიალა.

გვერდითა საწოლს მოადგა.

საბანი გადასწია.

ჩაწვა.

გაისუსა.

— ხომ არ გეჩქარებათ?

— არა, მაგრამ... მოდი.

ბოთე „მივიდა".

შემდეგ წამოხტა, სიგარეტი აიღო.

გააბოლეს.

— თქვენ რომელი ჯგუფის სისხლი გაქვთ? — ჩაახველა.

— პირველი. — კეკემ ოდნავ გაკვირვებით გამოხედა. — რატომ იკითხეთ?

— არა, ისე...

— მაინც?

— ყველაზე სექსუალური მეოთხე ჯგუფისაა...

— მართლა?

— იაპონიაში გეიშების პრესტიჟულ სკოლებში, პირველი და მეორისას არა, მხოლოდ მესამე და მეოთხე ჯგუფის სისხლის მქონეთ ღებულობენ.

— ჰოო?

— გარდა ამისა, ქორწინებისას აუცილებელია სისხლის ჯგუფის დამადასტურებელი ცნობა... იდეალური, მყარი ოჯახური კავშირის შესაქმნელად მხოლოდ პირველი და მეორე ჯგუფის სისხლის მქონეთ მიიჩნევენ, განსაკუთრებით, მეორე ჯგუფისას... კოსმეტოლოგები კოსმეტიკასაც კი სისხლის ჯგუფის მიხედვით ურჩევენ...

— ესე იგი, პირველი ჯგუფისა არ მოგეწონათ? — კეკიმ ცალყბად ჩაიცინა.

— არა, რატომ... — ბოთეს ეუხერხულა, შეიშმუშნა. — იცით, ჯორდანო ბრუნო რატომ დაწვეს?

— რატომ?.. პირველი ჯგუფის სისხლი ჰქონდა?

— ეგ არ ვიცი.

— კომუნისტი იყო?

— შეიძლება...

— მაშ, რატომ?

— კულტურას თუ მეცნიერებამ გაასწრო, ცუდია, ეს უკვე საშინელებაა... წარმოიდგინეთ, მაშინ რომ ატომური ან თერმული იარაღი შექმნილიყო, რა მოხდებოდა; ჩვენი პლანეტა, შესაძლოა, დღეს არც ყოფილიყო.

— ბრუნო თერმული იარაღის შექმნაზე მუშაობდა?

— არა მგონია...

— თქვენ ამართლებთ ინკვიზიციას?

— არა.

— კაცმა რომ თქვას, ინკვიზიციის ქმედებაში რაღაც საიდუმლო კი დევს. — კეკიმ ამოიხვნეშა.

ბოთემ გაკვირვებით გადახედა.

— თქვენ სადმე სწავლობთ?

— უნივერსიტეტში ვსწავლობდი... ოდესღაც...

— კარგია... ცოტასაც აფრენთ, ხომ?

— სამწუხაროდ, მხოლოდ ცოტას, სულ ცოტას... გიკვირთ, რომ ვპუტანაობ?

— არა.

— სააბაზანო ოთახი საითაა?

— იქითაა... მიგაცილოთ?

— არა, მოვნახავ თვითონ... — კეკი წამოდგა, სააბაზანოსკენ ტიტლიკანა უკანალის ამაყი რწევა-რწევით გაემართა და ასევე რწევა-რწევით გამობრუნდა.

ბოთეს გახედა, ტანსაცმელს გადასწვდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მიდიხართ?

— კი, წავალ... ცივა, ხომ?

— ჰო, რა ხანია პალტოებში დადიან... — ბოთემ საწოლისკენ მეტი არ მოიპატიჟა. — თუმცა, ამ ორიოდ დღის წინ ისე თბილოდა, მთელი ორი-სამი საათი ჭადრაკი ეზოში ვითამაშე.

კეკიმ ერთი უხმოდ გამოხედა, ჩაცმა გააგრძელა.

ბოთეს რაღაც ეუხერხულა.

შეიშმუშნა.

— თქვენი შეწუხება რომ არა, კიდევ ერთხელაც სიამოვნებით ჩაგეხუტებოდით. — შემდეგ ისე, ზრდილობისთვის ჩაიდუდუნა.

— უჰ, ნუ გერიდებათ! — კეკი სრულიად მოულოდნელად, გამომწვევად თვალაციმციმებული მოაჩერდა. — მე, მიუხედავად ჩემი პირველი ჯგუფის სისხლისა, შემიძლია ყ..დან ოცდაოთხი საათი არ ჩამოვიდე...

— მართლა? — ბოთე შეცბა, ოდნავ დაიბნა. — კარგია, კარგი... მოდი, ყავა დავლიოთ, ა? — მერე გადაიხარხარა, სტუმარს აღფრთოვანებული მიაჩერდა.

— თქვენ დღეს ყავა უკვე დაგილევიათ, ჟურნალების მაგიდაზე ორი ფინჯანი დევს.

— რა იცით, რომ დღეს?

— ჩანს; ფინჯანი სველია, კარგი... მე წავედი.

— ისევ იქით, იმ ხიდისკენ?

— ოჰ, არა.

— აბა?

— იქ დგომას ქუჩაში ფეხით სიარული მირჩევნია, რომელიმე მანქანა ისედაც წაამუხრუჭებს.

— იყავით ცოტა ხანი... მაინცდამაინც დღეს გინდათ, იშოვოთ მილიონი?

— მილიონი დღეს არა... ახლა უკვე მხოლოდ სუტენიორების მისაცემი ოცდაათი ლარი უნდა ვიშოვო.

— რომ არ მისცეთ?

— არ მიცემ და გაგიყვანს ტყეში, თვალებს ჩაგილილავებს, ყველაფერს წაგართმევს, შეუძლია, სულაც მოგკლას... იცით, რამდენია ასე დაკარგული?

— კაი, კაცო! — ბოთე მოიღრუბლა.

— მაშა, მაშა! — კეკიმ რატომღაც კუთხურად მოუქცია, ჩაიცინა.

— მერე შეეშვი ამ სისულელეებს!

— სისულელეებს მხოლოდ ბრიყვები არ სჩადიან... როგორ ვარჩინო ბავშვი, რითი ვირჩინო თავი?

— ბავშვი გყავთ?

— აბა?.. მე რა ვუთხარი იმ საზოგადოებას, სადაც ქალს საკუთარი ფუჩუ საკუთარი სურვილისამებრ ვერ მოუხმარია... ალბათ, ნეანდარტალებიც კი უფრო ცივილიზებულნი იყვნენ.

— ეგენი ვინღა არიან?

— მე მგონი, პირველყოფილი ადამიანის წინაპარზეა ლაპარაკი. — კეკიმ ჩაიცინა.

— ეე, კეკელა, კეკელა! — ბოთემ თავი გადააქნია. — აბრეშუმის ბუდე-თქო, მაინც გეთქვა.

— ეს რას ნიშნავს?

— იგივეა... ქალის სისულელის კომპენსაცია...

— „აბრეშუმის ბუდე," ქალური სისულელეების კომპენსაცია? — კეკიმ გადაიკისკისა. — კარგია, კარგი!

— ზოგისა-მეთქი! — ბოთემ ხელები ასწია.

— თავისთავად იგულისხმება.... რა თქმა უნდა... ტელეფონის ნომერს ჩაიწერთ?

— ჩავიწერ... დაგირეკავთ ხოლმე.

— საღამოობით ყოველთვის შინა ვარ.

— არ გაგაცილოთ?

— მხოლოდ ჭიშკრამდე... როგორ იყო, რომ თქვით?.. ფუჩუ — ქალური სისულელეების კომპენსაციაო? — კეკიმ ისევ გადაიკისკისა.

ჭიშკართან ოდნავ შეყოვნდა.

— კარგი, წავედი... არ გაკოცებ.

— რას იზამთ, ალბათ, ასე მრავალსა და მრავალ „კოცნას მოკლებულს" მომიწევს გაუჩინარება. — ბოთემ თავი სინანულით გადააქნია.

მერე კუტიკარი ოდნავ გამოაღო (ისე გამოაღო და მიხურა, თვითონ არავის დაენახა), კეკელა წამსვე და მაშინვე უხმოდ გასრიალდა.

ბოთეს უყვარდა დედაქალაქები (ბავშვობის შემდეგ სხვაგან არც უცხოვრია). ქალაქი თუ მრავალმილიონიანი არა, მრავალეროვანი მაინც უნდა იყოს. ქალაქი, სადაც ტანწერწეტი, მოსიყვარულე ქალებისთვის თუ პატარა პენტ-ჰაუზი არა, სადმე, რომელიმე ნებადართულსა და უსაფრთხო ალაგას, თუნდაც ერთი გაჩირაღდნებული ტროტუარიც არ გამოიძებნება, სადაც პატარ-პატარა სიხარულების მომტან ქალებს ჩაბნელებული უბნებისკენ ანდა სულაც ქალაქგარეთ ტყეებისკენ მიერეკებიან — ქალაქი არ არის. ტყეში მალულად და ფარულად აღხრჩოლებულ კოცონზე (გამოქვაბულიდან ახალი გამოსული ადამიანის ველური ყოფისადმი ლტოლვა), წყალწყალა ღვინითა და ნახევრად უმი, ნაცარტუტიანი მწვადებით (სვავების საკვები) მუცლის ამოყორვის შემდეგ მოლზე წამოგორებული ქალის მოსიყვარულება ვერ წარმოედგინა.

დრო ნელა გადიოდა.

ძლივსღა დაღამდა.

მერე ძილი მოერია, წამოდგა, სააბაზანო ოთახში შევიდა, იბანავა.

ლოგინში ჩათბუნდა.

პუმპუ რომ გამოჩნდა, თორმეტი დაწყებული იყო.

ზანტად გადასწვდა ხალათს.

ეზოში ჩავიდა, კუტიკარი გამოაღო.

— გეძინათ? — პუმპუმ ლოყაზე მსუბუქად აკოცა.

— მეძინა, მაგრამ გელოდი... ვიწექი...

— ასე ადრე იძინებთ?

— თერთმეტია, ხომ?

— თერთმეტიცაა და კაი თორმეტის ნახევარიც! — ბოთემ ოდნავ უხალისოდ გადახვია ხელი.

უხალისოდვე შეიყვანა სახლში.

მერე მაშინვე საბანში გაეხვია, ისევ ჩათბუნდა.

— ნუ მიწყენთ! — სტუმარს გახედა, ჩაახველა. — ხომ არ გშიათ?

— კი, არ მინდა არაფერი...

— ჰოო?

— სიგარეტი გაქვთ?

— მაგიდაზეა...

— მოვწევ, რა!

— მოწიეთ.

პუმპუ ელექტროქურას ძალიან შინაურულად, როგორღაც ფეხებგაფარჩხული მიეფიცხა. კინაღამ ზედ წამოაჯდა.

— როგორ აცივდა, ხომ?

— მაგრად... მერე მოდი, ჩაწექი!

— მაცალე, მოვწიო.

— მოწიე...

დუმილი ჩამოწვა.

— გადააგდე ეს საწამლავი! — ბოთემ ვეღარ მოითმინა, წამოიწია, გახედა.

— ოჰ, მაცალე, მოვწევ... სხვა?

— რა სხვა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სხვა, დღეს მთელი დღე რას აკეთებდი?

— რას ვაკეთებდი? — ბოთე ოდნავ შემცბარი მიაჩერდა, - არაფერს... ვიწექი.

— სულ არაფერს?

— ყველაფერი უკვე გაკეთებულია და ყველაფერიც ამაოა... ჰო, მართლა, კინაღამ დამავიწყდა, რომ დღეს მთელი დღე საწოლში და თქვენზე ფიქრში გავატარე...

— ეგ უკვე იყო, ხომ თქვი — ვიწექიო!

— ვიწექი...

ბოთე წამით გაყუჩდა.

ნეტა, ესეც იქ, იმ ცირკის ხიდზე ხომ არ ყოფილა, ხომ არ დავუნახივარო — იფიქრა.

— თქვენ თვითონ სად იყავით? — მერე იქით შეუტია.

— მე?.. მე მართლა მთელი დღე შინიდან არ გავსულვ-არ.

— რას აკეთებდი?

— ვიწექი.

— ჩემზე ფიქრობდი?

— კი, შენზეც ვიფიქრე... მერე მეგობარი ქალები მესტუმრნენ, ნალექიანი ყავა მოიტანეს, ვიმკითხავეთ... ამიტომაც შემაგვიანდა.

— აბა, დაიგინე!

— სიმართლეს გეუბნები.

— კარგი... მოდი, ჩაწექი!

— მაცალე, სააბაზანოში მინდა... შეიძლება?

— იქითაა... შუქი აგინთო?

— ვიცი, სადაცაა ჩამრთველი.

— შედი, მაგრამ... მალე გამოდი.

— გამოვალ.

გამოვიდა.

ისევ ელექტროქურას წამოაჯდა.

ბოთემ ისევ წამოიწია.

წამოჯდა.

— მე გაგხადო თუ...

— ოჰ, მაცალე... მე თვითონ... შუქს ჩავაქრობ, კარგი?

— ჩააქრე.

ელიავას ბაზრობაზე შეძენილი ხელნაკეთი ელექტროქურის სპირალი, მართალია, წითელ-ყვითლად, მაგრამ ოთახს ისედაც მშვენივრად ანათებდა, ისედაც ყველაფერი ჩანდა.

გაიხადა.

გატიტვლდა, მხოლოდ შავი აზღუდი და თხელი-თხელი, შინდისფერი ბიკინილა დაიტოვა.

ბიკინის წინა მხარეს ამოქარგული პატარა ლელვის ფოთოლი ძლივსღა უფარავდა „აბრეშუმის ბუდეს", ხოლო მისი უკანა ზანარი თითქოს ტ...ს „შეეჭამა".

ლერწამივით ტანი ჰქონდა.

ბოთეს ჟრუანტელმა დაუარა, ისევ წამოჯდა, თვალი ველარ მოაცილა, ინანა, რომ აცუნდრუკდა, ცირკის ხიდზე გავიდა.

— ბიუსტჰალტერიც მოიშორე! — შეეხვეწა.

— ეგ არა...

— რატომ?

— ოჰ, რა ვიცი მე... პატარა ძუძუები მაქვს, მრცხვე-ნია.

— კარგი რა!.. მშვენიერი ძუძუები გაქვს; მოიშორე, გეხვეწები.

აზღუდიც შეიხსნა.

მოიშორა.

ძუძუებზე ხელი აიფარა.

ბოთემ უნებურად თვალი აარიდა. ძუძუები მართლა პატარა ჰქონდა, მაგრამ მერე ფართე-ფართე, ჩაყავი-სფრებულ თავთავებზე ასევე ჩაყავისფრებულ-ჩაყავი-სფრებული, მკვრივი, წინ გამოშვერილი კვირტები რომ დალანდა, ისევ მიაჩერდა, კინაღამ სუნთქვა შეეკრა.

წამოდგა.

ნელა მიუახლოვდა.

ჩაიხუტა.

საწოლისკენ წაიყვანა, ჩააწვინა.

ისევ ჩაეხუტა.

მერე ზურგიდან ბიკინისკენაც ჩააცურა თითები...

მოგვიანებით შუქი ჩაქრა.

ელექტროქურაც.

ტელევიზორიც.

ოთახში აცივდა.

ისევ ჩაეხუტა...

შემდეგ სიგარეტი აილო.

გააბოლეს.

(სისულელე).

— დილით ელიავაზე გამომყვები? — ბოთე საფერფ-ლეს გადასწვდა.

— რა თქმა უნდა... იქ რა გინდა? - კომპასი.

— კომპასი, რისთვის? — პუმპუმ გაიკვირვა.

— მჭირდება... მინდა, ვიცოდე, სად ვიმყოფები.

— ისე არ იცი?

— ვიცი, მე სადაც ვიმყოფები, სამყაროს ცენტრიც იქაა, მაგრამ მინდა, ვიცოდე აღმოსავლეთ-დასავლეთიც და ჩრდილოეთ-სამხრეთიც... მერე საწოლებს გადავა-ადგილებ, სარკესაც შესაბამისად ჩამოვკიდებ... ჩვეულ-ებრივი, პატარა მაგნიტური კომპასი მინდა.

— რა ღირს?

— ნუ გეშინია, ფული იმდენი მაქვს, ზედ კენგურუ ვერ გადაახტება! — ბოთემ თავზე ხელი გადაუსვა.

უნივერსიტეტში ყოველი მისაღები გამოცდების და-მთავრების შემდეგ ასე ამბობდა ხოლმე ერთი მისი ახლობელი პროფესორი (ხუმრობით, რა თქმა უნდა). ბოთესაც ბედი სწყალობდა, ფულის პრობლემა არასო-დეს ჰქონია, სადმე ტროტუარზე ხის ტოტისთვის ფოთოლი მოეწყვიტა, მის ხელში ფულად იქცეოდა.

— მართლა ამბობ? — პუმპუმ იდაყვებზე წამოიწია.

— მართლა.

— ბევრი, ბევრი გაქვს?

— გითხარი, კენგურუ ვერ გადაახტება-მეთქი!

წამით დუმილი ჩამოვარდა.

— შეიძლება, რაღაც გკითხო? — პუმპუმ შეანჯღ-რია.

— მკითხე...

— არ გაბრაზდები?

— არა.

— შეიძლება, ქალს ერთდროულად ორი კაცი უყვარ-დეს?

— ორი?

— კი, ორი...

— ერთდროულად?

— ჰო...

— კი, რატომაც არა!

— მაშინ მე შენ მიყვარხარ!

— აუჰ!

— მართლა, მართლა!

— კარგი... პირველი ვინაა? - რომელი?

— ის, ვინც გიყვარს.

— ქმარია ჩემი.

— ქმარი გყავს? — ბოთეს გაუკვირდა.

— კი, როგორ არა...

— მერე?

22917
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა მერე?

— მიგატოვა?

— არა.

— აბა?

— უბრალოდ, ის იქაა — მე აქ...

— სად იქ?

— იქ, თავისთან.

ბოთემ ამოიხვნეშა.

— როგორია? — უნებურად დაინტერესდა.

— კარგია, მაგრამ მუდამჟამ როგორც ავადმყოფს, ისე უნდა ელაპარაკო, ეფერო, ელოლიავო...

— რატომ?

— რატომ და საქმისთვის, პირადი უსაფრთხოებისთვისაც, უფალმა უწყოდა, როდის რა წამოუვლიდა, რას ჩაიდენდა, უსიტყვო ერთგულებასაც მოითხოვდა — მხოლოდ მისებურად უნდა გესვა, გეჭამა, ჩაგეცვა, გევლო... თუ დასჭირდებოდა, წაგართმევდა, მოიპარავდა კიდევაც და თვალსაც არ დაახამხამებდა, თანდაყოლილ სიბრიყვესა და მზაკვრულ გონიერებას ისე არაფერივით უთავსებდა ერთმანეთს, რომ პირი ღია დაგრჩებოდა.

— ახლა როგორია?

— ახლა თითქოს შეიცვალა... ახლა კარგია...

— თავიდანვე რატომ გაჰყევი?

— მიჭირდა... არ მეგონა, თუ ასეთი იყო.

— ატყუებდი?

— როგორ არა, ისიც მატყუებდა და მეც... ორივენი ერთმანეთს ვატყუებდით.

— სვამდა?

— კი, არაყი უყვარს.

— გცემდა?

— კი, როცა ბრაზდებოდა, დებილდებოდა ხოლმე.

— მერე შენ?

— რა, მე?

— შენ როგორ პასუხობდი.

— ვითმენდი, ვიცინოდი... უჰ-უჰჰ, რა კარგია, სწორედ იქ, იმ ალაგას მეფხანებოდა-მეთქი, ვეუბნებოდი. — პუმპუმ გადაიკისკისა. — გგონია, აღარ ვუყვარვარ? — შემდეგ ოდნავ უბიძგა, შეანჯღრია.

— არ ვიცი.

— აუუ, ვუყვარვარ... როგორ არ ვუყვარვარ, მაგრამ...

— რა, მაგრამ?

— ოჰ, რა ვიცი მე... ალბათ, მხოლოდ როგორც საკუთრება.

— გასაგებია... ქმრიანი თუ იყავი, რატომ აქამდე არ მითხარი?

— როდის მეთქვა, მანქანა რომ შეაჩერე, უნდა მეყვირა — „არიქა, არ მომეკარო, ქმარი მყავს-მეთქი?"

ერთხანს უხმოდ იწვნენ.

— მე ქმრიან ქალებს არ ვეკარები ხოლმე. — შემდეგ ბოთემ ჩაახველა, გადახედა.

— რატომ?

— არ შეიძლება და იმიტომ...

— არასდროს, არასდროს, არაფრისდიდებით?

— ჩვენი წესით ასეა, ქმრიანი ქალი თუ მაინცდამაინც შეგიყვარდა, ცოლად უნდა შეირთო, ისე ტყუილა სახელი არ უნდა გაუტეხო.

— სულ ეგაა?

— და კიდევ, ქალს თუ ქმრის ხელში, სულ ცოტა, ხუთ კაცთან უცხოვრია...

— ქმრის ხელში... სხვასთან?

— ჰო-მეთქი! — ბოთე შეიშმუშნა.

— უცხოვრია რას ნიშნავს — მიუცია?

— ალბათ...

— მე ბოზი ვარ?

— შენ ლამაზი ქალი ხარ.

— ინგლისურად?

— არა, ისედაც...

— თქვი!

— გეტყვი, თუ მანამდე ერთ კითხვაზე მიპასუხებ... ქმრის გარდა კიდევ სხვა ხუთი კაცისთვის „მიგიცია?"

პუმპუ წამსვე გაყუჩდა.

— მიპასუხე!

— ოჰ, რა ვიცი მე... კი, ალბათ...

— თუ მეტისთვის?

— მეტისთვის.

— ერთდროულად? — ბოთე ხუმრობის გუნებაზე დადგა.

— გაგიჟდი?

— ორისთვის?

— არც ორისთვის...

— სურვილი თუ გქონია?

— შენ რა, მართლა გაგიჟდი, ადამიანო?

წამით ისევ დუმილი ჩამოწვა.

— მითხარი, მე ბოზი ქალი ვარ? — პუმპუმ მსუბუქად უჩქმიტა, შეახსენა.

— კი, მაგრამ პატიოსანი.

— პატიოსანი რატომ?

— იმიტომ, რომ პატიოსნად აღიარე ყველაფერი.

— შენ რა იცი, რომ ყველაფერი.

— არა? — ბოთემ იდაყვებზე წამოიწია, თვალებში ჩახედა.

— სასაცილოა...

— რა არის სასაცილო?

— სასაცილოა, რომ ქალის პატიოსნება სექსით იზომება.

— შენ ეგრე გეგონოს!

— ოჰ, სულ არ მკიდია? — პუმპუმ მოულოდნელად მხარი იცვალა. — სხვათა შორის, გენაცვალე, მე ჩემს ქმარს ქალიშვილი ჩავბარდი.

— მაგრად გიყოჩაღია... შენ მართლა დადია ხარ თუ... კვატია?

— ოჰ, რა ვიცი მე... ბებია მყავდა დადია.

— თუ „პოვარი?"

— პოვარი რა შუაშია... იცი, რას გეტყვი? — პუმპუს ხმა შეეცვალა. — მე რა ვუთხარი იმ ყაძახს, რომელსაც ცხოვრებაში ქალის ფუჩუს ყარაულობაზე უფრო მნიშვნელოვანი საქმე ვერ გამოუნახავს.

— გეთანხმები... ანდა, ვაი იმ ქალს, რომელსაც საკუთარი აბრეშუმის ბუდისთვის ველარ მოუვლია, ხომ?

— ეგ ვინ თქვა?

— მე რა ვიცი!

— ოო, რა მაგარი ხარ! — პუმპუმ უცებ გადაიკისკისა. — ამალამ შენთან დამაწვინე, კარგი? — შემდეგ მოულოდნელად მოლბა, შეეხვეწა.

— ერთად არ ვწევართ?

— კი, მაგრამ... სხვადასხვა საწოლებზე...

— მე ასე ვარ მიჩვეული... ვინმესთან ჩახუტებულ-ჩახვეულად და ხელიხელ, ფეხი-ფეხგადაჭდობილად ძილი არ მიყვარს.

— მე „ვინმე" ვარ?

— არა, მაგრამ...

— გეხვეწები, რა!

— ნუ ეშმაკობ!

— ოო, მცივა-მეთქი... მარტოკა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოთეს დილით, თითქოს შეკრთაო, ისე გამოეღვიძა, (რაღაცნაირად იგრძნო, რომ გვერდითა საწოლი ცარიელი იყო).

წამოიწია, მიიხედ-მოიხედა.

პუმპუ არ ჩანდა.

წინა დიდი ოთახიდან ობმოდებული, სველი, ახალი გარეცხილი იატაკის სუნი გამოდიოდა.

წამოდგა.

შეიხედა.

დიდ ოთახში, მაგიდაზე სკამები თავდაყირა ეწყო, ორივე სავარძელიც თავდაყირა იდო დივანზე. პუპუს საიდანღაც მისი ძველი შარვალ-ხალათი დაეთრია, ჩაეცვა და მუხლებამდე შარვალაკაპიწებული იატაკს რეცხავდა, წაკუზულიყო, სველ ჩვარს ორივე ხელებით ჩაფრენოდა, უკანალით პირდაპირ ჭერს აჰყურებდა.

— გაგიჟდი, ქალო? — ბოთე პირდაღებული მიაჩერდა (უნებურად კედელზე მიყუდებულ იატაკის საწმენდ ჯოხსაც შეავლო თვალი), — ეს რა გიქნია?

— უიი, გაგაღვიძე? — პუმპუმ დამნაშავესავით ამოჰლიმა. — მე კი, რაც შეიძლება, ფრთხილად... უხმაუროდ და ფეხის ცერებზე... მაგრამ...

— გოგოუ, საწმენდი ჯოხით მაინც „გეზამა," არა გცივა?

— ოჰ, არა... ასე მირჩევნია...

ბოთემ უმწეოდ აიწურა მხარი.

მერე ხელები გაშალა:

***"ზღვისფერი გაქვს თვალები და***
***თავად ჰგავხარ ზღვას..."***

პუმპუმ ჩვარი მაშინვე გადააგდო, ისევ ამოჰლიმა.

წამოდგა, თვალებაცimციმებულმა გააგრძელა:

***"თუ არ შეგიყვარდები და..."***

— ყოჩაღ... საიდან?

— როგორ საიდან? — სახეზე ჩრდილმა გადაურბინა. — გინდა, ბოლომდე გითხრა?

— მიდი!

კი, თავიდან-ბოლომდე სცოდნოდა.

— ვისია?

— რაო? — გაიკვირვა.

— ავტორი?

— გვარ-სახელი გნებავთ თუ მამისახელი?

— გვარი...

— მარტო სახელი ველარ იკმარებდა? — ჩაიცინა.

— ვნახოთ...

— კონსტანტინეო რომ გითხრათ?

ბოთე ოდნავ შემცბარი დადუმდა.

— გვარი? — მერე მაინც ეჭვი შეეპარასავით.

— მე მგონი, გასაგებია, რომ გამსახურდია და არა... ჭავჭავაძე...

— კი, ბატონო...

— ჩვენში იმათ, ვინც მართლა უყვართ, მხოლოდ სახელით... აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი...

— რას მელაპარაკებით? — ბოთემ „გაიოცა," — ეგ უწინ, ახლა?

— რა, ახლა?

— ახლა ვის დაასახელებდით?

— ჩვენთან?

— ვთქვათ... არა, საერთოდ...

— საერთოდ და სხვაგან ყველგან მხოლოდ გვარებით და არა სახელებით, ხომ?

— გასაგებია... ვის დაასახელებდი?

— ოჰ, რა ვიცი მე... დიკენსი?

— კარგია... ჩვენთან?

— ახლა, ამწუთას?

— დღეს, ახლა...

— ვითომ არ იცი?

— მიპასუხე.

— მუხრანი... არ მკითხო ახლა, რა გვარიაო...

— არა, მაგრამ... იცი რომელიმე მისი ლექსი?

— მუხრანასაი? — პუმპუმ რატომღაც იმერულად მოუქცია. — ***„რომ არ ამელო ხელში წიგნი, თოხი მჭეროდა..."*** ამ ლექსის ავტორზე მეკითხები?

— მოდი, გაკოცო! — ბოთემ ხელები გაშალა, საკოცნელად წაიწია.

— მოიცა, მოიცა, ჯერ მანდ იყავი... მიდი, ისევ ჩაწექი... — პუმპუმ შეაჩერა. — მაცალე, ის ერთი ოთახიღა დამრჩა დაულაგებელი...

— ქალო, შეეშვი-მეთქი, არ გაცივდე! — ბოთემ ამოიხვნეშა, მერე შეტრიალდა, ისევ ჩათბუნდა. — ამ სიცივეში და ასე დილაუთენია, თანაც ფეხშიშველა... შენ რა, მართლა გაგიჟდი?

— დილაუთენიაო? — პუმპუმ გადაიკისკისა. — უკვე თერთმეტი დაიწყო...

— კაი, კაცო!

— დედაა, რას ჰგავდა აქაურობა, რამდენი მტვერი, რამდენი ჭუჭყი... ოთხი დიდი პარკი ნაგავი ჩავიტანე... ასი წელია, არავის გაუწმენდია, ხომ?

— ცოტა მეტიც... — ბოთემ ჩაახველა. — კარგი ახლა, მთლად ნუ კი გადაჰყვები... ამოვიყვან მერე ვინმეს, გავაწმედინებ...

— რაო, რაო, რა თქვით, ვის ამოვიყვანო? — პუმპუ ჯოხს კოპებშეკრული ჩამოეყუდა. — აბა, ერთი გაიმეორეთ!

— ვინმე დამლაგებელს-მეთქი!

— კი, კაცო, როგორ არა, დაგილაგებდა! — ისევ გადაიკისკისა.

— შენ ერთი ის მითხარი... ის სავარძლები შენ ასწიე, შენ შეაწყე დივანზე?

— აბა?

— კი, მაგრამ როგორ... მე ძლივსღა ვძრავ ადგილიდან...

— დიდუ-დიდუუ, ჩემი ცოდვა! — ლოყა „ჩამოიკანწრა".

ბედნიერი იყო.

— მე ახლა, ამას რომ მოვრჩები, საბნისა და ბალიშისპირები, ზეწრები უნდა გამოვცვალო, გავრეცხო... გაქვს გამოსაცვლელი თეთრეული, ხომ?

— კი, როგორ არა...

— სამზარეულოში ელექტროქურა ჩავრთე, ქვაბით წყალი დავადგი... ხომ შეიძლებოდა?

— უჰ-უჰჰ, ეს რა გიქნია!

— სარეცხი ფხვნილი დამჭირდება.

— კი, ბატონო, ამოვიტან, მაგრამ... არ გეზარება?

— მეზარებაო?.. სახლი ისე მომენატრა, რომ მთელი კვირა შემიძლია, ასე შეუსვენებლივ ვიტრიალო.

— შენ მართლა მაგარი გოგონა ყოფილხარ, ჩემო კარგო... მაგარი...

— მართლა ამბობ? — პუმპუმ შემოხედა, გამომცდელად მოაჩერდა. — მართლა, მართლა თუ საერთოდ?

— საერთოდაც...

— საერთოდ, საერთოდ?

— კი, საერთოდ, ყველაფერში... გადააგდე ეგ ჯოხი, მოდი, ჩამეხუტე...

საწმენდმა ჯოხმა წამსვე იატაკზე მოადინა ბრაგვანი.

შარვალ-ხალათი გზადაგზა მოიშორა.

შემოახტა, კინაღამ დაშალა საწოლი.

(შემდგომ ბოთემ ვერა და ვერა, იმის იქით, იქით და კიდევ იმის იქითა დღეებში, პუმპუ ადელინა მუფიზალოვასა და მისი კუკუსდროინდელი დივანისთვის ვერ გაიმეტა).

შუქი რომ ჩაქრა (უკვე მერამდენე წელი იყო, ხან მეცხრე „ენერგობლოკი" ფეთქდებოდა, ხანაც — „მეთერთმეტე"), ოთახში მაშინვე საგრძნობლად აცივდა; თითქმის მთელი დღე ლოგინში გაატარეს.

ბოლოს და ბოლოს, მოშივდათ.

არც სადილი.

არც ყავა.

არც ტელევიზორი.

(აღარც სიგარეტი).

ვთქვათ და, ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც ყველაფერი დენზეა ჩართული (როგორც ამბობენ), მთელი სახმელეთო და საზღვაო, საჰაერო დაცვის სამსახურები, თანამგზავრული კავშირები, კომპიუტერული სისტემები, ბანკები, აეროპორტები, მობილური ტელეფონები და ასე შემდეგ და ასე შემდეგ, დენი თუნდაც სულ რამდენიმე წუთითაც გამორთულიყო, მტრისას, რაც მოხდებოდა, ხომ მოიშლებოდა, დაინგრეოდა იქაურობა, მაგრამ აქ, საბურთალოზე — არაფერი...

არაფერი ინგრეოდა.

არც არაფერი იშლებოდა.

(ეს რა აშენა იმ სულძაღლმა ამისთანა?).

დღე მზე ანათებდა.

ღამე — მთვარე (ზეცა მეტწილად მოწმენდილი კი იყო).

შუქი — „კარტოფილის" სანთელზე.

საუზმე — ნავთქურაზე.

სადილი,

ვახშამი — ისევ იქა.

ყავა და ჩაიც — იქა...

უშუქობით დაიღალნენ.

მოითენთნენ.

შემდეგ ბოთეს ჯვარი მოაგონდა.

მცხეთა.

მისი შემოგარენი.

გახალისებული წამოხტა ლოგინიდან.

ეზოში ჩაირბინა.

მანქანა დაქოქა.

— რას შვრები? — პუმპუმაც მაშინვე გამოხედა.

— მცხეთაში მივდივართ!

— იქ რა გვინდა?

— ქოთნის ლობიო ვჭამოთ...

— აუუ, ლობიო არ მინდა!

— წამო, შე გოიმო, სხვა დანარჩენიც იმაში შედის...

მცხეთისკენ მაშინვე გაექანენ, მაგრამ მანამდე წამით მანქანა მაღაზიის გაყოლებაზე, თურქების ჯიხურთან შეაჩერეს.

— თოფიკ ეფენდი, როგორ ბრძანდებით! — ბოთე ჯიხურის მეპატრონეს შინაურულად მიესალმა. — სალამ ალეიქუმ!

— ასალამ a ალეიქუმ, ეფენდი! — ჯიხურთან აყუდებული, უშუქობით გასავათებული თოფიკა ოდნავ უხალისოდ მიესალმა, მაგრამ მერე აქეთ, პუმპუსაც რომ მოჰკრა თვალი, ოდნავ გამოცოცხლდა.

— სიგარეტი გვინდოდა...

— კი, ბატონო... რომელი?

— მე თვითონ ავიღებ! — პუმპუ მანქანიდან გადახტა.

თოფიკამ ახლა პუმპუს შარვალშემოჭიმულ, გაკვეტებულ უკანალსაც შეავლო თვალი.

— თოფიკ, ხომ კარგი გოგონაა? — ბოთემ ცალყბად ჩაიცინა.

— არა უშავს. — თოფიკამ თვალები განზე წაიღო.

— არა უშავსო? — ბოთეს ღიმილი ჩაუქრა.

არ ესიამოვნა.

გზა გააგრძელეს.

— ვინ იყო? — პუმპუმ კოლოფი გახსნა, სიგარეტი ამოიღო, გამოხედა.

— ვინ ვინ იყო?

— იქ, ჯიხურთან...

— იმ ჯიხურის მეპატრონე.

— ქალი?

— რომელი?

— ის ორასკილოიანი, ფაშფაშა ქალი, ჯიხურში რომ იდგა... სიგარეტი რომელმაც გადმომაწოდა.

— ცოლია მისი, ზეინაბი... ზეი ხანუმი...

— მერე სად ჰქონდა თვალი, იმ მათხოვარს როგორ გაჰყვა?

— როგორ მისთხოვდა თოფიკას? — ბოთეს გაუკვირდა.

თოფიკ ესვენჯი, ურფო სწორად — თეოფილე ესვანჯია, წარმოშობით უბიხი (ბოთემ მეზობლების გადმოცემით იცოდა), ბედუკუღმართობის გამო გათურქებული კაცი, ზეი ხანუმზე ბევრად ტანადი, უფრო წარმოსადეგი გარეგნობის ყაძახი გახლდათ.

— ჰო, როგორ მისთხოვდა!..

— თოფიკა შეაცდენდა... ალბათ, ზეი ხანუმი პატარა იყო, როცა გათხოვდა. — ბოთეს თავშეუკავებელი სიცილი აუტყდა. — რას ერჩი თოფიკას... არა უშავსო, რომ თქვა, გაიგონე?

— მე არაფერი გამიგია. — პუმპუს ხმა შეეცვალა, შეტრიალდა.

მცხეთის სალობიეს მიადგნენ.

ლობიო — უცხოური წარმოშობის მარცვლეული (ძროხა არ ჭამს).

ლობიო — ქართული კულინარიის მიერ გაკეთილშობილებული კერძი.

ლობიო — ქინძით.

ლობიო — ნიგვზით.

ლობიო — ნიგვზითა და ხახვით, ბროწეულით...

ლობიო — ქოთნით.

მცხეთაში.

სხვაგან არსად მსოფლიოში.

კეცის მჭადი (ვითომ).

ხინკალი.

მწვადი.

დოქით ღვინო.

ჭამეს, დანაყრდნენ.

გაძღნენ.

ბოთემ მაინც კიდევ რაღაცის შეკვეთა დააპირა.

— ოჰ, მე უკვე მეტი აღარ შემიძლია. — პუმპუმ მუცელზე ჩამოისვა ხელი, დაღლილად ამოიხვნეშა.

— აღარც მე... არა, ველარა... — ბოთემაც ამოიხვნეშა.

სისულელე კურნავს.

ცნობილია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ვაჟა ხორნაული



●

თუ გიყვარს,
ფრთები რაღად გინდა —
სიყვარული
ფრთებია თვითონ,
მონატრების ცეცხლწაკიდებული,
ზეცაერისგან უკვდავების
წყარონაპკურები...

## შეიძლება, საერთოდ, დაკარგო ნაპირები

გულის შორეულ კუნჭულებში
ბედნიერების წყაროების დასაღონებლად
თითქოს საკმარისი არაა
გზები და ბილიკები
ასფალტით დაფარული,
ამ უფერულ გზებსა და ბილიკებზე
ხან ერთმანეთს და ხანაც დროს
ნევროზიანი მოზვრებივით
მისდევენ მანქანები
და მათი მილებიდან
გამოსხლეტილი კვამლის ფრინველები
დახტიან, ფართხალებენ,
საბურავების ქვეშ ემსხვრევათ ფრთები
და მათი ნაცრისფერი ბუმბულით
მძიმდება და იმღვრევა ჰაერი.

ფიქრს შემორჩენილი
ძველისძველი სიმღერების დასაღონებლად
თითქოს ესეც არაა საკმარისი —
ამ უფერულ გზებსა და ბილიკებზე,
განსაკუთრებით, ღამის საათებში,
ხან ერთმანეთს და ხანაც დროს
მისდევენ წითელი ყინულის ნამსხვრევები,
რომელთა შორისაც ოსტატურად,
წლების განმავლობაში შეძენილი
და დახვეწილი მოძრაობებით
მიკვლევ გზას მეორე ნაპირისკენ,
სადაც ერთმანეთის ნაღვლიან სიჩუმეში
ჩავლილი სიხარულის
გაქვავებულ ყვავილებს ხედავენ
ხეები და ადამიანები.

წითელი ყინულის ნამსხვრევები
და კვამლის ფრინველები
მით უფრო მრავლადაა,
რაც უფრო ღრმად შედიხარ
ქალაქის შუაგულში,
განსაკუთრებით – პროსპექტებზე
და უხეში,
თითქოს შუშის ხელებით მოქსოვილი
და რკინის ძაფის არშიამოვლებული
ხალიჩებივით დაფენილ მოედნებზე.

გზაჯვარედინებზე...
გზაჯვარედინებზე ყველა და ყველაფერი
ერთნაირად შემკრთალი და საცოდავია:
კვამლის ფრინველებიც,
წითელი ყინულის ნამსხვრევებიც
და შენც,
რომელსაც უკვე ვეღარ გშველის
წლების განმავლობაში შეძენილი
დახვეწილი, ოსტატური მოძრაობები.
დიდი ქალაქის გზაჯვარედინებზე
ერთი დიდი ჩრდილი –
თვალით უხილავი,
მძიმე და მტვრიანი,
მავთულების აბლაბუდით
სივრცის ნაოჭებს ჩამოკიდებული,
ახურავს ყველასა და ყველაფერს!

კითხვის ნიშანივით მოხრილი
მგზავრის დუმილიდან
სევდა შემოგხედავს იმგვარი,
რომ ეჭვი, ნაცნობი,
სხვა სიმაღლიდან გადმოგხედავს
უფრო მშვიდად, უფრო მკაცრად,
უფრო თამამად
და ფოლადის ნემსივით გაგიელვებს
გულსა და გონებაში
და კიდევ ერთ, გაუსაძლის
ჭრილობას შეგატოვებს...

ერთი ნაპირიდან მეორეზე
გაღწევა კი არა –
შეიძლება, საერთოდ, დაკარგო ნაპირები
და ცასთან მისასვლელი ერთადერთი,
ღმერთისგან ნაჩვენები ბილიკი,
როდესაც ასფალტის მძიმე ფარდას ჩამოაფარებ
დედამიწის თვალებსა და ვარსკვლავებს შორის!

●

ტოტებში სივრცე და მზის პარპალი
და ქვის აღმართი ნაწრიაპალი.

შირიმი-ხავსის ტიაროსანი,
წყალში კენჭების კრიალოსანი.

ბრწყინვა რკალების და დღის თაღების,
ბაღის ბრიალა ბაირაღები.

ტყის მდუმარება და ხმა იელის
და სხივოსანი დასალიერი...

ჩქერთა ბრკიალი. ლოცვა ხეთანი
და გული – უფლის ხელში მფეთქავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

ბებერ ხიდზე –
ბავშვი ყვავილებით.

და მწვანე მინდორი –
შავად დაბზარული
ზეხმელის ჩრდილით.

და ბილიკი –
ქვის თეთრი მარცვლებით,
სივრცეში გალობა
და გულზე გადავლა
უფლის სუნთქვასავით
თბილი ნიავისა...

●

"მიყვარხარ" – ლექსი იწყება ასე,
ფიქრის გალობით თქმული შენდამი.
შენკენ მომავალ იისფერ გზაზე
სიტყვა შველივით მოდის, ღმერთმანი.

"მიყვარხარ" – ასე იწყება ლექსი,
უფლის სითბოში შენთვის მფეთქავი.
თუ საჭიროა, სიცოცხლეს დღესვე
შენ შემოგწირავს გული, ღმერთმანი.

## და მონატრებით გვახარებს

ბარათი... შენი ბარათი –
ფრინველი შუქის ფრთიანი.
სტრიქონებს შორის მოჩანან
ბავშვობის მზე და იანი.
გულის სივრცეში გაისმა
იმ გაზაფხულის შრიალი,

როცა პირველად გიხილე
აისის ღიმილიანი...

ისევ შორი-შორ გვატარებს
და მონატრებით გვახარებს
წუთისოფელი ტიალი!

## წვიმა და პიანისტი

პიანისტი კონცერტის დაწყებამდე
კლავიატურის თეთრად მოელვარე
ჰანგების მარადიულ კუნძულზე
(შავი ბილიკებით რომ უკავშირდება
დანარჩენ სამყაროს)
თითებს მსუბუქად წაავარჯიშებს
და რომელიღაც მელოდიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა ნაწყვეტები,
ჰაეროვანი პაუზების თეთრ ძაფზე ასხმულნი,
უფრო ულამაზებს შემსრულებელს
წუთს მოლოდინისას,
რომლის მზერაც დარბაზისკენ
არის მიპყრობილი...
მერე კი, ფარდა რომ გაიხსნება
და ავანსცენის ნაპირებთან
ნისლივით შეცურდება კედლებში
და ნელი ტაში რომ ჩაიშრიალებს,
პიანისტი რბილად მოქანავე
და სხივოსანი ბილიკებით
აგიყვანს სივრცეში...

ასეა წვიმაც –
ჯერ აქა-იქ თითო წვეთს ჩამოაგდებს,
მერე წვეთების კუნწულებს მოაყოლებს,
ბოლოს კი თანდათან
(და ზოგჯერ ერთბაშადაც)
ლურჯად და თეთრად მოშრიალე
ნათებაში გაახვევს ქვეყანას...

თითქოს რომელიღაც ბრძენი მასწავლებლის
ჭკვიანი შეგირდები არიან
წვიმა და პიანისტი.

●

პოეტის სიტყვა
უნდა ჰგავდეს
კენწეროზე
ანთებულ ყვავილს,
რომლითაც ხე
ზეცას უფრო უახლოვდება.

●

გულის სიღრმეში ათასი
თუ არა გტკივა იარა,
ვერ მოიხილავ სივრცეებს,
სადაც გზებია კრიალა...

წინაპრის დანატოვარი
განძი დაგრჩება ტიალად,
გულის სიღრმეში ათასი
თუ არა გტკივა იარა!

●

შენი სიცილი მაგონებს
ცეცხლის და წყაროს სიცილსა.

მოხვალ... მოგყვება სურნელი
მზისა და დედამიწისა.

გიხდება ფერი ყანისა
და თაფლიანი ფიჭისა.

დღესასწაულო ცხადისა,
თავდავიწყებავ სიზმრისა!

●

ბედნიერებაა,
როდესაც გაღვიძებს
ზეცის სიჩუმე და
ვარსკვლავთა ჟრიამული,
გახედავ სივრცეს –
ღვთაებრივ მასპინძელს
და შემოგესმება
გულის სუნთქვა,
მსუბუქი, ნიავური,
და შენც მოგინდება ამაღლება
ჰაერ-ჰაერ
და ღრუბელ-ღრუბელ
და ცის გამჭვირვალე
ტალღებზე სიარული.

●

სიჩუმე ზეციერისა.
დღის სევდა. ღამის ვედრება.

ბილიკი დაღონებისა
ცხადის გაღაღმა გრძელდება.

ტკივილი – გაუმხელელი.
ქცეული ცრემლის წვეთებად.

საკირის ცეცხლი რა არის
იმ ცეცხლთან, მე რომ მედება!

## რა გვტკივა...
## რა გვიხარია

მწვანე აღმართი ვიარე,
შუქს ამოვყევი ცისკრისას.

შენს სავანეში შემომყვა
ნამი მწვერვალთა ნისლისა.

რა გვტკივა... რა გვიხარია, -
ადვილ არც ახლა ითქმისა.

რა გამოულევს სატანჯველს
გულებს, ანთებულს ღვთისთვისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შალვა ფორჩხიძე



## ჩემო ქვეყანავ, შენ მაპატიე

ჩემო ქვეყანავ, შენ მაპატიე,
გულგაპობილი გტოვებ, ძვირფასო,
ვხედავ, განგრევენ და ის მატირებს,
შენი მშვენება არავის ახსოვს...

შენ საკადრისად ვერ მოგიარეთ,
ვერ შევიფერეთ თავისუფლება!
ველარ ვიშუშებ მწარე იარებს,
ამდენი ოხვრით წახდა გუნება...

ჩემო ქვეყანავ, შენ მაპატიე,
რომ შენთვის თავი ვერ მოვიკალი!
ცოდვასა და ცოფს მიწა ვერ იტევს,
სიკეთის მცირეც არა ჩანს კვალი.

საზარელი ხმით კივის ზარნაშო
და ანგელოზი ტირის თვალსველი,
უსინდისობამ მადლი დააშრო,
პატივს აღარ სცემს ქართველს ქართველი...

ვერ დაგიმშვენე ცხოვრება ძნელი
და ვეფერები ბავშვებს და ჩიტებს.
დაიწვა გული... რაც ვერ შევძელი,
ჩემო ქვეყანავ, შენ მაპატიე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ახალგაზრდობა

I
ახალგაზრდობას მოაქვს ყოველთვის:
მოულოდნელი ფორმა და ფერი,
ახალი სიტყვა – სულის პორტრეტი,
ათოვლებული სიზმრების ტევრი!..

სიახლე მუდამ სულის მადლია,
ცით გადმოსული ღვთის სასწაული, -
რომ არ გწყალობდეთ ბედი, ბრალია,
თვალშეუდგამი სიბრძნე წარსულის!

თქვენი სიფხიზლით და მონდომებით
ეგებ აენთოს ცა მეწამული,
მიწა აყვავდეს ვარდის კონებით,
ღვთის სიყვარულით – გული მამულის!

II
არ მოგაშორებთ თვალს ანგელოსი,
ვიდრე ხალხს სუფთად ემსახურებით,
რომ სასურველი გვედგეს ტაროსი,
არ გვიჩრდილავდნენ მზეს ღამურები.

თქვენა ხართ ჩვენი მხსნელი მესია,
დროა, მაზვილი რომ მოიხელთოთ,
წინაპართ სიბრძნით რაც უთესია,
თქვენ უნდა მომკოთ და მოირთველოთ!

რომ არ ჩრდილავდნენ მზეს ღამურები,
რომ სასურველი გვედგას ტაროსი,
ვიდრე ხალხს სუფთად ემსახურებით,
არ მოგაშორებთ თვალს ანგელოსი!

III
მზე რომ ამოდის და იფოთლება
ტანდაცვარული ვაზის რტო მზეში,
ვგრძნობ უნეტარეს სულთა მოფენას
და მეჩვენება – ვარ სამოთხეში.

და მავიწყდება ჭრილობა მწვავე,
მახსოვს, ბევრი რამ გადააფასეს.
ბევრი უხამსი წერილი დაწვეს –
ყალბი აზრებით და შხამით სავსე.

კიდევ ბევრ რამეს გადააფასებს,
მწამს, გონიერი შთამომავლობა...
მწამს, ანგელოსი მადლით აგავსებთ,
არ დაგელევათ უფლის წყალობა!

## თქვით მახვილითა...

რა ბედენაა ურვა და ჯავრი?
უსისხლოდ ომი არ მოიგება!
აიღეთ ხმალი და გვიხსნის ჯვარი, -
უფალი გვერდით ამოგვიდგება...

სამშობლოსათვის გაიღეთ მსხვერპლი,
თავის გაწირვას ითხოვს არესი!
გამოიჩინეთ უნარი მეტი
და სიყვარული უმხურვალესი.

თუ მახვილითა არ დავიბრუნეთ
მიტაცებული ჩვენი მიწები,
სულსა მოიცავს ღრუბელი მრუმე
და სამარცხვინოდ გავიწირებით!

ყურს ნუ ათხოვებთ ცბიერთა ბუზღუნს,
დავიცვათ ჩვენი ჭალა და ბორცვი.
დაგვლოცავს ხატი და დედის ძუძუ,
ცხონდება ჩვენი სული და ხორცი!

დაშოშმინდება ცხოვრება ძნელი,
დაიწმინდება უთუოდ წყალი,
პატიოსნების დარჩება ძეგლი,
წმინდა გიორგის გვიშველის ხმალი!

იყავით სანდო და მუდამ ქველი,
გაიღეთ მსხვერპლი და გვიხსნის ჯვარი!
თქვით მახვილითა სათქმელი თქვენი,
რა ბედენაა ურვა და ჯავრი!

## ატირდა თეთრი ანგელოზი...

*"აქ ლბილ მდელოზე სანუგეშოდ*
*ვინამე ცრემლით"*

*ტატო*

თუმც მწარე იყო შენი ხვედრი, წუთისოფელი,
გულს გიხერავდა ციდან უხმოდ ვარსკვლავთა ცვენა,
არ დაგრჩენია ბუნების ზნე შეუცნობელი,
უასაკოთაც, უსულოთაც გესმოდა ენა.

შენს თვალსაწიერს იქით არვის გადაუხედავს,
იდუმალ ფიქრით შემოსწერე სამყარო ვრცელი,
სულს გიშხამავდა უსასოოდ მსოფლიო სევდა
და ,,ლბილ მდელოზე სანუგეშოდ ინამე ცრემლით..."

შვებას ეძებდი ცხოვრებისგან გულდასეტყვილი,
ვერ მოიშორე დაკუპრული შავი ნაღველი,
მოგაკლდა ბედი, სიყმაწვილის ლტოლვა კეთილი,
ატირდა თეთრი ანგელოზი, შენი მფარველი...

საით გაფრინდი, რა ვარამი გადგა სახეზე,
არ მინახავხარ,
გული მწყდება,
შენს ხილვას ვნატრობ,
უწმინდეს გულით სანთელს გინთებ ქრისტეს სახელზე,
სიზმარში მაინც მეჩვენე, ტატო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წარწერა მირზა გელოვანის წიგნზე

შენ ვერ გაგიგო ადრე ვერავინ,
რა სევდა გწვავდა ან რა ქარბუქი,
შენ გქონდა გული გაუქელავი
და მეოცნებე გერქვა ჭაბუკი!

შენ დადიოდი, როგორც სიზმარი,
შენ არაფერში სხვას არ მოჰგავდი,
იყავ ამაყი და მოღიმარი,
ხან მშვიდდებოდი, ხანაც ბორგავდი...

ცეცხლი გეკიდა პოეზიისა,
იწვოდი, განა კვამლად ბოლავდი?
და შენს თვალებში თითქოს ლურჯი ცა,
იძირებოდა, როგორც ზომალდი...

გესიზმრებოდა ვაჟას იები,
გალაკტიონის მთაწმინდის მთვარე
და ცივ სანგარში თოვლის ფთილებით,
ფაქიზად ქსოვდი სისხლიან პწკარებს.

ნეტავ, იმ ღამეს, ოდეს დაეცი,
ო, განშორების თუ იგრძენ სევდა?!
პოეზიისთვის ჯვარს ვეღარ ეცვი
და თიანეთში ვერ ნახე დედა...

დარჩა ეს წიგნი, - ცოცხალი ძეგლი,
შენი ოცნებით და ცეცხლით სავსე,
თუმც განიცადე ცხოვრება ძნელი,
შარავანდედი გადგია თავზე!..



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მიხეილ ანთაძე

## მწერლობის აპოლოგია

### ნაწილი I
### "სამი მუშკეტერი"



თავი 1.

*ალექსანდრე,*
*ანუ*
*მწერლობა ადამიანური ურთიერთობის საშუალებაა*

მწერლობა მეგობრობის ჯადოსნური საშუალებაა.

ჩემი საუკეთესო მეგობარი-მწერალი ალექსანდრე დიუმაა.

თუ ცხოვრება გადაგღლის - "სამი მუშკეტერის" კითხვა წამალია. დაგასვენებს, განგმუხტავს, ამოგასუნთქებს. კოინდარივითაა.

იცით, რა არის კოინდარი?

ბალახია ერთგვარი, დეკორატიული. ეზო-მიდამოს სამშვენისად იხმარება, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოშია გავრცელებული. სამეგრელოში, გურიაში, იმერეთში სახლ-კარის წინ მწვანე ხალიჩასავით გეგებება. მეცნიერულ ენაზე ლოლიუმ პერენე (Lolium perene) ჰქვია და, ბოტანიკოსს რომ ჰკითხო, უბრალოდ მრავალწლოვანი საკვები მცენარეა მარცვლოვანთა ოჯახისა, მაგრამ, ვგონებ, ამაზე მეტი რამ არის კოინდარი — მცენარეზეც და ეზოს დეკორაციაზეც. დაღლილი კაცი რომ მოხვალ შინ, საკუთარ შემოღობილს რომ მოაღწევ და ქანცგაცლილი, ანთუ, სასომიხდილი განირთხმები, აი სწორედ ის დალოცვილი კოინდარი სულ ერთი სანტიმეტრით, ნახევარი ციდით, მაგრამ მაინც... მაინც დაგიჭერს, მიწას არ დაგაკარებს, შენს ძირს დაშვებას დაცემად არ გადააქცევს, აი, ეს არის მეგობრობა.

"სამი მუშკეტერიც" ასეთი რამაა.

ალექსანდრე დიუმაც ასეთი მეგობარია.

ბავშვი რომ ვიყავი, პირველად მაშინ წავიკითხე ეს საოცარი წიგნი. ათი-თორმეტი წლის ბიჭი რომ არ გაგადარტანიანოს, გამორიცხულია.

მერე დრო გადის და კიდევ კითხულობ. კიდევ და კიდევ... სხვისი არ ვიცი და მე ბარე ათჯერ მაქვს თავიდან ბოლომდე გადაბულბულებული თავისი ოცი და ოცდაათი წლის შემდეგ გაგრძელებებიანად.

ჩემი ბიოგრაფიის კონკრეტული ფაქტები აქ არაფერ შუაშია, მაგრამ დაახლოებით და განზოგადებით ასე იყო: ვთქვათ, ფილოსოფიით გატაცებამ, ჰუსერლის ფენომენოლოგიის ან რაიმე ამგვარი "იზმების" გაგების შეუძლებელმა მცდელობამ თავი გაგისივა ანდა სიყვარულის ხანგრძლივი ისტორია ტრაგიკულად დასრულდა – დაშორდით, გაიყარეთ, სულები დაიჩეხეთ... ანდა წარმატებისთვის ომში ბრძოლა წააგე და დროებით ხელი ჩაიქნიე – მაინც არაფერი რომ არ გამოგდის ამ ეტაპზე ანდა სულაც გადაგტვირთა კორტასარის, ჰესეს, ფოლკნერის და სხვა დიდ მეგობართა ბრწყინვალე წიგნების კითხვამ, მხრები დაგიმძიმა მათი ნიჭის და სიბრძნის წონამ... ყველა ამ შემთხვევაში და კიდევ მრავალდამრავალ სხვაშიც – "სამი მუშკეტერი" მეგობარია, რომელთანაც მიხვალ და ტვირთს მოგხსნის, გაგამხიარულებს, გაგელაყბება, შენიდან გამოგიყვანს და თავისთან შეგიყვანს, გაგიღიმებს, ჭიქას მოგიჭახუნებს და, სანამ სტუმრობ, ყველაფერს დაგავიწყებს, რათა... რა ვიცი, რათა... ეგრე კია და...

ჩემს მეგობარ ალექსანდრე დიუმას გაუმარჯოს!

თავი 2.

*ზაზა,*
*ანუ*
*მწერლობა ცხოვრების სახეცვლილებას ახდენს*

ჩემი თანაკლასელი ზაზა ებრალიძე ალექსანდრე დიუმას "სამმა მუშკეტერმა" კი არ გაადარტანიანა, გაათოსა. რაინდობა და კეთილშობილება ჩაეჭედა სულში ათი წლის ბიჭს. კაიოჯახიშვილი იყო, კარგადაც სწავლობდა, ბევრს კითხულობდა. მისი მიამიტი სული ალავსო გრაფ დე ლა ფერმა – იდუმალმა, ამაყმა, ზედმიწევნით ზრდილმა, მაგრამ იმავ დროს დაუნდობელმა მებრძოლმა: უშიშარმა, ჩხუბსა და ომში აუღელვებელმა. ხომ გახსოვთ: სენ-ჟერვეს ბასტიონზე ჭურვებისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყვიების ზუზუნში წარბშეუხრელად სცლიდა ღვინით სავსე ჭიქას, ანდა ინგლისელებთან დუელის ამბავი ავიღოთ: ლორდ ვინტერის სეკუნდანტი ათოსის ვინაობით დაინტერესდა, ჩააჯინდა. მუშკეტერმა ჯერ წინააღმდეგობა გაუწია, მერე კი მაინც მოუხდა თავისი გასაიდუმლოებული გვარის გამხელა, ჰოდა: “მხოლოდ ერთხელ ჩაჰკრა, მაგრამ, როგორც თვითონ დაემუქრა, სასიკვდილოდ გაუგმირა გული”. ზაზაც ასეთ პრინციპულ დუელიანტად იქცა. ფიზიკურად ძლიერი იყო, დიდგულაც და ბიჭური ჩხუბის ოსტატი გახდა. ვთქვათ, მოვდივართ სკოლიდან შინ, საბურთალოს ერთ-ერთ მიყრუებულ ქუჩაზე, უცებ ზაზა ჩერდება, ვილაც უცნობ - ეტყობა სხვა უბნელ - ყმაწვილს მიეჭრება და ეუბნება: შენ წელან ჩემკენ რალაც ისე იყურებოდი, რამე ხომ არ გინდა, ბიჭო! არაფერი, ძმაო, — პასუხობს შემკრთალი — ასე თუ ისე, ორნი ვართ ერთის წინააღმდეგ. თუ არაფერი, აბა, რას იყურები; მოკლედ, ახლა მე და შენ ერთი ერთზე ვიჩხუბებთ. აი, ასე იცავდა მუშტებით ჩემი ძმაკაცი რალაც მეჩვიდმეტე საუკუნის საფრანგეთიდან გამომსხლტარ ილუზორულ ლირსებას დიუმას გამოისობით. ვინ იყო ამის გამგები. უბრალოდ, ჩხუბისთავად ალიქვამდნენ. როგორია – თან ხუთოსანი მოსწავლე და თან ჩხუბისთავი. ასეთები ჩვენს დროში არ არიან. ასეთი მხოლოდ ათოსი თუ იქნებოდა ბავშვობაში, მაგრამ ის, მოგეხსენებათ, სულ სხვა, რომანტიკული ეპოქის შვილი იყო.

ლონე ჰქონდა – მტრისას. ერთხელ ყბაყურა მოიხადა და ნაავადმყოფარი მოვინახულე. ჯანზე როგორა ხარმეთქი. სიტყვით პასუხის მაგიერ ისეთი მგლიჯა მხარში, ტკივილისგან გონება დავკარგე. სხვა დროს კიდევ – მოვდივართ და უცებ ჭადარს უთავაზა მუშტი, ხელი გადაიხეთქა. რასა შვრები-მეთქი, გაოგნებულმა. ოხ, რატომ არ შემიძლია ეს ხე გავხვრიტო, მე ამის დედაო. იმას კი არ ჩიოდა, მეტკინაო.

მიხვდით, ალბათ: ვმეგობრობდით – ჩემს თავს არავის დააჩაგვრინებდა. სამაგიეროდ, თუ ვინმე გოგონა მოეწონ-შეუყვარდებოდა, მე ფასდაუდებელ დახმარებას ვუწევდი (ამას მაშინ “საქმის ჩაწყობა” ერქვა), რადგან, ჯანიანი პორთოსისგან თუ შორს ვიყავი, სატრფიალო ინტრიგებში არამისობა მეხერხებოდა.

●

მერე სკოლა დავამთავრეთ, უნივერსიტეტის სტუდენტები გავხდით – მე ფილოლოგიურზე ჩავაბარე, მან – ფიზიკის ფაკულტეტზე და, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე, ჩვენი გზები გაიყარა. მაინც გვიყვარდა ერთმანეთი, როგორც თანაკლასელებს სჩვევიათ, თუმცა ერთხელ უსიამოვნებაც შეგვემთხვა.

მეორე თუ მესამე კურსზე ვარ. ლექციების მერე თანაჯგუფელი გოგონას დაბადების დღეზე ვაპირებთ წასვლას და უნივერსიტეტის ბალში ვიკრიბებით გაპარსულ-გაპრანჭული ახალგაზრდა პოეტები. მე პირადად თეთრი ქათქათა პერანგი მაცვია და იმდროინდელი (70-იანი წლების) მოდაზე გრძლად მოშვებული თმა საგულდაგულოდ მაქვს დავარცხნილ-დატკეპნილი. უცებ საშინელი მყრალი სუნი გვცემს. რაშია საქმე? თურმე ბალის გასანოყიერებლად ნაკელი მოუტანიათ და აგერ გორად დაუყრიათ ქართული მეცნიერების მამამთავართა ბიუსტებთან. დავილრჩოთ ლამის.

გავერიდეთ იქაურობას, მეორე კორპუსთან გადავინაცვლეთ და ახლა იქ ველოდებით დაგვიანებულებს. უცებ ვხედავ, ჩემი ბავშვობის მეგობარი და თანაკლასელი ზაზა ებრალიძე მიახლოვდება გალიმებული. კაი ხნის უნახავნი ვართ, გადავეხვიე, გადავკოცნე, მოვიკითხე. რალაც უცნაურად კი ეცინებოდა, მაგრამ ვერაფერს მივხვდი. ორიოდ წუთში ჩამომცილდა და თავისი მეგობრების ჯგუფს შეუერთდა იქვე, ხალხმრავალ სტუდენტურ ტროტუარზე. ბიჭოს, ვგრძნობ, რომ ნეხვის ის გულისამრევი სუნი, წელან რომ გაგვაქცია, ახლა აქაც მოძალებულა. რა არის, რა უბედურებაა, თითქოს მე ამდის ეს მყაყე არომატი. შემთხვევით თმაზე ხელს ვისვამ და... აგერ მართლაც მე არ მაყრია თავზე ფხვიერი ნამცეცები. მყის მზერით მოვძებნე დამნაშავე და მივეჭერი. იკრიჭება თავისი ხუმრობით კმაყოფილი. ალშფოთებისგან ძლივს ვახერხებ, ვუთხრა, რომ კაცი, რომელიც განავალში ხელს ჩაყოფს, თვითონ უფრო და მეტად ისვრება, ვიდრე ის, ვისაც თავზე უმიზეზოდ დააყრის. გეხუმრეო და, ქაქში ჩაძრომა რა ხუმრობაა-მეთქი, შევუტიე, სრულწლოვნების და სტუდენტობის სტატუსმა დამავიწყა, ვისთან მქონდა საქმე. სიტყვა არ დამემთავრებინა, ისეთი წიხლი მივილე წვივში, თვალწინ დამიდგა მონაფეობისას ზაზას მიერ ცემით გალახულ-გასიებულთა მთელი პლეადა. ტკივილისგან ჩაკეცილმა თვალი გავაყოლე გაგულისებით ზურგშექცეულს და გავიფიქრე, ათოსი ამგვარ ხუმრობას არ იკადრებდა-მეთქი.

●

მართალი გითხრათ, ამ ინციდენტს ჩვენს ურთიერთობაზე არანაირი გავლენა არ მოუხდენია და, როგორც ყოველი ახალგაზრდული თავქარიანობა, მყისიერად ორმხრივ დავიწყებას მიეცა. ძველებურად გვიხაროდა ერთმანეთის ნახვა თანაკლასელებს. საქმე სხვა იყო: დუელიანტებისთვის ნაკლებად კეთილშობილ დროში ვცხოვრობდით და ბავშვობიდან დიდ ცხოვრებაში გამოსული ათოსი ამას არაერთხელ შეეჯახა. პირველად, თითქოს სრულიად სიმბოლურად, სწორედაც რომ ნიშნეულ მომენტში – სკოლის დამთავრების, ანუ “ბოლო ზარის” დღეს.

ზაზა ებრალიძეს სკოლის ზღურბლიდან ერთი ნაბიჯის გადმოდგმაც არ დასცალდა – პირდაპირ შეეფეთა თანადროულ უსულგულობას.

აი, რა გადაგვხვდა იმ დღეს, როცა საშუალო განათლების მიღება დავასრულეთ.

●

მთელ კლასს ერთმანეთის ავტოგრაფებით აჭრელებული თეთრი პერანგები გვეცვა. ცხოვრების ბოლო გაკვეთილის შემდეგ ყველანი ბოტანიკურ ბალში წავედით, ვხარობდით, ჟრიამული გაგვქონდა. ერთ მომენტში ზაზას რატომლაც ცხვირიდან სისხლი წასკდა და, სანამ სადმე პირის ჩამოსარეცხი წყალი ვიპოვნეთ, მე და ის ამხანაგებს ჩამოვრჩით, კომკავშირის ხეივანზე ალმოვჩნდით რესტორნის მახლობლად. ორი მთვრალი კაცი გადაგველობა, იქნებოდნენ მამისტოლები – ორმოციორმოცდახუთი წლისანი. შარი მოგვდეს და შეურაცხმყოფელი რამეები გვითხრეს: რასა გავხართ, რაები გაწერიათო, რაო, “დაწერილები” ხართო?.. მე წყნარად ავუხსენი, დღეს სკოლა დავამთავრეთ და ასეთი ტრადიციაა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



მეთქი. ზაზას არაფერი უთქვამს, რადგან ცხვირიდან კიდევ მოუჟონავდა სისხლი და, ეტყობა, ხახაში გადასდიოდა, რის გამოც ერთი ის დააშავა, რომ გვერდზე გაანერწყვა. წამსვე, რას იფურთხები, შე უზრდელოო და, პროფესიონალი ჩოგბურთელი რომ ჩამოაწოდებს, ისეთი მოქნეული მოხვდა ყბაში, ნოკაუტში ჩავარდა და დაეცა, სისხლი მაშინ უნდა გენახათ. მე წიოკობა ავტეხე, რას გვერჩით, ბიძიებო, რატომ გვცემთ-მეთქი? ჩემი ყვირილისგან ცოტა გონს მოვიდნენ ის ვირიშვილები და თავი დაგვანებეს. მძიმე ტვინის შერყევის გამო ზაზა ებრალიძემ სკოლის გამოსაშვები გამოცდები ველარ ჩააბარა და ატესტატი, როგორც გამონაკლისს, უგამოცდოდ მისცეს.

ერთი დეტალიც მისი ხასიათისა: ამ დამანგრეველი დარტყმის შემდეგ გონს რომ მოვიდა, ტირილი დაიწყო – ეს როგორაო, ჩემს ცხოვრებაში მუშტით ჯერ არავის დავუგდივარო, ეგ როგორ მომივიდა, კაცმა, ძეხორციელმა როგორ დამცაო.

არა, არ იყო და არც არის ჩვენი ეპოქა საათოს-სამუშკეტეროა.

●

როგორც ზემოთ უკვე მოგახსენეთ, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ჩვენი გზები სრულიად გაიყარა, იშვიათად ვხვდებოდით ერთმანეთს, ისიც შემთხვევით – ქუჩაში. სპეციალისტები გავხდით, პროფესიები შევიძინეთ, სამსახურში დავდექით, დავოჯახდით, დავწვრილშვილდით. მთელი თხუთმეტი წელი ისე გავიდა, კომკავშირის ხეივანში დარტყმული მუშტის ექომ ან, სხვანაირად რომ ვთქვათ, ათოსობისა და თანამედროვეობის კონფლიქტის გამოძახილმა, ერთხელღა მოაღწია ჩემამდე: ქალაქში ხმა გავარდა, ზაზა ებრალიძე სუფრაზე ატეხილ ჩხუბში მძიმედ დაჭრესო. რა და როგორ მოხდა, არ მახსოვს ან, უკეთ, მაშინაც არ შემიტყვია და ამ ამბის შესახებ მხოლოდ ჩემი მეგობრის ბავშვობისდროინდელი ხასიათის ცოდნა თუ შემიქმნიდა სავარაუდო წარმოდგენას.

მერე კიდევ გავიდა წლები და საბჭოეთის მზემ სისხლისფრად იწყო ჩასვენება საქართველოს დასალიერზე.

*ლირიკული გადახვევა*

*როგორ არ გავხდი დეპუტატი*

9 აპრილის შემდეგ, 1990 წლის გაზაფხულზე არჩევნები უნდა ჩატარებულიყო. სახალხო ფრონტი აქტიურობდა. ყველგან კრებები და ყრილობები იმართებოდა და ერთ-ერთ მათგანზე კინოსტუდია "ქართულ ფილმში" რაღაც ვთქვი რაღაც საკითხზე, რასაც ახლა ჩემი მონათხრობისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ჩემმა კოლეგა კინორეჟისორმა თემურ კვანტალიანმაც იგივე გაიმეორა, რაც მე. შესაძლოა, პირიქით იყო – მე გავიმეორე მისი ნათქვამი. სულ ერთია. ორივე, ეტყობა, შეგვნიშნეს და საარჩევნო შტაბში მიგვიწვიეს, პატრიოტი ბიჭები ყოფილხართო და სადეპუტატო სიებში შეგიტანეთო. ეს მოწვევები მეც და თემურმაც ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ტელეფონის საშუალებით მივიღეთ, თუმცა, როგორც გაირკვა, ერთსა და იმავე დროს დავებარებინეთ. შტაბი ვერაზე, ყაზბეგის ქუჩაზე იყო. შიგ შესულებს მაგარი რია-რია დაგვხვდა, მილეთის ხალხი ერთ ვიწრო დერეფანში ირეოდა. გამოვცხადდით ვახტანგ ხმალაძესთან, ბლანკებისა და სხვადასხვა საბუთების ვეება შეკვრები მოგვცა და გვკითხა, საქართველოს რომელ რაიონში გყავთ ნათესავები და ახლობლები, საარჩევნო კამპანიის ჩატარება რომ შეგეძლოთო. მე თბილისელი ვარ და ამ ქალაქს გარეთ არავინ მყავს ეგეთი-მეთქი. თბილისი სულ დაკავებულიაო, იმის თქმაღა მოასწრო ხმალაძემ, ამ დროს დაუძახეს და ირგვლივ მორიალე სადეპუტატე ბრბოში ისე სწრაფად გაუჩინარდა, ერთი წუთით დალაპარაკებაც კი ვერ მოასწრო. ისე მოგვექცნენ, გეგონებოდა, მთელი ცხოვრება საარჩევნო პერიპეტიებში გვქონდა გატარებული პირადად ჩვენც და საბჭოთა საქართველოს მთელ მოსახლეობასაც. მე ეს სულ სხვანაირად მქონდა წარმოდგენილი შტაბისკენ მიმავალს, პატივმოყვარეობაგაღვივებულს, აქაო და ეროვნულმა მოძრაობამ თავისთან მიხმო-მეთქი, მეგონა, ვინმე წყნარად და დაწვრილებით ამიხსნიდა, რა და როგორ უნდა მომხდარიყო. თემურს რომ გავხედე, ისიც ასეთსავე, ჩემნაირ საგონებელში ჩავარდნილიყო. ვდგავართ ორი ბედოვლათი დასტა-დასტა ქაღალდებით ხელში და აზრზე არა ვართ, რა უნდა ვქნათ. ჩვენს შორის დაახლოებით ასეთი დიალოგი გაიმართა:

- რა ნათესავებიო, რის ნათესავებიო, ერთი გარე ბიძა მყავს ჩოხატაურში, - დაბნეული ვამბობ.

- ჩემები კი ბლომად არიან სენაკში, – მეხმიანება თემურ კვანტალიანი, მაგრამ ვატყობ, საარჩევნო კამპანიაში მოყვრების იმედი არც მას არა აქვს.

- რა ვქნათ?

- ვინმეს, საქმეში ჩახედულს რჩევა უნდა ვკითხოთ, - მპასუხობს თემური და სახე უნათდება, - მე ზვიად გამსახურდიასთან ვახლობლობ. წავალ და ის დამაყენებს სწორ გზაზე... – და მიდის ზემოთ, ალბათ, კოლხური კოშკის მიმართულებით. მე დაბლა ვეშვები, მელიქიშვილის გამზირისკენ, გამომცემლობა "მერანში" ჩემი მეგობარი მწერალი ნუგზარ შატაიძე მეგულება და, ვნახოთ, რას იტყვის-მეთქი, ვფიქრობ... ვფიქრობ... ვფიქრობ... მივყვები რუსთაველის გამზირს... გამომცემლობა "მერნის" წინ ურნა რომ დგას, იქ ვჩერდები, ბლანკებია თუ რაღაცა ოხრობა, შიგ ვაგდებ. "მერანში" შესული კი, ნუგზარს არათუ რჩევას ვეკითხები, საერთოდაც არაფერს ვუამბობ მომხდარის შესახებ.

თემურ კვანტალიანი "მრგვალი მაგიდის" ხელისუფლებაში მოსვლის მერე საქართველოს ტელევიზიის შეფი გახდა. ანტიზვიადური ამბოხი სწორედ იქ ატყდა. შემდეგ გამსახურდიასთან ერთად გროზნოში მოუხდა გახიზვნა. თუ არ ვცდები, დღემდე ემიგრაციაშია.

რაც შემეხება მე, არც ამის შემდეგ მიცდია არჩევნებში მონაწილეობა, თუმცა იგინი არაერთნი ჩატარდნენ საქართველოში.

*ლირიკული გადახვევის დასასრული*

●

სწორედ იმ ხანად, მე რომ არ გავდეპუტატდი, ზაზა ებრალიძე "გამხედრიონელდა". ვიცი რატომაც. იმავე მიზეზით, რის გამოც დ'არტანიანები, დ'ერბლეები, დუვალონები და დე ლა ფერები მუშკეტერდებოდნენ. ეს გახლავთ იარაღისა და ბრძოლის სიყვარულში შეზავე-

ბული იდეალი მეფის ერთგულებისა, სამშობლოს სიყვარულისა, ქვეყნის დროშის ქვეშ დგომისა.

მაგრამ ხომ გახსოვთ მეფის მუშკეტერებს და კარდინალის გვარდიელებს შორის გაჩაღებული შუღლი და მტრობა, ხშირ-ხშირი ბრძოლა და სისხლისღვრა. კარმელიტების მონასტერთან გამართული დუელისმაგვარი ინციდენტი აშკარად შეიცავდა სამოქალაქო ომის ნიშნებს.

"მხედრიონი" "თეთრ გიორგის" წაეკიდა. ესენი ჯაბას უჭერდნენ მხარს, ისინი – ზვიადს.

მეხივით გავარდა ქალაქში: ებრალიძემ და მანაგაძემ დახოცეს ერთმანეთიო. ასე ჰყვებოდნენ - "თეთრი გიორგის" შტაბ-ბინაში – ყოფილ კომკავშირის ცეკაში – ზაზა მიუვარდაო მანაგაძეს საქმის გასარჩევად, ატყდა სროლა, რომელსაც ვერც ერთი ვერ გადაურჩა. მათი ნეკროლოგები ერთი გაზეთის ერთ გვერდზე ერთმანეთს მიტყუპებული გამოქვეყნდა. იმას კი ამბობდნენ, ზაზას არ მოუკლავს არავინო თუ ვერავის მოკვლა ვერ მოასწროო; ოთახში შესულს პირდაპირ ესროლა მანაგაძემო, ამან, ეტყობა, უნებლიეთ ხელები გაიშვირა წინ, თითქოს პეშვით შეაჩერებდა ტყვიას, დაცხრილული ჰქონდა ხელისგულებიო...

შეეშალა ვითომ რამე ალექსანდრე დიუმას?

არა მგონია. აი, რას წერენ მისი შემოქმედების მკვლევარები – პროფესორი შკუნაევი და აკადემიკოსი ერმაკოვა-ბიტნერი:

"თავი რომ დავანებოთ ტრილოგიის მთავარი გმირის, დ'არტანიანის ორ ისტორიულ პროტოტიპს – შარლ დე ბააც-კასტელმორესა და პიერ დე მონტესკიუს, დანამდვილებით ცნობილია, რომ არსებობდნენ მუშკეტერები სახელად ათოსი, პორთოსი და არამისი. ოღონდ წყაროებში არ არსებობს მათი ერთმანეთთან არათუ მეგობრობის, უბრალო ნაცნობობის დადასტურებაც კი. პირიქით, პორთოსი სწორედ იმ წელს გახდა მუშკეტერი, როდესაც ათოსი გარდაიცვალა..." და ბოლოს: "რომანში აღწერილი მოვლენების დროს მუშკეტერი, სახელად ათოსი, უკვე ოცი წლის გარდაცვლილი გახლდათ – ერთ-ერთი მრავალ დუელთაგანი უკანასკნელი აღმოჩნდა მისთვის...".

ჰო, აქ დიუმას შეცდომას ვერ დავაბრალებთ, იცოდა, რასაც შვრებოდა... მკაცრი და სისხლიანი სინამდვილისგან რომანტიკულსა და წარმტაც სამეგობრო რასმე აკეთებდა... ჩვენთვის, და თუნდაც, პირადად ჩემთვის...

**თავი 3.**

***ანა,***
***ანუ***
***მწერლობა არასდროს არ ცდება,***
***თუმცა ზოგჯერ მწერლებს შეცდომები მოსდით***

თუ მაინცდამაინც მინდა, რომ ძმაკაცი შეცდომაში გამოვიჭირო, აგერ, ბატონო, ინებეთ: " — მოდით, თქვენო ყოვლადუწმინდესობავ, გაცვლა ვაწარმოოთ: კაცში კაცი მომეცით, სიცოცხლეში — სიცოცხლე". ეს ფრაზა: "სამი მუშკეტერის" XIV თავში აღწერილი მილედისა და კარდინალის საუბრიდანაა. ფლიდი ქალბატონი დ'არტანიანის მოკვლის ოფიციალურ ნებართვას ითხოვს რიშელიესგან, ჰერცოგ ბეკინგემისთვის ტერაქტის მოწყობის სამაგიეროდ.

" — საწერ-კალამი და ქაღალდი მომეცით! - სთხოვა კარდინალმა.

— ინებეთ, თქვენო უწმინდესობავ.

ცოტა ხანს მიჩუმდნენ მოსაუბრენი, რაც იმას ამტკიცებდა, რომ კარდინალი ცდილობდა, მოეფიქრებინა ის სიტყვები, რომლითაც უნდა გადმოეცა დაწერილის შინაარსი.

ათოსმა, რომელსაც კარდინალისა და მილედის საუბრიდან არც ერთი სიტყვა არ გამოჰპარვია, თავისი ორი მეგობარი ოთახის მეორე ბოლოში გაიყვანა..." ხომ გახსოვთ, ამ თავს "ღუმელის საკვამლე მილით სარგებლობა" ჰქვია და სწორედ ამ გზით მიაყურადეს მუშკეტერებმა მტრების ლაპარაკს.

ამას მოსდევს თავი XV - "ოჯახური სცენა". მარტო დარჩენილ მილედის ათოსი მიუვარდება და წერილს წაართმევს.

მუშკეტერმა ჩამოართვა ქაღალდი, დამბაჩა ქამარში გაიმაგრა, ლამპასთან მივიდა დასარწმუნებლად, რომ ნამდვილად ის ქაღალდი ჰქონდა ხელში და წაიკითხა:

"ჩემი ბრძანებითა და სამეფოს კეთილდღეობისათვის შეასრულა ამისმა წარმომდგენმა ეს საქმე. 5 აგვისტო. 1628 წ. რიშელიე".

მაშ ასე, ათოსი თავის გზას ეწია, ხოლო მილედი "...ხმის ამოუღებლად გაჰყვა ორ კაცს, რომლებიც კარებთან ელოდნენ... მთელი ღამის მგზავრობის შემდეგ დილის შვიდ საათზე პუანტის ციხე-სიმაგრეში იყო. რვა საათზე გემბანზე იდგა. ცხრა საათზე გემმა, რომელიც კარდინალის ბრძანების თანახმად, ბაიონისკენ უნდა წასულიყო, ღუზა აიხსნა და ინგლისისკენ აიღო მიმართულება".

დავაფიქსიროთ: ეს მოხდა 1628 წელს, დილის 9 საათზე და, რაც მთავარია, უკვე 6 აგვისტო იყო.

ამის შემდეგი ამბები, ცხადია, გახსოვთ: მრისხანე კარდინალის წინააღმდეგ შეთქმულმა მეგობრებმა ზაფხულის თაკარა სიცხეში სენ-ჟერვეს სიმაგრე აიღეს და საშვილიშვილოდ გაუთქვეს სახელი საკუთარ გმირობას. თან საიდუმლოდ პლანშე ინგლისს აფრინეს, ამბავი დაუბარეს: ჰერცოგ ბუკინგამს მოკვლას უპირებენო. თუმცა ამაოდ, მილედის მიერ ხუთ დღეში მოხიბლულმა ოფიცერმა ფელტონმა ლორდი სიცოცხლეს გამოასალმა. ისტორიისთვის ცნობილია ამ მკვლელობის თარიღი და "სამი მუშკეტერის" XXIX თავის სათაურიც ასეთია: "რა მოხდა პორტსმუტში 1628 წლის 23 აგვისტოს". ძნელი გამოსათვლელი არ არის, რომ ვერაგმა ქალმა რიშელიეს დავალება 18 დღეში აღასრულა და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რაც მთავარია, ეს აგვისტოში მოხდა.

ახლა კი, ნახეთ საოცრება:

**თავი XIX.**

"სწორედ იმ დღეს, როდესაც პლანშე პორტსმუტში ჩაჯდა გემში, რომლითაც საფრანგეთში ბრუნდებოდა, მისი ყოვლადუწმინდესობის მახარობელი ქალბატონი ინგლისის ნავსადგურში შევიდა...

ეს იყო ზამთრის ის იშვიათი დღე, რომელიც ინგლისელებს მოაგონებს ხოლმე, რომ ქვეყანაზე მზე არსებობს. ფერმკრთალი, მაგრამ კაშკაშა მზე ჰორიზონტს ეფარებოდა და ცეცხლის ზოლში ახვევდა ცისა და ზღვის უსაზღვრო სივრცეს".

შემდეგ კიდევ: ქალბატონი მილედი ინგლისში ჩასვლისთანავე დააკავეს. პატიმრობის დღეები, ყოველ შემთხვევაში მესამე დღე მაინც, ავტორის თქმით, "ზამთრის მშვენიერი დღე იყო. ინგლისის მზის გაყვითლებული სხივი, რომელიც ანათებს, მაგრამ არ ათბობს, სარკ-

ბიბლიოთეკა

მელიდან პატიმრის ოთახშიც შეჭრილიყო". მოკლედ... საფრანგეთში ზაფხულია, ინგლისში კი (და არა, მაგალითად, ახალ ზელანდიაში) გაგანია ზამთარი.

გაგონილა ასეთი გამოშტერება!

აზრზე მოდი, ძმაო!

მაგრამ ძმა აზრზე მოსვლას არ აპირებს და ზემოთ მოყვანილი პასაჟი მსოფლიოს ამ ყველაზე პოპულარული რომანის მრავალათასობით სხვადასხვაენოვან უკლებლივ ყველა გამოცემაშია.

რას იზამ. ცხოვრება ცხოვრებაა... ხოლო საუკეთესო მეგობარი საუკეთესო მეგობარია.

შეცდომა კი ვის არ მოსვლია.

## ნაწილი II.

## „დათა თუთაშხია"

### თავი 4.

### *ჭაბუა,*
### *ანუ*
### *მწერლობა მუდამ სიბრძნეა, თუმცა ზოგჯერ მწერლები ასეთ შთაბეჭდილებას არ ტოვებენ*

რომან "დათა თუთაშხიას" ავტორი ბატონი ჭაბუა ამირეჯიბი ჩემს, უფრო სწორად კი, მე მის... მეგობრად – ვერ... უკაცრავად და... მოკლედ, მეგობრებად ძნელად თუ მოვიაზრებით... ჯერ ერთი, თანამედროვეა, თან ორმოციოდე წლით უფროსი, მეორეც - ვიცნობ შორიდან და ამ გარემოებათა გამო ძნელია, ისევე იოლად, როგორც დიუმას შემთხვევაში, ძმაკაცად გამოვაცხადო... არ გამოდის რაღაც ასეთნაირად...

მის შესანიშნავ რომანს თხუთმეტი-თექვსმეტი წლისამ მოვკიდე ხელი, მაშინათვე, როგორც კი პირველად გამოქვეყნდა ჟურნალ "ცისკარში": გატაცებით წავიკითხე... ათიოდ წლის შემდგომ - კიდევ ერთხელ... მერე ერთხელაც... ჯერჯერობით სამჯერ წამაკითხა ამ წიგნმა თავი. ეს ბევრია და ამიტომ სამეგობრო საფუძველი ნამდვილად არსებობს.

წიგნის ავტორი პირველად სტუდენტობისას ვნახე რომელიღაც შემოქმედებით საღამოზე. მანამდე მხოლოდ ვიცოდი, რომ ეს თვალისმომჭრელი იერის მქონე კაცი ოცდახუთი წელი ციხეში იჯდა. გარეგნობის საპირისპიროდ მისმა საუბარმა კარგი შთაბეჭდილება ვერ შემიქმნა: ზედაპირული მეჩვენა. ეს შთაბეჭდილება ჩვენი მეგობრობის აქტივში ვერ ჩაითვლება, პირიქით, კაცზე თუ ასე ფიქრობ, არ გდომია მასთან ძმაკაცობა და ეგაა.

ვიმეორებ, მარტო სუბიექტური იმპრესია არ გახლდათ ეს, სხვებსაც ჰქონიათ ასეთივე შეხედულება. თუმცა აქვე მინდა დაბეჯითებით აღვნიშნო, რომ პიროვნების ამგვარი დანახვა ცრუ და ილუზორული მგონია, გამოწვეული კაცის მანერითა თუ ნიღბით. ეგ კი არა, პოპულარული ჭორიც რომ მუსირებდა, მაგისი არ არის "დათა თუთაშხია", მე ეს მუდამ ყოველთვის უსაფუძვლო და აბსურდულ ჩმახვად მიმაჩნდა. არათუ მჯერა, მწამს კიდეც ჭაბუას ავტორობა. ეს ჩემი რწმენა, ცხადია, ჩვენი მეგობრობის მხარდამჭერ არგუმენტებს უნდა მიეთვალოს.

ორით ერთი მეგობრობის სასარგებლოდ.

ოცი წლის ასაკში ჩემს პირველ რომანს, "პურის მარცვალს" რომ ვწერდი, ყველა პერსონაჟს გარეგნული თვალსაჩინოებისთვის ნაცნობთა შორის პორტრეტული პროტოტიპი შევურჩიე, რათა მეც ცხადად დამენახა ისინი და მკითხველისთვისაც უკეთ აღმეწერა. ჰოდა, ნაყაჩაღარ ექიმ იბრუხად - ჩემი წიგნის ერთ-ერთ ყველაზე კეთილშობილ გმირად - სწორედ ბატონი ჭაბუა ამირეჯიბი წარმოვიდგინე.

ესეც სამით ერთი.

მერე – ერთხელ სტატია დავწერე სათაურით "ალილო შუბი თუთაშხამან..." კეთილად განვიხილე დიდებული ნაწარმოები და ალმანახ "კრიტიკის" 1987 წლის №4-ში გამოვაქვეყნე.

ოთხით ერთი. დიდი ანგარიშით ვიგებთ.

### *ავტორის რიტორიკული აღელვება პირველი*

ნეტავ, რატომ დაწერა მწერალმა, რაც დაწერა? საიდან მოიტანა ეს ყოველივე? ისტორიული რომანი რომ იყოს, სხვაა, მაგრამ "დათა თუთაშხია" XX საუკუნის დასაწყისს "ვითომ" ასახავს, არსებითად კი სულერთია, როდის ხდება ეს ყველაფერი. ცუდ დროში ხდება, ეს ფაქტია, და რაც ჭაბუამ კარგად იცოდა - თავის დაბადებამდელი კი არა, თავსგადახდილი ეპოქა სტალინისა, გულაგისა, საბჭოთის სამყაროისა - უფრო ის უნდა გვეგულებოდეს ეზოპეს ენით ჩაშიფრული ამ წიგნში. დღეს უარესი ხდება საქართველოში – სულ წახდა ზნეობა. სეთურები, ყურუები, გლახა და უწესო კაცები თავს გავიდნენ, ძალაუფლება ხელისუფლებით გაიმაგრეს, ქვეყანა ჰეროინის სუპერმარკეტად გადააქციეს, ადამიანები მოიძულეს. მკვლელები, კიდნეპერები და ქურდები ცხოვრობენ მხოლოდ, სხვა დანარჩენები ძლივს არსებობენ. ამ დომხალში ვეღარც დათა თუთაშხია იარსებებს, ვეღარც მუშნი ზარანდია, გრაფი სეგედი ხომ, მითუმეტეს, ვის რაღად სჭირია. ჟანდარმერია (გინდაც ჩეკა, გინდაც კაგებე) – წესწყობილებას იცავდა, თუმცა უზნეოდ, მაგრამ გარკვეული პრინციპებისთვის: "მე ვდგავარ აქ, რადგან სხვაგვარად არ ძალმიძს". ზნეობის მცველ დათა თუთაშხიასაც ბევრი შეშლია ძიების გზაზე, მაგრამ პრინციპი - "ჯერ წესია საქმე და მერეა საქმე საქმე" არასოდეს დავიწყებია. როცა პოლიციელი თვითონ არის ბოროტმოქმედი, ექიმი - მკვლელი, მოძღვარი - მამათმავალი, ხელისუფალი კი ბანდის ნათლია, მაშინ რაღაა ჟანდარმი, მკურნალი, მასწავლებელი ან თუნდაც მეფე, რა უნდა აკეთოს ჩეკისტმა ზარანდიამ, ვით იმინისტროს გრაფმა სეგედმა ან როგორღა გამარგლავს ყანას კეთილშობილი ყაჩაღი თუთაშხია, თუკი ყანა აღარსადაა და მინდორზე მხოლოდ სარეველაღა ხარობს.

ქვეყანა?.. ქვესარეველა?..

### თავი 5.

### *ხალადი,*
### *ანუ*
### *მწერლობა დამაჯერებლობას მოითხოვს*

2001 წელს ერთი უცნაური ჟურნალი ჩამივარდა ხელთ. ეს იყო "თბილისელების" 42-ე ნომერი, 22-28 ოქტომბრის თარიღით გამოსული. უცნაური რადაო? აბა, სხვა რა სიტყვა უნდა იხმარო, როცა ამ ფრიად პატივცემული პერიოდული გამოცემის შიდა ყდაზე ასეთი რამ შემხვდა: რედაქციის მისამართია: 6. შსჩძჩ1ჩ, 041შრქფძჩ1 ჰ0ჯ 1ჰფ62ჩ... და ასე შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევ უფრო უცნაური ის იყო, რომ ნომრის 31-ე გვერდზე საკუთარ ფოტოსურათს წავაწყდი. რუბრიკით "სისხლიანი ნუსხა" გამოქვეყნებული გახლდათ პუბლიკაცია შემდეგი სათაურით: "მსოფლიოს ცამეტი ყველაზე უფრო საშიში ტერორისტი". ამ სიის მეთორმეტე ნომრად განთესილი ჩემი ათი წლის წინანდელი სურათი (წვერი ჯერ რომ არ შემვერცხლოდა, იმდროინდელი), დამშვენებული იყო არაბული თავსაბურითა და წარწერით: "ხალად შაიჰ მოჰამედი".



ერთი ორი დღე გახარებული დავიარებოდი და ნაცნობ-მეგობრებს ჩემ სახელოვან ორეულს ვუჩვენებდი. "ფუი ეშმაკსო" - ასეთი იყო საყოველთაო რეაქცია.

დედაჩემს სერიოზულად შეეშინდა, ვინმეს მართლა არ აერიო მაგ ტერორისტში, შვილოო.

ჩემში კი შემოქმედებითი ჭია აფუთფუთდა. წავედი ფოტოგრაფთან, გადავიღე საგანგებო სურათი და აი ასეთი ფურცელი შევქმენ:

ხალად შაიჰ მოჰამედი

საუდელი. მდიდარი ოჯახიდან. დაბადებული 1965 წლის 14 აპრილს. მიიღო ბრწყინვალე განათლება, არის თეოლოგიისა და ფილოსოფიის პროფესორი. მოღვაწეობდა პაკისტანში, ფილიპინებზე, ეგვიპტეში, აშშ-ში. ისლამური ტერორიზმის ერთ-ერთი იდეოლოგია. იძებნება 1995 წლიდან. ჯილდო მის შესახებ ინფორმაციისთვის ამერიკის სახელმწიფოს მიერ 5 მილიონი დოლარია.

მიხეილ ანთაძე

ქართველი. ინტელიგენტის ოჯახიდან. დაბადებული 1956 წელს 10 ივლისს. მიიღო ფილოლოგიური და კინოსარეჟისორო განათლება. დაწერილი აქვს 4 წიგნი, გადაღებული აქვს 15 ფილმი, დაარსებული აქვს 1 თეატრი. საქართველოს სახელმწიფოსთვის 5 მილიონი მისნაირის ფასი კაპიკია.

ჩემი შემოქმედების ეს უჩვეულო პროდუქტი ქსეროქსზე გავამრავლე და საჩუქრად ვურიგებდი ახლობლებსა თუ შორეულებს. მერმე ესეც არ ვიკმარე, ჟურნალისტებს ვუხმე და ამ ფაქტის ირგვლივ ინტერვიუები ჩამოვარიგე. 2002 წლის 11-17 მარტის "ქრონიკისა" და "კვირის პალიტრის" მე-10 ნომრებში ასეთი მყვირალა ფრაზები გაჩნდა: "თბილისშია ისლამური ტერორიზმის იდეოლოგი, 1995 წლიდან აშშ-ის მიერ ძებნილი, 5 მილიონ დოლარად შეფასებული ხალად შაიჰ მოჰამედი", "ბინ ლადენის თანამებრძოლი და ჩვენი თანამემამულე", "5 მილიონად შეფასებული ტერორისტი თბილისში უფასო თეატრს აარსებს" და მისთანები. საზოგადოების ფართო ფენებს მხიარულება დაეუფლა. იმ დღეებში მაღაზიაში რომ შევდიოდი, ბინ ლადენი მოვიდაო, ხითხითებდნენ მყიდველებიცა და გამყიდველებიც. ბევრს ვეცოდებოდი, იმ ალქაიდელის კაცთმოძულე გარჯა 5 მილიონად, ჩემი ჰუმანური ვაინაჩრობა კი 5 ცენტად რომ იყო შეფასებული. "წამო, ჩაგაბარებთ, იქნებ, რამე მოგვცენ, კაცო". "ფრთხილად იყავი, არავინ მოგიტაცოს, 5 ლიმონი კაი ფულია", "იქნება, თვითონ იმ მოჰამედამ გიქირაოს ორეულად". აი ასეთი ოხუნჯობა სეტყვასავით მაცვიოდა იმ დღეებში. მერე წვერი გავიპარსე და ამ სასეირო ამბით გამოწვეული აჟიოტაჟი მალიად ჩაცხრა. მაგრამ ჩემი შემოქმედებითი ჭია არ ისვენებდა, პროზის პარკში ეხვეოდა, სამოთხრობედ ჭუპრდებოდა. სწრაფადვე მივხვდი: მაგ მწერისგან პეპელა არ გამოვიდოდა და ხელთ მხოლოდ განუხორციელებელი სიუჟეტილა შემრჩა. აი, ისიც:

*ეპიკური გადახვევა*
*დაუწერელი მოთხრობის სიუჟეტი*

ერთი ჩემნაირი და შენნაირი საწყალი კაცი აღმოაჩენს, რომ ტყუპისცალივით ჰგავს 5 მილიონ დოლარად შეფასებულ ცნობილ ტერორისტს. გაჭირვებისა და ყოფითი უპერსპექტივობის გამო (მოქმედება XXI საუკუნის დასაწყისის საქართველოში ხდება) გადაწყვეტს, ეს გარემოება თავის სასარგებლოდ გამოიყენოს. იფიქრებს, იფიქრებს, იფიქრებს და აი, რას მოიფიქრებს:

დაიწყებს ქვეყნის აღმოსავლეთ საზღვართან მდებარე ერთ მთიან მიყრუებულ სოფელში გამოჩენას, იქაურებს დაენახვება, მაგრამ არავის გაეცნობა. ხმას არავის გასცემს, უბრალოდ, აივლ-ჩაივლის ხოლმე და ადგილობრივ მცხოვრებთ თავის სახეს დაამახსოვრებინებს. ერთი თვე გააგრძელებს ამ თამაშს. შემდეგ კი, გეგმის მიხედვით, საქმეში პარტნიორის ჩართვაა საჭირო. ჩვენი გმირი თავის ახლობელს – კაგებეშნიკს - დაუკავშირდება და განზრახვას გაანდობს.

სტოპ!

რაო? "ნაცნობ კაგებეშნიკსო?!.." აკი მითხარი, ჩემისთანა და შენისთანა საწყალიაო. სად გაგონილა მაგნაირის და იმნაირის ახლობლობა-პარტნიორობა. კი, ბატონო, ნურც სახელს და გვარს დაარქმევ ნაწარმოების გმირს, ნურც სოციალურ სტატუსსა და პროფესიას დაგვიზუსტებ, თუ ამას მოთხრობის დედააზრისთვის მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ, ეგ თუ პატიოსანი კაცია, კაგებეშნიკთან რა საქმე აქვს? ამის დაზუსტება აუცილებელია პროზის კანონის თანახმად.

კიდევ ერთი ლირიკული გადახვევა უნდა მოვიშველიო.

*ლირიკული გადახვევა*
*როგორ არ გავხდი კაგებეშნიკი*

წარმოიდგინეთ: 1974 წელია. ჩემზე ამაყი და თავისუფალი ახალგაზრდა ქვეყნად არ დადის, ვარ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის მე-2 კურსის სტუდენტი, ახლახანს ამირჩიეს სახელგანთქმული "ახალგაზრდა მწერალთა წრის" თავმჯდომარის მოადგილედ. მოკლედ, პირველი კაცი ვარ.

ზამთრის სესია იწყება. გამოცდა დიალექტიკურ მატერიალიზმში მაქვს. ჩვეულებისამებრ, პირველი გავდივარ, მინდა, დროზე მოვიშორო. პროფესორი ჟორა რუსია მეუბნება, გამოცდაზე დაშვებული არა ხარო. ვახ,

რატომ, კაცო, ყველა ჩათვლა მიღებული მაქვს. მე რა ვიციო, მიდი დეკანატში და გაარკვიეო. მივრბივარ და - ფაკულტეტის მდივანი დეიდა თამარა მეუბნება, შენო სპეცნაწილში ხარ დაბარებულიო, ჩადი პირველ სართულზე, რექტორის კაბინეტის პირდაპირ შავი ტყავის კარიაო.

სიტყვა "სპეცნაწილი" არაფერს მეუბნება. მითითებულ ოთახში შევდივარ, ის სქელი კეთილსახიანი მოხუცი მხვდება და მეუბნება, შენთან საქმე გვაქვსო, წადი ახლა გამოცდა ჩააბარეო და ერთ საათში აქ გაჩნდიო.

მივდივარ, ვაბარებ დიამატს, მაგრამ ამასობაში აზრზე მოვდივარ: უვნებელი სიტყვა "სპეცნაწილის" მიღმა მიწისძვრასავით გუგუნებს მრისხანე "კაგებე". ვიცი, რატომაც მიბარებენ - ჯერ კიდევ შარშან პირველი კურსის პირველსავე დღეებში გამაფრთხილეს გამოცდილმა ბიჭებმა - ვინაიდან ფილფაკზე ძირითადად გოგონები სწავლობენ, ბიჭები კი თითზე დასათვლელნი ვართ, ადრე თუ გვიან აუცილებლად იბარებენ ყველა მამრობითი სქესის სტუდენტს და თანამშრომლობას სთავაზობენ. ვინ თანხმდება და ვინ არა, მერე უკვე აღარავინ იცისო.

ესე იგი, ჩემი რიგიც დამდგარა.

ერთ საათში იქ გავჩნდი, როგორც მიბრძანეს (კაგებესთან ურჩობა არ იქნება). სპეცნაწილში ამჯერად სხვა პიროვნება მელის - შუახნის სიმპათიური, მკაცრი, მაგრამ თავაზიანი კაცი. სქელი მოხუცი აღარსადაა. გურამი ვარ, ლომსაძე (თუ ლომთაძე, ახლა ველარ ვიხსენებ) უშიშროების სახელმწიფო კომიტეტიდანო. ჩვენ შენს შესახებ ყველაფერი ვიცით, კარგი ბიჭი ხარ, ნიჭიერი, მოწინავე სტუდენტიო. ხომ იცი, რა მდგომარეობაა - ათასი პროვოკატორი დაძრწის, უნდათ, რომ სტუდენტობა ანტისაბჭოთა საქმიანობაში ჩაითრიონ და დაღუპონო. შენ რა აზრის ხარ ამაზეო?

- ეგ დიდი ბოროტებაა-მეთქი.

- ზვიად გამსახურდიას "სამიზდატები" თუ გაქვთ წაკითხული?

- არა, საიდან. ხელთ არ ჩამვარდნია, თორემ, რომ მომცემოდა საშუალება, გულახდილად გეუბნებით, წაკითხვით ნამდვილად წავიკითხავდი-მეთქი, - მეტი დამაჯერებლობისთვის ვუთხარი ასე, იმის ბრიყვი არ გახლდით, საკუთარ თავზე ჩვენება მიმეცა.

- თემურ ნუცუბიძეს, თემურ ქორიძეს და უშანგი გაბიტაშვილს თუ იცნობო?

ესენი ჩემი თანაფაკულტეტელი ამხანაგები იყვნენ, მივხვდი, მრავალთა შორის ამათზე დაუდგამთ თვალი-მეთქი. არ ვიცნობ, პირველად მესმის-თქო, ვერ ვიტყოდი – არ ჭამდნენ ამას. ისე რა, ძალიან ახლოს არა ვარ, ჩვეულებრივად, როგორც ყველასთან, ისეთივე ურთიერთობა მაქვს-მეთქი. მთლად მართალს არ ვამბობდი, ამ ბიჭებს მეგობრებად ვთვლიდი და ყოველდღე თუ არა, ორ დღეში ერთხელ მაინც ერთად ვქეიფობდით სტუდენტურ ლუდხანებში.

რას იტყვი მაგათზეო.

ანტისაბჭოთა და დისიდენტური არაფერი შემიმჩნევია-მეთქი.

კარგიო, მაშინ, რაც თქვი, დაწერე და ხელიც მოაწერეო. საერთოდ კიო, შენისთანა კარგი ბიჭების იმედზეა ქვეყანაო, უნდა ყურადღება მიაქციო, შენმა თანატოლებმა თავი რომ არ დაიღუპონო.

სახლის ტელეფონი გამომართვა და გამომიშვა.

მე თავი კაგებეს მიერ დაკითხვაზე გამოძახებულად და ჩვენებაჩამორთმეულად ჩავთვალე. იყო ამაში რაღაც გმირული და რომანტიკული.

მერე და მერე, როდესაც ბატონმა გურამმა კიდევ გამომიძახა, მერე ერთხელაც და კიდევ ერთხელაც – თანდათან გულმა ცუდი მიგრძნო. იგი ისევ იმ სამ ჩემ ამხანაგს უკირკიტებდა, როდის ნახე, რა თქვეს და სხვა. მე ვპასუხობდი, რომ ამ დღეებში მათ ხშირად არ შევხვედრივარ, რომ ისეთი არაფერი უთქვამთ, ერთი სიტყვით, ზედმეტს არაფერს ვროშავდი, მაგრამ, მიუხედავად ჩემი სიფრთხილისა, ანუ რომ არანაირ ინფორმაციას არ გავცემდი, კაგებეშნიკი-ვირიშვილი მაწერინებდა აი ამას, რომ არ მინახავს, რომ არ უთქვამთ და ნაწერი იგი ავტოგრაფით გვირგვინდებოდა. ვგუმანობდი, რომ დაკითხულ-დევნილზე მეტად ინფორმატორს მამსგავსებდა ის კაცი შემპარავად, მაგრამ მე, ბაგირზე მოსიარულე ჯამბაზივით, ზედმეტ მიმოხრას ვერიდებოდი. მეშინოდა და იმიტომ. იმხანად ყველას ეშინოდა მაგათი.

მეოთხე თუ მეხუთე დაბარებაზე ამხანაგმა ლომსაძემ, ეტყობა, ჩათვალა, კლიენტი კონდიციამდეა მიყვანილიო და წინა შეხვედრებიდან განსხვავებით შეკითხვები კი აღარ დამაყარა, არამედ მითხრა: მეო შენ შესახებ ჩემს უფროსებს ველაპარაკეო, ვუთხარი რა კაი ბიჭიც ხარო. ჩვენ შეგვიძლია უცხოეთში გაგიშვათ ხოლმეო, სხვა სიკეთეებიც გაგიკეთოთო, ოღონდაც ახლაო (ეს სრული ფორმალობააო), ხელწერილი უნდა ჩამოგართვა, რომ ჩვენგან საიდუმლოს თუ გაიგებ, არსად იტყვიო.

ასე მეყსეულად აღმოვჩნდი ხაფანგისა თუ ყულფის წინაშე. აქამდე ჩემმა მორჩილმა თვალთმაქცობამ კარგად შენიღბა შიში და სიძულვილი, ახლა კი უეცრად ისეთ წერტილზე დავდექი, ერთ წამში უნდა გადაწყვეტილიყო ყველაფერი.

- არა-მეთქი. არ დავწერ ეგეთ ხელწერილს, მე არანაირი საიდუმლო არ გამანდოთ, მე ეგ არ მინდა, არა, თქვენი ჭირიმე, თქვენ გენაცვალეთ-მეთქი. – ეტყობა, ამას ისეთი ატირებული სახით ვამბობდი, საბავშვო ბაღში ახალბედები რომ აჭინჭყლდებიან: აქ არ მინდა, დედა მინდაო. შეცბა კაცი, აქამდე სოლიდური საქციელის მქონე სტუდენტისგან ასეთ ისტერიულ რეაქციას არ ელოდა. უცებ დაინახა, რომ თურმე აქამდე თუ ვუღიმოდი და ვუჯერებდი, სულ ტყუილი იყო. კარგი, შვილოო, არ გინდა და ნუ გინდაო, და გამიშვა. ამის შემდეგ კაგებესთან აღარასოდეს აღარანაირი შეხება სიცოცხლეში აღარ მქონია.

მე აღარ, მაგრამ ჩემს თანაკურსელ ბიჭებსაც ხომ უკლებლივ ყველას შესთავაზეს იგივე, რაც მე. ვიცი, ზოგიერთი დათანხმდა, შეეტყოთ. ბევრმა მერე, წლები რომ გავიდა, ვეღარ (თუ აღარ) დამალა და ოფიციალურად მუშაობდნენ ფილოლოგები უშიშროებაში. ვიცნობდი ასეთებს, სტუდენტობისდროინდელი დოსტები იყვნენ და არიან. წარსულს სად წაუხვალ?!

### *ლირიკული გადახვევიდან ეპიკურში დაბრუნება*

მოკლედ, დაუწერელი მოთხრობის საწყალი გმირიც, ცნობილ ტერორისტს რომ ძლიერ წააგავს, ჩემი არ იყოს, იცნობდა კაგებეშნიკებს. ერთ-ერთი, ყველაზე შესაფერი ამოარჩია, შეეკრა, ავანტიურაში ჩართო. ფული ვიშოვოთ, მოდიო.

იმ პარტნიორმა აგენტმა უშიშროების სამინისტროს ჩააწვეთა ("პონტი შეაგდო" რა): ამა და ამ სოფელში ერთი საეჭვო სუბიექტი დაიარება, ძალიან ჰგავს ინტერპოლის მიერ ძებნილ 5 მილიონად შეფასებულ პიროვნებასო. ეს ჩვენი ძმა კი თამაშს განაგრძობს - აივლის იმ სოფლის მახლობლად, ჩაივლის. რაღა თქმა უნდა, მაძებრები

ეროვნული ბიბლიოთეკა

იოლად მიაგნებენ მის კვალს და დააპატიმრებენ. ეს კი ხმას არ გაიღებს, ენას გადაყლაპავს, არც ქართულ სიტყვას იტყვის, არც არაბულს... ჩამოიყვანენ თბილისში, ჩასვამენ საფუძვლიანად და მაშინღა გაამხელს - ტერორისტი კი არა ვარო, ქართველი მწერალიო (ჰო, თუმცა მოთხრობაში შეიძლება სხვა ხელობაც იყოს - ექიმი, მასწავლებელი, მეცნიერი, ხელოვანი... რა მნიშვნელობა აქვს, მთავარი ისაა, მისი ფასი კაპიკი იყოს). წინასწარ ჰყავს შეგულიანებულ-ჩასაფრებული ჟურნალისტები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მთავრობის ოპოზიციონერები. ატეხავენ სკანდალს, დაადანაშაულებენ დაზვერვას არაკომპეტენტურობასა და იდიოტიზმში. იჩივლებენ სასამართლოში პიროვნების ღირსების შელახვისა და უსაფუძვლო დაპატიმრებისთვის. სწორედ იმ 5 მილიონ დოლარს მოითხოვენ საკომპენსაციოდ, მისი შეპყრობისთვის რომ ელოდნენ ვიღაც-ვიღაცები. ის ვიღაც-ვიღაცები ქრთამს შესთავაზებენ, ოღონდ გაჩერდითო. ერთი სიტყვით, მილიონებს თუ ვერა, იმდენს მაინც გამორჩება ჩვენი საწყალი კაცი ამ საქმეს, ლუკმაპურისთვის რომ იმყოფინებს ერთხნობას.

ძალიან, ძალიან არადამაჯერებელი სიუჟეტია, არა? გეთანხმებით. ამიტომაც არასოდეს არ დავწერ ამ ნოველას. სხვაგვარად რომ დამთავრებულიყო, მაგალითად, მთავარი გმირი რომ მოეკლათ იმეებს, ეგებ რამე გამოსულიყო, მაგრამ არა, მაინც არა ღირს.

### *ავტორის რიტორიკული აღელვება მეორე*

ბინდისფერია სოფელი, უფრო და უფრო ბინდდება. მეცნიერები რაც მეტად ჩაძვრნენ ნივთიერებაში, მით მეტად გაუჩინარდა იგი და ცხადი გახდა, რომ წყალბადის ატომებმა თვითონ იციან, როგორ შექმნან ვარსკვლავები თუ გალაქტიკები. ნახშირბადის მჟავას, ობობას გენში რომ დევს, უმაღლესი გეომეტრია და ვირტუალური ინჟინერია ადამიანის ტვინზე უკეთ შეუთვისებია. როგორ? რაგვარად? არამატერიალური ცნობიერების მეცნიერულმა საცნაურყოფამ შეარიგა რელიგია და ფიზიკა. აღარავის წვავენ კოცონზე, არც არავინ ათეისტობს. თუკი ერთადერთი, რაც კი უშუალოდ გვეძლევა, საკუთარი სულის არსებობაა, მაშინ აღარც იმის წარმოდგენა უნდა გაგვიჭირდეს ადამიანებს, თუ როგორ გადმოეფინება ყოველივე ცოცხალს თუ არაცოცხალს სუბსტანცია, ჩვენ, ქრისტიანები სულიწმინდას რომ ვუწოდებთ. აღარც ის უნდა გაგვიკვირდეს, თუკი იგივე ძალა ადამიანს ხელთ კალამს აღებინებს და ბიბლიას დააწერინებს. ბუნების მშვენიერება, ზნეობა, სიკეთე, ხელოვნება, სიყვარული - ამავე საწყისისა და წარმოშობისაა. გვაკვირვებს, მაგრამ განა არ გვჯერა, რომ სულისშემაგუბებლად ლამაზია ზღვაში ჩამავალი მზე, რომ ბედნიერია დემეტრე თავდადებული, რომ საოცარია ტანჰეიზერის ჰარმონია, რომ გვიყვარს ადამიანებს დედები, მამები, შვილები, ცოლები, ქმრები და, საერთოდ, ერთმანეთი საკუთარ სულზე მეტად. მაშ, რაღად არ უნდა ვირწმუნოთ, რომ, ოდეს დრო დადგა, მხოლოდ იმ ერთხელ უბიწოდ მუცლადღებულ და იშვა უფალი, რათა ჩვენთვის აეხსნა, რა უნდა ვქნათ და როგორ. ან რით არ გვესმის, რომ ერთადერთი სწორი სცენარი აირჩია, როცა მოსწავლეების ჯგუფთან ერთად ყოველგვარი მსოფლიო რენომესა და ფიარის გარეშე, უხმაუროდ და ურეკლამოდ დაიარებოდა და ასწავლიდა. ღვთაებრივ ძალას მეტწილ მხოლოდ წმინდა სიკეთისთვის აჩენდა ხოლმე, ბრმებს თვალს უხელდა, დავრდომილებს ამრთელებდა, კეთროვნებს კურნავდა, ერთხელ მკვდარიც გააცოცხლა, თავისი საუკეთესო მეგობარი - მაგალითისთვის, თორემ საყოველთაო აღდგომა ისევე არ იდგა დღის წესრიგში მისთვის, როგორც ოჯახის შექმნა და თუნდაც ღვთით კურთხეული შეერთება ქალთან. არა, იგი ამისთვის არ მოსულა. სხვა მიზანი ჰქონდა. წყალი ღვინოდ აქცია, ზღვაზე გაიარა და ორიოდ ლუკმა ათიათასობით მშიერს აკმარა. ესეც ისე - ნიშნად, დასტურად და გაკვეთილად, მაგრამ განა გააჩუმა მთელი კაცობრიობა და უბრძანა ყური დამიგდეთ, დამიჯერეთო? განა არ შეეძლო, ეს ექნა? ან კი არ შეეძლო, წინ აღდგომოდა ღალატს და ჯვარცმას, დაესაჯა ან თუნდაც მხოლოდ შეეჩერებინა ჯალათები? არა ჰქმნა ესე, რადგან უბედურების წინაშე დადგა ადამიანისა და არა ღვთის სახით. მხოლოდ ასე დაანახა კაცობრიობას გზა მართალი და საკუთარ ხატად შექმნილი არსების თავისუფალ ნებას სწორი არჩევანის შანსი მისცა. სწორედ ასე და არა სხვაგვარად, რადგან, თუ ღმერთი კაცს ღვთისნიერებას, სიკეთეს და სიკარგეს აიძულებს, მაშინ ან მოძალადე ღმერთი რაღა ღმერთია, ან თავისუფლება წართმეული ადამიანი რაღა ადამიანია.

მე რწმენით ვცხოვრობ. არც ეკლესიურ წესს მივდევ, არც ცოდვები მაკლია, არც სამაგალითო ქრისტიანად ჩავითვლები, მაგრამ ვიცი, მთელი არსებით ვგრძნობ თუ როგორ ვუყვარვარ ზენაარს. მივყვები ტყეში, როგორც შვილი მამას მინდობილი და ვიცი, მეპატიება ცელქობა. თუ არ მეპატიება, სასჯელი მეტკინება, მაგრამ ამით არც მამის სიყვარული მოიკლებს და არც შვილისა. ბევრს ვფიქრობ ამის შესახებ, უფრო მეტს, ვიდრე ვლოცულობ. არ ვიცი, როგორ განიცდიან აბსოლუტს ინდუისტები, ბუდისტები, დაოსისტები, ვისთვისაც მაღალი ღმერთი რაობაა (ვინაობის გარეშე) მხოლოდ, ხოლო ნაირგვარი ღვთაებანი თუ წმინდანები ამ რაობის გამოვლინებანი. მე ისევე, როგორც ყველა ქრისტიანს, მუსულმანსა თუ იუდეველს, უზენაესი აბსოლუტური პიროვნების სახით მეძლევა, იმიტომ ვუწოდებთ მამას და იმიტომ გვიყვარს ამგვარად იგი. რა ვუყოთ, თუ მაჰმადიანებს იესო მხოლოდ ბოლოსწინა წინასწარმეტყველი ჰგონიათ, ებრაელებს კი ბრძენი მოძღვარი. მე ვიცი - ოცი საუკუნის წინათ, ზუსტად საჭირო დროსა და მომენტში ღმერთი პირველად მოვიდა ადამიანებთან ადამიანის სახით.

დემოკრატია ღვთაებრივი პრინციპების გააზრებით ნაქსოვი ჯაჭვის პერანგია, მაგრამ სწორედ ამიტომაც წყალს ვერ დაიჭერს, დანის დარტყმისგან დაგიცავს, მაგრამ ლაფისგან ვერ დაგიფარავს. ჰოდა, სულ სხვა საქმეა, რომ ამ პრინციპებსა და წესებს მეტწილად არად დაგიდევს მარადცოდვილი ადამიანი. აქედან გამომდინარე, წესწყობილება, სადაც ყოველდღიურად გაჰყვირიან ადამიანთა უფლებებზე, მაგრამ ათმაგად ფეხქვეშ თელავენ ამ დეკლარირებულ უფლებებსაც და ადამიანებსაც, სადაც სულ ქველმოქმედებაზე ლაპარაკობენ, საქმით კი ერთმანეთს ძარცვავენ და ყვლეფენ, სადაც თავისუფლება მრუშობის მეტს არაფერს ბადებს, ხოლო მართალსა და ტყუილს ერთმანეთისგან ვეღარც გაარჩევ - ასეთი წყობილება მართლაც შესაძლოა მოგეჩვენოს "ისეთ საძაგლობად, რომელზე უკეთესიც, სამწუხაროდ, სხვა არაფერი არ გაგვაჩნია". ასეთია თანამედროვე კაცობრიობა, თუმცა, ვგონებ, "თანამედროვე" აქ ყურით მოთრეული სიტყვაა, რადგან, ვფიქრობ, მუდამ ასე იქცეოდა ადამიანი. რას იზამ, ეს ქვეყანა იმ ამაყისაა, ყველაზე ახლო რომ იყო ღმერთთან, მან კი უსასრულო მანძილით განიშორა. ჩვენც იგივ გვმართებდა, მაგრამ კაცნი ვართ მხოლოდ და მხოლოდ. ჰოდა,

ყოველწამს შენდება დედამიწაზე სოდომ-გომორი, მილიონობით საუკუნის განმავლობაში ნაგროვები ნავთის და გაზის ას წელიწადში დაწვის გამო გამთბარი ყინულიც დნება, ტერორისტი ხალად შაიჰ მოჰამედი და ძმანი მისნიც ებრძვიან დამპალ დემოკრატიას, ოღონდ, გაგიჟდება კაცი და, ასიათასჯერ უფრო დამპალი მეთოდებით - ხოცავენ ბავშვებს, ქალებს, მძინარე ადამიანებს, თან იარაღით და ნარკოტიკით ვაჭრობენ, ნოქარსა და მყიდველს უხვად შოულობენ, მათ შორის ჩვენშიც – ერთ პატარა ქვეყანაში, სადაც მე ვცხოვრობ და მივჩერებივარ თანამოძმეთა შიზოფრენიას – ტყეს ჩეხავენ და აგარაკებს იშენებენ, ხალხს ძარცვავენ და თვით მდიდრდებიან, უწიგნურობას ამკვიდრებენ და შვილებს აჩენენ, ვეღარ ხვდებიან იდიოტები, მყრალ უდაბნოში სუფთა ჰაერი, ღატაკ ქვეყანაში კეთილდღეობა და სიბნელეში განათლება აბსურდი როა. აღარ იციან არანაირი წესი და რიგი, ხელისუფლება, ფული და პრიმიტიული ამპარტავნობა აკმაყოფილებთ, ქურდობის, მკვლელობის, ცილისწამების გარდა სხვა საქციელს აღარ სჩადიან.

დათა თუთაშხია რომ ცხოვრობდა, იმ მხატვრულ სამყაროშიც ძლიერ პარპაშებდნენ ცუდი კაცები, მაგრამ კარგი კაცები ებრძოდნენ იმათ. მწერალი რომ ცხოვრობდა, იმ ეპოქაში ცუდი კაცები უკვე ზეობდნენ და ხელისუფლობდნენ, მაგრამ კარგ კაცებს კარგი კაცობა ახსოვდათ ჯერაც.

ახლა ეს ხსოვნაც მიილია, განაწილაკდა.

ჰოდა, ამ უბედურ ჯგლეთაში მწერალი რომ შეგახსენებს ყოვლად დავიწყებულ, მხსნელ და გადამრჩენელ უბრალო სიბრძნეს: ჯერ წესია საქმე და მერეღაა საქმე საქმეო, აბა მითხარით, ყველაფრის მიუხედავად, განა შენი მეგობარი არაა ის მწერალი?

*ნაწილი III.*
*"მეფე მათიუშ პირველი"*

*თავი 6.*
*ჰენრიკი,*
*ანუ*
*მწერლობა საზოგადო მოღვაწეობაა*

ერთმა პოლონელმა, გვარად კრაშევსკიმ დაწერა წიგნი "იანუშ კორჩაკისა და მშვენიერი მეჩნიკუვნას ამბავი", ხოლო მეორემ კი - ჰენრიკ გოლდშმიდტმა - სამშობლოს მოყვარული და ერთგული გმირის სახელი ფსევდონიმად აირჩია.

იგი 1878 წელს დაიბადა ვარშავაში, ადვოკატის ოჯახში, დაამთავრა უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი და ექიმი-პედიატრი გახდა. პოლონელი ღარიბი ბავშვებისთვის თავშესაფარი დააარსა და "ჩვენი სახლი" დაარქვა, მერე კიდევ უპატრონო ებრაელი ბავშვებისთვისაც შექმნა ინტერნატი და 1911 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე აქ იმუშავა დირექტორად. 30-იან წლებში მოღვაწეობდა პედაგოგიკის ინსტიტუტში და რედაქტორობდა ჟურნალს "მცირე მიმოხილვა". 1935-36 წლებში რადიოში მიჰყავდა საბავშვო გადაცემები რუბრიკით "მოხუცი ექიმის საუბრები". მოკლედ, ბავშვთა მკურნალიც იყო, მასწავლებელიც და მწერალიც. პოლონეთის ოკუპაციის დროს 1942 წელს ფაშისტური კონცბანაკის გაზის კამერაში თავის 200 აღსაზრდელთან ერთად დაიღუპა.

ასეთია იანუშ კორჩაკის მოკლე ბიოგრაფია, რომელიც ნებისმიერ ენციკლოპედიაში შეგიძლიათ ამოიკითხოთ. მის ნაწარმოებებს არ ვიცნობ, მხოლოდ ერთხელ, ყმაწვილობისას წავიკითხე "მეფე მათიუშ პირველი" და, ეტყობა, დიდად არ მომეწონა, რადგან არაფერი, სულ არაფერი არ ჩამრჩენია მეხსიერებაში. რა ვიცი, კაცო, ჯანი როდარის "ჩიპოლინო", ლუის კეროლის "ალისა", მონტეირუ ლობატუს "ყვითელი კოდალა" სულ ზეპირად მახსოვს, ეს კი თითქოს იმ ერთხელაც არ წამეკითხოს. ავტორის სახელსაც დავიწყებას მივცემდი, რომ არა, ჯერ ერთი, სულისშემძვრელი ლეგენდა მისი სიკვდილის შესახებ და, მეორეც ის, რომ ეს კაცი მეტად უცნაურად, მისტიკურად, კარმულად თუ, რა ვიცი, რაღაცნაირად შემოიჭრა ჩემს ცხოვრებაში.

სწორედ ამის შესახებ მინდა დაწვრილებით გიამბოთ.

*ლირიკული გადახვევა*
*როგორ გავხდი თოვლის ბაბუა*

ბავშვობიდან მწერლობაზე მეტად კინორეჟისორობა მიზიდავდა და, როცა 31 წლისამ მიზანს მივაღწიე, იმჟამად უკვე საკმაოდ აპრობირებული მწერლის სახელი მქონდა მოპოვებული. ჩემს სადიპლომო ფილმს "თოვლის ბაბუა" ერქვა და მოგვითხრობდა ერთი საბჭოთა კარიერისტი ჩინოვნიკი ახალგაზრდის ამბავს, რომელსაც შემთხვევისა თუ ბედისწერის გამო საახალწლო ზეიმზე სანტა-კლაუსის როლის თამაში მოუწია და ისე ღრმად შეიჭრა ბავშვების სიყვარულში, რომ მართლა გადაიქცა თოვლის ბაბუად, ჩაჯდა მარხილში და გაფრინდა ცაში. მანამდეც და მერეც ბლომად ფილმი გადავიღე, მაგრამ ეს ერთი წინასწარმეტყველური სიზმარივით ამიხდა. მეგონა, ბედნიერად მოვიწყვე შემოქმედებითი ცხოვრება: საბჭოეთში რეჟისორს სამ-ოთხ წელიწადში ერთხელ უწევდა კინოს კეთება, შუალედებში კი წიგნებს დავწერ-მეთქი, ვფიქრობდი. მაგრამ, ხომ გაგიგონიათ, კაცი ბჭობდაო... მოხდა რევოლუცია და ჩვენმა განთქმულმა ეროვნულმა კინემატოგრაფმა მოგჭამა ჭირი. ვეღარც წიგნების წერით გაიტან თავს ამ ჩვენს ჯოჯოხეთში. ხელოვნებას მაინც ვერსად გავექეცი და იმ ჩემი სადიპლომო ფილმის გადაღებიდან ათი წლის თავზე "ზღაპრის თეატრი" დავაარსე, შევყარე ერთად ნაცარქექია, კონკია, ფიფქია, პეპი გრძელიწინდა, კარლსონი, ივანუშკა დურაჩოკი და მრავალი სხვა ამგვარი ვინმე, მოვედეთ სკოლებსა თუ საბავშვო ბაღებს, ობოლთა თავშესაფრებსა და საავადმყოფოებს. ვუამბობთ ბავშვებს ზღაპრებს, ვაძლევს ძალას მათი მზერა-ღიმილი, ხოლო ლუკმა-პურს იმდენს გეახლებით, რამდენსაც საერთოდ შოულობენ ყველა დროის მოხეტიალე კომედიანტები, ბერიკები, ტრუბადურები თუ სკომოროხები გალატაკებულ-გამათხოვრებულ სახელმწიფოში.

საახალწლოდ, რაღა თქმა უნდა, დიდი ორომტრიალია "ზღაპრის თეატრში". განსაკუთრებული მოთხოვნა თოვლის ბაბუაზეა, ხალხი რომ აღარ მყოფნის ხოლმე, მეც ვეხმარები.

ერთხელ, ორი ათას პირველი წელი რომ დგებოდა, "რუსთავი-2"-ის სტუდიაში მიმიწვია გიორგი სანაიამ, მივულოცე სამშობლოს ახალი საუკუნე და, ამგვარად, ქვეყნის მთავარი თოვლის ბაბუა გავხდი. მერე, როცა გიორგი მოკლეს - ყველამ რომ ვიცით, ვინც და რისთვისაც - პოპულარული გახდა ვიდეოკადრები, სადაც ერთად ვართ მე – წითელ ქუდში, თეთრ წვერში ჩამალული მწერალი-მეზღაპრე, აწ ცოცხალი - და ჟურნალისტი, სიმართლის თქმისთვის ბოროტ კაცთაგან, ანუ ყაჩაღ-ხელისუფალთაგან განწირული, აწ გარდაცვლილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ასეა საქმე: ზნეობისგან და წესისგან დაცლილ საქართველოში ბავშვებისთვის ზღაპრის თხრობაზე უკეთესი საქმიანობა ვერ მოვიფიქრე.

**თავი 7.**

***თემო,***

***ანუ***

***მწერლობა ადამიანთა აღზრდის საუკეთესო საშუალებაა***

ბალღების გახარება რო სხვა საქმეს სჯობია, ეს აზრი ჩემს სიყრმის ძმაკაცს თემო კალანდაძეს ბარე ოციოდე წლით ადრე მოუვიდა თავში. არაორდინარული რამ გააკეთა მაგან: უნივერსიტეტის ფილოსოფიური ფაკულტეტი დაამთავრა და საბავშვო მსახიობი გახდა.

სტუდენტობისას სახალხო თეატრში ვსცენისმოყვარეობდით ორთავე დ̄იქიდან დავმეგობრდით. სპინოზობისას და კანტობისას ვერაფერს შეატყობდით, არტისტულ ტალანტს კი ვერ მალავდა - პლასტიკურიც იყო, შესანიშნავადაც მღეროდა. გულღიაა, კეთილშობილი, ქეიფისა და მოლხენის მოყვარული, საოცრად მოკრძალებული - ასეთი თვისებების მქონე კაცს მართლაც ძნელად თუ წარმოიდგენდი მარქსისტული ფილოსოფიის (დიამატის, ისტმატის თუ კიდევ რაღაც მატის) სპეციალისტად, თვითონაც მიხვდა ბოლო-ბოლო, გზას რომ იყო ამცდარი, და მოინდომა თეატრალურზე ჩაბარება. არ მიიღეს („ღრმადა ვარ დარწმუნებული, ტყვილად ვარ დაწუნებული", მიაღექსა მერე ამ ამბავს), მაგრამ იჩალიჩა და რუსთავის თოჯინების თეატრში უდიპლომოდ მოიკიდა ფეხი. იმდენი ქნა, რომ ნამდვილი პროფესიონალი გახდა.

ფილოსოფოსის მსახიობობა უჩვეულო რამ იყო საბჭოთა სინამდვილეში, ჰოდა, 1986 წელს, როდესაც გოგი ლევაშოვ-თუმანიშვილმა ფილმ „მთვარის გლობუსის" თანადამდგმელად მიმიწვია, ახლად გამომცხვარი საბავშვო მსახიობი კადრში მოხვდა. სურათი ნახევრად დოკუმენტური იყო და ხელოვნებაზე შეყვარებული ფანატიკოსების შესახებ მოგვითხრობდა. ვინ აღარ იყო „მთვარის გლობუსის" გმირი: ფოკუსნიკი-ტროლეიბუსის მძღოლი, კლოუნი-რევიზორი, კინომცოდნე-ვენეროლოგი და მისთანანი.

თემოს იმ ფილმში ინტერვიუერი ეკითხება:

- თქვენ ფილოსოფოსი ხართ?

- დიახ, ეს ფაკულტეტი დავამთავრე.

- გაგვაცანით თქვენი ფილოსოფიური კრედო?

- წამიკითხავს, ერთი მსახიობი იყო საფრანგეთში, დადიოდა და ავადმყოფ ბავშვებს ზღაპრებს უამბობდა, - პასუხობს თემო.

გავიდა კიდევ 10 წელი, დავაარსე „ზღაპრის თეატრი" და თემომ შექმნა თავისი პოპულარული სცენური ნიღაბი - ნაცარქექია. ამას მოჰყვა არანაკლებ სახელგანთქმული კლოუნი კანტალუ. მანამდე ბავშვები მას ბასტის მეგობარი ბუბუს ხმითაც იცნობდნენ, სხვა ნამუშევრებიც ჰქონდა თეატრსა და კინოში, მაგრამ ამ ეტაპზე მისმა შემოქმედებამ ზენიტს მიაღწია - ქუჩაში გავლილს ყოველი პატარა შეჰხაროდა - ნაცარქექია, ნაცარქექიაო! ერთმა გაუთვითცნობიერებელმა მამამ ბავშვს წაუთაქა კიდეც - უცნობ ბიძიას რას უბედავო.

ქართული ეროვნული ვალუტა რომ შემოიღეს, სწორედ იმ დღეს, 1995 წლის 1 ოქტომბერს „ზღაპრის თეატრმა" თბილისის ერთ-ერთ სკოლაში სპექტაკლი აჩვენა. წარმოდგენის შემდეგ მოვიდა პირველკლასელი, აჰა შენ ჩემგან, ნაცარქექიაო, და თემოს ერთთეთრიანი აჩუქა. ასეთი ჰონორარი არც ამიღია და ვერც ვერასოდეს ავიღებო, ამბობდა ხოლმე.

ერთხელ, აღდგომა დღეს, საქართველოს პარლამენტში სამასამდე უპატრონო, ობოლი და ინვალიდი ბავშვი მოიწვიეს და მათი გართობა დაგვავალეს. მთელი მთავრობა დაესწრო ზეიმს და თემო კალანდაძე თავის უნივერსიტეტელ თანაკურსელს - თავდაცვის მინისტრ დათო თევზაძეს შეხვდა. ჩაახუტეს ერთმანეთს ამან ჩოხაახალუხი და იმან გენერლის მუნდირი. „არც ერთი იყო ნაცარქექია და არც მეორე მთავარსარდალი, ორივენი ბედკრული ფილოსოფიური ფაკულტეტის ნასტუდენტარები იყვნენ"-მეთქი, „მამელუქის" პერიფრაზით გავახმოვანე ეს მომენტი და ბევრი ვაცინე დამსწრე საზოგადოება.

მოკლედ, ბავშვების აღზრდა-გართობას მიუძღვნა ცხოვრება ამ კაცმა, ორმოცდაათი წლისაც გახდა, ბევრს და მუდმივად სვამდა, მაგრამ შრომაში „პერმანენტული" ზარხოში ხელს დიდად არ უშლიდა. ჰოდა, ერთ დღესაც კოლეგა მსახიობებმა შეშფოთებით მითხრეს, ეტყობა, მაგან გააფრინაო. რა არის-მეთქი? სერიოზულად ამბობს, პრეზიდენტი უნდა გავხდეო. რის პრეზიდენტი-მეთქი, ვერ მივხვდი. საქართველოს პრეზიდენტიო. იხუმრა, ალბათ-მეთქი. არა, მართლა დაუჩემებია, მორიგ არჩევნებში კენჭი უნდა ვიყაროო. მთვრალი იქნებოდა-მეთქი. არაო, კაცო, არაო, ერთხელ კი არა თქვა, ამ ბოლო ხანს სულ მაგას გაიძახის მთვრალიცა და ფხიზელიცაო. მაინც არ დავიჯერე, სანამ ერთ მშვენიერ დღეს პირადად არ მითხრა:

არა, ძმაო, ასე ცხოვრების გაგრძელება არ შეიძლება. აუცილებლად უნდა წამოვაყენო ჩემი კანდიდატურა საპრეზიდენტო არჩევნებზეო.

ეჭვით შევხედე. არც ისე მთვრალი იყო, ეგ კი არა, მხოლოდ ერთი-ორი სირჩა თუ ექნებოდა გადახუხული, მეტი არა.

რას ამბობ, კაცო-მეთქი, ეგ როგორ, რანაირად-მეთქი?

რატომაც არაო, მთელი საქართველოს ბავშვები მიცნობენო.

მერე ბავშვები ხომ არ აგირჩევენ-მეთქი.

მშობლებმაც ხომ იციან, ვინცა ვარო.

მშობლებმა ის იციან, ნაცარქექია და კლოუნი რომ ხარ-მეთქი.

სწორედაცაო.

მერე-მეთქი?

ავაწყობ ამ აუწყობელ ქვეყანას, შევძლებო.

აღარ გამოვედავე, შიშნეულად გავიფიქრე, სიღატაკეს და ალკოჰოლიზმს გაუგიჟებია-მეთქი. თუმცა მერე და მერე რომ დავფიქრდი, მივხვდი - არც ასე უბრალოდ აიხსნებოდა ეს იდეა-ფიქსი, რაღაც უფრო ნიშნეული და საჭირბოროტო ვიგუმანე. ძნელად საწვდომი.

მართლაც, მოდი, დავფიქრდეთ, რად უნდა მოესურვოს ნაცარქექიას პრეზიდენტობა?

**თავი 8.**

***გურამი,***

***ანუ***

***მწერლობა პოლიტიკური ძალაა***

აღმაშენებლის გამზირზე, „ზღაპრის თეატრის" მახლობლად, გურამ ხაბეიშვილს ქუჩაში პურის დახლი უდგას და ამით ირჩენს თავს. იგი ტიპური ლუმპენპროლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტარია. ფსკერზე ჩაძირული კაცია, როგორც ბევრი სხვა, ასეულათასობით ჩვენი თანამოქალაქე.

შუა ხნისაა, მშვენიერი გარეგნობის, თავს რომ უვლიდეს. ფხიზელი თუა, კაი სალმის პატრონია, ყიდის ორმოცდაათთეთრიან პურს და არის ასე, მარა რომ თვრება, აუჰ, ტვინი მიაქვს, ხმაურობს, აჩმახებს, რას მიედ-მოედება, არც თვითონ იცის, არც არავინ. არადა, ხშირია ეს ამბავი. ლოთია და, თუ რატომაა ლოთი ან ეგ, ან ყველა სხვა ლოთი, ეს ცალკე სოციოლოგიურ-ფსიქოლოგიური კვლევის თემაა.

ერთხელ სპეციალური დაფა დაამზადა და იმ სახლზე, რომლის წინაც თავის ბორბლებიან სავაჭროს გამოაგორებს ხოლმე, მისამართის მაჩვენებელ ფირნიშს ზემოდან დააკრა. ასე გაჩნდა ერთხნობას დავით აღმაშენებლის 132-ის ნაცვლად გურამ ხაბეიშვილის გამზირი 132. რამდენიმე დღე დიდად მოჰქონდა თავი. იძახდა, ამ ქუჩას ამიერიდან ჩემი სახელი ჰქვიაო, თითქოს არ ხუმრობდა და, თუნდაც ეხუმრა, მაინც შეინიშნებოდა ამ საქციელში ალკოჰოლურ ფსიქოზზე დაფუძნებული "მანია გრანდიოზას" ნიშნები.

ჰოდა, ერთხელ მაგან ახალი რამ აიჩემა, ყველას ეუბნებოდა, საპრეზიდენტო არჩევნებში უნდა მივიღო მონაწილეობაო, გამზირს ხომ დავარქვი ჩემი სახელი, ახლა ქვეყანასაც უნდა მივხედოო. მე ვიცი, როგორც უნდა მივხედო საქართველოს, აბა, ამას, ხომ ხედავთ, არ გამოსდის ან ძალად არ უნდა, რამე გამოუვიდესო.

*ავტორის რიტორიკული აღელვება მესამე*

ეს ორი მოვლენა - ნაცარქექიასა და ახლად გამომცხვარი "დავით აღმაშენებლის" მიერ საპრეზიდენტო პრეტენზიების განცხადება დროში ერთმანეთს დაემთხვა. ერთი ცალკეული შემთხვევა განზოგადების საფუძველს არ მომცემდა, მაგრამ ორი უკვე ბევრია და ვფიქრობ, ანალოგიური ახირება - მე ვიქნები პრეზიდენტიო, კიდევ ბევრ უბრალო ტვინარეულ ადამიანს გაუჩნდებოდა. აქედან გამომდინარე, ეს სიმპტომატური ფენომენია. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, დისნეილენდელმა მიკი მაუსმა, ბრონქსელმა მათხოვარმა და ასეთმა ვინმეებმა ერთდროულად რომ დაიწყონ იმის ფიქრი, კლინტონი ან ბუში ქვეყანას ღუპავენ და მე უკეთესი პრეზიდენტი ვიქნებოდიო? ხომ წარმოუდგენელია? და თუ მაინც მოხდებოდა ასე, რა დასკვნას გავაკეთებდით? მხოლოდ ერთს - ვაი ამერიკას, ცუდადაა მისი საქმეო.

მე რომ ვიყო პრეზიდენტ შევარდნაძის ადგილზე, დამაფიქრებდა ეს ყველაფერი, ძლიერ დამაფიქრებდა. მაგრამ საქმე ისაა, რომ ჯანმრთელობას ვუფრთხილდები და ამ ბოლო ხანს სასმელს ძლიერ ვერიდები, ამიტომ, ყველაფრის მიუხედავად, პრეზიდენტის ადგილზე ყოფნა და მის მაგივრად ფიქრი არანაირად არ მსურს. ისევ ის მირჩევნია, ბავშვებს ზღაპრები ვუამბო და მით რაიმე ვასწავლო.

*ავტორის რიტორიკული აღელვება მეოთხე*
*მაგრამ რა ვასწავლო? რა ვუთხრა ბავშვებს?*

თავი 9.
*ჩუბჩიკა,*
*ანუ*
*მწერლობა ეროვნული ცნობიერების საყრდენია*

გასული საუკუნის ბოლოსწინა წელს მოვიდა ჩემთან ცნობილი მხატვარი თენგიზ მირზაშვილი, კიდევ უფრო ცნობილი, როგორც ჩუბჩიკა, და მითხრა: ჟურნალ "ცისკარში" გამოქვეყნებული შენი რომანი "ლაზარეს თავგადასავალი" წავიკითხე და ისე მომეწონა, გაცნობისა და მეგობრობის სურვილი აღმეძრაო. არავინ მითხრას, ასეთი ამბავი საამაყოდ არ დამირჩებოდაო. საქვეყნოდ განთქმული უფროსი თაობის ოსტატთან იქით რომ მივსულიყავი ურთიერთობის გაბმის სურვილით, ეს იქნებოდა ჩვეულებრივი, თორემ პირიქით რომ მოხდა, ერთობ სასიამოვნოდ დამირჩა ეს ამბავი. იმთავითვე ამიხსნა, ერთი უაღრესად საჭირბოროტო პრობლემით ვარ დაკავებული, რის შესახებაც უნდა ვისაუბროთ და დიალოგის ფორმით ერთობლივი პუბლიკაცია მოვამზადოთო. რა თქმა უნდა, დავთანხმდი, თუმცა ჩემდა სამარცხვინოდ, უნდა გამოვტყდე, მანამდე არაფერი ვიცოდი იმ ხანგრძლივი, ოცდახუთწლიანი (თუ მეტი არა) პოლემიკის შესახებ, რომლისთვისაც ბატონ თენგიზს ამდენი დრო და ენერგია შეელია. ნაწილი ზეპირ მიამბო, ნაწილი ადრე გამოქვეყნებული მასალები წამაკითხა და საქმის კურსში შემიყვანა.

კერძოდ:

XIX საუკუნიდან მოყოლებული რუსეთი თანმიმდევრულად ცდილობს საქართველოს ისტორიის დაკნინებას (თუ რატომ და რისთვის, ამის ანალიზი ახლა მეტად შორს წაგვიყვანს). ყოველივე, რაც ამ მიზანს წაადგებოდა, მხარდაჭერას მუდმივ პოულობდა მთავრობისგან, რომელიც 200 წლის განმავლობაში ან რუსული გვყავდა, ან პრორუსული. ილია ჭავჭავაძე თვლიდა, რომ თუ გინდა ერი მოსპო, მისი ისტორია უნდა წაშალო. ცხადია, ასეთი ჭეშმარიტების ქადაგებას შეეწირა იგი საბოლოოდ. სხვები კი მეტ-ნაკლებად ლავირებას ახდენდნენ საკუთარ კარიერასა და პატრიოტიზმს შორის მოქცეულ დიაპაზონში, მაგალითად, პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტმა ივანე ჯავახიშვილმა დაწერა და გამოაქვეყნა გამოკვლევა ანდრია პირველწოდებულისა და ნინო კაბადოკიელის საქართველოში მოღვაწეობის შესახებ. ახალგაზრდა მეცნიერმა ყოველგვარი არქეოლოგიური საფუძვლის გარეშე მოიმარჯვა "მატიანის" კრიტიკული "ჰიპერანალიზის" მეთოდი და დაასკვნა: (იმპერიის იდეოლოგთა გულის გასახარად), საქართველოს გაქრისტიანების ისტორია მხოლოდ გამონაგონი ლეგენდაა, თანადროულთა მიერ შემონახული კი არა, საუკუნეთა შემდგომ ბაგრატიონთა სამეფო სახლის დაკვეთით შეთხზულიო. ტაში-დიდებაც ბევრი მიიღო და გზაც გაიკაფა ცხოვრებაში. მთლიანობაში ასე მოექცა ქართულ კულტურასა და არქიტექტურას გიორგი ჩუბინიშვილიც, საბჭოთა მეცნიერების კიდევ ერთი პატრიარქი. კომუნისტური სისტემის სამოცდაათწლიანი არსებობის განმავლობაში მთელი მეცნიერება და განათლება ასეთ ყალბ საძირკველს დაეფუძნა, ამით გაიბჟუნა და გაპიპინდა აკადემია, უნივერსიტეტი, სკოლა და თვით ყოფაც. შეიქმნა რეალობის მსგავსი სიყალბე, შემპარავი და დამღუპველი. მშვიდ ვითარებაში ასეთი ისტორია ისტორიას წაავავს, მეცნიერება — მეცნიერებას, სწავლა — სწავლას და ცოდნა — ცოდნას. მაგრამ საკმარისია, რაიმე მის საწინააღმდეგოდ გამოჩხრიკო, იმწამსვე გამოაჩენს შენიღბული ურჩხული ბრჭყალებს, თუნდაც შენი არგუმენტი თხუთმეტი საუკუნის წინ ქვაზე იყოს ამოკვეთილი, გეტყვიან, ეგ არ არის მართალი, ამა და ამ აკადემიკოსმა თქვა, მაგ ქვას არაფერი აწერიაო. საკულტო ავტორიტეტების პრიორიტეტი ფაქტებს მეორე პლანის მოვლენად აქცევს. ჩუბჩიკა და მისი თანამოაზრე მეცნიერები ლამის მთელი სიცოცხლე ცდილობენ ამ პარადოქსული, მიუვალი სიმაგრის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დალაშქვრას. ამაოდ. მოწინააღმდეგე მხარე მეცნიერული პოლემიკის ფარგლებს როდი სჯერდებოდა, არაპროფესიონალიზმს, არაკომპეტენტურობას, ანტისაბჭოთა იდეოლოგობას, ხალხის მტრობას და სულაც ჭკუიდან შეშლილობასაც კი აბრალებდნენ ოპონენტებს. ამასობაში კი დრო მიდის და მთავარი ფესვი ისტორიისა, გადაჭრილ-გადაღრღნილი, სულ უფრო და უფრო ახმობს ქართველთა ეროვნულ ცნობიერებას.

აი, ამ სატკივარს დაატარებს ჩუბჩიკა და ამით მოვიდა იგი ჩემთან - მწერალთან, რომლის ერთი ნაწარმოები მოეწონა და იფიქრა, ამის დამწერი გამიგებს, მიმიხვდებაო.

რატომაც არა! მართალია, ისტორიკოსი არა ვარ და დისკუსიის დეტალებში სრულად ვერ ვერკვევი, მაგრამ ზოგადად რომ სწორია ეს ყოველივე, ამას რა დიდი ლარი და ხაზი უნდა.

დავიდგით დიქტოფონი მე და ჩუბჩიკამ და ვისაუბრეთ საათნახევრის განმავლობაში. მთელი ერთი კასეტა ლაპარაკი დავაგროვეთ. ასე დავთქვით; ეს პირველი, გასაცნობი, მოსასინჯი, საცდელი, ისე-რა-სასხვათაშორისო გაბაასება იყოს და მერე ვნახოთ, როგორ შევიჭრებით პრობლემის სიღრმეშიო. ამ განწყობისა გამო, მსუბუქად დავიწყეთ მასლაათი და მსუბუქადვე დავამთავრეთ ან, უკეთ, შევწყვიტეთ სადღაც შუა სიტყვაზე, მაგნიტოფონი რომ ამოირთო, მაშინ. რას აღარ მივედმოვედეთ: რარიგ დაამახინჯა ზნეობა და აზროვნება საბჭოეთმა, რასაც არა მხოლოდ ადამიანის სულიერი გადაგვარება, არამედ ხშირად და მასობრივად ფიზიკური განადგურებაც მოჰქონდა შედეგად. არც რომ ახლა, დე ფაქტო და დე იურე “ინდეპენდენტ” საქართველოში არავინ ზრუნავს მდგომარეობის გადასარჩენად, პირიქით, სულ უკან და უკან წყალს რომ მიაქვს სუყველაფერი - განათლება, ხელოვნება, ყოფა-ცხოვრება. ნამსხვრევებილა რომ დარჩა აქა-იქ მიმოფანტული ჩვენი კულტურის და რომ არც შემწეპებელია სადმე, არც რომ წებო არ იშოვება. გავუარ-გამოვუარეთ მხატვრობას, განათლებას, არტისტებს, კინემატოგრაფისტებს, ბევრნი შევაქეთ, უფრო მეტნი კი გამოვლანძღეთ. მერე მივხვდით, რომ ამ ხალხის ლანძღვა არ არის ადვილად გამოსაქვეყნებელი. რავარია, თქვა თუ რა უპრინციპო კაცი იყო აწ განსვენებული შესანიშნავი ქართველი მწერალი ან რა ამბიციური კრეტინი იყო მსოფლიოში სახელგანთქმული კინორეჟისორი, ან რა აუტანელ სიყალბეს აფრქვევდა სცენიდან საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, ან რა ზედაპირულია და “ტუფტაა” მავანი აკადემიკოსის მეცნიერება... თქმა იოლია, თუკი შენს აზრს ახლობელს უზიარებ, მაგრამ საჯაროდ, სახალხოდ ამგვარი რამის გამოქვეყნებას რაღაც შინაგანი ბარიერი ელობება. ამ მიმართულებას რომ ჩავუღრმავდით, მივხვდით, უბედურების თავი და თავი ჭეშმარიტების შიში, მართლის თქმის უუნარობა, გულწრფელობის დეფიციტი, საკუთარ აზრში დაეჭვება, სხვისი აზრის უგულებელყოფა და ამისთანები რომაა. კაი-ყმობის და კაი-კაცობის თავქვედაყენებულ კრიტერიუმსაც შევეხეთ, ლოთ-ბაზარა ყარაჩოხელი რომ კაი ბიჭად ითვლება, სიმართლისთვის მებრძოლი კაცი კი გიჟად და ქვეყნის დამაქცევრად. იქვე შევთანხმდით, რომ ამ ყველაფერს გამოსაქვეყნებლად არ ვამბობდით, და ბოლოს, რატომღაც ქართულ სიტყვებს დავუწყეთ ჩხრეკა - საიდან რა მოდის, რა რას ნიშნავს და მშობლიური ენის მოფერებაში შეჭრილებს მაგნიტოფონმაც დაგვიჩხაკუნა.

ეს პირველი იყოს და საქმეზე მერე ვილაპარაკოთო, ასე დავცილდით. მაგრამ ეტყობა, გუმანით მივხვდით, ეგრე ადვილად რომ ვერ მივაგნებდით “საქმეს” და, როგორც ბევრი სხვა რამ, რასაც ვაკეთებთ ყოველდღიური ამაოებით გარემოცულნი, ესეც მივაგდეთ, მივივიწყეთსავით...

სამი წელი გავიდა. მოუთავებელი, ნაშუათევი, გზადმიგდებული საქმის აბეზარი შეგრძნება ჭიასავით შემიჩნდა, არ შემეშვა და ნელ-ნელა ამოვშიფრე კასეტიდან თითქმის მივიწყებული ეს საუბარი. ახლა უფრო მეტად საჭირბოროტო გამოჩნდა მაშინ ნათქვამი, ჯერ ერთი, დრომ ჩაიარა, მეორეც - ჰაერში გაჟღერებული სხვაა, ფურცელზე გადმოტანილს კი - რა შედარებაა — ძალა ემატება. აღარ გავჩერდი, ამოვბეჭდე ხელნაწერი კომპიუტერზე (ამით კიდევ უფრო გალონიერდა), სტილიც გავუმართე, მერე სულ გავრეკე - ბარემ დავაკაბადონე, ჩუბჩიკას ფერნაწერებითაც გავაფორმე (იგი ხომ სულ ხატავს, ხელს არ აჩერებს, თან ასევე ინტენსიურად ჩუქნის და არიგებს ნამუშევრებს, რის გამოც, ასე მგონია, მთელი თბილისი მოფენილია პატარ-პატარა პეიზაჟებითა თუ ნატურმორტებით). მოკლედ, შევქმენი მცირე წიგნი სამ ეგზემპლარად: ერთი მე დავიტოვე, ორი ჩუბჩიკას მივუტანე. წაიკითხა, მოეწონა, კარგიო, მაგრამ ისევ იმ მოჯადოებულ წრეში დავტრიალდით: ყველაფრის გამოქვეყნება, ყველას შესახებ სიმართლის თქმა არ გამოდის, არ ეგების, არც ივარგებს, თუნდაც შენი მთავარი სათქმელი ის იყოს სწორედ – სიმართლეს რომ გულწრფელად და დაუფარავად თქმა უნდა. შევასწოროთ, საჯაროობისთვის გავჩალხოთ და მერე გამოვცეთო, გადავწყვიტეთ. თუმცა ჩუბჩიკას ისევ ის ურჩევნია, რისთვისაც პირველად მოვიდა ჩემთან – საქართველოს ისტორიის გაყალბებაზე დღემდე გრძელდება დისკუსია, ერთი მხრივ, მის თანამოაზრეებსა და, მეორე მხრივ, ჩვენი მეცნიერების ცოცხალ კორიფე-პროფესორ-აკადემიკოს-ისტორიკოსებს შორის. ჩუბჩიკას აზრით, სწორედ იქ უნდა ვთქვა ჩემი სათქმელი, თუკი მწერალი ვარ და თუკი მესმის, რაა მთავარი.

### *ავტორის რიტორიკული აღელვება მეხუთე*

როგორ არ მესმის, მაგრამ რა ვქნა, დაბნეული ვარ, ვინაიდან ქართული საბჭოთა მეცნიერების პატრიარქები, ჯერ კიდევ “ცარის” რუსეთიდან აღმოცენებულები, თავიანთსავე გაყალბებულ ისტორიას შერთვიან უკვე დიდი ხანია, ხოლო ცოცხლად დარჩენილ ჩვენს პროფესორებს ყველას ერთად თავებიც რომ დავაჭამოთ, ამით საქმე მთლად მაინც არ გამოსწორდება. იქნებ, რკინის ქალამნების ჩაცმაა საჭირო, “ხალხოსნებივით” ხალხში გასვლა, “წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების” ასი წლის წინანდელი გამოცდილების გამეორება იმ განსხვავებით, რომ ამჯერად ეგებ აქეთ ვისწავლოთ რაიმე, ეგებ ვიპოვოთ ნამუსრევი ჩვენი ეროვნული ცნობიერებისა, კულტურისა, საგანძურისა. ეგებ განათლების მინისტრს ვუბრძანოთ, სასწრაფოდ შეუდგეს სახელმძღვანელოების ხელახლა წერას სკოლებისა და უნივერსიტეტებისთვის, მაგრამ ან ამდენის დამწერი სად ვიშოვოთ ნაუცბათევად, ან კი მინისტრს რა მოვთხოვოთ, თუ იგი იმ მთავრობის წევრია, სადაც ენერგეტიკის მინისტრიცაა და, ათი წელია, თან ბნელა, თან ცივა საქართველოში; ტრანსპორტის მინისტრიცაა და სასწაულებრივ გაქრა შავი ზღვის ფლოტი, ტროლეიბუსებიც ზედ მიჰყვა თავის ხაზებიან-ბიგელებიანად; პოლიციის მინისტრიცაა და ყოველი ფეხის ნაბიჯზე ჰეროინის

სავაჭროა გახსნილი, პანკისის სათავონ სუპერმარკეტის თამადობით. თან იძახიან, ვერ ვაკონტროლებთო. კი აბა, ბიჭო, ვერა! სწორედ რომ აკონტროლებენ, თან ზედმიწევნით. ჯარის მინისტრია და სამშობლოს წინაშე ჯარისკაცის ფიცს რომ დებენ ბიჭები, საჩვენებელი, "საპაკაზუხო" ნაწილიდან ნათხოვარი სამხედრო მუნდირები აცვიათ ხოლმე, თუმცა ჩექმები ველარ უშოვიათ და ფლოსტებში, კედებში, ბოტასებსა და შლოპანცებში ფეხგაყრილები ეფიცებიან სამშობლოს დროშას. სამხედრო ფეხსაცმელებს კი, სურვილისამებრ, ნავთლულის ბაზარში იყიდით ოცდახუთ ლარად. მეცნიერების, ისტორიის და ეროვნული ზნეობის მინისტრი ვინღა არის?

ვიცი, ერთი სიტყვა შენცა თქვიო, რატომაც მომმართა საკუთარი ქვეყნის წარსულით მოხიბლულმა, ერთთავად მთაგორიანი პეიზაჟების მხატვამა, ქართულ სიტყვაში ჩაკირკიტებულმა, ისტორიის გაყალბებასთან დონ-კიხოტივით მებრძოლმა ჩუბჩიკამ მაინცდამაინც მე კი არა და, ჩემს მწერლურ ანაფორას – იმიტომ, რომ სწორედაც მწერალია, პირველ ყოვლისა, ეროვნული სულის მინისტრი, მაგრამ ისევე, როგორც სხვა ყველა მინისტრმა ამ ჩვენს უკუღმართ დროებაში, არც მე ვიცი, რა ღონე ვიხმარო, რას ვახალო შუბლი - ბოროტების ტაძრის კედელს, გუმბათს თუ საძირკველს? რით დავიწყოთ? ქუჩაში გავიდეთ, დროშა ვიქნიოთ, ტყვიას ვეჩხუბოთ, გაუ, გაუ ვიძახოთ თუ ჩვენ-ჩვენს საწერ მაგიდებთან, მოლბერტებთან, ფორტეპიანოებთან, საკურთხევლებთან დავეტიოთ და იქ ვილოცოთ?

*ავტორის რიტორიკული აღელვება მეექვსე*

რაც მთავარია, ისევ და ისევ, რა ვუთხრათ ბავშვებს, რა ვასწავლოთ, რა ზღაპარი ვუამბოთ და როგორ გავზარდოთ?

*ავტორის რიტორიკული აღელვება მეშვიდე*

იქნებ, თქვენ მირჩიოთ რაიმე, პან კოლეგა იანუშ!

**თავი 10.**
***იანუში,***
***ანუ***
***მწერლობა თავგანწირვაა***

"ზღაპრის თეატრის" სარეკლამო კამპანიას ვამზადებდი, ნაირ-ნაირი შინაარსის ბუკლეტებსა და პროსპექტებს ვქმნიდი, ვაწეპებდი ფოტოებს, ვჭრიდი ნახატებს, ვარჩევდი ფერებსა და მხიარულ ასოებს. ერთ-ერთი



პლაკატი ქველმოქმედებს, ფილანტროპებს და მეცენატებს მოუწოდებდა: სიხარული ვაჩუქოთ დაჩაგრულ პატარებს. ერთ უცხოურ ჟურნალში, რომლის ყდაზე წესიერად არც კი დამიხედავს, არ დავინტერესებულვარ, სადაური რა იყო (ისე აღვიქვი, ან ჩეხურია, ან უნგრულია-მეთქი), ბავშვური სტილით დახატულ სათვალიან მელოტ წვეროსანს წავაწყდი, ბავშვები რომ ჩაუხუტებია გულში. გამოვჭერი.

წლების მანძილზე ეს გამოსახულება ჩვენი საქმიანობის ემბლემად თუ ლოგოდ იქცა. თან ყველა ძალიანძალიან დარწმუნებული იყო, რომ ეს მე ვარ. "ვინ დაგხატა, მიშა?", "ვა, ბავშვის ნამუშევარია თუ ვინმე მხატვარს დაუკვეთე?", "რა ზუსტად არის შენი ხასიათი დაჭერილი" - დაახლოებით ასე აფასებდნენ პლაკატს ნაცნობმეგობრები.

ყველას მოთმინებით ვუხსნიდი, რომ ეს მე არა ვარ, თქვენ წარმოიდგინეთ, ჩეხურ თუ რუმინულ ბუკლეტში წავაწყდი შემთხვევით. დაჯერება უჭირდათ, მაგრამ ტყუილის მოტივსაც ვერ ხედავდნენ, "რა საოცრებაა, როგორ გგავს, ასპროცენტიანი შენა ხარ". ეს ამბავი სამოთხ წელიწადს გაგრძელდა, უკლებლივ ყველა მნახველს ხვდებოდა თვალში ეს ნახატი, ნელ-ნელა მომბეზრდა ახსნა-განმარტების მიცემა და, ლამის იყო, თავად დამეჯერებინა, რომ ეს ბიძია მართლა მე ვიყავი. მაგრამ ერთხელაც, სუფრაზე ჩვენმა ნაცარქექიამ სადღეგრძელოში საკითხი უკიდურეს მეტაფორამდე თუ კარმულმისტიკურ ინტერპრეტაციამდე მიიყვანა: წარმოგიდგენიათო, ვილაც სლოვაკმა თუ ხორვატმა მხატვარმა ბავშვების მოყვარული კაცის დახატვა გადაწყვიტა და ჩვენი მიხეილის პორტრეტი მოალანდა შთაგონებამ თუ რაღაც სასწაულმოქმედმა ძალამო. აი, მაშინ კი დავინტერესდი, ნეტა, სინამდვილეში ვინ არის ეს კაცი-მეთქი. მეორე დღეს ამოვქექე ძველი ქაღალდები, დიდი იმედი არც მქონდა, რომ ვიპოვიდი, მაგრამ ბედზე სადღაც ძველ ჟურნალებში მივაგენი და რასა ვხედავ:

ჟურნალი პოლონურია და... ეს ჩემი ორეული სხვა არავინაა, თუ არა თვით იანუშ კორჩაკი - ადამიანი, რომელმაც ბავშვებს არა მხოლოდ ნიჭი, უნარი, შრომა და ზრუნვა დაახარჯა, არამედ ვინც სიცოცხლე გასწირა მათთვის.

შემაძრწუნებელი სიცხადით გამახსენდა ამ ადამიანის უპრეცედენტო ამბავი. განა შევშინდი, არამედ საბედისწერო მოწოდებად თუ ზეგარდმო ნიშნად მეჩვენა ეს მართლაც არაშემთხვევითი შემთხვევა. ძნელია, აღვწერო ჩემი დამოკიდებულება ამ აღმოჩენისადმი, რაიც დღემდე არ მტოვებს და, ალბათ, არც არასოდეს მიმატოვებს, რადგან ასეთია ლეგენდა თუ ნამდვილი ფაქტი:

ესესელები, რომლებიც ობოლთა თავშესაფარში გამოცხადდნენ, რათა იქ მყოფი ორასი არასრულწლოვანი ებრაელი გაზის კამერაში წაეყვანათ, ბრძანებისა თუ ინსტრუქციის თანახმად მოქმედებდნენ. ამ ცირკულარით მათ ევალებოდათ, სასიკვდილოდ წაესხათ მხოლოდ ბავშვები, ხოლო პედაგოგთა და, საერთოდ, უფროსთა შესახებ არაფერი იყო ნაბრძანები. ამგვარად, დაწესებულების დირექტორს, ყოველ შემთხვევაში, იმჯერად მაინც, არავინ სთხოვდა იმას, რაც მან გააკეთა: იანუშ კორჩაკი გაჰყვა თავის აღსაზრდელებს და მათთან ერთად მოკვდა...

ვზივარ ნახევარსარდაფში მდებარე, ფერად-ფერადად მოხატულ, პატარების თვალთა სიხარულით განათებულ ჩემს "ზღაპრის თეატრში". ალყაში ვარ. შენობის პატრონი ქირას მოითხოვს, მებაჟე - გადასახადებს, სხვა პატრონი არც არსად ჩანს, თეატრის მესვეურს თეატრი არ ადარდებს, ბავშვის მესვეურს - ბავშვი, ქვეყნისას - ქვეყანა. ირგვლივ მხოლოდ ბოროტი გველეშაპები და ქაჯებია, რომელთა სუნთქვა გახრჩობს და გხუთავს. ვზივარ და ვფიქრობ, ეგებ ეს პატარა თეატრია ჩემი გაზის კამერა.

***"...ნუ შეგვიყვანე ჩვენ განსაცდელსა, არამედ გვიხსენ ბოროტისაგან...***

2002 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ომარ შამათავა

### სულის ფრთები



ამ ცის შვილებად
ფრთები აქცევს შაშვებს და ჩხართვებს,
დაფრთიანებით არწივდება არწივის მართვეც.

აღფრთოვანება –
სულის ფრთები – არის საჭირო,
ნიჭი ჩვენშივე მადანივით აღმოვაჩინოთ.

ნამდვილ ლექსს
წყენაც, სიხარულიც უხომო უნდა,
ობლის თვალებში ჩარჩენილი
ცრემლები თუნდაც,

ან სიყვარული შფოთიანი,
უღვთოდ ტიალი,
ცივ ნამქერებში გზების ძებნა და ხეტიალი,

ან სიხარული
ჩანჩქერებში კალმახის ნახვის,
მშიერისათვის მორთმეული პური და ხახვი...

გულმა ხალისით
ან ტკივილით უნდა იძგეროს, -
ლექსი რომ გაჩნდეს –
ასაწყობი შრიფტით ,,ციცერო'',

რომ კითხულობდნენ
ჩოხოსნებიც, ბაფთიანებიც
აღფრთოვანებით
და გრძნობათა დაფრთიანებით...

მხოლოდ ფრთიანებს
ღმერთმა მისცა ცათა სილურჯე...
ფრენის უფლებას ნიჭიც უნდა,
ბედთან სიურჩეც...

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

დავა ფილოსოფოსთა ლოგოსივით ძველია:
მარადიულს საფუძვლად უდევს მარადიული
და სხვა მარადიულის თვითონ საფუძველია, -
უმასშტაბო მასშტაბით მბრუნავი და წრიული.

დასასრული არა აქვს მხოლოდ უსასრულობას.
უსასრულოს საწყისიც
ვეღარ მოიაზრება.
შემეცნების საზრისიც,
როგორც სულის სულობა,
არ ეკუთვნის სასრულის მქონე რაღაც არსებას...

## სიღარიბე მშვენიერი

*"რა შეიძლება იყოს მხიარულ*
*სიღარიბეზე უფრო მშვენიერი?!"*
*ეპიკურე.*

ბავშვებს გვქონდა
სიღარიბე – სანუგეშოდ:
ისლის ჯარგვალს გვერდს უვლიდა
კვნესა ბუთა...
ვამზადებდით ცახებისთვის
ცაცხვის ნეშოს,
სიხარული იკვრებოდა
ჭინჭის ბურთად...

თევზაობა – ხელაობის სასწაულით,
ამოყვანა ღორჯოსი და გაოცების...
თიხის კეცზე თხელი მჭადი დაბრაწული,
ძილისპირზე გამოცანით გამოცდები...

ვარსკვლავები ტეხურაზე გაფანტული...
"ვინ გვაჩუქა მამა-ღმერთმა თუ ბუნებამ?!"
მთვარიანში აწყვეტილი ტაშფანდურით
გვეძლეოდა შესაშური ფუფუნება.

დავცინოდით გაფუებულ მედიდურებს,
არ ვნატრობდით სხვას უკეთესს
ჩვენი კერის.
გვქონდა, რასაც ნატრულობდა ეპიკურე, -
სიღარიბე –
მხიარული,
მშვენიერი....

## სურამის ზემოთ...

სურამმა ღამე აიკვალთა –
ცვარში დამბალი.
ქედების კალთამ
მხურვალე მზე
ვერ დაიტია.
ჩრდილთა რონინი
ჰგავს ზღვის ფსკერზე
ცურვას ქამბალის.
სიბნელემ შუქზე
ხერხემალი გადაიმტვრია...

სურამის ზემოთ
მზე დაადგა ცერად იტრიას.
ნიავის სუნთქვა
აცახცახებს ბერცაცხვებს ცემზე,
მეხოტბე შაშვი
(პოეტივით მიამიტია)
ჩაკოცნის ცირცელს
შემდგარი ცერზე, -
ცვარი მისთვისაც
ცის ცრემლი და მარგალიტია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურამის ზემოთ
მზე დაადგა ცერად იტრიას...

მზე ზენიტშია,
ზეიმშია ბუნების კარი:
ჩუმათელეთი
ფიჭვთა ჩრდილმა მიაჩუმათა,
ტყეთა შრიალის,
შეშფოთების
ჩამდგარა ქარი,
უმატა სუნთქვას ჭადრის კვირტმა,
ჩუმად უმატა...
სურამის ციხევ,
ხამს – შენს ფეხთით ვიდგეთ ჩუმადა...

## ლექსის ბურბუშელები

1
მოზვერს ეტყობა, გაიზრდება უღლის გამწევი,
არწივს
ყორნისგან ანსხვავებენ თვალის შევლებით...
არ მემეტება დასაკარგად სულში ნარწევი
ლექსის ჩარხიდან ანასხლეტი ბურბუშელებიც.

2
გავერანებულ ციხე-კოშკის გადრეკილ მხარზე,
მოურჩენელი ჭრილობები
და ჯავრიც რომ სჭირს,
მგონი, დროშაა მეციხოვნის
და მყოფადს გამზერს
ფესვებგადგმული
სასწაულად
კედელზე სოჭი!

3
განა თოვლი? –
ზამთრის ფუტკრის ფრთები ცვივა,
განა ბროლი? –
ცხრა ცისაა ანაცერი.
მწვანე ჯეჯილს თეთრ საბანში არა სცივა,
გაზაფხული ეზმანა და
ცას ასცქერის.

4
არც ხაიამის,
არც საადის,
არც პერსი შელლის, -
ეს საკუთარი გულის ხმაა,
ახლა რომ მესმის.
ციცინათელას კვეს-აბედის
თუ ბურბუშელის
შრიალით მოდის
ასხლეტილი სულიდან ლექსი.

## ისხარი

მალე გაწუწავს
მწვანე კორდებს ჩქარი ისხარი –
წვიმა,
რომელიც მარბიელის
მსგავსად იჩქარის!

წვიმა გვალვაში
ორჯერ უფრო სანატრელია.
მას ხომ ლოცვებით,
შესაწირთა გობით ელიან.

მოშხაპუნდება,
დაგვასველებს
თბილი ისხარი, -
ყაყაჩოების საყვარელიც
და მოსისხარიც.

... დღესაც მოვიდა,
მოცქრიალდა
წვიმის ხსენებით, -
ტყეში შეგვრეკა
ნაწნავსველნიც,
ქოჩორსველებიც...

... და სველნაწნავამ
გულით მითხრა:
ჩემო ცისკარო,
სიზმრებში ვისაც დავეძებდი,
სწორედ ის ხარო...

მადლი შენს მოსვლას,
სიყვარულის ტკბილო ისარო,
გაბუტულების შერიგების
წვიმავ – ისხარო!

## SOS

SOS-ი გაისმის შორეული ოკეანიდან
და ბზარავს გულებს –
მინდობილებს ზღვათა სტიქიას...
უცებვე შეწყდა,
ჩაახრჩო გემი ამინდმა?!
უფალმა უწყის,
ამის შემდეგ ვისი რიგია.

მივაპობთ ტალღებს...
თოლიები სხედან გემბანზე,
მაღალი ანძა ქანდარაა მნათობისათვის...
შემხვედრ თეთრ გემებს მე ვადარებ
''ვერცხლის ემბაზებს'',
გამზადებულებს ეკვატორულ ნათლობისათვის...

და მტკივა გული,
შორეული სხვა ისმის SOS-ი.
უჭირს ვიღაცას, სიბნელეში ხელს აფათურებს.
ჩასაფრებული ჯადოქარი და ტარტაროსი
უფსკრულისაკენ აცდუნებენ გემის ნათურებს.

სველმა ქარებმა გადარიეს წყალთა სამყარო,
თვით ნეფტუნია
მოვარდნილი ტალღა ნებაზე...
''ხმელეთის მაცნე'', - ალბატროსი –
მსურს შევადარო
მფარველ ანგელოსს –
მოსულს SOS-ის გაგონებაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*დავით ტაკიძეს 50 წელი შეუსრულდა; ჟურნალ „ცისკრის“ რედაქცია ულოცავს პოეტს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და მკითხველს სთავაზობს მის ახალ ლექსებს.*

# დავით ტაკიძე



●

თითქოსდა ქარებს საფეთქელს ვახლი,
რომ ვრჩები მარტო და გარიყული,
სავსეა წვიმით მშობლების სახლი,
ობოლ ბავშვივით ტირის რიკული.
ამწეწავს ფიქრი და ბნელი ქუჩა
უსასრულო გზით სოფლისკენ მიდის,
მე ვხედავ, ჩემკენ მორბის ალუჩა,
ხელებს საყვარელ ქალივით მიწვდის.

●

*შოთა ნიშნიანიძეს*

ეპატარავათ მისთვის დიდუბე,
ვერ გაიმეტეს შურით მთაწმინდა,
მან დადო თავის დაღლილი ტორი,
შორ და იდუმალ დროში წავიდა.
ვერ დაიტია სული სხეულმა,
ნისლივით მშვიდად წავიდა ცაში,
ატირებული მეტაფორები
ბრმა ლეკვებივით ყმუოდნენ ქარში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

შენ დგახარ ზღურბლზე მთელი სიცოცხლე,
ფიქრია უნდო ხვალით და ზვალით
და იზომება შენი ცხოვრება
ღვინით და პურით, მიწით და ქალით.
იციან მტრებმა, რომ სიჩქარეში
გიმეორებენ წლები შეცდომებს,
და სხვისი ცრემლი ართობდათ მარად,
ვინც უფლის მაღალ სახელს შესცოდეს...
სტუმრები... ჭაღი... მაღალ ჭერს იქით
უცხო მგზავრთათვის დიდდება მთვარე,
დაგვიანებულთ ხვდებიან რიდით,
შენ გიხურავდნენ ყოველთვის კარებს...

●

აქეთ – მე, იქით – ისინი,
ძერამსგავსნი და მგლისინი,
მესმის მე მათი სისინი
და ყბამოღრეცით ღლიცინი;
იმათ ჰგონიათ, მე მმტრობენ,
მე კიდევ მათზე ვიცინი...

●

ვერ გიერთგულე, ვიყავ ჯალათი,
ვერ ვიგრძენ შენი ერთადერთობა,
მხრებზე მოსხმული ცოდვის ხალათით
კართან ვდგავარ და ვითხოვ შენდობას.
ჯიუტ სიტყვასთან მერგო წაწლობა,
ნისლებთან ახლო ვისურვე ბინა,
ცასთან მუდმივი მქონდა ნათლობა,
უფლის დუმილი რომ მომესმინა.
მაგრამ მიწაზეც მედგა ხელადა,
ევას მწყურვალე ვნებით ნამული,
ქალებთან ფლირტით შემრჩა სევდა და
გედებგაფრენილ ტბის სინანული.
ავგულ ცხოვრებით ასე დაღდასმულს,
ქარებს კაბის ფულს რომ ესესხები,
ბარბაროს წლებით სხეულდაქანცულს
სულს თუ გითბობენ ჩემი ლექსები.

ეს ოცი წელი, ოცი ბორკილი
თუ ზეცის თაღზე ბუდე ოცნებით,
სტრიქონში ჯვარცმა მქონდა მოსჯილი
და მოჩურჩულე ქარში ლოცვები.
ახლა რა დარჩა, დღე საჯილდაო
და პარნასისკენ დაძრული ლოდი,
ჩვენი თამუნა და ჩვენი დათო,
ჩვენი გვირილა და მუხის ტოტი...

●

ჩამოვრჩი ამქარს, კუსავით ნელა,
ძლივს ვეჭიდები დაკბილულ კბოდეს,
ნეტავი, საგზლად დედის ლოცვა და
განთიადების ხანძარი მქონდეს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

სოფლის ბოლოში ხმამდუმარი ბერი ტაძარი
თვლემს და გულფრესკებშემოძარცულ
ტკივილებს ნაღვლობს,
გახსოვს? იმ ზაფხულს გახოტრილი ჭალის ხედები,
მზე დასწოლოდა ჰორიზონტთან
კუზიან მაღლობს.

ვთიბეთ და ვთიბეთ აფოფრილი
ძნები გუნდებად,
შუადღეს ედო ალხი ივლისის,
გაითიბება ჩვენი წლებიც,
წავლენ ნისლებად,
ხვალ კი რა გველის,
მამავ, ვინ იცის?!

უცნაურია, ამ ცხოვრებას კუპრის ნახარშში
როგორ გვეზრდება ეკლებივით
არსობის შიში,
მამა, რამდენჯერ გამიჭირდა
ამ ცივ ქალაქში,
ამ ყრუ ბეტონით გადატიხრულ
საკნების ჩრდილში...

იქნებ, უბრალო, სულ უბრალო,
წმინდა რამეა,
ასე აზარტით რომ დავეძებთ
სიზმრად თუ ცხადში,
გრანელის ცრემლი ყველა ცრემლზე
უფრო მწარეა,
როცა გარდაცვლილ ტაძარზე ფიქრს
დავიწყებ, მაშინ.

- მამა, ანბანიც ვერ გავუგე,
მე ამ ცხოვრებას...

●

ხმაური შეწყდა. სიჩუმე – ქუჩის
სხეულში ატანს, მღვრიე და ბლანტი.
და საფრთხობელა ვიტრინებს იქით
მოძრაობს ჩრდილი, საშინლად ზანტი.
პასეანსს გაშლის ნაცნობი ქალი,
დივანზე – პენსნე, „მალბორო", კარტი,
გკლავს უძილობა, გადაშლი წიგნებს,
ს.კირკეგორი, ლესინგი, კანტი.
გარეთ კი იცდის დასჯილ ბავშვივით
აბეზარი და სულელი მარტი.

●

აქ დასანანი შენ მრჩები,
ცა კიდევ – საყდრად მდუმარი,
მე ვინ ვარ?! წუთისოფელის
გზაარეული სტუმარი...

●

ღამეს ხორცი ისე, როგორც
უფალს სული აბარია,
ზამთარია, მალე მოთოვს,
ყინვისგულა ზამთარია.
ხეებს თოში, მინებს ჭირხლი,
ბერი მუხაც გამხმარია.
გაღმაა და ქარაშოტი,
გამოღმაა – ავქარია.
იტყვის კაცი, საქმე ჩვენი,
ვიცი, უკვე წამხდარია.
ეს ქარები ასე უმალ
მაინც რაღამ გადარია.
სხივიც არ ჩანს გაზაფხულის,
გულის ძარღვიც ჩამწყდარია.
ჩვენ რომ გვხრავს და
ჩვენ რომ გვახრჩობს,
ეს ოხერი ზამთარია.

●

ბალბას და იონჯას, რა ხანია,
ავად დაუწყიათ შეღერება,
ქვეყანა იმდენჯერ აყირავდა,
მე რაღა მელექს-მემღერება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზაზა ქინქლაძე

# ლტოლვილი ციდან



სოხუმის აეროდრომიდან ქართველი ბავშვებით, ქალებით და დაჭრილებით დატვირთული თვითმფრინავი მძიმედ აფრინდა და რუსების სამხედრო ბაზაში ლოკატორის ეკრანს მიჩერებულ ოპერატორს ირონიულად გაეღიმა:

- ითესებიან! — გავაყოლოთ რაკეტა, ამხანაგო ლეიტენანტო?

- ბრძანება არ არის სამგზავრო თვითმფრინავების ჩამოგდებაზე. — თქვა ოფიცერმა და ჩაფიქრდა, - აფხაზებს შევატყობინოთ.

●

თორმეტიოდე წლის გოგონა დედასთან ერთად ილუმინატორთან მიჭუჭკულიყო. ხალხით გაჭედილი პორტი ნელ-ნელა პატარავდებოდა, - ჯერ სახეები გაქრა, შემდეგ — ხელები, ბოლოს შავი სილუეტებიღა დარჩა. ალბათ, ასეთი კადრებია მაშინაც, როცა სულები ტოვებენ წუთისოფელს.

მალე ნისლი გადაეფარა სანაპიროს.

- მამიკო აღარ ჩანს! — ნაღვლიანად თქვა ნატამ, - ჩემი მამიკო!.. ნეტავ, მალე ვნახავთ?

- რა თქმა უნდა, შვილო, როგორც კი მოიცლის, დაგვხედავს.

- თბილისში დავებინავებინეთ და შემდეგ დაბრუნებულიყო აქ.

- ექიმია, დღედაღამ დაჭრილებში ტრიალებს, ვერ მოახერხა.

ბავშვმა ბურუსიან ცას ახედა, პირჯვარი გადაიწერა და თქვა:

- ღმერთო, კარგად მიმყოფე მამიკო და ყველა ჩვენიანი.

- აფხაზებშიც ბევრი ახლობელი გვყავს, მაგრამ... ეჰ, ჩვენი ცოდვა მიეცეთ ამ ომის ამტეხებს.

●

აფხაზმა ოფიცერმა ყურმილში ჩასძახა:

- რაო? ქალები და ბავშვებიო?.. ნაძარცვიც ბლომად ექნებათ შიგ!.. ერთი მათი!.. გაუშვით ახლავე რაკეტა!

●

ბორტინჟინერი გამტკნარებული სახით გამოვიდა კაბინიდან და თვალი მოავლო გაჭედილ თვითმფრინავს, მზერა ახლოს მყოფ ნატაზე შეაჩერა, მიიჩოჩა, დაიხარა და ჩუმად უთხრა დედას:

- ჩააცვი ეს პარაშუტი ბავშვს... ბედი ჰქონია, ლუკთან რომ ხართ. თუ რამე მოხდეს, ეგ სახელური გამოწიე, კარი გაიღება, რგოლი ამ კაუჭს გამოსდე და გადაახტუნე!

- ვაიმე, რას ამბობთ? — აღმოხდა ქალს.

- ჩუ! — თვალები მიმოავლო პილოტმა, - არ გაიგონ, თორემ დაგახრჩობენ ამ პარაშუტისთვის... ერთადერთია მთელ თვითმფრინავში. — და კაბინაში შებრუნდა.

მგზავრები ილუმინატორებს მიჰკვროდნენ და ყურადღება ამ საუბრისთვის არავის მიუქცევია.

- რაღაც თეთრზოლიანი მოფრენს ჩვენკენ! — იყვირა ერთმა დაჭრილმა, - აუუ! რაკეტაა!..

საშინელი წიოკობა ატყდა. ძრწოლის, რისხვის, განწირულების ენერგიამ თითქოს გაბერა თვითმფრინავის კედლები და, სადაცაა, გასკდებოდა.

- ჩქარა, გენაცვალოს დედა, გაუყარე ხელები!.. არ შეშინდე, შვილო, თუ მოგვარტყეს, უნდა გადახტე!

- ვერა, დედიკო, უშენოდ ვერა!

- მერე მოგნახავთ, შვილო, ჩვენ წყალზე დავჯდებით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგვეშველებიან და გიპოვით!

ვიღაცამ რევოლვერი ისროლა. წამით მიჩუმდა თავგზააბნეული ხალხი.

- ნუ ღრიალებთ!.. იქნებ, აგვცდეს!

მაგიურად იმოქმედა ამ სიტყვებმა. ყველა ილუმინატორებს მივარდა.

- ჩვენკენ მოდის!..

- ღმერთო, გვერდზე გაუხვიოს!..

- აი, თითქოს გეზი იცვალა...

- ისევ ჩვენკენ მობრუნდა!..

- მოგვიახლოვდა!.. ვაი!..

მძლავრმა შერყევამ ყველა ერთმანეთში არია. თვითმფრინავის კუდზე კვამლი ავარდა, თითქოს გველეშაპი ფასკუნჯს ჩააფრინდაო, ნელ- ნელა ზღვისკენ დაეშვა საჰაერო ხომალდი.

ბორტინჟინერი მეგაფონით შემოვარდა სალონში და მთელი ხმით იყვირა:

- ნუ პანიკობთ! ვეცდებით, წყალზე დავსვათ, არ იმოძრაოთ, ისედაც დაკარგულია წონასწორობა!

შეუბრალებლად ახლოვდებოდა ზღვის ზედაპირი. ვინ იგინებოდა და ტიროდა, ვინ ლოცულობდა და ცახცახებდა.

- რაღას უყურებ? ჩქარა გადაახტუნე! — ბორტინჟინერმა ლუკი გამოაღო.

- აბა, შვილო! — დედა ნატას ჩაეხვია.

- ვერა, დედიკო, შენც გადმოხტი!

- არ შეიძლება, ორივე დაიღუპებით, - პარაშუტის კაუჭი გაამზადა პილოტმა, - ჩქარა, თორემ გვიან იქნება!

რომელიღაც ჯინსიანი, შავსათვალიანი, ავტომატიანი ახალგაზრდა მოჩოჩდა და იყვირა:

- ეგ მაინც დაიმტვრევა დაშვებისას, მოიტა, მე გადავხტები, მეც ახალგაზრდა ვარ!

- მომშორდი! — ხელი ჰკრა ბორტინჟინერმა.

- დედას გიტირებ! — ავტომატის შეყენება სცადა ბიჭმა, მაგრამ პილოტმა შემართული რევოლვერი შუბლზე მიაბჯინა.

ამის შემყურე დედამ შვილი უმალ ლუკთან მიიყვანა, მაგრამ ხელი კი ვერ ჰკრა.

- ეჰ! — პილოტმა უბიძგა გოგონას.

თითქოს მკივანი ანგელოზი ჩაფრინდა დაბლა. პარაშუტი წყლის ზედაპირიდან ორასიოდე მეტრზე გაიშალა და სუსტმა ქვენა ქარმა ნაპირისკენ წაიღო. გოგონა კვამლსა და ცეცხლში გახვეულ თვითმფრინავს თვალს არ აშორებდა.

- ღმერთო, მშვიდობით დასვი... ღმერთო, შენი ჭირიმე!..

●

- კარგად მოიხარშებიან! — ღიმილით შეჰყურებდა აფსუა ჯარისკაცი ალმოდებულ თვითმფრინავს ბორცვიდან, - შეხედეთ, ერთი პარაშუტით გადმოხტა! აქეთ მოაქვს ქარს! შევეგებოთ!

- ნისლში არ დაგვეკარგოს, აჯობებს, მისიანების გზას გავუყენოთ! — მეორე ჯარისკაცმა ავტომატის ჯერი დაცალა.

- ალბათ, დაიბრიდა! მაინც დავხედოთ! — თქვა ჩეჩენმა.

თვითმფრინავი ცეცხლმოდებული ჯვარივით ჩავარდა ზღვაში და აფეთქდა. გოგონამ ყველაფერი დაინახა, ქვიშაზე დავარდა და გონი დაკარგა.

ფაფახიანი ჩეჩენი და ორი ახალგაზრდა აფხაზი მიადგნენ ნატას.

- ქალია? — ერთი დაიხარა და შეანძრია. — ნატყვიარები არ ჩანს.

- ქალი კი არა, წიწკვია, - თქვა მერე აფსუამ, - ძუძუები ახლად წამოკოკვრია, კარგი რამეა.

- ბავშვია, - თქვა შუახნის ჩეჩენმა, მათარიდან წყალი პეშვზე დაისხა და ასხურა.

ნატამ თვალები გაახილა, მიიხედ- მოიხედა, ჯარისკაცების დანახვაზე გაიღიმა, წამოიწია და ჩეჩენს ჰკითხა:

- ძია, თეიმურაზ ოდიშარიას, მამაჩემს, ალბათ, იცნობთ, იგი სამხედრო ექიმია.

- ადგომა შეგიძლია? — რუსულად ჰკითხა ჩეჩენმა და ხელი შეაშველა.

გოგონა ყველაფერს მიხვდა, გაფითრდა, შიშისგან მოიბუზა, შემდეგ ზღვას გახედა, ყოველივე გაახსენდა და აქვითინებულმა ხელებში ჩარგო სახე.

- ისინი აფეთქდნენ!.. აფეთქდნენ!

- იმათ არაფერი ეშველება. — ჩეჩენმა ხელი მკლავში გამოსდო, გზაზე გაიყვანა.

- საით? — ჰკითხეს აფხაზებმა.

- საზღვარზე, - თავისიანებში გავუშვებ. თქვენ ბანაკში წადით, მალე დავბრუნდები.

ახალგაზრდა აფსუა უტიფრად ათვალიერებდა გოგონას.

- წამო, - უთხრა მეორე აფხაზმა, - ეგ მართლაც ბავშვია.

- ბავშვი არა... თანაც მგლის ლეკვი მგლად გაიზრდება, მტერს მტრულად უნდა მოექცე! მუსა, მოდი დავიტოვოთ ცოტა ხნით!

აცახცახებულმა ნატამ, ძალაუნებურად, ხელი მკლავზე მოუჭირა მფარველს.

- ნუ გეშინია, გოგონი. — დამტვრეული ქართულით თქვა მუსამ, შემდეგ ახალგაზრდას მიმართა რუსულად:

- შენ მართალი ხარ, მტერს მტრულად უნდა მოექცე, მაგრამ არც ის უნდა დაივიწყო, რომ ყველა დედის მუცლიდან ვიბადებით! მე ამხელა შვილი მყავს...

ძარიანი მანქანით ერთ საათში საზღვართან იყვნენ, შლაგბაუმიან ხიდზე ჩეჩენმა ქართველებისკენ გაუშვა გოგონა. შუა ხიდზე ნატა მოტრიალდა, შეშინებულმა შეხედა ავტომატიან აფხაზებს, შემდეგ მუსას მიაპყრო თვალები და გაუღიმა.

- წადი! მშვიდობით! — ხელი დაუქნია მეომარმა.

●

სხვებთან ერთად სამხედრო ექიმმა თეიმურაზმაც უყურა თვითმფრინავის დაღუპვას და გოდებით ჩაემხო ქვიშას, - ცრემლის გემო ჰქონდა ზღვის მინას. მას შემდეგ მის გულს სიხარული არ უნახავს, გაბოროტებული და შურისძიებით აღვსილი შემდგომში ხშირად დაჰყვებოდა საბრძოლო ოპერაციებში თანამემამულეებს. ერთხელაც, სექტემბრის გადამწყვეტი შეტევის ჟამს, ჭურვის აფეთქების ტალღამ შორს მოისროლა დ გონება დაკარგა. როცა გამოფხიზლდა, დაჭრილი და კონტუზირებული ტყვედ წაიყვანეს სეპარატისტებმა.

●

ლტოლვილების დიდმა ტალღამ გოგონას ანაფოტებული ბედი თბილისში ჩამოიყოლა, უნათესავო და უპატრონო თავიდან რკინიგზის სადგურს შეეფარა. როცა მეტროს დარბაზში ფანდურზე მომღერალი პატარა ბიჭუნა და მის ფეხებთან ხურდა ფულით მოფენილი ჯამი ნახა, შიმშილით შეწუხებულმა ინატრა, ნეტავ, პიანინო მომცა აქ, მეც დავუკრავდიო. ხელგამოწვდილი მათხოვრების დანახვაზე დახმარება მოუნდა, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისი ბედი რომ გაახსენდა, უმწეობით და უიმედობით მერამდენედ აუწყლიანდა თვალები.

ბავშვთა უნივერმალის წინ ქვის მოაჯირზე შემომჯდარი თანატოლი, ცისფერთვალება, ქერათმიანი ბიჭი მადიანად ილუკმებოდა იაფფასიან ხაჭაპურს და ფეხებს ოდნავ ათამაშებდა. ნატას თვალები გაექცა მისკენ და ბიჭუნამაც უმალ შეამჩნია.

- მოდი!.. მოდი, ნუ გეშინია!

- სულაც არ მეშინია! — ეწყინა ნატას.

- ამას რა სჯობს. — გაეცინა თენგოს, - ალბათ, შენც ლტოლვილი ხარ.

- ჰო!

- საიდან?

- გაგრიდან. შენ?

- სოხუმიდან!

- არავინ დაგრჩა?

გოგონამ თავი გადააქნია.

- მეც!.. აჰა, გამომართვი! ჩვენებურ ხაჭაპურს ვერ შეედრება, მაგრამ შიმშილს მაინც ჩაგიცხრობს... აილე!

გოგონა დააცხრა საჭმელს. ბიჭი ნაღვლიანად შეჰყურებდა.

- რას აპირებ?

- არ ვიცი.

- მე ვიცი: ბაზარში ზოგიერთს ტვირთის წაღება უნდა და გასამრჯელოს იძლევა. შეიძლება ცელოფანის პარკები, სიგარეტი, „ბორჯომი" ან, სულაც, ხილი ვიყიდოთ იაფად და ძვირად გავყიდოთ, თუ ადრე დილით გაღვიძება არ გეზარება. ათასი რამეა, ბოლოსდაბოლოს, ვილაცას რამეს ავწაპნით! — ბიჭმა გამომცდელად შეხედა.

- რას ამბობ? — შეცბა ნატა.

- ვიხუმრე! — წამო, რამეს მოვახერხებთ, მე თენგო მქვია.

- მე — ნატა.

●

გოგონა ისე ჩაჰყვა ახალი ცხოვრების ტალღას, როგორც ადიდებულ მდინარეში მოხვედრილი დაღლილი მოცურავე დინებას. განაპირება ეწადა, გულში რაღაც უკვნესოდა, - ეს არ ჰგავდა ადრე ნაოცნებარ მომავალს. თბილისში ჩამოსვლა მას წარმოედგინა კონსერვატორიის სტუდენტობის ბედნიერ ხანად, წარმატებულ კონცერტებად, სიმღერებად, სიხალისედ, მისი ნაოცნებარი ორკესტრის ჰობოს წკრიალი მატარებლების კივილმა შეცვალა, ვიოლინოსა და ჩელოს ჟღერა — ტროლეიბუსების ბიგელების სრიალმა, საყვირების ხმა — მანქანების სირენებმა, თაყვანისმცემელთა გუნდი კი მოზიმზიმე, გულგრილმა ბრბომ. ნატო გრძნობდა, რომ უნდა გაქცეოდა ყოველივეს, მაგრამ როგორ, საით?

დიდხანს ეძებდა მამის კვალს, მაგრამ უშედეგოდ. იმედი კიაფობდა გულში, იქნებ, ცოცხალია და როგორმე მომანვდინოს ხმაო, მაგრამ ერთ დღეს თანაუბნელ მეზობელს, დახეიბრებულ პედაგოგს შეხვდა და მან ის იმედიც ჩაუქრო:

- ჩემი თვალით ვნახე, შვილო, ჭურვმა მოკლა, გვერდით ვიყავი, სანამ გონებას დავკარგავდი, თავად ბეწვზე გადავრჩი, ფეხი იქ დავტოვე...

მეზობელმა ის მოუხერხა გულმოკლულ გოგონას, რომ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დააკავშირა. ნატა უპატრონო ბავშვთა სკოლაში მიაბარეს, სხვა თანატოლებთან ერთად საერთო საცხოვრებელშიც მიუჩინეს ბინა. ზოგჯერ დახედავდა ხოლმე მეზობელი, ერთხელაც ასე დაარიგა:

- შვილო, უნარიანი გოგონა ხარ, უნდა იბეჯითო და გაიტანო თავი, არ აჰყვე ქუჩას!

- რატომ დაგვემართა ეს ყოველივე? რა დავაშავეთ, ძია ვახტანგ?

ხეიბარს ნაღვლიანად გაეღიმა:

- ეს კითხვა მას შემდეგ აწვალებს კაცობრიობას, როცა პირველი ომი მოხდა. ამბობენ, სულ თოთხმეტი ათასი იყოო. აფხაზებს რომ ჰკითხო, თავიანთ სამშობლოს იცავენ, ჩვენც ამასვე ვამბობთ, რუსები თავიანთი სახელმწიფოს ინტერესებს იმიზეზებენ, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია კი — მსოფლიო მშვიდობასა და პროგრესს. ჯვაროსნები ერთ დროს ქრისტეს საფლავის განთავისუფლებას იმიზეზებდნენ, როგორც მუსლიმანები — მუჰამედის მცნებებს. კომუნისტები, ხომ გახსოვს, მსოფლიოს ხალხთა თანასწორობასა და ძმობას გაჰყვიროდნენ! ხედავ, რა ლამაზ, წმინდა სახელებს იგონებენ ადამიანები თავიანთი მიწიერი ზრახვების შესანიღბად? ყველა ვითომც და წმინდა ომი ბინძური მიზნების მისაღწევად ხდება, - კუჭი და ფული ჰქვია ამას! განსხვავება იმაშია, რომ ზოგიერთი ძალზე ბევრ ქონებას იმარაგებს, ზოგიც — ზომიერად, უმრავლესობა კი ჩვენს დღეშია. რაღა ბევრი გავაგრძელო და კაცობრიობის ისტორია ქონების გადანაწილებისთვის გამუდმებული ბრძოლაა... ცოტა ადრე კია შენთვის ამის გაგება, მაგრამ ასეა და გახსოვდეს, შვილო!

- მაშინ ამდენი მშვენიერი სიმღერა, ნახატი, ლექსი, ქანდაკება, ლოცვა და ფილმი რაღაა? რისთვის გვჭირდება? ნუთუ არაფრისთვის?

კაცი შეცბა, თავზე ხელი გადაუსვა და უთხრა:

- მართალი ხარ, ნატა, შორს გავუტიე... კაცობრიობას იმედი აცოცხლებს, - ყველაზე ლამაზი და სასურველი მატყუარა! იმედი არ გადიწყვიტო!

- სიზმრად მაინც ვნახო დედა და მამა. — ნაღვლიანად თქვა გოგონამ.

- ნახავ, შვილო, უსათუოდ ნახავ.

●

ნატას თენგომ გამოუარა და ამხანაგებთან წავიდნენ სადგურის ბაზრობაზე. ერთი წელი გასულიყო, რაც დედაქალაქში იმყოფებოდა, ახალნაცნობთა წრე გაიზარდა. ერთ- ერთი მათგანი სამი წლით უფროსი, სხეულდასრულებული, გამომწვევი გარეგნობის, ობოლი ქალიშვილი ხათუნა იყო, რომელსაც ხშირად ეარშიყებოდნენ მაღაზიების მეპატრონეები და ბაზრის გამყიდველები. ნატა რომ მის გვერდით დაინახეს, ისიც კალთამსუბუქი ეგონათ.

თენგო ნაცნობს გამოელაპარაკა და ჩამორჩა.

- ხედავ, როგორ მევლებიან თავს ეს ახვრები? — უთხრა ხათუნამ ნატას, - კარგი დრო რომ იყოს, ამათ ზედაც არ შევაფურთხებდი, ახლა ჯიბის ფულს დავეძებ.

ერთმა ჭარმაგმა, ბუღასავით ჩადგმულმა კაცმა დოლარების დასტა დაანახა ნატას და თითი დაუქნია.

- დაევასე, ვალუტჩიკია, ბევრი ფული აქვს, შენთვის, ალბათ, ბევრს გაიმეტებს.

- რას ამბობ? — გაფითრდა ნატა.

- მონაზვნობას ხომ არ აპირებ?

- რას მიჰქარავ? — თავზე თენგო წამოადგა.

- თორემ შენ სხვა რამისთვის აეტორღიალე ამას?

- მოკეტე!

- შენთან რა ხეირია, წესიერ სადილს ვერ აჭმევ ქალს! იმას კი შენზე არანაკლები აბია და ზედ ფულებიც ასხია.

- ახვარი ხარ! წადი შენი!.. — შეაგინა ბიჭმა, - წამო, ნატა!

გოგონა უხმოდ გაჰყვა.

- ეი, თენგოჯან, აქ მოდი! — ჯიხურიდან დაუძახა

ბიბლიოთეკა

სქელუამ.

- არ მიხვიდე. — ხმა აუკანკალდა ნატას.

- ახლავე მოვალ, ნაცნობია, საქმე ექნება. — ამხანაგი ჯიხურთან მივიდა.

გოგონა შორიახლოს დადგა და შეამჩნია, როგორ შეეცვალა მოღიმარე სახე ბიჭს, როგორ მოაწვა სისხლი თვალებში, განსაკუთრებით მაშინ, როცა კაცმა ოცდოლარიანი გამოუწოდა.

- შე დამპალო! — თენგომ სახეში ესროლა ფული.

- ოხ, შენი! — კაცი ჯიხურიდან გამოვარდა და დაეძგერა ყმაწვილ კაცს.

ნატო აკივლდა. ხალხი აჩოჩქოლდა, მოჩხუბართა ირგვლივ მოგროვდა.

საიდანღაც უბნის ინსპექტორი და ვიღაც პოლიციელი გაჩნდა.

- რა ხდება? რა გაჩხუბებთ?

- ფულს მპარავდა ეს მამაძაღლი! — იცრუა მეჯიხურემ.

- სტყუის! თვითონ შემომთავაზა!

ვიღაცას გაეცინა, თენგომ დაბნეულად შეხედა და თქვა:

- ჰო, მართლა ასე იყო!

- მაშინ ისიც თქვი, რატომ შემოგთავაზა? — მკლავში ხელი მოავლო პოლიციელმა.

ბიჭმა წამით ნატას გახედა და არაფერი თქვა.

- ჰო, გვითხარი ერთი, რატომ შემოგთავაზა?.. შენ გვაჭმევ ჩვენ? აბა, წავედით განყოფილებაში, იქ გავარჩიევთ ყველაფერს!

- ეს კახპაც მაგასთანაა! — თქვა სქელუამ და ბოღმით ახედ- დახედა გოგონას.

- უჰ, შე ხვადაგო! დამაცა! — კბილებში გამოცრა თენგომ.

- ემუქრები კიდეც, შე ლაწირაკო? ესეც წამოიყვანე! — ნატაზე მიუთითა უბნის ინსპექტორმა ამხანაგს.

მეჯიხურე, სხვა წვრილ საქმოსანთა მსგავსად, წილს აძლევდა პოლიციელებს და ამიტომაც ყასიდად უთხრეს;

- შემდეგ შენც გადმოდი, ჩვენება დაწერე!

- კარგი, უფროსო!

პოლიციაში ბევრი ამტკიცეს თენგომ და ნატამ თავიანთი უდანაშაულობა, მაგრამ არავინ დაუჯერა, ორი კვირით არასრულწლოვანთა საკანში გადაგზავნა დაუპირეს. დერეფანში რომ ჩაატარეს, ნატამ უფროსის კაბინეტის გამოღებულ კარში პიანინოს მოჰკრა თვალი. ეს მოულოდნელი ინსტრუმენტი შემთხვევით აღმოჩნდა იქ, - პოლიცია ახლად გარემონტებული, ყოფილი მუსიკალური სკოლის შენობაში გადმოვიდა იმ დღეებში და პიანინო მალე უნდა გაეტანათ!

თითქოს ვიღაცამ ხელი ჰკრაო, ოთახში შევარდა გოგონა, პიანინოს თავი ახადა და ბეთჰოვენის „აპასიონატა" ააგუგუნა, თან აცრემლებული გაჰყვიროდა:

- არა ვართ დამნაშავენი!.. არა ვართ დამნაშავენი!

- გაგიჟდა? — რამდენიმე ნაბიჯით წინ წასული მეთვალყურე მობრუნდა, ოთახში შევიდა, ჯერ გოგონასკენ გაიწია, მაგრამ უფროსის გაოცებულ თვალებს და შეყოვნების ნიშნად აწეულ ხელს რომ შეხედა, უმწეოდ გაჩერდა.

ნატო თავგანწირულად, მთელი მონდომებით უკრავდა, დიდი ხანია, ინსტრუმენტთან არ მჯდარა, რამდენიმე ბგერა თავიდან შეეშალა, მაგრამ შემდეგ უპოვა ღარი სულის აბობოქრებულ ნაკადს.

ტუჩებდალილავებული თენგო აეკრო კარებს და თვალებში სხივჩამდგარი შეჰყურებდა გოგონას.

როცა დაკვრა დაასრულა, თავჩახრილი ნატას თვალებიდან კურცხალი დაეცა კლავიშს, თავი ნელა აიღო და თქვა:

- ძია, ჩვენ არა ვართ ქურდები და მაწანწალები!..

- რა მოხდა, შვილო? — ჰკითხა პოლიციის შეფმა.

- მევალუტეს ფულს ჰპარავდნენ, უფროსო! — დაასწრო ბავშვს ინსპექტორმა.

გოგონას თვალები აენთო:

- სიცრუეა!

- ის კაცი არ იცრუებდა!

- აბა, გეყოფა! — თვალები დაუბრიალა შეფმა თანამშრომელს, შემდეგ ნატას მიუბრუნდა:

- თქვი სიმართლე...

ცოტა ხანში გურამ ჩხეიძემ თენგო გაათავისუფლა, ინსპექტორი კარგად შეახურა, ხოლო ნატა თავისთან წაიყვანა. შუახნის კაცს ერთადერთი შვილი ჰყავდა, თერთმეტი წლის თამუნა, რომელსაც ლეიკემია სჭირდა, ისიც მუსიკალურ სკოლაში სწავლობდა. ნატას უეცარმა მოვლინებამ და მუსიკალობამ, ლტოლვილობამ გული შეუძრა გურამს, მამობრივი სიყვარული იგრძნო ბავშვისადმი.

●

იმ დილიდან წაღმა დატრიალდა ნატას ბედის ბორბალი, თამუნასთვის უსაყვარლეს დობილად, მისი მშობლებისთვის კი იმედის შუქურად იქცა. დედაქალაქის საუკეთესო სკოლაში და მუსიკალურ სასწავლებელში გადაიყვანეს, ჩააცვეს, დაახურეს. ნიჭიერი ბავშვი თითით საჩვენებელი მოწაფე გახდა. სამწუხაროდ, სრული ბედნიერება არც მას ეწერა და არც ახალ მფარველებს, - თამუნას სნეულება დღითი დღე სძალავდა, რა არ იღონეს, ვის არ მიმართეს, მაგრამ ვერაფერს გახდნენ.

ერთხელაც, ტკივილებისა და გამთანგველი სიცხის მორიგი შემოტევისას, ძლივს რომ თვალებში გამოიხედა, თამუნამ ნატას სთხოვა:

- დაიკო, დაუკარი რამე!

ბავშვმა პირველად მიმართა ასე ლტოლვილ დობილს. გურამს ყელში ბურთი მოაწვა, ელენე ატირდა და მომაკვდავი ქალიშვილის ხელებს ჩაეკონა.

ნატა იმ დღეს უფრო გულმდუღარედ უკრავდა, ნოქტიურნი ხომ ცას და მიწას შესძრავდა — ლისტის „სიყვარულის ვნებანი".

"დაიკო, დაუკარი რამე!.." თამუნას უკანასკნელი სიტყვები აღმოჩნდა და ნატას შვილობაც გადააწყვეტინა მგლოვიარე მშობლებს.

ზედმეტია იმის აღწერა, თუ როგორ ევლებოდნენ თავს ახალ შვილს, როგორ ცდილობდნენ მის ირგვლივ მზიანეთის გაჩახჩახებას. რა კარგად უთქვამს ტოლსტოის: „ყველა ოჯახი ერთნაირადაა ბედნიერი, ხოლო უბედურია თავისებურად". ჩემო მკითხველო, სულით და გულით მინდოდა, ამით დამესრულებინა ეს ნაღვლიანი ისტორია და დამესვა ბოლო წერტილი, მაგრამ... ოჰ, ეს მაგრამ ბედისწერის წარამარაობისა.

●

ორი წლის შემდეგ, როცა ნატამ კონსერვატორიის მისაღები გამოცდები წარმატებით ჩააბარა და დიდი ბანკეტი გაიმართა ჩხეიძეების ოჯახში, ვიღაც ჭაღარაშერთულმა, გამხდარმა, სახეზე ტანჯვის დამღადაკრულმა უცნობმა კაცმა კარებზე დააკაკუნა:

- გისმენთ. — ელენემ ახედ- დახედა დაუპატიჟებელ სტუმარს.

- ნატა ოდიშარია აქ ცხოვრობს? — თავი ოდნავ უკანკალებდა უცნობს.

- დიახ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

- თუ შეიძლება, მანახეთ!

- მობრძანდით. — ქალი ჰოლში შეუძღვა, - დღეს ბედნიერების დღეა, ნატა სტუდენტი გახდა. გურამ! — ქმარს უხმო.

- მობრძანდით, ბატონო! — პოლიციის უფროსმა ხელი ჩამოართვა სტუმარს, - ალბათ, ნატას სოხუმელი ნაცნობი ხართ?

- დიახ... - თვალები სტუმრებისკენ გაექცა კაცს, - სად არის?

- ახლავე! ნატა! — შვილობილს გასძახა გურამმა, - შენ გკითხულობენ!

ქალიშვილი ჰოლში გამოვიდა და უცნობს შეხედა თუ არა, გაფითრებული ჩაიკეცა. სტუმარი სხვებზე ადრე მიეჭრა ნატას, მკლავზე გადაიწვინა და სკამზე დასვა. გაოგნებული დედობილ-მამობილიც მივარდნენ ქალიშვილს. როცა წყალი ასხურეს, მოასულიერეს, ნატამ შეხედა ახალმოსულს, თვალები აუწყლიანდა და აღმოხდა:

- მამიკო, ცოცხალი ხარ?..

შვიდიოდე თვის წინ ქართველებმა და აფხაზებმა ტყვეების მორიგი პარტია გაცვალეს და თეიმურაზიც მაშინ დაბრუნდა სამშობლოში. ის ოთხი წელი იყო ტყვე, კონტუზირებულს კარგა ხანს მახსოვრობაც დაკარგული ჰქონდა, მხოლოდ ბოლო ხანებში ნაწილობრივი გამოუმჯობესდა მდგომარეობა. დიდხანს ეძება შვილი და აი, დღეს, როგორც იქნა, მიაგნო.

იაკობ გოგებაშვილის დიდებული მოთხრობის ფინალი გაგახსენდათ, ალბათ, - იქ ხომ ძველი და ახალი მშობლები ბავშვის ბედნიერებით ხარობდნენ და ერთმანეთს და-ძმებად მოეკიდნენ. აქაც ასე უნდა მომხდარიყო თითქოს, მაგრამ თეიმურაზმა კატეგორიულად მოითხოვა შვილის მასთან წასვლა და ძველი გვარის აღდგენა. ლტოლვილი, ავადმყოფი, დედაქალაქში უცნობი ექიმი აბა, როგორ აჯობებდა ძალაუფლებითა და შეძლებით სავსე გურამ ჩხეიძეს. არც ერთმა მხარემ დათმო, არც — მეორემ და საქმე სასამართლომდე მივიდა.

ნატოს გული ორად გაიყო, მამაც უყვარდა, დედობილ-მამობილიც, ყოველნაირად ცდილობდა მათ მორიგებას, მაგრამ უშედეგოდ. მერამდენედ აირია მისი ბედის ტაროსი.

სასამართლომ, ერთი შეხედვით, კანონიერი და ჰუმანური გადაწყვეტილება მიიღო, - ქალიშვილის უკეთესი მომავლის უზრუნველსაყოფად უპირატესობა შეძლებულ ჩხეიძეებს მიანიჭა, ნამდვილ მამასაც დართეს შვილთან ურთიერთობის ნება და ორივე მხარეს დრო მისცეს შესარიგებლად.

ჩვიდმეტი წლის ლამაზი, სტუდენტი ქალიშვილი გულმოკლული დადიოდა ქალაქში და ვერაფრით გაეგო, თუ რატომ სუფევდა მისი სიყვარულით მოსულდგმულე ადამიანებს შორის სიძულვილისა და უნდობლობის სუსხი.

სასამართლოს ხეიბარი პედაგოგიც დაესწრო და სინანულით აღიარა უნებლიე შეცდომა, თეიმურაზი რომ ჭურვით მოკლული ეგონა. ბოლოს მან ასე მიმართა დამსწრე საზოგადოებას:

- „ხომ ხედავთ, ქალბატონებო და ბატონებო, თვით ამხელა სიყვარულით აღსავსე ორ მხარეს ვერ მიუღწევია თანხმობისთვის, რაღად გვიკვირს აფხაზებისა და ქართველებისა? არაბებისა და ებრაელებისა? სერბებისა და ხორვატებისა? ყველაფრის თავიდათავი ის ეგოიზმი, ბოროტების ეპიდემიაა, რითაც ჩვენი ლამაზი, მშობლიური პლანეტა ოდითგანვე დასნეულებულია, რის გამოც თვით უცხოპლანეტელები ერიდებიან ჩვენთან ურთიერთობას და ყველა დროის, ყველა ხალხის ღმერთები, მოციქულები ოდითგანვე შთაგვაგონებენ ერთ უბრალო, მაგრამ მიუღწეველ ჭეშმარიტებას: „გიყვარდეთ ერთმანეთი!"

ეს ამბავი სენსაციების მოყვარულმა მასმედიამ გაახმაურა და კიდევ უფრო ატკინა გული ქალიშვილს. კარგა ხანს გაგრძელდა მშობლისა და დედობილ-მამობილის ქიშპი, მაგრამ ერთ დღეს ისევე მოულოდნელად დასრულდა, როგორც დაიწყო.

●

ნატოს სამი წლის უნახავმა თენგომ დაურეკა და ვაკის პარკთან შეხვდნენ ერთმანეთს. სოფელში მოხუც ნათესავს მცირე მემკვიდრეობა დაეტოვებინა და იქ ჩასახლებულიყო ბიჭი, ტანი აეყარა, დამშვენებულიყო. მას შემდეგ ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს და ერთ დღესაც იგრძნეს, რომ ყმაწვილური მეგობრობის დვრიტა მგზნებარე სიყვარულად გადაქცეულიყო. კვლავ განათდა ქალიშვილის გული.

ნატომ შეყვარებული ახლობლებს გააცნო და, მისდა სამწუხაროდ, ორივე მხარემ დაიწუნა.

- კი, წარმოსადეგია, მშრომელი, მაგრამ უპატრონოა, უსწავლული, სოფლელი, რა შენი შესაფერია? — ერთიანი ძალით შეუტიეს ძველმა და ახალმა მშობლებმა ქალიშვილს, - ალბათ, შენი ახლანდელი მდგომარეობა მოეწონა და ამიტომაც მოგძებნა ამდენი ხნის შემდეგ.

მეორე დღეს პაემანზე დანაღვლიანებული ნატას დანახვისას ბიჭი ყველაფერს უსიტყვოდ მიხვდა. მდუმარედ ისხდნენ ბაღის სკამზე. ივნისის გრილი საღამო იყო. ფიჭვის ტოტებში ნაღვლიანად გალობდა შაშვი. აუზთან ბავშვები თამაშობდნენ.

დუმილი ისე გაგრძელდა, ლამის აგუგუნდა.

ბიჭმა ფრთხილად მოკიდა ხელი ნატას მაჯას. ქალიშვილმა ამოხედა.

- მე — სულ შენთან ვიქნები, თუ... - შეყოვნდა თენგო.

- თუ რა?

- თუ შენ ეს გსურს.

ქალიშვილმა ნაზად აკოცა ლოყაზე და უთხრა:

- შინ გამაცილე.

იმ ღამით პირველად ესიზმრა დედა ნატას, თვითმფრინავის ტრაპზე ადიოდა, თითქოს, შვილს გამოხედა, ნაღვლიანად გაუღიმა და უთხრა:

- რატომ არ მეძებ, შვილო?

- სად, დედა?

ქალს რაღაცის თქმა კიდევ უნდოდა, მაგრამ გადაიფიქრა და შევიდა თვითმფრინავში, რომელიც ასაფრენ ბილიკზე გაქროლდა.

- დედაა! — ძახილში გამოეღვიძა ნატას და შეშფოთებული ელენეც შემოვიდა ოთახში.

- შენ მეძახდი, შვილო?

ნატამ თავი გადააქნია და საბანი გულზე მიიხუტა.

- რა მოხდა?

- დედა მესიზმრა.

- დედა?

- ჰო... უნდა მოვნახო!

- რას ამბობ? სად?

ქალიშვილი წამოდგა და ჩაცმას შეუდგა.

- სად მიდიხარ, ნატა?

- დედა უნდა მოვნახო! ახლავე!

- ვაიმე! გურამ! — ქმარს გასძახა შეშფოთებულმა ქალმა.

მამობილ-დედობილმა ბევრი სცადეს, გადაეთქმევინებინათ ნატასთვის უცნაური განზრახვა, მაგრამ ამაოდ, როცა ვერაფერი გააწყვეს, თეიმურაზს დაურეკეს. მამა შეშფოთებული მოვარდა.

შუაღამე იყო.

- ახლავე წამიყვანეთ აეროპორტში, თორემ თავს

მოვიკლავ! — ტიროდა სასოწარკვეთილი ქალიშვილი, - დედაჩემი პირველად მესიზმრა და მითხრა რატომ არ მეძებო, თუ ოდნავ მაინც გიყვარვართ, წამიყვანეთ აეროპორტში!.. იქ რაღაც ხდება!

- კარგი, შვილო, დაწყნარდი, ბოლოსდაბოლოს, ეს რა პრობლემაა? — ჩხეიძეებს გახედა თეიმურაზმა, - წავიდეთ ყველა, ვნახოთ, რაც არის!

- ახლავე, ნატა! — დაფაცურდნენ ჩხეიძეები.

ღამის სამ საათზე აეროპორტში იყვნენ. გრილოდა. დაბინდულ ცაზე ვარსკვლავები, თითქოს დნებოდნენ. ნატა ასაფრენი მოედნის ჭიშკარში შევიდა და ცას ახედა.

ახლობლები შორახლოს დადგნენ, მდუმარედ გადახედეს ერთმანეთს.

ხუთიოდე „ბოინგი" და ორი „ტუ" იდგა აეროპორტში, არც ერთში ენთო შუქი.

შორიდან გუგუნი მოისმა. პატარა თვითმფრინავი დაეშვა ბეტონის ბილიკზე, სვლას ნელ-ნელა უკლო, გამოუხვია და გამოსასვლელთან გაჩერდა. ოცდაათიოდე მგზავრი გადმოვიდა. ნატას ჩაუარეს.

კარგა ხანს მდუმარედ იდგა ქალიშვილი და გასცქეროდა უსასრულობას.

- შვილო! — გასძახა თეიმურაზმა.

ნატა მობრუნდა, ახლობლებთან მოვიდა და გაიღიმა:

- უკაცრავად აგაფორიაქეთ... შინ წავიდეთ!

მანქანაში ნატამ უეცრად მშობელს ჰკითხა:

- იმ თვიმფრინავიდან დედასავით მარტო გადმომახტუნებდი პარაშუტით თუ ჩემთან ერთად იქნებოდი?

- რატომ მეკითხები ამას, შვილო?

- მიპასუხე, გთხოვ!

- არ ვიცი... - შეყოვნდა კაცი, - დედაშენმა თავად გიბიძგა?

-არა, იმ ბორტინჟინერმა, ვინც თავის პარაშუტი გადმომცა... შენ იზამდი ამას?

- ალბათ, შვილო.

- თქვენ? — მამობილსა და დედობილს მიუბრუნდა ქალიშვილი.

- ვაიმე, კი, შვილო! — თქვა ელენემ.

- რა თქმა უნდა! — კვერი დაუკრა გურამმა.

- მე კი მგონია, რომ თან გადმომყვებოდით ყველა... გულში ჩამიხუტებდით... თან გადმომყვებოდით და ყველა დავიღუპებოდით... ჩემო კარგებო, როგორ აგაფორიაქეთ! მაპატიეთ!

- შენ იყავი კარგად, შვილო, ჩვენი თავი ჯანდაბას! — თქვა ელენემ.

- მაშინ თენგოს რას ერჩით?!.

მამამ თავზე ხელი გადაუსვა:

- ნუ ღელავ, შვილო.

- არა, აღარ ვღელავ, დედაჩემმა ტყუილად კი არ მითხრა სიზმარში რატომ არ მეძებო... ჰო, ჰო ყველაფერი გასაგებია...

გურამმა თეიმურაზს გახედა და მხრები აიჩეჩა. ექიმმა ანიშნა, არაფერი თქვაო.

მეორე დღეს ძია ვახტანგს უამბო ყველაფერი ქალიშვილმა. ხეიბარი პედაგოგი ჩაფიქრდა და უთხრა:

- თუ იწამებ, თუ საკუთარ თავს ისე დააჯერებ, რომ ღმერთმაც ისმინოს, შეუძლებელი არაფერია... თუმცა, ეს სიზმარი, ვგონებ, სიმბოლურია, - საკუთარი სულის, თავის მოძებნა გირჩია დედამ. უნდა გადაწყვიტო, ნატა, ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადაწყვიტო შენი, მამაშენის, დედობილ-მამობილისა და თენგოს ბედი.

ქალიშვილს თვალები გაუბრწყინდა, ხეიბარს ყელზე მოეხვია და აკოცა:

- რა ჭკვიანი და კეთილი ხარ, ძია ვახტანგ!

- ერთიც მინდა გითხრა, შვილო... ჩვენი, უფროსების ბავშვობა, რა თქმა უნდა, უფრო ლაღი და უზრუნველი იყო, ვიდრე თქვენი. მშობლების სახელით მინდა, ბოდიში მოგიხადოთ შვილებს ავბედი დროისთვის, მაგრამ თქვენც გაგვიგეთ, - ჩვენ ხომ მაძღარ ტყვეობას მშიერი თავისუფლება ვარჩიეთ! ეს დანგრეული ქვეყანა თქვენ და თქვენმა შვილებმა უნდა ააშენოთ.

- მაშ, იმედი? — გაეღიმა ნატას.

—კი, უსათუოდ!

●

გავიდა რამდენიმე თვე და ნატა გაქრა სახლიდან. სამდღიანი ძებნისა და ფორიაქის შემდეგ სამეგრელოს მთიანი სოფლიდან შეატყობინეს მშობლებს, - თქვენი ქალიშვილისა და თენგოს ბედნიერების გასაზიარებლად ჩამობრძანდითო.

რაღას იზამდნენ? ყველა შეურიგდა ბედს.

გავიდა ერთი წელი და ნატას გოგონა ეყოლა. როცა ბებიაქალმა ჩვილი ხელებში ჩაუგორა, მაშინ ქალიშვილმა მართლაც გაიგონა მოალერსე ხმა დედისა... რომელიც თავად იყო.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# თამარ სამსონიშვილი



## მინიატურები

•

ზეცას ცრემლის ცვარი ვაცხე,
ვთქვი, ზეცაში რაღაც სხვაა,
თუ ზეცაში აღარცრაა
მაშ, ის ზეცა რაღა ცაა...

•

შენი დარდი შემეყარა
აღარ უნდა ამას მტკიცი,
რად მიყვარხარ, რატომ ვკვდები,
შენ გგონია, მე კი ვიცი?!!!
რა გინდოდა, რას მერჩოდი
რად მომისპე განაგისი,
ლამაზი და აღნაგისი
შენი ვიყავ, განა სხვისი?!!!
მე მაგისი არა ვიცი,
რად მწვავს სევდა მარადისი,
მეხოტბე ვარ ლამაზისი
ჩემი სულიც ალალ მისი...

•

ქარი ხარ და ქარაშოტი,
მეც ქარს მივდევ ქარდაქარ,
ვერ ავცდები შენს სიყვარულს,
როგორც დანა ზვარაკ ხარს...

•

რა მოხდება, რა იქნება, იავ, რა?!
უშენობით ფიქრმა სად არ იარა,
გულს ნუ მატკენ, გამიჩნდება იარა,
სულში მწველმა ისარმა გამიარა...
ნუთუ გრძნობის დაიცალა ფიალა
ნუთუ შენს გულს ვინმე ჩამეზიარა?!..
მხოლოდ ერთი კოცნა მინდა, იავ, რა,
თანაგრძნობა კი არა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

ქვემოურში ქარი დაქრის
ქარი წყნარი, ქიქინა,
ორღობეში ისე ტირის,
თითქოს ფეხი იტკინა;

ღობის სარზე წამოცმულმა
თვალდათხრილმა ტიკინამ,
მთელი სოფლის ჭორი მითხრა,
ჩუმ-ჩუმ ჩამიტიტინა...

●

საით მიდიან ნისლები
"მთების ლამაზი ფიქრები",
ნეტავი, რა დაგაკლდება,
მე თუ შენს გვერდით ვიქნები...

●

წიწამურს კიდევ აიტანს კაცი,
თუკი იქნება ერის ერთობა,
როცა რეგვენი სიბრძნით ერთობა,
ზეიმობს მტრობა და უღმერთობა...

## აღმართ-აღმართ

აღმართ-აღმართ, აღმართ-აღმართ
ჭიუხს მივდევ ჩამონალღვარს,
რისხვისფერი ადევს ქედებს,
როგორც სალოსს სახემწყაზარს...
გადავქექავ გრძნობის ღადარს,
სიტყვას ვაძრობ რითმის ყავარს
და მგონია, მზეს მივწვდები
და გავცდები ზეცის თავანს...
აღმართ-აღმართ, აღმართ-აღმართ...
არად ვაგდებ ჭკუის სამანს,
ისე მიყვარს საქართველო,
სიკვდილისთვის თითქოს მზად ვარ...

ის რაც იყო, ის რაც არის,
აუხდენელს მოჰგავს ზღაპარს,
ზეცა სხივით დანაფერი
პირსისხლიანს ჰგავდა აფთარს...
წაუღია საქართველო
იქით დიდოს, აქეთ წარმართს,
ვერ მივაგენ მამის სახლ-კარს,
თითქოს არს და თითქოს არც არს...
აღმართ-აღმართ, აღმართ-აღმართ
მივდევ ჯიხვთ და მივდევ არხართ,
ჩამომძახა ზეცამ დარდად –
თქვენ ამ მიწის ღირსი არ ხართ!..

●

აზრი დააკლდა საწუთოს
ლექსის თქმას, აღმაფრენასა,
გულმა რარიგად გაუძლოს
უძალო კაცთა ცქერასა...
ერთსა ვფიქრობთ და სხვასა ვიქმთ,
სულ სხვაზე ვლესავთ ენასა,
კაცი ვერ გადაურჩება
ბრიყვთაგან გულის ტკენასა...

ტყვილად მივთელავთ საწუთროს,
ცა-ლაჟვარდს, ოქროსფერასა,
ვაი, ეგეთსა სიცოცხლეს,
უაზროს, ალმაცერასა...
სიცოცხლე ჩემი – მამულსა,
სისხლი – ერს, სული – ზენარსა,
ქვეყნის სატკივარს შეერთოს
ეს ბოლო ამოკვნესაცა!..

●

ვაჟკაცო, კლდისებრ უტეხო,
გულში რად იფენ ღვიასო,
იმის კაცობას რა ვუთხრა,
ზურგს რომ დაგახლის ტყვიასო...
სიცოცხლე მაინც გნიასობს
მშვენება ვერ თმობს ციალსო,
ღმერთმა მლოცველი გიცოცხლოს,
გულს რომ დაგაყრის იასო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თინათინ ჭეჟია

# 1994 წლის მარტი, ანუ მშვიდობით, ბიჭუნავ!



ქალმა ფრთხილად გამოიხურა შემინული ნაცრისფერფარდიანი კარი. ასევე ნელა, ძალიან ნელა, შენელებული კადრივით გადადგა სამიოდე ნაბიჯი და ჭიშკარი გაალო. ჭიშკარი ხის იყო, ძველებური, თუნუქით გადახურული. წვიმდა. მარტს უხდებოდა წვიმა. ქალის ლიმონისფერი პლაშჩის ქამარი რაღაცას გამოედო და ბალთამ იქვე მიყრილ ბოთლებზე გაიწკრიალა, იმან კიდევ სტაცა ხელი, საერთოდ მოიძრო და ჯიბეში ჩაიტენა. რიჟრაჟზე ცოტათი მეტი იყო. მახათის მთისკენ გაიხედა. მზე სადღაც იქვე იყო. „ამოდი, რა!" გაიფიქრა ქალმა და მეზობლის უჯიშო, მარად ჭუჭყიანი და მაინც საყვარელი „ჯიმა" ფეხით გასწია. „ახლა შენ მაკლდი, არ დაიყეფო, ანას გაეღვიძება, თორემ არაფერს არ გაჭმევ იცოდე!" ჯიმამ მაინც ჩაიყეფა თავისთვის, რაღაც ჩაიწკმუტუნასავით და გვერდით გაჰყვა. ქალმა პირთან მიტანილი პური შუაზე გატეხა, დაიხარა და პირში ჩაუდო. „გთხოვ, გეხვეწები, წადი ახლა, არ გამომყვე, თორემ მთელ საძაღლეთს ააყეფებ". ვინ დაუჯერა. ძაღლი ისე სწრაფად მიდიოდა, ქალი ძლივს ეწეოდა. ბოლოს ხიდთან, ნაგვის გროვასთან შეჯგუფულ დილის „მორიგეებს" წააწყდნენ. ქალმა ჯიმას გადახედა, ჯიმამ — ძაღლებს. ამათგან მაღალი, წითური და უკუდო კვლევითი ინსტიტუტის ყარაულების ძაღლი იყო. ქალი წითურს იცნობდა, მაგრამ დანარჩენი სამი, შავ- თეთრი, კრემისფერ- ნაცრისფერი და შავი მურა პირველად ნახა. ჯიმას წითელი მტრობდა, ორჯერ იჩხუბეს და ორჯერვე მოერია. მაგრამ ესენი? თანაც ქალმა სთხოვა. ჯიმამ ქალს შეხედა, ოდნავ თავი დაუკრა და გაბრუნდა. ქალს გაეხარდა. ამათ ახლა ქალის დარდი სულ არ ჰქონდათ და იმანაც ისე ჩაუქროლა, ვერც გაიგეს. ცელოფნის პარკებს პირით გლეჯდნენ და ფეხებით სინჯავდნენ რამის ჭამა თუ შეიძლებოდა იქიდან. ქალმა დაღმართზე სწრაფად ჩაირბინა, მეტროსკენ გაუხვია. ცალი ხელით ჩანთა გახსნა და კუპონების ძებნას შეუდგა. ძლივს მონახა ხელების ფათურით ორი ოციათასიანი კუპონი, მაგრამ ათიათასი არსად იყო. „რა ვქნა?!" გაიფიქრა და დიდი, ფოსტალიონის შესაფერისი შავი ჩანთიდან ყველაფრის ამოლაგებას შეუდგა „პატარა უფლისწულმა" ნაღვლიანად შემოხედა ყდიდან. „აჰ!", გაუხარდა ქალს, „პატარა უფლისწული" არ გაწირავს; „არ არსებობს, ახლა ამაში არაფერი იყოს" და ფურცვლა დაუწყო, ბოლოში, სულ ბოლოში ასიათასიანი იდო. უკვე მეტროსთანაც მოსულიყო, მაგრამ...

"მეტროს ქალი" უშვერი სიტყვებით ლანძღავდა ვიღაცას: - დამიწყებენ აქ მასწავლებელი ვარო, სტუდენტიო, სადაც რა წითელი წიგნაკები ჰქონდათ, ხელში უჭირავთ. მამა გიცხონდათ, მე აქ ტყუილად კი არ ვდგავარ. წადი, ბიჭო, დაიკარგე აქედან, გაუზრდელო. დედამისს ჰგონია სწავლობსო, ეს კიდევ უფასოდ იპარება და „გულაობს" მეტროთი... ხვალ მოდი და მოგცემენ შენს წიგნაკს.

ბიჭი იდგა, ხმას არ იღებდა. ცოტა მოშორებით ორი ღერღეტა პოლიციელი ცინიკურად ათვალიერებდა ჩათვლის წიგნაკს. შემინულ ჯიხურსა და პოლიციელებს შორის კიდევ ერთი მსხვერპლი, ჭაღარათმიანი მასწავლებელი ქალი იდგა აბსოლუტურად განადგურებული თავმოყვარეობით და შემოდგომაზე მთავრობის მიერ ვერაგულად გაცემული და ასევე ვერაგულად გაუქმებული საშვით. ქალმა გადაწყვიტა, ბიჭს დახმარებოდა, მაგრამ როგორ!? უცებ მიიჭრა ბიჭთან და, რაც მოადგა პირზე მიაყარა: - მანანას ბიჭი არა ხარ? ვაიმე, მიეცით თუ შეიძლება, რა არის ეს? რა წაართვით? ჩემი მეგობრის შვილია.— პოლიცელებმა დამცინავად შეათვალიერეს ქალი, მერე ერთმა აუღელვებლად შეათამაშა ხელში ჩათვლის წიგნაკი და: - თქვენი მეგობრის შვილია? მერე რატომ უნდა მივცეთ, ამითი აპირებდა გასვლას, ჩვენ აქ ტყუილად ხომ არ ვდგავართ, ქალბატონო, ა!

ქალი მიხვდა, ამათთან ლაპარაკი წყლის ნაყვა იყო და რაღაც გადაწყვიტა. ორი ჟეტონი ჰქონდა. ჭაღარათმიან მასწავლებელს გადახედა. ის საწყალი რაღაც კუპონებს ითვლიდა. ჯიბეში იმ ორმოცი ათასს დაუწყო ძებნა. იპოვა და მასწავლებელს მიაჩეჩა ხელში. ბიჭისკენ შემობრუნდა, პოლიციელს პირადობის მოწმობა აჩვენა (პირველად თავის ცხოვრებაში) და, სანამ რამეს უპასუხებდნენ, სასწრაფოდ სტაცა ხელი ჩათვლის წიგნაკს. ბიჭს ხელში ჟეტონი მიაჩეჩა და უცბად გაჩნდნენ ესკალატორზე.

ბიჭი ნელა მიჰყვებოდა. ქალმა შეხედა და შეცბა. ახალთახალი ვარდისფერი ჭრილობა ჰქონდა ლოყისთავი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან კისრის ჩასწვრივ და, ალბათ, 17 წლის თუ იქნებოდა. „სოხუმელი ვარ", მოკლედ მოჭრა მან. „წიგნაკი ჩემი ძმისაა: ოჩამჩირეში მოკლეს, რაღაც საშვები ჩვენც დაგვირიგეს, მაგრამ მე არ ამიღია".

- უნდა აგეღო, - უთხრა ქალმა და ისევ შეათვალიერა.

- აქ არ ვიყავი, ფოთში დედაჩემს ვეძებდი მაშინ.

ქალმა თვალი აარიდა. ვერ ჰკითხა, იპოვა თუ არა დედა. პასუხის შეეშინდა. ბიჭმა უკან მიიხედა, ჭაღარათმიანი მასწავლებელი საცოდავი ღიმილით მიუახლოვდათ: „ოჰ, ეს მეტროს ქალები, თვითონ 60 მილიონი აქვთ საშუალო ხელფასი", თითქოს ბოდიშს უხდიდა. ქალს საშინლად მოუნდა, ეტირა, მაგრამ ამის მაგივრად სასწრაფოდ საათზე დაიხედა და მოიბოდიშა: „მაპატიეთ, სამსახურში მიგვიანდება; კარგად იყავით, ქალბატონო". მერე ბიჭისკენ მიბრუნდა, მხარზე ხელი დაადო და ჩაიჩურჩულა: „მშვიდობით, ბიჭუნავ", და მატარებლისკენ წავიდა. ზედ კარებთან მისულს ვიღაც სიმპათიურმა, წითელჰალსტუხიანმა და თეთრპლაშჩიანმა კინაღამ გადაუარა, ხელით გასწია შევიდა და ქალი უკან ჩამოიტოვა. ზედ ცხვირწინ დაუკეტეს კარები. უკან მიიხედა. ბაქანი სავსე იყო ხალხით, ბიჭუნა და მასწავლებელი არსად ჩანდნენ. უცებ სინათლე ჩაქრა და ბნელმა მოიცვა ყველაფერი.

..........

დიახ, ქალბატონო, დაგაგვიანდათ! — უთხრა კაცმა და ხელები უხერხულად გაშალა, მერე ადგა და ირგვლივ მიმოიხედა, ხელჯოხი იქვე იდო. აიღო და კოჭლობით გამოშორდა იქაურობას. უფრო სწორად, უნდოდა, გაშორებოდა, მაგრამ ქალის ხმამ გადამტვრეულ და ფოთლებდაჭყლეტილ ჰორტენზიის ბუჩქთან შეაჩერა:

- მახსოვს, აქ იდგა, შადრევანთან!

- დიახ, იდგა — თქვა კაცმა. — ახლა არ დგას, თქვენ რა, აქაური არა ხართ?

- არა. სამი წლის წინ ვიყავი აქ ზუსტად. ივლისი იყო, და ყვაოდა.

- ყვაოდა, ყვაოდა! — გამოაჯავრა კაცმა. — რას გადამეკიდეთ! — და გაბრაზებულმა ზურგი შეაქცია. ქალმა არ შეიმჩნია აღელვება, ერთი ღრმად ამოისუნთქა, თმა სულის შებერვით გადაიყარა შუბლიდან და...

- იცით! სურნელი მომდის საიდანღაც...

კაცი ახლა უფრო უნდა გაბრაზებულიყო, წესით, არც უნდა შემობრუნებულიყო, ის კი არა, შეეძლო, გულში ერთი ლაზათიანადაც შეეკურთხებინა თავისთვის, მაგრამ მოულოდნელად შემობრუნდა და, რაღაცნაირად, თითქოს მოიბოდიშასავით:

- ჰოო! სურნელი მეც მომდის, ზუსტად იმისია, მაგრამ...

კაცმა ნანგრევებს გახედა, აგურების გროვა მთასავით იდგა, აქა- იქ ფანჯრის რაფები ამოჩრილიყო, ალბათ, რაც გადაურჩათ. ირგვლივ სიჩუმე იყო. ქალმა ცხვირსახოცი მოსინჯა თითებით, მაგრამ არ ამოუღია, მერე კაცისკენ წავიდა და შეეცადა, მშვიდად ელაპარაკა: - მინდოდა, მეკითხა... რა თქმა უნდა, ბოდიშს ვიხდი, რომ შეგაწუხეთ, მაგრამ ამ სახლში ჩემი მეგობარი ცხოვრობდა.

კაცი თვალებში უყურებდა, მერე წამოვიდა და... ღმერთმა იცის, როგორ, მაგრამ, ალბათ, სასწაულით გადარჩენილ ცისფერ სკამზე ჩამოჯდა. ქალს არ შეუხედავს, იგრძნო, როგორ უკანკალებდა ხელები, ჯოხსაც, ალბათ, ძლივს იმაგრებდა ხელში, გამხდარი, ჩაცვენილი სახე ქალის გასაკვირად სუფთად ჰქონდა გაპარსული, ოღონდ ეს იყო, პიჯაკი აშკარად დიდი ჰქონდა და ჩამოფართხუნებული ეკიდა მხრებზე. როგორც იყო, ქალმაც შეხედა და... მიხვდა, რომ კაცმა ვერ იცნო.

- სამი წლის წინ ეს სახლი ჩემი სახლიც იყო, ახლა არავისი არ არის. თქვენ ვინ მეგობარი გყავდათ აქ.

ქალმა შეხედა. არ „გაგიჟებულა" — გაიფიქრა გულში, „ყოველ შემთხვევაში, ჯერ ნორმალურია..." და სხვები გაახსენდა, „ივერიის" წინ მობორიალე მაღალი ბიჭი, „საწყალ ოჩამჩირელს" რომ ეძახდნენ, მერე მისი ბიძაშვილიც, ეს ახლა გაგიჟდაო, რომ თქვეს და უკვირდათ, აქამდე კარგად იყო და ახლა რა მოუვიდაო; ახლა ზუგდიდში რომ ლტოლვილები ნახა, ის მოაგონდა, ორნი იყვნენ ძმები. დედა თურმე ხეზე მიაკრეს და... იქაური ერთი უმეცარი ექიმი იძახდა, გვარში თურმე ყველა ნორმალური ჰყოლიათ და ამათ რა დაემართათო. ეს ყველაფერი სწრაფად გაკრთა მეხსიერებაში.

კაცი ისევ კითხვით მისჩერებოდა, მერე ვეღარ მოითმინა:

- ვინ მეგობარი გყავდათ- მეთქი ამ სახლში!

- იცით, - თქვა ქალმა, - ეს ის სახლი არაა, ცოტა ქვემოთ რომ სამსართულიანი იყო, ის არის, მგონი; იქაც იდგა იისფერი აკაცია და შადრევანიც ჰქონდათ.

- ჰქონდათ, ჰქონდათ! იქ მიმოზის ხე იდგა, მიმოზა თებერვალში ყვავის, თქვენ რაღაცას მატყუებთ. იქნებ, იცით კიდეც, რა მოუვიდათ ლიზას და გიოს, ააა! ... და ისე გადაიხარხარა, ექომ გადასერა მთელი ქალაქი. კაცი იცინოდა, იცინოდა, მერე ჯოხი დაუვარდა, ის ფართხუნა პიჯაკი გაიხადა და უცბად გაჩუმდა, თვალებში უყურებდა, თითქოს იცნო კიდეც, მაგრამ ქალი არ აძლევდა ამის საშუალებას.

- არ მინდა გაჭუჭყიანდეს, ლიზა გაბრაზდება, იცით? მოდით აქ, რა გაჩვენოთ! და კაცმა სწრაფად აიღო ჯოხი, კოჭლობით მივიდა ქალთან, ხელში ხელი ჩასჭიდა და სახლს შემოუარეს. ქალს უცებ სიგრილე ეცა სახეზე, ფეხი რაღაც სისველეში ჩაუვარდა, კაცი ნანგრევების სიღრმეში უთითებდა, ორი ნაბიჯიც და სრულ სიბნელეში იდგნენ, წყლის ხმაური ისმოდა. როცა თვალი შეაჩვია, მიხვდა, რაღაც სასწაულით გადარჩენილი ფარდული იყო. დიდი სახლის სახურავი გვერდულად დასცემოდა, შიგ ხეები იყო მოყოლილი და შადრევანიც. კაცმა ხელი უშვა და საიდანღაც ტოტი გამოსწია, იისფერიაკაციის ტოტი იყო, ყვავილებით გადაფეთქილი; თვითონ ხე ნანგრევებში ჩაფლულიყო, მხოლოდ ეს ერთი ტოტი დარჩენოდა გარეთ. კაცმა ხელები პირთან მიიტანა და ჩურჩულით უთხრა: - აქ დავაწვინე. ორივე ცოცხლები იყვნენ, თვალები ეხილათ, - და გამომცდელად მიაჩერდა. — თქვენ რა, არ გჯერათ?

- მჯერა. — რაც შეიძლება, დამაჯერებლად უთხრა ქალმა.

ახლა ერთი ხმამაღალი ტირილი ქვეყანას ერჩია, მაგრამ ცრემლი არსად იყო. კაცს ახლა თვითონ მოჰკიდა ხელი და სინათლეზე რომ გამოვიდნენ, მანქანამაც დაამუხრუჭა. თავისიანები იყვნენ.

-ჩქარა, ჩქარა! იქით უკვე საბუთებს სინჯავენ. ოც წუთში კატარღაში თუ არ ვისხდებით, ესენი გარანტიას ველარ იძლევიან. — თქვა ჭაღარათმიანმა კაცმა და გვერდით მჯდომ ადგილობრივი პოლიციის ორ წარმომადგენელს გადახედა. ისინი დამნაშავეებივით ისხდნენ და, ალბათ, იყვნენ კიდეც, მაგრამ ახლა ამაზე ფიქრის დრო არ იყო. ქალმა კაცს მხარზე აკოცა, ადგილობრივი ძველი წეს-ჩვეულების თანახმად, და მანქანაში თვითონაც დამნაშავესავით ჩაჯდა: მშობლიურ ქალაქში ერთი დღე იარა და ვერც ერთ ნათესავს ვერ მიაგნო, კვალიც არ ჩანდა არავისი. ეს კაცი კი, რომელიც ფეხმოუცვლელად იჯდა აქ, ამ ნანგრევებში, მისი ყველაზე ახლო მეგობრის ქმარი იყო.

"ორივე ცოცხლები იყვნენ, თვალები ეხილათ. თქვენ რა? არ გჯერათ?" — ჩაესმა ისევ კაცის სიტყვები და მანქანის უკანა ფანჯარას მიაწყდა. კაცი ცისფერი სკამისკენ მიდიოდა და გზა და გზა იმ ფართხუნა კოსტუმს იცვამდა. მერე ნელ- ნელა უკან დარჩა ეს ყველაფერი, თანდათან ჩამუქდა ირგვლივ და მალე სრულიად დაბნელდა.

ბიბლიოთეკა

# ცისფერი ქოლგები ოც კაპიკად

ძალიან, ძალიან დიდი ხნის წინათ, როცა ვიყავი თექვსმეტი წლის და როცა ძალიან, ძალიან მიყვარდა წვიმაში სიარული, მქონდა ცისფერი და ცასავით გამჭვირვალე კაბა. ჩვენ ვცხოვრობდით პატარა ქალაქში და ზაფხულის წვიმებში ვიზრდებოდითი, როგორც ნერგები, ვიშლებოდით ნელ- ნელა, როგორც გეორგინების ფურცლები, ვიყავით ფერადები და არც ერთი არ ვგავდით ერთმანეთს. ეს იყო მაშინ, ზუსტად მაშინ, როცა ჩვენთაგანს არც ერთს არ სჭირდებოდა ქოლგა, ის კი არა, არც ვიცოდით ქოლგების არსებობა.

ერთხელ, როცა დიდ, ფრთებფათქუნა წვიმას წიგნების მაღაზიაში შევასწარით ვითომ სხვების დასანახად, რადგან, თუ ცოტას არ მოვატყუებდით ცნობისმოყვარეებს, საიდან დაიჯერებდნენ, რომ ჩვენ სულაც არ გვინდოდა არსად თავის შეფარება, რომ გვერჩია ასე გვევლო თბილ გუბეებში გაწუწულებს, გახარებულებს, რომ ჩვენ მართლა ვიზრდებოდით დიდი წვიმების დროს.

დიახ, ვითომ მოვატყუეთ ცნობისმოყვარეები, კირკიტები, წესრიგის მოყვარულები და შევცვივდით წიგნების მაღაზიაში. ცოტა ხნით, რომ ახლა აქედან გვეთვალთვალა და მოვფერებოდით წვიმას, რომელიც თანდათან სხვადასხვაფრად მისრიალებდა, როგორც ცის საოცრება დედამიწაზე, როგორც ყვავილების ბედნიერება. გაზონებში ჰორტენზიის ბუჩქები ბანაობდნენ და შაბიამნისფრად ელვარებდნენ, იასამფერები ლივლივებდნენ ყვითლად, ლურჯად, შინდისფრად. ვიტრინებზე თამაშობდნენ დიდი წვეთები, ერთმანეთს ეწეოდნენ, მრგვალდებოდნენ, უფრო დიდდებოდნენ და ისევ იშლებოდნენ პატარა-პატარა წვეთებად, წვეთებში ცა ჩანდა, ამიტომ ყველა წვეთი ცისფერი იყო. ზოგიერთს კი შიგ ვარსკვლავიც ეხატა, ისინი ხომ ცის მოგზაურები იყვნენ, დედამიწის სანახავად მოსულები. ხვალ მზე მოვიდოდა და ისევ უკან წაიყვანდა ყველას, ზოგს ფუშფუშა დედა ღრუბელზე დასვამდა, სხვებს გამჭირვალე ნისლებზე ჩამოასკუპებდა, მთების დასალაშქრად გაამგზავრებდა.

უცებ წასასვლელად მობრუნებულებს ვიღაცის ხმა დაგვეწია:

- მოიცათ, ბავშვებო, მოიხედეთ. შეხედეთ, როგორ წვიმს! არ გინდათ ცისფერი ქოლგები ოც კაპიკად?

ჩვენ მოვიხედეთ; მაღალი, თეთრულვაშა მოხუცი იყო, მაგრამ ქოლგები? სად იყო ქოლგები? თან ცისფერი ქოლგებიო, მერე ყველამ ერთად მივაძახეთ: - აბა, ცისფერი ქოლგები?

მან პატარა, დახატული ქოლგები გვაჩვენა. ეს იყო ხელისგულისოდენა, ფრთებგაშლილი ჩიტისხელა პაწია წიგნი, რომელსაც ყდაზე ცისფერი ქოლგა ეხატა. ყველას გაგვეღიმა და მე მივაძახე:

- ჩვენ ქოლგები არ გვჭირდება, ჩვენ წვიმა გვინდა.

- რა თქმა უნდა, - თქვა მან, - წვიმა სჯობს, მაგრამ „ქოლგა განა წვიმისგან დასაფარად არის საჭირო, ქოლგა იმისთვის არის, წვიმის ხმას უსმინო." და იცით ცისფერ ქოლგაზე, როგორ ცეკვავს წვიმა? ეეჰ! თქვენ არ იცით. — და მან სევდიანად გაგვიღიმა.

და ჩვენ ყველამ ვიყიდეთ ცისფერქოლგიანი წიგნი ოც კაპიკად. რა თქმა უნდა, მოხუცის ხათრით. სხვებმა ჩქარ-ჩქარა ამოიღეს ოცკაპიკიანები და დაიტაცეს. სულ ბოლოს მე ავიღე და მაშინვე წვიმის სურნელი ვიგრძენი, აი, ისეთი, როცა მზე პირს იბანს, ყვავილები კი მიწას ულიტინებენ ფესვებით, ფოთლებს აშრიალებენ; უთხარი, უთხარიო, ეხვეწებიან დედამიწას, ის კი ვითომ ძალიან შეწუხებული ეუბნება: ცოტა ხანს კიდევ დაიბანე, მზეო, შენი ნაბანი წყალი ყვავილებს ოქროსფრად აბრწყინებს, პატარა გოგონებს კი ოქროს თმები ეზრდებათო. თან კი ძალიანაც მოსწონს, რომ ულიტინებენ. აბა, რა უნდა იყოს იმაზე კარგი, როცა ლურჯი ია გიცაცუნებს პაწია ფესვებს, კესანეს ფესვი კი კესანეს ეჩურჩულება: ცოტა თავი მოაწონე, ნუ ხარ მორცხვი, იქნებ, ცოტა მეტი ოქროს წვიმა გამოიმეტოსო მზემ. ან კიდევ აივნებიდან გამოპარული ვარდისლოყება გოგონები როგორი მონდომებით ატყაპუნებენ გამჭვირვალე გუბეებში ფუმფულა ფეხებს. აჰ! ნამდვილად მოსაჩვენებლად წუხდება დიდედა დედამიწა... და მე თვალები გავახილე; როცა გამოვერკვიე, გოგონები უკვე ქუჩაშიი იყვნენ. დავეწიე, ყველანი შევაჩერე და ვუთხარი: აი, ნახეთ, ყველამ ასწიეთ მაღლა ცისფერქოლგიანი წიგნი. მე დავითვლი შვიდამდე და ნახეთ, თუ ცისარტყელა არ გამოჩნდესმეთქი, თან დათვლა დავიწყე, ვერც მოვასწარი, მეთქვა შვიდი და... ცისარტყელაც გამოჩნდა. ეს იყო სასწაული, გამოჩნდა კი არა, მთელ ქალაქს გადაეკრა; ძალიან დიდი იყო, ძალიან დიდი. ყველამ მე შემომხედა, მითხრეს ჯადოქარი ხარო. ტყუილად ვუმტკიცებდი, მე კი არა, აი, ეს წიგნია ჯადოქარი, ამ ცისფერქოლგიანმა ჩაიდინა ეს ულამაზესი ჯადოქრობა-მეთქი.

მერე ძალიან დავიღალე, წიგნიც ჩემთან ერთად დასველებულიყო. სახლში რომ მივედი, ბუხარში ცეცხლი დაანთო ჩემმა თეთრმა დიდედამ, მე და ცისფერი ქოლგა ერთად გავშრით. მერე დიდი სიცხეები მქონდა და არ მახსოვდა ეს ყველაფერი. მითხრეს, როგორ მაბოდებდა და როგორ ვხტებოდი ლოგინიდან, თითქოს ცისარტყელაზე მინდოდა გამევლო. ვიხვეწებოდი, ხელი გამიშვით და ნახეთ, როგორ გავივლი-მეთქი. წიგნს არავის ვაძლევდი, რადგან ის ამბავი ცისარტყელასთან დაკავშირებით ნამდვილ ჯადოქრობას ჰგავდა და მაშინ ხომ მხოლოდ თექვსმეტი წლისა ვიყავი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# იური კახნიაშვილი



●

ეშმას აჩრდილი თან დამდევს ღრეჭით,
რიდს და მოთმენას ხომა აქვს ზღვარი,
ვით დანიის პრინცს, სულს მიღრნის ეჭვი,
ჩემს რწმენისკედელს ემჩნევა ბზარი...

შემოდგომაა, იგრძნობა სუსხი,
მთაში მგლის ხროვა აფეთებს ირემს,
ზამთარი მოდის, მკაცრი და ურცხვი,
მაგრამ მე მაინც არ ვკარგავ იმედს...

●

ო, მშვენიერო სემირამიდავ,
მე, როგორც მოკვდავს, სამი რამ მინდა,
ღვინო, ქალები და შთაგონება,
ეს ახირება ნუ გეგონება.

თავაწეულმა ვიარო, მინდა,
შევინარჩუნო სინდისი წმინდა
და, რაც გვაწვალებს უძველეს ხნიდან, -
დე, დამღრნას ეჭვმა, თვით მავრს რომ ღრნიდა...

ო, სიყვარულო ძალავ ძლიერო,
სულ ახალგაზრდავ, არა ხნიერო,
შენ მასულდგმულებ ცოდვილს და უღირსს,
მხოლოდ შენს გამო სიცოცხლე თუ ღირს...

●

ძილ-ბურანიდან ნახევრად ფხიზელს
მესმის წიკწიკი კედლის საათის,
ჩემს გასაოცრად ვბუტბუტებ ლექსებს
რუდაქ – ხარამ – ჰაფეზ – საადის...

მე ამაყი ვარ შოთა რუსთველით,
პოემა ვეფხის თითქმის მზეს სწვდება,
კვდება უნიჭო პოეტი ბევრი,
გენიოსი კი არასდროს კვდება...

●

რა გეშველება, საწყალო,
გარეთ სტიქია მძვინვარებს,
წლები ჭრიჭინში გალიე,
დრო-ჟამი მიაქვს მდინარეს,
ღმერთო, ნუთუ ეს ცხადია
თუ დამესიზმრა მძინარეს.

## ტარიელ ჭანტურიას

თავს ჯიღად გადგას ლურჯი ცა, -
მზე, ვარსკვლავები, მთვარეა,
როცა შენ გაჩნდი ამქვეყნად
შემოკრეს დედოზარია.

თოფი გავარდა სუფსაში,
შესძრა ბახმაროს მთანია,
გუბაზოულის ხეობამ
ამაყად უთხრა ბანია.

პოლიტიკურმა კლიმატმა
ჩვენი სულები არია,
ლექსია შენი სიცოცხლე
ავდარია თუ დარია.

ქნარს, რომელიც ხელთ მიპყრია,
არ გასჩენია ბზარია,
ლექსპრომტის დიდოსტატი ხარ,
პოეტი ენამწარეა.

და, რადგან დრონი მეფობენ,
უნდა მისდიო, ტარია,
ეგ შენი ლექსი იცოცხლებს,
ვიდრე დაშრება მტკვარია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი კანკავა

# წერილი საგიჟეთიდან



გამარჯობა. ამ წერილს საგიჟეთიდან გწერთ. იქნებ ვაშავებ, მაგრამ მეტი ძალა აღარა მაქვს, თავი მისკდება. როგორ მოვხვდი აქ, ბოლოში შეიტყობთ, თუ, ცხადია, ამ ჩემს ნაბოდვარს, რომელსაც არც კი ვიცი, სხვა რა დავარქვა თუ არა წერილი საგიჟეთიდან, გაუძლებთ და ჩაამთავრებთ. ისე, თავის გასამართლებლად თავშივე უნდა გითხრათ, რომ ჭკვიან გიჟად ვითვლები. აქედან გასვლის უფლებაც მაქვს და ჩემმა ექიმმა ხელიც მომაწერინა პატარა ქაღალდზე, რომ მე, ესა და ეს ავადმყოფი, საგიჟეს წესებს არ დავარღვევ. ყველა ამბავი შესავალით უნდა დაიწყოსო, უთქვამთ ჭკვიან კაცებს (ესა და სხვა ჭკვიანური ნათქვამები აქ, ჩემი მეზობელი ლოგიკის პროფესორისგან შევიტყვე, ჯერ კიდევ უწინდელ ცხოვრებაში ლოგიკას ძაან კარგად რომ ასწავლიდა თურმე). ჰოდა, მოკლედ, ჩემი ამბავი დასაბამს საბჭოეთის ერთ ოჯახში იღებს. ვცხოვრობდით ტკბილად, ნათესაურად, მოკლედ, სამოთხე იყო. ეს ლოგიკის პროფესორი ამის გაგონებაზე (სალაპარაკო დრო, გიყვარდეთ, თავზე საყრელად გვაქვს აქ) ბოლმიანად ჩაიქირქილებს ხოლმე იდიოტების სამოთხეო, მაგრამ ეს ეგრე არ ყოფილა, ტყუის. მე წინანდელი ცხოვრების ავიც მახსოვს და კარგიც. განა ეგეთი არ არის მთლიანად ცხოვრება, როგორც ჭკვიან კაცებს უთქვამთ, მოკლედ, თვითონ არის იდიოტი, თუ ესიამოვნება, თუ არადა, რა უნდა საგიჟეთში?

იმ ცხოვრებაში მანქანაც კი გვყავდა. ეს ასე მოხდა, თუ, ცხადია, გაინტერესებთ. ერთხელ ჩემი მეტად ნიჭიერი ძმა ამხანაგ ძაან ჭკვიან გოგოსთან, მოკლედ, კლასელთან ერთად კინოში იყო და ძაან კარგი კინო ნახეს და ქუჩაში ისე გაერთნენ ლაპარაკით, რომ მანქანას დაერტყა და ჩემ ძმას ვერ გაეგო. იქვე გათავებულიყო. თურმე სისხლში ცურავდა და იძახოდა, დედიკო, ჩემო ტკბილო დედიკოო. საბრალო დედაჩემი იმან დაამწუხრა ყველაზე ძალიან, რატომ ვერ გავიგონეო! ჰოდა, რაღა ბევრი გავაგრძელოთ და ეს მანქანა სხვა რაიონის აღმასკომის თავმჯდომარის მეორე მოადგილისა აღმოჩნდა, გვერდზე ჩვენი სახლმმართველობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ეჯდა. სწორედ ის გვესტუმრა სახლში. დედაჩემის დანახვაზე ეს ვეება ქალი ისე დაიგრიხა, ისე აეწეპა და ჩაეკონა დედაჩემს, რომ ზოგჯერ გატანჯული ქალის მაგივრად იჭინთებოდა კიდეც. თურმე ძაან ეჩქარებოდათ ძაან გადაუდებელ საქმეზე, თანაც ჩვენი რაიკომის მდივნის პირველი მოადგილის დავალებით უნდა ენახათ მეზობელი რაიონის რაიკომის მეორე მოადგილე, ჰოდა, რომ ეს არა, ნამდვილად არ დავაჯახებდით, რასაკვირველიაო. მეც დავუჯერე, აბა, არ დავუჯერებდი?! და გავმართლდი კიდეც მაგაში. მერე გავიგეთ, რომ სულ სხვა რაიონის რაიკომის მდივნის პირველი მოადგილის გერმანულ ნაგაზს, რომელიც ჩემი გარე დეიდაშვილის მულს კარგი თვალით უყურებდა და ძაან მფარველობდა თურმე, შინაურულად ელაპარაკა, ყველაფერი ეგრე იყო და ეჭვი არაფერზე აიღოთო, ჩემი იმედი კი მომავალშიც გქონდეთო. ცხონებული მამაჩემი, ტკბილი და გამოცდილი კაცი, ჩვენი რაიკომის მდივნის პირველი მოადგილის სახელის გაგონებაზე ბალღივით გავარდისფერდა, მადლიერების გრძნობით აივსო და დასთანხმდა. ასე მიყიდა ოჯახმა მანქანა. ჩემმა განუყრელმა ბიძაშვილმა ალალი გულით მომილოცა და ყელში ცრემლიც მოებჯინა, რატომ ამ დღეს ვერ მოესწრო შენი ძმაო და ბოლმიანად დაამატა, ჩვენ რომ „სერი" „მოსკვიჩი" გვერგო, პროკურატურის გამომძიებელის ბიჭი, დღეს თვითონ ვნახე, უბანში ახალთ-ახალ შვინდისფერ „ჟიგულს" დაანკრიალებსო. მამაჩემმა, ღმერთმა აცხონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის, ბრძენი კაცი იყო, სუო, თქვა, სუო, აპა, ის იყო კარგი, მამიდაშენს საოპერაციოში ბრმა ნაწლავის მაგივრად ღვიძლი რომ ამოაჭრესო? ეს ჩვენი სანათესაოს ტრაგიკული ამბავი რომ მოგიყვეთ, შორს წაგვიყვანს, მაგრამ მამაჩემმა, და მაგას ეთქმოდა ბოლო სიტყვა სანათესაოში, საკუთარი ხელით მოკრიფა წითელი თუმნიანები და მთელი რესპუბლიკის მასშტაბით ცნობილ ქირურგ-პროფესორს ჩაუცურა ჯიბეში, კაცს შენზე გულში წყენა არ უნდა ჩაადებინო, რა ვიცით, როდის დაგვჭირდეს კიდევო; ჰოდა, მოკლედ, იმას ვამბობდი, სუო, თქვა ცხონებულმა, სუო, სიტყვა აღარ დაძრათ ამაზეო, ცოცხლებმა ცოცხლებზე ვიზრუნოთ, უკეთესი ცხოვრების იმედი არ უნდა გადავიწუროთ, მკვდარს კი გამპატიოსნებელი და გამხსენებელი სჭირდებაო. ასე ვცხოვრობდით, ადამიანურად, ტკბილად, ნათესაურად, ცხოვრების ავიც გვესმოდა და კარგიც, მარა ბოლმიანებს რა გაეგებათ ამის?!

იმ ცხოვრებაში, ჩემი ამბის ტკბილო წამკითხველო, უფრო ღირსშესანიშნავი აღარაფერი მომხდარა, თავი ტყვილად რომ მოგაბეზრო. ის ცხოვრება წარსულს რომ ჩაბარდა, მალევე დედაჩემი გადაყვა ჩემს ძმაზე დარდს, დედაჩემს მამა მიჰყვა, მამაჩემს ბებია, ბებიას ჩემი ტკბილი სანათესაო და დავრჩი ყველა მხრიდან წარამარა ობოლი. მარა ეს ასე უცბად არ მომხდარა, თქვენ რომ შეიძლება იფიქრეთ, და თუ ჩვენი ბრუციანი ტელევიზორით გაპნეული აზრები მოვიკრიფე, მგონია, რომ კიდევ მოვახერხებ ჩემი ოჯახის და სანათესაოს ამბის დამთავრებას. ის დალოცვილი საბჭოური ცხოვრების წესი როგორ გათავდა, მაგის აზრზე ვერ მოვსულვარ. მაგის აზრზე მოსვლა თურმე თირკმელში კენჭის გავლაზე ძნელი რამე ყოფილა, დანამდვილებით ვიცი მე ეგ ცხონებული მამიდის (ბრმა ნაწლავის ნაცვლად ღვიძლი რომ ამოაჭრეს, იმისი) მულისგან. მოკლედ, ასეა თუ ისე, კი გაიკრიფა ჩუმად და დილაადრიანად და თან წაიყოლა ჩვენი სანათესაოს სამოთხე ერთად ცხოვრება. ეს ენადასუსხული პროფესორი თავისას არ იშლის, სისინებს ხოლმე, სისინი კი, იცოცხლეთ, იცის, ეხერხება; ჰოდა, სისინებდა, ვინც იმ ცხოვრებას მისტირით და სამოთხედ თვლით, ის მაინც უნდა იცოდეთ, რომ ეგ სამოთხე რეიგანზე მეტად და სხვებზე არანაკლებ, თავადვე დაშალეთ წვრილმანი და მსხვილმანი ქურდობითო. ეს რომ ვიციო, ეგ მაძლებინებს თქვენს გვერდით, თორემ რა გამაძლებინებდაო, ჩვენი ხეიბარი დარაჯის შავმა ქოფაკმა ასე და ისე მოურთოს სულიო, ვერ გავიმეორებ თქვენი ხათრით იმას, რასაც ეს კატასავით მტკვარში დასახრჩობი პროფესორი უსურვებდა იმ ცხოვრებას, როცა მე და ჩემი ოჯახი ტკბილად და საამურად ვცხოვრობდით ერთად.

მაგრამ ტყუის, როგორც ყოველთვის ტყუის! ეგეთი არ ყოფილა ის ცხოვრება, ჩემი ოჯახიდან არავინ იპარავდა, რო იტყოდნენ მაშინ, დიაგნოზს რო დაგისვამდნენ, განაჩენი რო იყო უკვე, მაგისი შნო არა გვქონდა. მართალია, ერთხელ ერთმა ჩემმა მეზობელმა მეორეზე თქვა, იპარავსო, ნამდვილად ვიცი, რო იპარავსო, მაგრამ არ დავიჯერე. ის კაცი მანქანის ოსტატი იყო, გვარად ხადავიკი, სახელად კოტე, ჰოდა, რაში დასჭირდებოდა მოპარვა? აი, ხალტურას თუ აკეთებდა, ეგ სხვაა, მაგრამ არც მაგისი მჯერა, ნამეტანი ტკბილი სამეზობლო კაცი იყო. მეორეჯერ ტელევიზორში ვნახე (მაშინ დიდი ფერადი „რუბინი" გვქონდა, მერე „ივერია" რომ ერქვა, ის), ეგეთი ვინმე, - განსაკუთრებით დიდი ოდენობით დაიტაცა სახალხო ქონებაო; მაგაზე კი დავიჯერე, ძაან ბანჯგვლიანი იყო და ტელევიზორიც ხო არ მოიტყუებოდა.

რა ვიცი, ის ცხოვრება კი გაგვცილდა. მამაჩემის ნათქვამი არ მავიწყდება, უკეთესი მომავლის უნდა გჯეროდესო, მაგას ბევრი ფიქრი და ლაპარაკი არ უნდაო. ეს ახალი ხალხი ჩვენი ახალი პატრონი ხალხიაო. მერე არჩევნებზეც ხმა მივეცი, მივეცი, აბა, არ მივცემდი?! მაგრამ მალე სროლები ატყდა და ის ჩვენი პატრონი ხალხი გარეკეს. მამამ თქვა, რაც მოხდა, მოხდა, ჩვენ ისევ წინ უნდა ვიყურებოდეთო, იმედის ძაფი არ უნდა გავიწყვიტოთო. სროლა რომ გათავდა, გვითხრეს, ახალი შესაძლებლობების დრო დადგაო. მეც დავიჯერე და ჩვენი „სერი" „მოსკვიჩი" BMW-ს „პაკრიშკაზე" გავცვალე. ჩემმა გარე ბიძაშვილმა ვენახი გაყიდა და სონი-მაგნიტოფონი იყიდა, ძაან მაგარი რამე. მანამდე კი პურის რიგში მამაჩემი დაჭრეს, მაგრამ პურიანად გადარჩა. მერე სახლი დაგვეწვა დენის ხაზებში სახურავზე ერთბაშად გასული ნაპერწკალისგან, როგორც შესაბამისმა ორგანოებმა ნათლად აგვიხსნეს, რასაკვირველია. ჰოდა, დავრჩით ღია ცის ქვეშ ჩემი ოჯახი და ჩვენს სახლში მცხოვრები მთელი ჩვენი სანათესაო. ერთხელ ამ გაჭირვებაში აქეთ-იქით ხეტიალისას ზოოპარკში შევედით, იქ აგვხედ-დაგვხედეს და დირექტორმა შემოგვთავაზა ჰიგიენის და დასუფთავების სამსახურში მიგიღებთო. მამაჩემს უთხრა, თქვენ უფროსად დაგნიშნავთო. მამაჩემს გაუხარდა, წინა ცხოვრებაში არასდროს ყოფილა უფროსი, ახლა კი გამოვიდა, რომ დააწინაურეს. ჩვენც გაგვიხარდა, ჰოდა, მადლობა ვუთხარით ყველამ, რა თქმა უნდა. მიგვიყვანეს ერთ დიდ გალიასთან, შეგვიშვეს და კარები გარედან ჩაგვიკეტეს, ეს გალია სისუფთავეში ამყოფეთო. ერთხელ დირექტორმა მოგვინახულა, გაგვიღიმა, მოგვიკითხა, როგორა ხართო? ჩვენ მადლობა გადავუხადეთ და ვთხოვეთ, ზოგჯერ გასასეირნებლად გაგვიყვანონ სათითაოდ, თორემ გალიის სისუფთავეში შენახვა გაგვიჭრდებაო. კარგი, ვიფიქრებ მაგაზეო და ცოტა ხანში კიდევ დაგვადგა თავზე და გვითხრა, ჩვენი მწირი ბიუჯეტის კიდევ უფრო დაუფინანსებლობის გამო თქვენი სამსახური დავხურეთ, მაგრამ, თუ პატარა ხანს ბაბუინებად ითანამშრომლებთ ერთ კომისიასთან, შეგინახავთ და მერე დაგაწინაურებთო. გულში არ გვესიამოვნა, რაც უნდა ყოფილიყო, თითოეულს ტექნიკუმის დიპლომი მაინც გვედო ჯიბეში, ზოგიერთს კი უმაღლესისაც, მაგრამ რა უნდა გვექნა: თქვენი ჭირიმე, აქ ჭერი მაინც გვქონდა თავზე და საჭმელი. ჰოდა, დავთანხმდით, რა თქმა უნდა. მოგვაბეს კუდები, გარშემო წითლად შემოღებვაც არ დაზარებიათ. მოგვამაგრეს ერთი რეჟისორი, მანამდე ხშირად მარტო ტელევიზორში რომ გვენახა, ისეთი. ძაან ნერვიული ვინმე იყო, ეგეთი აქაც არ მინახავს, სულ ღელავდა, ერთი რაღაც რეპუტაცია და მიზანსცენა არ გამიფუჭოთო! ბალანში ტილების დაჭერის და წინა კბილებით გაკვნეტის ოსტატობას გვასწავლიდა, გვიჩიჩინებდა, მეტი დამაჯერებლობისთვის მოსაქმებისას ზურგს ნუ უჩვენებთ მაყურებელსო, აქაც ისე ქენით, როგორც სახლში შობით, ასე უბნობდა ჩემი დიდი მასწავლებელიო. ერთ დღესაც გვითხრა, აბა, ახლა თქვენ იცით, პატრონი არ აზარალოთო. მოვიდა კომისია; არ ვიცით, ჩვენი რა დაიჯერა და რა არა, მაგაზე მაშინ არაფერი ვიცოდით, მაგრამ მერე ყველაფერი დანამდვილებით გავიგეთ. ეროვნული სიფხიზლის საგუშაგოს ერთი პასუხისმგებელი მუშაკის სპარსული კატა, ჩემი პაპიდის ქვისლს, უმაღლესი განათლება რომ ჰქონდა მიღებული, ედაქალებოდა და მფარველობდა, ჰოდა, იმისგან ამბავი გამოვიდა, რომ ამ ჩვენს დირექტორს ახლო საზღვარგარეთის ზოოპარკში უკეთესს დროებამდე გაუსხვისებია ეროვნული ბაბუინები სიმბოლური ანაზღაურების ფასად, მაგრამ საბრალო დირექტორს თავისი შვილიშვილებისთვის ერთი ფოჩიანი კამფეტის ყიდვაც ვერ მოუსწრია, საერთაშორისო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორგანიზაციების დაწოლით აუყვანიათ ცხოველებისადმი არაჰუმანურად მოპყრობის მუხლით, რა საკვირველია. რა ვიცი, შეიძლება, ტყუილიც იყოს ეს ყველაფერი, მაგრამ რაში დასჭირდებოდა ტყუილი პატიოსან კატას?!

ყოველ შემთხვევაში, მალე კომისიამაც და ყველამაც დაგვივიწყა. ისევ მოგვშივდა, მოგვწყურდა, კუდებიც მოვიძრეთ, გამრავლების ტაბულას ხმამაღლა ვაბულბულებდით; ჩემი ნათლიის შვილმა, ფრიადოსანი რომ იყო ჯერ კიდევ იმ ცხოვრებაში, „გოგია უიშვილი" და „პალიასტომის ტბა" ძალიან ნიჭიერად წაიკითხა ზეპირად, მაგრამ ვერავინ დავარწმუნეთ, ტაშს გვიკრავდნენ, მაგრამ გალიიდან არ გვიშვებდნენ. პირიქით, ერთი ლომის დაჟინებული ყურადღებაც კი მივიპყარი. გამუდმებით თვალს მიპაჭუნებდა, როგორც ნამდვილ ბაბუინს, რაც გულით მწყინდა, რასაკვირველია. მაშინ დაეტყო დარდი დედაჩემს და გადაჰყვა კიდეც; იმას მამაჩემი მიჰყვა, მამაჩემს — ბიძაჩემი და დადნა ჩემი სანათესაო. ის იყო, მეც გავდარდიანდი, რომ უეცრად იმ ლომმა გამიღო კარი, გალიიდან გამომიყვანა და მითხრა, ნუ გეშინიან, კაცი ვარ, ადამიანი, ავთანდილი მქვიანო! უსახსრობისგან ზოოპარკის ეს უბანი დროებით იხურება, მე დარაჯის ადგილზე მტოვებენ, თქვენ კი უნდა წახვიდეთ აქედანო. არასდროს დამავიწყდება,რა ოსტატურად კვნეტდი ტილებს, მე ეგრე ვერასდროს შევძლებდიო, გული აუჩუყდა ამ კეთილ ადამიანს.

ასე დავრჩი ისევ ღია ცის ქვეშ ბებიაჩემთან და რამდენიმე გადარჩენილ ნათესავთან ერთად. მამაჩემის დარიგება მახსოვდა, ვინც მოკვდა, თავს მოუკვდაო, და ჩვენც ისევ მომავალზე ვფიქრობდით, უკეთესის გვჯეროდა. მოკლედ, ჩვენში რო იტყვიან, დავფაცურდით ვისაც როგორ შეგვეძლო. მაგრამ ყველას როდი გაუღიმა იღბალმა; ჩემი ატმის რტოსავით ნორჩი და ლამაზი ბიძაშვილი ტრეფიკინგის მორიგ მსხვერპლად შეიქმნა კუნძულ მადაგასკარზე. ჩვენ დისშვილს ჯერ ბედმა გაუღიმა და იელოველთა ლიტერატურის გამავრცელებლად მოეწყო კახეთის ზონაში, მაგრამ მერე სარწმუნოებრივ ნიადაგზე მომხდარ ძმათა შორისო შეტაკებას ემსხვერპლა, როგორც გამოაცხადეს ერთ-ერთი პოპულარული ტელეარხით. უფროსი დეიდაშვილი ბედად მღვდლად მოეწყო და თვალები მალევე ამ ცხოვრებით კმაყოფილი გაუხდა, მაგრამ სტუმრად სხვებთან დაიწყო სიარული და დაგვეკარგა. ერთადერთი გადარჩენილი ქვისლი მანქანებს უვარდებოდა უხერხულ ადგილებში და ოჯახი მაგით დააყენა ფეხზე, უფროსი შვილი ფასიან უმაღლესშიც კი მოაწყო, შუათანა გერმანიაში გაგზავნა თურქეთის მოქალაქედ, მაგრამ ახლა მეტ დროს საავადმყოფოში ატარებდა, სადაც მორიგე ოთახი ჰქონდა გამოყოფილი დირექტორთან შეთანხმებით, რა თქმა უნდა. მანამდე მოყვრებთან სტუმრად მყოფი ბებიაჩემი ირანულმა გაზის ფეჩმა გაგუდა მთელ ოჯახთან ერთად — არასწორი დამონტაჟების გამო, როგორც არაორაზროვნად განგვიმარტეს კომპეტენტურმა წყაროებმა, და დავრჩი გალოკილი თითივით მარტო. ამის მერე ჩემი ფეხით მოვედი აქ. ისევ გამიჩნდა ჭერი, ლოგინი და საჭმელი. რა მიჭირს, ისევ მახსოვს მამაჩემის დარიგება, მაგრამ ძალიან მენანება, მაკლია ჩემი ოჯახი და სანათესაო. ეგ არის, რომ არ მასვენებს, ვის უშლიდა ხელს ჩვენი ტკბილი ერთად ცხოვრება? ზოგჯერ გამწარებული ვფიქრობ, რა მინდა აქ (ისე, სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ ამ პრესტიჟულ საგიჟეში მოსახვედრად წინა მოწვევის პარლამენტის დეპუტატის პატიოსანი და განათლებული კავკასიური ნაგაზის პროტექცია დამჭირდა, რომლის მოყვარედ კინაღამ შევიქენი. თუ ვინ და რატომ ჩაშალა ეს საშური საქმე, მაგის მოყოლა აქ უადგილოდ მიმაჩნია) სალ-სალამათ და ახალგაზრდა კაცს? მაგრამ მე რა შემიძლია, როცა ბოლო მოწვევის საკრებულოს წევრების ერთ კატასაც არ ვიცნობ ხეირიანად?! ამის გაგონებაზე სულ ელეთმელეთები ემართება ხოლმე ამ დასახვრეტ ლოგიკის პროფესორს, თქვენი უხეირობის მარტო სხვაზე გადაბრალება გეხერხებათ თქვენივე უხეირობითო. აიო, წვერის ცანცარით ორმოსავით გაშლის ხოლმე უკბილო პირს, აიო, არითმეტიკის კანონები ხო საგიჟეთშიც იგივეა, რაც გარეთო, მაშინ ამიხსენით, როგორ მოგერიათ, როგორ დაგდოთ ბეჭებზე ერთმა მუჭა ცუდმა ბიჭმა ამდენი მილიონი სულიერებით და პატიოსნებით გატენილი კარგი ბიჭიო?! მაგრამ მეც ვისწავლე, როგორ მოვაკეტინო, გავიგე მაგისი სუსტი ადგილი! კულტურულად ვეკითხები ხოლმე, თუ ასეთი ჭკვიანი და განათლებული ხარ, რატომ ზიხარ აქ ჩემთან ერთად, რატომ ქვეყანას არ უშველე-მეთქი? ამის გაგონებაზე მიწისფერი უხდება სახე, ალაპლაპებული სათვალის შუშები უქრება, სახეზე ბალიშს აიფარებს და ქალივით კვნესას იწყებს ისე, რომ შემეცოდება ხოლმე კიდეც. იმის მერე, რაც მაგისი ერთადერთი გულშემატკივარი და ბებიაჩემივით გაზის ფეჩმა გაუგუდა, მოტყდა და ისე მკვახედ აღარ ჩხავის, მეც თითქოს უფრო შევეთვისე. ჰო, იმას ვამბობდი, ზოგჯერ თავი მისკდება-მეთქი; გამწარებულ გულზე, როცა ძაან შემომაწვება, მაშინ იმასაც კი ვფიქრობ, რომ იქნებ მართალია ეს ლოგიკის პროფესორი? იქნებ როგორმე მართლაც ვისწავლოთ ერთად ცხოვრება? იქნებ ამას მართლაც სწავლა სჭირდება! დანამდვილებით ის ვიცი, რომ გამწარებული ვარ ჩემი დამდნარი სანათესაოს მაგივრად. ვახ, რა ძნელი ყოფილა ეს ოხერი ფიქრი. ვგრძნობ, თითქოს კბილები მერჭობა, მაგრამ ღრძილებში კი არა, პირდაპირ ტვინში. ჰოდა, გამოდის, რომ დაბეჯითებით აქ არის ჩემი ადგილი, ჰოდა, კიდევ გამოდის, რომ მე თავად ამიგია ეს საგიჟეთი ჩემთვის და თავი კიდევ უფრო მტკიცედ გამომიკეტავს შიგნით, ვიდრე ეს აქამდე მეგონა. ვააახ, თქვენი ჭირიმე, ნეტავ გამაგებინა, რა იქნება ვინმემ მითხრათ, რა ხდება მანდ, გარეთ, ჩვენს თავს, ჩემს სამშობლოში?!

*2001 წ.*



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ნოდარ ბაქრაძე



## ვარ ერთი კაცი ჩია...

ვარ ერთი კაცი ჩია,
ნამცეცი შენი ბელტის,
ქვეყნად რა გამაჩნია
ფერადი მუზის მეტი.
ზოგჯერ მწყურია, მშია,
ვცხოვრობ იმედით ღმერთის,
ქვეყნად რა გამაჩნია
ფრთიან ოცნების მეტი.
ვუსმენ ამ ხეთა შრიალს
და მხოლოდ შენ ერთს გეტრფი,
ქვეყნად რა გამაჩნია
ამ სიყვარულის მეტი.
ვარ ერთი კაცი ჩია,
მივქრი საწუთროს ეტლით,
ქვეყნად რა გამაჩნია
ლამაზი სიტყვის მეტი...

## საღამო წისქვილში

ახლაც ვიგონებ შენს სიცილ-კისკისს,
ვუსმენ წისქვილში ღარის წყლის ჩხრიალს.
შორს ცის ტატნობზე ქათქათა ნისლი,
მთებს მახვილივით გულში გასჩრიათ...
და დასდის სისხლი ლაპლაპა მახვილს,
ჩამავალ მზესაც სისხლი სდის წვეთად,
ქარი უსტვენს და ღრუბლების ნახირს
სამოთხის ბაღში მიდენის ღმერთთან...

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

ვიდრე ზეცაში ოცნებებით მე ფრთებს გავშლიდი,
ჩვენი ბავშვობა ერთურთს ჰგავდა გაჭრილ ვაშლივით,
მერე დავშორდით და შენ უცებ ისე გამდიდრდი,
მოინახულე ვენეცია, პრაღა, მადრიდი...
ჩანაცრიანდა, გაქრა ის დრო, - კვამლი ჰაშიშის,
არადა, ერთურთს როგორ ვგავდით გაჭრილ ვაშლივით...

## მომენატრა ქუთაისი

მომენატრა ქუთაისი,
ველარ ვხვდები ჩემ ტოლ ბიჭებს,
რა ვქნა, თუკი სიყვარულით გული ველარ მოვიყირჭე.
მომენატრა საფიჩხია,
ჭახათა და ჯაჭვის ხიდი
და გორაზე ძველი ალვა, ცოტა გვერდზე გადახრილი.
მომენატრა მოწამეთა
და ყაყაჩოს ცეცხლის ალი,
მომენატრა პანთეონი – ირაკლის ძვალშესალაგი...
მომენატრნენ მეგობრები
და კოლხეთის მთა და ბარი,
ჭიქა ღვინო ჯემალია, მასთან ტკბილი საუბარი...



ეროვნული ბიბლიოთეკა

## თამაზ ექვთიმიშვილი

# პატარა თეთრი კენჭები



- ამის შეცვლასაც დრო უნდოდა, კაცო?!

შავი ლიმუზინის სახურავზე ოქროსფერი რგოლი მზეზე ბრჭყვინავდა. შავ კოსტუმში გამოწყობილმა მძღოლმა ჯიბიდან თითბერის ჯვარი ამოაძვრინა:

- ა, აგერ არაა? იყო საქორწილო — გახდება საიქიოს ფაეტონი, - თან თვალი ჩამიკრა. — ეს უფრო მოუხდება, არა? წუხელ ჩამოიყვანეს გერმანიიდან. კრესლოების ამოღება ძლივს მოვასწარით... ბაბუაშენია?

- იყო, ჰო! ცოტა მალე ქენი!

- პირველი შენა ხარ, აი!..

რაც საბურთალოს ქუჩაზე ფალარათიანი ჩიტები დაფრინავდნენ, ყველას მისი ენისკენ მივასწავლე. თანაც სულ ტყუილად ჩამიპაჭუნა თვალი.

- ფულს არავინ დაგიმატებს, რო იცოდე, მაგის იმედი ნუ გექნება, - ცივი ანტიფრიზი გადავასხი.

ჯიბეში ტელეფონი აპიპინდა.

- რას შვებით? — მამაჩემი იყო.

- მოვდივართ, ჰო.

ლიმუზინში ჩავჯექი.

- წავედით, ჰე!

- წავედით და წავედით!

ბაბუაჩემს ნახევარი სანათესაო მაინც, ბორტებგადახსნილი გაზ-51-ით ეყოლებოდა გაცილებული იმქვეყნად. თვითონ იმპორტული კატაფალკით მიბრძანდებოდა, აცხონოს უფალმა.

მანქანა ნახევარ ბრუნზე დაიქოქა.

- ბედი ჰქონია?! — ატიტინდა შოფერი.

- მაგარი!

- რამ მოკლა, რამ, საწყალი?

- 85-ის იყო და მოკვდა რაღა, - მე ჩემი საფიქრალი მქონდა.

- მაინც? — არ მასვენებს.

- ქალებს გადაყვა.

- ვა! მართლა!

- ჰო. — მაინც ამიყოლია. ერთ ძველი ტელევიზორი ჰქონდა, „ლამპოვის" რომ ეძახიან. მერლინ მონროს უჩვენებდენ, მაინცდამაინც მაშინ გაიკეთა ეკრანმა ზოლები! გადაირია ბაბუაჩემი... შეძვრა „ატვიორტკით" ჰოდა, ბუთქა ჯერ ტელევიზორმა, მერე ბაბუაჩემის გულმა.

- ა! ესე იგი, ვსიო ტაკი გული. რა არის, კაცო, ეს ოხერი, - თავი გადააქნია და ნწ, ნწ, ნწ-ც დააყოლა.

●

ბაბუაჩემის სადარბაზოსთან სულ შავებში ჩაცმული ხალხი იდგა. შავ რეზინებს ლეჭდნენ და ოქროსფერი შემოდგომის ხეებიდან შავი, შავი ფოთლები ცვიოდა.

ზემოთ ავიხედე, ფანჯარაში ბებიაჩემი სალომე ქვრივის იდუმალი გამომეტყველებით იდგა და კიდევ რაღაც უცნაური ეფინა სახეზე. იდგა და თითს მიკაკვავდა — ალბათ: ზემოთ რომ ამოხვალ, ჩემთან მოდიო. წავედი.

- გაჩერდი აქ ერთ წუთს, ხალხს მაინც ჩამოართვი ხელი, - ჩაიბურტყუნა მამაჩემმა.

- ბებია მეძახის, - ჩავჩურჩულე და ერთი ხელის ჩამორთმევა მაინც მოვასწარი.

●

- რა იყო, ბებია? ფარცაგი ხომ არაფერია ჩვენს თავს?

- შეგიწუხდა გული, - მიცვალებულს გადახედა და შავი ცხვირსახოცით შავი ცრემლი მოიწმინდა.

- ჰე, ახლა; თქვი, თუ რამეა გასაკეთებელი, ცოტა დრო კიდევ გვაქვს.

- ცოტა, თორემ აგვიანდება ამ საცოდავს, - ცალი ცრემლი ახლა ცალი თითით შეიშრო და იდაყვზე მომქაჩა: - მოიწი აქეთ, მოდი!

გვერდით ოთახში გამიყვანა და ბუხრის კუთხისკენ მიმაჩოჩა:

- გაშალე მუჭი!

გავშალე, თვალებიც დავხუჭე და ყურის ბიბილოც ამეწვა.

- ა, შენ!

ხელისგულზე პატარა, მკვრივი საგანი ვიგრძენი.

- ოქრო არ გეგონოს!..

მგონი ბიბილოებზე მაგრად მომქაჩეს.

- ოქროს ამაზე დიდს დაგიტოვებდა, რო ქონოდა, მაგრამ, ოქროს და ბრილიანტს რომ სჯობს, ისაა.

"ა, არც ბრილიანტი?"

მუჭი გავშალე. ხელისგულზე პატარა, თეთრი კენჭი მედო.

- მე რომ ცოლად მომიყვანა, მაშინ აჩუქა ცხონებულს ბაბუამისმა, - მიცვალებულს კიდევ გახედა ბებიაჩემმა; - და შენ რომ საცოლე შეიქნებოდი, შენთვის უნდა გადმოეცა, მარა დაკარგა... მალევე. რამდენჯერ უძებნია, რომ იცოდე, და აგერ ახლა ვიპოვნე, მისი საწერი მაგიდის უჯრა რომ ამოვალაგე. სურათები და დოკუმენტები იყო შიგ.

უჯრა გამოაღო ბებიამ: - ნახე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

კენჭი უჯრის ბოლოს ჩადო. — ა, შეხედე ახლა! — უჯრა ხმაურით მიხურა.

გავიგონე, როგორ მოგორდა წინ ქვა.

- ახლა ნახე!

ყუთი კი არ გამოაღო — გამოგლიჯა. — ასე ბრაზიანად იცოდა ყველაფრის კეთება ბაბუაშენმაო.

- აგერ კენჭი! — ქვა ისევ უკან, ბოლოში იდო და ბრძანდებოდა.

- ისე, - ლაპარაკის ხასიათზე იყო ჭირისუფალი, - დიდად არც მოუკლავს თავი მაგის ძებნით. ე, იმ ყანწს რომ დალევდა, მაშინ გაახსენდებოდა ხოლმე. მომისმინე ერთ წუთს კიდევ; როგორც გითხარი, ეგ ქვა ცხონებულს ბაბუამისმა დაუტოვა. ის რომ მოკვდა, მაშინაც ძლივს უპოვნიათ და სად იყო, თუ იცი?

- ვიცი! აქ იქნებოდა. და იყოს მერე აქ! რა გინდა ჩემგან? თუ არავის დაჭირვებია აქამდე...

- აარა! ახლა შენ სხვა სახლი გაქვს. მადლობა, ვიპოვნეთ და შენთან უნდა იყოს!

- რად მინდა, ბებია, რად? რა დროს ეს კაჟია? — გარეთ შავი საყვირები შავ მუსიკას უკრავდნენ; - უკვე იცდის ხალხი.

- მოიცადონ. არ გაინტერესებს მაინც, რაა ასეთი? — უკვე წყინდა ქვრივს.

- რა უნდა იყოს? მამაჩემსაც ხომ ექნება?

- იმას ბაბუამისი მისცემდა, წესია ასეთი, და ექნება, აბა, თუ არ დაკარგა სადმე.

- ვაპოვნინებ, აუცილებლად ვაპოვნინებ, - მერე ორ ცალ კამათელს გავაკეთებინებ და, როცა ვეტყვი, შაში მოვა. მაგისთვისაა, ხო?

მოფერებახავით მუშტი მომხვდა მხარზე.

- იმ შაშმა და დურაკამ გიქნა, ამხელა კაცს ცოლი ვერ მოგიყვანია; - „დურაკას" და „ფურთის" გარდა სხვა თამაში არ იცოდა ბებიამ. — იცი, რა ქვაა ეგ?

- თქვი მერე, თქვი, თორემ წამოხტება შენი ქმარი და თვითონ გაიქცევა სასაფლაოზე.

- რა, ჩემო და ყველას იმედო, - ჩამეხუტა ბებია, - როცა საქმე გქონდეს გადასაწყვეტი, სულ უბრალო იყოს თუ გინდა, დახედე ზედ ამ ქვას — თუ გაწითლდა — დაივიწყე სულ! თუ გალურჯდა — მიდი, ქენი! ახლავე განახებ, თუ გინდა.

სალომემ ღვინის ბოთლი გამოიღო, ჭიქაში დაასხა და კენჭი ჩააგდო.

გალურჯდა. „ქიმიაა", - ვფიქრობ, - „სხვა რა?"

- ე! მთვრალი კაცისთვის ყველაფერი სულერთი როა, ხო იცი, ქვაც მასეა და მიხედე ახლა, გაუფრთხილდი და მოიხმარე.

შუბერტმა კი უკვე თავი ჩამოკრა კლავიშებს.

- ჩადი ახლა შენ, ბებია; ქალების ჩასვლის დროა. ყვავილები ჩაიტანეს უკვე.

სალომემ ქუჩას გადახედა.

- რაა, ბიჭო, ეს რგოლი უნდა ეკეთოს ბაბუაშენს თავზე?

უკანასკნელად დაემხო ბაბუას; გაყინული პირისახე ცხელი ცრემლით დაუსველა და მერე ორმა ქალმა ჩააცილა ბებია.

ერთს წერილი გავატანე „კატაფალკასთან": „ჯვარი დააყენე, ჯვარი".

კუბო სამჯერ მივაბრახუნეთ კარზე.

●

კენჭი მეც საწერი მაგიდის უჯრაში შევინახე და გორავდა, ალბათ, ხან აქეთ, ხან იქით.

ამასობაში დავქორწინდი. ბიჭი და გოგოც შემეძინა. მერე ბებია მოკვდა.

ორმოცი რომ გადავიხადეთ, კენჭი მაშინ გამახსენდა. სასაფლაოდან მომავალმა შევამოწმებ-მეთქი და გზაჯვარედინზე კენჭს დავხედე — წითელი იყო. შუქნიშანი არ მუშაობდა. არადა, არსაიდან არაფერი მოდიოდა. კენჭს კი არა, ზოგჯერ კაცს ეშლება-მეთქი, ყოველი შემთხვევისთვის ერთხელაც მივიხედ-მოვიხედე და, ის იყო, მუხრუჭიდან ფეხი უნდა ამეღო, რომ უზარმაზარმა, „პრიცეპკიანმა" „კამაზმა" ჩამიქროლა ცხვირწინ თან სულ ტონიანი სინკარებით იყო დატვირთული.

ეს ქვა დასაკარგი არ არის-მეთქი და ისევ საწერი მაგიდის უჯრაში შევინახე. იკოტრიალოს, ჩემგან რა მიდის? მოვესწრები შვილიშვილს, ალბათ, და - ფეშქეშ!

●

იმ გაზაფხულზე, ერთი დღე იყო, მახსოვს, ისე წვიმდა, „დვორნიკები" ძლივს ასწრებდნენ მინის წმენდას. ბუნდოვნად გავარჩიე ტროტუარზე ჩემი კლასელი — კლასელი კი არა, პირველი კლასიდან მერხის მეგობარი.

კარი გავხსენი: - დაჯე, ბიჭო, ჩქარა!

თავზე წაფარებული ცელოფანი გაბერტყა და გვერდით მომიჯდა.

საით-მეთქი ამ წარღვნაში?

- გაჭირვებამ იცის წარღვნა და ზვავი?

- მაინც?

მუჭი დამანახვა: ცოტა ოქრო მაქვს, უნდა ჩავაბარო.

- რამდენად აბარებ?

- ორმოცდაათი თუ ავიღე, კარგია.

- არ გენანება?

- მენანება, არა! რას მიკეთებს სახლში... აი, იქ რომ გადახვალ, გააჩერე.

გავაჩერე.

- აქაც რიგია, კაცო? — კარი გააღო და ცელოფანი მოიმარჯვა.

მაჯაზე მოვქაჩე.

- მოიცა, იქნებ, ვერ ჩააბარო. აჰა, ეს თუმანი, მეც თუმანს დავიტოვებ, - თვალი ჩავუკარი.

- რომც ჩავაბარო, მაინც არ მაწყენს — ცარიელი მაქვს სახლი. ... ჯიგარი ხარ. — ხელი ამიწია და ცელოფანი თავზე წაიფარა.

სადღაა რიგები ოქროს მიმღებ პუნქტებთან, - ვფიქრობ. არადა, ოცკაციანი რიგი კი იდგა. არც ერთი ქალი. დაველოდები ბარემ, სახლშიც ავიყვან-მეთქი და ვიტრინასთან გავაჩერე.

"უმაღლეს ფასში ვიბარებთ პატარა თეთრ კენჭებს" — ეწერა მინაზე. მეტი არაფერი. რის ოქრო? რა ოქრო?

მალე გამოვიდა. დამინახა. უხმოდ ჩაჯდა. ვიტრინას შეხედა, რატომ შერცხვა, ვერ გავიგე.

რას იზამო, - მხრები აიჩეჩა — მაინც ტყუილად იდო ბაბუაჩემის პორტსიგარში.

- ვერაფერს, - ხელი გადავხვიე, - კარგი მუშაობა აქვთ?

- კიი, დილაა და ნახევარი ჭიქა სისხლისფერი უდგათ უკვე!

- სისხლისფერი?

- ჰო, რა, წითელი კენჭებითაა სავსე.

წვიმა მინას რეცხდა, გამვლელებსაც. ამინდი იყო ასეთი.

- რა თქვი შენ, ჭიქაო?

- ჰო, ჭიქა, - შემომხედა მეგობარმა.

- ჭიქა და ჭიქა იყოს!

ჩემი მანქანაც ნახევარი ბრუნით იქოქება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დიმიტრი ლობჟანიძე

## ჩაბმულა



ხვავრიელად თოვდა.

მიწას გვარიანად ეტყობოდა ზეცის ნაწყალობევი სიუხვე და ხელგაშლილობა: ცა თითქოს ცხრილი იყო და მის თავანში წლობით დაგროვილ თოვლის მარაგს ფიფქებად და ფანტელებად აფენდა გულზე სევდამოწოლილ დედამიწას.

ირგვლივ ისეთი სიჩუმე იდგა, ლამის თოვლზე ფიფქთა დაცემის ხმა ისმოდა.

თეთრფაფახიანი ბუხრებიდან ბლუჯა-ბლუჯა ამოდიოდა შავი კვამლი და ნაცრისფერი ღრუბლებით დამძიმებულ ზეცას უხმაუროდ ერთვოდა. სახუნდარში ჩასაფრებულ მონადირესავით გატრუნული სოფელი ფაცხეური მტკიცედ ნაგებ, სქელკედლებიან ქვიტკირის სახლებში შეყუჟულიყო და საამურად მოგუგუნე რკინის ღუმელებს თუ მამაპაპურ ბუხრებს მიფიცხებული თბებოდა.

გარეთ, ისიც მხოლოდ აივანზე, ათასში ერთხელ ოჯახის რომელიმე წევრი დაპობილი შეშის შინ შესატანად თუ გამოვიდოდა და, სახლს სითბო რომ არ განელებოდა, უმალ მოხურულ კარს მიღმა, უჩინარდებოდა. თავის წესსა და რიგზე მოსულ მთის მკაცრ ზამთარს სხვებზე არანაკლებად დაეფრთხო სოფლის სიფხიზლის მოდარაჯე ძაღლები. სიცივისგან საცოდავად მობუზულებს, ზოგს თავი აივნის ქვეშ შეეფარებინათ, ზოგს კი მყუდრო და თბილი ალაგი სხვაგან მოენახა. გორგალივით მჭიდროდ დახვეულებს ცხვირი საკუთარ თბილბეწვიან სხეულებში ჩაერგოთ და თვლემამორეულებს ყეფის ყოველგვარი ხალისი დაკარგოდათ. მხოლოდ ათასში ერთხელ, ისიც აივანზე, დროდადრო გამოსული პატრონების საამებლად და მრავალეობის მოსახდელად, შეუყეფდნენ ხოლმე ძილ-ბურანში მოლანდებულ მოჩვენებებს თუ სადღაც ჭიშკრის გაჭრიალებაზე გამოჩენილ უცხო ადამიანებს და მერე უმალვე მიყუჩდებოდნენ, თითქოს კიდეც ნანობდნენ, ეს ყეფა რა ეშმაკად წამოგვცდაო.

მარტო ონავარი ბავშვები არ შეპუებოდნენ ზამთრის განუყრელ თოვლსა და ყინვას. სხვენზე გადანახული ციგები მოენახათ, ფოლადის კავები ქონით საგულდაგულოდ გაეპოხათ, უფრო სწრაფად რომ ესრიალათ და სოფლის განაპირა ერთ-ერთი ყველაზე ციცაბო ფერდობის თავიდან ხალისიანი ჟრიამულით დაშვებულები თავბრუდამხვევი სისწრაფით მიჰქროდნენ სოფლის ბოლოსკენ.

შინიდან წამოსული გიო და თედო ორღობიდან თემშარაზე გავიდნენ. სანახშოზე მისულებს ხმამაღალი შეძახილებით შეეგებნენ მეგობრები.

- აჰა, ველოდით და გიო და თედოც მოვიდნენ. ახლა თითქმის ყველანი აქ ვართ. ვინც გვაკლია, ალბათ, ისინიც მალე შემოგვიერთდებიან, თუმცა მათ გარეშეც შეგვიძლია, ჩაბმულას თამაშს შეუდგეთ, - პირდაპირ საქმეზე გადავიდა ქვემოუბნელი ზურყანა და მეგობრების პასუხს დაელოდა.

- მშვენიერი აზრია! – მოწონებით დაეთანხმა თვალია.

- სწორედ ჩაბმულას სათამაშო თოვლი და ამინდია, კიდეც გავხურდებით და კიდეც გავერთობით, - დაუმატა ვიღაცამ.

- ასეა, ასე, - სხვებმაც მხარი აუბეს და თადარიგს უმალვე შეუდგნენ.

ჩაბმულა ვაჟკაცის ფიზიკურ და სულიერ შესაძლებლობათა გამოცდაა. მეჩაბმულავე თავისიანებს მოწყვეტილი, მტრის გარემოცვაში მოქცეული მარტოკაცი და მარტოციხეა, რომელსაც, საკუთარი თავის გარდა, არავისი დახმარების იმედი არ უნდა ჰქონდეს. მან – ამ მარტოკაცმა და მარტოციხემ, რადაც უნდა დაუჯდეს, ბოლომდე უნდა გაუძლოს გარშემორტყმულ, ძალისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიცხობრივი უპირატესობის მქონე, მასზე ათჯერ, გინდაც ასჯერ მრავალრიცხოვან მტერს, აიტანოს შიმშილი, წყურვილი, არ უღალატოს მხნეობამ და გამძლეობა-გამბედაობამ, დრო შეურჩიოს და მამაცურად მიუხტეს მტერს, სძლიოს და გაიმარჯვოს!

ჩაბმულა ზამთრის თამაშია.

წინასწარ შერჩეულ ადგილზე თოვლიან მიწაში მეტრამდე სიგრძის მავთულს ჩაამაგრებენ. მავთულს ბოლოში ხელის ჩასაჭიდად მცირე ზომის ჯოხს გამოაბამენ, რათა მოთამაშეს ცივ მავთულზე ხელი არ მიეყინოს.

ჩაბმულას მოთამაშეთაგან ერთ-ერთი თავისი ნებით ან წილისყრით, რიგრიგობით, ჯოხიან მავთულს ხელს ჩაავლებს და მინდორში რკინის პალოზე თოკით დაბმული ცხენივით ადგილზე ტრიალებს. მეჩაბმულავეს სხვები გარს შემოერტყმიან და თავს ესხმიან ხან ცალ-ცალკე, ხანაც – რამდენიმე ერთად, — ვინ როგორ მოასწრებს და მოახერხებს თავდასხმას და იერიშის მიტანას.

მეჩაბმულავეზე თავდასხმა ნახტომით შეტევას და წიხლის დარტყმას გულისხმობს.

თავის მხრივ, საჯარიმო წრეში მყოფი მუდამ იმას უნდა ცდილობდეს, რომ თავდამსხმელებს ცრუ მოძრაობით გაუსხლტეს და დარტყმა აიცდინოს, მხოლოდ ისე, რომ არც ჩაბმულას ჯოხს გაუშვას ხელი და არც წრიდან გავიდეს. წრის შიგნითა ადგილი შიგ მყოფის სამფლობელოა მანამ, სანამ შიგ დგას. მეჩაბმულავის მიზანი თავდასხმაც არის და თავდაცვაც. იგი უნდა ეცადოს და მოახერხოს, წრეში შემოჭრილი თავდამსხმელი ფეხზე ფეხის დარტყმით "დაჭრას". ამის შემდეგ "დაჭრილი" მოთამაშე საჯარიმო წრეში დგება, ხოლო "დამჭრელი" წრის გარეთ თავდამსხმელებს უერთდება.

ჩაბმულა ლახტსა ჰგავს, ოღონდ ეს ბევრად უფრო მკაცრი და უშეღავათო თამაშია. ლახტში ორ თანაბარ ჯგუფად გაყოფილი მოთამაშეები ეჯიბრებიან ერთმანეთს. აქ კი ერთი, თანაც რკინის პალოზე ჩაბმული, მრავალს ებრძვის. ამიტომ ჩაბმულას თამაში მეჩაბმულავისგან დიდ ძალას, სისხარტეს, სხეულის მოქნილობას, მოხერხებულობას, თვალჩუბინობას და ამტანიანობას მოითხოვს.

ამ სტრიქონების ავტორისთვის ცნობილი არ არის ეს თამაში, გარდა ფაცხეურისა, სხვაგან სადმე თუ იციან, თუმცა ეჭვი ოდნავადაც არ ეპარება იმაში, რომ იგი საბრძოლო, ძლიერ მეომართა გასაწვრთნელი ვარჯიშია, რომელიც უხსოვარ დროს მაშინ ჩაისახა, როცა თავის დასაცავად პირველი ციხე აშენდა და პირველი მოალყე გაჩნდა.

ეკლესიის ეზოში, ასწლოვან ცაცხვებქვეშ მშვიდად მომასლაათე ფაცხეურელმა კაცებმა რომ დაინახეს, ყმაწვილებმა ჩაბმულას თამაში წამოიწყესო, უმალ იქით გასწიეს. შორიდანვე შეამჩნიეს, თანატოლებს ნინია ციხიკარიძის გიო ტყის პირას მგლების მიერ მოტანებული უპატრონო ბატკანივით წრეში შეეგდოთ, თვითონ ხროვად გარს შემოხვეოდნენ და შესაფერის დროს ელოდნენ, წიხლი რომ დაერტყათ. მაგრამ ჩაბმულას ჯოხზე ხელჩაკიდებული ბიჭი ერთთავად ფხიზლად იყო. წრის გარეთ რაც ხდებოდა, ყველაფერს ქორული, მახვილი მზერით უმცდარად აკონტროლებდა და ფოცხვერივით ფიცხელი და აფთარივით სხარტი ერთ ადგილზე ვერცხლის წყალივით მოუსვენრად წრიალებდა.

ბიჭები, როგორც კი მათ საცქერლად მოსული უფროსები დაინახეს, ერთიორად გაფიცხდნენ, თავგამოდებას უმატეს და მეჩაბმულავეს ზედიზედ შეუტიეს. თითოეული ცდილობდა, თავისი შესაძლებლობა და უნარი ზედმიწევნით გამოეჩინა და უფროსებისთვის თავი მოეწონებინა.

გიომ უმალ იგრძნო თანატოლების გაათკაცებული გულმოდგინება. იმის შიშით, ამხანაგებმა არ დამჯაბნონ და არ შევრცხვეო, გაორკეცებული ენერგიით ცდილობდა, თავდამსხმელთა ყოველ შემოტევას მომზადებული შეგებებოდა.

ამ ყოფაში მოუსწრო მეჩაბმულავეებს და მათი ცქერით გართულ თანასოფლელებს სამჭედლოდან შინისკენ მიმავალმა ნინიამ. მეზობლებს უხმოდ მიუახლოვდა. როგორც კი თანატოლებთან ორთაბრძოლაში ჩაბმული თავისი ბიჭი შეიცნო, მზერა გაიფაციცა. თვალი არ მოუცილებია. დაძაბული აკვირდებოდა შვილის ყოველ მოძრაობას მოწინააღმდეგეების იერიშის დროს. მის უნარს უცხო, გარეშე მაყურებლის თვალით ზომავდა და ამოწმებდა. გონების თვალით წონიდა და პირუთვნელად აფასებდა მის ყოველ შეტევით თუ თავდაცვით ილეთს. მკაცრი, მიუკერძოებელი მსაჯულის გულმოდგინებით ცდილობდა, რამე უზუსტობაში დაეჭირა შვილი, მის მიხრა-მოხრაში და მოძრაობაში თუნდაც მცირე ნაკლი, მოდუნება, დაღლა ან სისუსტის კვალი ეპოვა, მეტოქეთა თავდასხმის მოლოდინში შიშნაღვრილი სულმოკლეობით გამოწვეული აჩქარება და შეკრთომა ეგრძნო, გაუბედავი და დაძაბუნებული ეხილა. მაგრამ მსგავსი ვერაფერი შეამჩნია. გიო შესაშური ოსტატობით ართმევდა თავს ჩაბმულას წრეში დგომისას მძიმე გამოცდას. თანატოლთაგან რამდენმაც სცადა თავდასხმა და წიხლის დარტყმა, ყველას იმედი გაუცრუვა. ამიტომაც მამას, სურდა თუ არ სურდა, გულწრფელად უნდა ეღიარებინა მეტოქეებზე შვილის უპირატესობა... გულში, თორემ ხმამაღლა ამის თქმას თავს როგორ აკადრებდა! ფაცხეურში მშობლისაგან, თუნდაც დამსახურებულად, შვილის შექება დიდ სირცხვილად ითვლებოდა. ნინია ციხიკარიძე კი ის კაცი არ იყო, მოუზომავი, უადგილოდ ნათქვამი სიტყვით ან თავი, ან შვილი ჩაეგდო სირცხვილსა თუ უხერხულობაში.

როცა ამდენი ურთიერთდაზვერვა და უშედეგო გარეგარე ტრიალი მაყურებელთათვის, განსაკუთრებით უფროსებისთვის, მოსაწყენი გახდა, ზოგიერთმა მათგანმა ყმაწვილებს მოზომილად უსაყვედურა: ან დაგვანახეთ, რამე თუ შეგიძლიათ, ან თამაშს, საერთოდ, მორჩითო. ეს საყვედური უფრო თავდამსხმელებს ეკუთვნოდათ, ვიდრე წრეში მდგომ გიოს, რადგან ყველა ხედავდა, რომ იგი მეჩაბმულავის მოვალეობას ძველი ქართველი მეციხოვნესავით უზადოდ ართმევდა თავს.

უფროსების საყვედურის ბრალი იყო თუ ბიჭებსაც მოსწყინდათ ასე უქმ-უშედეგოდ ტრიალი, ლადომ და ზურყანამ მათგან ზურგით მდგომ გიოს დრო შეურჩიეს და, დარწმუნებულებმა, სხვების თვალთვალით გართული ჩვენ ვერ გვხედავსო, გრძელი ნახტომით თითქმის ორივემ ერთდროულად ისკუპა მისკენ. ამის მნახველთა უმეტესობას ეგონა, რომ მიზანს არც ერთი თავდამსხმელი არ ააცდენდა.

მაყურებელთა გაფაციცებულ მზერასა და წრიალზე გიომ გუმანით იგრძნო, რომ წრის მიღმა მისთვის რაღაც საგულისხმო ხდებოდა. ფარული მზერა გააპარა იქითკენ, საიდანაც საფრთხე უმზადდებოდა, მაგრამ ადგილიდან არ განძრეულა. მშვიდად დაელოდა თავდასხმას. როცა ლადომ და ზურყანამ სხვადასხვა მხრიდან ისკუპეს, გიო ყველასთვის მოულოდნელად წამის უსწრაფესად განზე გახტა და თითქმის გარდაუვალი დარტყმა უჩვეულო ოსტატობით ლამაზად აიცილა თავიდან. ამით აღტაცებულებს დიდებსაც და პატარებსაც, მოწონების შეძახილები აღმოხდათ. მხოლოდ ერთმა თუ ორმა ვერ შეიკავა იმედგაცრუებით გამოწვეული უკმაყოფილება.

- ეე! – იყვირა წინა რიგში მდგომმა გაბომ, რომელსაც სოფელი უჟმური ხასიათის გამო მეტსახელად "მწარეს" ეძახდა, ხელი უკმაყოფილოდ ჩაიქნია და გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე ბრაზით გადააფურთხა.

- რა იყო, გაბო, გეწყინა შენი ძმისწულის, ზურყანას და ზაქარაანთ ლადოს ნიხლის დარტყმა ნინიას ბიჭმა ასე მარჯვედ რომ აიცილა? — ოდნავ დამცინავი ღიმილით ჰკითხა გვერდით მდგომმა მიხამ მეზობელს.

- მეწყინა თუ გამიხარდა, ეს არავისი საკითხავი არ არის; აი, ნინიას ბიჭმა კი ახლა ნამდვილად რომ ვერ ქვქ რგა, ამას წყალი არ გაუვა: მას ადვილად შეეძლო მის ფეხებთან წაქცეული ლადოს "დაჭრა" და საჯარიმო მოედნიდან გამარჯვებული გამოსვლა.

- არა მარტო ლადოსი, შენი ძმისწულისაც, — მიუგო მიხამ და მერე დაუმატა: — მაგრამ თუ იცი, რატომ არ ქნა ეს?

"მწარე" გაბომ უკმაყოფილოდ შეხედა მოსაუბრეს და მცირე დაყოვნების შემდეგ ჩაეკითხა:

- მაინც რატომ?!

- იმიტომ, ჩემო გაბო, რომ ყმაწვილმა დიდსულოვნება გამოიჩინა და წაქცეული მოწინააღმდეგის ჩაწიხვლა არ იკადრა, თუმცა ეს, თამაშის წესით, სავსებით დასაშვები და მისაღებია. როგორც ჩანს, ბიჭს მეტოქის ღირსეულად დამარცხება თანასწორ პირობებში სურს და არა ხელმოცარულის მუხთალ-მზაკვრობით და ამას უთუოდ შეძლებს კიდევაც.

- შეძლებს არა! - აგდებულად მიუგო გაბომ და მოთამაშეებს გაფაციცებული მზერა მიაპყრო.

- ვნახოთ! – მუქარით ჩაილაპარაკა მიხამ და თვითონაც მოედნისკენ შებრუნდა.

ნინიას ერთი სიტყვაც არ გამოჰპარვია მეზობლების საუბრიდან, მაგრამ კრინტი არ დაუძრავს. მშვენივრად ხვდებოდა, რომ "მწარე" გაბოს ბოლმა ალაპარაკებდა და საჭიროდ არ ჩათვალა, გამოპასუხებოდა. მამის ყურადღება მთლიანად შვილისკენ იყო მიპყრობილი და გულში ძალიან ესიამოვნა მეტოქეთა მიმართ მის მიერ გამოჩენილი შეუბღალავი, ვაჟკაცური საქციელი.

"თითქოს ცუდი არ უნდა იყოს, შვილო, შენი მოქმედება და საქციელი, - გუნებაში საკუთარი საწყაოთი წონიდა და აფასებდა შვილის ნამოქმედარს, - მაგრამ ისიც არ უნდა დაგავიწყდეს: მუდამ თუ ასე სულგრძელი და სხვებისადმი ანგარიშის გამწევი იქნები, ძალიან გაგიჭირდება მაგ ზნეობით ცხოვრება და სიწმინდის ბოლომდე შენარჩუნება, განსაკუთრებით - კაცობის ასაკში შესულს, როცა ამ ჩვენს მძვინვარე და დაუნდობელ დროში უამრავი სიძნელის პირისპირ აღმოჩნდები. დარწმუნებული ვარ, მაშინ არაერთ უსიამოვნებას შეგახვედრებს ეს შენი ზნე და ხასიათი, მაგრამ, შვილო, უხსენებელივით ჭრელ და ვერაგობით აღსავსე ცხოვრებაში ზნეგაბზარული ქვენაგრძნობებით მოხალიჩე ადამიანთა შორის, - ისინი შენსავით მოზარდები იქნებიან თუ ჩემი ასაკისანი, ცხიერებამ როგორც უნდა იმძლავროს, შენ მაინც გულმართლად, ალალად, გულმოწყალედ და სხვათა გასაჭირისადმი თანამგრძნობლად ყოფნა გერჩიოს მუდამ, თუკი ამ თვისებების შენარჩუნებას და დაცვას ბოლომდე შეძლებ".

გაბოს ვერა და ვერ მოენელებინა, რომ გიო აშკარად ჯაბნიდა მის ძმისშვილსაც და დანარჩენ თანატოლებსაც. სხვა რომ ვერაფერი იღონა, გულის მოსაოხებლად განგებ ხმამაღლა გადაულაპარაკა გვერდით მდგომ მიხას, რათა მისი ნათქვამი მათ უკან მდგომ ნინიასაც გაეგონა:

- უჭირს ნინიას ბიჭს, უჭირს. საეჭვოა, რომ ვინმეს "დაჭრა" მოახერხოს და წრიდან გამარჯვებული გამოვიდეს. ცოტაც და ძალიან მძიმე დღეში ჩააგდებენ თანატოლები.

სანამ მიხა რამეს ეტყოდა, ნინიამ ოდნავ წინ წაიწია და გაბოს ძალიან მშვიდად უთხრა:

- არაფერია, გაბო. მადლობელი ვარ, ჩემს ბიჭზე ასე ძალიან რომ შეგტკივა გული, მაგრამ კარგად ვიცი მისი სიკერპის და სიჯიუტის ამბავი — როგორ მძიმე დღეშიც უნდა ჩააგდონ თანატოლებმა, ბოლომდე ეყოფა ძალა და მოთმინება, ისე აიტანოს გასაჭირი, ერთხელაც არ დაიჩივლოს, მაგრამ შენთვის, ვგონებ, ბევრად უმჯობესი იქნება, იმაზე იფიქრო, შენს შვილებს რა დღეში ჩააგდებენ თანატოლები!

გაბოს ვაჟი არ ჰყავდა. იგი ხუთი ქალიშვილის მამა იყო და უძეობას ძალიან განიცდიდა. სულაც არ გასჭირვებია იმის მიხვედრა, ნინია ქარაგმულად ნათქვამში რასაც გულისხმობდა და მისი სიტყვები გულში ალესილი ხანჯლის წვერივით მოხვდა. შუბლი მწყრალად შეიჭმუხნა და სახეც ავად მოექუფრა. დააპირა, მეტოქეს ვალში არ დარჩენოდა: ისეთი რაღაც ეთქვა, სანამლავივით მწარე, სატევარივით ორპირადმჭრელი და გულში გავლილი შხამიანი ისარივით გამანადგურებელი ყოფილიყო. მაგრამ ბოლო წუთებში რაღაც მზაკვრულმა ფიქრმა გაუელვა და განზრახვა შეაცვლევინა. ენაზე მომდგარი სათქმელი გულში ჩაიბრუნა, რომ ყოველი სიტყვა ნაღველში ამოეწო და ისეთი სიმწვავე მიეცა, მისგან დაკოდილი გულის იარა არასოდეს შეხორცებულიყო.

"არ შევარჩენ, არა! – გამწარებული იმეორებდა გულში. – ავსიტყვა ნინიას და მის უდღეურ ბიჭს ყოველთვის რავა გაუმართლებთ. სულ მალე აქვე, ამ თამაშშივე მოეცარება ხელი და ჩაბმულას წრეს დამარცხებული და შერცხვენილი დატოვებს... მაშინ ვეტყვი მამამისს გულის მომწყლავ უმწარეს სიტყვებს. ვნახავ, რა გუნებაზე დადგება მამა-შვილი".

გიოს დამარცხების იმედი გაბოს განსაკუთრებით იმან ჩაუსახა, ბოლო წუთებში ბიჭს თითქოს უხალისობა დაეტყო. ირწმუნა, უთუოდ რამდენიმე მოწინააღმდეგის პირისპირ უთანასწორო ბრძოლამ მოქანცა, მოადუნა და ძალ-ღონე გამოაცალაო.

სინამდვილეში ბუნებით მეოცნებე ბიჭს თამაშის მიწურულს უჩვეულო, უცნაური ფიქრი ფარმანდივით წამოებორკა. მის არსებაში ოცნება და სინამდვილე ერთმანეთს გადაეჯაჭვა, ჩაეწნა და ჩაეხლართა. ეს დალოცვილი ფიქრ-ოცნება რაკი ერთი აეკვიატა, თავიდან ვერა და ვერ მოიცილა.

"...მეფე დავითმა ბრძოლის დაწყების წინ თავის მხედრობას სეფე სიტყვებით მიმართა:

- მეომრებო, დღეს დიდგორი საქართველოს დედოციხეა, ჩვენ კი ყველანი მისი მეციხოვნეები ვართ. გახსოვდეთ: მტერმა დედო-ციხეს ვერ უნდა სძლიოს:

- ვერც სძლევს, მეფეო! – იყო მხედრობის ფიცივით მტკიცე პასუხი.

- ინებოს ღმერთმა, ახლა ორასი ცხენ-კეთილი მეომარი მჭირდება მტრის მთავარ ბანაკში შესაგზავნად.

წინ ხუთჯერ მეტი გამოვიდა.

- ამდენი არა, მხოლოდ ორასი. – და მეფემ ორასივე თვითონ შეარჩია.

დიდგორში ბრძოლად დამდგარ მეფე დავითის ლაშქარში, თავის რაზმელთა შორის გიო ციხისკარიძეც იდგა. წელზე პაპისეული ხმალი ერტყა, თავზე არაერთ ბრძოლაში გამონატარი მამის ჩაფხუტი ეხურა და მისეულივე ჯაჭვის პერანგი ეცვა. მთელი ეს საომარი აღჭურვილობა ისე ადგა ტანზე, თითქოს ყველაფერი საგანგებოდ მისთვის გამოეჭედათ.

გიო თავის რაზმს გამოეყო. მეფეს მიეახლა, ცალ მუხლზე დაუჩოქა და შეევედრა:

- მეფეთ მეფეო, ნება მომეცი, შენს მიერ არჩეულ ორას მხედარს ორას მეერთედ მეც შევუერთდე.

მეფე დავითმა დაჩოქილს ფეხზე წამოდგომა უბრძა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნა და გაკვირვებულმა ჰკითხა:

- შენისთანა ყმაწვილები ომში მე რომ არ მომიხმია, აქ როგორ გაჩნდი?!

- მეფეთ მეფეო, მამაჩემი, ნინია ციხისკარიძე ერწუხის ომში თურქებმა მოკლეს. პაპაჩემი, ივანე სულკურთხეულ მამაშენს, მეფეთ მეფე გიორგის ფარცხისში ახლდა და ისიც თურქთაგან განგმირული იქვე დაეცა. ახლა, ქვეყანას თურქების კვლავ შემოსევის ამბავი რომ მოედო, ოჯახში ჩემს მეტი მამაკაცი არ იყო და სამშობლოს წინაშე ვალმოსახდელად წელზე მახვილი მე შევიბი. დედამ დამლოცა და თან გამაფრთხილა: გახსოვდეს, ტანზე მამაპაპურ იარაღს ისხამ და არ შეარცხვინო მრავალ ომში ღირსეულად გამონატარიო. მეფეთ მეფეო, ნება მომეცი, დედას დანაპირები შევუსრულო.

- რა გქვია და რა გვარისა ხარ?

- გიო მქვია, ციხისკარიძე ვარ, მეფეთ მეფეო, ფაცხეურიდან.

- ჭაბუკო, მრისხანე მტერთან საბრძოლველად ჯერ შენ ყმაწვილი ჩანხარ.

- თხუთმეტი წლის გახლავარ, მეფეთ მეფეო, და უკვე ყმაწვილი აღარ მეთქმის. სხვებს ჩემი ხნისასა ქვეყნისათვის უფრო დიდი საქმეები უკეთებიათ,— გიოს არ დაუზუსტებია, ვის გულისხმობდა, არც მეფე ჩაძიებია, რადგან მისთვის უამისოდაც ყველაფერი ნათელი იყო.

- კარგი. იყოს ისე, როგორც შენ ითხოვ, მხოლოდ თავს გაუფრხილდი. გახსოვდეს, რომ მტრის მთავარ ბანაკში მიდიხარ. ეს კი...— მეფემ სათქმელი ბოლომდე არ თქვა.

- გმადლობ, მეფეო. ვეცდები, თავი არ შევირცხვინო!"

ბიჭს უცნაური ფიქრები ზურყანას და მასზედ ბევრად უფროსი გიგას თავდასხმამ გააწყვეტინა. მათ წინასწარ შეთანხმებით, თითქმის ერთდროულად სხვადასხვა მხრიდან შეუტიეს, რომ დაებნიათ და, გრძელი ნახტომით წამოსულებს, წიხლი ორივეს დაეკრა.

გიომ ამჯერადაც დროზე შეასწრო თვალი თავდამსხმელებს და მათი მოძრაობის მიმართულებაც უმცდარად გამოიცნო. თუმცა თავდამსხმელთა ყურადღების მოსადუნებლად ისეთი სახე მიიღო, თითქოს ვერც ვერაფერს ხედავდა და ვერც რამეს ხვდებოდა. ფიქრი კი არა და არ ასვენებდა:

"გიო, ხომ არ დაგავიწყდა, მეფეთ მეფე დავითს რა უთხარი. ფრთხილად, არ შერცხვე არც მეფის და არც დედის წინაშე. თანაც ეს ხალხი რა თანაგრძნობით შემოგცქერის და მოუთმენლად მოელის, რით დამთავრდება შერკინება. თანასოფლელების წინაშე თავის გამოჩენა მცირე საქმე ხომ არ გგონია. მცირე კი არა, მე თუ მკითხავ, სხვაზე ნაკლები არც ეს არის". – უცხოსავით გააფრთხილა საკუთარი თავი. მხოლოდ ეგ იყო, ბოლო წუთებში თვითონაც ველარ გარკვეულიყო, სად მთავრდებოდა ოცნება და სად იწყებოდა სინამდვილე. მის არსებაში აწმყო და წარსული ერთმანეთს შერწყმოდა. ჟამიდან ჟამზე ეჩვენებოდა, თითქოს ხან დიდგორში დავით მეფის ლაშქრის მეომარი იყო, ხანაც მტრის გარემოცვაში მომწყვდეული მარტოხელა მეციხოვნე, რომელსაც მტერზე უთუოდ უნდა გაემარჯვა.

...ჩაბმულას წრეში წაქცეულ და თოვლში გახვეულ ხელმოცარულ თავდამსხმელებს თავზე ადგა. "დაჭრა" ადვილად შეეძლო, მაგრამ ეს არც ამჯერად ქნა. როგორც ჯიშიანი მწევარი მოტანებული ნადირის სოროდან გამოსვლას, მათ წამოდგომას ისეთი აღტყინებით მოელოდა. გულით ეწადა, ორს ერთი შებმოდა და გაემარჯვა. ეგონა, დაცემისას ორივენი ისე დაიბეჟნენ, წინააღმდეგობის თავი ნაკლებად ექნებოდათ და ადვილად დაამარცხებდათ.

ზურყანამ რომ შენიშნა, გიო წაქცეულებს არ ერჩოდა, ამით ისარგებლა. მოულოდნელად წამოიჭრა და გიოს ფეხი დასარტყმელად მოუქნია. მაგრამ არავინ რომ არ მოელოდა, გიო ამ შემოტევას უხიფათოდ გადაურჩებოდა, იგი ადგილიდან წამიერად სამი-ოთხი ნაბიჯით განზე გახტა და თითქმის გარდაუვალი დარტყმა აიცილა. მერე მეტოქეს სულის მოთქმა არ აცალა, თავს დაესხა. თვალის დახამხამებაში ფეხი ფეხზე ისეთი ძალით შემოჰკრა, ეს უკანასკნელი ძირს მოცელილივით დაეცა.

თამაშის ასე მოულოდნელმა გამძაფრებამ მაყურებელიც გამოაცოცხლა. მით უფრო რომ, ზურყანა წაიქცა თუ არა, თითქმის იმავე წუთში გიგა წამოიჭრა და გიოს თავს ზურგიდან დაესხა. მაგრამ ალღო იყო, გუმანით იგრძნო თუ თვალი დროზე შეასწრო რა საშიშროება ემუქრებოდა, გიომ ამჯერადაც იმარჯვა. გიგას პირისპირ დაუდგა. მისგან მოქნეული ფეხი აიცდინა. მარჯვე დარტყმით "დაჭრა" და, საბოლოოდ გამარჯვებული, კანჯარივით სწრაფი და გრძელი ნახტომით საჯარიმო წრიდან დაუბრკოლებლად გაიჭრა.

"ყოჩაღ, ჭაბუკო! დედო-ციხეს სწორედ ასეთი მცველები და მეციხოვნეები სჭირდება!" – ისე ცხადად ჩაესმა ოცნებიდან ჯერაც გამოუსვლელ ბიჭს ყურში, ათასი საწინააღმდეგოც რომ ემტკიცებინათ, ვერავინ დაარწმუნებდა, რომ ეს სიტყვები დავით მეფეს არ უთქვამს მისთვის...



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზამბულატ იდიევი

*ზამბულატ იდიევი საქართველოში მცხოვრები ლტოლვილი ჩეჩენი მწერალია. 2002 წელს თბილისში გამომცემლობა „შარავანდის" გრიფით რუსულ ენაზე დაიბეჭდა მისი პროზაული კრებული, რომელშიც მწერლის ორი მოთხრობა „ურჩხულის ნიშნობა" და „თამაში ეკლიან მავთულხართებს მიღმა" შევიდა. წიგნში ნაჩვენებია ჩეჩნეთის თანამედროვე სინამდვილე, მძაფრი ექსპრესიითა და დინამიკით არის ასახული ის ტრაგიზმი, რომელშიც ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის ბრძოლის გზაზე უწევს ცხოვრება ამ მცირერიცხოვან ხალხს.*

*ზამბულატ იდიევი დაიბადა 1964 წლის 11 მარტს ქალაქ გროზნოში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა მოსკოვის მაქსიმ გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში. 1990 წელს მუშაობას იწყებს ჩეჩნეთ-ინგუშეთის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად. 1993 წელს გაზეთ „ვასტის" (სახე) კულტურის განყოფილების გამგე, ხოლო 1994 წელს ჩეჩნეთის რესპუბლიკა - იჩქერიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პროტოკოლის დეპარტამენტის პირველი მდივანია. რუსეთ-ჩეჩნეთის პირველი ომის შემდეგ, 1994-96 წლებში დევნილობაშია დაღესტანში, ნალჩიკში. 1996 წელს ბრუნდება გროზნოში და მუშაობას იწყებს ჩეჩნეთის იუსტიციის სამინისტროში საინფორმაციო განყოფილების უფროსად, საიდანაც 1997 წელს საგარეო საქმეთა სამინისტროში მინისტრის თანაშემწედ გადაჰყავთ. 1998 წლიდან არის ტელეკომპანია „ნოხჩის" (ჩვენი ხალხის) რედაქტორი, სადაც მისი ინციატივით არსდება სატელევიზიო მხატვრული ჟურნალი „ეხო", რომლის პროგრამითაც იღებენ და ეთერში უშვებენ ათამდე დოკუმენტურ ფილმს. 1999 წელს სატელევიზიო გადაცემა „ეხოს" ბაზაზე თანამოაზრეებთან ერთად აფუძნებს შემოქმედებით გაერთიანება „ეხოს".*

*1999 წლიდან ზამბულატ იდიევი, როგორც ლტოლვილი, თბილისში იმყოფება. აქ მეგობრებთან ერთად აარსებს „კავკასიის საინფორმაციო ბიუროს". იგი ამ ბიუროს მთავარი რედაქტორია. ბიურო გამოსცემს გაზეთს „ჩეჩენსკაია პრავდა" და ბიულეტენს „ვაინა ი მირ". ამჟამად მუშაობს სადისერტაციო თემაზე ცნობილი ჩეჩენი მწერლის ხალიდ ოშაევის შემოქმედების შესახებ, რომლის დაცვასაც თბილისში აპირებს.*

*ზამბულატ იდიევმა წერა ჯერ კიდევ სკოლის ასაკიდანვე დაიწყო. მისი პირველი მოთხრობა 1992 წელს დაიბეჭდა გაზეთ „ვასტში". წერს მოთხრობებს, პიესებს, ლექსებს.*

*ზამბულატ იდიევი ცოლშვილიანია. ჰყავს მეუღლე - მადინა და სამი შვილი - დაუდი, იმამი და რამზანი.*

## ურჩხულის ნიშნობა

(მოთხრობა)

*და დასახლდა ურჩხული მდინარის პირას. და არ ანებებდა იგი წყალს ადამიანებს. ხოლო თუ წყალი უნდოდათ, სანაცვლოდ ყოველთვიურად შესაჭმელად უნდა მიეყვანათ გოგონა. ასე გაწყვიტა ურჩხულმა ყველა ლამაზმანი იმ მხარეში. და დადგა დრო, როდესაც მასთან უნდა მიეყვანათ ცოცხლად გადარჩენილთაგან უკანასკნელი ასული მეფისა.*

ასე განსაკუთრებულად წყნარი დილები მუსლიმისთვის თვეების მანძილზე ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. უკვე საკმაოდ დიდი დრო გასულიყო მას შემდეგ, რაც აღარ ესმოდა სოფლური ცხოვრების ხმა, რომელიც ადამიანთა დანარჩენი ნაწილისთვის იმას უნდა ნიშნავდეს, ჯერჯერობით ყველაფერი თავისი გზით მიდის, რომ, მიუხედავად ზოგიერთი უსიამოვნებისა, ყველა საკუთარ საქმეს უნდა აკეთებდს: დედა, დედა ცომითა და ტაფით ხელში სამზარეულოში ფუსფუსებდეს; ქათმები, სულ ახლახანს გამოშლილნი საქათმიდან, საკვების საძებნელად ეზოში დაკაკანებდნენ; მეზობლის ტრაქტორი რახრახებდეს და ძროხებისთვის თივის მორიგ ზვინს მიათრევდეს, თუკი მუსლიმი თავად გამოიღვიძებდა, ანუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორეული აფეთქების ხმა ან ამ ხმისგან სახლში გამოწვეული პანიკა არ გამოაფხიზლებდა, მაშინ მისთვის დღე აბსოლუტური სიჩუმით იწყებოდა. ასეთ შემთხვევებში იგი თვლიდა, რომ დღეს ძალიან გაუმართლა, რადგან დროზე ადრე არავინ დაურღვია სიზმარი და შეძლო, გემრიელად გამოეძინა.

უკვე რამდენიმე წუთია, ბიჭი ასე იწვა და სიჩუმეს უსმენდა, როდესაც უცებ სადღაც შორიდან თვითმფრინავის გუგუნი მოახლოვდა. გუგუნთან ერთად დედის ხმაც შემოესმა, რომელმაც ხმაურით დადგა ტაფა ელექტროქურაზე და თავისთვის ჩაილაპარაკა:

- ოჰ, ღმერთო!

ქალმა მუსლიმის ოთახში შემოიხედა და მკაცრად თქვა:

- ჩქარა ადექი! სარდაფში ჩავიდეთ!

- ახლავე, - უპასუხა მუსლიმმა, - შენ დაეშვი და მეც ჩამოვალ.

- არა, არ აპირებდა დედა შვილის მიტოვებას, - ვიცი, თუ არ გაიძულე, კიდევ დიდხანს იკოტრიალებ ლოგინში. ახლავე ადექი!

- კარგი, ოღონდ დამტოვე მაინც, დამაცადე, ჩავიცვა.

მარტო დარჩენილს არც უფიქრია ლოგინიდან წამოხტომა. ქუჩიდან შემოჭრილმა დედების გადაძახილმა - „თვითმფრინავი მოფრინავს", - რომლითაც ისინი თავიანთი შვილების გაფრთხილებას და სარდაფებში გადამალვას ცდილობდნენ. მაგრამ მუსლიმი მათ როდი უსმენდა. მართალია, გუგუნი ახლოვდებოდა, მაგრამ იმდენად არა, რომ ამას მყისიერი დაბომბვა მოჰყოლოდა. სავარაუდოდ, თვითმფრინავი სოფლის თავზე, მაგრამ საკმაოდ მაღლა ხაზავდა წრეებს. სადღაც ასევე შორიდან ავტომატის ჯერის ხმა გაისმა.

- ნაძირალები! რატომ ისვრიან? - ქუჩიდან ახლა მეავტომატეების მისამართით გაისმა წყევლა.

თვითმფრინავი მკვეთრად დაეშვა. გულისცემა ისე აჩქარდა და გაძლიერდა, რომ იფიქრებდი, სწორედ ამისგან დაიწყო საწოლმა ქანაობაო. პულსი თითქოს თვალებში, ყურებსა და ტვინში ავარდა. სროლის ხმა კიდევ უფრო გაძლიერდა. „საზენიტო ურტყამს. აქ საიდან გაჩნდა?" - გაიფიქრა მუსლიმაა და სწორედ ამ დროს აფეთქების ტალღისგან ფანჯრის მინებმა ზრიალი დაიწყო. ბომბები აშკარად სოფლის ზემოთ, მაღალ მთებში ცვიოდა. ქუჩაში ერთმანეთში არეულიყო დედების ძახილი და ბავშვების ტირილი. ადამიანები სხვადასხვა მხარეს გარბოდნენ. დედამ ისევ შემოიხედა.

- უსინდისო! - წამოიძახა მან და საბნის ბოლოს ჩაავლო ხელი, ძალით რომ გადაეძრო შვილისთვის, - რაღას უწევხარ აქამდე? შენი შემხედვარე, მეც ვეღარ ჩავსულვარ სარდაფში. ადექი, ვის ელაპარაკებიან!

- კარგი, ჰო! ვდგები! - თქვა შვილმა, თან ორივე ხელით საბნის დაჭერას ცდილობდა, - ნუ ნერვულობ. ყველაფერი ღვთის ხელთაა. რა მნიშვნელობა აქვს, სად დაგვეცემა ბომბი, სარდაფში თუ აქ?

რამდენიმეწამიანი შედარებითი სიჩუმის შემდეგ კვლავ გაისმა მოპიკეტე თვითმფრინავის მკვეთრი გუგუნი. ეს უკვე აშკარად სხვა, მეორე თვითმფრინავი იყო. როგორც წესი, ისინი წყვილად დაფრინავენ. ახლა მის საწინააღმდეგოდაც აკაკანდა საზენიტო დანადგარი. თვითმფრინავმა ისე დაბლა გადაიფრინა, რომ ფანჯრიდანაც კი გამოჩნდა თუ როგორ გადაიარა მისმა უზარმაზარმა ჩრდილმა ეზოში. შეშინებულმა დედამ ზეწარს თავი ანება და ხელები სახეზე აიფარა. მძლავრი აფეთქებისგან სახლი შეზანზარდა, ხოლო მინები ფანჯრებიდან, ალბათ, მხოლოდ სასწაულის გამო არ ჩამოცვივდა. კვლავ სიჩუმემ დაისადგურა.

- დამშვიდდი, დედიკო, ისინი მეტად აღარ დაბრუნდებიან, - თქვა მუსლიმმა.

- სულერთია, ადექი, - უპასუხა დედამ მცირეოდენი დაყოვნების შემდეგ, - წავიდეთ, ჩეპალგაში* ვჭამოთ.

●

დედა ფინჯნებში ჩაის ასხამდა და ხმამაღლა განსჯიდა:

- რაღაც არანაირი ხმა არ ისმის, არავინ ტირის, არავინ მოსთქვამს. ნუთუ ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა?

- დღეს სოფელს არ ბომბავდნენ, - გამოეხმაურა მუსლიმი, - ჩემი აზრით, ზემოთ, ხიდის ახლომახლოები დაბომბეს.

- ეს წუთია წამოდექი და უკვე ყველაფერი იცი რა, - ბრაზიანად ჩაილაპარაკა დედამ, - ეგებ, მეც გამიმხილო საიდუმლო, როგორ ახერხებ ამას?

- უკვე ხმაზე ვხვდები, - უპასუხა მუსლიმმა არცთუ მთლად ხუმრობით, - მეორე მხრიდან შეგნებულად აუტეხეს სროლა, რათა თვითმფრინავების ყურადღება თავისკენ მიექციათ, მერე კი, როცა ისინი მართლაც იქით გაფრინდნენ, საზენიტოდან გაუხსნეს ცეცხლი.

დედამ შეხედა შვილის გამხდარ სახეს, წვრილ კისერს, მოკლედ, ბავშვურად შეჭრილ თმას, მის გადამეტებულად სერიოზულ გამომეტყველებას და უცებ ყოველივე ეს ერთდროულად სასაცილოდაც ეჩვენა და სანყენადაც.

- ჯერ კიდევ, ეშმაკმა უწყის, სკოლას როდის დაამთავრებ, ტაქტიკაში განსწავლულობით კი უკვე ბევრ სარდალს არ ჩამოუვარდები.

- ჩვენში ხომ ყველანი დაბადებიდანვე გენერლები არიან, - გაეცინა ყმაწვილს, ჩეპალგაში ერბოში ამოათრია, ჩაკბიჩა და მცირეოდენი დაყოვნების შემდეგ დაამატა. - როგორც ამას ჯერ კიდევ ჩვენი პრეზიდენტი ამბობდა ხოლმე.

- კი, თქვენი პრეზიდენტი მართლაც ასე ამბობდა ხოლმე, მერე კი ჩვენ ყველას, სწორედ ამის გამო, დაბადებიდანვე ომებში ჩაბმა გვიწევდა. თუმცა, ალბათ, ალარც ეს უნდა იყოს იმდენად ძნელი. ახალგაზრდობაა ცოდვა. ისინი აღსდგებიან ხოლმე ყოველთვის, მაგრამ რა გინდა ქნა ამ წყეული ვერტმფრენების წინააღმდეგ? ეჰ, აი, თუნდაც დღევანდლის შემდეგ გონს ჯერაც ვერ მოვსულვარ, - ამოიოხრა ქალმა და სანახევროდ დაულეველი ჩაის ფინჯანი გვერდზე გადადგა.

მუსლიმი შეეცადა, ხუმრობით დაემშვიდებინა:

- არაუშავს, დედა, მათგანაც გვაქვს რაღაც ხეირი. აი, ახლა დავლევ ჩაის, წავალ იქ, სადაც მათ ხეები გაანადგურეს და იმდენ შეშას მოგიტან რომ...

- შეშას მოგცემ მე შენ, სახლიდან ფეხი არ გაადგა, - დაემუქრა დედა.

დედა-შვილის საუბარი მანქანების მოახლოებულმა ხმაურმა შეწყვიტა. მუსლიმი ფანჯრის სიახლოვეს იჯდა და ამიტომ კარგად დაინახა თუ როგორ გაჩერდა მათი სახლის ჭიშკართან თეთრი „ნივა" და „უაზი" პირველი მანქანიდან ორი სამოქალაქოფორმიანი გადმოვიდა. უჩვეულო იყო ახლა ადამიანების სამოქალაქო ტანსაცმლით ხილვა. ეს სურათი ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს ფილმს აჩვენებდნენ ავტორიტეტების შესახებ დამნაშავეთა სამყაროდან. მძღოლის სავარძლიდან გადმოსულს მუქი ფერის შარვალ-კოსტიუმი ეცვა, შავ ფეხსაცმელს ლაპლაპი გაჰქონდა. მუსლიმმა იცნო ეს ადამიანი - სოფელ უმარის მილიციის უფროსი. მიუხედავად რესპუბლიკაში ხელისუფლების არაერთგზის ცვლილებისა, ამ კაცმა მაინც ბოლომდე შეძლო თანამდებობის შენარჩუნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორეს, ორბორტიანი შავი კოსტიუმით, მუსლიმი არ იცნობდა. ეტყობოდა, რუსი იყო, ოცდაათიოდე წლის კაცი. ორივეს თეთრი პერანგები ემოსა და ჰალსტუხები ეკეთა.

"უაზიდან" მილიციელის ფორმაში გამოწყობილი რამდენიმე ავტომატიანი გადმოხტა. ამათგან ორი ზურგით მანქანისკენ გაჩერდა იმ განზრახვით, რომ დაცვა უზრუნველეყოთ, ხოლო დანარჩენი ორი სამოქალაქოებისდაკვალად ეზოში შევიდა.

ამის მხილველმა მუსლიმმა უცებ ფერი დაკარგა, ჩეპალაგაშის ნაჭერი მაგიდაზე დაუვარდა. „წმენდა, - ელექტრონივით გაჰკრა თავში აზრმა, - მაგრამ რაღა მაინცდამაინც ჯერ ჩვენთან?" მაშინვე გაახსენდა საიდუმლო სამალავი, რომელიც ამასწინათ სარდაფში გააკეთა. მართალია უცხო ამ სამალავს ისე იოლად ვერ მიაგნებდა, მაგრამ გულმოდგინე ჩხრეკისას მილიციას შეეძლო ალმოეჩინა, რომ იატაკის ერთი ფიცარი თავისუფლად იწევა, ხოლო მის ქვეშ იოლად შეამჩნევდა პატარა თოფრაკს, რომელშიც პისტოლეტი „ტტ", ორი „ლიმონკა" და ოთხი ტროტილის შუშხუნა ინახებოდა.

ერთი კვირის წინ, მორიგი საავიაციო დაბომბვისას, მუსლიმის ბიძაშვილი იმრანი ბარძაყში დაიჭრა და საოპერაციოდ ქალაქში გადაიყვანეს. გამგზავრებამდე მუსლიმს სთხოვა, როგორც კი შეღამდებოდა, შეუმჩნევლად გამოეტანა მისი ავტოფარეხიდან ეს ნივთები და გამოქვაბულში წაეღო. „გადაეცი ისინი ჩვენი ჯგუფის ამირს, - უთხრა მან, - აქ მათი დატოვება სახიფათოა, იქ კი ჩვენს ძმებს აუცილებლად გამოადგებათ."

მუსლიმს არ შეეძლო არ დაეჯერებინა ბიძაშვილისთვის, მაგრამ მაინც გადაწყვიტა, ნივთების ეს შეკვრა ჯერჯერობით თავისთან შეენახა. მაშინ ბიჭს არც კი უფიქრია იმაზე, რომ ასეთი ბავშვური საქციელი შეიძლება ძვირად დაჯდომოდა მთელს მის ოჯახს, ახლა კი ნივთების შეუმჩნევლად ამოღება ყოვლად შეუძლებელი გამხდარიყო და ერთადერთ იმედად ყოვლადძლიერი ღმერთიღა რჩებოდა, რომლის განგებითაც იქნებ სარდაფში არ შესულიყვნენ რუსები.

დედამ მაშინვე შენიშნა შვილის აღელვება, უნდოდა, ფანჯარასთან მისულიყო და გაეგო, თუ ვინ მოვიდა მანქანით, მაგრამ უმარის ხმამ იგი პარმაღთანვე შეაჩერა:

- შეიძლება შემოვიდე? დილა მშვიდობისა, ჰადიშათ.

- დილა მშვიდობისა, - უპასუხა დიასახლისმა, - მობრძანდით. სწორედ ახლა ჩაის ვსვამდით. დაგვეწვიეთ.

ქალის ხმაში, გულითად მისალმებასთან ერთად, დაბნეულობა და განგაშიც ისმოდა, მაგრამ არც უმარს და არც მის თანამგზავრს ამისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ, უფრო სწორად, ისეთი სახე მიიღეს, თითქოს ვერაფერი შეემჩნიოთ, სამზარეულოში შევიდნენ და მაგიდის საპირისპირო მხარეს ტახტზე ჩამოსხდნენ.

- გამარჯვებათ, დიასახლისო, - ახლა უკვე რუსი ალაპარაკდა. - თუ შეიძლება ოჯახის უფროსს დაუძახეთ.

- ამჟამად შინ არ არის, გუშინ ქალაქში წავიდა და ჯერაც არ დაბრუნებულა.

- ეს, რასაკვირველია, სამწუხაროა, მაგრამ არა უშავს; ხომ შეიძლება, თქვენ დაგელაპარაკოთ?

ჰადიშათი იქვე, კართან მდგარ სკამზე ჩამოჯდა.

- ბიჭუნა, - მიმართა უცნობმა მუსლიმს, - სანამ ჩვენ დედაშენთან წავიბაასებდეთ, შენ ეზოში გაისეირნე...

სახლის ბანზე გამოსულმა ბიჭმა ფინჯანში რკინის მათარიდან წყალი ჩამოისხა და მოჩვენებითი გულგრილობით დაიწყო სმა, თან ცალი თვალი იმ ორი ავტომატიანისკენ გაეპარა ჭიშკართან რომ იდგნენ და სიგარეტს ეწეოდნენ. ისე ჩანდა, რომ ისინი ეზოში შემოსვლას საერთოდ არ აპირებდნენ, რაც ცოტაოდენ სიმშვიდეს მაინც ჰგვრიდა მუსლიმს.

- მოდი აქ! - ბოხი ხმით დაუძახა დაუპატიჟებელ სტუმართაგან ერთ-ერთმა.

- რა? წყალი გინდა? - ბიჭი მღელვარების დაფარვას შეეცადა.

- მოდი აქ! და ბევრს ნუ ლაპარაკობ, როდესაც გეძახიან! - დაუყვირა ისევ იმან.

მუსლიმი მილიციელებს მიუახლოვდა და თან თვალს არ აშორებდა დამძახებლის მარცხენა ლოყას. მას საფეთქლიდან ყელამდე დამწვარი კანის განიერი ზოლი ჩასდევდა, ყურის ბიბილო კი საერთოდ აღარ ჰქონდა.

- რა გქვია? - ჰკითხა ისევ იმან.

- მუსლიმი.

- ესე იგი, მუსლიმი, არა? - ჩაეძია ის, - გასაგებია. შენც აქ ცხოვრობ?

- დიახ.

- ძალიან კარგი, მუსლიმ, მაშინ აი, აიღე და მოსწიე. - უცებ შეარბილა მან ტონი და სიგარეტის გახსნილი კოლოფი გაუწოდა.

- ნუ წუხდებით.

- აჰ, შენ რა, არ ეწევი? მაშინ აი, ეს მიირთვი, - და მილიციელმა ჯიბიდან ლუდის ქილა ამოაძვრინა, - ბავარიულია.

- არ მინდა.

- ესე იგი, არც სვამ, ხომ? საოცარია. აბა, მაშ წვერი რატომ არ გაქვს?

- ჯერ არ მეზრდება - ასეთი პროვოკაციული შეკითხვები ბიჭს უკვე აღიზიანებდა და, როგორც ჩანს, ეს უცხომაც კარგად შეამჩნია.

-კარგი ახლა, მუსლიმ, რამ შეგაშინა. მე ხომ ისე, უბრალოდ, გაცნობისთვის გელაპარაკები. აი, მე, მაგალითად, ტოლიანს მეძახიან, ხოლო ამ ჩემს ამხანაგს - ვალერკას. ისე, რატომ ვდგავართ, მოდი, დავსხდეთ. - და მან თავისი უზარმაზარი ტორი მუსლიმის გამხდარ მხარს დაუტყაპუნა, რომელიც არანაირად არ მოელოდა მოსაუბრის ხასიათის ამგვარ ცვლილებას. სამივენი ჩამოსხდნენ სკამძელზე, რომელიც იქვე, ფარდულქვეშ იდგა ჭიშკართან. ბიჭი შუაში აღმოჩნდა, მილიციელებმა ავტომატები მუხლებზე დაიწყეს.

- მუსლიმ, - განაგრძობდა ტოლიანი, - რა კაცი ხარ შენ, არც ეწევი, არც სვამ, მაშ ის მაინც მითხარი, გოგოებთან როგორღა გაქვს საქმე?

- ნორმალურად, - მუსლიმი კვლავ შინაგან დაძაბულობას გრძნობდა, ჯერაც ვერ მიმხვდარიყო, რისთვის იყო საჭირო ასეთი საუბრები.

- ოო, ეს უკვე კარგია. იქნებ, მეც გამაცნო ვინმე? ვალერკას არ უნდა, მისთვის ხომ მართლმადიდებელი ქალის გარდა არავინ არსებობს ამქვეყანაზე, - ხარხარით გადაიწია ტოლიანმა ამხანაგისკენ, მხარზე მუშტი დაარტყა, შემდეგ კი მუსლიმს მოხვია ბეჭებზე ხელი.

- აქ საშენო ქალები არ არის, - წყნარად მიუგო ბიჭმა და ყურადღება სიგარეტის კვამლში გახვეულ ნამწვზე გადაიტანა.

-გეყო ახლა ჩვენი აგდება, - სიცილით შეაჩჯღრია იგი ტოლიანმა, - აი, ჩვენმა მეთაურმა, მაგალითად, თავისთვის ისეთი ქალი გაჩითა, რომ თვალს ვერ მოწყვეტ! კაცი იფიქრებ, რომ სამხედრო მივლინებაში კი არა, რომანტიკულ მოგზაურობაშიაო! მოუხდა კიდეც! მერედა, როგორ შვენის ნაზი გრძნობა თავზეხელაღებულ მკვლელს! ასე არაა, ვალერა?

მილიციელი კვლავ ძველებურად განაგრძობდა ღლაბუცს, მაგრამ მუსლიმი უკვე აღარ უსმენდა, ახლა მხოლოდ იმასღა ელოდებოდა, როდის წავიდოდნენ და მოსაუბრეს, უგვან შეკითხვებზე, შიგადაშიგ მექანიკურად უქნევდა თავს.

სახლიდან უმარი და მისი თანამგზავრი გამოვიდნენ.

ტოლიანი და ვალერკა მათ შესახვედრად ფეხზე წამოხტნენ, მუსლიმიც წამოდგა.

- უფროსო! - შეჰყვირა ტოლიანმა, - მე აქაც შენს საქმეს ვაკეთებ. იცნობდე, ეს მუსლიმია, სახლის პატრონი. შენთვის ნამდვილად საჭირო კაცი.

- კარგი, რაღა გაეწყობა, ვიცნობდეთ ერთმანეთს. მე ანდრეი მქვია, - მან ხელი ჩამოსართმევად გაუწოდა. მუსლიმს ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს მისი ხელი მოკრივის ხელთათმანში შემძვრალიყოს. - როგორ ცხოვრობ? პრობლემები ხომ არა გაქვს?

- არა, - უპასუხა მუსლიმმა მის ახირებულ შეკითხვას.

- კარგი. თუ ვინმემ, ჩვენიანებიდან, შეგაწუხოს, თქვი, რომ მიცნობ, უთხარი რომ „თერაპევტის" მეგობარი ხარ. ასე მეძახიან. ყოველ შემთხვევაში უმარმა იცის, როგორ მომძებნო.

- კეთილი, უფროსო, - მიმართა მას ტოლიანმა, როდესაც ჭიშკარს გასცდნენ, - აბა, მოგვიყევი, როგორ ჩაიარა საუბარმა.

- მარტო დედაა სახლში, ამბობს, რომ ეშინია ქმრისთვის გამხელა, ორივეს დაგვხოცავსო.

- ჰმ! აბა სცადოს. ვისაც გინდა, გავაგორებთ, შენ მარტო თქვი და ჩვენ ჩუმად, ისე, რომ არავის არაფერს ვკითხავთ, წავიყვანთ და წავალთ.

- არა, არ შეიძლება, მორჩა, წავედით. ყოჩაღად, მუსლიმ.

●

დედა ისევ იმ სკამზე იჯდა სამზარეულოს კართან და ცვირსახოცით ცრემლებს იმშრალებდა, თუმცა თვალები მაინც სველი, ნამტირალევი ჰქონდა.

- რისთვის მოვიდნენ? - იკითხა შვილმა.

- არა აქვს მნიშვნელობა, - უპასუხა ჰადიშათმა, - დაჯექი და დაამთავრე ჩაი.

- საცითას ხომ არაფერი შეემთხვა? - არ ეშვებოდა ბიჭი.

- ჯერ არაფერი, შვილო. უმჯობესია, თუ სულ არაფერს მკითხავ. დრო მოვა, ყველაფერს გაიგებ.

●

მილიციელების გამოჩენამ მეზობლებიც შეაშფოთა. ბევრნი მოდიოდნენ იმის გასაგებად, ვინმე ხომ არ წაიყვანეს, ან ყოველივე ეს დაბომბვას ხომ არ უკავშირდებოდაო. ჰადიშათი ცდილობდა თავი მხიარულად მოეჩვენებინა, იქით ამშვიდებდა მომსვლელთ, სუფრასთან ეპატიჟებოდა, უხსნიდა, ჩემს ქმარს კითხულობდნენ, რაღაც აინტერესებდათ, მაგრამ როგორც კი გაიგეს, რომ ქალაქში იყო წასული, უპრობლემოდ წავიდნენო. მაგრამ მისი ახსნა-განმარტებები ხალხს ვერ ამშვიდებდა. ამ შემთხვევას მუსლიმთან ერთად მისი მეგობრები ცხარედ არჩევდნენ და უმარს მუქარასაც კი უთვლიდნენ. დღის ბოლოსთვის მთელი სოფელი ლამის მხოლოდ ამაზეღა ლაპარაკობდა.

სადილის შემდეგ მამაც დაბრუნდა. ჰადიშათმა ქმარს მოსვენება აღარ მისცა. ისე, რომ ხეირიანადაც კი არ აუხსნია ყველაფერი, მოსთხოვა საჩქაროდ ინგუშეთში საცითასთან გამგზავრებულიყო, სადაც იგი ტექნიკუმში სწავლობდა. ბოლოსდაბოლოს, სულთანს (ასე ერქვა მამას) ნაზრანში გამგზავრებამ და ღამის იქვე გათევამ მოუწია.

●

დიდხანს წრიალებდა მუსლიმი ლოგინში, ვერაფრით დაიძინა. დაახლოებით ხვდებოდა, რას გულისხმობდა ტოლიანის სიტყვები გოგოებისა და უფროსის შესახებ, მაგრამ რა შუაში იყო აქ, საცითა? ნუთუ იმ ძაღლმა, მეტსახელად „თერაპევტმა," მის დას დაადგა თვალი? ესღა აკლდათ! თითქოს ის არ კმაროდეს, ასე უმოწყალოდ რომ ხოცავენ და ასახიჩრებენ ხალხს ეს ღორები, ახლა ჩვენი გოგონებიც მონდომებიათ! თან არც ერიდებათ და უსინდისოდ მეგობრობასა და დახმარებას გვთავაზობენ! მტრებთან მეგობრობა რა მოსატანია? ისინი ხომ ღიად აცხადებენ, რომ ვისაც მოისურვებენ, იმას აღგვიან პირისაგან მიწისა.

მთელი ღამე ასეთი ფიქრები ტანჯავდა ბიჭს. სოფელი დუმდა. გარიჟრაჟზე სადღაც შორიდან აზანის* ხმა შემოესმა და ცოტა ხნით ფიქრებიდან გამოერკვა. ვერაფრით გაეგო სოფელს, ვინ უხმობდა მრევლს ლოცვისკენ. ამ მოლას აღმოსაჩენად სამხედროებმა რამდენჯერმე მოაწყვეს ჩხრეკა. ხშირად სწორედ მოწოდებისას ტარდებოდა უსასტიკესი წმენდები, ყველაზე საეჭვო მამაკაცები კომენდატურაში მიჰყავდათ, მაგრამ ვერანაირი ღონისძიებით თუ სადამსჯელო ოპერაციით ვერ მოახერხეს სიმშვიდის დამრღვევის გამოვლენა. აზანი მაინც ჯიუტად ერთსა და იმავე დროს გაისმოდა. ბოლოსდაბოლოს, სამხედრო ხელისუფალნი მდგომარეობას შეეგუენ.

●

გამოქვაბული, რომელშიც მეომრები განთავსებულიყვნენ, არც ისე დიდი, მაგრამ საკმაოდ ფართო იყო. სიღრმეში კონსერვის ქილები და პური ეწყო, აქვე ელაგა ყუთები ყუმბარებით, ჰილზები თუთიებში, ყუმბარმტყორცნი, ტყვიამფრქვევი „კრასავჩიკი". ავტომატები ყველას ხელთ ჰქონდა. ჯერ ისევ ცხელოდა და ამიტომ დღისით ამ თავისებური ბუნკერის გათბობის პრობლემა არ იყო. მაგრამ ვინაიდან ღამით მთებში ძალიან ცივა, მეომრები ან თბილ ქურთუკებში ეხვეოდნენ, ან ცეცხლს ანთებდნენ კლდის ქვეშ, ოღონდ ისე, რომ ღამის მზვერავი თვითმფრინავებისთვის კოცონი შეუმჩნეველი დარჩენილიყო.

გამოქვაბულის შუაგულში სამნი საუბრობდნენ; ჯგუფის ამირი* აბდულა და ორიც მისი უახლოესი თანაშემწე - ვალიიდი და ჰაბიბი. დანარჩენები გარეთ ეფიცხებოდნენ მზეს და, ვისაც როგორ შეეძლო, ისე გაჰყავდა დრო: პოზირებდნენ ფოტოაპარატის წინ, უსმენდნენ რადიოგადამცემს, კითხულობდნენ ორი კვირის წინანდელ გაზეთს ან სულაც ლაყბობდნენ და იცინოდნენ შავი წვერ-ულვაშის რხევით.

აბდულა განსაკუთრებული ყურადღებით უსმენდა მუსლიმს, ცდილობდა თხრობა არ შეეწყვეტინებინა, იშვიათად თუ დაუსვამდა შეკითხვებს. სოფელში ჯარისკაცებისა თუ ომონელების ნებისმიერი გამოჩენის შესახებ შეატყობინებდა ხოლმე მუსლიმი რაზმს, მაგრამ ამჯერად განსაკუთრებულ შემთხვევასთან გვქონდა საქმე. მართალია ეს მის ოჯახს შეეხებოდა, მაგრამ, ამავე დროს, არ შეიძლებოდა განხილულიყო, როგორც მხოლოდ წმინდა ოჯახური პრობლემა. ამიტომ ბიჭმა თითქმის სიტყვა-სიტყვით უამბო, როგორც ტოლიანის ნალაყბევი და ანდრეის სიტყვები, ისე თავისი შეხედულებებიც ყოველივე ამის შესახებ. „თერაპევტის" ხსენებამ ჰაბიბი რამდენადმე გამოაცოცხლა.

- მსმენია ამ „თერაპევტის" შესახებ. დიდი ნაძირალა ვინმეა. მოუყოლიათ, თუ როგორ აბუჩად იგდებდა ჩვენს ძმებს, დაკითხვებისას, საფილტრაციო პუნქტებში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უბრალოდ, გართობის გულისთვის, არაადამიანურად აწამებდა მათ და ამას „სტაციონალურ მკურნალობას" უწოდებდა. ამიტომ ეძახიან „თერაპევტს". ხელჯოხით ცემა „ანალგინს" ნიშნავს, არმატურის ნაჭრით ცემა „ბარალგინის" გამოწერაა, ელექტროსკამზე „შოკური თერაპიის სეანსს" ატარებს. ნებისმიერ შემთხვევაში უნდა მოვკლათ, იგივე ეკუთვნის იმ ღვთისპირიდან გადავარდნილ უმარსაც.

- არა, - შეეპასუხა აბდულა, - ჯერჯერობით უმარისთვის ხელის ხლება არ შეიძლება. რაც შეეხება იმ ძაღლებს, სადმე სხვა რაიონში უნდა გამოვიჭიროთ, რათა სულთანსა და მუსლიმზე ეჭვი არ აიღონ? მაშ ასე, ძამიკო, თუ კიდევ გესტუმრონ, მათი მანქანების ნომრები შეგვატყობინე; ისიც, რამდენი იქნებიან, რას იტყვიან, რას გადაწყვეტენ, ეგებ ისიც წამოსცდეთ, საიდან მოსულან, საით მიდიან და, საერთოდ, ყველაფერი; გასაგებია? მერე ჩვენ ვიცით, როგორც მოვიქცევით.

●

უკვე გვიანი საღამო იყო, მუსლიმი რომ სახლში დაბრუნდა. შორიდანვე მოჰკრა თვალი ჭიშკართან მდგარ უმარის თეთრ „ნივას", რომლის ახლოსაც უფროსის ნათესავები, ორი ახალგაზრდა მილიციელი გაჩერებულიყო. „სალამ ალეიქუმ", - მიაძახა შეუჩერებლად მიმავალმა მუსლიმმა და, ის იყო, ეზოში უნდა შესულიყო, რომ მცველთაგან ერთ-ერთმა შეაჩერა:

- ცოტა ხანს მოიცადე, ძმაო.

- რატომ? - დაიბნა მუსლიმი.

- როცა სტუმრები გამოვლენ, მერე შეხვალ.

- ეს როგორ? - გაცხარდა ბიჭი, - შენ რა პირველად მხედავ? არ იცი, რომ აქ ვცხოვრობ?

- კარგი, ჰო, - გამოექომაგა მეორე, - გაუშვი, წავიდეს, მაგან ვის რა უნდა დააკლოს?

შესასვლელშივე მოესმა, როგორ ილანძღებოდა სასტუმრო ოთახში მამამისი:

- როგორ გაბედე მათთან ერთად აქ მოსვლა? „წმენდით" უნდათ შემაშინონ? პირველად ატარებენ თუ რა? გავუძლებთ როგორმე! ხოლო თუ ვერ გავუძლებთ - მით უკეთესი! დიახ, მე თვითონ საკუთარი ხელით მოვკლავ საცითას, თუკი ეგ ღორები კიდევ მოეთრევიან აქ. ისიც გაითვალისწინე, რომ მათ აქ მოყვანას არც შემოგინონებს ხალხი!

- მოიცა, სულთან, ნუ ცხარობ, - შეეცადა ვიღაც მის დამშვიდებას. ეს ნამდვილად არ იყო უმარის ხმა. - უმარსაც ძალიან კარგად ესმის ყველაფერი, მაგრამ აიძულეს, აბა, რა უნდა ქნას?

დედამ, რომელიც თავიდან არც კი შეუნიშნავს მუსლიმს, ხელი ჩაავლო და სამზარეულოში გაიყვანა. იქ, კუთხეში, ტახტზე საცითა მიყუნჭულიყო და ტიროდა.

- ვინ არის კიდევ იქ, უმართან ერთად? - წყნარად იკითხა მუსლიმმა.

- იურტდა* სალმანი, - უპასუხა ჰადიშათმა, - მამის დასაყოლიებლად მოვიდნენ, რათა მან საცითა რუსს გააყოლოს. რამხელა სირცხვილია! ღმერთმა დასწყევლოს ისინი; - ქალი ტახტზე ჩამოჯდა, თავი ხელებში ჩარგო და მოთქმას უმატა: - ან ამ ჩვენმა ქალბატონმა როგორ გაბედა იმ არამზადასთან ნაცნობობა!

საცითამ ცრემლებით დასველებული სახე ასწია და ასლუკუნდა:

- დედა, შენს თავს ვფიცავარ, თუ გავცნობოდე, თვითონ ამეკიდა, მომაბეზრა თავი.

- მაშ მისმართი რატომღა მიეცი?

- არავითარი მისამართი არ მიმიცია. თვითონ გაიგო ტექნიკუმში. ინგუშეთის საზღვარზე ჩვენი ავტობუსი გააჩერეს და ყველანი შესამოწმებლად გადმოგვიყვანეს. იქ დამინახა, მაშინვე მოვიდა, დაიწყო საბუთების შემოწმება და სწორედ მაშინ შენიშნა ჩემი სტუდბილეთი. ამის შემდეგ ხშირად მოდიოდა ტექნიკუმში. ვის შეეძლო ბეტეერზე ამხედრებული მთელი მისი რაზმის იქიდან გაგდება. სწორედ იქ დაადგინა ჩემს შესახებ ყველაფერი.

- კარგი, შვილო, მე მჯერა შენი, მაგრამ დაგიჯერებს მამა, ძმა, სოფელი?

- არ ვიცი. გააკეთეთ რამე. იქნებ თურქეთში წავსულიყავი თაისთან? ჩემს უფროს დასა და სიძეს ხომ შეუძლიათ მზრუნველობა გამიწიონ, მერე ანდრეის მივლინება დაუმთავრდება და მეც დავბრუნდები.

- ჯერ მოვიცადოთ, ვნახოთ, კაცები რას გადაწყვეტენ.

შესასვლელში ხმები გაისმა. სულთანი სტუმრების გასაცილებლად გამოვიდა.

- უმარ, რაც გითხარი, ალბათ, ძნელი მოსასმენი იქნებოდა შენთვის, მაგრამ შედი ჩემს მდგომარეობაშიც და ნუ გეწყინება. მხოლოდ ერთი სათხოვარი მაქვს: გადაეცი შენს მეგობრებს, ამის შემდეგ აქ აღარ მოვიდნენ. ეს თემა ერთხელ და სამუდამოდ უნდა ამოიწუროს.

შესასვლელში მუსლიმიც გამოვიდა. მან შეამჩნია, რომ მამა, უმარი და სალმანი თითქმის ერთი ასაკისანი იყვნენ, ოღონდ გამხდარი სულთანი, თანატოლებთან შედარებით, უკვე მოხუცივით გამოიყურებოდა, თუმცა სტუმართა ეს გარეგნული იერ-სახე მათ სასარგებლოდ სულაც არ მეტყველებდა.

-კარგი, სულთან, - უპასუხა უკვე ქუჩაში გასულმა უმარმა, - შევეცდები, გადავარწმუნო.

●

ჯერ კიდევ თბილი დღეები იდგა. ეს ის დრო იყო, როდესაც ზაფხული თითქმის უკვე გასულია, ხოლო შემოდგომა კი ჯერ არ დამდგარა. საჭირო იყო ამ დღეების მოხერხებულად გამოყენება. მამა-შვილი სახლის უკან, ბოსტანში მუშაობდა. მუსლიმი ნამგლით სიმინდის ღეროებს ჭრიდა, აგროვებდა და მამასთან მიჰქონდა, დაბალ სკამზე მჯდომი სულთანი ტაროებს ღეროებისაგან არჩევდა და ორ გროვად აწყობდა. სწორედ ამ დროს ჭიშკარს მანქანა მოადგა. მუსლიმმა „უაზი" ხმაზე იცნო. გაისმა ეზოში შემოსული ადამიანების ხმაურიც, რომელთაგან ერთ-ერთმაც ხმამაღლა დაიძახა:

- მასპინძელო!

მუსლიმმა მაშინვე იცნო ტოლიანის ხმა. გამწარებული ბრაზიანად წასწვდა სიმინდის ღერს და ისე მოსხიპა, თითქოს მილიციელს ჭრის დანით ყელსო.

- მუსლიმ! - დაიძახა იგივე ხმამ ახლა უფრო ხმამაღლა.

სულთანი და მუსლიმი დაუპატიჟებელ სტუმრებთან გამოვიდნენ. ტოლიანი ჭიშკრის ფარდულთან გაჩერებულიყო, ყელზე ავტომატი ჩამოეკიდა, ხელები ლულასა და კონდახზე დაეწყო და ხელისგულებით იარაღს ათამაშებდა. ორი იარაღშემართული მილიციელი მისგან მოშორებით იდგა. ბიჭის ყურადღება უფრო იმან მიიქცია, რომ მათ შორის რატომღაც ვალერკა არ ჩანდა.

- ოჰ! სწორედ თქვენ ორნი მჭირდებოდით! - აღფრთოვანება ვერ დამალა ტოლიანმა, - ესე იგი, ოჯახის უფროსი თქვენ ბრძანდებით, არა?

- დიახ, მე! - უპასუხა სულთანმა.

- ძალიან კარგი, ვიცნობდეთ ერთმანეთს. მე ანატოლი მქვია. თქვენ?

- სულთანი.

- მისმინე, სულთან. საქმე ისაა, რომ ჩვენი მეგობარი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბრძოლო ამხანაგი და მეთაური ანდრეი, ვის შესახებაც, უეჭველია, უკვე გსმენიათ, დაქორწინებაზე ოცნებობს, შეუყვარდა კაცს! მართალია ჩვენ ამ არჩევანით დიდად არ აღვფრთოვანებულვართ, მაგრამ მეგობრის გრძნობებს უპატივცემულოდ ვერ მოვეკიდებით. მისი არჩევანი კი, რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს, თქვენს ქალიშვილზე შეჩერდა.

აშკარა იყო, სულთანი რისხვას ძლივს იკავებდა. მან ხმადაბლა უპასუხა:

- მე უკვე მოვახსენე თქვენს მეგობარსა და მაჭანკალს, უმარს, რომ ეს თემა ამოწურულია და რომ თქვენ ამ საკითხზე ჩემთან აღარ უნდა მოსულიყავით.

ასეთ პასუხს რუსი მაინცდამაინც არ აღუშფოთებია. იგი ძალიან ახლოს მივიდა სულთანთან, ზემოდან გადახედა და იქედნურად განაგრძო:

- ბებერო, ჯერ ერთი, უმარი ჩვენი მეგობარი არ არის და, მეორეც, არ გირჩევდი გაჯიუტებასა და ჩვენთან ურთიერთობის გაფუჭებას, თორემ ხომ იცი, სულ იოლად შეგვიძლია ერთი გულმოდგინე შემოწმების ჩატარება და თქვენი ვაჟკაცის აყვანა, და მერე გეღირსება კი მისი კვლავ ხილვა?

- უფლება არ გაქვთ, ბიჭს შეეხოთ, - გაფითრდა მამა, - ის ჯერ თორმეტი წლისაც არ არის.

- შენ რა, არ გსმენია ბრძანების შესახებ, რომლის მიხედვითაც ბიჭები ათიდან თხუთმეტ წლამდე ბანდფორმირებებთან ურთიერთობის გამო შემოწმებას ექვემდებარებიან? თქვენი სოფელი არც ისე მოზრდილია, რომ ყმაწვილების შესაგროვებლად დიდი დრო დაგვჭირდეს. იქნებ გგონია რომ ბევრი გაუძლებს შემოწმებას? შინ დაბრუნებულთა მდგომარეობაზე მე როდი ვიქნები პასუხისმგებელი! იმის პირობას კი მოგცემ, რომ მუსლიმი შვილიშვილებს ველარ გაჩუქებს! დარწმუნებული იყავი, რომ სოფლებიც ძალიან დაგემადლიერებიან თავიანთი დაკარგული შვილების გამო!

სულთანის მზერა ომონელის ტუჩებს მიეყინა, მან მხოლოდ წაჩურჩულებაღა შეძლო:

- გაეთრიეთ აქედან.

- თუ არადა, რა? - ანერვიულდა ტოლიანიც, - იქნებ დამემუქრო კიდეც? შენზე ამბობენ, რომ ვიღაცის დახვრეტას აპირებდი! ამას ხედავ? - მიუთითა მან თავის დამწვარ ლოყასა და ყელზე, - ეს შენნაირმა ბანდიტებმა დამიტოვეს სამახსოვროდ, თუმცა არც მე დავმრჩალვარ ვალში, ასე, რომ არც შენთან ვაპირებ ხუმრობას! გაჩხრიკეთ ორივე! - დაუყვირა მან მხლებლებს, - ახლავე ვიპოვით, რითი აპირებდა სროლის ატეხვას.

იმავე წამს მუსლიმი მილიციელისკენ გაექანა და ნამგალი მოუქნია, მაგრამ მან განზე გადგომა მოასწრო, მარჯვენა ხელით ბიჭის მაჯას სწვდა, მარცხენა კი კეფაში ჩაარტყა და იქვე ჩააქცია. მუსლიმის იარაღი მილიციელის ხელში აღმოჩნდა. მან ნამგალი შორს მოისროლა, მუხლით ბიჭს ბეჭებზე შეადგა და ორივე ხელი უკან გადაუგრიხა.

- შენ რა, ცინგლიანო, არ იცი, რომ შენი მოსპობა ჩემთვის არავითარი პრობლემა არ არის? რას ბორგავ? ძალას გინდა აღუდგე? ვერ შეძლებ!

დანარჩენმა ორმა სულთანი სახლის კედლისკენ შეატრიალა და ჩხრეკა დაუწყო.

სახლიდან ჰადიშათი გამოვარდა მოთქმით:

- დაწყნარდით, ბიჭებო! გეხვეწებით! გთხოვთ! მას ხომ თოფიც კი არა აქვს. დაველაპარაკები, ეგება რაიმე გადავწყვიტოთ. ოღონდ თავი დაანებეთ, გთხოვთ!

- შეჩერდით! - ტოლიანმა რისხვა უცებ შემწყნარებლური ტონით შეცვალა და მუსლიმიც ზეზე წამოაყენა. მერე სულთანს მიუბრუნდა, ხელკავი გამოსდო და თავისკენ შემოატრიალა, - გაიგე, მოხუცო, რომ ჩვენ თავისუფლად შეგვეძლო, როგორც ეს თქვენთანაა მიღებული, მოგვეტაცა შენი ქალიშვილი და შენც ველარასოდეს შეძლებდი მის ხილვას, მაგრამ ანდრეის სურს, რომ კარგი სიძე იყოს, რომ ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიაროს. წარმოიდგინე, იგი მზადაა, მისი გულისთვის მუსულმანობაც კი მიიღოს. განა დებილი არ არის? ასე, რომ, მოხუცო, შენც მოტვინე ცოტა და დათანხმდი. ჩვენ კი, ჩვენის მხრივ, ვალდებულებას ვიღებთ, თქვენი სოფელი წმენდისგან დავიცვათ.

მოხუცს, ეტყობა, უკვე ველარ გაეგო, რა ხდებოდა მის თავს, თავდახრილი იდგა და არაფერზე აღარ რეაგირებდა. გამომშვიდობებისას მილიციელმა მეგობრულად დაარტყა მხარზე ხელი, კარგად იყავი, კიდევ შევხვდებითო და თავისი თანმხლებებით ეზოდან გავიდა.

მუსლიმმა ტანსაცმლიდან მტვერი ჩამოიბერტყა და ისე, რომ სახლშიც არ შეუხედავს, ქუჩაში გამოვიდა და სოფლის ბოლოსაკენ გაეშურა. გზადაგზა ცოტათი დამშვიდდა. მხოლოდ ახლაღა იგრძნო, რომ მთელი სახე ენვოდა, მისი რუხი ფერის პერანგზე მკვეთრად გამოკვეთილიყო სისხლის ლაქები, კეფაში დარტყმისაგან თავი საშინლად უგუგუნებდა, სტკიოდა. ბიჭი მიხვდა, ასეთი სახით ბლოკ-საგუშაგოზე გავლა გაუჭირდებოდა, ამიტომ მდინარისკენ დაეშვა, რათა ჯარისკაცებისთვისაც აექცია გზა და თან დაებანა კიდეც. წყალმა ბიჭის სახე აირეკლა - მიწაში არეული სისხლით გათხიპნილი, გაფხაჭნილი შუბლი; გატეხილი, სისხლმიმხმარი ცხვირი. ცივმა წყალმა შვება მოჰგვარა. ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს ჭრილობა უცებ შეხორცებოდეს - აღარც სახე უხურდა, აღარც თავი უგუგუნებდა, სიარულიც უკვე იოლად შეეძლო.

ინფორმატორის ასეთ მდგომარეობაში მხილველი მეომრები შეშფოთდნენ, იფიქრეს, რომ სოფელში რაღაც სერიოზული რამ მოხდა. სხვების თანდასწრებით არ ინდომა მუსლიმმა ლაპარაკი. იგი ამირთან და მის ორ თანაშემწესთან ერთად ტყის სიღრმეში განმარტოვდა. აქ წაქცეული ხის მორებზე ჩამოსხდნენ და ბიჭმა დაიწყო თხრობა იმისა, რაც მათ ოჯახსა და მილიციელებს შორის მოხდა. ჰაბიბი და ვალიდი ძლიერ განერვულდნენ. აღშფოთებით ამბობდნენ, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, საჭიროა მილიციელების მომწყვდევა და განადგურება, თორემ ისინი მამა-შვილსაც გააწვალებენ, გოგონასაც ნამუსს ახდიან და ეს კი მთელი სოფლისთვის სამარცხვინო იქნებაო. აბდულამ ხელის მოძრაობით გააჩუმა ისინი, მუსლიმს კი საკმაოდ მშვიდად მიმართა:

- ძმაო, იცი, რა უთხარი მამაშენს? ძალიანაც ნუ შეეჭიდება იმათ!..

- ეს რაღას ნიშნავს? - გველნაკბენივით წამოხტა მუსლიმი, - შენ რა, გინდა, რომ იმ ღორებმა ჩემი და წაიყვანონ?

- მაცადე, ნუ მაწყვეტინებ, - ხმას აუწია ამირმა, - ეტყვი, რომ დროის გაწელვას შეეცადოს, კონკრეტულად ნურაფერს შეპირდება, შენ კი, როგორც აქამდე, ყველაფერი დაწვრილებით შეგვატყობინე ხოლმე. ჩვენც ვეცდებით, რაიმე მოვიფიქროთ.

- კარგი, - დაეთანხმა მუსლიმი, - ოღონდ ერთი თხოვნა მექნება: როცა ომონელების წინააღმდეგ ოპერაციას ჩაატარებთ, მეც თან წამიყვანეთ, ის ტოლიანი მე უნდა ჩავაძაღლო.

- იცი, რას გეტყვი? - გაეღიმა აბდულას, - ომში მონაწილეობის მსურველი მეომრები ნამდვილად გვყოფნის, მაგრამ აი, იარაღის ნაკლებობას კი განვიცდით. ასე, რომ დაჯექი სახლში და სადაც შენი საქმე არ არის, იქ ნუ ეჩრები.

- თქვენი იარაღი არც მჭირდება, თვითონ მაქვს პისტოლეტი. მე მხოლოდ ის მინდა თვალებშუა ჩავაჭედო

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მორჩა.

- შენ რა, სერიოზულად ამბობ? საიდან პისტოლეტი?

- იმრანმა მომცა, როდესაც საავადმყოფოში გადაჰყავდათ.

მეომრებმა ერთმანეთს გახედეს.

- სუბჰანალლა!* - წამოიძახა აბდულამ, - შენ რა, არანორმალური ხარ? გინდა, ყველანი საფილტრაციოში წაგიყვანონ? ოღონდ იცოდე, რომ იქ ოჯახური კამერები არ არსებობს, ყველანი ცალ-ცალკე მოხვდებით და იმ შენს მეგობარ „თერაპევტთანაც" სათითაოდ მოგიწევთ მკურნალობის კურსის გავლა! ასე, რომ ხვალვე ან პისტოლეტს მოიტან, ან არადა, უკიდურეს შემთხვევაში, თუ წამოღება სახიფათო იყოს, სადმე გადააგდებ.

როდესაც ისინი გამოქვაბულთან მივიდნენ, მეომართაგან ერთ-ერთი, სალავდი ამირს მიუახლოვდა. მას სხვებივით არ ეცვა - გაცრეცილი ყავისფერი კოსტიუმით იყო, პირიც სუფთად გაეპარსა. სოფლიდან ახლახანს ამოსულიყო.

- სალამ ალეიქუმ, ძმებო, - თქვა მან.

- ვალეიქუმ სალამ.

- აბდულა მნიშვნელოვანი საქმე მაქვს.

- უკანასკნელი ცნობები სოფლიდან უკვე მივიღეთ, მუსლიმი მათ დროულად და დაწვრილებით გვაწვდის.

- ბიძაჩემ ალიხანის შესახებაც შეგატყობინათ?

- არა. რა მოხდა?

- ბლოკ-საგუშაგოზე დააკავეს.

- რომელზე?

- ქვემოზე. ქალაქიდან მოდიოდა.

- ნაძირლები! - აღშფოთდა აბდულა, - ხომ გავაფრთხილეთ, რომ ჩვენი ხალხისთვის ხელი არ ეხლოთ. როგორ მოხდა ეს?

- ყვებიან, რომ პასპორტების შემოწმებისას ჩამოუსვამთ ავტობუსიდან. თურმე ყველანი გამოექომაგნენ, უმტკიცებდნენ, რომ ჩვენი სოფლიდან არისო, მაგრამ იქ „კონტრაქტიკები" ძალიან თავხედობენ. უთქვამთ, რაკი პასპორტში ჩაწერა არა აქვს, პიროვნების დადგენამდე მისი გაშვება შეუძლებელიაო. არადა, ის ხომ ყაზახეთში ცხოვრობს და ახლა სწორედ იქიდან ბრუნდებოდა.

- გასაგებია. როგორც ჩანს, ისევ მოგვიწევს მათთან დალაპარაკება. დღესვე გავემგზავრებით. შენ მე გამომყვები მათ მეთაურთან მოლაპარაკებაზე, შენ კი, მუსლიმ, შინ წადი, ნუაღარ დაყოვნდები.

გადადგა თუ არა ფეხი სახლის დირეზე, მუსლიმს ჰადიშათი დაატყდა თავს:

- მაწაწნალავ! სად დაიკარგე? რატომ შეგვაშინე - ვიფიქრეთ ალბათ უკვე დაიჭირესო. მამაშენი ისე ცუდად გახდა, ექიმის გამოძახება დაგვჭირდა, მან კი საავადმყოფოში დაწოლა ურჩია, - და დედამ ახლაღა მიაქცია ყურადღება ბიჭის სახეს, - ეს რაღაა?

- დავეცი, - უპასუხა მან.

- იმ რუსმა გაგლახა?

- ხომ გითხარი, დავეცი-მეთქი, - გვერდი აუარა შეკითხვას მუსლიმმა, - ჯობია, ის მითხრა, მამას რა სჭირს?

- შენ რომ გაუჩინარდი, მე და საცითა ტყეში დავდიოდით და იქ გეძებდით. ბიჭებს ვეკითხებოდით, მაგრამ არავინ იცოდა, სად გაქრი. არ შეგეძლო, გაგეფრთხილებინეთ, რომ მიდიოდი? - და დედამ ბიჭს მხარზე ხელი წამოარტყა.

- კარგი, კარგი, - ჩაიბურტყუნა ბიჭმა და სამზარეულოში გავიდა, - განაგრძე, შემდეგ...

- უკვე ყველაფერი მოვყევი. ჩვენ დავბრუნდით, მამაშენი კი აქ ტახტზე ზის, თავი ჩაუკიდია, გაჩუმებულა და გული ხელით უჭირავს. შევშინდით. კიდევ კარგი, რომ ექიმი მაინც დროზე მოვიდა.

- ახლა როგორაა?

- უკეთ. სძინავს. მაგრამ ხვალ ქალაქშია წასაყვანი. მანქანა უნდა ვნახოთ.

- ვნახავთ.

საცითამ, რომელიც აქამდე ხმაამოუღებლად ფუსფუსებდა ელექტროქურასთან, ახლაღა მიმართა ძმას.

- მაგიდასთან დაჯექი, ბორშს დაგისხამ.

- დაასხი. მანამდე უცებ ტანსაცმელს გამოვიცვლი. მართლა, - უთხრა მან დას და თან სისხლიან ლაქებზე მიუთითა, - თუ გარეცხვა დაგეზაროს, ეს პერანგი შეგიძლია სულაც გადააგდო.

●

მუსლიმმა გადაწყვიტა, გაეგო, მოხერხდა თუ არა ალიხანის გამოხსნა. სალავდი უკვე სახლში იყო და ყვებოდა, რომ ოფიცერი სულ ბოდიშებს უხდიდა აბდულას და ამბობდა, არაფერი ვიცოდი, ჯარისკაცებმა კი არ დაუჯერეს მგზავრებს, ეტყობა, იმიტომ, რომ ჩეჩნები მუდამ მზად არიან, უკლებლივ ყველა, ბანდიტიც რომ იყოს დაიცვანო. თუმცა ალიხანი უკვე იქ აღარ იყო, უთხრეს, რომ კომენდატურაში წაიყვანეს შესამოწმებლად და თუ არაფერ შუაშია, აუცილებლად გამოუშვებენო. მეთაური პირობას დებდა, რომ საქმეს კონტროლზე აიყვანდა, თუმცა ეს არცთუ საიმედო დაპირებააო.

უკან მომავალი მუსლიმი გამოსალაპარაკებლად მეზობელი კვარტლის ბიჭებთან შეჩერდა, რომლებიც უსაქმურად იდგნენ გზაჯვარედინზე.

- სალამ ალეიქუმ, ძმებო.

- ვალეიქუმ სალამ, - უპასუხეს მათ ერთხმად, - ეი, მუსლიმ, სად დაიკარგე? მთელი დღე გეძებდნენ. ხომ არ დაუპატიმრებიხარ? - შეეკითხა ერთ-ერთი მათგანი.

- არა, უბრალოდ, სასეირნოდ ვიყავი.

- ისე, უბრალოდ, არ სეირნობენ, მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც ომონელების წნეხქვეშ მოყვები. თან რა სიფათი გაქვს!

- შენს სიფათს ახლაც ჯობია, - ბიჭი მეტოქეს ვალში არ დარჩა.

- აი, საცითა რომ ინგუშეთში არ გაგეშვა, - უგერგილოდ წაიმახვილსიტყვავა სხვა ბიჭმა, - ცხვირპირიც ხომ უკეთეს მდგომარეობაში გექნებოდა.

ეს ხმურობა მუსლიმს უკვე აღარ მოეწონა.

- მისმინე, ბაშირ, ასეთი ღლაბუცისთვის შეიძლება კიდეც მოგხვდეს.

- შენ მე კი ნუ მარიგებ ჭკუას, შენი და დაარიგე.

მუსლიმი მკვეთრად შემოტრიალდა და პირდაპირ ყბაში დასცხო მუშტი თავხედს. ბაშირი ცოტათი შექანდა, მაგრამ მაინც თავის შემაგრება მოახერხა, ის მუსლიმზე შესამჩნევად დაბალი, თუმცა უფრო მხარბეჭიანი იყო. დანარჩენებმა რეაგირებაც ვერ მოასწრეს, ისე დააგდო მან მუსლიმი ძირს საპასუხო დარტყმით. მხოლოდ ამის შემდეგღა შეძლეს ბიჭებმა გარშემორტყმოდნენ ბაშირს და ჩხუბის გაგრძელების საშუალება აღარ მიეცათ. მუსლიმი მაშინვე წამოდგა და ისევ გაიწია, ცდილობდა მუშტით მისწვდენოდა მოწინააღმდეგეს. ბაშირიც იგერიებდა ბიჭებს და თან მუსლიმს ეპაექრებოდა: „აბა, ერთი მოდი, თუ ბიჭი ხარ. ეტყობა გეცოტავება, რაც მიიღე". მართალია ბიჭები მოჩხუბართა გაშველებას ცდილობდნენ, მაგრამ მათი სიმპათიები აშკარად მუსლიმისკენ იყო.

- ბაშირ, მსგავსი ხუმრობისთვის დიახაც ცხვირპირში ურტყამენ, - ეუბნებოდნენ ისინი ბაშირს, - ასე, რომ დამნაშავე ხარ და გაჩუმდი, დაწყნარდი.

ბოლოსდაბოლოს ბიჭებმა მოჩხუბრები დააშოშმინეს, თუმცა მათი შერიგება შეუძლებელი გახდა. ისე წავი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მუსლიმი სახლში, რომ, მიუხედავად მეგობრების მცდელობისა, ბაშირისთვის ხელი არ ჩამოურთმევია.

ცხადი იყო, რომ დედისთვის ამ ჩხუბის დამალვა შეუძლებელი იქნებოდა, რადგან მუსლიმს მარცხენა თვალი საშინლად ჩალურჯებოდა, ტანსაცმელი კი მტვერში ამოგანგვლოდა.

- ეს პერანგიც გადავაგდო? - შეეკითხა ძმას საცითა.

- როგორც გენებოს, - ჩაიბუზღუნა მუსლიმმა.

- მდიდრულად ცხოვრობ, დღეში ორი პერანგი შეგიძლია გადააგდო.

- ამჯერად რაღა მოხდა? - გაჯავრდა დედა.

- არაფერი, - უპასუხა მან.

- მაშ ეს სილურჯე საიდან?

- რა სილურჯე?

- თვალთან.

- ხომ იცი უკვე, საიდანაც. დილას ხომ პოლიციელები მობრძანდნენ.

- შენ რა, სულელი გგონივარ? მიპასუხე, ჩქარა.

- არაფერიც არ მომხდარა. მომეშვი, - წაიღრინა ბიჭმა, - ჯობია, ჩაი და ცოტაოდენი წასახემსებელი მომცეთ, მშია.

- ვერაფერსაც ვერ მიიღებ, სანამ არ მოყვები, - არ ეშვებოდა დედა.

- არც მინდა. არ მოვკვდები. და, საერთოდაც, სულ არ არის საჭირო შენი კაცურ გარჩევებში ჩარევა.

ეზოდან ხმაური მოისმა. საუბარში გართულებმა ვერც კი შენიშნეს, როგორ მოუახლოვდა ჭიშკარს რამდენიმე მანქანა.

- საღამო მშვიდობისა. შეიძლება? - კართან უმარი იდგა.

- საღამო მშვიდობისა, - უპასუხა ჰადიშათმა, - კარგ დროს მოხვედი, უმარ. ნახე, რა ჩაიდინეს შენმა მეგობრებმა.

უკვე ბინდდებოდა, დენი არ იყო, ამიტომ ლამპის ანთება მოუხდათ. შვილის სახე რომ უკეთ დაენახვებინა, დედამ ლამპა ბიჭთან ახლოს მიიტანა, მაგრამ მუსლიმმა ზურგი შეაქცია.

- აბა, ერთი აქ მობრძანდი, - დაუძახა უმარმა, რომელიც იურტდა სალმანთან და სასოფლო მეჩეთის იმამ* იუსუფთან ერთად სამზარეულოში შევიდა. მუსლიმი იძულებული გახდა, ანგარიში გაეწია მისთვის და მისულიყო, - რა არის ეს? - განაგრძობდა სოფლის მთავარი მილიციელი, - ომონელებმა გცემეს?

ბიჭი არ პასუხობდა, მხოლოდ მრისხანედ შეეკრა წარბები.

- მე ვიცი, რომ დღეს ისინი აქ იყვნენ, თუმცა ამის შესახებ ჩემთვის არაფერი უთქვამთ. მაშ ასე, სად არის სულთანი? მასთან დალაპარაკება გვინდოდა.

- ომონელების წასვლისთანავე სულთანი ცუდად გახდა. ახლა წევს, სძინავს, - უპასუხა ჰადიშათმა, - მისი შეწუხება არ შეიძლება.

- ღმერთმა კარგად ამყოფოს, - თქვა უმარმა, - მაშინ შენ გეტყვით, ჰადიშათ, ოღონდ ბავშვები გარეთ გავიდნენ.

საცითა უხმოდ გაემართა თავისი ოთახისკენ, მუსლიმი კი ადგილიდან არ დაძრულა.

- შედი შენთან, - უთხრა დედამ, მაგრამ ბიჭი მაინც არ იძვროდა.

- ასეთი საკითხები მამაკაცის გარეშე არ წყდება, - უპასუხა ბიჭმა, - და რაკი მამა ცუდად არის, მის მაგივრად მე უნდა ვიყო.

ამ სიტყვებმა სტუმრები, ერთის მხრივ, გაამხიარულა, მეორეს მხრივ კი ერთგვარად უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა. მათ ერთმანეთს გადახედეს, შეთანხმდნენ, რომ ბიჭის თანდასწრებით ესაუბრათ და ტახტზე დასხდნენ. ჰადიშათი მაგიდასთან სკამზე ჩამოჯდა, მუსლიმი კი კარებთან იდგა.

- ჰადიშათ, გეთაყვა, მოგვისმინე თუ შეიძლება, - დაიწყო სალმანმა, - როდესაც ორ გვარს შორის სისხლიანი შუღლი ჩამოვარდება, ადრე თუ გვიან, მისი შეწყვეტის მიზნით ხშირად მტრულად განწყობილი გვარები ერთიმეორეს უმოყვრდებიან - ამ ორი ოჯახიდან ბიჭსა და გოგოს დააქორწინებენ ხოლმე ერთმანეთზე. ჩვენ ძალიან კარგად გვესმის თქვენი მდგომარეობა, მაგრამ ამ სიტუაციას ისე შეხედეთ, რაც ახლა გითხარით. საკითხი ხომ მხოლოდ თქვენს ოჯახს არ ეხება, აქ შეიძლება მთელი სოფელი დაზარალდეს. ხოლო თუ ქალიშვილს იმ რუსს მიათხოვებთ, მაშინ ჩვენ, სამივენი სიტყვას გაძლევთ, შეგვიძლია დაგიფიცოთ კიდეც, რომ სოფელში არც არავინ გაგკიცხავთ და არც არავინ საყვედურს გეტყვით.

ამ სიტყვების გაგონებაზე მუსლიმს გაეღიმა და მისდაუნებურად ჩალურჯებულ თვალზე ხელი მიიდო. ჰადიშათმა სალმანს აღარ აცალა:

- მეც შემიძლია სიტყვა მოგცეთ, რომ თუ მხოლოდ ამაზეა ომის შეწყვეტა დამოკიდებული, მაშინ უსიტყვოდ თანახმანი ვართ. ასეთ შემთხვევაში, გავბედავ და ოჯახის უფროსის მაგივრადაც კი გიპასუხებთ, მაგრამ განა თქვენ თავად გჯერათ საკუთარი სიტყვების? ხომ ფაქტია, რომ დღეგამოშვებით თვითმფრინავები მოფრინავენ, გვბომბავენ, იხოცება ხალხი. მიპასუხეთ, შეწყდება ყოველივე ეს? შეძლებენ ჩვენი ბიჭები, რომლებიც ახლა მთებში იმალებიან, შინ მშვიდობიანად დაბრუნებას?

- მოიცა, მისმინეთ. პრეზიდენტი კი არ გთხოვთ ქალიშვილს, არამედ ერთი ჩვეულებრივი მილიციელი, რომლის ძალებსაც ნამდვილად აღემატება ომისა და თვითმფრინავების შეჩერება.

- მაშ, რატომღა ირჯებით ასე, იმ უბრალო მილიციელისთვის? - არ ცხრებოდა დიასახლისი, - გარდა ამისა, ხომ უკვე გაგაფრთხილეთ, რომ არც თქვენ და არც ისინი ამ საკითხზე სასაუბროდ აქ აღარ მოსულიყავით.

- სიმართლე თუ გინდათ, - განაგრძობდა სალმანი, - და ამას ალბათ თქვენც მშვენივრად ხვდებით, ჩვენ მის გამო როდი განვიცდით. მისმა მეგობრებმა უკვე ღიად გაგვაფრთხილეს, რომ უარის შემთხვევაში, სოფელს შეამონმებენ.

აქ ისევ მუსლიმი ალაპარაკდა:

- ეს როდიდან დაიწყეს ჩვენმა კაცებმა საკუთარი ტყავის გადასარჩენად ქალიშვილების მსხვერპლად აფარება?

ეს ნათქვამი უკვე აღარ მოეწონათ სტუმრებს, გაგულისხდნენ და სალმანმაც ხმას აუწია:

- ბალღო, რეებს როშავ? რა თქმა უნდა, ქალიშვილებისთვის შეურაცხყოფის ასაცილებლად ბევრია მზად რომ დაიღუპოს კიდეც, მაგრამ იმაზე თუ გიფიქრიათ, რამხელა მწუხარებას მოუტანს თქვენი უარი სხვა ოჯახებს? ამის გამო მათი დედები ხომ თქვენ დაგწყევლიან? რა არის აქ შეურაცხმყოფელი?! ხომ კარგად მოგეხსენებათ, რამდენ ქალიშვილს იტაცებენ დღისით-მზისით ქალაქში და მამაკაცებს ვერაფერი მოუხერხებიათ! - აი, შეურაცხყოფა! თქვენ კი, კაცი, როგორც წესია, ისე მოსულა ქალიშვილის ხელის სათხოვნელად, მთელი გულით მოწადინებულა, რომ თქვენთვის ყველაფერი უკეთესად იყოს, დაგეხმაროთ და ესაა სამარცხვინო?

- როგორც წესია, - გაიმეორა ჰადიშათმა, - შენ რა, ვერ ხედავ, რა დამართეს ბიჭს? არ იცი, რის გამოა ასეთ დღეში მამამისი? ამას ეძახი „წესისა და რიგის დაცვას"?

- ქალიც რომ ძალით წაეყვანათ და სროლაც აეტეხათ, შენი აზრით, ის იქნებოდა უკეთესი? - საუბარში ჩაერთო უმარი.

- კარგი, გვეყოფა, - გააჩერა იგი სალმანმა, - ამასაც

როგორმე მოვუვლით. ოღონდ არის კიდევ ერთი გარემოება, რომელიც ამ პრობლემის გადაჭრაში უნდა დაგვეხმაროს. იუსუფ, აბა ახლა შენ თქვი შენი სათქმელი.

იმამმა ხელები ზეაღაპყრო და წარმოთქვა:

- ბისმილლაჰიროჰმანიროჰიმ,* ჰადიშათ, მუსლიმ, საქმე ისაა, რომ თუკი სხვა აღმსარებლობის კაცს სურს ჩვენს ქალზე დაქორწინება, ის ვალდებულია, ჩვენი სარწმუნოება მიიღოს. ამის შემდეგ აღარავის აქვს უფლება, მას უარი უთხრას, ამის შემდეგ მას უნდა მიეცეს ის გოგონა-მუსულმანი, რომელსაც ისურვებს, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ეს რუსი ახალგაზრდა, რომელსაც თქვენს ქალიშვილზე დაქორწინება მოუსურვებია, მზად არის მუსულმანური სარწმუნოების მისაღებად. თუკი ეს მართლაც ასეა, უარის თქმით დიდ ცოდვას დაიდებთ. გჯეროდეთ, რომ სხვა შემთხვევაში მე აქ არ მოვიდოდი. მაგრამ როდესაც ადამიანი მზად არის ჩვენს რჯულზე მოსაქცევად და დახმარებისთვის მომმართავს, უფლება არ მაქვს ხელი არ გავუწოდო. ხოლო თქვენ კი, ვიმეორებ, არ შეგიძლიათ უარი უთხრათ მას.

- და თქვენ ეს დაიჯერეთ? - დაეჭვდა ჰადიშათი, - მან რა, უკვე ნამდვილად მიიღო ისლამი, ნამაზს* ასრულებს?

- არა, ნამაზის შესრულება ჯერ არ დაუწყია, მაგრამ, ამბობენ, რომ ყურანის შესწავლასა და ლოცვების დაზეპირებას უკვე შესდგომია.

- ასეთ შემთხვევაში, მაშინ ის ვალდებულია, მუსულმანების წინააღმდეგ ბრძოლა შეწყვიტოს, ჩაერთო მუსლიმი, - მეტიც, ის ვალდებულია ჯიჰადს* შეუერთდეს.

- ბალღო, - ისევ ალაპარაკდა სალმანი, - შენ საშიშ, რაღაცეებს გაიძახი. რომელ ჯიჰადზე შეიძლება იყოს საუბარი, როდესაც თვით მუსულმანები, რახანია, ერთმანეთშიც კი ომობენ?

- ყოველ შემთხვევაში, - თქვა ჰადიშათმა, რომელიც ცდილობდა, რაც შეიძლება მალე მოეთავებინა ეს საუბარი, - ვიდრე ოჯახის უფროსი არ გამოკეთდება, მოცდა მოგვიწევს. ხვალ კი მას საავადმყოფოში გადაყვანა ესაჭიროება. ამავე დროს, შევხედავთ, ნამდვილად სურს თუ არა იმ კაცს, გახდეს წესიერი მუსულმანი.

ამ პასუხმა სტუმრები დააკმაყოფილა. ისინი მასპინძლებს გამოემშვიდობნენ და წავიდნენ, წასვლისას უმარი დაპირდა, რომ დილისთვის სულთანის ქალაქში გადასაყვანად აუცილებლად გამოუგზავნიდა თავის მანქანას.

●

დაპირებული მანქანის მოლოდინში ჭიშკართან ჩამომჯდარმა მუსლიმმა ქუჩის ბოლოში ნაცნობი „უაზი" შენიშნა, „რქიანები, - გაიფიქრა მან, - საომრად არიან ჩამოსული თუ გასართობად? რას გამომეცხადებიან ხოლმე ყოველდღე!" მანქანა ზედ ჭიშკართან შეჩერდა. პირველი ანდრეი გადმოვიდა. მუსლიმმა უცებ ვერ იცნო, რადგან ის ამჯერად უკვე ომონელის ფორმაში გამოწყობილიყო, მარჯვნივ კი „სტეჩკინის" პისტოლეტი დაეკიდა.

- გამარჯობა, მუსლიმ, - მიუახლოვდა იგი ბიჭს და ხელი გაუწოდა. მუსულიმმა ფეხზე წამოუდგომლად, უსიტყვოდ ჩამოართვა ხელი, - როგორც ჩანს, ტოლიანს ზედმეტი მოსვლია, მაგრამ არა უშავს, ამისთვის დაისჯება. შეიძლება, სახლში შევიდე? ჩემი ხელქვეითის გამო, მამაშენს მინდა მოვუბოდიშო.

- მამა ცუდადაა, ასე, რომ მასთან საუბარი არ გამოვა.

- მაშინ დედაშენს დაველაპარაკები.

- წავიდეთ, - წამოდგა მუსლიმი და ეზოში შეუძღვა. სწორედ ამ დროს კარზე ჰადიშათიც გამოჩნდა.

- დილა მშვიდობისა, დიასახლისო, - მიესალმა ანდრეი, - მინდოდა მომებოდიშა გუშინდელის გამო.

სანამ ის ლაპარაკობდა, მუსლიმი ტოლიანმა ისევ ქუჩაში გაიხმო.

- გამარჯვება, ყმაწვილო, - მან თავისი უზარმაზარი ტორი ბიჭს მარცხენა მხარზე დაადო, - ჩამოჯექი, დავილაპარაკოთ.

ორივენი ფარდულთან ჩამოსხდნენ.

- მაპატიე, გუშინ ზედმეტად გავცხარდი, გამიგე, ნერვები აღარ მივარგა.

- არა უშავს, როგორმე გავსწორდებით, - ნახევრადხუმრობით მიუგო მუსლიმმა, - და, საერთოდ, ჩვენ შურისმაძიებელი ხალხი ვართ, ვალში არავის ვრჩებით.

- ასეც უნდა, მაგრამ ჩალურჯებული თვალი ხომ ჩემი ბრალი არ არის.

- არა.

- აბა, ვისი? ნუთუ მამაშენის?

- არა.

- ესე იგი, ვიღაცასთან იჩხუბე, არა? წავიდეთ, გავარჩიოთ.

- რა საჭიროა. ეს შენი პრობლემა ნამდვილად არ არის. როგორც იტყვიან, შინაურული საქმეა.

- ასე ხომ? შენგან კარგი პოლიტიკოსი დადგება.

- არა, მე მეომარი გავხდები.

- მართალია. ნამდვილმა მამაკაცმა სამშობლო უნდა დაიცვას. ოღონდ შენთვის აუცილებელია ჯერ სპორტს მიჰყვე, ივარჯიშო, ძალა და ენერგია მოიკრიბო. თორემ ვაითუ დიდხანს არ დაგელოდო, სანამ ამ საქმეში შემცვლიდე.

მუსლიმმა ხმამაღლა გადაიხარხარა:

- რას ამბობ, მე ხომ ჩემი ქვეყანა სწორედ შენნაირებისაგან უნდა დავიცვა, ვინაიდან მე და შენ სხვადასხვა სამშობლო გვაქვს.

ტოლიანი ცოტა ხანს გაჩუმდა, მერე კი წყნარად წარმოთქვა:

- ეჰ, პატარავ, შენთვის ამ საკითხზე მსჯელობანაადრევია, შენ ხომ ჯერ სათამაშო მანქანებიც კი არ გადაგიყრია და არც ზღაპრების წიგნები დაგიხევია.

- შენ კი, როგორც ჩანს, გავიწყდება, რომ საკუთარ სოფელში, მეზობელი ბიჭისას არ იმყოფები. ეს შენ ინექი ბავშვობისას საწოლში და უსმენდი დედის მოყოლილ ზღაპრებს, მე კი სარდაფში ვიჯექი და, რადიოში კი არა, სინამდვილეში ვუყურებდი ომს. ექვსი წლის წინათ ჩვენ ქალაქის ცენტრში ვცხოვრობდით და ბრძოლების დროს ხან სახლში ვრჩებოდით, ხან კი სარდაფებში გავრბოდით. შენ კარგად იცი თუ როგორ მოიწია მოხუცმა ბოლოკი ან როგორ დადო ქათამმა რიაბამ კვერცხი, მე კი სულ იოლად შემიძლია ნებისმიერი აფეთქების თუ გასროლის ადგილი თუ სიმძლავრე გამოვიცნო. და ეს ყველაფერი ჯერ კიდევ მაშინ ვისწავლე. მაგალითად, თუ რაიმე ჯერ ახლოს აფეთქდა, შემდეგ კი მოშორებით, ეს ნიშნავს რომ ჩვენებიდან ვიღაცამ თქვენს ტანკს ყუმბარმტყორცნიდან სთხლიშა; თუ უწესრიგო აფეთქებების ხმაა, ეს მიუთითებს, რომ მწყობრიდან გამოყვანილ ტანკში საომარი კომპლექტები ფეთქდება; ხოლო თუ პროცესი დიდხანს გაგრძელდა, ეს უკვე იმაზე მიუთითებს, რომ ტანკი ჯერ კიდევ ახალი იყო და ბევრი გასროლა ვერ მოასწრო.

ყვებოდა ყოველივე ამას და მუსლიმი თანდათან შესამჩნევად ენთებოდა. მხარზე ხელის შეხებით შეაჩერა იგი ტოლიანმა.

- როგორც ვხვდები, მე და ჩემს მეგობრებს გვამუნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა


ტებ. შენი აზრით, ჩვენ ძალიან გვსიამოვნებს, თავი თქვენი მოჯაჰედინების ტყვიებს შევუშვიროთ?

- თუ არ მოგწონთ, შინ დარჩით.

- შენ ხომ ჯერ ისიც კი არ იცი, თუ რას ნიშნავს ბრძანება.

- არც მინდა, ვიცოდე. განა რამდენი ხნით რჩებით აქ? ერთი, ორი, სამი თვე? მერე სახლებში მიდიხართ, მედლებს იღებთ, ორდენებს, ფულს. ჩვენ კი აქ ვცხოვრობთ და ფულის მაგიერ შიმშილი, მედლების ნაცვლად კი საფილტრაციო ბანაკები გველოდება. შენ ამბობ, რომ ჩემი მსჯელობა უმწიფარია, მაგრამ ჯერ კდევ გუშინ, როგორც ბანდიტს, ისე მპირდებოდი შემოწმებაზე გაშვებას. ხომ ყველამ იცის, რასაც ნიშნავს შემოწმება თქვენებურად. აი, შენი მეთაური სახლში მეწვია, მეგობრობას მთავაზობს, ოღონდ თუ მასთან მეგობრობას არ ვისურვებ, მაშინ შენ მზად ხარ, კედელთან მიმაყენო.

- ტყუილია. არ მიგაყენებ. მეც ხომ მაქვს გაგება. უიარაღო ბავშვებთან არ ვომობ, - აღშფოთდა ტოლიანი.

- გუშინ გამოჩნდა, როგორ არ ომობ უიარაღოებთან.

- მსაყვედურობ? არ ღირს, უბრალოდ, გუშინ ავიწყვიტე. შეშინება მინდოდა.

- იხუმრე, არა? აი, მამაჩემსაც ნამდვილად ეხუმრებოდა, რა! სწორედ ამის შემდეგ გახდა ცუდად.

მუსლიმი კამათობდა და არ კი ფიქრობდა, რომ სხვა შემთხვევაში ასეთი საუბარი არათუ შესაძლებელი, სახიფათოც კი იქნებოდა, მაგრამ ახლა მეთაურის მათდამი დამოკიდებულება უპირატესობას ანიჭებდა.

ჭიშკართან ანდრეი გამოვიდა და მუსლიმის გვერდით ჩამოჯდა.

- აბა, როგორ არის საქმე, ჩააქრეთ კონფლიქტი?

- დიახ, ყველაფერი რიგზეა, - უპასუხა ტოლიანმა, - ოღონდ ეგ არის, სამშობლოსა და ომის თემაზე ცოტა წავიკამათეთ.

- მთავარია, რომ არ გიჩხუბიათ. მუსლიმ, ნება მოგვეცი, დაგეხმაროთ, რაიმე გაგიკეთოთ, რომ ამ იდიოტის შეცდომა როგორმე გამოვასწოროთ.

- შეგიძლიათ, - უპასუხა მან, - გუშინ საგუშაგოზე ჩემი ერთი ნათესავი დააკავეს. შეგიძლიათ მისი გამოხსნა?

- წავიდეთ, ვცადოთ, - თქვა ანდრეიმ.

- მაშინ წავალ და მის ბიძაშვილს მოვიყვან, მან იცის ვის უნდა დაველაპარაკოთ.

მუსლიმი წამოხტა და სალავდის მოსაყვანად გაიქცა, მილიციელები კი იქვე, ფარდულთან დაელოდნენ.

●

ბეტონის ფილებით შეკრული და ეკლიანი მავთულით შემოღობილი ბლოკ-საგუშაგო ხრამსა და მთას შორის ერთ ტრიალ მინდორზე განელაგებინათ. „უაზი" საგუშაგოს მიუახლოვდა და გზის ბოლოს, მთის ძირას აწეულ შლაგბაუმთან შეჩერდა. ანდრეი, ტოლიანი, მუსლიმი და სალავდი მანქანიდან გადმოვიდნენ და კონტროლიორ ჯარისკაცთან მივიდნენ, რომელსაც მაგიდაზე საგუშაგოზე გამვლელი მანქანების აღრიცხვის ჟურნალი ედო.

- ვინ არის აქ მეთაური? - იკითხა ანდრეიმ.

კონრაქტორმა, ისე, რომ ფეხზეც კი არ წამომდგარა, უპასუხა:

- იქ არის, კარავში.

ისინი კარავში შევიდნენ, სადაც მათ შესახვედრად ფეხზე წამოდგა ოფიცერი, რომელსაც განმასხვავებელი ნიშნები არ ეკეთა.

- შენ ხარ აქ უფროსი? - შეეკითხა ანდრეი. მან თავი დაუკრა. - ძალიან კარგი. ამ ბიჭს იცნობ? - მიუთითა სალავდიზე.

- დიახ, ვიცნობ, გუშინ ბიძამისზე გვეკითხებოდა, მაგრამ ის კომენდატურაში გადაიყვანეს.

- შემაერთე კომენდატურასთან.

ოფიცერმა რაცია აიღო.

- ალო, მეშვიდე, როგორ გესმის?

- მეშვიდე. ნორმალურად მესმის. რა გნებავთ?

- შენთან დალაპარაკება სურთ, - და მან რაცია ანდრეის გადააწოდა.

- ყურადღება, მეშვიდე. მე „თერაპევტი" ვარ. მიცანი?

- რა თქმა უნდა? რითი გემსახუროთ?

- გუშინ მანდ, აქედან კაცი გადმოაგზავნეს. უნდა გაათავისუფლოთ.

- ვითომ რატომ? ვინმე გავლენიანი ბობოლაა?

- დიახ, ჩემი ჯარის მეგობარია.

- „თერაპევტ", შენ რა, დაუსტვინე? ეგლა გაკლდა, რომ ეს გლახაკებიც შენი მეგობრები ყოფილიყვნენ, არა? ნაცვლად იმისა, რომ იხმარო, მათ დაცვას ცდილობ?

ამ სიტყვებმა მუსლიმი გააცხარა:

- შენ თავად ხარ გლახაკი, - დაიყვირა მან მეშვიდეს მისამართით, მაგრამ ტოლიანი უკნიდან მიწვდა და შეეცადა პირზე ხელი აეფარებინა მისთვის, თუმცა ბიჭი ხელიდან ეგლიჯებოდა და განაგრძობდა: - შენ თავად უნდა გიხმაროს კაცმა!

ანდრეი მშვიდად შემობრუნდა და თქვა:

- ჯერ ერთი, მაინც ვერაფერს გაიგებს, რადგან რაცია გამოვრთე და, მეორეც, რაც მეტად გაკაპასდები, მით უარესი ბიძაშენისთვის. ასე რომ, გაჩუმდი და ხელს ნუ მიშლი.

მან ისევ განაგრძო რაციით საუბარი;

- მისმინე, მეშვიდე. თქვენ რა, პრობლემები გაქვთ?

- არავითარი პრობლემები. ვამოწმებთ. თუმცა ის რაღაცნაირად სუსტი აღმოჩნდა, შემოწმებებს მტკივნეულად განიცდის. სხვათაშორის, „თერაპევტ", სწორედ შენი რეცეპტით ვმკურნალობთ.

ანდრეის ეს სიტყვები ჭკუაში აღარ დაუჯდა, წამოჭარხლდა და კბილების ღრჭიალით გამოსცრა:

- შენ, ეი, რქიანო, ყურადღებით მისმინე. თუ ის კაცი დღეს საღამოსვე შინ არ იქნება, ხვალ დილისთვის მანდ გავჩნდები და აი, მაშინ კი უკვე საკუთარ ტყავზე მოგიწევს შემოწმებისა და მკურნალობის ჩემეული მეთოდის გამოცდა, გასაგებია? მგონი მიცნობ. მე დავამთავრე!

ანდრეიმ რაცია ოფიცერს დაუბრუნა და კარვიდან გამოსულმა მუსლიმსა და სალავდის მიმართა:

- ბიჭებო, ყველაფერი კარგად იქნება, ნუ ღელავთ. ჩასხედით მანქანაში, სახლში წაგიყვანთ.

- თქვენ სადღა მიდიხართ? - შეეკითხა მუსლიმი.

- ჩვენთან, რაიონულ განყოფილებაში.

- ჰოდა, მიბრძანდით, ჩვენ კი ფეხით წავალთ, აქვეა.

სალავდი და მუსლიმი ომონელებს გამოემშვიდობნენ და შინისაკენ გასწიეს, „უაზი" კი რაიონული ცენტრისაკენ დაიძრა.

●

მამა იმავე საავადმყოფოში დააწვინეს, რომელშიც იმრანი მკურნალობდა. სულთანი იწვა, ჰადიშათი საწოლის კიდეზე ჩამოჯდომოდა, მუსლიმი და იმრანი კი იქვე, სკამებზე ისხდნენ. დანარჩენი ავადმყოფები, სულ ხუთნი, ასაკოვანი, ხანშიშესული მამაკაცები თავთავიანთი საქმით იყვნენ გართულები: ვინ რადიოს უსმენდა, ვინ გაზეთს კითხულობდა, ვინ კარტს თამაშობდა. იმრანი, მარჯვენა ხელით ყავარჯენს რომ ეყრდნობოდა, დაბეჯითებით კითხულობდა:

- მაინც რა მოხდა? გავიგე, რომ ეს ამბავი დაკავშირებულია სტუმრებთან, რომლებიც ამ ბოლო დროს მოსვენებას აღარ გაძლევდნენ. ნუ გაგიკვირდებათ, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა



ყოველივე ეს მეც ვიცი, რომ ჩემთვისაც ცნობილია, თუ ვინ მოდის, რისთვის მოდის. მაგრამ გუშინ, გუშინ რაღა მოხდა?

სოფლად დარჩენილ მამაკაც ნათესავთა შორის სულთანის ძმისშვილი იმრანი ყველაზე უფროსი იყო მათი არცთუ მრავალრიცხოვანი გვარიდან. ოჯახის წევრები, რომელთა შორის მუსლიმის მამის ორი უმცროსი ძმაც იყო, ჯერ კიდევ საბჭოთა წლებში სამუშაოს საძებნელად ქვეყნის სხვადასხვა მხარეს გაემგზავრნენ და მოასწრეს კიდეც რუსეთსა და შუა აზიაში დამკვიდრება. მოგვიანებით, ომის დროს, მათ თავიანთი ნათესავებიც წაიყვანეს.

იმრანის მამა მაჰმუდი ჯერ კიდევ პირველი ომის დროს გარდაიცვალა. წლების მანძილზე საწოლს მიჯაჭვული, მიუხედავად იმისა, რომ იცოდა აღარ მორჩებოდა, სულის სიმტკიცეს მაინც არ კარგავდა. მთელი ცხოვრება ადმინისტრაციულ თანამდებობებზე მუშაობდა. ერთხელ, გადასახლებამდე რამდენიმე ხნით ადრე, სასწაულებრივად გადაურჩა ცილისწამებას. თითქოს გუმანი კარნახობდა, რომ სახლში დარჩენა სახიფათო იქნებოდა და სწორედ მისი წასვლიდან ერთ საათში, ღამით მართლაც დაეცნენ. მაჰმუდისა და მთელი სანათესაოს ბინების გაჩხრეკის შემდეგ ორგანოს მუშაკები უკან ხელცარიელნი გაბრუნდნენ და მეტად აღარც უძებნიათ. მოგვიანებით ხშირად იხსენებდა ამ შემთხვევას და ამბობდა:

- კიდევ კარგი, რომ მაშინ ვერ მიპოვეს, თორემ ისე მოვკვდებოდი, ვერასოდეს გავიგებდი ამ ქვეყნის დანგრევის ამბავს. ახლა კი, როდესაც საკუთარი თვალებით ვუმზერ მისი მსხვრევის პროცესს, თუ, რა თქმა უნდა, უფალი ინებებს და ცოდვებს შემინდობს, ალბათ სამოთხეში გამგზავრებაც შეიძლება.

უმცროსი და-ძმა, რომლებიც დაახლოებით მუსლიმის ხნისანი იქნებოდნენ, იმრანმა ყირგიზეთში ბიძასთან გააგზავნა, დედამ კი, მიუხედავად არაერთგზის შეთავაზებისა, უარი განაცხადა შვილთან განშორებაზე.

ოჯახისა და გვარის ამა თუ იმ საკითხის განხილვისას სულთანი ნათესავს აუცილებლად ეთათბირებოდა. ამჯერადაც შეუძლებლად მიაჩნდა, არ ეპასუხა მისი შეკითხვისთვის, მაგრამ მამის ნაცვლად მუსლიმმა უპასუხა.

- იმრან, გთხოვ, მოეშვა, დაე, დაისვენოს. მოგვიანებით ყველაფერს გიამბობ. შენ კი იმკურნალე, განიკურნე და ეცადე, არაფერზე იდარდო, - ბიჭი ახლა მამას მიუბრუნდა, - შენი ნერვულობა არ შეიძლება. დამშვიდდი, ამ პრობლემას, როგორც საჭიროა, ისე მოვაგვარებთ, - მტკიცედ დაუმატა მან.

- მაინც როგორ ფიქრობ მის გადაწყვეტას, - უნდობლად კითხა დედამ. თუკი, ვთქვათ, ყველამ კარგად იცოდა მათი ბიძაშვილის მეომართა ჯგუფში გაერთიანებაზე, სამაგიეროდ, იმრანის გარდა, არავინ იცოდა მუსლიმის მეომრებთან კავშირის შესახებ.

- როგორ თუ როგორ? - გამოაჯავრა შვილმა, - რაღაცას მოვიფიქრებთ. უკიდურეს შემთხვევაში, თუ ის მართლაც მიიღებს ისლამს, იძულებულს გავხდით, ჯამაათს შემოუერთდეს, სახელსაც შევუცვლით, ანდარბექად იქცევა. დაე, იბრძოლოს და დაიცვას თავისი ახალი ოჯახი.

მისმა სიტყვებმა ყველა გაამხიარულა. შორიდან მაცქერალს შეიძლება მოჩვენებოდა, რომ ერთმანეთს ანეკდოტებს უყვებიანო.

პალატაში მაღალი, ძლიერი აღნაგობის ახალგაზრდა რუსი კაცი - ექიმი შემოვიდა, რომელსაც ხელები თეთრი ხალათის ჯიბეებში ჩაეწყო.

- მაშ ასე, მეგობრებო, გთხოვთ, ავადმყოფი მოასვენოთ, მისთვის აუცილებელია, ორი საათი მაინც გამოიძინოს.

ჰადიშათი საწოლიდან წამოდგა და ექიმს მიმართა:

- ექიმო, რა გქვიათ?

- დიმიტრი.

- მამის სახელი?

- რა საჭიროა მამაჩემის სახელი? - გაიღიმა მან, - რაც უნდა იყოს, თქვენ ჩემზე უფროსი ხართ, ნუ ჩამაყენებთ უხერხულ მდგომარეობაში და, თუ შეიძლება, შენობით მომმართეთ, გეთაყვა. თქვენი ნათესავი სწორედ ასე მომმართავს ხოლმე და თქვენგან მით უფრო უპრიანია ასე მომართვა.

- კარგი, დიმიტრი. რამდენ ხანს მოუწევს აქ წოლა?

- ეს მხოლოდ გამოკვლევის შემდეგ გვეცოდინება, თუმცა არა მგონია დიდი ხნით დარჩეს. ვფიქრობ, ყველაფერი ნორმალურადაა. რაც შეეხება თქვენს შვილს, თუ მისი გამომეტყველების მიხედვით ვიმსჯელებთ, მას უფრო ცუდი მდგომარეობა უნდა ჰქონდეს.

იმრანი იჯდა და იღიმებოდა, ისლამი უკმაყოფილოდ ხელით რაღაცას ანიშნებდა, ხოლო სულთანი უხმოდ და უხალისოდ აკვირდებოდა ყველა მათგანს.

- რა წამლები დასჭირდება? - განაგრძობდა შეკითხვებს ჰადიშათი.

- საქმე ისაა, რომ თქვენ, ალბათ, გაგიჭირდებათ წამლების შოვნა, - უპასუხა დიმიტრიმ, - ჩვენს საავადმყოფოში კი ეს-ესაა წითელი ჯვრის ხაზით წამლების ახალი პარტია შემოვიდა. ვფიქრობ, ყველაფერი, რაც საჭიროა, იქ იქნება. ახლა კი ბოდიშს გიხდით, შემოვლა მაქვს და დიდხანს ვერ გავჩერდები. ამიტომ გამოეთხოვეთ და დამშვიდებულნი წაბრძანდით სახლში. ყველაფერი კარგად იქნება.

მათაც პალატაში ყველას მალე გამოჯანმრთელება უსურვეს და კორიდორში გამოვიდნენ, იმრანი ჰადიშათის დამშვიდებას შეეცადა:

- ძალიან კარგი ექიმია. დიდი ხანია, აქ მუშაობს. აღმოჩნდა, რომ ბევრი საერთო მეგობარიც გვყოლია. ასე, რომ სულთანსაც თავისიანივით მიხედავს.

ქუჩაში უმარის მანქანა უცდიდათ. საჭესთან ახალგაზრდა კაცი, უმარის ნათესავი და დაცვის წევრი, იჯდა. ჰადიშათი „ნივის" უკანა სავარძელზე მოთავსდა, მუსლიმი კი ჩაჯდომას არ ჩქარობდა, მანქანიდან მოშორებით გუშინდელი ინციდენტის შესახებ უყვებოდა იმრანს.

- დასანანია, რომ პისტოლეტი თან არ მქონდა, - დაამთავრა მან.

- ჰო, მართლა, იარაღი რაზმში აიტანე? - შეეკითხა ის.

ამ შეკითხვამ მუსლიმი ცოტა დააბნია, გაწითლდა.

- ჯერ არ წამიღია, - უპასუხა მან.

- ეს როგორ? - გაიოცა იმრანმა, - პატარა ხომ აღარ ხარ? ნუთუ არ გესმის, რომ მსგავსი საქციელი დაუშვებელია? რაც შეიძლება ჩქარა მოიშორე თავიდან. თუ გინდა მდინარეში გადააგდე, ოღონდ სახლში კი აღარ გააჩერო. ასე ხომ ყველას დაღუპავ. ერთი სიტყვით, ახლა წადი.

იმრანი უკმაყოფილოდ შეტრიალდა და ყავარჯნის ბჯენით საავადმყოფოსკენ გაემართა. მუსლიმი ავტომანქანაში ჩაჯდა.

●

სიცივეების დადგომამდე მეურნეობაში ბევრი რამ უნდა მოესწროთ: დასამთავრებელი იყო ბოსტნის სამუშაოები, ეზო გასასუფთავებელი, შეშა კი მოსამარაგებელი იყო. ძირითადი დატვირთვა ოჯახის ერთადერთ მამაკაცს - მუსლიმს დააწვა. ხანდახან დედა და დაც წაეშველებოდნენ ხოლმე. იშვიათად თუ წავიდოდა სადმე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძირითადად სულ კარ-მიდამოში ტრიალებდა. იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც საქმეს ომონელებიც წაუკრავდნენ ხელს: ხან შეშას დაჭრიდნენ, ხან ჩაქცეულ ღობეს შეაკეთებდნენ. რაკიღა მოდიან, განსჯიდა მუსლიმი, რაღაც ხეირი მაინც ვნახოთ - იმუშაონ. ის ანდრეის უკვე ანდარბექობით მიმართავდა, ეს სახელი დანარჩენებსაც მოეწონათ.

საცითასთან მარტოდ დარჩენის საშუალებას მუსლიმი მას არ აძლევდა. „არ შეიძლება, - უხსნიდა ტოლიანს, - დროა, რომ ეს შენც შეიგნო." ანდრეი კი, მართალია, ზოგჯერ ბუზღუნებდა, მაგრამ საქმის ასეთ ვითარებას მალე შეეგუა. მისთვის ისიც კმაროდა, რომ გოგოს სუფრის გაშლის დროს მაინც ხედავდა. „არა უშავს, - განსჯიდა სასიძო, - მალე მივლინებაც დამიმთავრდება და აი, მაშინ კი აუცილებლად თან წავიყვან".

ერთხელაც მუსლიმი ძლიერ გააოცა იმან, რომ მილიციელები ჩვეულებისამებრ „უაზით" კი არა, „ბეტეერით" მოვიდნენ.

- თქვენ რა, მანქანა წაგართვეს? - შეეკითხა ის.

- ეჰ, ჯობს არ გვკითხო, - ხელი ჩაიქნია ტოლიანმა, ყოველთვის ხმაურიანი და მხიარული, ახლა უხალისოდ გამოიყურებოდა, - მანქანა დაგვიმტვრიეს. თქვენმა მოჯაჰედებმა*, დალახვროს ეშმაკმა, თავდასხმა მოგვიწყვეს.

- მუსლიმ, - შეეკითხა ანდრეი, - ხომ არ გაგიგია, გუშინ ვინ დაჭრეს?

- არა, არ გამიგია.

- იცოდე, არ მომატყუო, თორემ „ანალგინს" გამოგიწერ, - უთხრა და თან რეზინის ხელკეტზე მიანიშნა.

- არ გატყუებ, - უპასუხა ბიჭმა, - შენც იპოვე რა შესაკითხი ადგილი! მე რა, შენი ჰოსპიტალი კი არა ვარ! და, საერთოდაც, არ შეგიძლია მითხრა, რაშია საქმე?

- გუშინ ბრძოლა გვქონდა, - დაიწყო ტოლიანმა, - საძაგლები, სამი მებრძოლი მოგვიკლეს. ვალერკა ხომ გახსოვს? ისიც მოკვდა, უბედური. ქალაქისკენ მივდიოდით. უცებ ტყიდან ყუმბარმტყორცნმა იფეთქა. უკან საბურავს მოხვდა. სწორედ მაშინ დაიხოცნენ ბიჭები. მერე სროლა გაჩაღდა. კიდევ კარგი, უკან კოლონა მოგვყვებოდა, ისინი დაგვეხმარნენ, სანამ ჩვენ ვომობდით, რაციით ვერტმფრენები გამოიძახეს. მოკლედ მათაც მაგრად მოხვდათ.

- ბევრნი დახოცეთ? - შეეკითხა მუსლიმი, მიახლოებით უკვე ხვდებოდა, თუ ვინ შეიძლება ყოფილიყვნენ თავდამსხმელები.

- ალბათ, კი. რუსული იარაღის მთელი შესაძლებლობით ურტყამდნენ იმ ნაძირალებს, - უპასუხა ტოლიანმა, - ცოტა თუ წავიდოდა იქიდან ცოცხალი.

- მუსლიმ, გენაცვალე, - უპასუხა ანდრეიმ, - შევთანხმდეთ, რომ თუკი რაიმეს გაიგებ, აუცილებლად გვეტყვი.

- კარგი, გეტყვით. ოღონდ ეგ არის, სად ქალაქი და სად ჩვენ, აქ რა უნდა გავიგოთ?

- ყველაფერი შესაძლებელია. პატარა რესპუბლიკაა, ხმები უცებ ვრცელდება.

●

გამოქვაბულში კონსერვის ცარიელი ქილები, ჰილზების თუთიები, ჭურვების ყუთები, სისხლიანი მარლის ნაფლეთები და სხვა უამრავი ნაგავი მიმობნეული იყო. აქა-იქ დანახშირებული ნიგზურები ეყარა. ყველაფერი იმაზე მიუთითებდა, რომ ჯერ კიდევ გუშინ, შესაძლოა ღამით, რაზმი აქედან წასულიყო. მუსლიმს ახლა უკვე ეჭვი არ ეპარებოდა, რომ გუშინ ომონელებს სწორედ აბდულას რაზმი შერკინებოდა. აქამდე, გადაადგილებისთანავე, რაზმის ახალი დისლოკაციის შესახებ სალავდისაგან იგებდა, მაგრამ ამჯერად ყველაფერი ძალიან სწრაფად და ფარულად მოხდა. სალავდიც არ ჩანდა სოფელში და არც არავინ უწყოდა მისი ასავალ-დასავალი. ეტყობოდა, დანაკარგები რაზმში მართლაც დიდი უნდა ყოფილიყო.

მუსლიმი აღარ დაყოვნებულა. ესმოდა, რომ სიფრთხილე, რომელიც მეომრებს გამოეჩინათ, არც მას აწყენდა, რადგან ნებისმიერ დროს შეიძლებოდა აქ დაზვერვა შემოსულიყო.

"მაშ, ვინღა გადარჩა რაზმიდან? - ფიქრობდა შინისკენ მიმავალი მუსლიმი, - ნუთუ სალავდიც შაჰიდი გახდა?"

მეომრებში მიღებული არ არის გარდაცვლილი მეგობრის გლოვა, რადგან მუსულმანები ომში სიკვდილს უმაღლეს ჯილდოდ მიიჩნევენ. ითვლება, რომ ასეთ შემთხვევაში უზენაესს მათი სულები თავისთან მიჰყავს, რაზეც კიდეც ლოცულობენ ხოლმე მეომრები ყოველი ბრძოლის წინ. ცოცხლად გადარჩენილნი მათ ყოველთვის მოიხსენიებენ არა როგორც მკვდრებს, არამედ როგორც სასუფეველში მყოფთ და, ამასთანავე, განიცდიან რაღაცნაირ თეთრი შურის გრძნობას. ასევე ფიქრობდა მუსლიმიც აბდულას, ვალიდის, ჰაბიბის, სალავდისა და ყველა იმ ვაჟკაცის შესახებ, რომლებსაც, აღარ იცოდა, კიდევ შეხვდებოდა თუ არა ამ ქვეყანაზე.

●

ბიჭი გასასვლელში ფეხაკრეფით მოსიარულე ქალის ხმამ გამოაღვიძა. ეს დედა მიდიოდა სამზარეულოსკენ, რათა საქმეს შესდგომოდა. მუსლიმი თვალდახუჭული იწვა და ჭურჭლის წკრიალს აყურადებდა. მისი საძინებლის ფანჯრის რაფაზე წვიმის წვეთები ხმაურობდნენ. ქუჩაში, ღობის გასწვრივ, ვიღაცამ კალოშების ტყაპუნით გაიარა. ბიჭის სმენას ძაბავდა, ცდილობდა, თვითმფრინავის ან ავტომატის ხმა გაეგონა და უკვირდა, რომ ამას ვერ ახერხებდა. გარკვეული ხნის შემდეგ, როგორც ყოველთვის, მეზობელმა ტრაქტორი დაქოქა. ქათმების კრიახი ჯერაც არ ისმოდა, რადგან, როგორც ჩანს, წვიმის გამო, ისინი საქათმიდან გამოსვლას არც კი აპირებდნენ.

ჯერ კიდევ ადრე იყო, ამიტომ მუსლიმი ადგომას არ ჩქარობდა. ამავე დროს, მისთვის აუტანელი ხდებოდა ასე მშვიდად წოლა და მოსმენა ყოველივე იმისა, რაც ფანჯრის იქით ხდებოდა. დიდი ხანი იყო, რაც ცხოვრებით ამგვარად ტკბობა აღარ განეცადა. ეჩვენებოდა, რომ ომი დამთავრდა, უფრო ზუსტად, რომ თვითონ აქ კი არ იყო, რომელიღაც წაკითხულ წიგნში, რომელსაც რატომღაც ძალიან დიდხანს კითხულობდა. აი, ახლა შემოვა დედა და ეტყვის, რომ სკოლაში წასვლის დროა. მუსლიმაც ადგება, ჩაიცვამს, ხელ-პირს დაიბანს, საჩქაროდ დალევს ჩაის და ჩანთით ხელში ქუჩაში გავარდება. სამი კვარტლის იქით დახვდება წითელი აგურის სამსართულიანი შენობა. მუსლიმი მოასწრებს კლასში ზარის დარეკვამდე შესვლას.

კარგახანს იხსენებდა მუსლიმი წარსული, ომამდელი ცხოვრების ეპიზოდებს და მათ დღევანდელობას უდარებდა. უცებ ვიღაცამ მისი ოთახის კარი შემოაღო და შემოვიდა. ბიჭმა თვალი გაახილა და დედა დაინახა. ქალი შვილს მიუახლოვდა:

- შენ რა, დღეს ადგომას არ აპირებ? რახანია, მე და საცითა ფეხზე ვდგავართ. შემოგვიერთდი. დღეს საუზმედ არაჟნიანი ყველიანები გვაქვს.

- ოო! მაშინ ახლავე მანდ ვარ. ოღონდ უჩემოდ დანაყრება არ გაბედოთ, - გაუხარდა მუსლიმს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

სადილის შემდეგ ჭიშკართან ისევ მოგორდა „ბეტეერი“. შემოსასვლელთან მუსლიმი, ანდრეი და ტოლიანი იდგნენ. მილიციელები დაინტერესდნენ, თუ როდის გამოწერდნენ მამას საავადმყოფოდან.

- დღე-დღეზე ველოდებით - უპასუხა მუსლიმმა.

- იცი, რაშია საქმე, ბიჭუნი? - დაიწყო ტოლიანმა, - ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. გადაეცი ეს შენს ნათესავებს. მალე მივლინებაც გვიმთავრდება. ანდრეიმ უკვე შეატყობინა სახლში რომ საცოლით ბრუნდება. ასე, რომ დროა გოგოს მომზადებას შეუდგეთ.

ამ სიტყვების გაგონებაზე მუსლიმს მოეჩვენა, რომ არამარტო გული, არამედ ფილტვები, ღვიძლი, თირკმელები და ლამის ყველა სხვა ორგანო ერთიანად ფეხებისაკენ ჩაწყდა. ის ჯერ დაიბნა, მერე კი განაცხადა:

- მაშინ ანდარბექს ჯერ გამოცდის ჩაბარება მოუწევს.

- რა გამოცდის? - ვერაფერს მიუხვდნენ ისინი.

- როგორ თუ რა გამოცდის? შენ ხომ ისლამის მიღებას აპირებ? ჰოდა, მოგიწევს, აჩვენო - ან ყურანი როგორ შეისწავლე, ან ნამაზს როგორ ასრულებ. უამისოდ არაფერი გამოვა.

- ხა-ხა-ხა! ნუ გეშინია, ძმობილო! - გადაიხარხარა ტოლიანმა, - ადარბექის ცოდნას ობი ნამდვილად არ მოეკიდება! თქვენ კი, როგორც ეს აქაა მიღებული, მზითევის შეგროვებას შეუდექით. ყალიმზე* ნუ ინერვიულებთ, ძვირფასი მეთაურისა და ლამაზი საპატარძლოსთვის ფულს მთელი დანაყოფი ვაგროვებდით.

მუსლიმი წინდაწინვე ცდილობდა, რომ ამგვარი საუბარი, ბოლოსდაბოლოს, აუცილებლად შედგებოდა და ამიტომ სათქმელიც წინასწარ ჰქონდა მომზადებული, მაგრამ ეს ვიზიტი მაინც მოულოდნელი აღმოჩნდა მისთვის.

ომონელებთან ერთად, პერანგისამარა, ისე გავიდა ქუჩაში, რომ წვიმისთვის ყურადღება არც კი მიუქცევია. უცებ, ჯავშანმანქანის დანახვაზე, თავში რაღაც აზრმა გაურბინა.

- ანდარბექ, - დაიძახა მან, - „ბეტეერში“ არასოდეს ვმჯდარვარ, შეიძლება თქვენთან ერთად გამოვისეირნო.

- სხვა დროისთვის გადავდოთ. ახლა არ გვცალია.

- პატარაზე გამოგყვებით, სახლში კი ფეხით დავბრუნდები, აქვეა.

- ამ წვიმაში?

- შაქარი ხომ არ ვარ, დავდნე. გეხვეწებით, რა!

- გაუშვი, გამოისეირნოს ბიჭუნამ, - გამოექომაგა ტოლიანი, - რა, გენანებათ? მისთვისაც საინტერესო იქნება და ჩვენთვისაც - სახალისო.

- კარგი, წავიდეთ, - დაეთანხმა ანდრეი.

- მაშინ ახლავე მოვალ, - გაუხარდა მუსლიმს, - მხოლოდ რაიმეს გადავიცვამ.

დიდხანს ლოდინი არ დაჭირვებიათ. მუსლიმი მამის ფართე ქურთუკითა და დიდი ჩექმებით გამოვიდა სახლიდან.

ტოლიანი შეიჭმუხნა.

- ამაში სამი შენნაირი კიდევ გაეხვეოდა, ზარივით გაქვს ზედ ჩამოძხობილი.

- არა უშავს რა, საკუთარის მოძებნა აღარ მიცდია, - უპასუხა მუსლიმმა და „ბეტეერის“ გვერდითა ლუქში შეძვრა. მანქანამ ორჯერ წაიფრუტუნა, აბოლდა და დაიძრა.

აღშფოთებული ჰადიშათი ქუჩაში განგაშით გამოვარდა, მაგრამ შვილი, მილიციელებთან ერთად, უკვე წასულიყო.

მუსლიმი წინ გადაძვრა, მძღოლის გვერდით მოკალათდა და გზას დაუწყო თვალიერება. „საჭიროა, მკვეთრ მოსახვევამდე მისვლა, საჭიროა, მკვეთრ მოსახვევამდე მისვლა“, - იმეორებდა გულში. ხელები ჯიბეებში ეწყო და თითებით ყუმბარებს ეხებოდა. მუცელი და გვერდები ქამრით მიმაგრებული ტროტილის შუშხუნების სიცივეს გრძნობდნენ. მუსლიმმა მხოლოდ ნაწილობრივ შეასრულა იმრანის მითითება: პისტოლეტი რაზმში მიიტანა, მაგრამ ყუმბარებისა და ტროტილის შესახებ კი არაფერი უთქვამს.

- ანდარბექ! - დაიძახა ბიჭმა, - მოდი აქ!

ანდრეი წინ გაჭირვებით გადაძვრა და მათ გვერდით დაჯდა.

- რაშია საქმე?

- გინდა გასწავლო ყველაზე უმთავრესი, რაც ყოველმა მუსულმანმა უნდა იცოდეს?

- საინტერესოა, ეს რაღაა?

- მაშ, გაიმეორე ჩემთან ერთად: ლა ილლაჰი ილლალლაჰი მუჰამადა რასულლულლაჰი.*

ანდრეიმ თავისუფლად გაიმეორა.

- შენ რა, ეს უკვე ისწავლე? - გაუკვირდა მუსლიმს.

- აბა, რა გეგონა? არ არის ღმერთი ალაჰის გარეშე და მუჰამედია მისი წინასწარმეტყველი. მე ხომ ამ საქმეს სერიოზულად მოვკიდე ხელი.

- მაშინ, ახლა ჩემს ბრძანებაზე სამჯერ უნდა დაიყვირო: ალლაჰ აკბარ.*

- ბრძანე, - დაეთანხმა ანდრეი.

- ტაკბირ!* - დაიძახა ხმამაღლა მუსლიმმა.

- ალლაჰ აკბარ!!! - მთელი ხმით დაიძახა ანდრეიმ.

- ტაკბირ!

- ალლაჰ აკბარ!!!

- ტაკბირ!

- ალლაჰ აკბარ!!!

- მორჩა, - დაამთავრა ბიჭმა, - ახლა იმედი ვიქონიოთ, რომ უზენაესის მოწყალება დავიმსახურეთ.

ომონელი ჯარისკაცები ხმამაღლა ხარხარებდნენ. სწორედ ამ დროს მუსლიმმა ჯიბეებიდან ყუმბარები ამოაძვრინა და ისინი ანდრეის ფეხებთან დაყარა. ყუმბარების ბეჭდები ცერა თითებზე ეკეთა. მან ხელები ასწია და მილიციელებს უჩვენა. უცებ ყველანი ჩაჩუმდნენ. კმაყოფილმა მუსლიმმა მათ სახეებზე შიშისა და გაურკვევლობის შენიშვნალა მოასწრო.

აფეთქებამ მუსლიმი სქელი ჯავშნის ნაპრალიდან პირდაპირ გარეთ გამოტყორცნა. ტკივილი არ უგრძვნია. საკუთარ სხეულს, უფრო სწორად, სხეულის იმ ნაწილს, რომელიც ბეტეერის შიგნით დარჩენილიყო, ვერ ხედავდა. მშვიდად აკვირდებოდა, თუ როგორ ეცემოდა მუქ-მწვანე ფერის ლითონზე წვიმის შხეფები. მრავალტონიანი მანქანა, რომელმაც მოსახვევამდე მისვლა ვეღარ მოასწრო, ნელ-ნელა ეშვებოდა ფხვიერ მიწაზე უფსკრულისაკენ, მერე ძირს ჩაიჩეხა და ამობრუნებული მდინარის პირას გაქვავდა. ომონელები ათამდე მაინც იქნებოდნენ. წარმოუდგენელია, ამ ხორცსაკეპში ვინმე გადარჩენილიყო. ახლა აქ უკვე აღარაფერი ესაქმებოდა მუსლიმს, თავის მეგობარ შაჰიდებთან შესახვედრად მიემართებოდა.

თარგმნეს

*მიხეილ ღანიშაშვილმა და ბელა ქისტაურმა*

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომენტარები

1. ***ამირი, ამირა*** - (არაბ. მბრძანებელი, მმართველი, მეთაური) მთავრის შესატყვისი ტიტული აღმოსავლეთის მაჰმადიანურ ქვეყნებში. ისლამამდელ ხანაში (VII ს-მდე) ეწოდებოდათ სარდლებს, VII ს-ის 30-იანი წლებიდან არაბთა სახალიფოს პროვინციების მმართველებს. ტერმინი ამირა (ძირითადად „ემირის" ფორმით) გავრცელდა არაბთა მიერ დაპყრობილ ქვეყნებში (მაგ. ბუხარის ემირი). სახალიფოს დაშლის შემდეგ მას ატარებდნენ ადგილობრივი დამოუკიდებელი მმართველები, რომლებიც საერო და სასულიერო ხელისუფლებას ახორციელებდნენ. შემდეგ ამირის საპატიო ტიტული ენიჭებოდათ წინასწარმეტყველ მუჰამედის „ჩამომავლებს".
2. ***სუბჰანალლა*** - (არაბ. გამოთქმა) დიდება შენდა, ღმერთო! დიდ არს, ღმერთო, შენი ძალა!
3. ***იმამი*** - (არაბ. წინ მდგომი) მუსულმანური თემის მეთაური, მუსულმანური თეოკრატიული სახელმწიფოს მმართველი, ხალიფა; რელიგიურ-იურიდიული მიმართულების (მაზჰაბები) ფუძემდებლები სუნიტებში; შიიტების უმაღლესი მეთაური; სასულიერო პირი, რომელიც ხელმძღვანელობს ღვთისმსახურებას მეჩეთში. იგი მლოცველთა წინ დგას და მლოცველები იმეორებენ მის სიტყვებსა და ტანის მოძრაობას.
4. ***ბისმილლაჰიროჰმანიროჰიმ*** - (არაბ. გამოთქმა) სახელითა მწყალობელისა და ყოვლადმოწყალისა ალაჰისათა.
5. ***ნამაზი*** - (თურქ. ლოცვა), სალათი (არაბ.). მუსლიმანთა ლოცვა, რომელიც მკაცრად განსაზღვრულ რიტუალს ემორჩილება. ნამაზის მთავარი კომპონენტია საწესდებო ლოცვა, რომელსაც თან ახლავს განბანის, სალოცავი პოზისა და ჟესტების (რაკათი) მეტად რთული რიტუალი. ლოცვა შეიძლება ყველგან - მეჩეთში, სახლში, გარეთ. მლოცველი პირით მექის ქააბის ტაძრისკენ (ყიბლა) უნდა იყოს მიმართული. ნამაზი დღის განმავლობაში ხუთჯერ სრულდება.
6. ***ჯიჰადი*** - (არაბ. გულმოდგინება, მონდომება) ომი სარწმუნოებისთვის, „საღვთო ომი". მუსლიმანის ერთ-ერთი რელიგიური მოვალეობა. ჯიბადის ჩანასახი ჩანს ყურანში, მედინურ სურებში (IX სურა, 29 ლექსი). არაბთა დაპყრობითი ომები „საღვთო ომის" ლოზუნგით მიმდინარეობდა. ჯიჰადის შესახებ მოძღვრების მიხედვით, რომელიც მუსულმანურმა სამართალმა შეიმუშავეა მთელი ქვეყანა იყოფა „ისლამის მიწად" (დარ-ალ-ისლამი) და „საომარ მიწად" (დარ-ალ-ჰარბი) - ქვეყნებად, რომლებიც დასახლებულია არამუსულმანებით, ურწმუნოებით, რომელთა წინააღმდეგ „საღვთო ომი" ყველა ბრძოლისუნარიანი მუსულმანის მოვალეობაა. ჯიჰადს უწოდებენ აგრეთვე ღაზავათს. ამჟამად მუსულმანურ ქვეყნებში ჯიჰადი არის მოწოდება სამშობლოს დასაცავად ომისკენ.
7. ***მოჯაჰიდები*** - (არაბ: რწმენისთვის, სამართლიანი, წმინდა საქმისთვის მებრძოლი) არალეგარული რევოლუციურ-დემოკრატიული საზოგადოების (შეიქმნა 1905 წელს) წევრები ირანში, ძირითადად წვრილი ბურჟუაზიის წარმომადგენლები, მუშები, გლეხები. მოჯაჰიდების პროგრამა (მიიღეს 1907 წელს) მოითხოვდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ თავისუფლებებს, შაჰის მიწების კონფისკაციას, 8-საათიან სამუშაო დღეს, ღარიბთა გადასახადებისგან განთავისუფლებას და ა.შ. ირანის რევოლუციის ჩახშობის შემდეგ (1911 წ.) მისი ორგანიზაციები დაშალეს. ალჟირში და ავღანეთში მოჯაჰიდები მონაწილეობდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ომებში იბრძოდნენ დამოუკიდებლობისთვის.
8. ***ყალიმი*** - საქორწინო გადასახადი მაჰმადიანური რელიგიის მიმდევარ ხალხებში. საქორწინო ურთიერთობაში ყალიმი ურვადის ტოლფასოვანი იყო.
9. ***ლა ილლაჰი ილლალლაჰი მუჰამადა რასულლულლაჰი*** - (არაბ. გამოთქმა) არ არის ღმერთი ალაჰის გარდა და მუჰამედია მის მოციქული.
10. ***ალლაჰ აკბარ!*** - (არაბ. გამოთქმა) - დიდება ალაჰს!
11. ***ტაკბირ!*** - (არაბ. გამოთქმა) მოწოდება მორწმუნისთვის ალაჰის სადიდებლად.



ეროვნული ბიბლიოთეკა

*ემანუილ სვეტლოვი ცნობილი სასულიერო მოღვაწის, მეცნიერისა და მწერლის, რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის მღვდლის ალექსანდრე მენის ფსევდონიმია. ე.სვეტლოვისა და, აგრეთვე, ა.ბოგოლიუბოვის სახელითაა გამოქვეყნებული მისი წიგნები ბრიუსელის საღვთისმეტყველო გამომცემლობაში.*

*ა.მენი დაიბადა მოსკოვში, ებრაელი ინტელიგენტის ოჯახში. მის სულიერებაზე უდიდესი გავლენა მოახდინა დედამ, რომელიც 1935წელს მოინათლა ქრისტიანად 7 თვის ვაჟიშვილთან ერთად. რელიგიურ მთავრობებას შერწყმული მრავალმხრივი ნიჭიერება (მხატვრული, მუსიკალური) ა.მენს ადრევე გამოაჩნდა. სწავლობდა ბიოლოგიას, მაგრამ მოსკოვის ერთ-ერთი ტექნოლოგიური ინსტიტუტიდან გარიცხეს 1958 წელს, როდესაც გაუგეს, რომ ეპარქიულ სამმართველოში ცეცხლფარეშად მუშაობდა. იმავე წელს ეკურთხა დიაკვნად. დაამთავრა ლენინგრადის სასულიერო სემინარია, 1968-ში - მოსკოვის სასულიერო აკადემია. მოსკოვისპირა სოფლის ეკლესიაში მოძღვრის სამსახურს ნაყოფიერად უთავსებდა განმანათლებლურ მოღვაწეობას - ქადაგებდა ქრისტეს სახარებას, ებრძოდა ათეიზმის ზღაპრებსა და სიცრუეს, იყო „კულტურული აღორძინების" საზოგადოების პრეზიდენტი; მისი საჯარო გამოსვლები მოიცავდა ბიბლიის, ქრისტიანობის, რელიგიის, ფილოსოფიის, ხელოვნების პრობლემებს.*

*მოკლეს 1990 წელს, როდესაც შინიდან ეკლესიაში მიეშურებოდა.*

მთარგმნელისგან

# ემანუილ სვეტლოვი

## ეკლესიასტე

(თავი წიგნიდან „ახალი აღთქმის ზღურბლთან"*)

*ამაო სიამეთა წადილის გამო ვკიცხავ ჩემს თავს, რადგანაც ჩავხვდი,*
*ამა სოფლის შვებანი წამიერი სიზმარი ყოფილა.*

*ფ. პეტრარკა*

თუ იობის წიგნი თავისი სულისკვეთებით ანტიკურ ტრაგედიებს უახლოვდება, მაშინ ეკლესიასტე შეიძლება მივიჩნიოთ სტოელთა და ეპიკურელთა თხზულებების ძველაღთქმისეულ პარალელად. ზოგი ავტორი იმასაც კი ფიქრობდა - ეს წიგნი, რომელიც ესოდენ არა ჰგავს ბიბლიის სხვა ნაწილებს, უშუალოდ ბერძნული გავლენით შეიქმნაო. სინამდვილეში კი ეკლესიასტე წმინდა აღმოსავლური ქმნილებაა და მისი იდეების მსგავსება დასავლურ ფილოსოფიასთან უშუალო სესხების ჰიპოთეზის გარეშეც აიხსნება, ხოლო რაც შეეხება იმ წყაროებს, რომლებიც კვებავდნენ წიგნის ავტორის შეხედულებებს, ისინი პირქუშ ბაბილონურ სიბრძნეში უნდა ვეძიოთ.

და ესეც უნდა გავითვალისწინოთ: ეკლესიასტე საგულისხმოა არა სხვისი იდეებით, რომლებიც შეიძლება მასში არეკლილიყო, არამედ იმით, რომ წარმოადგენს მწერლის შინაგანი ავტობიოგრაფიის სახეობას, ცოცხალი სულის აღსარებას. მაგრამ, ავგუსტინეს, რუსოს ანდა ტოლსტოისგან განსხვავებით, ავტორს არ უცდია თავისი თავის შესახებ შეექმნა მწყობრი მოთხრობა; იგი ყოველგვარი სისტემის გარეშე მუხლებად ალაგებდა შენიშვნებს, ფრაზებს, რომლებითაც მკითხველს უზიარებდა თავის დაკვირვებებს, დასკვნებსა და განსჯას. ბევრი მისი აფორიზმი შემდგომ ანდაზად გადაიქცა.

ეკლესიასტე წინააღმდეგობებითაა სავსე: იგი შეიცავს მოტივებს, რომლებიც მოგვაგონებენ ომარ ხაიამს, ვოლტერს, თომას კემპიელს. ავტორს არ უზრუნია, რათა თავისი ფილოსოფიისთვის მკაფიო და მწყობრი ფორმა მიეცა. და მაინც ეკლესიასტეს ახასიათებს მთლიანობა და ორგანული ერთიანობა: ესაა ერთი კაცის სულიერი პორტრეტი.

იუდეველთა ყველა ბრძენის მსგავსად, წიგნის ავტორმაც დამალა თავისი სახელი. იგი თავის თავს უწოდებს კოჰელეთს (რაც ბერძნულად ეკლესიასტედ თარგმნეს).

---

* Эммануил Светлов, На пороге Нового Завета, Брюссель. 1983.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ სიტყვის ზუსტი აზრი არაა გარკვეული, როგორც ჩანს, იგი აღნიშნავს კრებულში მოლაპარაკე კაცს, მქადაგებელს. ბრძენს ალბათ, ჰყოლია თავის მიმდევართა კრებული, რომელმაც შთამომავლობას შემოუნახა მისი შედევრი. კოჰელეთს მათ შორის დიდი პატივი ჰქონია მოხვეჭილი, რასაც მოწმობს წიგნის ბოლო სტრიქონები, რომლებიც მის ერთ-ერთ მოწაფეს ეკუთვნის: *„თავად ხომ ბრძენი იყო ეკლესიასტე, ხალხსაც შეასწავლა სიბრძნე. იკვლევდა, იძიებდა და თხზავდა იგავებს მრავალს. ეძებდა ეკლესიასტე ჭეშმარიტ სიტყვებს და წრფელად დაიწერა ჭეშმარიტი სიტყვები".*

იგი, ვისი პირითაც წიგნი მოგვითხრობს, სახელდებულია ძედ „დავითისა, იერუსალიმის მეფედ". ძველად მკითხველთა უმრავლესობას ეს პირდაპირი გაგებით ესმოდა. მაგრამ თვით მწერალი ერთთავად მიანიშნებს, რომ ამ შემთხვევაში სოლომონის ავტორობა პირობითი ხერხია. კოჰელეთი ახსენებს იერუსალიმის მეფეებს, რომლებიც „იყვნენ მის წინ", მაშინ, როცა ისტორიული სოლომონი მხოლოდ მეორე იყო - დავითის შემდგომ. ხშირად იგი იმგვარად უბნობს, რანაირადაც სოლომონი ანდა, საერთოდ, სხვა მეფეებიც ვერ ილაპარაკებდნენ. მისი ყვედრება მონარქებისა და ბრალდება მჩაგვრელთა მიმართ შეუძლებელია მიეწეროს დესპოტურ სოლომონს ანდა რომელიმე სხვა გვირგვინოსან პირს.



შესაძლოა, ეკლესიასტეს ავტორი თავის წარმომავლობას მართლაც უკავშირებდა დავითს; ყოველ შემთხვევაში, იგი მდიდარ არისტოკრატიულ წრეს უნდა ჰკუთვნებოდა, ესაა ნაკითხი, საერო განათლების მქონე კაცი, რომელსაც ცხოვრება კეთილდღეობაში გაუტარებია. ეკლესიასტე მას, როგორც ჩანს, სიბერეში დაუწერია. ეს წიგნი გრძელი, გამოცდილებით მდიდარი ცხოვრების ნაყოფია. ზოგიერთ ისტორიკოსს მიაჩნია, რომ კოჰელეთი იერუსალიმის მმართველი იყო. მათი ფიქრით ასეთი საშიში აზრები შეუძლებელია დაუსჯელად ექადაგა ისეთ კაცს, რომელსაც მყარი მდგომარეობა არ ეკავა საზოგადოებაში.

პოემის ენა მიუთითებს იუდეის ისტორიის გვიანდელ ხანას, რაც ბიბლიის ბევრ მკვლევარს უბიძგებს, ეკლესიასტე ლამის ჰეროდეს დროს მიაკუთვნოს. მაგრამ ახლა, როცა აღმოჩენილია წიგნის ხელნაწერები, რომლებიც ძვ.წ. II საუკუნით თარიღდება, ცხადი გახდა, რომ იგი III საუკუნეზე გვიან ვერ შეიქმნებოდა. ეკლესიასტეში მინიშნებაც არაა ბერძენთა ბატონობაზე. ქვეყნის ის სურათი, რომელიც მასშია დახატული, უფრო მიესადაგება ძვ.წ. IV საუკუნის ბოლო ათწლეულებს, ე.ი., პალესტინაში სპარსეთის მმართველობის ბოლო პერიოდს.

ყველა ნიშნით მქადაგებელი იერუსალიმის მცხოვრები ყოფილა. იგი ტაძარსა და ზვარაკებს ყოველდღიურ ამბებად მოიხსენიებს. ძნელია, მართებულად მივიჩნიოთ იმათი აზრი, ვისაც იგი დიასფორის კაცი ჰგონია.

მაგრამ ეგებ მქადაგებელი იყო ერთი იმ ელინიზირებული იუდეველთაგანი, რომელთაც გული აჰყროდათ მამა-პაპათა რწმენაზე და ბერძნული ფილოსოფიით მოხიბლულიყვნენ? ეს საეჭვოა უკვე იმის გამოც, რომ მისი წიგნი ბიბლიაშია შესული. ელინოფილები უკეთურებად მიაჩნდათ და ძნელი დასაჯერებელია, რომ ერთი მათგანის წიგნს ასეთი ავტორიტეტი მოეხვეჭა. კოჰელეთის შეხედულებათა მსგავსება სტოიციზმთან და ეპიკურელობასთან არ ამტკიცებს, როგორც ვთქვით, სესხებას ანდა მიბაძვას. იმ დროს ასეთი იდეები ჰაერში რიალებდნენ.

იობის წიგნი მოწმობს იმ ტვინის დუღილსა და ცხარე კამათს, რაც ისრაელს აღელვებდა, როდესაც მოაზროვნე ადამიანები ცდილობდნენ, ისე ეპოვათ მწვავე ცხოვრებისეული პრობლემების ახსნა, რომ თავი აერიდებინათ კანონისა და საღვთო ისტორიის დამოწმებისათვის. დაძაბულ სულიერ ჭიდილში ერთმანეთს ეხლებოდნენ სრულიად საწინააღმდეგო თვალსაზრისები. მაგრამ ამ თავისუფალი დისკუსიების ფონზეც ეკლესიასტე კადნიერ წიგნად შეიძლებოდა მოსჩვენებოდათ. კოჰელეთის არა მარტო ცალკეული შეხედულებები, არამედ მთელი მსოფლაღქმა შორდებოდა ჭეშმარიტ ბიბლიურ ტრადიციას; ბოლო, რაც ავტორმა შემოინახა ამ ძველიდან, მას სულ სხვა ჟღერადობა შესძინა.

მქადაგებლის სახით იუდეურმა აზრმა თითქოს უარყო ყველაზე ძვირფასი და სანუკვარი რამ, უარყო რწმენა ღმერთთან კავშირის შესაძლებლობისა და გამოცხადების აღმავალი ისტორიისა. კოჰელეთმა სხვა კულტურების გამოცდილებას მიმართა და გაბედა ისრაელის მრავალსაუკუნოვანი გზიდან გადახვევა. მან მიიღო წარმართული მეტაფიზიკის მთავარი იდეა სამყაროს ციკლური ბრუნვისა. თავისი წიგნის პროლოგში ამის შესახებ გვესაუბრება ის კაცი, ვინც სასოწარმკვეთი სინამდვილე აღმოაჩინა და სიმართლეს თვალი გაუსწორა:

*თაობა მიდის, თაობა მოდის, ეს ქვეყანა კი უცვლელია უკუნისამდე.*

*ამოხდება მზე და ჩადის იგი, უბრუნდება თავის ადგილს და კვლავ იქიდან ამობრწყინდება.*

*სამხრეთისაკენ მიჰქრის ქარი. გაბრუნდება ჩრდილოეთისკენ; ბრუნავს, ბრუნავს, მიჰქრის ქარი და უბრუნდება ისევ თავის წრეს.*

*ყველა მდინარე ზღვებისაკენ მიედინება, ზღვა კი მაინც არ ავსდება; მდინარენი საითკენაც მიედინებოდნენ, კვლავაც იქითკენ მიედინებიან.*

*უძლურია ყოველი სიტყვა, არ ძალუძს კაცს ყოველივეს თქმა; თვალი ხედვით ვერ გაძღება, ყური სმენად ვერ აღივსება.*

*რაც ყოფილა, იგივე იქნება, და რაც მომხდარა, იგივე მოხდება; არაფერია მზის ქვეშ ახალი.*

*ნახავენ რასმე და იტყვიან: აჰა ახალი. ესეც ყოფილა ჩვენს წინარე საუკუნეში.*

(1, 4-10).

რაღაც სასტიკი ტკბობით ჩაჰყურებს პოეტი მარადიული წრებრუნვის სურათს. თითქოს დაჰვიწყებია ყველაფერი, რასაც ასწავლიდნენ და ამცნობდნენ ისრაელის წინასწარმეტყველნი. ეკლესიასტეს კოსმოსი ქალდეურია სულაც ინდურია; მოხმობილ სტრიქონებს ხელს მოაწერდნენ ჰერაკლიტაცა და ზენონიც. ესაა სამყარო, რომელსაც ჭვრეტს კაცი, ვისთვისაც ჩამქრალა გამოცხადების ნათელი...

რაოდენ უნდა შეძრწუნებულიყო სული ძველი აღთქმის კაცისა, რომ მისთვის ესოდენ უცხო ქვეყნიერება გაეთავისებინა! ამ ქვეყნიერებაში სიცოცხლე კარგავს აზრსა და მნიშვნელობას. თეოგნიდესა და სხვა ბერძენი პოეტების მსგავსად, კოჰელეთი მზადაა, სიკვდილიც კი უკეთეს ხვედრად მიითვალოს:

*უფრო ბედნიერად შევრაცხე დიდი ხნის მკვდარნი მათზე, ვინც ჯერაც ცოცხლობენ კიდევ.*

*და ორთავეზე ბედნიერი მაინც ის არის, ვინც ჯერაც არ დაბადებულა და არ უხილავს ბოროტება, რაც მზის*

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*ქვეშ ხდება.*

განწირულებამ, რომელმაც თითქოს ტალღებს მინებებული იობი ღვთის შეცნობის მწვერვალებისკენ გამორიყა, ეკლესიასტე აიძულა ბედის წინაშე უძლური მორჩილებით უფსკრულის ფსკერზე ჩარჩენილიყო. ასეთი რამ ისრაელს ჯერ არ სცოდნია; მქადაგებლის მოსმენა მისთვის უდიდესი საცთური იყო.

კოჰელეთი ის კაცია, ვინც იობისგან განსხვავებით ყოველთვის დაცული იყო ბედის სიავისაგან. მაგრამ ამის გამო უფრო ოპტიმისტი არ გამხდარა. ბუნებით ლმობიერსა და გულჩვილს არ შეეძლო მშვიდად ეცქირა ადამიანების მძიმე ცხოვრებისთვის. მაგრამ ამავე დროს იგი დარწმუნებული იყო, რომ მათი რადიკალურად შვე-ლა არ შეიძლებოდა.

მთავარი, რაც განასხვავებს ეკლესიასტეს ეთიკას წინასწარმეტყველთა ეთიკისგან, ესაა კავშირის შესუსტ-ება რელიგიასა და ზნეობას შორის. წინასწარმეტყველნი რწმენაში პოულობდნენ ძალას ქმედითი სიკეთის საქა-დაგებლად. ადამიანურობა და რწმენა მათთვის ერთმან-ეთისაგან განუყოფელი იყო. კოჰელეთი კი ამ კავშირს ასე ცხადლივ ვერ გრძნობს.

მას, წარმართული პესიმიზმით დაავადებულს, აკლია რწმენით მონიჭებული შთაგონება და ისღა დარჩენია, რომ ჩვეული მიწიერი სიამენი იკმაროს.

მაგრამ სწორედ აქ იწვნევს კოჰელეთი უსასტიკეს მარცხს! ყველაფერი, რაც მას თავისკენ იტყუებდა და აცთუნებდა, განჩხრეკისას „ამაოება" აღმოჩნდა. „ხეველ", „ამაოება", სიტყვასიტყვით ნიშნავს კვამლს, არარაობას, რაღაც ფუჭსა და წარმავალს, ხოლო „ამაო ამაოებათა", „ხაველ-ხავალიმ", ამაოების უმაღლეს საფეხურს.

კაცი დასდევს ბედნიერებას, კეთილ ცხოვრებას „სარ-გებლობას". ამ მიზანს გამოხატავს ებრაული სიტყვა იტრონ. მაგრამ სწორედ იტრონი არის ის, რისი მიღწ-ევაც შეუძლებელია.

*ადამიანს რას ჰმატებს შრომა, რომელსაც იგი მზის ქვეშ ეწევა?*

(1, 3)

მაგრამ თუ იტრონი ლანდებში მორიალე ოცნებაა, არ შეიძლება თუნდაც ტობის - წარმავალი კეთილდღეო-ბის დაუფლება?

კოჰელეთმა მიყოლებით გამოცადა ადამიანისთვის მისაწვდომი სიამენი. ტყუილად ხომ არ იყო იგი განდიდებული და გამდიდრებული

*„უმეტეს მათსა, ვინც კი მისწინარე არსებულა იერუს-ალიმს".*

*ვუთხარი ჩემს თავს: მოდი, გამოვცდი მხიარულებას და მივეცემი სიამეთა - და აჰა, ესეც ამაოება ყოფილა მხოლოდ.*

*მივხვდი, გართობა ფუჭი საქმეა, მხიარულება რის მაქნისია?*

(2, 1-2)

ადამიანის წარმოსახვას ყოველთვის იტაცებს ფუფუნებისა და სიამოვნების სურათები. კოჰელეთს ძალ-უძდა შეემოწმებინა, რას წარმოადგენდა ეს საცთურები სინამდვილეში. ააგო მშვენიერი სახლები, გააშენა ზვრები, სავარდეები, ბაღები, სადაც შადრევნები ჩუხჩუხებდნენ. იყიდა მონები და მხევლები, გარს შემოი-რტყა მგალობელ-მომღერლები. მის თვალებს, დღე იყო თუ ღამე, საგანძურების ხილვა ახარებდა.

*არ უარვყავი არაფერი, რაც კი მომთხოვეს ჩემმა თვალებმა, არ დავაოკე გული ჩემი სიხარულისგან, რად-გან ხარობდა ჩემი გული ჩემი ნაღვაწით. ეს ყოველივე იყო ხვედრი ჩემი შრომისა.*

*მერმე, როდესაც გადავხედე ყოველივეს, რაც კი შე-ქმნა ჩემმა მარჯვენამ, და ყოველ საქმეს, ჩემს ნამოქმე-დარს, მივხვდი, ამაო რომ ყოფილა ეს ყველაფერი, ქარი-სნაბერი, და რომ არ არის სარგებელი ამ მზისქვეშეთში.*

(2, 10-11)

ეს პირქუში მისამღერი ამაოებისა ლაიტმოტივად გასდევს კოჰელეთის მთელ წიგნს. სადაც უნდა მიეპყრო მას მზერა, ყველგან ერთსა და იმავეს ჭვრეტდა: საწადელი კვამლივით განქარდება...

შემთხვევით არაა, რომ ტოლსტოი ასე ხშირად იმოწმ-ებს ეკლესიასტს თავის „აღსარებაში". მან თავად გაიარა იუდეველი ფილოსოფოსის გზა და „ბოლოში" მის წინაშ-ეც აღიმართა შეუქცევადი კითხვა: „ამის მერე კი რაღაა?" ასეთია ადამიანის ბუნება, მას არ ძალუძს, დაკმაყოფი-ლდეს წარმავალით და რაღაც ბევრად უფრო მეტი სწყუ-რია.

კოჰელეთი ცდილობს, სადგური გონებისმიერ ჭვრე-ტაში იპოვოს. ეგებ იტრონის საიდუმლო ჰაქამების სახე-ლგანთქმულ სიბრძნეში მარხია? ვაგლახ, აქაც უარყო-ფითია ცდის შედეგი. გონება მხოლოდ სამყაროს არა-სრულყოფილებას ავლენს.

*ვუთხარი ჩემს თავს: აჰა მოვიპოვე და განვიმრავლე ცოდნა ყოველთა უპირატესად, ვინც არსებულა ჩემს უწინარეს იერუსალიმში, და ეზიარა გონება ჩემი განუზომელ სიბრძნეს და ცოდნას.*

*როცა მივაპყარ გულისყური, შევიცან სიბრძნე, მეცნიერება, უმეცრება და სისულელე, მივხვდი - ამასაც არა აქვს აზრი.*

(1, 16-17)

ეს სიტყვები ფაუსტის ყვედრებას გვაგონებს. მაგრამ ეკლესიასტეს უკმაყოფილება ბევრად ღრმაა. გოეთეს გმირმა, წუთისოფლის დასალიერზე თავისი ცოდნის უნაყოფობა რომ დაინახა, ბოლოსდაბოლოს, სიხარული ადამიანთათვის სასიკეთო ქმნადობაში პოვა; იერუს-ალიმელ პესიმისტს ეს არ შველის; იმიტომ კი არა, რომ მხოლოდ თავისი თავი ახსოვს. კოჰელეთმა იცის, რომ ადამიანმა უნდა „ქმნას სიკეთე" (3, 12), მაგრამ შრომით მოგვრილი კმაყოფილება მის თვალში მხოლოდ სუბიექტური ნუგეშია მსოფლიოს საერთო სავალალო ყოფის ფონზე.

მსგავსად ცნობილი ბაბილონური გაბაასების მონისა, კოჰელეთიც ყველგან ჭვრეტს წყლულს, ჩრდილოვან მხარეს. არც იმათი სჯერა, ვინც დარწმუნებულია, ძველ დროში ადამიანები უკეთესად ცხოვრობდნენო. გარდა-სული ხალხი ამის საწინააღმდეგოს გვიდასტურებს. ყოვე-ლთვის იყო ძალადობა და მტრობა, ნამუსგაყიდული სასამართლოები და უუფლებობა. ყოველთვის *„ბატონ-ობს ადამიანი ადამიანზე."* დასაბამიდან არ წყდება მეფეთა მძლავრობა. მათს წინააღმდეგ ამბოხი კი უშედ-ეგოა. ხელმწიფეზე ნათქვამი ავი სიტყვა, მოწმე რომც არ შეესწროს, მაინც მიაღწევს მის ყურს, ჩიტი მიუტანს ამბავს.

ტახტებზე კი ვინ სხედან? ვინ მართავს ხალხსა და სამთავროებს? ოდენ ბრძენნი და დიდსულოვანნი? პირიქით:

*სიბრიყვე განდიდდა მეტად, ხოლო მდიდრები დაბ-ლა სხედან.*

*ვნახე მონები ცხენებზე მსხდარნი, ხოლო მთავარნი მონებივით ფეხით მავალნი.*

(10, 6-7)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანებს ამაღლებს არა გონიერება ან სიქველე, არამედ „დრო და შემთხვევა." ღირსეული კაცი თითოოროლაა. ათას კაცში ერთი თუ მოიძებნება, დედაკაცთა შორის კი ეს ერთიც არაა.

რა გავაგრძელოთ, ამ ქვეყანაზე არაფერია სანუგეშო გონიერი ადამიანისთვის, რადგანაც იგი ნიადაგ რწმუნდება, რომ მის გარშემო მხოლოდ ამაოება, სისულელე და ბოროტებაა. თვით გმირებსაც ვერ იხსნის დავიწყებისაგან მათი საქმენი და ღვაწლი.

*მარადიულად არ ეხსომებათ არც ბრძენკაცი, არც უგუნური; გაივლის ჟამი, ყველაფერი დაივიწყება. ვაგლახ, რომ კვდება ბრძენი კაცი უგუნურივით!*

(2, 16)

ასეთია კოჰელეთის ჩხრეკა-ძიების უსიხარულო შედეგი: მან გააქარწყლა მამა-პაპათა ყველა უტოპია, იმედი და იდეალი. თავად ასეთი კაცია იგი - ახალი იობი, ვისაც უბედურება არ სწვევია; ფუფუნებაში ჩაფლული იობი, რომელიც ნიჰილისტი გახდა; იობი, ვინც რწმენა დაკარგა.

მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ეკლესიასტე ათეისტური წიგნია. უბრალოდ, მქადაგებლისთვის ღმერთი უსასრულოდ შორეული და ადამიანთან თითქმის დაუკავშირებელი არსებაა. ეპიკურეს ღმერთებისგან განსხვავებით, იგი მსოფლიოს შემქმნელია, მაგრამ მოკვდავებთან მიმართებაში უფრო შეუცნობელ, საბედისწერო ძალად გვევლინება.

იუდეველთა წარმოდგენამ, რომ უფალი ღმერთი ყველაფერია, ხოლო ადამიანი არარაობა, ეკლესიასტეში უკიდურესად ცივი, მკაცრი ფორმა მიიღო. და თუ მქადაგებელი ამბობს: *„ყმაწვილობიდანვე გახსოვდეს შემოქმედი შენი"*, - ეს შეგონება სრულიად არ აღაფრთოვანებს ადამიანს. კოჰელეთის ღმერთი თითქოს გულგრილია მსოფლიოს მიმართ, რომელსაც მან მიანება უმიზნო ტრიალი დადგენილი კანონების თანახმად. იგი სტოელთა ღმერთზე და მით უმეტეს გამოცხადების ღმერთზე, უფრო აბსტრაქტულია. ისიც კი გამოუცნობია, სურს თუ არა მას სიკეთე თავის ქმნილებათათვის.

როცა წიგნში რამეზე ნათქვამია, იგი უფალი ღმერთის შექმნილია, ავტორის კილო არც სასოებას გვაგრძნობინებს და არც მადლიერებას. ბრძენი მხოლოდ ადამიანის დაქვემდებარების სამწუხარო ფაქტს გვიდასტურებს. ადამიანები ბრმები არიან და მათ თვალის ახელა არ ეღირსებათ.

*როცა გულს ვიდევ, შემეცნო სიბრძნე და მომეხილა ყოველი საქმე, რაც ქვეყნად ხდება, ჩემს თვალებს ძილი არ უნახავთ არც დღე, არც ღამე.*

*ვიხილე ღვთის ყოველი საქმე, რომ ვერ მიხვდება ადამიანი ვერაფერ საქმეს, რაც მზის ქვეშ ხდება; რაც უნდა დაშვრეს და იძიოს, ვერას მიხვდება; თუნდაც ბრძენკაცმა თქვას: მივხვდიო, ვერას მიხვდება.*

(3, 16-17)

გამოუცნობია, საერთოდ რატომ მისცა შემოქმედმა გონება ადამიანს. სულერთია, მისი ცხოვრება მაინც ულიმღამოა, ხოლო ყველა ძალისხმევა - ფუჭი. იგი შეზღუდული და უბადრუკი არსებაა. კოჰელეთი მწარე ირონიით აცხადებს.

*კიდევაც ვნახე საზრუნავი, რომელიც ღმერთმა მიუჩინა ადამის ძეთ მათ სატანჯველად.*

*მან ყველაფერი კეთილად შექმნა თავის დროისთვის, თვით იდუმალის შეცნობად აღძრა გონება კაცთა, ოღონდ ისე, რომ ვერ გაუგონ ღვთის ნამოქმედარს თავი და ბოლო.*

(3, 10-11)

"მარადისობა" (ოლამი), რომელიც მოკვდავ ადამიანებშია ჩადებული, აღაგზნებს მათ, ეძიონ ჭეშმარიტი სრულყოფილება, სიმართლე და ჰარმონია, მაგრამ ისინი ვერაფერს პოვებენ და ვერაფერს გაიგებენ. მაშინაც კი, როდესაც კაცი იმედოვნებს, არისო რაღაც, ზნეობრივი მსოფლიო წესრიგი, იგი ცდება, განა ყველასთვის ცხადი არაა, რომ კაცის ბედი ყოველთვის როდია განსაზღვრული მისივე ქმედებებით. კეთილთათვის არ არსებობს ნამდვილი ჯილდო და თვით ეს ჯილდო ამა სოფელში რაღა არს, თუ არა ამაოება ამაოებათა?

ყველა გზა მხოლოდ საფლავისკენ მიდის. ეგებ ამით შემოქმედს სურს, ადამიანებს დაანახოს, რომ ისინი „მხოლოდღა ცხოველები არიან"? სანამ კაცი ცოცხლობს, მას მირაჟები ახვევია გარს, სიკვდილის შემდეგ კი - სიცარიელე:

*რადგან კაცის და პირუტყვის ხვედრი ერთია - ერთის სიკვდილი მეორისას ჰგავს და ყველას ერთი სული უდგას. კაცი პირუტყვზე ვერაფრით ვერ უპირატესობს, რადგან ყველაფერი ამაოა.*

(3, 19-21)

*ყოველივე ერთ ადგილას მივა; ყველაფერი მიწისგანაა და ყველაფერი მიწად იქცევა.*

*რომელი იტყვის, რომ კაცთა სული ზევით მიილტვის, ხოლო პირუტყვის ქვევით ჩადის, ქვესკნელისაკენ?*

(3, 19-21)

მართალია, სხვა ადგილას კოჰელეთი ამბობს, რომ გარდაცვალებული გონი ანდა სამშვინველი *„უბრუნდება ღმერთს, რომელმაც შთაბერა იგი ადამიანს."* მაგრამ ეს არაა უკვდავების რწმენის აღიარება. ბრძენს მხოლოდ იმის თქმა სურს, რომ კაცის სიცოცხლეს რაღაც იდუმალი ძალა, რუაჰი, ინახავს, ხოლო როცა სული, ნეფეში, სხეულს განშორდება, ეს ძალა - მათი დამაკავშირებელი - განქარდება და უბრუნდება მთის საუფლოს, საიდანაც მოვიდა.

მთელ პესიმისტურ ლიტერატურაში, ალბათ, არ მოიძებნება ეკლესიასტესავით უსაშველობის, უსასოობის მსოფლშეგრძნების წიგნი. მოკვდავთა ხვედრს კოჰელეთი ყველაზე საშინელი ფერებით ხატავს. კაცმა შეიცნო ცხოვრების ყველა სიკეთე და მით უფრო ზიზღით უბნობს მათს შესახებ. ამით იგი ბუდას გვაგონებს. ხოლო მისეული შეფასება ამა სოფლისა ბუდისტურის მსგავსია. მაგრამ ამა სოფლის უარმყოფელთა უმრავლესობისგან განსხვავებით მქადაგებელი არ ეძიებს გამოსავალს. რენანმა მას ზუსტად უწოდა - შოპენჰაუერი, რომელმაც შინაგანი სიმშვიდე პოვა. მართლაც, ამ „ებრაელი ეპიკურესთვის" უცხოა ამბოხი და აღშფოთება: იგი მზადაა, მიიღოს ეს ცხოვრება ისეთად, როგორადაც მას ეხატება. იგი არ ყვედრს არც ღმერთს, არც სამყაროს, უბრალოდ თავის მოწაფეებს ეთათბირება, თუ როგორ მიაგნონ ამ ამაოებისა და უაზრობის საუფლოში მშვიდი ცხოვრების პატარა კუნძულს.

მისი აზრით, აუცილებელია, გვახსოვდეს ყველა იმედისა და ნუგეშინის უაზრობა და დავაფასოთ მცირეოდენი. სიკვდილი გარდაუვალია, ცხოვრება - მწარსევდიანი, მაგრამ მაინც *„ცოცხალი ძაღლი მკვდარი ლომის უმჯობესია"*. და, რადგანაც ცოცხალი არსებანი გვქვია, შევიშნოთ ის მცირეოდენიც, რაც მოგვენიჭება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*ვუწყი, რადგან არაფერია კაცისთვის იმაზე კარგი, რომ გაიხაროს და ქმნას სიკეთე, ვიდრელა ცოცხლობს.*

*თუ კაცსა ვისმე არ აკლდება სასმელ-საჭმელი და შრომის წილ სიკეთეს ჰპოვებს, ეს მადლია ღვთის ნაბოძები.*

*ვუწყი ისიც, რომ ყოველივე, ღვთის მიერ ქმნილი, იარსებებს უკუნისამდე; არც დამატება სჭირდება რამის, არც გამოკლება. ასე ქმნა ღმერთმა, მის წინაშე შიში რომ ჰქონდეთ.*

(3, 12-14)

ასეთია კოჰელეთის პრინციპი, რომელიც ეპიკურეს და ვოლტერის დევიზს გვაგონებს. ისიც კმარა, რომ ყოვლადძლიერმა სიკეთის რაღაც ნამცეცი მაინც უბოძა ამ ეფემერულ ქმნილებას - ადამიანს. გონივრულად მოზომე შენი ადგილი ქვეყანაზე.

კოჰელეთი იმეორებს ბაბილონელი პოეტის სიტყვებს: დაე, ამაოება იყოს ყველაფერი ჩვენს გარშემო - ეს კი გვახსოვდეს, გავედევნოთ წუთიერ სიხარულს და აჩრდილებს ნუ მოვატყუებინებთ თავს.

*მუდამ სპეტაკი გქონდეს სამოსელი და ზეთი არ მოაკლდეს თავს შენსას.*

*დატკბი სიცოცხლით ქალთან ერთად, რომელიც გიყვარს შენს წუთისოფელში, და რომელიც მოგცა ღმერთმა მზისქვეშ შენს წუთისოფელში, რადგან ესაა შენი ხვედრი სიცოცხლეში და იმ შრომაში, რასაც შენ მზისქვეშ ეწეოდი.*

(9, 8-9)

ასე უნდა განვლოს ბრძენმა თავისი საწუთრო და ღვთის ნაბოძვარი ზედმეტი განსჯის გარეშე უნდა შეირგოს.

*ვიდრე დაბნელდებოდეს მზე, ნათელი და მთვარე და ვარსკვლავები, ვიდრე ღრუბლები კიდევ წვანან წვიმის შემდეგ,*

*იმ დღემდე, ვიდრე დაფრთხებოდნენ სასახლის მცველნი და მეომარნი დაუძლურდებოდნენ, ვიდრე შეწყვეტდნენ სამუშაოს მეხელსაფქვავე ქალები (რადგან მცირედნიღა დარჩებიან), ვიდრე ნათელი დააკლდებოდეთ სარკმლიდან მჭვრეტელთ,*

*ვიდრე დაიგმანებოდეს ქუჩის კარები, მიჩუმდებოდეს დოლაბის ხმაური, მიწყდებოდეს ფრინველთა ჟრიამული, დადუმდებოდეს ყოველი გალობა,*

*შეეშინდებოდეთ სიმაღლისაც და გზებზე შიში დაივანებდეს, აყვავდებოდეს ნუში, დამძიმდებოდეს კალია და დაცხრებოდეს ვნება, - როცა მიდის კაცი თავის საუკუნო სახლისკენ და უკან მიჰყვებიან მოტირალნი, -*

*ვიდრე გაწყდებოდეს ვერცხლის საბელი და გატყდებოდეს ოქროს ჭურჭელი, დაიმსხვრეოდეს დოქი წყაროსთან, ჩაეშვებოდეს ონინარის ბორბალი ჭაში,*

*მიიქცეოდეს მტვერი მიწად, როგორც იყო, და სული დაუბრუნდებოდეს ღმერთს, რომელმაც შთაბერა.*

(12, 2-7)

ამ მელანქოლიური ტაეპებით, რომლებიც გლოვის ზარივით რეკენ, მთავრდება კიდეც ეკლესიასტე. ბოლოში მას ერთვის ღვთისმოსავი სტრიქონი, იგი დაწერა კაცმა, ვისაც, ალბათ, სურდა შეემსუბუქებინა ის მძიმე შთაბეჭდილება, რომელსაც წიგნი მოახდენდა მკითხველზე.

და მართლაც, კოჰელეთის ქმნილებას უნდა შეეცბუნებინა და საგონებელში ჩაეგდო ადამიანები. ჯერ იყო და მქადაგებელმა ისე გამოხატა ღმერთი და ადამიანი, რომ ღვთისმოსავ ხალხს მისი წიგნი მკრეხელობად ეჩვენებოდა, მაგრამ ჰედონისტებსაც კი შეიძლება გადასწუროდათ იმედი მისი შეგონებებით. თეზისი: იცხოვრე და დაკმაყოფილდი იმით, რაც შენთვის მისაწვდომიაო, საბოლოოდ თვით მიწიერ სიამეთა გამაცამტვერებელ შეფასებას გულისხმობდა. აქ კი კოჰელეთთან დავა გაძნელდებოდა. ბრძენის სიმართლე უცხადესი იყო.

ასე, დაწყნარებით, დინჯი, მიუკერძოებელი ანალიზით ანგრევდა მქადაგებელი ბურჯებს და ადამიანებს იმედის რაღაც უბადრუკ ნაგლეჯს უტოვებდა. განა სწორედ ამა სოფელში მიღწეული კეთილდღეობა არ მიაჩნდათ ღვთისგან შეპირებულ ჯილდოდ? მაგრამ თუ ეს საბოძვარიც მოწამლულია - რიღას მაქნისი ყოფილა იგი?

ერთი შეხედვით შეუძლებელია იმის ახსნა, თუ როგორ მოხვდა ასეთი წიგნი ბიბლიაში. ცნობილია, რომ იუდეიზმის მოძღვრები ბევრს კამათობდნენ, სანამ გადაწყვეტდნენ მისთვის ადგილის მიჩენას ბრძენთა, წინასწარმეტყველთა ქმნილებებისა და კანონის გვერდით. და მათ ეს მაინც გააკეთეს; და მათს კადნიერ გადაწყვეტილებაში გამჟღავნდა ძველაღთქმისეული ეკლესიის ღრმა სიბრძნე.

ეკლესიასტე, თუკი *მას მოვწყვეტთ? მთელ საღვთო წერილს, ბიბლიური რწმენისა და იმედის* ნამდვილ ანტიპოდად ჩანს. მაგრამ სულ სხვა სახით წარმოგვიდგება იგი, თუკი განვიხილავთ ძველი აღთქმის, როგორც მთლიანი ქმნილების, ორგანულ კონტექსტში. მხოლოდ ასე შეიძლება შეფასდეს მისი როლი და მნიშვნელობა ღვთის ერის ისტორიაში, ცალკეული სულების შინაგან დინამიკაში.

იერუსალიმელმა ფილოსოფოსმა ადამიანებს სამსალით სავსე თასი მიაწოდა, მაგრამ ეს სამსალა მკურნავი იყო. იმის დაჯერება, რომ უმაღლესი სიკეთე მიწიერი მიჯნით იყო შემოსაზღვრული, ზღუდედ აღიმართებოდა ისრაელის რელიგიის გზაზე. კოჰელეთმა დაანგრია ეს დაბრკოლება. მისმა ფხიზელმა პესიმიზმა მართლად დახატა ცოდვილი ქვეყნიერების სურათი და რწმენის დადგინებაში გარდამავალ ფაზად, დიალექტიკურ მომენტად იქცა. იგი ახლაც დარაჯად უდგას ყოველ ადამიანს, თუ კაცი შორდება დაუსაზღვრავ ღმერთს და ამაოებაში იფლობა.

წყლის ნამდვილი ფასი უდაბნოში შეიცნობა. მარადისობის წყურვილი მაშინ ილვიძებს, როდესაც ადამიანი ჩახვდება მიწიერის წარმავლობას. ესაა ეკლესიასტეს უარყოფითი ცდის დიადი აზრი.

მაგრამ რა მაცოცხლებელი წყარო უნდა ეპოვათ ადამიანებს უდაბნოში, სადაც ისინი კოჰელეთმა მიიყვანა?

რახან უდავოდ საცნაური ხდებოდა, რომ წარმავალი არ შეიცავს ჭეშმარიტ სიკეთეს, თავისდა უნებურად ჩნდებოდა აზრი - გამოსავალი შეიძლება გვაპოვნინოს მხოლოდ ასკეზმა, განდგომამ, სრულყოფის ძიებამ ხილული სამყაროს მიღმა. ამ მიმართულებით უფრო ადრე ინდური და ნაწილობრივ ბერძნული აზროვნება წავიდა. საგულისხმოა, რომ ქრისტიანი მოწამეებიც დიდად აფასებდნენ ეკლესიასტეს, რადგანაც წიგნში ჭვრეტდნენ ამაოების გმობას მარადიულისა და უხრწნელის სადიდებლად.

მაგრამ ეს გზა ჯერ დახშული იყო ბიბლიური შეგნებისთვის. იქ, სადაც სიტყვას უწინასწარმეტყველეს განსხეულება, ამა სოფლის უარმყოფელი სულიერება ვერ დაიკავებდა მთავარ ადგილს. წმინდა გონის სფეროში წასვლა საფრთხედ და საცთურად ექმნებოდა ღმერთკაცებრივ რელიგიას. დაე ამა სოფელს გაემჟღავნებინა თავისი შეზღუდულობა და ცოდვიანობა - მისი უარყოფით კი არა, რაღაც სხვა გზით უნდა გახსნოდა ისრაელს შესაქმის მომავალი სისრული.

თარგმნა *ნოდარ ებრალიძემ*

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ედუარდ ლიმონოვი

# პოეტის შთამაგონებელი მზეთუნახავი

მე იმ შემოდგომაზე განუზომლად თავხედი ვიყავი. იმ მუშასავით თავხედი გახლდით, რომელიც გრაფინიას ლოგინში შენვა, და იმ წვრილფეხა კრიმინალსავით, რომელმაც, როგორც იქნა, დიდი „საქმე გააიმასქნა."

... ჩემი პირველი წიგნი პარიზის მაღაზიებში ერთი თვის შემდეგ უნდა გამოჩენილიყო. ლონდონში მისი სასიგნალო ეგზემპლარი გავიყოლე. მინდოდა, გამვლელებისთვის სიფათში მეფურთხებინა, ეტლებიდან ამომეტაცა თოთო ბავშვები, უმორიდებულესი ასაკოვანი ქალებისთვის ქვედატანში ხელები მეფათურებინა. მახსოვს, სლოან-სკვერზე ღვინის სარდაფიდან როგორ ამოვედი მთვრალი და როგორ შევიკავე თავი იმ ცდუნებისგან, რომ პოლიციელისთვის ყურზე არ მეტაცა ხელი. დიანამ ძლივს შემაკავა. მე მხოლოდ ნაწილობრივ დავტკბი იმით, რომ „ბობის" ვარდისფერი სახისკენ ვიშვერდი თითს ხარხარით. თქვენ რა გინდათ, მე ბედნიერი ვიყავი... შევძელი, მათთვის ჩემი თავი შემეჩეჩებინა... მათთვის-მეთქი ვამბობ და ვგულისხმობ „სამყაროს", „საზოგადოებას", „სოსაიათის"... ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ მე ისინი ყველანი მოვატყუე, რომ არავითარი მწერალი არა ვარ, მწერალი კი არა, თაღლითი ვარ, სწორედ თავხედობის, სიამაყისა და მეგალომანიის შელმართზე მდგარმა, ამათს ცხელ ტალღაზე მოტივტივემ, ჩავავლე ხელი დიანას, მსახიობს, უბრალო ვინმეს კი არა, მკისრებელს. კინო და ტელემსახიობს, რომელიც ათასი ჯურის სერიებში თამაშობდა და რომელსაც ქუჩაში ცნობდნენ... კაცმა რომ თქვას, საცა წესია, დიანას ჩემთვის არ უნდა მოეცა. ის ცნობილი მსახიობი იყო, მე კი დებიუტანტი მწერალი, მაგრამ თავხედობას მშვიდად შეუძლია არა მარტო მასები, არამედ სავსებით რიგიანი მასშტაბის კინოვარსკვლავიც მოხიბლოს, აიყოლიოს და ფეხებიც გაანევ-გამოანევინოს. მან მე არა მარტო მომცა, არამედ თავისთან კინგ-როალზე ჩამასახლა და ავტომობილით ლონდონი და დიდი ბრიტანეთი მომატარა. უნდა ითქვას, რომ მე არა მარტო ეს, ფუმფულაბარძაყებიანი და მძიმეუკანალიანი, მოპასანის, დოსტოევსკისა და ჰენრი ჯეიმსის მიხედვით გადაღებულ ტელეფილმებში ისტერიკული ქალების მოთამაშე მზეთუნახავი შევალონე, არამედ დიდი ბრიტანეთის გზებზე შემოყრილი ბევრი სხვა მცხოვრებიც მოვატყუე.

მაიკლ გოროვიცმა, ფერლინგენტისა და გინზბურგის ამ ინგლისურმა ნაჯვარმა, ლენინგრადელი პოეტის კრივულინის ფიგურის (ანუ ექვსი კიდურის — ორი ფეხის, ორი ხელისა და ორი ჯოხის) მქონე პიროვნებამ, მსოფლიოში პირველ პოეტურ ოლიმპიურ თამაშებზე მიმიწვია. უსაყვარლეს მაიკლსა და მის ამხანაგებს მარადმწვანეთა — ევტუშენკოსა და ვოზნესენსკის მიწვევა ენადათ, მაგრამ, ეტყობა, იმ დროს საბჭოთა ხელისუფლება რატომღაც გაუბრაზდა დასავლეთს და სასაჩუქროდ ე. და ვ. არ გაიგზავნნენ. პოეტურ ოლიმპზე ორივენი მე შევცვალე. ოლიმპიკს დრო აერია და, ნაცვლად ჰიპინლებისა, რომლებსაც მიეკუთვნებოდა ეს ღონისძიება თავისი სულისკვეთებით, ჩვენ ყველანი 1980-ში აღმოვჩნდით. მე შემონახული მაქვს ჟურნალ „ნიუ-დეპარჩუსის" ნომერი, რომელშიც გაჭიანურებულად და გულისგამაწვრილებლად აქვს ხოტბა შესხმული ომზე მშვიდობის, დაბომბვაზე ლავ-მეიკინგინგის და ა.შ. უპირატესობებს. მე მაიკლისა და მისი ამხანაგებისგან სინამდვილის გაგებით, ომისა და მშვიდობის პრობლემებზე შეხედულებებითაც განვსხვავდებოდი, მაგრამ მაინც დავთანხმდი, ჩემი პოეტური ქმნილებები წამეკითხა ვესტმინსტერის სააბატოში და ამ დროს ფეხები მებაკუნებინა ფილებზე, რომელთა ქვეშაც თითქოს ინგლისელი პოეტები განისვენებენ. თვითონ წითელქუდა კარდინალმა კუკმა წარუდგინა ჩვენი ბანდა საზოგადოებას. ამის შემდეგ ის თვალებზე ხელებაფარებული იჯდა ფეხებსუსტ სკამზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ისე რცხვენოდა, რომ სულ თავ-ბედს იწყევლიდა. შესახედად ყველაზე ახირებული პანკ-პოეტი ჯონ კუპერ კლარკი იყო: ამ პოეტის მბორგავი თავი ცისფერ-ვარდისფერი თმების კონებით იყო დამშვენებული. ჯონ კუპერ კლარკი კუდზე შეყენებულ მატლს მოგაგონებდათ. მან თავხედობის ვერცხლის მედალი მიიღო „სანდი ტაიმზისგან", რომელმაც რატომღაც იკისრა ჩვენი დაჯილდოება, თუმცა ეს მისთვის არავის უთხოვია. ნაწარმოებები შინაარსით ყველაზე უხამსი რეტგაი — მომღერალი და პოეტი ლინდონ ქვეიზი ჯონსონი აღმოჩნდა. ამ სიმპათიურად მოღიმარმა, ლამაზმა და პეწენიკმა შავგვრემანმა კაცმა წაიკითხა ლექსები — შაირები, რომელთა ყოველი სტროფი მთავრდებოდა რეფრენით „ინგლანდ იზ ზე ბიჩ...ტა — ტატ-ტა..." ანუ „ინგლისი ძუკნა ძაღლია..." შესაძლოა, ლინდონ ქვეიზი ჯონსონს ოქროს მედალი იმიტომაც ერგო, რომ მისი ყოველი სტროფის ყოველი რეფრენი ბედშავ კარდინალ კუკს აიძულებდა, თავი ლამის მუხლებამდე ჩაეხარა და შეტოკებულიყო. „სანდი ტაიმზმა" მე თავხედობის ბრინჯაოს მედალი მომაკუთვნა ჩემი იმ სტრიქონების გამო, რომლებშიც ლაპარაკი იყო, რომ მე რუსულ რევოლუციას ხელებს ვუკოცნიდი. ერთი ჟურნალისტი იქედნურად დაინტერესდა: მისტერ ლიმონოვის ტუჩები ასეთი ამბორების შემდეგ სისხლით ხომ არ გაისვარაო? თუ თქვენ გაითვალისწინებთ იმას, რომ იქ კიდევ ორი ათეული სხვა ქვეყნის წარმომადგენლებიც იყვნენ და ისეთ ბებერ ბანდიტს, როგორიც გრეგორი კორსოა (ისიც მონაწილეობდა!), არაფერი მიაკუთვნეს, მაშინ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, თუ რაოდენ ამაყი და თავხედი ვიყავი. ბრინჯაოს ოქროს მედალი სჯობია, რასაკვირველია, მაგრამ საერთაშორისო შეჯიბრზე პირველად გამოვძვერი და ამას იქით გავიწაფები-მეთქი, ვფიქრობდი. ამას ისიც დაუმატეთ, რომ მატლი — კლარკი და რეტგაი — ჯონსონი მათს მშობლიურ ინგლისურზე კითხულობდნენ ლექსებს, მე კი, თარგმნილი, ჩემთვის უცხო ინგლისურ ენაზე ვკითხულობდი!

მე რუსული ლიტერატურის რამდენიმე პროფესორი მოვხიბლე და მათ ჩემი შემოქმედების შესწავლა დაიწყეს. ოქსფორდში ჩემი ნომრით გამოვედი! ვხუმრობდი, ვიღიმებოდი, შავი ტიშორტის ქვემოთ ბიცეფსებს ვძაბავდი, უნივერსიტეტების კათედრებიდან წარმოუდგენელ სისულელეებს ვჩმახავდი, მაგრამ ხალხი სიტყვებს ყურს არ უგდებდა. სიტყვები მხოლოდ სპექტაკლის მუსიკალური ფონი იყო, ძირითადი მოქმედება კი, ისევე, როგორც ბალეტში, სხეულის, ფიზიოლოგიური კუნთების და, იგულისხმება, სამოსლისა და აქსესუარების დახმარებით ხდებოდა. ენერგიის ცეცხლოვან, ნაპერწკლოვან, შავებით შემოსილ სფეროდ გავგრიალდი მათს მძინარე ქვეყანაში. საზოგადოება „ბრიტანეთ — სსრკ"-ის თავმჯდომარემ, მსუქანმა თმაჭაღარა „მენმა", რომელიც ავხორცულად უყურებდა დიანას ბარძაყებს, ეგ ჯაშუშიაო, უთხრა მას ჩემზე... ისეთი ძალის ლაზერულ სხივებს ვასხივებდი, რომ, როცა დიანასთან ერთად „ოდიენსზე" გავემართე (რეჟისორი ახალ სატელევიზიო სერიალში ერთი მთავარი როლისთვის მსახიობს არჩევდა), დავარწმუნე, რომ როლს მიიღებდა და მან ის როლი მიიღო!

მზიან, მაგრამ ცივ დღეს დიანამ თავისი (ამას იქით — უკვე ჩემიც) დაქალი — რუსული ლიტერატურის პროფესორი ლონდონის ლამაზ და მდიდარ რაიონში — უატჩაპპელში წაიყვანა. პროფესორ ქალს წიგნები უნდა გამოერთმია რუსი დედაბრისთვის. მე ყურმოკვრით ვიცოდი, რომ ამ დედაბრის სახელი რაღაცნაირად პოეტ მანდელშტამის სახელთან ასოცირდებოდა.

"შევიდეთ მასთან?" — მკითხა პროფესორმა, როცა ავტომობილიდან გადავიდა და ხელით ჯერ ისევ კარი ეჭირა.

"არა, - ვუპასუხე, - მოხუცები სევდას მგვრიან. მე არ წამოვალ. თქვენ ადით..."

"თქვენ"-ში დიანას ვგულისხმობდი. საერთოდ რომ ვთქვათ, ერთი სურვილი მქონდა, როგორც კი პროფესორი თვალს მიეფარებოდა, მაშინვე დიანას ქვედატანის ქვეშ, ქალიშვილს რომა აქვს, ისეთ შოტლანდიურ ბარკლებს შუა შემეყო ხელი, მაგრამ, თუ პროფესორი იჩემებს, მზადა ვარ მსხვერპლად გავიღო ჩემი ფინგერ-სეანსი — სველი, მხურვალე კმაყოფილების რამდენიმე წუთი იმისათვის, რომ ალა (პროფესორს ასე ერქვა) იმ დედაბერთან მარტო არ დაგვეტოვებინა.

"რა საშინელი ვინმე ხართ, ლიმონოვ, - მითხრა პროფესორმა, - და სასტიკი. ოდესმე თქვენც იქნებით ბებერი..."

"ეჭვი არ მეპარება. ამიტომ არ მინდა, დროზე ადრე გავეკარო სხვის სიბერეს. რატომ ვიჩქარო, თუკ მე ჩემი სიბერეც მელოდება?.."

"სალომეა ჩვეულებრივი დედაბერი სულაც არ გახლავთ, ის მხიარული, ჭკვიანი ადამიანია და საბრალო სულაც არაა; ხომ მართალია, დიანა?"

"იეს, - დაბეჯითებით და ენერგიულად დაუმოწმა დიანამ. — ის ძალზე საინტერესო პიროვნებაა..."

"რამდენი წლისაა ის საინტერესო პიროვნება?"

"ოთხმოცდათექვსმეტისა... თუ ოთხმოცდათორმეტისა..." — პროფესორი შეყოყმანდა.

"კოშმარია. არ წამოვალ! სტუმრად მისვლა გვამთან..."

"მან ტელეფონში მითხრა, რომ თქვენი წიგნი ძალიან მოეწონა. ის შოკირებული ოდნავადაც არაა. ნუთუ არ გინდათ, ნახოთ ოთხმოცდათექვსმეტი წლის ქალი, რომელიც თქვენმა ბინძურმა წიგნმა შოკში არ ჩააგდო..."

"გეთაყვა, განჩინების გამოტანისას მეტად იფრთხილეთ..." ავტომობილიდან გადმოვედი. მათ პირფერობით მძლიეს. ტლანქი და ჯიქური, მაგრამ კარგად ორგანიზებული პირფერობით.

ზარზე თითის დაჭერის შემდეგ დაცდა დაგვჭირდა.

"დღეს სახლშიი მარტოა — დაიჩურჩულა ალამ. — მისი კომპანიონი ქალი რამდენიმე დღეს არ იქნება".

კარი თვითონ პოეტის შთამაგონებელმა ქალმა გაგვიღო. მაღალი და გამხდარი იყო, მამაკაცის რუხი, ქამრიანი პალტო ეცვა და კორძიან, გალაქულ ხელჯოხს ეყრდნობოდა. თეთრჩარჩოიანი სათვალე ეკეთა.

"გამარჯობა, სალომეა ირაკლიევნა!"

"პარდონ, ასე რომ გამოვიყურები, ალოჩკა. ჩემთან ცივა. მარია არ არის, მე კი არ ვიცი, როგორ ჩავრთო გათბობა. შარშან სისტემა შეგვიცვალეს. მე ძველის ჩართვაც მეშინოდა, ამისა კიდე — მთლად თანამედროვე რაღაცაა — არაფერი გამეგება".

"სალომეა ირაკლიევნა, ეს ლიმონოვია, თქვენ რომ მოგეწონათ, იმ საშინელი წიგნის ავტორი".

დედაბერმა დაინახა დიანა, რომელიც ახლაღა მოვიდა.

"აჰა, დიანოჩკაც თქვენთანაა! — წამოიძახა მან. და შებრუნდა, რომ სახლის სიღრმისკენ წასულიყო. — მე არ მითქვამს, რომ წიგნი მომეწონა. მე მხოლოდ ისა ვთქვი, რომ მისი, თქვენი ლიმონოვისა, ძალიან გამეგება".

"გმადლობთ გაგებისთვის!" — ჩავიბუზღუნე. უკვე ვნანობდი, რომ ქალების ნებას დავყევი და ახლა აქ, გარედან ოქტომბრის მზით გასხივოსნებულ, მაგრამ შიგნით მოულოდნელად ბნელ სახლში ქალთა ჯგუფშიი ვლოლიალობდი. მე, ცქაფ და მოძრავ კაცს, არ მიყვარდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხუცების, ქალებისა და ბავშვების ნელ ჯგუფებში ყოფნა.

რამდენიმე ოთახი დედაბრის კვალდაკვალ გავიარეთ და ყველაზე ფართო ოთახში, ეტყობა, სასტუმრო ოთახში შევედით. აქ მუქი ავეჯის, მუქი ხის ჭერის კოჭების სიმრავლე იყო. მოვლილი მუზეუმის სუნი იდგა. განიერი ფანჯრიდან შიდა, ეტყობა, რამდენიმე სახლისთვის საერთო, მწვანე, ნასათუთევი პატარა მდელობი ჩანდა და მასზე თვინიერ, მოხდენილ ბავშვთან ერთად ღირსების გრძნობით მიმოდიოდა რამდენიმე ქალი.

"აქეთ მოდით, აქ მეტი სინათლეა," — დედაბერმა მდელობზე გამავალ ფანჯარასთან მიგვიყვანა და ფანჯრისკენ ზურგშექცევით ფრთხილად ჩამოჯდა მაგიდასთან. ჭიქა მოყვითალო სითხითურთ, რამდენიმე წიგნი, რომელთა შორის ჩემი წიგნიც დავლანდე, ქაღალდების თითის სისქე დასტა... ეტყობა, ჩვენს მოსვლამდე დედაბერი სახელდობრ აქ იჯდა.

მე მაგიდას იქ მივუჯექი, სადაც შემთავაზეს — მოხუცი მზეთუნახავის პირდაპირ.

" - თქვენ ძალიან ახალგაზრდა ხართ, თქვა დედაბერმა. მას ნატიფი და ოდნავ მოყვითალო ტუჩები ჰქონდა. — უფრო ხნიერად წარმომედგინეთ. და უსიამოვნო ტიპად. თქვენ კი საკმაოდ სიმპათიური ხართ."

დიანამ მხარზე დამადო ხელი. ახლა ქალთა ეს წრე დამიწყებს წამახალისებლად ლოყებზე ხელების თათუნს, წიწკნას და წაღმა-უკუღმა ტრიალს, თვალიერებას. „თქვენა, სულიკო..."

"მე არც ისე ახალგაზრდა ვარ... - ვუპასუხე — ოცდაჩვიდმეტისა ვარ. მხოლოდ ესაა, ახალგაზრდად გამოვიყურები..." რატომღაც მინდოდა, შევკამათებოდი, და, მას რომ ეთქვა — როგორი მოხუცი ხართო!, მე აღვშფოთდებოდი: „მე! მოხუცი! მაგრამ მე ხომ მხოლოდ ოცდაჩვიდმეტი წლისა ვარ!"

"ოცდაჩვიდმეტი წელი ბავშვის ასაკია. თქვ̈ენ ჯერ ყველაფერი წინა გაქვთ. მე ოთხმოცდათერთმეტისა ვარ! — დედაბერმა გამარჯვებულის სახით მომაჩერა თავისი მოელვარე, გაბრწყინებული სათვალეები. — თქვენ ამ ასაკამდე მიტანება გაგიჭირდებათ!"

"აი, ეს კი უკვე ღმერთმა იცის. ჩემი პაპის დედამ 104 წელი იცოცხლა და მეტ ხანსაც იცოცხლებდა, მაგრამ მხოლოდ თავისი სიჯიუტის გამო გამოეთხოვა ამ წუთისოფელს: მარტოკას უნდოდა ეცხოვრა და შვილებთან გადასვლაზე უარს ამბობდა. თვალთ დააკლდა და ერთხელ სარდაფში ჩამავალი კიბიდან ჩავარდა. დაშავდა და ამის შედეგად მოკვდა. ბებიაჩემი კი უკვე 87 წლისაა, ასე რომ, მეც შემიძლია, იმედი ვიქონიო, რომ ოთხმოცდაათ წელს ვიცოცხლებ!.

"თქვენი თაობა ასეთ ასაკს ვერ მიაღწევს, - აგდებულად თქვა დედაბერმა, - თქვენ ყველანი ნევრასტენიკები ხართ, ხანგრძლივი სიცოცხლისთვის საჭირო ფილოსოფიური საფუძველი, საამისო ღერძი არა გაქვთ". — პატარა ჭიქიდან ყვითელი სითხე მოსვა.

"თაობას შესაძლოა არ ჰქონდეს, - ვიწყნე მე: - მაგრამ თქვენ გავიწყდებათ, ვის ელაპარაკებით — მე მე ვარ".

მზის რემბრანდტისეული სხივი მისი ზურგის მხრიდან ვიწროდ მეფინებოდა სახეზე და შემდეგ სასტუმრო ოთახის სიღრმეში ილეოდა ისე, რომ გზად შემთხვევით ავეჯის ორ-სამ გალაქულ გვერდს თუ ეკარებოდა. მომინდა, ხელით გადამეწია სხივი, ჩემს მაღალ სკამთან ერთად დამჭირდა მისგან განრიდება.

"ვისკი გნებავთ? — მკითხა დედაბერმა. — აიღეთ, ე, ეგერაა, პიანინოს იქით სასმელებშემოდგმულ პატარა მაგიდაზე. იქ თქვენი „ჯეი ენთ ბია".

აი, სწორედ ამ მომენტში გავიმსჭვალე მისდამი პატივისცემით. უფრო ზუსტად, რამდენიმე წამის შემდეგ, როცა ვისკი დავისხი, უკან ჩემი კომპანიისკენ მოვბრუნდი და დავინახე, რომ მან ჭიქა გამომიწოდა.

"მეც ეგ დამისხით".

ოთხმოცდათერთმეტი წლის დედაბერი, რომელიც ვისკის სვამს, - ასეთმა მანდილოსანმა განმაიარაღა. მე უსიტყვოდ ჩავეხუტე მას. რასაკვირველია, გადატანითი აზრით. „მინერალური წყალი?" — პირფერულად დავეკითხე მე. რაკი მაგიდაზე ბოთლებს შორის წყალიც დავინახე.

"არა, გმადლობ, - თქვა მან — წყლის დალევის შემდეგ წერა მინდება".

პროფესორმა და დიანამ გადაიხარხარეს. უეჭველია, დედაბერი მათთვის მოდელი იყო. მოდელი ერთგვარი რკინის ქალისა, რომლისთვისაც უნდა მიებაძათ. გმირები მამაკაცებს ხომ ჰყავთ. ჰოდა, ისინი ქალებსაც ჰყავთ. ჰოდა, რატომ არ ვიყო გმირი?

"სალომეა ირაკლიევნა, გვიამბეთ, რა, მანდელშტამის შესახებ..." — პროფესორმა ისეთი გამარჯვებული სახით შემომხედა, თითქოს ჩემი ჟესტებით გაეგოს, ჩემს არსებაში სულ ეს-ესაა როგორი გარდატეხაც მოხდა, ისე შემომხედა, თითქოს მეუბნებაო: „აი, ხომ დარწმუნდით, არადა, შტერო, თქვენ აქ შემოსვლა არ გინდოდათ."

"ეჰ, ხომ გითხარით, ალოჩკა, რომ მე ის ძლივს მახსოვს... - დედაბერმა „ჯეი ენდ ბი" მოსვა — თქვენ სწორი ხართ, ლიმონოვ, მთელ იმ ამერიკულ „ბურბონებს" არ უყვართ ეს სიმინდის საძაგლობები... მოტკბო ჰარდლიკერსებს მეც ვერ ვიტან... აიღეთ კრაკერსი, დიანოჩკა...

"სალომეა ირაკლიევნამ თურმე არ იცოდა, რომ მანდელშტამს უყვარდა".

"ბაიბურს არ ვიყავი. მხოლოდ როცა მისი ქვრივის... ნატალიას... მოგონებები წავიკითხე...".

"ნადეჟდასი, სალომეა ირაკლიევნა!"

"ჰო, ნადეჟდასი... მხოლოდ მაშინ გავიგე, რომ მან ლექსები მომიძღვნა, რომ „Соломинка, ты спишь в роскошной спальне".

ჩემზეა დაწერილი".

"Соломинка, Цирцея, Серафима..." — დაიჩურჩულა პროფესორმა და თავის ქალის ორივე მხარეს კოხტად მიწებებული ქერა თმები მღელვარებისგან თითქმის აძვრნენ ქალას. შეტოკდნენ. პროფესორი უთავზეხელაღებულესი რუსი ქალი იყო, რომელმაც ოდესღაც ქარავანთან ერთად საჰარა გადაკვეთა, როცა შავ ქმარს შავ საყვარელთან გაექცა, მაგრამ მას გული პოეტებმა აუფანცქალეს.

მის ბინაში მოდური პოეტის ბროდსკის ოცდასამი ფოტოსურათი ვნახე. ჩარჩოებში სათუთად ჩასმული და სასოებით გადიდებული ფოტოსურათები.

"სალომეა ირაკლიევნა, ისე, როგორი იყო მანდელშტამი?"

არავინ გავრჯილვართ იმისთვის, რომ ტელევარსკვლავ დიანასთვის ეთარგმნათ ჩვენი საუბარი (სამივენი ჩვენთვის შეუმჩნევლად რუსულზე გადავედით), მაგრამ ის შეუცდომლად მიხვდა თავისი დაქალის აცახცახების მიზეზს. როცა ბაგენი განვახვნე იმისათვის, რომ დიანასთვის ამეხსნა, რაზეც ვსაუბრობდით, მან გამაჩერა:

"აი ნოუ, ზეტს ებაუტ პოეტს".

"ია, ია, დიანოჩკა, ებაუტ პოეტ, - დაიჩხავლა დედაბერმა და მუჭა კრაკერსი აიღო. — როგორი? ფეთხუმი, უფრო კი პირქუში ახალგაზრდა კაცი, უსახური, შეუხედავი... იცით, არსებობს დროზე ადრე დაბერებული ახალგაზრდა კაცების ასეთი ტიპი..."

"შეუხედავიო! სალომეა ირაკლიევნა, როგორ შეგიძლიათ ასე ლაპარაკი?

"კარგი, ჰო, ალოჩკა, „ტანმორჩილი..." თქვენი მგრძნ-

ობელობის შესაბრალებლად „უსახო „ტანმორჩილით" შევცვალოთ... მე კარგად მახსოვს მხოლოდ ერთი ეპიზოდი თუ შემთხვევა, - როგორც გენებოთ, ისე უწოდეთ. უფრო სწორად, სცენა. ერთი სცენა, ეს ჯერ კიდევ ომამდე იყო, პირველ მსოფლიო ომამდე, რასაკვირველია, - პლაჟზე მოვკალათდით ყველანი: ჩვენი დიდი კომპანია. რამდენადაც მახსოვს, შეზლონგებში ვისხედით ჩვენ სამნი, პეტერბურგელი ქალიშვილები: ალია დობუჟინსკაია (ის შემდეგ დროებითი მთავრობის მინისტრის ცოლი გახდა), ვერა ციტროვი — თვალწარმტაცი ლამაზმანი და მე... ჩვენს გვერდით, იქვე ახლოს, სველ სილაში გრამაფონს უჩხიკინებდა მამაკაცთა ჯგუფი. მათ, ჩერჩეტებმა, გრამაფონი პლაჟზე მოათრიეს და იმანჭებოდნენ, იგრიხებოდნენ, ოღონდ კი ჩვენი ყურადღება მიეპყროთ. მანდელშტამიც იმათ შორის იყო. იცით, იმ დროს მანდილოსნები არ ბანაობდნენ, პლაჟზე არ დადიოდნენ.

"რომელ პლაჟზე იყავით, სად იყავით, სალომეა ირაკლიევნა?"

პროფესორი ახლა ისე ცახცახებდა, როგორც, ალბათ, მაშინ ცახცახებდა, როცა საჰარის გამოვლით ქარავანთან ერთად უკან ბრუნდებოდა. ჩამოსვლიდან სულ სამიოდე დღე - ღამის შემდეგ სამ დღე-ღამეში მან მოასწრო იმაში დარწმუნება, რომ თავისი შავი საყვარელი უკვე არ უყვარდა და მასში კვლავ იფეთქა იმ ადრინდელმა სიყვარულმა. ისევ თავისი შავი ქმარი უყვარდა.

"თუ არ ვცდები, ყირიმში ვიყავით... ჩვენ, ყველანი, სიცილ-ხარხარით ვბჭობდით იმ ჯგუფის მამაკაცებზე. იცით, რა, ლიმონოვ, - მან რატომღაც პერსონალურად მომმართა, - ეს ჩვეულებრივი ქალური ცინიკური ლაქლაქი იყო იმ თემაზე, თუ ვისთან შეგვეძლო ჩვენ, როგორც ფრანგები იტყოდნენ, „ფერ ლამურ"; როცა იმ ჯგუფის ყველა მამაკაცი განვჩხრიკეთ და სიტყვა მანდელშტამზე ჩამოვარდა, ყველანი საშინლად ავხარხარდით. მე კი, სასტიკმა, ვიკივლე: „ვაი, არა, არა, ოღონდ მანდელშტამი არ იყოს, იმასთან იმას თხასთან ის ჯობია!"

"უი, რა კოშმარია? საბრალო... იმედი მაქვს, რომ მას არ გაუგონია... სალომეა ირაკლიევნა, როგორ შეგეძლოთ?.."

"მაშინ ძალიან ახალგაზრდა ვიყავი. ახალგაზრდობა სასტიკია, ალოჩკა. მაგრამ, გარწმუნებთ, რომ მას არ გაუგონია, ოღონდ მამაკაცებმა უაღრესი გაოცებით კი შემოგვხედეს. შესაძლოა, დაასკვნეს, რომ შევიშალეთ".

"ჰოდა, რაო, იმას არც კი უცდია, რომ თქვენთვის სიყვარული აეხსნა, რამე ეთქვა თავის სიყვარულზე? თქვენს ახლოს არასოდეს მდგარა?"

ქარავანთან ერთად თავის შავ ოჯახში დაბრუნებულმა პროფესორმა ქმრის დედას ყველაფერი გაუმხილა. აღიარა, რომ ღალატი იკისრა და ორივე ქალმა, - პატარა ქერამ და შავმა ასკილოგრამიანმა დედილომ, - ერთმანეთს ჩაკონებულებმა რამდენიმე საათი იქვითინეს და სადღაც წასულ ქმარსა და ვაჟიშვილს ეს ამბავი დაუმალეს.

"ასე კრინტისგაუღებლად ეწამა საწყალი. მაგრამ რატომ, რატომ?"

"ბედი ჰქონია, ალოჩკა, რომ სიყვარული არ გამიმჟღავნა, თორემ მე ჩემს არშიყთ ისე ვაწამებდი, ისე, რო... იმათ სისხლს ვსვამდი..."

დედაბერი, ტანმაღალი ქალი, წამოდგა, მამაკაცის პალტო გაისწორა და გაიღიმა.

"იცით, ლიმონოვ, ახალგაზრდობაში მე ჯოჯოხეთურად ლამაზი ვიყავი. პეტერბურგის უპირველეს მზეთუნახავად ვითვლებოდი... მდიდარ არისტოკრატზე გავთხოვდი და იმას ჩემს ჭკუაზე ვატრიალებდი... იმას, თქვენს პოეტს, ჩემი ეშინოდა, ალოჩკა... მამაკაცები, საერთოდ, ძალზე მფრთხალნი არიან".

ყოფილმა პეტერბურგელმა უმზეთუნახავესმა ვისკი გამოცალა. ჩამოჯდა.

"მე იმას საყვარლად არ გავიხდიდი. აი, ბლოკი სხვა საქმეა. ბლოკი ლამაზი იყო".

"სალომეა ირაკლიევნა, რომ გცოდნოდათ, რომ მანდელშტამს ძალიან, ძალიან უყვარდით, მაინც არ..."

"მე მაშინ ჩემს ირგვლივ ყველა მამაკაცს ვუყვარდი, ალოჩკა", - ყოფილმა მზეთუნახავმა ამაყად მოკუმა ტუჩები და სათვალე მოიხსნა.

"შესაძლოა, ახლა ეს ნაკლებ გასაგები იყოს, - ცივად გაიცინა მან. — მაგრამ გარწმუნებთ, რომ სწორედ ასე იყო. ბრწყინვალე გვარდიელი ოფიცრები — არისტოკრატები მეკურკურებოდნენ... მე კი არ მირჩევდნენ, მე ვირჩევდი..."

"დიახ, მესმის, - თქვა პროფესორმა დაბნეულად. — მაგრამ სად გაქრნენ უკვალოდ ის თქვენი ბრწყინვალე თაყვანისმცემლები? მან კი თქვენ უკვდავგყოთ... იმ ულამაზო ჩია ებრაელმა..."

დედაბერმა მხრები აიჩეჩა. ჩვენ გავჩუმდით „მომისმინეთ, - დავიწყე მე, - სალომეა ირაკლიევნა, ამის თაობაზე მოხუცი ადამიანებისთვის არასოდეს მიკითხავს, მაგრამ თქვენ განსაკუთრებული შემთხვევა ხართ და, ვფიქრობ, რომ გულს არ გატკენთ. მითხარით, რას გრძნობს ადამიანი, როცა ბერდება? რა ემართება ამ დროს მის სულსა და გონებას? ანუ როგორი საქმეა სიბერე? ეს ძალიან მაინტერესებს იმიტომ, რომ მეც, ისევე როგორც ყველას, ჩემი სიბერე მელოდება, თუ, რასაკვირველია, როცა მე ვბჭობ, ღმერთი არ იცინის..."

"თქვენ ჩემთვის კიდევ ერთი, უკანასკნელი ჭიქა ვისკის დასხმა მოგიწევთ, ლიმონოვ".

მისი სურვილი შევასრულე. ვიდრე ამას ვაკეთებდი, ისინი დუმდნენ. მომეჩვენა, რომ ჩემი კითხვა მოხუცებულობის თაობაზე არც პროფესორს და არც მის დაქალ დიანას არ მოეწონათ — ჩამოხრჩობილის სახლში თოკზე ლაპარაკი კარგი საქმე ვერაა.

"ძვირფასო ლიმონოვ, ყველაზე უსიამო გრძნობა ისაა, რომ ჩემი თავი ოცდაათი წლისა მგონია, მეტისა არა. ახლაც, ოცდაათი წლის ასაკში რომ ვიყავი, ისევ ისეთი საძაგელი, თავდაჯერებული გამოსული ქალი ვარ. მაგრამ ჩქარა სიარული არ შემიძლია. წელში მოხრა ან კიბეზე ასვლა ჩემთვის დიდი პრობლემაა, ჩქარა ვიღლები... უწინდებურად მინდა ვაკეთო ყველა საძაგელი ქალური საქმე, რომელთა კეთებაც ასე მიყვარდა, მაგრამ არ შემიძლია. რა ჰქვია ახლა ამას? „სექსი", არა? მე თითქოს წყალში საყვინთავ მძიმე, დაჟანგებულ კოსტიუმში ვარ ჩაბორკილი. ეს კოსტიუმი ჩემს სხეულს შეეხორცა. მე მასში ვცოცხლობ, ვმოძრაობ, მძინავს... მძიმე ტყვიის ფეხები, მძიმე უძრავი თავი... ჩემი სიბერის ტრაგედია სურვილთა და შესაძლებლობათა შეუსატყვისობა".

ყოფილმა უპირველესმა მზეთუნახავმა ჩემს კითხვას ეს პასუხი სახეგაბადრულმა გასცა, მაგრამ ჩვენი შეხვედრის ამინდი ჩემი, როგორც ჩანს, მაინც უტაქტო კითხვის შემდეგ წახდა. მზის რემბრანდტისებური სხივები სასტუმრო ოთახიდან გაილალნენ. გუვერნანტებმა და ბავშვებმა მდელოები დატოვეს. ბებერი მზეთუნახავი თითქოს დამუნჯდაო. შესაძლოა, ვისკიმ მასზე, ნორმალურ ასაკის ადამიანებზე რომ იმოქმედებდა, მაინც იმაზე უფრო ძლიერ იმოქმედა ანდა ის ჩვენ, უბრალოდ, ხომ არ გადავღალეთ? პროფესორმა დედაბრის მიერ წაკითხული წიგნები აკრიფა და მათს სანაცვლოდ ორი სხვა წიგნი დაუტოვა. ჩვენ კიდევ უფრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბნელი, გრილი, კანიფოლისა და ლაქის კარგი სუნით გაჟღენთილი ოთახები გავიარეთ და გასასვლელს მივადექით.

"ლიმონოვ, არ შეიცვალოთ, ისეთი იყავით, როგორიც ხართ", - მითხრა ბებერმა მზეთუნახავმა და ჯოხით მეგობრულად შეეხო ჩემს ჩექმას.

"ალოჩკა, დიანოჩკა, შემოიარეთ, მარია ორშაბათს ბრუნდება, სახლში მეტი სითბო და მხიარულება იქნება".

შიგნიდან ურდული მაშინ ჩაირაზა, როცა უკვე ავტომობილში ვისხედით.

"რაო, ლიმონოვ, ხომ არ ნანობთ იმას, რომ პოეტის შთამაგონებელი მზეთუნახავი მოინახულეთ?" — მკითხა პროფესორმა. დიანამ მანქანა დაქოქა. მე ვთქვი, რომ არ ვნანობდი, რომ ყოფილი უპირველესი მზეთუნახავი მომეწონა. მინდოდა, ისიც დამემატებინა, რომ შემაძრწუნა იმან, რაც ჩემთვის ალმოჩენა იყო — აი, დედაბერმა რომ მაუწყა მხოლოდ სხეული ბერდებაო, მაგრამ მოტორმა ილმუვლა და ადგილს მოვწყდით. დიანას მანქანა საოცრად — ნერვიულად წყვეტილი მოძრაობებით დაჰყავდა.

წინ მსხდარი ქალები თავიანთ ქალურ საქმეებზე მუსაიფობდნენ, მე კი სულ უფრო და უფრო ვრჩებოდი მხოლოდ ჩემს თავთან და ჩემს თვალწინ უკვე მხოლოდ პლაჟის სცენა ისახებოდა. ვხატავდი შეზლონგებში მსხდარ სამ ტანად მზეთუნახავს და გრამაფონის ირგვლივ მოწრიალე 1911 წლის საცურაო კოსტიუმებში გამოწყობილი მამაკაცების ჯგუფს. იმ დროის საცურაო კოსტიუმებზე ზუსტი ცნობები არ მქონდა, ამიტომ ჩემმა წარმოსახვამ მათ „ბურთის მოთამაშეების" ზოლებიანი კოსტიუმები ჩააცვა — მებაჟე რუსის ცნობით, სურათზე ასეთკოსტუმებიანები დარბიან. ჩემი წარმოსახვით, მანდელშტამისთვის ზებრისებური საცურაო კოსტიუმის ჩაცმა არასგზით არ ხერხდებოდა. ჩემი ძალისხმევის საპირისპიროდ სველ სილაზე ქვაბქუდიანი და შავსერთუკიანი მანდელშტამი წამოწვა. ის, ქონდრისკაცი, ფრანც კაფკას ჭაბუკობისდროინდელ ფოტოგრაფიას ჰგავდა. ისინი, ორივენი, კარიკატურებივით უტრირებულნი, შარლოს (ჩარლი ჩაპლინს) ჰგავდნენ. სველ სილაზე წამოწოლილი შარლო ჩუმად და გალმერთებით უყურებდა ულამაზეს მზეთუნახავს — ქართული სამეფო გვარის თავადის ასულ სალომეას. და როცა შეზლონგებში მსხდარი მზეთუნახავები მის მზერას იჭერდნენ, ხარხარებდნენ. ხარხარებდნენ ისევე, როგორც ყველა დროში, ახლაც ხარხარებენ სასტიკი სალომინკები, ლიგეიები, სერაფიტები... სასტიკნი ქონდრისკაც შარლოს, მაგრამ არა „ბრწყინვალე" (ეპოლეტებისა და ყაწიმების სიუხვის გამო?) გვარდიელი ოფიცრების მიმართ. ბრწყინვალე გვარდიელები კი ძალზე ცუდად იქცეოდნენ და, როცა მზეთუნახავების სიყვარულით აგზნებას ალწევდნენ, როცა მათ ისე იჩვევდნენ, როგორც ნარკოტიკს ეჩვევიან, ზურგს აქცევდნენ მათ. ლოჟებზე ურტყამდნენ და თოჯინებსავით ათამაშებდნენ, ლაფში სვრიდნენ, მზეთუნახავები კი ჭუჭყში ფორთხვა-ფორთხვით მიიწევდნენ მათი ბრაკეტებისკენ, ანუ მათი შარვლის ბარტყისკენ — ზიპერები მაშინ არ არსებობდა...

კარგი, ჰო, ვთქვათ, ტალახში არ აგდებდნენ-მეთქი, ვუთხარი ჩემს თავს. სიმბოლურად ისროდნენ სიმბოლურ ტალახში... ჩემი კინემატოგრაფიული ხილვებისგან გამორკვეულმა ფანჯარაში გავიხედე. უკვე კინგს-როადში შესულნი, ვიდექით და მწვანე შუქს ველოდებოდით. მაღალი, წარმოსადეგი პანკი, რომელსაც ალია იროკეზური ხახასა წითელი ვარცხნილობა ჰქონდა, ლოყებზე ურტყამდა ტყავის ქურთუკიან ფერმკრთალ მაღალ გოგონას. აფთიაქის კედელთან პეწენიკად ჩაცმული — ჟილეტიანი და ჰალსტუხიანი ტანჩია კლერკი იდგა და ალელვებით ადევნებდა თვალს ამ სცენას.

მთარგმნელისაგან:

1991 წელს მოსკოვის გამომცემლობა „რჭ ჭ-დჭ - ჭ"-მ დასტამბა ოსიპ მანდელშტამის ნანარმოებთა ოთხტომეული (გამოცემა მანდელშტამის დაბადების მე-100-ე წლისთავს მიეძღვნა). I ტომში შესულია პოეტის ერთი შედევრი — ლექსი „ჟ ჭ". ლექსის კომენტარში ვკითხულობთ:

"ჟ ჭ" პირველად დაიბეჭდა ალმანახ „ცამეტ პოეტში" 1917 წელს; შემდეგ „კოვჩევში", ფეოდოსია 1920 და ჟურნალ „მოსკვაში", N 7, 1922.

"მანდელშტამი არ სვამდა, არ ეწეოდა და მე არ მახსოვს, რომ მას რომანები ჰქონოდეს... მანდელშტამს უიმედოდ, ფარულად და ამალელვებლად უყვარდა... სახელგანთქმული პეტერბურგელი მაღალი წრის ძულომი და მზეთუნახავი, სალომეა ა.-ვა, რომელსაც მან უძღვნა თავისი შთამაგონებლი ბორგვა „ჩალის ღერზე", ჩალაზე, სალომეაზე" (ა. ლურიე, „საბავშვო სამოთხე", „საჰაერო გზები", ალმანახი III, ნიუ-იორკი, 1963 გვ. 169). თავადის ასული სალომეა ნიკოლოზის ასული ანდრონიკოვა (ქორწინების გვარი გალპერნი) ამჟამად ლონდონში ცხოვრობს. მას უძღვნის ანა ახმატოვას ლექსი „ლანდიც". 1990 წ. გამოცემული ანა ახმატოვას ორტომეულის I ტომში შესული ამ ლექსის კომენტარიდან ვგებულობთ, რომ სალომეა ნიკოლოზის ასული ანდრონიკოვა-გალპერნი (1888-1982) ახმატოვას ხვდებოდა 1916 წელს პეტერბურგში და 1965 წელს ლონდონში, სადაც განვლო ს.ანდრონიკოვას ცხოვრების დიდმა ნანილმა.

სალომეა ანდრონიკაშვილის პიროვნებაზე საუბარს აქ არ გავაგრძელებთ. იმას კი ვიტყვით, რომ ეს მომაჯადოებელი გარეგნობის ქალი, ნამდვილი მზეთუნახავი დიდი ინტელექტითა და ნათელი გონებითაც ხიბლავდა მის თანამედროვე ბევრ გამოჩენილ პიროვნებას, რაც სათანადოდ ალბეჭდილა კიდეც არაერთი ბრწყინვალე შემოქმედის — პოეტის, მხატვრისა თუ მუსიკოსის შემოქმედებაში (ლიმონოვი სალომეა ანდრონიკაშვილს რატომლაც „ირაკლიევნად" იხსენიებს და არა ნიკლოზის ასულად, მაგრამ ამას ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს).

*თარგმნა ჯუმბერ თითმერიამ*



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ელზა მეტრეველი

### "როგორ გვახსოვხართ, რომ იცოდეთ, გაგიხარდებათ..."

წელიწადია, ჩვენ შორის აღარ არის; წელიწადია, აღარ გვისაყვედურებია — „ცისკარში" აღარ ჩანხართ"; წელიწადია, ამ საყვედურზე ღიმილი არ ჩადგომია უსაშველოდ დიდ ცისფერ თვალებში და დუდუნით არ უპასუხია: „აუცილებლად მოვალ. სხვაგან სად წავალ?" წელიწადია, წავიდა და მაინც დარჩა, ჩვენთან დარჩა; დადის რედაქციიდან რედაქციაში და დააქვს თავისი, მხოლოდ მისეული სათქმელით სავსე მადლიანი ლექსები. განა ეს პუბლიკაციაც ამის დასტური არ არის? აკი „პირველთაგან იყო სიტყვა", მისი სიტყვა კი ისევ აქაა, ამ სამზეოს, თვითონაც უთუოდ ნათელშია ისე, როგორც დაგვპირდა: **„ნათელში შევალთ, დიდ, მიწიერ ნათელში ხვალ-ზეგ".**

დიდ აკაკის ათქმევინა: **„მიმყვება სადარდელი საფიცარ-საესავის, სახატე საქართველოს ზეიმს ვერ დავესწარი".** მისი საფიცარ-საესავიც ხომ საქართველო იყო და, სამწუხაროდ, ვერც თვითონ დაესწრო მის გაბრწყინებას, თუმცა სამარადჟამოდ დარჩა აქ, ამქვეყნად, მათთვის, ვინც იცნობდა, ვინც უყვარდა, ვისაც უყვარდა გივი ძნელაძე — კაცი და პოეტი! ან კი როგორ შეიძლებოდა, გცნობოდა და არ გყვარებოდა. პირველი შეეგებებოდა „ცისკარში" მოსულ ახალბედას, ნაწერს ჩამოართმევდა, დაიტოვებდა, მერე რედაქციის გრძელ დერეფანში მხარზე ხელმოხვეულს ჩამოატარებდა, თანატოლივით, ძველი მეგობარივით გააცილებდა... რამდენისთვის დაულოცავს მწერლობის გზა, რამდენისთვის გატეხილი გული გაუმთელებია, ისევ კალამი აულებინებია ხელში. წლობით მუშაობდა აქ, ამ რედაქციაში; წლობით ეძებოთ, მისგან გულნატკენ კაცს ვერ იპოვით ვერც თანამშრომლებს, ვერც იმ უამრავ ავტორთა შორის, „ცისკარი" საკუთარ სახლად რომ მიაჩნდათ და, არამარტო ნაწერები მოჰქონდათ, დილიდან საღამომდე არ სცილდებოდნენ რედაქციას.

და იყო კამათი და მსჯელობა, ჭადრაკის თამაში და იუმორი, იუმორი ამოუწურავი, დახვეწილი... ან კი სხვაგვარად როგორ იქნებოდა — მაშინ ხომ აქ გურამ ფანჯიკიძე დააბიჯებდა; მაშინ ხომ აქ ოტია პაჭკორია ბობოქრობდა; მაშინ ხომ აქ ტარიელ ჭანტურია აფრქვევდა ულევ „ლექსპრომტებს"; მაშინ ხომ აქ თამაზ წივწივაძე ტოლს არ უდებდა უფროს მეგობრებს საქმეში, ჭადრაკსა თუ იუმორში. გივიკო (ასე ვეფერებოდით ბატონ გივის ზურგს უკან — თუ იცნობდი, არ შეიძლებოდა, ამ „ფუმფულა ბავშვისთვის" მოფერება არ მოგნდომებოდა) კამათშიც და იუმორშიც ზომიერი იყო: სხვების ხმაურიან მსჯელობაში სიტყვას დინჯად ჩაურთავდა და ის ხმადაწევით ნათქვამი სხვების ყვირილს ჩააჩუმებდა; იხუმრებდა და ისე წყნარად, ნირშეუცვლელად იტყოდა სათქმელს, სახეზე არაფერი შეეტყობოდა, უცოდველი თვალებით გიყურებდა და მოგვიანებითღა გააცნობიერებდი, რამხელა იუმორი იდო ამ უეშმაკო გამომეტყველების მიღმა; და იფეთქებდა „ნაგვიანევი" სიცილი...

სამსახურში სხვებზე გვიან გამოჩნდებოდა (გულით მოგენდომებინა, ბატონ ოტიას მოსვლას მაინც ვერ მოასწრებდი), დიდი ხელჩანთით, რომელშიც რატომღაც არასოდეს მოიძიებოდა ადგილი იმ უამრავი გაზეთისთვის, ყოველ დილას ილლიაში ამოჩრილს რომ მოიყოლებდა. კარს ხელს ჰკრავდა, ფართოდ შემოაღებდა და... იქვე შეჩერდებოდა, თვალს ჩაგვიპაჭუნებდა — ეს სალამიც იყო, მოკითხვაც. თუ ვინმეს მოისაკლისებდა, იმას იკითხავდა — ხომ მშვიდობითააო. თუ დიდი ხნის უნახავი ჰყავდი, იქვე, კარში შეყოვნებული, ტუჩებს მაგრად მოკუმავდა და წინ გამოიშვერდა — აქაოდა, ამ საქმეს კოცნა სჭირდებაო. საკოცნელად წამომდგარს, ეს დროზე რატომ ვერ მოიფიქრეო, „სასჯელად" ლიპს ზლუდედ აღგიმართავდა, ახლოს არ მიგიშვებდა, მერე გულიანად ჩაიხითხითებდა და თბილ მკერდში ჩაგიკრავდა. ზოგჯერ იმ განუყრელ, მსუქან ჩანთას მაგიდის კიდეზე ჩამოდებდა, გაზეთებს შეისწორებდა, ემანდ, არ დამეფანტოსო, და „საქალებოში" ნუგბარს დატოვებდა. მადლობის თქმას აღარ დაგვაცდიდა, დინჯად, მძიმედაც, დაუყვებოდა დერეფანს ბოლო ოთახისკენ, სადაც მეგობრები ეგულებოდა. იქ ამის გაზეთებს დაიტაცებდნენ და ცოტა ხანში უკვე ყველამ ვიცოდით, რა ხდებოდა ახალი და მნიშვნელოვანი ამ მზისქვეშეთში, უფრო, ამ ქვეყანაში, რომელსაც ასე რუდუნებით შეჰყურებდა, რომელიც ასე ეამაყებოდა:

*მე ვარ ქართველი, შენ — სა-ქართველ-ო, -*
*ამაზე თბილად ვერაფერს გეტყვი:*
*ვარ შინაარსი შენი სახელის*
*და სიამაყე არ მინდა მეტი!*

ეროვნული ბიბლიოთეკა

*ჯერ კიდევ როდის წერდა: „ამ დალოცვილ მიწაზე ყველაფერი თავდება, რამე თუ არ ინამე უკვდავების თავდებად"* და მერე, თითქოს საკუთარ თავს ეკამათებაო: *„კაცმა არ იცის, სად რა იწყება და სად რა მთავრდება... სამშობლო, ვიცი, სად იწყება... სამშობლო დროში არ მთავრდება"*, ამიტომაც

*ოდეს ჩვენს გაყრას ინებებს*
*ღმერთი, -*
*მზიან ფანჯრებში მოდგება*
*ჩრდილი...*
*უკვდავი დედის მოკვდავი შვილი*
*სიკვდილის წინაც ვილოცებ შენთ*
*ვის...*



ის პოეტი იყო და წინასწარ, მრავალი წლით ადრე ბოლო წუთამდე, შეგუებული გარდაუვალს:

*სულის ცეცხლზე დუღს*
*ხანდახან*
*ცრემლი — მომდგარი თვალზე...*
*ქვეყნად კაცი კაცს ისე ცვლის,*
*როგორც მზეს — მთვარე,*
*მთვარეს — მზე.*
*რა გვეთქმის:*
*უნდა ვადიდოთ*
*გამჩენი ღმერთი მაღალი,*
*რადგან*
*დღე თუ არ დაღამდა —*
*მზე ვერ ამოვა ახალი.*

უკანასკნელად მწერალთა ყრილობაზე ვნახე: გარეგნულად ისევ მშვიდი, ისევ დინჯად მოსაუბრე, ისევ განუყრელი დიდი ჩანთით; ისევ გულუბრყვილოდ ახამხამებდა დიდრონ ცისფერ თვალებს, რომლებსაც, დიდი ცდის მიუხედავად, ვერც სითბოს, ვერც ელვარებას უკარგავდა სათვალის სქელი მინა. წვერი მოეშვა — ჭაღარით კი არა, ქათქათა თეთრი წვერით მოსილი იდგა კიბეზე, თითქმის განმარტოებული. გარეგნულად მშვიდი-მეთქი, ვთქვი. ეს — გარეგნულად, ლაპარაკში მაინც ამჟღავნებდა, დაძაბული რომ ელოდა არჩევნების შედეგებს — მისი პატიოსანი ბუნება მაშინდელ კანდიდატთაგან ყველას ვერ იგუებდა ქართველი მწერლების თუნდაც რიგითი ხელმძღვანელის პოსტზე და, სწორედ ამის გამო იყო, ადგილს ვერ პოულობდა, ახალი ნაავადმყოფარი სკამზე ვერ ისვენებდა, ფეხზე დგომას არჩევდა. დროს ხანმოკლე საუბრებში კლავდა და მაშინაც თვალი იქით გაურბოდა, სადაც ხმის დამთვლელი კომისიის წევრები ეგულებოდა. ცისკრელები მოიკითხა, რედაქტორი შემიქო, სანაცვლოდ საყვედური შევაგებე და „მოვალ, აუცილებლად მოვალ, სხვებთან თუ არა, შენთან მაინც შემოვივლი" — მასიამოვნა და... არ გამოჩენილა, არ მოვიდა თუ მოსვლა აღარ მოუხერხდა. ახლაღა გამოჩნდა მისი ლექსები „ცისკარში", ამით მიგვანიშნა: ისევ „ცისკრის" ერთგულია; მერე რა, რომ ლექსები მასავით „თვალებღვარღვალა" (მისი გამოთქმაა) მისმა ვაჟმა გადმოგვცა, ამით ეს გვითხრა: ისევ ყვავილობს სიცოცხლე მის ძლიერ ფუძეზე; ისევ სიხარული მოაქვს მის ლექსს ქართველი კაცისთვის — მისი თვალით დანახული სამშობლოს, სამყაროს აღქმის ტკივილნარევი სიხარული...

და ისევ დააბიჯებს რედაქციიდან რედაქციაში; ვერ ფარავს სათვალის სქელი მინა მისი სითბოთი სავსე თვალების მეტყველებას; ვერ ფარავს სამშობლოს მიწა მომავალ თაობებთან მისატან მისეულ, განუმეორებელ სათქმელს. მაშ, აღსრულდა, გამართლდა მისგანვე წლების წინ ნაწინასწარმეტყველევი: *„სულო, გატყობ მირონცხებას, ალზევებას, სრულობას, - დამთავრებით დაიწყება შენი მოგ ზაურობა..."*

# გივი მნელაძე

## ფრთხილად - დედამიწა!..

... ბრტყელია?.. მრგვალია?.. თუ ოვალურია!..
- იყო კამათი და დავა... ხომ ვერ
დაუშვებდნენ რამე ცირკულიარს, ხომ ვერ
აკრძალავდნენ კამათს!.. თუ ვინმე იტყოდა
არატრივიალურს, რამე განსხვავებულს: „ჰკა, მას!.." —
ისე კი... მიწაზე მაშინაც მოდიოდა ხახვი, -
ბოლოკი და კამა!..
... აქ თუ უზუსტობა არის დაშვებული, -
ამისთვის ნუ დამწვავთ, ძამა!.. დასწვეს, ბრუნო
დასწვეს: - რაო, მრგვალიაო?!. — ვინ დაუჯერებდა ამას!..
- როგორ თუ მრგვალია!.. როგორ, - თუ მრგვალია —
როგორ დავდივართ და დავალთ?!. რა თქვიო? ბრუნავსო?
- რატომ არ ვყირაობთ, ჩვენ რა, - ბრმები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვართ თუ რა ვართ!..
... ბრტყელია?.. მრგვალია?.. თუ... ოვალურია!..
მრგვალი თუ... ცხელი თუ... ფოფინა!
ბუნება იმგვარი იუველირული ხურო და დურგალი
ყოფილა, - ყოველი დეტალი ზუსტად გაუთვლია, ფრიად
დაკვირვებულ ოსტატს!.. და – რაც გაუთლია, კარგად
გაუთლია!.. ჩვენ ვართ გაუთლელნი ცოტა!..
... რომ არ გადავიჩეხოთ, რომ არ გადავიწვათ,
ვიხმაროთ ღონეც და ხერხიც: თავბრუ არ დაგეხვეთ, -
ბრუნავს დედამიწა!.. მრგვალია: - არ დაგიცდეთ ფეხი!..

## მე და სიკვდილი

... უბედურება ყოველგვარი მისგან იწყება:
მიჭერს მარწუხებს, მეგლისება და მელირწება...
სამაგიეროს მე ასე ვუხდი: ის არ მივიწყებს
არცერთი წუთით... მე კი ვახერხებ შიგადაშიგ
მის დავიწყებას!..

## ზამთრისპირი

... ცა იყურება მწყრომარედ, - ქარი ქირქილებს
ვერანი, - ქედზე ღრუბელი მიბობღავს, მზის
აღარ ჩანან ჩქერანი... აღარცა ჩიტნი მღერიან,
არც ხასხასებენ ველანი, ტყვიის ფერანი გამხდარან
დღეები ოქროს ფერანი!.. ჭალაში ყინვა
ჭიხვინებს – უჭმელ-უსმელი მერანი, თოვს და
ბალახნი ჰკვირობენ: - რა ფერებია, ე, რანი!?.

- აღარა ჰბოლვენ ბუხრები, აღარ ღვივიან
კერანი: აღარ გაისმის სოფელში გადამღერ-
გადმომღერანი!..

## სიკვდილის შემდეგ თქმული

*ავთანდილ ვალდავაძის ხსოვნას*

სული,
როგორც ლორთქო ყანა
დასეტყვილი,
დამეხილი, -
წუხდა, წუხდა,
სანამ პირში მედგა!..
რომ ინატრო
რამე ღვინო,
რომ ინატრო
რამე ხილი –

ზოგჯერ ისე
მინატრია სევდა!..
სევდაშია ზოგჯერ შვება.
(ნუ დამძრახავთ
შებრუნებულ აზრისთვის!..)
ზოგჯერ სისხლი
გაგიშრება
უკუღმართი
ფიქრითა და საზრისით!..
ვერ იქნება

ვერასოდეს კმაყოფილად,
ქვეყნიერი ვინც ცოდვები
იტვირთა...
მზის ქვეშ ტანჯვა
არაფერი არ ყოფილა,
არაფერი
შედარებით... სიკვდილთან!..

## სინანულის ლექსი

*(ნაცნობ მოტივზე)*

დაგტოვო, - უნდა დაგტოვო,
დაგტოვო, - უნდა დაგტოვო
დაგტოვო, - მინდა-არ მინდა, -
სამშობლოვ, -
უნდა დაგტოვო!..

ეს ფიქრი ისე მწარეა –
გულში ხანდახან ვარ მთქმელი:
ან საქართველო არ გერქვას,
ან მე არ ვიყო ქართველი!..

## წამსვლელ-მომსვლელის იყოს!..

***„წამსვლელ-დამრჩომის" მიხედვით***

... მე მალე წავალ... მერე შენ მოხვალ! –
შენ მოხვალ – ასე...
ხუთი წლის შემდგ...
მე არ მჩვევია მუცელზე ხოხვა,
არც ის –
წაქცეულს წიხლებით შევდგე!..

... აქ „ხუთის" ნაცვლად
რომ მეთქვა „ათი" –
ტყუილს ვიტყოდი, -
გუმანში მენდე...
გახვეული ვარ სიზმრების ხლართში, -
წუხელ სიზმრების ბუნაგში ვეგდე...

... ვერ გავარკვიე რაიმე დღემდე –
მინდა, ცის კედელს
მკერდით ვეძგერო...
შენ მოხვალ მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ, -
მოხვალ და... იტყვი ჩემს
სადღეგრძელოს!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მთავარ სულს დავლევ...

... ო, მეპატიოს, თუ სათქმელი
ბოლომდე ვერ ვთქვი,
ან ისე ვერ ვთქვი, -
ვით უნდა თქვას კაცურმა კაცმა...
სიტყვაა ჩემი გვირგვინიც და სამეფო კვერთხიც, -
ამდენ ჯახირში სიტყვა ჩემი – გაცბა და გაცვდა!..

... განგების ძალა თუ მეოხად და შემწედ მექმნა –
მთავარ სულს დავლევ
სამღვთაებო ჰიმნების თქმაში...
... სხეულს უსულოდ არარაის არ ძალუძს შექმნა,
სული ღაღადისს უხორცოდაც აღავლენს ცაში!..

## წარწერა – ამოკითხული აკაკი წერეთლის პორტრეტზე...

... მიმყვება სადარდელი
საფიცარ-საესავის:
სახატე საქართველოს
ზეიმს ვერ დავესწარი...

გული ჩემი – მკვნესარი,
მოქვითინე ჩანგია:
ამოვედი მზესავით...
მთვარესავით ჩავდივარ!..

## ჩამახილი

***(ჯურხას, იორამს, და სხვებს...)***

... ღამე თენდება
თქვენზე ფიქრში
და დღე ღამდება!..

... როგორ მახსოვხართ,
რომ იცოდეთ,
გაგიხარდებათ!..

## დაბარება

... მე ჩემი ვცადე, მე ჩემი ვთქვი –
ჩემებრი რიდით,
დამანათლავდა წამიერად რასაც ბუნება:
ზღაპრის გმირივით
სიტყვის მარცვლებს

გზა და გზა ვყრიდი,
სააქოში
ხანდისხანად
დასაბრუნებლად!...

## იქმენ ნათელი!..

... ნათელში შევალთ, -
დიდ, მიწიერ ნათელში ხვალ-ზეგ, -
ნათელი იგი –
მისხალ-მისხალ,

წვეთ-წვეთ გროვდება!..
ჩვენი პატარა საქართველო
შემდგარა ყალყზე –
დიდ საქართველოს უახლოვდება!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამაზ შენგელია

# მზე დედაა ჩემი, მთვარე მამა ჩემი...

*"ბჟა დიდა რე ჩქიმი,*
*თუთა — მუმა ჩქიმი,*
*ხვიჩა-ხვიჩა მურუცხეფი*
*და დო ჯიმა ჩქიმი"*

*"მზე დედაა ჩემი,*
*მთვარე — მამა ჩემი,*
*ეს წვრილ-წვრილი ვარსკვლავები*
*და და ძმაა ჩემი"*

*ხალხური*

ეს გენიალური ქართული კოსმოგონია მრავალ ასპექტში და სხვადასხვა დროს უტრიალებიათ, აზრიც მრავალი გამოითქვა. ძირითადი აღტაცება მაინც ლექსის ლიტერატურული ღირსების, სისადავისა და შეუცნობელი სიღრმის მიმართ ვლინდებოდა. არავინ უწყოდა, ყოველ შემთხვევაში, არავინ წერდა თუ საით მიდიოდა ეს სიღრმე, რა ფილოსოფიურ და რელიგიურ წიაღში იკარგებოდა. თუკი ვინმე ამას იტყოდა, ისე სიტყვის მასალად მოიარებით, დანდობით...

არც მე ვაპირებ ამ სიღრმეების წვდომას — უბრალოდ, ვერ შევძლებ, მაგრამ შევუდგები კია გზას.

მთავარი მარქსისტული თეზა — „ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებას" — დღესაც სისხლსავსე ცხოვრებას აგრძელებს და ზეპირი განცხადებები ღირებულებათა გადაფასების შესახებ პომპეზური თავყრილობების შესაქცევად თუ გამოდგება. იდეალისტურ და მატერიალისტურ მსოფლმხედველობათა დაპირისპირება ცოდვილი სამყაროსავით ძველია და ამ კამათში ხელაღებით ჩაბმა ფრიად ძალღუმადური საქმეა. მითუმეტეს, რომ დღეს საქართველოში მოღვაწე მეცნიერთა ძალიან დიდი ნაწილი მატერიალისტურ-ათეისტური სულისკვეთებითაა აღზრდილი და არც ისე ბევრი მათგანი ცდილობს ერთ დროს აკრძალულთან და ტაბუდადებულთან ზიარებას. ეს ხშირად სრულებითაც არ ამცირებს ქართული მეცნიერების კორიფეთა მიღწევებს. საუკეთესონი მათ შორის შეპარვით, დაქარაგმებულად, ზოგი ხმამაღლაც კი ამბობდა სათქმელს: ეჭვს გააპარებდა, საყოველთაოდ აღიარებულს ალმაცერად შეხედავდა, ღმერთს მიაპყრობდა მზერას, ჭეშმარიტებას დაუწყებდა ძებნას.

ჩემთვის ყველაზე დიდი მოულოდნელობა დასავლური მეცნიერების გაცნობა იყო. ჩემდა გასაკვირად, აქაც დიდი დოზით დამხვდა დამყაყებული მატერიალისტური სტერეოტიპები, აუხსნელი სიჯიუტე, პოლიტიკურ და ეროვნულ ინტერესებს დაყრდნობილი სამეცნიერო პოზიცია. ყველაფერი ეს მეცნიერების „გლობალური თვითმკვლელობის" ტენდენციად დაჩნდა. საბედნიეროდ, ჩვენთან თუ ძირითადად ერთსულოვნებაა გაბატონებული, იქ ყველანაირი ყაიდისა და რანგის მეცნიერს იპოვი, ნებისმიერ დარგში. ამაშია ძირითადი განსხვავება, გნებავთ — მათი უპირატესობა.

დავანებოთ თავი უცხოეთს.

დღეს საქართველოში არსებობს საშინაო საკითხთა წყება, სადაც შეიძლება სტერეოტიპების „შეხება" — მთლად ახლებურად თუ არა, საკუთარი ჭვრეტის გამხელა მაინც. ეს „საკუთარი" უმეტესად თავისთავად არსებულია, მოარულიც კი, მაგრამ ხშირად დაუფიქსირებელი, დაუკონკრეტებელი.

ჩემი პოზიცია, ვხედავ, თავიდანვეა გაცხადებული და არცთუ ორიგინალურია. ის გამოიხატება სულიერი საწყისის წინა პლანზე წამოწევაში, ერის, ეთნოსის სულიერი სტატუსის რაც თავისთავად, რელიგიასაც გულისხმობს — წარმმართველი, მაორგანიზებელი, განმსაზღვრელ როლის აღიარებაში. ეს მომენტი წინარე ეპოქაში გაცილებით მნიშვნელოვანი, პირველხარისხოვანი იყო, ვიდრე ჩვენ დღეს წარმოგვიდგენია.

ის — ყველაფერი იყო.

ის — სულიერი საწყისი — ყველას და ყველაფერს წარმართავდა და ყველაფერზე ბატონობდა. უფრო მეტიც, მსოფლიოს ისტორია მოაზროვნე, მორწმუნე ადამიანის მოღვაწეობის ისტორიაა, ე.ი., აზროვნების, რწმენის ისტორიაა. არა აქვს მნიშვნელობა, როგორი იყო ეს აზროვნება, რწმენა, - კარგი თუ ცუდი, ჭეშმარიტი თუ მრუდი. აზროვნება განყენებას, აბსტრაქციას გულისხმობს. ადამიანი იმიტომ არსებობდა, რომ სწამდა და, როგორც სწამდა, ისე არსებობდა. ამიტომ იყო და არის ცნობიერი წარმმართველი. ამიტომ უნდა ვეძიოთ ერის, მისი ფსიქიკისა და მენტალიტეტის ჩამოყალიბება-

შიუმთავრესი: რელიგიისა და მისი მატერიალიზებული მხარის თუ ნებსით და უნებლიე შედეგის, - ქცევის, ყოფიერების, კულტურის ურთიერთობანი. ძირითადი მიმართულება აქ ერთია: ცნობიერებიდან ყოფიერებამდე.

ამ მოკლე ფილოსოფიური ტირადის დასასრულს მინდა ვთქვა, რომ წინამდებარე წერილი მე აკად. ივ.ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მიერ გამოცემულმა შესანიშნავმა კრებულმა — „საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია" შთამაგონა. თუმცა ამ საკითხებზე — ტოპონიმებისა და ეთნონიმების წარმოშობის შესახებ — ადრეც მიფიქრია და მუდამდღე მაწუხებდა, უკვე მოგახსენეთ, რომ მთავარი თემა ჩემი საუბრისა გაცხადებულია და არახალია. ამჯერად შევეხები ზოგიერთი ტერმინის წარმოშობას, მკითხველს მივაწვდი სავარაუდო მოსაზრებებს, რომელთა ძირეული სისწორე გულწრფელად მწამს.

თქვენ წინაშე, ეტყობა, უფრო ზოგადსამეცნიერო-სალიტერატურო ესეა, რომლის დასაწერადაც ავტორს ფიქრები ლიტერატურასთან და ისტორიასთან მრავალწლიანმა ურთიერთობამ აღუძრა.

## გეორგია — მგლის ქვეყანა

ძნელი სათქმელია, პირველად ვის მოუვიდა აზრად, ეთნონიმი და ტოპონიმი „გეორგია" აეხსნა როგორც „მიწათმოქმედთა ქვეყანა". ასეა თუ ისე, ამ, რბილად რომ ვთქვათ, ზედაპირულმა მოსაზრებამ ნოყიერი ნიადაგი ჰპოვა მოსახლეობაში და, თქვენ წარმოიდგინეთ, მეცნიერთა გარკვეულ წრეებშიც. ის, საბოლოოდ, ქართულ ნადიმებზე დამკვიდრდა და ღმერთის მიერ მიწის განაწილების „ცნობილ" თეორიასთან ერთად უცხოელთა საპატივცემულოდ მოწყობილი სუფრების ერთ-ერთ „საკვებად" იქცა.

ამ ლეგენდა-სურვილის მიხედვით საქართველოს არნახული მიწათმოქმედების კულტურით განცვიფრებულმა ბერძნებმა „გეორგია" (geos-მიწა, orgos-მოწყობა, მუშაობა) უწოდეს. მე არ შევუდგები ამ მოსაზრების უარყოფას. ის უკვე უარყვეს სერიოზულ სამეცნიერო წრეებში და ამის შესახებ არაერთხელ დაიწერა კიდეც. ჩემი მხრიდან დავამატებდი მხოლოდ ერთს: განა ისეთი რა უნდა ენახა ჯერ საკუთარი სამიწათმოქმედო კულტურის პატრონს, მერე ნილოსის დელტისა და შუამდინარეთის ცხოვრებას გაცნობილ ხალხს, რომ მაინცდამაინც ჩვენით მონუსხულიყვნენ? გულუბრყვილობაა.

ამით სულაც არ ვაკნინებ ქართულ აგრარულ ტრადიციებს და საქართველოს როლს უნიკალური ხორბლისა თუ ვაზის, სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა თუ სამკურნალო მცენარეების მოყვანის საქმეში, მაგრამ იმდროინდელ მსოფლიოში არ არსებობს პრეცედენტი ამხელა ერისთვის (გნებავთ, მცირერიცხოვანი ეროვნებისთვის) საქმიანობიდან გამომდინარე ეწოდებინოთ სახელი.

გეორგია, ხეორხია, გურჯისტანი, გურზი, ვრასტანი და სხვ. ერთი წარმოშობის რომ არის, ეჭვგარეშეა, დამტკიცებულია. ძირი ამ ტერმინებისა დაკავშირებულია საშუალო სპარსულიდან წარმომავალ სიტყვასთან გურჯ „გურგ" „გორგ", რაც მგელს ნიშნავს.

თითქოს ყველაფერი გარკვეულია, აღარაფერია საკამათო და დროა, ეს საკითხიც თაროზე შემოვდოთ. ასეა ათეისტურ მეცნიერებაში. მაგრამ კითხვა — რატომ მაინცდამაინც მგელი? — თვითონვე მოძვრება ზედაპირზე.

ქრისტიანობამდე დიდი ხნით ადრე უნდათ თუ არა ეს მავანთ, ყვაოდა ქართული წარმართული კულტურა, გაჯერებული თავისი კერპებით, ღვთაებებით, ტოტემებით. ქართულ (პროტოქართულ) წარმართულ ფილოსოფიურ აზრს ისევე, როგორც სხვაგან, სხვა ქვეყნებსა და ცივილიზაციებში, ჰქონდა თავისი მორფემები, ანუ აზრობრივი რკალის, ციკლის, დახურული სააზროვნო სისტემის სიმბოლური გამოსახულებები. ეს სიმბოლიკა გარეგნულად (და შინაგანადაც!) იმეორებდა ციური სხეულების, ცხოველების, მცენარეების, ანუ გარესამყაროს უმთავრესი შემადგენელი ნაწილების სახეს, აგებულებას. კავშირი აქ, ალბათ, უფრო ღრმა და იმანენტურია, რელიგიისა და მისტიკის ჩემთვის ჯერ უცნობ კანონებს ექვემდებარება (არადა, ინტერესი ამ ცოდნისკენ გრძნეული სირინოზივით გიტაცებს და გითრევს!).

ეს სიმბოლიკა, როგორც უკვე ვთქვი, გამოხატავდა დასრულებულ მცნებას ("არ შედრკე", „ქედი არ მოიხარო", „თავისუფლებისთვის სიკვდილი ბედნიერებაა" და ა.შ.) (და არა ცნებას): ერის ეთიკურ და ესთეტიკურ პოზიციას, სულიერ და ფიზიკურ სტატუსს, გამოხატულს სურვილისა და ყოფის აბსტრაჰირების ხარისხში.

მგლის ქვეყანა იყო ქართველებით (პროტოქართველებით, იბერებით, პროტოიბერებით) დასახლებული ქვეყანა და ეს უმთავრესია ამ ხალხის ფსიქოლოგიაში. მგელი იყო მათი ეთნოფსიქოტოტემი, მგელი — დაუმორჩილებლობა, გაუტეხლობა, თავისუფლებისა და თვითგადარჩენისადმი სწრაფვა. ყველაფერი ეს კავკასიური ტომებისთვის უეჭველი მახასიათებელია.[1] „ალგეთის მგლის ლეკვების" ჟრუანტელის მომგვრელ ხალხურ შედევრს მე დავუმატებდი ჩეჩენი მეომრების მკერდსა და შუბლზე გამოხატულ მგელს; ფშავ-ხევსურეთში ჩაწერილ ცნობილ ლექსს: „ქაჯავეთ რას იარები, გიორგივ, მგელთა ფერაო..." ვაჟას თაყვანისცემას მგლის მიმართ ("ამოდის ნათდება...") და ჩვენში, კავკასიაში გავრცელებულ უამრავ ლეგენდასა თუ ზღაპარს, სადაც მგელი სწორედ ზემოხსენებული თვისებებითაა შემკული.

ეს ლირიკაა. ლირიკას თავისი და ძლიერად არგუმენტირებული კანონები აქვს.

დავუბრუნდეთ ეთნოსს და ტოპონიმიკას.

ძველი სომხები ქართველებს virk-ს უწოდებდნენ, რაც თანამედროვე სომხურის vrac'-ის შესატყვისია. ფსევდო მოსე ხორენაცთან აღნიშნული ფორმის გარდა გვხვდება vargan და varcan, რის საშუალებითაც ი.მარკვარტმა (**J.Marquart. Beitrage zur Geschichte und Sage von Eran. ZDMG. s..s. 632-633, 666.**) აღადგინა ანალოგიური სპარსული ფორმები და მათი მხ. რ. varc. დამტკიცებულია, რომ აქედანაა ნაწარმოები სპარსული Gurg, Gurgan, შესულია სირიულში Gurzan, Gurzab და სხვ. იგივე ფსევდო მოსე ხორენაცის მიხედვით ვარჯან, ვარჭან კასპიის ზღვის იქითა ტერიტორიაცაა და კავკასიის სამხრეთი ფერდობიც. ეს შემთხვევითი არ უნდა იყოს: დღესაც კასპიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროებს ჯურჯანის მხარეს უწოდებენ. აქედან იყო მწერალი, ფილოსოფოსი და ექიმი — ალ-ჯურჯანი. გ.წერეთლის (გ.წერეთელი საქართველოს ირანულ სახელწოდებათა ისტორიისათვის. „მეცნიერება". თბილისი 1993) დასკვნით: „ვარჯანი, ვარჩანი, ვარუჩანი და სხვ. რამდენიმეა დადასტურებული: ერთი — ვითარცა ივერიის სახელწოდება, მეორე — ადგილი ბალხის მხარეში, მესამე — ჩრდილოეთ კავკასიაში, დერბენტის მახლობლად..." „გურგანის ეტიმოლოგია ცნობილია. ესაა ძვ. სპარსული, varkana - ფალაური და ახ. სპარსული gurgan — „მგლეთი" (შდრ. პროტოინდოევრ. ulquo, ავესტის vahrka, სანსკრიტული vrka, ლატაური - vi ras, რუს. Book, გუთ. wulfs) „ძნელად საფიქრალია, რომ vrkana „ივერია" სხვა წარმოშობისა იყოს". კასპიის ძველი სახელწოდება „გურგანიც" და ყველაფერი ზემოთქმული, ალბათ, ისევ იმ თეორიასთან გვაბრუნებს, რომელიც პირენეებიდან პამირამდე იბერიული ტომების განსახლებას ამტკიცებდა (შ.ძიძიგური, ბასკები და ქართველები, „საბჭოთა საქართველო". თბილისი, 1978).

საინტერესო მასალას იძლევა თ.ჩხეიძეც: (თ.ჩხეიძე საქართველოს და ქართველების აღმნიშვნელი ტერმინები საშუალო სპარსულსა და პართულ ენებზე. გვ. 119. დასახ.ნაშრ.) „საშუალო სპარსულში, სახელდობრ, შაპურ I-ისა და დიდი მობადის კასტირის წარწერებში საქართველო — იბერია აღნიშნულია ტერმინით warucan, ე.ი., „მგლის ქვეყანა". იგივე ტერმინი ჩანს პართულში, რომელიც გვხვდება შაპურის

---

[1] **იგივე შეიძლება ითქვას იბერიული რასით სავარაუდო განსახლების ტერიტორიაზე მცხოვრებელი ხალხის შესახებ (მედიტერანული სამყარო).**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზემოხსენებულ წარწერაში". თ.ჩხეიძე აღნიშნავს მგლის ფართო გავრცელებას ეთნონიმებისა და ტოპონიმების ფორმირებაში, მის როლს მაგიურ-რელიგიურ რიტუალებში. გი მოიცავდა ძველინდურ, ძველბერძნულ, გერმანიკულ და ბალტო-სლავურ სამყაროს. ღიად რჩება საკითხი შეღწევისა და ტოტემის „პირველსაცხოვრისის" შესახებ. ფაქტი ერთია, რომ ეთნონიმად warucan, - მგლის ქვეყანა — ქართლს (იბერიას) შემორჩა მხოლოდ. „მგელი კი, როგორც სიმბოლო გმირობისა და სიძლიერისა, ცნობილია ირანულ ტრადიციაში" (თ.ჩხეიძე). და არამარტო ირანულ ტრადიციაში!

ტოპონიმი გოგარენე „გორგარენე ქვემო ქართლის ძველი სახელწოდებაა. ასე იხსენიებენ მას ქართველი და უცხოელი მემატიანეები. ამ ტერმინის სომხური ვარიანტი გუგარქ" გურგარქ, რითაც ხშირად სომეხი მეცნიერები ამ ოლქის სომხურად გამოცხადებას ცდილობენ, სწორედ საწინააღმდეგოს მიუთითებს: სომხისთვის უცხოა მგლის ტოტემი და ამიტომ უწოდებს იგი სპარსელივით და არაბივით ამ მხარეს გუგარქს — მგლის ქვეყანას.

ტოპონიმ „გურია"-საც ბევრი ახსნა აქვს (ამომწურავი — არც ერთი). ვფიქრობ, ერთ-ერთ ვარიანტად გურია „გურგიას შესაძლო კავშირი უნდა იქნეს მიჩნეული. სარწმუნოდ ჩანს ჯ. გვეტაძის (ჯ. გვეტაძე „გურიას" ეტიმოლოგიისათვის, „ისტორიული კრებული", VI. თბილისი, 1976) მოსაზრებაც გურიის „კურ"-თან (მტკვრის ძველბერძნული სახელწოდება) დაკავშირების თაობაზე. მთუმეტეს, რომ გურული ტომი ზანური და მესხური (ე.ი., მტკვრის სათავეში მცხოვრები) ტომების ასიმილაციის შედეგადაა წარმოშობილი. მაგრამ ეს არ გამორიცხავს თვით „კურ"-ის გურ „გურგ-იდან წარმოშობას. ასევე ძალზე სანტერესოა მარი ბროსეს მოსაზრება — „გურიის" ცეცხლთაყვანისმცემელთა ერთ-ერთ სპარსულ სახელთან — „გუარესთან" დაკავშირება. კიდევ უფრო შორს მიდის ამ მხრივ ნიკო მარი, რომელიც ფიქრობს, რომ „გურია" და „ეგური" (ეგრისი) ერთი ძირიდან ნაწარმოები ტერმინებიია — ეგერ „გუერ" გურ. „გურ" კი ლაზურ-მეგრულია და ადრე მზეს ნიშნავდა! (მეგრელიძე ი.ლაზური და მეგრული ფენები გურულში. 1938. გვ.43). (მზის და ცეცხლის კულტის შესახებ კი ცოტა ქვემოთ).

საქართველოში უამრავი ტოპონიმია გურგჰჰგორგ-თან დაკავშირებული: გოგაშენი, გორგანეთი, გოგჩა და სხვ. ეს ჯერ კიდევ დიდი და საფუძვლიანი კვლევის თემაა. ერთსლა დავუმატებდი: გორგ „გიორგ-იდან მოდის, ალბათ, ყველაზე ქართული სახელი გიორგიც.

მგელიკაა გიორგი.

გაუტეხელი, დაუმორჩილებელი, დაუმონებელი კაცის სახელია გიორგი. ამიტომ გავრცელდა ის ასე ძლიერ საქართველოში. მეომარი იყო წარმართი თეთრი გიორგი — გამარჯვების, დაუმარცხებლობის სიმბოლო. თეთრი აქ ამაღლების, რწმენით განმტკიცებულ-გასხივოსნებულის სიმბოლოა. შეიძლება — მთვარისაც. შეუდრეკელი, რწმენის ურყევი კედელი იყო თითქოსდა წარმართულიდან ტრანსფორმირებული, მაგრამ ქართული ტომებისთვის ღვთივმოვლენილი წმიდა გიორგი — კაპადოკიელი. ღვთივმოვლენილი-მეთქი, ყველა წმინდანი ღვთის მოვლენილია ცოდვილ მიწაზე, მაგრამ კაპადოკიელი მხედართმთავარი, სახელად გიორგი, - მეომარი, ერთგული რწმენისა, მგლისებრ შეუპოვარი, უტეხი და თავისუფალი — მოსული იბერიული სამყაროდან (ისევე, როგორც წმიდა ნინო), მართლაც ღვთის წყალობა იყო ქართველი ხალხისთვის. მისი გამოჩენით ერის ტრადიცია და მეხსიერება — მენტალურ სტატუსად ქცეული — ურღვევი რჩებოდა და ყველაფერ ამას ემატებოდა უმთავრესი ქრისტესმიერი მადლი. თეთრი გიორგი — ქრისტესმადლცხებული, - წმიდა გიორგის ხატად და აზრად ინდუცირებდა. შინაგანი მზაობა ქართველი ხალხისა ქრისტიანობის დასამკვიდრებლად რეალურად ისხამდა ფრთებს. ეს ფრთები კაპადოკიური იყო — წმ. ნინო და წმ. გიორგი.

მგელკაცა იყო ვახტანგ გორგასალი, „გორგუსარ" — მგლის თავი. ასე იკითხება სპარსულად ეს მეტსახელი. საქართველოსა და მთლიანი, ერთიანი კავკასიის სახელოვან მეფეს მუზარადზე მგლის თავი სილამაზისთვის არ ჰქონდა გამოსახული. მან კარგად უწყოდა საკუთარი ხალხის წარსული, ფსიქიკა და ქრისტიანობის დიდ ქომაგსა და გამავრცელებელს (მოგვიანებით წმინდანად შერაცხულს) ეს ფესვები ძალუმად ეწეოდა. ეს ურღვევი კავშირი არც შემდგომ საუკუნეებში დარღვეულა და ათასი წლის შემდგომაც საქართველოს ამომგდების, ლანგ თემურის მეხოტბე-მემატიანე ნეზამ ად-დინი საქართველოს პირდაპირ ასე უწოდებს: „გიორგის ქვეყანა". გიორგი ამ შემთხვევაში მგელსა ნიშნავს ან წმ. გიორგისთანაა კავშირში, რადგან ამ პერიოდში საქართველოს არც ერთი გიორგი არ მართავდა.

სვანური დროშის — „ლემ" — წარმოშობისა და დანიშნულებისადმი მიძღვნილ ნაშრომში საინტერესო მასალას გვაწვდის ვ.ბარდაველიძე (ვ.ბარდაველიძე. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან დროშა „ლემ", მგელი-ძაღლი. წიგნში: მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XII-XIII; 1963) ლემ ურჩხულისნაირი შტანდარტების ტიპს მიეკუთვნება. ეს უკანასკნელი კი დამოწმებული ყოფილა II საუკუნეში პართელებთან, სკვითებთან, სარმატებთან და დაკებთან, III საუკუნეში რომაელებთან და IV საუკუნეში სასანიანთა დინასტიაში. ეს შტანდარტები შუა საუკუნეებშიც გამოიყენებოდა ბიზანტიასა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში (ê. À. Òðàâåð ñåðåáðÿíîå ìàâåðøèíå ñàñàíèäñêîãî øòàíäàðòà. òðóäû îðäåëàíèÿ âîñòîêîâåäåíèÿ ãîñ. Ýðìèòàæà ò.æ. Ëåíèíãðàä 1940).

სვანური ტრადიციით და მოსახლეობის დაბეჯითებით გადმოცემით ლემ სინამდვილეში მგელია და ლომად თავისი ღონისა და უძლეველობის გამო იწოდება. აქ, ჩანს, ტოტემის ორმაგი მნიშვნელობით დატვირთვასთან გვაქვს საქმე. ერთი, ეს არის მენტალური მხარე, - მგელი: შეურიგებლობა, მოუდრეკელობა, თავისუფლება და ა.შ.; მეორე, - ფიზიკური: ძალა, ღირსების გრძნობა, პირველობა. ორივე ეს, გაერთიანებული, შენივთებული ერთ დროშაში იყო არა მარტო სიმბოლო კუთხისა, არამედ ფსიქოტოტემიც, რომლის სათავეები, რასაკვირველია, შორს, ქრისტიანობამდელი რელიგიური და კულტურული სამყაროდან მოდის. სვანების დამოკიდებულება მგლისადმი განსაკუთრებული იყო. „მას მიაწერდნენ ზებუნებრივ ფიზიკურ ძალასა და სიმარჯვეს, ჭკუას და საზრიანობას, არაჩვეულებრივ მახვილ მხედველობას, რომელიც მას ადამიანთა მტრობას არიდებს; მგელს მიაკუთვნებდნენ უნარს, განეჭვრიტა მომავალი და შეეტყო, რაც თორმეტი მთის იქით ხდებოდა — ეს იყო მანძილი, რომელიც მგელს ვითომდა შეეძლო ერთ დღეში გაერბინა" (ვ. ბარდაველიძე. დასახ. ნაშრომი).

სვანები, ასევე, თვლიდნენ, რომ მგლები ყოველნაირად მფარველობდნენ ადამიანებს, ეხმარებოდნენ მათ ავბედობის დროს, სწორედ ამიტომ ითვლებოდა მგლის კბილის ავგაროზი ავი სულებისგან თავდაცვის საშუალებად. მგლის ხორცისა და ქონის შეჭმა, მისი ხორცისა და ძვლების ნახარშით შემზადებულ სასმელს „ზიარება" ადამიანს სხვადასხვა ავადმყოფობას აარიდებდა.

აკრძალული იყო მგლის მოკვლაც. სვანი, რომელიც შემთხვევით მოკლავდა მგელს, ქუდმოხდილი დადგებოდა მოკლული ნადირის წინაშე, პატიებას შესთხოვდა და ეცდებოდა, თავი ემართლებინა. შემდეგ გამოიტირებდა ნადირს, როგორც ახლობელს, ოჯახის წევრს, გაატყავებდა და მიწაში დამარხავდა.

ვ.ბარდაველიძეს მგლის ტოტემის მსახურების მეტად საგულისხმო ფაქტი მოჰყავს. იმ იშვიათ შემთხვევაში, როცა მგელს განზრახ მოკლავდნენ, იწყებოდა მამაკაცთა (!) პროცესია. პროცესიას წინ მგლის მკვლელი მიუძღოდა და ხელში გრძელი ლატანი ეჭირა, რომლის წვერზეც მოკლული მგლის ტყავი იყო მიმაგრებული. პროცესია სიმღერით უვლიდა სოფელს, ყოველ სახლთან ჩერდებოდა, საიდანაც მათ თოფის წამალს და ტყვიას გამოუტანდნენ. ეს, მკვლევრის აზრით, მგლის მკვლელისადმი თანადგომასა და „მკვლელობაში" თანამონაწილეობას გამოხატავდა.

ამგვარად, ეს „იშვიათი შემთხვევა" ნადირის სარიტუალო მოკვლა იყო და, ჩემი აზრით, მგლის კბილის, ხორცის, ქონისა და ძვლების, ტყავის მოსაპოვებლად ხდებოდა, რათა ეს მაგიური მნიშვნელობით დატვირთული საგნები სვანთა ყოფა-

ეროვნული

ცხოვრებაში მოხვედრილიყო. ამ მისტერიას შაშანგელო და აშანგელო[1] ერქვა. ვ.ბარდაველიძის აზრით, ის დამახინჯებული ქართული სიტყვა სამგელო უნდა იყოს, რაც სავსებით დამაჯერებელი ჩანს. უფრო მეტიც, ეს ასეც უნდა იყოს, რადგან მგლის ტოტემი საერთოქართული, საერთოკავკასიური იყო და სვანეთის გეოგრაფიული კარჩაკეტილობით და სვანების ტრადიციისადმი გამორჩეული ერთგულების წყალობით მოხდა მისი შენახვა-დანარჩუნება. გელი „მგელი ბარიდან „ასულ" სიტყვასა ჰგავს. ამ თეზის გამამაგრებლად მიმაჩნია არქეოლოგიური მონაპოვრები: თრიალეთის ყორღანულ სამაროვანში ნაპოვნი ვერცხლის თასის ზემო ფრიზის კომპოზიცია, კოლხურ-კობანური ბრინჯაოს ცულებისა და ბალთების მოკაზმულობის ზოომორფული გამოსახულებები. ვ.ბარდაველიძეს მოჰყავს სხვადასხვა მეცნიერის (ა.მილერი, ი.მეშჩანინოვი) მოსაზრება ამ ცხოველების შესახებ. მათ ეს ცხოველი ძაღლად (მგლად) ჰყავთ წარმოდგენილი. შ.ამირანაშვილი კი კოლხეთში და ჩრდილო კავკასიის დასავლეთ ნაწილში ნაპოვნ ყველა გამოსახულებას კოლხურ ტომობრივ ტოტემად — მგლად მიიჩნევს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მგლის ტოტემი მთელი საქართველოს ტერიტორიაზე (მთელ კავკასიაში) იყო გავრცელებული სხვადასხვა სახით და სარიტუალო წეს-ჩვეულებებით. ქართველებში უქმე დღეებიც კი არსებობდა — მგელთ უქმი და მგელთ კვერაობა (სვანებში შესაბამისად „თხერობ" და „ლამპრობ"). ამ დროს წარმოითქმებოდა ლოცვები, შერისხვები, მგლებს მიართმევდნენ საწესო პურებს (სვანები — „გელო ლაგაიხ"-ს, „მგლის ულუფას").

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ღვთაებათა ლაშქარში მწევრებიც შედიოდნენ. ამ მწევრებს ხევსურთა ყოფაში დიდი ადგილი ეჭირა. ღვთაებათა ლაშქარში მოწინავენი იყვნენ. მათ მიმართავდნენ მგზავრობისას, ნადირობისას, საომრად მიმავალნი. სჯეროდათ, რომ მტერთან ომის დროს მწევარნი მათ მხარეს იბრძოდნენ. ლაშქარ-მწევართა სახელზე დღეობებიც იმართებოდა. საკამათო არ არის, რომ ძაღლი „მწევარი მგლის ტოტემის ნაირსახეობაა და ამ უკანასკნელის საერთოკავკასიურ ფენომენად აღქმას კონტრარგუმენტი არა აქვს, მითუმეტეს, რომ სვანეთშიც, ფოლკლორული ჩანაწერების მიხედვით, მათ ღვთაებასაც ჰყავდა „თავისი მგლები", რასაც „ჟელ" (მრ. რ.ჟელარ), ანუ ძაღლი ეწოდებოდა (ვ.ბარდაველიძე, დასახ. ნაშრომი).

ვ.ბარდაველიძე კიდევ ერთ, უაღრესად საინტერესო ცნობას გვაწვდის უხსოვარი დროიდან დაწესებულ სვანურ დღესასწაულზე, რომელსაც ჰ ლიშ (ჰ ლშობ, ულიშ, ან ვილიშ) ჰქვია. ის პეტრეპავლობის მარხვამდე ერთი კვირით ადრე იმართებოდა და ხანდახან ხუთ დღემდე გრძელდებოდა. ამ დღესასწაულის ერთ-ერთი მთავარი მომენტი დროშიანი დოღი (ან რბენა) იყო. ეს ერთადერთი საერთოსახევო დღეობა იყო, რომლის დროსაც წმ. გიორგის ეკლესიიდან ლემ გამოჰქონდათ. მუღვენე (ლემის მპყრობელი) დროშის ბუნს უზანგზე დაამაგრებდა, მარცხენა ხელით დაიჭერდა, სადავეს — მარჯვენით და იმართებოდა დოღი, რომლის მოგება უაღრესად საპატიო და სამომავლოდ იმედისმომცემი იყო. აქ, ვფიქრობ, ქართველთა ორი ტოტემის: მგლისა და ცხენის მეტად სიმბოლური, მრავლისმეტყველი შეხვედრაა.

ქართული ლექსის არქეტიპის ძიებისას გ.ჭელიძე (გ.ჭელიძე. მზის ჰიმნი „შამარერა", როგორც ქართული ლექსის არქეტიპი. ჟურნ. „ხატაური" N 1(2) აპრილი. 2001) მზის საგალობლებისა და რიტუალების საინტერესოდ ინტერპრეტირებულ მასალას გვაწვდის.

თრიალეთის ვერცხლის თასზე (XVIII-XVII სს. ქრისტეს შობამდე) საფერხულო რიტუალია გამოსახული. მოვიტან ამონარიდს აღნიშნული წერილიდან: „უზურგო ტახტზე ზის ღვთაება მარჯვენა ხელში სასმისით. იგი ნახევრად პროფილშია; სახე დაფარული აქვს ცხოველის ნილბით; [illegible] გულისპირამოჭრილი ტანსაცმელი, ფეხებზე — ქვინტიანი ფეხსაცმელები; მუხლებზე ჩამოფარებული აქვს ფოჩიანი მოკაზმულობა, წინ უდგას მაღალფეხიანი დიდი ჭურჭელი; ჭურჭლის გვერდით მოჩანს ოვალური თასი. იქვე დგას სამსხვერპლოს კვარცხლბეკი — აქეთ-იქიდან ორი ზვარაკით (პატარა ცხოველების გამოსახულება). 22 მეფერხულეს ჩაუბამს ფერხული და მიემართება ტახტზე მჯდომი ღვთაებისაკენ. მეფერხულეებიც ისეთივე ცხოველის ნიღბებით არიან წარმოდგენილები, როგორც ღვთაება. მეფერხულეთ მოუჩანთ მელიის გრძელი კუდები, ხელში სასმისები უჭირავთ.

ფიგურათა პოზები საზეიმოა. ღვთაების უკან დგას „ხე ცხოვრებისა".

ფერხულის სიუჟეტი ღვთაებრივი სითხის — უკვდავების სასმელის დარიგება-დამწყალობლებას გადმოსცემს, რაც, ჩვეულებრივ, ნაყოფიერების კულტთანაა დაკავშირებული. ამ ქმედებას ანალოგი ეძებნება ძველი სამყაროს რიგ ქვეყნებში — ხეთურ, შუმერულ, ეტრუსკულ კულტურებში. ხეთურ რიტუალებში ნაყოფიერების ღვთაებას კონკრეტული სახელითაც უხმობენ — ტელეფინი ან კიდევ ტელეფინუში. იგივე სახელი ჰქვია ეტრუსკული ნაყოფიერების ღვთაებასაც — „ტელეფა".

ეს თანხვედრა სრულია: ფონეტიკურიც და ფუნქციურიც. ანუ, შეიძლება ითქვას, სრულ იდენტურობასთან გვაქვს საქმე. და ისევ საინტერესო ამონარიდი აღნიშნული შრომიდან: „... ხათურ-ხეთური ღვთაება თელეფინუ, უბრუნდდება რა ქვეყნიერებას, მიძინების შემდეგ, მის წინ აღიმართება მარადმწვანე ხე — ეია. ხეზე ჰკიდია საწმისი (სხვა ვარიანტით — ბატკნის ტყავი). იგი, ხეთების წარმოდგენით, სახელმწიფოსა და ხალხის ძლიერების სიმბოლოა.

საეჭვოდ როდი მიაჩნიათ, რომ საქმე გვაქვს „ოქროს საწმისის" არგონავტებამდელ (ძვ. წ. IV-III ათასწლეული) კოლხურ მოტივთან. ისიც საგულისხმოა, რომ სვანურ ტელეფიადან კოლხურ „ოქროს საწმისამდე" მოკლე გენეტიკური გზაა. შემთხვევითი არც ხათურ-ხეთური და კოლხური ონომასტიკონი — ეია და ეია (აია) უნდა იყოს. თანაც სვანეთში აიას სახელწოდების ღვთაებაც არსებობს (შდრ. გ.გიორგაძე „ათასი ღვთაების ქვეყანა", 1988, გვ. 164-166). შეიძლება, მარადმწვანე ხეს — ეიას — მეორე კუთხით შევხედოთ. იქნებ, მასში თრიალეთურ ფერხულში ღვთაების სავარძლის უკან აღმართული სიცოცხლის ხე დავინახოთ.

ვფიქრობთ, გვაქვს საფუძველი, ვთქვათ, რომ ქართული (სვანური) ღვთაება ტელეფია გენეტიკურ ორეულად გამოიყურება შუმერულ-ხათურ-ეტრუსკულ ტელეფინუსთან მიმართებით".

აღსანიშნავია, რომ საჩხერის რაიონში არის სოფელი ტელეფა, ამასთან, ძველი ეგრისის ციხეებს შორის ტელეფისიც მოიხსენიება. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ტარდებოდა წარმართული დღესასწაულები, რომლებიც ნაყოფიერების, გამრავლების, მოსავლის „მოთხოვნით" იმართებოდა.

ბ.კოვალევსკი ასე აღწერს სვანურ ფერხულს: „კაცები ერთმანეთის ზურგსუკან დგანან და ხელი ერთმანეთის თეძოზე უდევთ. წინ მიიწევენ რიტმულად და უბიძგებენ ერთმანეთს, თან უფრო და უფრო უჩქარებენ ნაბიჯს. უცბად წინა მეფერხულე გაიხდის ტანსაცმელს, განაგრძობს წინსვლას და იქნევს ჯოხს. სვლა იქცევა თავშეკავებულ ბაკქანალურ ცეკვად. უდიდესი დაძაბულობისი მომენტში ცეკვის ყველა მონაწილე და მაყურებელი აღგზნებული თვალებით მუხლზე ეცემა პირით აღმოსავლეთისკენ და მღერის ჰიმნს ნაყოფიერების ღვთაება კვირიასადმი (ციტატა გ.ჭელიძის დასახ.ნაშრომიდან).

შ.ამირანაშვილი თვლიდა, რომ თასზე გამოხატული

---

[3] **ჩემი აზრით, გვარი შენგელია (შენგელაია, ჩანგელია) ამ ნიაღში უნდა წარმოშობილიყო. მითუმეტეს, რომ ამ გვარის პირველსაცხოვრისი მთიანი სამეგრელოს საკმაოდ დიდ ტერიტორიაზეა გადაჭიმული, რომელსაც ლაკადა ჰქვია და რომელიც სვანეთის უშუალო მეზობლობაშია (ერთი ქედი ჰყოფს). შესაძლებელია, ამ გვარის ხალხი გარკვეულ როლს თამაშობდა ამ მისტერიაში. ამის დასტურია ზოგი მონაცემით შენგელიათა მოგვიანებით საეკლესიო აზნაურებად მოხსენიება, ხოლო სხვა მონაცემებით — უბატონო, აზატ გლეხებად. ასევე, გარკვეულ პრივილეგიად შეიძლება აღიქვას ამ გვარის ოჯახებში დადიანთა გაძიძავების ტრადიციაც.**

ფერხული და სვანეთში ჩაწერილი რიტუალი იდენტურია და ეს, ალბათ, ასეცაა. საინტერესოა მხოლოდ ის, თუ რამდენად სწორად ვუძებნით ღვთაებებს სახელებსა და ფუნქციებს. პირველი, რაც მაფიქრებს, თასზე გამოხატული ცხოველური ნიღბები და კუდებია. ნიღაბი უფრო მგლისას ჰგავს და ზემოთ განხილულ საკითხებს ეხმიანება, კუდები თითქოს მელიისაა, მაგრამ ძალაუნებურად გვახსენდება სწორედ სვანურში შემონახული ჯერ კდევ ამოუხსნელი ზოომორფული ვარიაცია: ლომისა და მგლის იდენტურობა ლემ-შტანდარტზე. მითუმეტეს, რომ „მელია" მხოლოდ სვანურში გვესმის ტელეფიას გვერდით და დიონისურ ბაკქანალიებშიც მოჩანს თითქოს, სხვაგან, - არსად. გ.ჭელიძე მეტად საინტერესო ვერსიას გვთავაზობს: „მელა-მელამ" შუმერულად გულისხმობს სინათლეს, ელვარებას, ბრწყინვალებას; იგივე სიტყვა ("მელამ") სვანურად აღნიშნავს ცეცხლის გამოშუქებას, ელვას (იხ. თ.მიბჩუანი, „XX ს. უდიდესი აღმოჩენა", 1997, გვ.90). რამდენადაც ცნობილია, ხათურ-ხეთური ტელეფინუ ტაროსის ვაჟია. მოსალოდნელია, მას გამოჰყვა ამინდის გამოწვევის, კერძოდ, ელვის მოტანის ფუნქციები, ამიტომ ეჭვგარეშეა, მას მიუძღვნიდნენ რიტუალებს, აღუვლენდნენ ლოცვა-საგალობლებს, რათა გამოეთხოვათ ნაყოფიერება და კეთილდღეობა. ასევე, ნაყოფიერების ღვთაებად ითვლება სწორედ სვანური მელია-ტელეფიაც. თუ „მელას" შუმერული და ქართული მონაცემებით მივანიჭებთ ელვის, ცეცხლის გამოშუქების უნარს, შეიძლება გაჩნდეს სინტაგმა — „ელვარე ტელეფია". იქნებ, ამ შინაარსს აქსოვდნენ მასში და წარმოთქვამდნენ ასე: „მელია — ტელეფია — ელვის, სინათლის, ცეცხლის მომტანო, გევედრები შენ!" მით უფრო, რომ ცეკვის ბოლოს ფერხულის მონაწილენი და მაყურებლები აღგზნებული თვალებით მიწაზე ეცემიან, პირს აღმოსავლეთით (სინათლის მომცემი მხარისკენ) დაიკავებენ და ნაყოფიერების ღვთაების კვირიას საგალობელს წარმოსთქვამენ".

საინტერესოა ისიც, რომ სამეგრელოში ავადმყოფს კისერზე სამკუთხედად გამოჭრილ ტყავის პატარა ნაჭერს (ჩანთას) ჰკიდებდნენ, რომელშიც ჩადებდნენ „მგლისა და მელიის პაწაწინა ნაღველას, მათ ფრჩხილებს, გულისა და თვალის ნაწილებს, სამოთხის საკმეველას, დიდი ოთხშაბათის სეფისკვერის ნაწილს და სამკურნალო ბალახს" (ს.მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. 1941. ციტ. ა.ცანავა. ქართული ფოლკლორის საკითხები. თბილისი. 1990. გვ. 135).

მე მგონი, რკალი შეიკრა. ოღონდ ერთი სერიოზული პრეტენზია ჩნდება. რატომ უნდა მივიჩნიოთ კვირია ან ტელეფი „ტელეფინუსი" მაინცადამაინც ნაყოფიერების ღვთაებად? ერთსაც და მეორესაც, ასე ვთქვათ, უპირველესი ადგილი უჭირავს პანთეონში და მათი ნაყოფიერებისადმი ზრუნვა, ალბათ, მხოლოდ ერთ-ერთ ფუნქციად უნდა მივიჩნიოთ. კვირია რომ მზის, ცეცხლის და სინათლის ღვთაებადაა მიჩნეული, არახალია. რიჰო და ლილე კი მის სახესხვაობადაა აღიარებული (ა.გელოვანი. მითოლოგიური ლექსიკონი. თბილისი. „საბჭოთა საქართველო". 1983). სვანური საფერხულოს — „შამარერას" — ანალიზისას გ.ჭელიძე სრულიად სამართლიანად მიაკუთვნებს მას მზის საგალობელთა რიგს (ისევე, როგორც „რიჰას", „კვირიას", „ლილეოს" და სხვ.). მითუმეტეს, რომ შამა „შემა" სვანურად მზეს ნიშნავს.

ასე რომ, ჩემი აზრით, კვირია, ლილე, რიჰო, ტელეფია, მელია მზის — ცეცხლის - სინათლის ღვთაების სახელსხვაობებია და სპეციალური რიტუალებით (მაგალითისათვის: ორპირი ფერხული „ადრეკილა". სიტყვის სემანტიკიდან გამომდინარე, ის ფალოსს და ისიც ერეგირებულს უნდა გამოხატავდეს (რ.შ.) ხდებოდა მათი „ყურადღების მიქცევა" გარკვეული საჭიროებისადმი. მაგ., ნაყოფიერებისადმი, ჯანმრთელობისადმი და ა.შ.

ცალკე საუბრის ღირსია ლეგენდა რემისა და რომულის შესახებ. მათ, როგორც ცნობილია, მგლის ძუძუ წოვეს და სწორედ ამით შესძლეს, გამორჩეული ყოფილიყვნენ თანამედროვეთაგან. ჩემი აზრით, აქ მითოსური ენით, ქარაგმულად მოწოდებულია ინფორმაცია ლათინებისგან ეტრუსკულ (იბერიულ) ცივილიზაციასთან ზიარების თაობაზე. აქ არ შეიძლება, არ გავიხსენოთ „არგონავტიკა", რომლის ძირითადი, გამჭოლი იდეაც ანალოგიურია: ტახტის მაძიებელ იასონს ეძლევა შანსი, დადგეს თანამედროვეთა შორის გამორჩეულ ადგილას — წავიდეს კოლხეთში, სადაც ოქროს საწმისია — ღვთიური სიბრძნის მატერიალიზებული სიმბოლო, - დაეუფლოს მას, ანუ ელინთათვის უცხო, პელაზგების განადგურების შემდეგ დავიწყებულ სულიერ საუნჯეს, და მხოლოდ ამის შემდგომ მიიღოს კუთვნილი ტახტი.

ასეა, კოლხეთი და იბერია ყველა ეპოქის მსოფლიოში ითვლებოდა სიბრძნისა და მისტიკის სამშობლოდ (R.Steiner. Argonautensage und Odysee, Gegervart, Dornach, 1955. ზ.გამსახურდია. ლექცია „მითოსი და მითოლოგია". გაზ. „ძველი სახლი". თბილისი. 1995).

აქ უნდა გავიხსენოთ აიეტის ერთ-ერთი ძირითადი დავალებაც — არესის ჭალის მოხვნა. არესი ომის ღმერთი იყო, ხოლო მისი ზოომორფემა მგელი გახლდათ. მითოსური ენით კავშირდება ისევ კონკრეტული კულტურულ-გეოგრაფიული არე (აია-კოლხეთი) და რელიგიურ-კულტურული სიმბოლიკა.

ხოლო რემისა და რომულის დედამგელი, მისი ტოტემური სახე სცილდება კავკასიას და იგი მედიტერანული სამყაროს, ანუ იბერიული რასის განსახლების მასშტაბებს დაედება.

მეცნიერთა ვარაუდით, აპოლონის კულტი მცირეაზიური წარმოშობისაა. ამის დასტურად მათ მოჰყავთ შემდეგი არგუმენტები: 1. ტროას ომში აპოლონი ტროელთა მხარეზეა; 2. მისი სახელობის ტაძრები უმთავრესად მცირე აზიაშია განლაგებული; 3. სახელი „აპოლონი" ერთ-ერთ მცირეაზიურ ენაზე კარს, კარის მცველს უნდა ნიშნავდეს (ა.გელოვანი. მითოლოგიური ლექსიკონი. „განათლება". თბილისი. 1972).

მთავარი კი, ჩემი აზრით, ის არის, რომ აპოლონს, ზევსისა და ლეტოს ვაჟს, მუსიკისა და მუზების ღმერთს (მუზაგეტოსს), მაგრამ, ამავე დროს, მეომარსა და ფიზიკური სილამაზის ეტალონს, ტოტემური ზოომორფემა ახლავს და ეპიკლესიც (მეტსახელი) აქვს — აპოლონ ლიკეიოსი, ანუ აპოლონ მგელი სწორედ ეს არის მისი გეოგრაფიული და ისტორიული წარმომავლობის ყველაზე მკაფიო ნიშანი.

## მზე დედაა ჩემი...

მზე გაღმერთებულია უძველეს ქართულ მითოსში, შესაბამისად, ფოლკლორში და ქართულ ქრისტიანულ ფილოსოფიაშიც (იოანე პეტრიწი). იმ სრულიად გამაოგნებელ ქართულ ხალხურ ლექსში, რომელიც ეპიგრაფად წავუმძღვარე ჩემს ესეს, ნათლადაა წარმოჩენილი საუკუნეებგამოტარებული და გადარჩენილი ხერხემალი იბერიული კოსმოგონიისა.

მზე — დედა, კვლავგამჩენი და მაცოცხლებელი ყოველივე სულიერისა... საიდან მოდის ეს ერთმარცვლიანი სიტყვა?

შევეცადოთ, ასე გავყოთ ეს სიტყვა: მ-ზე „მ" წინასართი ამ შემთხვევაში შეიძლება გავიგოთ, როგორც მაწარმოებელი მიმღეობისა, აგენსისა. ასევეა: მ-ქადაგებელი, მ-ბორგავი, მ-ქმნელი, მ-ტვირთავი, მ-ჯდომელი, მ-პყრობელი, მ-წოლიარე და სხვ. „ზე" მაღლა ყოფნის, რაღაცაზე ამაღლების აღმნიშვნელი სიტყვაა: ზეაწეული, ზეცა, ზეობა, ზესთასოფელი და სხვ. „მ" წინასართთან ერთად ის, ჩემი აზრით, გამოხატავს ზევითმყოფელს, ანუ იმას, რაც ზე არის, რაც მაღლაა. აქვე გონებაში თვითონვე ამოტივტივდება ძველბერძნული (ნახევრად პელაზგური!) ღმერთი ზევსი „ზეუსი". ის ასეც იწერება — zeus. ნუთუ მხოლოდ ფონეტიკური მსგავსებაა? იგი, ისევე, როგორც უამრავი სხვა რამ, პელაზგურიდან (იბერიულიდან) ხომ არ შევიდა ბერძნულში?

დავუბრუნდეთ მზეს.

გარდა იმისა, რომ მზე მაღლაა, მას სხვა თვისებებიც გააჩნია და, უპირველეს ყოვლისა, მცხუნვარეა. სხვათა შორის, ამ სიტყვას საქართველოში მხოლოდ მზის მიმართ ამბობენ. თუმცა „ცხ" ძირიდანაა ნაწარმოები სხვა, მონათესავე სიტყვებიც: ცხელი, სიცხე, ცხოველი, ცეცხლი და სხვ. ამდენად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერის განვითარების გარკვეულ ეტაპზე, საქართველოში მზის კულტის დადგენისა და გავრცელების ეპოქაში, სავარაუდოა მზის სხვა სახელით მოხსენიებაც ანდა ქურუმთათვის და განდობილთათვის მისი კოდირებული ფორმით არსებობა. ეს კოდირებული, ანუ მეორე ვარიანტით სახელდება უნდა გამხდარყო საქართველოში მეტად ფართო და მნიშვნელოვანი ტოპონომიკის წარმოშობის საფუძველი. კერძოდ, ლაპარაკია „მცხე"-ს შესაძლო ვარიანტზე. მ-ცხე, ანუ ის, რაც აცხუნებს, რასაც სითბო მოაქვს. დღევანდელი მცხეთა, სანამ ის ქრისტიანობის ციტადელი გახდებოდა, მოგეხსენებათ, ასევე წარმართული სარწმუნოების ცენტრი იყო. აქ შემუსრა წმ. ნინომ არმაზის (აჰურამაზდას — მზისა და ცეცხლის ღვთაება) ბომონი.

მცხეთა მაზდეანობის ქართული განშტოების დედაქალაქი იყო. ამიტომ ერქვა მას მცხ-ეთა, ანუ მზის ქალაქი. ამ სარწმუნოებას მისდევდა აღმოსავლეთ საქართველო და დასავლეთ საქართველო ჩრდილო კავკასიიდან კაპადოკიის ჩათვლით. ოღონდ დროსა და სივრცეში, თავისებური ელფერით თავს იჩენდა მთვარის ღვთაებაც. ის ხანდახან თავს წამოყოფდა აღმოსავლეთშიც და ძირითადად პარალელურად არსებობდა და ვითარდებოდა მზის კულტთან ერთად (მ.ჩიქოვანი. ქართული მითოლოგია და ხალხური პოეზია, ქართული ხალხური პოეზია, 1, 1972).

მოგვიანებით ქრისტიანული რელიგია, ვფიქრობ, წარმართობიდან ისესხებს სიტყვას — „ცხება" (resp. მირონცხება, ზეთისცხება). თავდაპირველად ის მზის კულტთან, მზესთან „მცხესთან" ზიარებას აღნიშნავდა უთუოდ და ის იმდენად ეროვნული ნიშნის მატარებელი იყო (ე.ი., ქართული ცეცხლთაყვანისმცემლობა რეალურად არსებობდა), რომ გარეშეს, არაშინაურს „უცხოს" (უ-ცხ-ო) უწოდებდნენ ადამიანს, რომელსაც მზის კულტთან ზიარების გზა არ გაევლო. როგორც ითქვა, მზის კულტი მდედრობითი სქესის ღვთაება იყო. ეს ტრადიცია (მდედრის კულტი) ქართული ეთნოსის სულსა და სამშვინელში შემდეგ საუკუნეებში კრიალოსანივით აეწყობა ერთმანეთზე: მზე — ღვთისმშობელი (საქართველო მისი წილხვდომილია); წმ. ნინო (მან განანათლა ქართლი) — მზეს შედარებული; თითქმის მეოთხე იპოსტასად აღიარებული, წმინდანად შერაცხული თამარ. ამას თან ერთვის წარმართული მითოსური (დალი, დარეჯანი, ბაბარ „ბარბალე" და სხვა) თუ ქრისტიანული (შუშანიკი, ქეთევანი და სხვა) პერიოდის ქალღმერთები თუ წმინდანები, მათი გამორჩეული ადგილი ჩვენს ეროვნულ მითოსსა თუ ქრისტიანულ ცნობიერებაში და ხელთ გვრჩება ძირიდან მოყოლებული, შემდგომ განშტოებებად გასული საზრისი მდედრობითი სქესის გაღმერთებისა საქართველოში (იბერიულ რასაში მთლიანად). მაშ ასე, ერთი მხრივ, ზემოთ ნახსენები „მდედრობითი კრიალოსანი", ხოლო მეორე მხრივ, წინა თავში განხილული მგელი — თეთრი გიორგი — წმინდა გიორგი — მებრძოლი ქრისტიანობა ერთგვარ დაპირისპირებულობას ქმნის. ეს ბინარული ოპოზიციაა. ის, როგორც ყველა სხვა მისი მსგავსი, შინაგან ერთიანობას, ბალანსს ქმნის, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია ჯანსაღი სულიერებისა და ცნობიერების არსებობა.

"მცხის" თაყვანისცემა განსაკუთრებით სამხრეთ საქართველოში, „ზემონანი ქუეყანანი"-ში, ზემო ქართლში იყო გავრცელებული. „სამცხე", ალბათ, იმიტომ შეერქვა ამ მხარეს, რომ აქ ბევრი და მნიშვნელოვანი საკულტო ნაგებობა უნდა ყოფილიყო. ამაზე ადგილობრივი ტოპონომიკალა მეტყველებს. ნაწილი მესხებისა, - სამცხის მხარის მცხოვრებთა — პ.ინგოროყვას ვერსიით (პ.ინგოროყვა. გიორგი მერჩულე. „საბჭოთა მწერალი". თბილისი. 1954), დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზეც ცხოვრობდა. თურმე აქედანაა ამ მხარის ქართული ტოპონიმიკა და მათგან გამორჩეულად საკამათო — ცხუმი.

მზის ქალაქია ცხუმი. „ცხ" ჩვენთვის ნაცნობი ძირია, უმი „ჰომი" კი ადგილმდებარეობის მაჩვენებელი სუფიქსია.

ისმის კითხვა, რად ჰქვია სამცხის მოსახლეობას მესხები? აქ ჩემი ჰიპოთეტურობა უფრო შორს მიდის და მოწინააღმდეგესაც მეტს შევიძენ, მაგრამ მაინც თქმა სჯობს. მზე, გარდა იმისა, რომ ზეა — მაღლაა, მცხუნვარეა, ასხივებს კიდეც. ე.ი., ის მასხივებელია, მე-სხივე-ა, მე-სხ-ი-ა. ამტომაც მზის მაღმერთებელი ხალხისთვის თავისუფლად შეიძლებოდა მესხები ეწოდებინათ. უფრო მეტიც, არც „მესხების" ძველი ფორმები ცვლის სურათს: მოსხი, - აქ „მე" და „მო" პრეფიქსები ფუნქციურად იდენტურია (მაგ. მო-თამაშე; მო-კაშკაშე; მომღერალი და სხვ.). რაც შეეხება მოსინიკებს, ეს, ჩემი აზრით, ეტიმოლოგიურად სანიკებს „სანიგებს" უნდა შეესატყვისებოდეს. ზანურში (მეგრულ-ლაზური) მზის ღვთაების სახელი შესაბამისად ტრანსფორმირდა. ცხელი მეგრულად „ჩხე"-ა, შესაბამისად, მზესაც „ჩხანა" ჰქვია და, აქედან გამომდინარე, დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონომიკაშიც შესაბამის „ჩხ"-ძირიანი სახელები სჭარბობს. ამას ემატება ისიც, რომ ყველაზე, ასე ვთქვათ, ღვთიურ არსებას (ქრისტიანობაშიც ასეა) — თევზს მეგრულად „ჩხომი" ჰქვია. აქ შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს „ჩხ" ფუძე, რაც, ვფიქრობ, მის ქრისტიანობამდელ წარმომავლობაზე მიუთითებს. ძროხას ზანურში „ჩხოუ" შეესატყვისება. აქაც „ჩხ"-ა თვალში საცემი, მაგრამ საინტერესო კიდევ ის არის, რომ „ჩხოუ" იძლევა რძეს, რომელსაც „ბჟა" ჰქვა. „ბჟა" კი ახალ მეგრულში მზესაც ნიშნავს. ე.ი., „ბჟა" რძეც არის და მზეც.

საფიქრალია, რომ სიტყვათა ასეთი ძნელადასახსნელი, მაგრამ მრავლისმეტყველი „ზედდება" განპირობებულია მათი წარმოშობის ქრონოლოგიური დაშორებით.

უეჭველად, ცალკე კვლევის საგანია სიტყვა „ძროხის" წარმოშობა. ტოპონიმ ოძრხე „ოძრახე"-ში ჩვენთვის საინტერესო სიტყვის ფუძე გამოიკვეთება — ო-ძრხ-ე „ო"-ძრახ-ე. აქ ყურადღებას იპყრობს ის, რომ ისტორიულ ოძრხეში იყო ზადენ-გორა, მზის თაყვანისცემის ცნობილი, სახელგანთქმული ცენტრი.

თუ მსჯელობას კიდევ ერთხელ მივცემ თავისუფალ გასაქანს, თავს ერთი საინტერესო მომენტიც წამოჰყოფს. ოძრა-ხე „ო"-ძირა-ხე შეიძლება ასე გაიშიფროს: „ო" ზანური წინსართია და ქართულ „სა"-ს შეესაბამება. ძირა „ძირაფა" ზანურად ხედვას, მზერას ნიშნავს. აქ კიდევ ერთი თანხვედრა ხდება მზერა „მზე"-რა მზის, სინათლის, სხივის აღქმაა ანდა თვით სხივის გამონათება, გამოსხივება. „ხე" ზანურად მდედრობითი სქესის მაჩვენებელი სუფიქსია ("მზე დედაა ჩემი..."). გარდა ამისა, მზე თავისთავად კოსმიურ თვალად აღიქმება.

ამგვარად, გამოდის, რომ მზეს კიდევ ერთი, ზანური სახელი აქვს — „ოძირახე". აქედან კიდევ ერთი გზაჯვარედინი: ოძირახე „ოძრახე" „ოძრხე", ხოლო მათგან ნაწარმოები უნდა იყოს „ძროხა", - ასევე ღვთიური ცხოველი, რომლის პროდუქტსაც „ბჟა", ანუ მზე ჰქვია.

თუკი ქართულ-ძველეგვიპტური სამყაროს ნათესაობის ჰიპოთეზას როდისმე დამტკიცება უწერია, მაშინ ოზირისი „ოძირისის" ახსნაც ზემოთქმულით შეიძლება. ოზირისი „ოძირისი" ხომ მზის შვილი, თავად ღმერთი და ნაყოფიერების, გამრავლების, უკვდავების სიმბოლოა.

დავუბრუნდეთ ძირითად თემას.

"ჩხ"-ძირიანი ტოპონიმიკა, როგორც უკვე ვთქვით, დასავლეთ საქართველოში საკმარისადაა — ოჩხამური, ჩხარი, საჩხერე, ლანჩხუთი, ლეჩხუმი და სხვ. მიჩნეულია, რომ „ლანჩხუთი" მეგრული „ჩხოუ"-დან უნდა მომდინარეობდეს და დაახლოებით ასე ითარგმნება — „საძროხე". მეორე ვერსიით შეიძლება მხოლოდ „ჩხ" ძირი გამოიყოს: ლან-ჩხ-უთი „ლან-ჩხ-ეთი". ორივე შემთხვევაში ეს ტოპონიმი პირდაპირ თუ ირიბად მზის კულტს უკავშირდება. ყველაზე მეტი აზრთა სხვადასხვაობა „ლეჩხუმის" წარმოშობის შესახებაა. თითქოსდა აქ რთულად არ უნდა იყოს საქმე: ლე-ჩხ-უმი „ლე" ცნობილი ზანური წინსართია და ქართულში სუფიქს „ეთ"-ს შეესაბამება;[1] „ჩხ" ჩვენთვის ცნობილი ფუძეა; „უმი" "ომი" ადგილმდებარეობის, გარემოს აღმნიშვნელი სუფიქსია (შდრ. ბათუმი, სოხუმი, თორთუმი „თორთომი" და სხვ.).

ლ.ფრუიძის სტატიაში (ლ.ფრუიძე. ტერმინები „ლეჩხუმი"

---

[1] აქ შეიძლება სხვანარადაც იყოს საქმე: ზანური „ო" პრეფიქსი შეესაბამებოდეს „ეთ" ქართულ სუფიქსს, ხოლო „ლე" — ზანური წინსართი — ქართულ „სა" პრეფიქსს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და „ლეჩხუმელი", „რაჭა", „რაჭველი". და სახ. ნაშრ.) თითქმის ყველაფერია შეჯერებული ლეჩხუმის, თაკვერისა და რაჭის ტოპონიმკური გენეზისის შესახებ. საკმაოდ გავრცელებული მსჯელობის კრიტიკულ შეფასებას ვერ ვიკისრებ, მაგრამ ორიოდე მოსაზრება, ვფიქრობ, უნდა ითქვას. აქ ძირითადი არჩევანი ორ ვარიანტზე კეთდება: 1) „ლეჩხუმის" ძირი სვანურ რცხილას უკავშირდება (ისევე, როგორც ცხუმი „სოხუმი") და 2) ზანური „ჩხომი" — თევზი არის ამ ტერმინის ფუძე. რაც შეეხება რცხილას, არსებობს სერიოზული საფუძველი ამ ვარიანტის არავალიდურობისა. წარმოუდგენლად მიმაჩნია, რომ იმხელა ტერიტორიას, როგორიც ლეჩხუმს უკავია, „ქუეყანას" სახელი რცხილის გამო დარქმეოდა. არც ლეჩხუმში და არც სოხუმის შემოგარენში ამ ხის განსაკუთრებული რაოდენობა არ შეინიშნება. თუმცა, ისიც საფიქრებელია, რომ რცხილაც, ცხემლაც და სხვ. მზის საკულტო ხეებს წარმოადგენდნენ და საკულტო რიტუალებში გარკვეულ, შეიძლება, მნიშვნელოვან როლსაც თამაშობდნენ.

ვიმეორებ და ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ასეთი ზომის ტერიტორიების (კავკასიაში მაინც) და ასეთი რაოდენობის ეთნიკური ერთობების სახელი გამოკვეთილად რელიგიური (საკულტო, ტოტემური) ნიშნით უნდა განსაზღვრულიყო.

ჩემთვის ასევე სრულიად გაუგებარია, რატომ არის „ლე" წინსართი სვანური და არა ზანური, როდესაც ამ ენაზე მოლაპარაკე ტერიტორიაზე სწორედ ამ წინსართით ნაწარმოები ტოპონიმებია — იმ არეალშიც კი, სადაც ვერც ერთი ლეგენდა და მითი და სურვილიც კი სვანების განსახლებისა ვერ სწვდება. სვანურ წინსართად, ჩემი მოკრძალებული ვარაუდით, „ლა" შეიძლება ჩაითვალოს და მისგან ნაწარმოები საკმაოდ გრძელი რიგი ტოპონიმებისა დღევანდელი სვანეთის, სამეგრელოსა და აფხაზეთის რეგიონებში.

ახლა „ჩხუმი"-ს შესახებ. „ჩხუმი" "ჩხომი" ზანურად თევზია. მ.ჩიქოვანი აღნიშნავს, რომ „ისტორიულად ლეჩხუმი ცხუმარების, ანუ ცხუმების, ჩხუმარების, ანუ ჩხუმების სამფლობელო სვანებისა და მეგრელების გადანაცხოვრი ადგილია" (მ.ჩიქოვანი. ტოპონიმიკურ სახელთა წარმოება ლეჩხუმური მასალების მიხედვით, თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის შრომები, 7, 1999). ფრიად საინტერესო პოზიციად ქცეული ცნობაა. ალბათ, ასეთი ეთნიკური ჯგუფი არსებობდა თავისი განსაკუთრებული რელიგიური ცნობიერებით. ლ.ფრუიძე ცოტა ქვემოთ აღნიშნავს, რომ საქართველოში „თევზის დაცვა და რეწვა რელიგიურ რწმენასთან ჰქონდათ შეხამებული". ყველასთვის ცნობილია თევზის ადგილი ქრისტიანულ რელიგიაში, მაგრამ არც ისაა ახალი, რომ თევზი ქრისტიანობამდელ რელიგიებშიც მეტად დიდ და არაერთგვაროვან როლს თამაშობდა.

აქ ყურადღება მინდა გავამახვილო „ჩხომი"-ს ძირზე, ზემოთ უკვე არაერთხელ ნახსენებ ჩხ „ცხ"-ზე, რაც, ვიმეორებ, მზის (ცეცხლის) ღვთაებას გამოხატავს. ამ უკანასკნელის სრული პრევალირება ქართულ წარმართულ პანთეონში კი საკამათო ნამდვილად არ არის.

ასე რომ, თევზიც, ალბათ, მზის (ცეცხლის) კულტის ზოოტოტემია. „ჩხომი"-ის ძირი რომ „ჩხ"-ა, ამას მიუთითებს თევზჭერის ერთ-ერთი ფორმა ოჩხა (ოჩხი), რომლისგან „ო" ზანური წინსართის გამოყოფის შემდეგ თვალნათლივ მივიღებთ საძიებელ ფუძეს: ო-ჩხ-ი. შესაძლო ვარიანტებიდან „ჩხომი — თევზის" ერთიანი ძირის უგულებელყოფის შემთხვევაშიც ჩემი მსჯელობა რადიკალურად არ იცვლება, ის მაინც ქართულ ცეცხლთაყვანისმცემლობის სამყაროს უკავშირდება.

ერთობ საინტერესოდ მეჩვენება რაჭველი კაცისგან მოსმენილი და შემდეგ დოკუმენტურად დადასტურებული ტერმინი „ოჩხარი" (ალ. ღლონტი. ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. მეორე გამოცემა. გამომცემლობა „განათლება". თბილისი. 1984). ძირითადი განსაზღვრება ამ ტერმინისა, ვფიქრობ, ეს უნდა იყოს: „ლხინი, გამართული მოსავლის აღების დამთავრების გამო საერთო ხარჯით; არასადღესასწაულო დღეს მოწყობილი პურობა, ქეიფი ნათელია, რომ მოსავლის აღების დღე ქრისტიანულ თემში დღესასწაულად ვერაფრით ჩაითვლებოდა. ის აშკარა რუდიმენტია წინაქრისტიანული რელიგიისა. ტერმინში ჩანს ჩვენთვის საყურადღებო ძირი „ჩხ", რაც ისევ ცეცხლთან (მზესთან) გვაბრუნებს და, ალბათ, ამ დღესასწაულის აუცილებელი ატრიბუტი იყო. „ოჩხარი" იხმარებოდა ნადის, მამითადის, საერთოდ, შესაწევარის მნიშვნელობითაც და ეს ყველაფერი ისევ და ისევ რიტუალურ მომენტს უკავშირდება. აზრობრივად უაღრესად ტევადად მეჩვენება აღმოსავლეთ მთიანეთში ამ ტერმინის არსებობა და მისი ცხვართან დაკავშირება. „მთაში ჩვეულებად აქვთ: მსურველი მოვა მეცხვარეებში და ითხოვს ცხვარს, ისინიც მოუგროვებენ და მისცემენ. ამგვარად ცხვრის მოგროვებას ჰქვიან ოჩხარი" (იქვე). აქვე აღნიშნულია, რომ ამავე სიტყვით აღინიშნებოდა ცხვრის გაწყდომით დაზარალებულისთვის დახმარების აღმოჩენა და სხვ. აქ საინტერესოა „ცხვარი — ოჩხარის" დაკავშირება, ვინაიდან სიტყვა ცხვარი „ცხოვარი" „ცხო"-ვარი თვითონაა დაკავშირებული ცხ „ჩხ" ძირთან და ისევ ცეცხლთან (მზესთან) მივყავართ. ცხოვარი „ცხოველი" „სიცოცხლე" მზით, სითბოთია პირობადებული. თვით უფლის კიდევ ერთი სახელი „მაცხოვარი" ხომ სიცოცხლის მომნიჭებელს, სხივმომფენს, სამყაროს ძირითად მამოძრავებელს ნიშნავს.

ექიმი გიორგი თედორაძე ეთნოგრაფიულ გამოკვლევაში „ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში (ტფილისი. 1930) აღწერს ხევსურეთში გავრცელებულ მეტად საინტერესო, ამაღლებულ და, ალბათ, საუკუნეებით განმტკიცებულ ტრადიციას „ონჩხარი", რომლის დროსაც მეზობლები ერთმანეთს უანგარო, დაუმადლებელ დახმარებას უწევენ გაჭირვების ჟამს. ტრადიცია მეტად შთამბეჭდავია. თვით სიტყვა „ონჩხარი" აშკარად ზანურია და აქ კვლავ მზის საგალობელი ისმის. უნდა გავიხსენოთ თვით ფშავი „ფხოვის" და აფხაზეთი „აფშილეთის" ოდენ ფონეტიკური მსგავსება და მეტად დამაფიქრებელი კავშირი. არც ხევსურეთში გავრცელებული ათენგენობა, ანუ, პრაქტიკულად, ათინას საპატივცემულო დღეობაა ყურადღების მიღმა დასატოვებელი. საიდან ჩნდება აღმოსავლეთის მთიანეთში ათინას სახელი, როდესაც ის საქართველოს შავიზღვისპირეთშიც კი არსად გვხვდება? ათინა „ჰათენა" სიბრძნის, განათლების ქალღმერთია. ქართული „გათენება" „გა"-ათენება ამას ხომ არ გულისხმობს? აქვეა გაენათი „გელათი", რომელიც თანამედროვეთაგან „სხუა ათინად" მოიხსენიებოდა და რომელიც სიბრძნის, განათლების, სინათლის კერა იყო.

სპეციალური მსჯელობის საგანია თუ როგორ აღმოჩნდა წმინდა ზანური ჟღერადობიის „ოჩხარი" აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. ის თამამად შეგვიძლია მივაკუთვნოთ ჯერ კიდევ აუხსნელ იმ უამრავ ფაქტთა რიცხვს, რომლებიც ასე ჯიუტად ასაბუთებენ ქართული სამყაროს ამ ორი ნაწილის კავშირს.

როგორც უკვე არაერთხელ ითქვა, წარმართულ ქართულ (იბერიულ) სამყაროში ზოოტოტემების არსებობა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ბუნებრივია, მზეს — უმაღლეს ღვთაებას — რამდენიმე ზოომორფემა ექნებოდა. არსებობდა კერპები — არმაზი, ზადენი (ბოჩის, გაცისა და გაიმის შესახებ ძნელია რაიმეს თქმა, - ძალიან მწირია ინფორმაცია. გაცი და გაიმი, როგორც წესი, ვერცხლისგან კეთდებოდა და, არ არის გამორიცხული, ისინი მთვარის ღვთაებას წარმოადგენდნენ) და, უეჭველია, უნდა ყოფილიყო მთავარი ზოოტოტემიც.

ეს იყო ცხენი.

ეს სახელიდანაც ჩანს: ცხ-ენი.

ცხენი მზის შვილი იყო.

საქართველოში ცხენი ყოველთვის გამორჩეული პატივით (გნებავთ, თაყვანისცემით) სარგებლობდა. ის იყო და არის სილამაზის, ძლიერების, ერთგულების, გონიერების, სიმდიდრისა და ბარაქის სიმბოლო.

მისი წაგვრა მადლის მოსპობა იყო.

ცხენის ჩუქება კეთილმოსურნეობის და უდავო მეგობრობის დასტური, მეგობრისა თუ მეტოქის აღიარება, მისი დაფასება იყო. სამეგრელოში ბოლო პერიოდში გაუკუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღმართებულ და გაუაზრებელ ტრადიციად ქცეული ცხენის პარვა ამ უძველესი მრწამსისა იყო, ოღონდ ძირგამოცლილი, აზრნაკლული და ვნებად, სისხლადქცეული მრწამსისა, რომელსაც ამ სახელს ვეღარც კი უწოდებ.

ყველა მოგზაური აღნიშნავდა საქართველოსა და მთელს კავკასიაში ცხენების, მათი ჯიშების დიდ სიმრავლეს, სიკეთესა და ცხენოსნობის დიდ კულტურას.

მთელი მსოფლიოს საცირკო ხელოვნებაში ცხენჯომარდობასთან დაკავშირებული ნომრების უდიდეს ნაწილში კავკასიური ელემენტი გამოსჭვიოდა: თავზე ფაფახი, სტილიზებული ჩოხა და სისხლის გამყინავი ყიჟინა. მარტო გურული ცხენოსნების ამერიკაში მოგზაურობა რად ღირს. იმ ამერიკაში, რომლის „მცირეწლოვან", ჩვენს თვალწინ ჩამოყალიბებულ სიმბოლოდ ცხენი და მასზე ამხედრებული „შლაპიანი" მწყემსი იქცა.

საქართველოსა და მთლიანად კავკასიაში ცხენი ესთეტიკურ-ეთიკური ტოტემი იყო. ის ცოტა უფრო სამხრეთით ქართველურ ტომთა კიდევ ერთი ძლიერი და მეტად სახელოვანი გაერთიანების — კაპადოკიის სახელმწიფოს ტოპონიმიკის საფუძვლად იქცა.

კაპადოკია — ლამაზი ცხენების ქვეყანა — ასე ითარგმნება ეს ტოპონიმი თუ ეთნონიმი. ამ იბერიული მოდგმის ხალხით დასახლებული ქვეყნიდან მოვიდა საქართველოში ყველა მადლი: ქრისტიანობა — წმ. ნინოს ხელით, რომელსაც, როგორც მისი „ცხოვრებიდან" ჩანს, ენობრივი ბარიერი არ ჰქონია, ის შინაური იყო და მისი სურვილიცა და მისიაც სავსებით გასაგები ხდება; წმ. გიორგი — სახელით დაწყებული, მენტალიტეტითა და ქართველთა მიერ მისი უსიტყვო აღიარებითა და თითქმის გაღმერთებით. თუმცა ამაზე ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ; აქედან მოდიოდა განათლებაც საქართველოში: გრიგოლ ნოსელსა და ბასილი დიდს, გრიგოლ ნაზიანზელს და სხვათა კაპადოკიელ წმიდა მამათ თარგმნიდნენ და ეთაყვანებოდნენ ქართველნი. საბერძნეთში (რომში) ჩასულებს იქ ყოფნა და ურთიერთობა ერთგვარად უჭირდათ (ასეა აღწერილი მათს „ცხოვრებაში" და ბერძნული წყაროებიც იმავეს გვამცნობენ), სამშობლო ენატრებოდათ, გული აქეთ მოუწევდათ (ე.ხინთიბიძე. კაპადოკიელ წმიდა მამათა სადაურობისათვის. ჟურნალი „ჯვარი ვაზისა" 3. 1992 წ.), ისე კი კაპადოკიელ მამათ ოფიციალურ — სალიტერატურო ენად ბერძნული ჰქონდათ.

იმპერიის ენა იყო ბერძნული.

წარმატებული, დამსახურებულად აღიარებული, განათლებული ერისა და პოლიტიკური ჰეგემონის (თანაჰეგემონისა, ლათინებთან ერთად).

ასეთად იქცა შემდგომ ლათინური, არაბული... დღეს — ინგლისური.

გუშინ კი რუსულად ვწერდით. სხვანაირად, სამწუხაროდ, ვერავინ გაიგებდა ჩვენს ნაფიქრ-ნაწვალებს, ნააზრევს თვინიერ შენივე თანამემამულისა. არადა, დაფასება, აღიარება უნდა მეცნიერს, ფილოსოფოსს. გასაქანი უნდა... თანამედროვე მეცნიერები, როდესაც საქმე მცირე აზიის მოსახლეობას ეხება, რატომღაც ცდილობენ, არ დააზუსტონ ეროვნული კუთვნილება. „თავშესაფარი ტერმინი" ამ შემთხვევაში ერთია, - „მცირეაზიური მოსახლეობა", რაც, საკამათო არ არის, - გეოგრაფიული ტერმინია და არა მარტო უზუსტობის დიდ დოზას შეიცავს, არამედ, გარკვეულწილად, დანაშაულებრივ ელემენტსაც ატარებს, თუ, რასაკვირველია, უდანაშაულობის პრეზუმპციას დავარღვევთ და მავანს წინასწარგანზრახულ ქმედებაში, აკვიატებულ აზრში, ანუ სულაც უბრალო ტენდენციურობაში დავსდებთ ბრალს. ეს დანაშაული კვალიფიცირდება აქ მცხოვრები ხალხის ისტორიის, კულტურის ფალსიფიკაციად, იგნორირებად და ეროვნული თავმოყვარეობის შელახვად.

მე მგონი, ძალიან ხმამაღლა გამოვიდა, მაგრამ ეს ტენდენცია გრძელდება არა მარტო ისტორიული მცირე აზიის მიმართ, არამედ ის დღეს იმავე სცენარით კავკასიის ხალხთა ერთობის წინააღმდეგაც მოქმედებს. მცირე აზია თურქ-სელჯუკების გამოჩენამდე (XI ს.) ეთნიკურად საკმაოდ ერთგვაროვანი იყო. იქ ძირთადად ქართველები (ქართველური ტომები), სომხები (აღმოსავლეთ, კონტინენტურ ნაწილში) და ბერძნები ცხოვრობდნენ. ამ უკანასკნელებმა შედარებით გვიან დაიკავეს მცირე აზიის განვითარებული და აყვავებული ქალაქებისა და კუნძულების ამორჩევითად სტრატეგიული მნიშვნელობის ნაწილები — კვარტალები, უბნები (შ.გოზალიშვილი. მითრიდატე პონტოელი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. 1962). მათ „ემპორიუმები" ერქვათ და ძირითადად ბერძენი ვაჭრებით იყო დასახლებული. ეს ემპორიუმები ქალაქების მხოლოდ გარკვეულ ნაწილს წარმოადგენდა. ბერძენი მოსახლეობა ქვეყნის სიღრმეში არ იჭრებოდა (დ.ერემეევი, ო.ლორთქიფანიძე) (წ.ბაწაში. ეთნორელიგიური პროცესები ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში. გამომც. „მეცნიერება". თბილისი. 1988). სანამ ბერძნების მცირე აზიაში განსახლებას მივუბრუნდებოდე, ორიოდე სიტყვა ქართველური ტომების შესახებ უნდა ითქვას. მეცნიერთა „დაბნევის" ძირითადი მიზეზი (თუ წინასწარგანზრახულობას არ მივიღებთ მხედველობაში) არის ეთნონიმების სიჭრელე, რომლებიც, ამავე დროს, ისტორიისთვის შედარებით ხანმოკლე დროში საკმაოდ სწრაფად იცვლებოდა. ამ ტომებს ერთი ეპოქის სხვადასხვა ბერძენი თუ სხვა ქვეყნის ისტორიკოს-გეოგრაფებიც კი განსხვავებულ სახელს უწოდებენ და ვერც გეოგრაფიულ არეს შემოხაზავენ ხოლმე გარკვეულად და ერთნაირად.[1] სანები, ზანები, ჭანები, სანიკები, მოსინიკები, ჰენიოხები, კოლაელები, ტაოხები, დიაოხები, ქაშგები, კაპადოკიელები, პონტოელები, სპერები, სასპერები, პაფლაგონიელები... ამ და უამრავ სხვა სახელს ქართველური ტომებისა სრული არევ-დარევა შეაქვს უცხოელი მეცნიერის მწყობრ (გარკვეულწილად, - სტერეოტიპულ) სააზროვნო ლოგიკაში. იბერიული მოდგმის ამ თავისებურების გასაგებად, ალბათ, საკმაო იქნებოდა დღევანდელი საქართველოს ეთნოგრაფიული კუთხეების გაცნობა და ჩრდილო კავკასიის ხალხთა მრავალფეროვნების აღქმა, ამ უნიკალურად ერთიანი და ამავე დროს განსხვავებული ყოფისა და ტრადიციების, დიალექტების, ენების თანაარსებობის დაფიქსირება. ყოველივე ეს ნათელს გახდის ამ „სიჭრელის" წარმოშობის მიზეზს, ანუ ძირსა და შინაგან ლოგიკას, იმანენტურს ამ მოდგმის ხალხის ისტორიული განვითარების მთელს გზაზე. ხატოვნად რომ ვთქვათ, დღევანდელი საქართველო ის ჭრელი, ეთნოლოგიური, მაგრამ ერთიან რასობრივ-ეთნიკური „ხალიჩაა", რომელიც მთელ ახლო აღმოსავლეთს, მცირე აზიას (კავკასიითურთ) და სამხრეთ ევროპას (ბრიტანეთის კუნძულებამდე) ჰფარავდა.

ფაქტია, მცირე აზიაში (მის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილში მაინც) ძირითადად ქართველური ტომები სახლობდნენ თავისი ეთნოლოგიური მრავალფეროვნებით, დიალექტების სიმრავლითა და კულტურულ-ისტორიული ერთობით. ამისავე დასტურია ამ ტერიტორიაზე სხვადასხვა დროს (განსხვავება ათეულ საუკუნეებშია) წარმოშობილი სახელმწიფოები, რომელთა ჩვენამდე მოღწეულ მატერიალურ ძეგლებში ასე მძლავრად გამოიკვეთება ქართული სამყაროსთვის დამახასიათებელი ნიშნები (გ.ჟორდანია. მეხურელნი. საქართველოს სსრ აკადემიის გამომცემლობა. თბილისი. 1956).

ეს სახელმწიფოები იყო მითანი, ურარტუ, კაპადოკია, პონტო... აღარაფერს ვამბობთ ლაზიკასა და იბერიაზე და მათი გაერთიანებით გაბრწყინებულ მთლიან საქართველოზე.

გამოჩენილი გერმანელი ისტორიკოსი ედუარდ მაიერი: „კავკასიური რაიონები დასახლებულია მრავალრიცხოვანი ტომებით, რომელთა ეთნიკური ბუნება ჯერ კიდევ ნაკლებადაა გამოკვლეული. ეს ტომები თითქოს (ხაზი ჩემია, - რ.შ.) ერთმანეთთან არ არიან ნათესაურ კავშირში. ამათგან ყველაზე ცნობილი არიან ივერიელები (აწინდელი ქართველები), რომელთაც მტკვრის ხეობა უჭირავთ. ეჭვს გარეშეა, ეს

[1] ჩემი აზრით, სწორედ ეს არის ერთი უმთავრეს ნიშანთაგანი ამ ტომების ერთიანი ეთნიკური წარმოშობისა: სახელმწიფოებრიობის უქონლობა, ან დაბალი ხარისხი, უბრალო ადმინისტრირების დონეზე; ხშირი მიგრაცია და სახელცვლილება.

ხალხები წინათ ღრმად იყვნენ შეჭრილი მცირე აზიასა და სომხეთში (მცირე აზია და სომხეთი ცალ-ცალკე მოიხსენიება — რ.შ.) მათ უნდა მივათვალოთ მოსხები-მესხები (ბიბლიური ტებალ, ასურული ტაბალაი), რომელთაც ხეთების სამეფოს დაცემის შემდეგ კაპადოკია ეჭირათ და იქიდან ილაშქრებდნენ ტიგროსის მხარეში".

დიდი მეცნიერი ფრ. ჰომელი წერდა: „მცირე აზია ოდესღაც თითქმის მთლიანად დასახლებული იყო იმ ხალხებით, რომლებიც ხეთებთან ერთად შეადგენდნენ ერთ მონათესავე ეთნიკურ ჯგუფს. ხალხთა ამ ალაროდიულ ჯგუფს ეკუთვნოდნენ: ა) ელამები და კასეები ბ) ძველი სომხეთის მკვიდრნი (ნამდვილი ალაროდიელები), ე.ი., ურარტუს (ბიბლიის მიხედვით არარატის) მკვიდრნი, რომელთა შთამომავლებადაც უნდა ჩავთვალოთ ქართველები".

არნ. ჩიქობავა „რაც უფრო შორს ვიხედებით ქართველური და სხვა იბერიულ-კავკასიური ენების ისტორიულ წარსულში, მით უფრო ხელშესახები ხდება ამ ენათა წარმოშობითი კავშირები წინა აზიისა და შუამდინარეთის ძველი ცივილიზაციის ენებთან (ურარტულთან, ხურიტულთან, ხეთურთან, ელამურთან, შუმერულთან)" (ციტატა შ.ძიძიგურის წიგნიდან ბასკები და ქართველები. საბჭოთა საქართველო. თბილისი. 1978 წ.).

ექვთიმე ათონელი (X ს.) სამხრეთელი ქართველი ტომების აღწერისას ასახელებს მეხურელებს (გ.ჟორდანია. დასახ. ნაშრომი), რომლებიც ბერძნულსა თუ სხვა წყაროებში ამ სახელით მაინც არ მოიხსენიება. გ.ჟორდანია მათ სრულიად საფუძვლიანად ურარტელთა უახლოეს მონათესავედ მიიჩნევს. მოვიყვან რამდენიმე ამონაწერს გ.ჟორდანიას დასახელებული წიგნიდან: „დღეს კარგად არის გამორკვეული მეცნიერთა მიერ, რომ ძველაღმოსავლურ კულტურულ ხალხებს შორის ჩვენს წინაპრებთან უახლოესნი იყვნენ ურარტელები... ქართულ წარმართულ ღვთაებებსაც, უეჭველია, გააჩნდათ თავიანთი შესატყვისი ღვთაებანი ხურიურარტულ წარმართულ პანთეონში. ასეთად გვევლინება, მაგალითად, ძველი ქართული ღვთაება „კვირია" ("კვირაა", „კვირიე"), რომელიც აკად. ივ.ჯავახიშვილის გამოკვლევის თანახმად ყოფილა სქესობრივი სიყვარულის, განაყოფიერების და შვილოსნობის მფარველი ღვთაება... ივ.ჯავახიშვილი გამოთქვამს რამდენიმე მოსაზრებას: (1) „შეიძლება „კვირია" კვირისგან იყოს წარმომდგარი იმიტომ, რომ იმ ღვთაებას, რომელსაც შემდეგ ეს სიტყვა საკუთარ სახელად გადაექცა, შვიდეულში სწორედ ეს დღე ჰქონდა მიკუთვნილი" (ეს დღე მზის დღეა! — რ.შ.). (2) „შეიძლება აგრეთვე „კვირია" ძველს მცირე აზია-საბერძნეთში გავრცელებული სახელის „კვირია"-საგან იყოს წარმომდგარი (ბერძნები აქ არაფერ შუაშია, - რ.შ.), რომელიც „უფალსა" ჰნიშნავდა და სხვადასხვა ღვთაების შესახებ იხმარებოდა, სხვათა შორის „კვირიოს" მზესაც და საბაძიოის ასფადსაც უწოდებდნენ (ხაზი ჩემია — რ.შ.)...

... გრ. ღაფანციანის მიერ მოყვანილი მასალის თანახმად, ყოფილა ხურიტული ღვთაება „Santallugran" ანდა "Santallugran", ამის მსგავსი სახელი "Santa". ეს ღვთაება განსაკუთრებით პატივცემული ყოფილა მცირე აზიის სამხრეთ ნაწილში და თურმე შეესაბამებოდა ბაბილონურ მარდუკს, ე.ი., ელვა-ჭექა-ქუხილის ღვთაებას და, მაშასადამე, ალბათ, შეესაბამებოდა ხურულ „თეშუბს" და ურარტულ „თეიშუბას" (აქ იკვეთება სიტყვა „შუბი", რომელიც ამ ღვთაების უეჭველი ატრიბუტია — რ.შ.)... მაგრამ, ... ელვა და ჭექაქუხილი ხომ დაკავშირებულია ცეცხლის გაჩენასთან, გახურებასთან (ხაზი ჩემია — რ.შ.), გავარვარებასთან. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ ჰ.აჭარიანი თავის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში ორგვარ განმარტებას აძლევს სომხურ სიტყვას „შანთ", რომლის მეორენაირი ფორმა ყოფილა „შანდ": 1) „ელვა", „ცის ცეცხლი" 2) „დამდაღავი რკინა" და ამ უკანასკნელთან შესადარებლად მას მოჰყავს ქართული სიტყვა „შანთი" (ჰ.აჭარიანი. სომხური ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონი (სომხურ ენაზე). ტ. IV. გვ. 268, 270).

ჩემი მოტანილი ვრცელი ამონარიდი, ვფიქრობ, მთლიანად ადასტურებს ჩვენს ლოგიკას და ზოგადად და კერძოდ მიგვანიშნებს, რომ ტერმინ მეხურელნი „ხურიტების" ძირი არის „ხურ". ხურ „მ"-ხურ-ვ-ალე „გა"-ხურ-ებ „ხურ"-ვ-ება და სხვ. ერთი სემანტიკური დატვირთვის სტყვებია სითბოს, ცეცხლს, მზეს უკავშირდება. ამდენად, ჩვენს ხელთაა მზის კულტის კიდევ ერთი გამოვლინება და მზის კიდევ ერთი, ასე ვთქვათ, „ზედწოდება" — „მხურვალე". ეს სიტყვა, არა მგონია, მზის მიმართ უცხოდ ჟღერდეს, ხოლო ნახსენებ მისტიკურ ეპოქაში და იმ გარემოში კი ის, შესაძლოა, ერთადერთ ვარიანტად არსებობდა ან მზის — ღვთაების — ერთ-ერთი სახელი იყო.

მეტად საინტერესოდ სვამს საკითხს თ.ბიბილური (თ.ბიბილური. აპოლონის ტაძარი დიდ მცხეთაში (საკითხის დასმის წესით). — კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები. XVI. თბილისი. 2003), როდესაც დიდ მცხეთაში აპოლონის ტაძრის არსებობის შესაძლებლობაზე მიუთითებს. მსჯელობა ლოგიკურია და კარგად არგუმენტირებული. აპოლონი (თები) ფორმით გასხივოსნებული მზეა, შინაარსით მიზეზებისა და შთაგონების მფარველი (მუზაგეტი), „საქმიანობით" მკურნალია (მეანი) და ა.შ. მისი, როგორც მზის ღვთაების, ტაძრის არსებობა დღევანდელი სვეტიცხოვლის მიდამოში სრულიად რეალური ჩანს, რასაც არქეოლოგიური მონაპოვრებიც ადასტურებს. ჩემი ყურადღება წმ. ნინოს მოღვაწეობის იმ ეპიზოდმა მიიპყრო, როცა ამ ტაძრის მოგვის — სპარსი ხუარას — განკურნებაა აღწერილი. ეს პასაჟი, ვფიქრობ, მითოსურია და მოგვის ქრისტიანად მოქცევას უნდა ასახავდეს (ისევე, როორც ნანას სნეულება და მისი ნინოსგან კურნება). აქ მოგვის სახელი ხუარა „ხვარა" შეიძლება ცეცხლთაყვანისმცემლის (მოგვის) ზოგადი სახელიც (წოდება) კი იყოს. ხუარა „ხვარას" მზესთან კავშირზე არ კამათობენ (შდრ. ხვარამზე), მაგრამ, ალბათ, ლოგიკას მოკლებული არ იქნებოდა, თუკი ყველაფერ ამას ხორბალთანაც დავაკავშირებდით. ხორბალი „ხვარბელი" „ხუარბალი", ვფიქრობ, ორი ფუძისგან უნდა შედგებოდეს: ხორ „ხვარ" „ხუარ და რბალ" „ბარბალ" „ბირბალ" „ბორბალ". ეს უკანასკნელი კი პირველისგან დამოუკიდებლადაც მზეს აღნიშნავდა და ღვთაება ბაბარჰჰბარბალეს უკავშირდებოდა. ამდენად, ხორბალიც მზის მცენარეა.

კიდევ ერთი საინტერესო პარალელი: „ძნა — ყანის კონა (17,5 ესაია)" — წერს საბა და იქვე: „ძნობი — შეწყობილი ხმა (150,4 ფს.)"; „მძნობელი — ძნობის მოქმედი (30,19 ერემია)".

ძნობით კი თურმე მზის საგალობელს მღეროდნენ (ა.ერქომაიშვილი. მძლევარი. თბილისი. 2003). არ არის გამორიცხული, რომ სიტყვა „გრძნობა"-საც ეს ძირი და წარმომავლობა ჰქონდეს.

აქვე, არ შეიძლება, არ მოვიხსენიო ტერმინი „ქურა"-ც, რომელიც იგივე წარმოშობის სიტყვად მეჩვენება, მითუმეტეს, რომ მჭედლობა და მჭედელი მითოსურად (იგულისხმე, - რელიგიურად) უაღრესად დატვირთულ როლს თამაშობდა პროტოქართველურ სამყაროში, გვიანდელ ფოლკლორსა და ჯერ კდევ მაშინდელ ქართულ ყოფაში. ეს კავშირი ქურ-ხურ, მით უფრო საფიქრებელია, რამდენადაც შუა და სამხრეთ მცირე აზია მეცნიერთა მიერ მეტალურგიის ჩასახვისა და განვითარების არეალადაა მიჩნეული. ასე, რომ გ.ჟორდანიას შესანიშნავი წიგნის დედააზრს — ურარტუ-ხურიტებიმეხურელები ქართულ (პროტოქართულ) სამყაროს დაუკავშიროს, ვფიქრობ, ეს ჩემი მოკრძალებული ვარაუდიც წაადგება.

ბიბლიისეულ დაბადებაში მოიხსენიებიან თუბალთობელები, რომელთა შესახებ ებრაელი ისტორიკოსი იოსებ ფლაბიოსი (ქრ.შ-დან I საუკუნე) წერდა, იაფეტის შვილის თუბალ-თობალის შთამომავალნი დღეს იბერებად იწოდებიანო (გეორგიკა, I. 1961. გვ. 271 (ციტ. შ.ძიძიგური. ბასკები და ქართველები. საბჭოთა საქართველო. თბილისი. 1978 წ.). „ამ ცნობასთან დაკავშირებით ლეო ალაციუსი დასძენდა: იბერთა ხალხები აზიაში იყვნენ ხალიბთა ტომის მეზობლად და იქვე ლითონის საბადოებს ამუშავებდნენ. ეზეკიელიც ჩრდილოეთით ათავსებს თუბალს" (ციტატა შ.ძიძიგურის დასახ. წიგნიდან). თუბალი ბიბლიურადაც მჭედელია, ხოლო იბერთა მოდგმის მიერ სამჭედლო-მეტალურგიული საქმიანობის მოთავეობის შესახებ არც ანტიკური მწერლები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვობენ და არც დღევანდელი ისტორიკოსები. თუბალებისა და იბერების ერთობაზე წერდნენ ევსტათი ანტიოქიელი, ლეონ გრამატიკოსი, კვიპრელი ეპისკოპოსი (გეორგიკა — I და V) და სხვ. თუბალებს ბერძნები ტიბარენებს ან ტიბარებს უწოდებდნენ და მას იბერ-ს, იბერიას უკავშირებდნენ. ამ თვალსაზრისს იცავდნენ ვივიან დე სენ-მარტენი, პ.უსლარი, ჰ.ჰუპერტი, ნ.მარი, ივ.ჯავახიშვილი, ი.ყიფშიძე, ს.ჯანაშია, გ.მელიქიშვილი და სხვები (შ.ძიძიგური. დასახ. ნაშრომი).

თებალ-თუბალ-ტაბარ-ტიბარ-იაბალ-იუბალ-ჰიბერ-იბერ ვარიანტების წარმოშობას ლინგვისტები სავსებით დასაშვებად თვლიან, მაგრამ ამ წუთას ჩემთვის ეს არ არის მთავარი. საიდან მოდის ფუძისეული „ტიბ", „ტობ", „ტაბ" (თ„ტ")? უცნაურია, მაგრამ მეგრულსა და სვანურში ამ ძირზე დამყარებული ორი, კვლავ ბინარული ოპოზიციით გაერთიანებული ცნებაა: წყალი და სითბო (რესპ. ცეცხლი). აქვე თუ გავიხსენებთ, თუბალის ბიბლიურ მჭედლობას, ქართველურ ტომთა მეტალურგიულ საქმიანობას, ამირანის მითს (ჯაჭვისა და მჭედლების პასაჟს), ერთგვარი წრე იკვრება. მაინც ყველაფერი, ჩემი აზრით, ცეცხლისა და სითბოს, მზის კულტს უკავშირდება; ის, რომ ტობა„ტიბა" „ტვიბ" „ტბა" წყლის აღმნიშვნელია, ვიმეორებ, „ოპოზიციური ერთიანობა" ერთის მხრივ და მეორეს მხრივ ზღვისპირა ქართველური ტომების მიერ წყლის კულტის არსებობითაც აიხსნება (ლაზების დღესასწაული — ლიტროფიშენი, ეგრი „იგრი" „ენგური" „არაგვი" ცნებების ერთიანობა და ადგილი ქართულ მითოსში და სხვა).

აქვე უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ, ასურული ცნობებით, ტაბალები 24 სამეფოდ იყოფოდნენ. ხეთოლოგმა ე.ფორერმა აღნიშნა, რომ ასურული წარწერების „ტაბალ" საერთო სახელწოდებაა ამ 24 „სამეფოსი", რომლებიც, ავტორთა ლოკალიზაციით, ჩრდილოეთით მდებარეობდნენ. ე.ფორერმა აღნიშნა, რომ ხეთური ლურსმნული დამწერლობა ტაბალებს ეკუთვნის. აქ ჩვენთვის ისაა საგულისხმო, რომ, იმავე ავტორის აზრით, ტაბალურ ხატოვან წარწერებში (კარხემიშიდან) ტაბალების ქვეყანა აღნიშნულია იდეოგრამით, რომელიც აიხსნება, როგორც „წყალი". მთლიანად ქვეყნის სახელი უნდა გაიშიფროს, როგორც „წყლის ქვეყანა", ხოლო ამ ქვეყნის ხალხის სახელწოდება, როგორც „წყლის, ანუ ზღვის ქვეყნის ხალხი" (E.Forrer. Die hethitische Bilderschift. გვ.57. (ციტ. შ.ძიძიგური დასახ. ნაშრომიდან).

სავსებით შესაძლებელია, მაგრამ რა ვუყოთ იმას, რომ ზანურში ტიბა „ტობა" „ტუბა" სითბოს აღნიშნავს (მაგ., ტოპონიმი წყალტუბო, რომელიც თბილ წყალს ნიშნავს)?

აკად. ა.შანიძეც „ტაბალ"-ს ტბასთან, წყალთან აკავშირებს და ტაბახმელასთან ერთად ტოპონიმი ტაბაწყურიც მოაქვს. მაგრამ, ვფიქრობ, სწორედ უკანასკნელი ჩვენს ვარაუდს უფრო ეხმიანება — „ტაბაწყური" სიტყვასიტყვით „თბილ წყალს" ნიშნავს თანამედროვე მეგრულშიც კი. ყველაფერი ზემოთქმული, ალბათ, იმის უფლებას მაინც იძლევა, ეს უაღრესად საინტერესო საკითხი ღიად დარჩეს. კიდევ ორიოდე ამონარიდს მოვიტან. ტაბალთა „მეურნეობა მაღალ დონეზე მდგარა; ასურელნი ძალიან აქებენ ტაბალურ ცხენებს: განვითარებული ჰქონიათ მეტალურგია (ხაზი ჩემია — რ.შ.)". (შ.ძიძიგური. დასახ. ნაშრ.). თუბალ-კაინის შესახებ ბიბლია გვამცნობს: „ესე იყო კვერით ხუროი, მჭედელი რვალისა და რკინისა" (შესაქმე, IV, 22).

ხეთების მეფე მუვათალის (ქრ. შ.-მდე 1300 წ.) მეფობის დროს „მცირეაზიელებს" ასეთი ლექსი დაუწერიათ (კ.კერამი. ხეთების საიდუმლოება. ნაკადული. თბილისი. 1966 წ.):

მზის ღმერთო ცისა! კაცობრიობის მოძღვარო!
შენ ამოდიხარ ზღვიდან, მზეო ცისა.
მაღლა ცისკენ შენ ადიხარ შენი გზით,
მზის ღმერთო ცისა, ჩემო ბატონო! ადამიანთა ნაშიერებს,
ძაღლებს, ღორებს, მინდვრის მხეცებს
მუდამ დღე შენ აძლევ მართლმსაჯულებას, ღვთიურო მზეო.

თვითონ კ.კერამი მეორე სტრიქონს აქცევს ყურადღებას, ღვთიურო მზეო. პირველსაცხოვრისის დასადგენად ნართაული რამ შეიტყოს. მაგრამ ეგებ სხვა საიდუმლო დღევს რამე? მზისა და წყლის შეხვედრაა აქ დაფიქსირებული და არც ისე მარტივი ხალხი იყო ჩვენი წინაპრები, ბავშვივით დავიჯიროთ წამოცდენილ სიტყვაზე.

ბერძნებს იბერიული სამყაროსადმი ყოველთვის ჩამოყალიბებული და პოლიტიკურად განსაზღვრული დამოკიდებულება ჰქონდათ.

ეს უკანასკნელი, - პოლიტიკა — ეტყობა, ძველი ქართული ტომების აზროვნების აქილევსის ქუსლი იყო. ემოციის სიჭარბე, გაუგებრად ზედმეტი ტოლერანტობა, თვითდაჯერებულობა და, გარკვეულწილად, მომავლისადმი უპასუხისმგებლობა იყო და დარჩა ამ მოდგმის ერთ-ერთ უსიამოვნო მახასიათებლად. იგი ყოველთვის ადვილად ეგუებოდა უცხოურ კულტურას, თუმცა არასდროს გადაუხვევია საკუთარი განვითარების გზიდან. საოცარია, მაგრამ ხშირად რომელიმე ძლიერ იმპერიასთან სამასწლოვანი მჭიდრო ურთიერთობიდან ამ ტომებს მხოლოდ რამდენიმე ათეული სიტყვა თუ დარჩენიათ, ხოლო სხვა რამ — კულტურული და მენტალური — იმდენად ძლიერ შეცვლილა, რომ უაღრესად ძნელი გამხდარა მისი პირველსახის ამოცნობა.

დავუბრუნდეთ მცირეაზიელ ბერძნებს. ისინი, როგორც ვთქვი, აქ კომპაქტურად, მცირერიცხოვანი სათვისტომოების სახით იყვნენ წარმოდგენილი და მათი ძირითადი საქმიანობა ვაჭრობა იყო. ამ მეტად განვიითარებული და წარმატებული ერის ენა მძლავრი იმპერიისა და იმ დროის მსოფლიოსთვის კულტურული ტონის მიმცემი სახელმწიფოს ოფიციალური ენა იყო (Watson G.Theriac and Mithridatium. A.Study on Therapeutics. London. The Wellcome Historical Medical Library. 1966).

ის ერთაშორისი ურთიერთობის ენის ფუნქციასაც ასრულებდა.

მაინც რა იყო მიზეზი ბერძნული კულტურის ამგვარი აყვავებისა? რამ შვა იგი?

ფაქტია, რომ ელინები მეორე ათასწლეულის შუახანებში გამოჩნდნენ ბალკანეთზე. მანამდე იქ ისევე, როგორც მთელს მედიტერანიულ სამყაროში, მცირე აზია-კავკასიაში და ნაწილობრივ შუამდინარეთში, ერთიანი რასის — იბერიული მოდგმის — ხალხი ცხოვრობდა. ამ მოდგმის ხალხები საუკუნეების განმავლობაში „სათითაოდ" იქნა ათვისებული სხვადასხვა ინდოევროპული თუ სხვა წარმოშობის, ნაკლებად კულტურული ტომების მიერ (იქვე). პელაზგებიელინების, ეტრუსკები-ლათინების, ესპანეთის იბერებიფრანკებისა და გალების მიერ და ა.შ. ბევრად ადრე ეს მისია მესოპოტამიაში შუმერების მიმართ სემიტურმა ტომებმა შეასრულეს და შედეგად ბაბილონისა და ასურეთის უდიდესი კულტურა მიიღეს.

პელაზგური (იბერიული) სამყაროს კრახია სწორედ აღწერილი ჰომეროსის „ილიადაში". ტროას ომითაა სიმბოლიზებული ორი სამყაროს შეჯახება, ორი კულტურულგენეტიკური ერთობის ბრძოლა, სადაც გენიალური მითოსური ენითაა გადმოცემული უამრავ უდიდეს მნიშვნელობის ინფორმაცია. ნიშანდობლივია, რომ ბერძნები დამხვდურ და საუკუნეების განმავლობაში გარშემომყოფ ხალხს, განსაკუთრებით მათ, ვინც არ „გაელინდა", ბარბაროსებს „ბერბეროსებს" „იბეროსებს" უწოდებდნენ. ვინც ბერძნობა მიიღო ყოფით, რწმენით, ენით, - მათ უშურველად ღებულობდნენ თავიანთ წიაღში, რადგან იცოდნენ, რომ ამ აქტით დიდი და მდიდარი წარსულის თანაზიარი ხდებოდნენ. დანარჩენს ებრძოდნენ. ებრძოდნენ ხმლით, უბეში დამალული დანით, პოლიტიკითა და მზაკვრობით, ფულითა და სინეკურით. საბოლოოდ მოხდა ის, რაც ხდებოდა საუკუნეების განმავლობაში და რაც ახლაც ხდება: დაიწყო ასიმილაციის პროცესი.

წესისამებრ, ამ „შორეულმა შეჯვარებამ", ამ ბრძოლაშერწყმამ წარმოშვა ჯერ არნახული ცივილიზაცია. ერთმანეთს გადაეჯაჭვა ძველი (პელაზგური) სამყაროს გრძნობიერმისტიკური სიბრძნე და ახალი (ელინური) სამყაროს მოწესრიგებულება, დიისციპლინა, ყოველი სიახლისთვის დამახასია-

თებელი ანტიენტროპიული ტენდენცია. ვფიქრობ, ცხენის-ტანიანი კაცის, კენტავრის გაჩენაც ორი ცივილიზაციის ორგანული და არაეკლექტიკური შეერთების სიმბოლოა. ტანი, ძირი, ფესვები ცხენი, კაცის თავი მაორგანიზებელი ძალაა, ერთად შერწყმული კი, - ახლად წარმოქმნილი პელაზგურ-ელინური ფენომენი, შემდგომ დიდ ბერძნულ კულტურად სახელდებული. ამ მხრივ საინტერესოა სიტყვა „ბერძენი"-ს ეტიმოლოგია. ნ.მარი (ნ.მარი. დასახ. ნაშრომი) ამ სიტყვას ასე შლის ბერ-ძ-ენ. „ენ"-ს გეოგრაფიულ სახელწოდებათა მრავლობითი რიცხვის სუფიქსად მიიჩნევს, „ძ", შესაძლოა, ნაშთია სიტყვისა „ძე", ანუ შვილი, ვაჟი. ძირეული მასალაა „ბერ". ამდენად, ნ.მარი ბერძენს ერთ-ერთი ქართული ტომის სახელწოდებად მიიჩნევს, მაგრამ, ვფიქრობ, აქ ერთი მოკრძალებული ვარაუდიც შეიძლება დაემატოს: სიტყვა „ბერძენ"-ში ამ ერის, როგორც კულტურული ფენომენის, წარმოშობის საიდუმლო დევს: ბერის ძენი, ასე უნდა გაიშიფროს, ალბათ, ეს ტერმინი.

მითოსური ენა ვახსენე.

ამ შემთხვევაში, მე მარტო ერთი მითოსური ქარაგმის გახსნას შევეცდები. ელინთა გამარჯვებაში (რომელთა მხარეზე არაერთი პელაზგი იბრძოდა და ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს მომენტთაგანია!) საბოლოო, ფატალური როლი ითამაშა ელინთა მიერ მეომრებით სავსე ხის ცხენის შეგზავნამ ტროაში. არა მგონია, აფრიამისა და ჰექტორის ბრძენი ხალხი ამ ბავშვურ სატყუარას წამოგებოდა ან იქ დამალულ თუნდაც ორ-სამ ათეულ მეომარს ომის ბედი გადაეწყვიტა. ჩემი აზრით, გენიალურ ჰომეროსს აქ მხოლოდ ერთი რამ უნდოდა ეთქვა, ერთი რამ მიენიშნებინა: ცხენი — იბერიული მოდგმის ხალხთა ტოტემი, მათი ეთიკურისა და ესთეტიკურის ცხოველმყოფელი ხატება და, ამდენად, მათი საქციელის, რწმენის სიმყარის სიმბოლო - ფუყე, საკუთარი ხალხისადმი დაპირისპირებული ელემენტის შემცველი აღმოჩნდა. მერყეობა, რწმენის დეფიციტი, მტრის მხარეზე გადასვლა, კასანდრასადმი — ჭეშმარიტი წინასწარმეტყველისადმი — ურნდობლობა, ყველაფერი ეს არის მიზეზი პელაზგების დამარცხებისა. ყველაფერი ეს გამოიხატა მათი სათაყვანო ტოტემის, ცხენის ხის ფიტულში, სადაც მტრის დამკვრელი ძალაა გასუსული.

იგივე „ნაკლოვანება" დაღუპავს შემდგომ მძლავრი აიეტის სახელმწიფოს, სადაც პელაზგებისგან წინდაუხედაობით აუთვისებელი სიბრძნის მოსაპოვებლად გაემგზავრებიან ელადის რჩეული ვაჟკაცები. კოლხეთში ჩასულებისთვის ერთი ძირითადი პრობლემა ცეცხლისმფრქვეველი, სპილენძისჩლიქებიანი ხარების მოთვინიერება აღმოჩნდება. უეჭველია, ამ მითოსური ქარაგმის უკან, ცეცხლთან სულიერი კავშირის უქონლობის გარდა, მეტალურგიის არცოდნა, ასე ვთქვათ, „ტექნიკური პროგრესის" დეფიციტია. უწესოდ მოპოვებული ეს სიბრძნე მაინც „უხმარ" აღმოჩნდება მათთვის და პელაზგ ნახევარღმერთ პრომეთესთან ერთად მას (სიბრძნეს!) დიდი ხნიით მიაჯაჭვავენ კავკასიონის ქედს.

ეს (ღვთიური სიბრძნის) „ნაკლოვანება" დასდევს, სიკვდილის აჩრდილივით, თვითმკვლელ მუხტად იბერიულ-ქართულ მოდგმას და მხოლოდ ძლიერი რწმენა, მისული თავგანწირვამდე, შეუცვლის თვითმკვლელ მუხტს პოლარობას და სიცოცხლეს შთაბერავს უძველეს მოდგმას.

ცხენი — მზის ცხოველი რომ იბერიული მოდგმის ტოტემი-სიმბოლოა, შემდგომაც არაერთხელ დასცდებათ ბერძნებს.

(დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე „რუხი მგლებისა" არ იყოს, ერთ-ერთი პარტია ყალყზე შემდგარ ცხენს აირჩევს სიმბოლოდ. არც ეს უნდა იყოს შემთხვევითი, ჩვენ ხომ დიდი ხანია თურქეთის ტერიტორიის შესახებ ვსაუბრობთ!).

ურარტული ტექსტების იგანიეხები ბერძნულ-რომაული წყაროების მხედვით იგივე ჰენიოხები არიან, რომელთაც ჩილდირის ტბის სამხრეთი სამეფოც კი ჰქონდათ. შემდეგ ისინი ზღვისკენ ინაცვლებენ. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ისინი იგივე ჭანები არიან (ბ.გიგინეიშვილი. ეთნონიმ ჰენიოხის წარმომავლობისთვის, მაცნე, ისტორიის სერია, თბილისი, 1975, N 1, გვ. 115-124). ჰენიოხი კი ბერძნულად თურმე მეეტლეს ნიშნავს (მ.იმნაძე, ტერმინი „ჭანები". დასახ. ნაშრომი). ეტლთან არის დაკავშირებული დიოსკურების მითური ტყუპების სახე, რაც თავისთავად დიოსკურიასთან (სოხუმის სიახლოვეს) ასოცირდება. თუ ისევ მითოსს მივმართავთ, ერთ ასეთ ფაქტს შევნიშნავთ: ჰელიოსი (მზე) ცარგვალზე ეტლით მოგზაურობს. ეს ის ჰელიოსია, ვისი ვაჟიც გახლავთ კოლხეთის სახელგანთქმული მეფე აიეტი.

ასე გადაეჯაჭვა კვლავ ერთმანეთს მზე და ცხენი.

იგივე ბ.გიგინეიშვილი ცდილობს, მეგრულ-ჭანურ „ჭანს" სვანური „ჰენი" მიუსადაგოს. ალბათ, შესაძლებელია, მაგრამ ჩემს ყურადღებას უფრო „ჰენი"-სა და „ჰუნეს" (ცხენი, მერანი) და „ჭანი"-სა და „ჭენ-ების" ფონეტიკური მსგავსება იპყრობს. თუმცა ბერძნული „ჰენია" ცხენის სადავეს და, შესაბამისად, „მხედარს" ნიშნავს. (მ. იმნაძე, ტერმინი „ჭანები". დასახ. ნაშრომი). მაგრამ ასეთი სემანტიკური ტრანსფორმაცია, ვფიქრობ, დასაშვებია.

## ბოლოთქმა

ვინიცობაა ამ ესეს წამკითხველმა ახირებულ კაცად ჩამთვალოს, რომელიც ყველგან და ყველაფერში თავისი აკვიატებული აზრის დადასტურებას ეძებს.

შეიძლება ასეც იყოს.

მაგრამ მე ამ ახირებაში ცუდს ვერაფერს ვხედავ და ხანდახან ასე მგონია, რომ სწორედ ახირებული ადამიანების ჟინსა და სიყვარულს მოაქვს ესოდენ სასურველი კეთილი ნაყოფი.

საქართველოს ისტორიის მკვეთრი გაყოფა ქრისტიანობამდელ და ქრისტიანობის შემდგომ ეპოქებად შეცდომაა. „მკვეთრი გაყოფა" კი არადა, ზოგიერთი მეცნიერი ქრისტიანობამდელ საქართველოს საერთოდაც არ განიხილავს, როგორც კულტურულ ფენომენს. ეს მათ სინდისზე იყოს. ქრისტიანობამ ახალი ერა დაიწყო ჩვენი ხალხის ცხოვრებაში. იესო ქრისტეს, ჩვენი უფლისა და მაცხოვრის, მადლი მოიფინა ქართველთა სულსა და გონებაში. ადრეული, ათასწლობით ნაფიქრ-ნაშრომი და სისხლში გამჯდარი გადაფასდა, გადახალისდა, ახალი მნიშვნელობა შეიძინა. ქართველი ხალხი შინაგანად ელოდა, ემზადებოდა მასთან შესახვედრად, მაგრამ სამი საუკუნე მაინც დასჭირდა, რათა გულისა და გონების ყველა არხი გახსნილიყო, ყველა ერისშვილი ერთ ჭკუაზე მოსულიყო და ქრისტიანობასაც ისე შემოებიჯებინა საქართველოში, როგორც ეს საჭირო იყო, თორემ თითო-ოროლა „ქრისტიანი" ჩვენს ხალხში, ალბათ, ქრისტეს დაბადებამდეც დადიოდა. ქრისტიანობამ თავისი სახელები მოიტანა და გაჩნდა საქართველოში უამრავი სიონი, ბეთლემი, ბეთანია, ნინოწმინდა, გიორგიწმინდა, სტეფანწმინდა, მარიამჯვარი, ციხისჯვარი, ჯვარზენი, ჯვარი და ა.შ.

მანამდე კი საქართველოში მზის კულტი იყო. მზის კულტი იყო მთელს კავკასიასა და მცირე აზიაში. ის საფუძვლიანად განსხვავდებოდა სპარსული მაზდეანობისგან, რაც ამ ერებს შორის შუღლისა და ომების მიზეზად თუ არ იქცეოდა, არც მათი ერთობის ბალავრად გამოდგებოდა. ქართველებსა (პროტოქართველებს) და მათ მონათესავე ტომებს თავისი, შეიძლება ითქვას, ეთნორელიგია ჰქონდათ და ამ საზომით ქრიდნენ და კერავდნენ ტოპონიმიკასაც, ყოფასაც და ტრადიციებსაც.

ამიტომ ნურავის გაუკვირდება ეს ჩვენი ჩხრეკა.

ბევრი ჯერ კიდევ, რასაკვირველია, მოუკვლევია. ამ ნაშრომის წამკითხველმა სპეციალისტებმა შეიძლება ბევრი თეზა გააკრიტიკონ, არ მიიღონ, მაგრამ თავს ბედნიერად ჩავთვლი, თუ ჩემს აზრსა და ლოგიკას მიყოლილნი ახალ, უფრო მნიშვნელოვანსა და მართებულს მიაგნებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანანა ჩიტიშვილი

# დილიდან დაღამებამდის

## თედო ბექიშვილის პორტრეტი

თედო ბექიშვილი ერთ-ერთი გამორჩეული და უაღრესად საინტერესო წარმომადგენელია ქართველ მწერალთა იმ თაობისა, რომელსაც ჩვენმა სალიტერატურო კრიტიკამ პირობითად 70-იანელები უწოდა, თუმცა მათი სახელები გაცილებით ადრე გამოჩნდა ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებში და 70-იანი წლებისთვის ბევრი მათგანი უკვე გამოკვეთილი სამწერლო პროფილის მქონე შემოქმედი იყო.

70-იანი წლების პოეზიამ, წარსულის ტრადიციებზე დაყრდნობით, გააგრძელა ქართული ლექსის განახლების ის პროცესი, რომელსაც ჯერ კიდევ 50-იან წლებში დაედო სათავე. ამასთან, ამ თაობის საუკეთესო წარმომადგენლებმა ბევრი ისეთი ახალი ნიშანი შემატეს ჩვენს მწერლობას, რამაც მკითხველის დიდი ინტერესი გამოიწვია და გარკვეული მიმართულება მისცა მომდევნო თაობების პოეტურ აზროვნებასაც.

საგულისხმოა ერთი გარემოებაც - სამოცდაათიან წლებში ქართულ პოეზიას ერთბაშად შეემატა დიდი ნაკადი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთიდან მოსული ახალგაზრდა პოეტებისა, რომლებმაც თან განსხვავებული ფორმა და სათქმელი მოიტანეს. მათ შორის იყო თედო ბექიშვილიც, უაღრესად საინტერესო და გამორჩეული ხმის მქონე შემოქმედი.

სწორედ ამ ჯგუფის დამსახურებაა, რომ ქართულ პოეზიაში განსხვავებულ თემებთან ერთად შემოვიდა ახალი ტოპონიმები, ახალი სახელები. მათ მკითხველი შეშფოთებული მზერით მიახედეს საქართველოს მთიანეთში მიმდინარე იმ რთული პროცესებისკენ, რომლებიც დაშლას და გაუკაცრიელებას უქადდა ამ კუთხეს.

თითქოს არც ისე დიდი დრო იყო გასული ვაჟა-ფშაველას გარდაცვალებიდან, მაგრამ XX საუკუნის 70-იან წლებში იმავე კუთხიდან წამოსულმა თაობამ სულ სხვა, დიამეტრალურად განსხვავებული სამყარო გადაუშალა მკითხველს თვალწინ. ეს უკვე ის მთა აღარ არის, ნიშანწყალიც აღარ დარჩენილა ვაჟას შემოქმედებაში წარმოდგენილი ძლიერი, წინაპართა ტრადიციების ერთგული, ვაჟკაცური სულით და საქვეყნო საქმის ერთგულებით გაჟღენთილი ჰეროიკული სამყაროსი, თითქოს ერთბაშად ჩამქრალა სულიერების ყველა სანთელი. ჩვენს თვალწინ წარმოდგება დარღვეული, გაუკაცრიელებული მთა, სადაც საკუთარი კერიის საპატრონოდაც „ვეღარ იცლიან" გულგაციებული შთამომავლები. „ვიცი, ახლა ბალი გასათიბია ჩაწვა ბალახი, სად იშოვი მთიბველს რიგიანს, თუნდაც ურიგოს, აღარაა სოფლად არავინ, არც გამთიბველი, არც მომკელი, არც დამბარავი! ამოვალ, დედი, რომ შემზარავი შავი ფრინველი სიპარტახის დავაფრთხო კვლავაც". - წერდა მოგვიანებით თედო ბექიშვილი ლექსში „შინ დაბრუნება".

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან მასობრივი ხასიათი მიიღო მიგრაციამ სოფლიდან ქალაქში. თანდათან იკარგებოდა ძირძველი ტრადიციები, ზნე-ჩვეულებები, ტოპონიმები, ღარიბდებოდა ქართული ენა, კულტურა, ირღვეოდა ბუნებასა და ადამიანს შორის საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული კავშირი.

ამ პროცესს მოჰყვა ულრმესი სულიერი ტკივილები, რომლებიც ცხოვლად აისახა ჩვენს ლიტერატურაში. მათ შორის, ვინც მძაფრად განიცადა მშობლიური ფესვებიდან მოწყვეტა, ვისი ფიქრიც გამუდმებით სიყრმისეულ ადგილებს დასტრიალებდა, ვისი პოეტური სამყაროც განუშორებლად ადგილის დედასთან იყო გაერთარსებული, გახლდათ თედო ბექიშვილიც, - შესანიშნავი პოეტი, მთარგმნელი, პუბლიცისტი, სიკეთითა და სათნოებით სავსე პიროვნება, ერთგული და დაუღალავი მუშაკი ჩვენი ლიტერატურისა.

თედო ბექიშვილმა ადრეული ასაკიდან დაიწყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლექსების წერა. მისი პოეზიის პირველი ნიმუშები 1961 წლის სექტემბერში გამოქვეყნდა გაზეთ „უნივერსიტეტის" ფურცლებზე. სტუდენტობის წლებში იგი უნივერსიტეტის ლიტერატურული წრის წევრი იყო და აქტიურად თანამშრომლობდა ჟურნალ „პირველ სხივში". აქ მისი არაერთი ლექსი და პუბლიკაცია დაიბეჭდა. 1967 წლიდან თ.ბექიშვილის ლექსებს და თარგმანებს სიამოვნებით უთმობენ ადგილს „ცისკარი", „მნათობი", „ხომლი", „ლიტერატურული საქართველო", „საუნჯე", „განთიადი" და სხვა.

1969 წელს გამომცემლობა „ნაკადულმა" დასტამბა 4 ახალგაზრდა ავტორის პოეტური კრებული სათაურით „სიჭაბუკე და ლექსი ერთია", რომელშიც პირველად გაცილებით ვრცლად იყო წარმოდგენილი თედო ბექიშვილის შემოქმედება.

თედო ბექიშვილი იმავე დროს ეწეოდა აქტიურ მთარგმნელობით მოღვაწეობას. ცალკე წიგნებად გამოიცა მის მიერ თარგმნილი ცაო-ჯის, ანდრე ადის, ადამ მიცკევიჩის, სერგეი ესენინის და ფეოდორ ტიუტჩევის ლექსები.

ბავშვობის შთაბეჭდილებებმა, მთიულეთის თემამ, ქალაქსა და სოფელს შორის გახლეჩილი პიროვნების სულიერმა გაორებამ, დროის მიერ წამოჭრილმა არაერთმა პასუხგაუცემელმა კითხვამ, ურბანისტულ ყოფასთან გაუცხოების განცდამ და იმ ტკივილებმა, რაც მის თაობას აწუხებდა, განსაზღვრა თედო ბექიშვილის პოეტური სამყარო.

მოგვიანებით პოეტი დავით მჭედლური წერდა: „თედო ბექიშვილის შემოქმედება წინა თაობათა, ზოგადად, ქართული კლასიკური პოეზიის ტრადიციული მეთოდებისა და ახალი ნაკადის შერწყმის საუკეთესო მაგალითია, მის ბუნებაშიც როგორღაც ერთმანეთს ერწყმოდა პირადი, ზოგადადამიანური და შემოქმედებითი ტკივილები. ამ ტკივილებით იყო გაჟღენთილი მთელი მისი არსება და პოეზია".

თედო ბექიშვილის პოეზიის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია სისადავე, რაც სიმარტივეს არ გულისხმობს. ეს სისადავე, ერთი მხრივ, დაკავშირებულია კლასიკური ქართული მწერლობის ტრადიციებთან, მეორეს მხრივ კი თვით მწერლის სტილთან. თედო ბექიშვილის პოეზია უპირველესად აზრის სინათლით, მკაფიოდ გამოხატული სათქმელით ხიბლავს მკითხველს, მისთვის ერთნაირად მისაღებია რითმიანი ლექსიც და ვერლიბრიც, რადგან თავისი პოეტური შესაძლებლობების გამოვლენას ორივე შემთხვევაში წარმატებით ახერხებს. მასთან პოეზიაში ხშირად გვხვდება მშვენიერი შედარებები, თუ განსხვავებული სილამაზის მეტაფორები, მაგრამ ყოველი მხატვრული სახე მის ლექსებში აზრის ცხოვლად, დასამახსოვრებლად გადმოცემას და მკითხველამდე მიტანას ემსახურება. ავტორისთვის მთავარი მაინც სათქმელია და მისგან გამომდინარე ხდება ფორმისა და მხატვრული საშუალებების შერჩევა.

დროის მდინარებასთან ერთად თედო ბექიშვილის ლექსებში სულ უფრო აქტიურდებოდა ავტორის პოზიცია, გაცილებით ღრმა და მრავალფეროვანი ხდებოდა მისი ინტერესების სფერო. ბოლო წლების ლექსებში იგი დაუფარავად, მთელი სიმწვავით ამზეურებდა თავისი დროის მტკივნეულ იარებს. ამასთან ერთად, იხვეწებოდა სტილი, მრავალფეროვანი ხდებოდა გამომსახველობითი საშუალებები.

თედო ბექიშვილის ლექსების კითხვისას, პირველ რიგში, ყურადღებას იქცევს მდიდარი ლექსიკა, ფაქიზი დამოკიდებულება სიტყვისადმი. მისი შემოქმედება სალიტერატურო ქართულის მტკიცე ბალავარს ემყარება და ჩვენი მწერლობის მრავალსაუკუნოვან ტრადიციებს აგრძელებს. მდიდარი და მსუბუქია პოეტის რითმაც. მას რითმის გულისთვის სიტყვების ხელოვნური, არაბუნებრივი ფორმების შექმნა არ სჭირდება, ენის ღრმა ცოდნა ეხმარება პოეტს, რომ ამგვარ, უმეტეს შემთხვევაში, არაფრისმომცემ ცდებს, თავი აარიდოს.

თედო ბექიშვილი იშვიათად იყენებს მთიულური დიალექტისთვის დამახასიათებელ სიტყვებს და ისიც მხოლოდ მაშინ, როცა ეს აუცილებელი ხდება სათქმელის თავისებურებიდან გამომდინარე. ამ შემთხვევაშიც იგი ენის გულისგულში ღრმა წვდომის უნარით გამოირჩევა და ორიოდე სიტყვითაც მშვენივრად ახერხებს საჭირო კოლორიტის შექმნას.

გავიხსენოთ დედისადმი მიძღვნილი მისი ცნობილი ლექსი:

*ნისლო, მთით გადმომავალო,*
*რა ამბავ მოგაქვ, ნეტაი?*
*რასა იქმს ჩემი დაღლილი,*
*ჩემი მწუხარე დედაი?*
*ხომ არ ჩაკეტა ნამქერმა*
*გზა-ვიწროები სავალი?*
*კვამლი თუ ადის ერდოზე,*
*ისევ თუ ყივის მამალი?*

ეს სტრიქონები მკაფიოდ ხატავენ სოფელში მარტოდარჩენილი მთიელი ქალის პორტრეტს და მათი დედაშვილური დამოკიდებულების შესახებაც ნათელ წარმოდგენას გვიქმნიან. საერთოდ, თედო ბექიშვილს დედისადმი არაერთი ლექსი აქვს მიძღვნილი და ყოველ მათგანში ნაღველშერეული უზომო სიყვარულია ჩაგუბებული. თედოს და დედამისს, ქალბატონ ნინოს, იშვიათი დედაშვილობა ჰქონდათ. ჯერ ისევ ყმაწვილმა ქვრივმა თავისი ყველა იმედი, თავისი სიცოცხლის აზრი და მიზანი ვაჟიშვილის სიყვარულში ჩააქსოვა. ცაზე ერთი ძაფით ვკიდივარო - უთქვამს თურმე ხშირად. თედოს თბილისში წამოსვლის შემდეგ კი შაბათიდან შაბათამდე, შვილის ამოსვლის დღეებით იზომებოდა გზისკენ გამაცქერალი დედის წელთაღრიცხვა.

სხვანაირი შვილი იყო თედოც. გაუცდენლად, ყოველ შაბათ-კვირას, ნაღვარევში მიეჩქარებოდა, არაგვის ხეობას მისდევდა ალმა, ქალაქში მყოფი ფიქრით მაინც იქით იყო, ყოველი შხაპუნა წვიმა და ჩამოვარდნილი ფანტელი მშობლიური სახლისკენ ახედებდა დარდიანს და თვალებში უმწეობის სხივჩამდგარს. შემდეგ ეს განწყობილება ლექსებში გროვდებოდა და უწმინდესი სინათლით ავსებდა სტრიქონებს.

ომის დროს დაბადებულ თედო ბექიშვილის თაობას მძიმე ბავშვობა ჰქონდა. მათი სიყმაწვილე დედების ცრემლით და მამების გაუთავებელი მოლოდინით იყო აღსავსე. ცხოვრების სიმწარე მათ ძლიან ადრე იგემეს და იმდროინდელი განცდები სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვათ.

ორი წლით მასზე უფროსი დისადმი მიძღვნილ ლექსში შთამბეჭდავი სურათებით არის წარმოდგენილი ომის წლების სიმძიმე, უკიდურესად გაჭირვებული ყოფა, რომელიც ბავშვებსაც კი აიძულებდა, მათი ასაკისთვის შეუფერებელი დასკვნები გაეკეთებინათ:

*შენ არ გყოლია ჭრელი თოჯინა, ჩემო დაია!*
*შენ არ გქონია თეთრი ბაფთები, ჩემო დაია!*
*მაისში, მახსოვს, აგროვებდი ფერად გვირილებს,*
*იწნავდი თმაში და ეგ იყო, ჩემო დაია!*
*ხომ ისევ გახსოვს, შიმშილისგან დაოსებული,*
*როგორ ყმუოდა კარის ზღურბლთან ჩვენი ბროლია.*
*რა გულსაკლავად წკავწკავებდნენ თოთო ლეკვები!*

ეროვნული ბიბლიოთეკა

*მერე ჩანთაში მოაქცია ერთად ბებიამ*
*და ჩანთიანად გავატანეთ არაგვის ტალღებს.*
*საცოდავები, შიმშილისგან სულსა ღაფავდნენ,*
*სიკვდილი მათთვის წყალობა იყო.*

პოეტის პირველივე წიგნში - „მთაო, გადმიშვი" (1974) უკვე მოხაზულია ის ძირითადი თემები, რომლებიც სიმწიფეში შესვლის შემდეგ კიდევ უფრო გაღრმავდა მის შემოქმედებაში. უჩვეულოდ სევდიანია ამ კრებულის განწყობილება, რაც რიგ შემთხვევებში კონკრეტული მიზეზებით არის განპირობებული. ამ მიზეზთა შორის ფიგურირებს მშობლიური გარემოს მონატრება, ნასახლარებად ქცეული სოფლების მოთქმა, სულიერი მარტოობის თუ საკუთარი თავით უკმაყოფილების განცდა:

*სახლი გადაიქცა ნასახლარად,*
*გზები გადაიქცა ნაგზაურად,*
*ყანა გადაიქცა ნაყანარად,*
*სოფელს შამბ-ბალახი გადაუვლის...*
*ტირის უპატრონო ფუძის ანგელოსი -*
*საიდან სად მიხვალ სადაური?!*

თედო ბექიშვილი 10-ზე მეტი პოეტური კრებულის ავტორია. მათში თავიდანვე შეინიშნებოდა სათქმელის პრობლემატურობა და განწყობილების მინორულობა. ავტორი შედარებით ცოტას წერდა გაზაფხულსა და სიყვარულზე, მაგრამ მისი პოეზიისთვის თავიდანვე დამახასიათებელი იყო მუხლმოდრეკილი, მოწიწებული დამოკიდებულება ამ გრძნობისადმი. იგი თითქოს ვერასოდეს გაუშინაურდა სიყვარულს, იქნებ საგანგებოდ არც მიუახლოვდა და ამაშიც გამოიხატა მისი სულიერი სიფაქიზე. ზოგჯერ პოეტი შინაგან მარტოობას უფრო გაურბოდა, მისგან თავის დაღწევას ცდილობდა და მისი ამგვარი განცდა ძალიან ადამიანური და გასაგებია მკითხველისთვის:

*მე შემეშინდა მარტო დარჩენის*
*და შენთან მოველ!*
*არაფერია სხვა დანარჩენი...*
*დაეხსენ ყველა უსაფუძვლო ფიქრს და ფორიაქს!*
*მე შემეშინდა მარტო დარჩენის და შენთან მოველ!*

თედო ბექიშვილი რომანტიკული, სიკეთით სავსე ადამიანი იყო. ამ განცდით იწერებოდა მისი ლექსები, რომლებშიც მშვენივრად ჩანს ავტორის ბუნება, მისი შინაგანი სამყარო. მკითხველმა იმთავითვე დააფასა მისი პოეზიის გულწრფელობა, ემოციურობა და ჰუმანურობა, რაც შერწყმული იყო მხატვრულ დონესა და დახვეწილ ფორმასთან.

ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ, თავდაუზოგავი შრომით მიიწევდა პოეტი სრულყოფისკენ. თუ შევადარებთ მის პირველ (1974) და უკანასკნელ წიგნებს (1990), თვალნათლივ დავინახავთ, როგორ დაიხვეწა ამ დროის მანძილზე ავტორის სტილი, ხელწერა, როგორ გაფართოვდა პოეტის თვალსაწიერი და თანდათან გამოიკვეთა მისი სამწერლო პროფილი - ჭეშმარიტი შემოქმედის და ღირსეული მამულიშვილისა.

საერთოდ, ახალგაზრდულ ასაკში პოეტს მეტი სითამამით და გაბედულებით გამოაქვს მკითხველის წინაშე თავის განცდები და შთაბეჭდილებები, რომლებსაც არც თუ იშვიათად არტისტულობის, გამონაგონის იერი დაჰკრავს. ბავშვობის ბედნიერი ასაკიდან გამოყოლილი სილაღე და სამყაროს მშვენიერებით გამოწვეული აღტაცება სარკესავით ირეკლება მის ლექსებში.

თედო ბექიშვილი ამ მხრივაც გამონაკლისი იყო. როგორც პიროვნება და შემოქმედი, ცხოვრებამ იგი ნაადრევად დააკაცა. პოეტი თავიდანვე „დამსხვრეულ ფრთებსა" და მწარედ გასახსენებელ ბავშვობას მისტიროდა, სილაღე და სითამამე უცხო ფუფუნება იყო მისი ცხოვრებისთვის და ამით გამოწვეული ტკივილი პოეზიაშიც იჩენდა თავს.

ჯერ კიდევ ადრეულ პერიოდში დაწერილ ლექსში მთელი სიმწვავით არის გადმოცემული ახალგაზრდა პოეტის განცდები მისი მძიმე ცხოვრებისა თუ დამსხვრეული ოცნებების გამო:

*გადაკარგული სადღაც შორს, იქით,*
*მიხმობს მიზანი მძლავრი ბედივით,*
*და გზებს მივყვები ოხვრით, ბორძიკით,*
*და კვლავ მაჩერებს გზაჯვარედინი.*
*და ბრუნდებიან სულში ეჭვები,*
*მარად ძველი და მარად უცვლელი,*
*კვლავ დაკრული ვარ მიწას ბეჭებით*
*და მტკივა ფრთები, ამოუსვლელი.*

ბავშვობა და სოფელი თედო ბექიშვილის შემოქმედებაში ყველაზე მეტად თოვლთან და ზამთართან ასოცირდება. ასეა მის პირველ წიგნშიც. თოვლის მოსვლას, სილამაზის განცდასთან ერთად, მისთვის მოაქვს მტანჯველი ფიქრიც სოფელში მარტო დარჩენილ დედაზე:

*როგორ თოვს, ჩემო თეთრო დედილა,*
*როგორი თეთრი ფიფქები გფარავს!*
*როგორი მძიმე და ჩახერგილი*
*ზამთარი მალე მოგადგა კარად.*
*......................................*
*დღეს მზესაც თეთრი სიცივე ფარავს,*
*თოვამ ჩაკეტა სამზერი არე,*
*ამაოდ გასცქერ დათოვლილ შარას,*
*არ შემოაღებს არავინ კარებს.*

თედო ბექიშვილს მამა არ უნახავს. მისი დაბადების დღე, 1941 წლის 22 ივნისი, დიდი სამამულო ომის დაწყებას დაემთხვა. პირველივე ნაკადით ფრონტზე წასულმა მამამ მეზობლებისგან გაიგო ვაჟის დაბადება. ეს იყო და ეს. დიდი ხნის შემდეგ დაწერილ ლექსში პოეტი დათოვლილი მაზარით ხედავს შინმოუსვლელი მამის ლანდს. როგორც ჩანს, ბავშვობისდროინდელ ოცნებას, რომ თოვლიანი ღამის შემზარავ ხმებს შინდაბრუნებული მამის ნაბიჯები გაფანტავდა, პოეტი არასოდეს მიუტოვებია:

*შორს, სადღაც გაბმით ყმუიან მგლები*
*და კარის ყურში შიშით წკავწკავებს*
*მურია ძაღლი...*
*უცებ ჭრიალით იღება კარი,*
*შემოდის კაცი, დათოვლილი რუხი მაზარით.*
*დედა კვლავ მშვიდად ართავს, ფარტენას,*
*ის კი დგას წელში ოდნავ მოხრილი,*
*თითქოსდა სახლის დაბალი ჭერი მხრებით უჭირავს.*

მშვენიერი პოეტური სახეებით არის შექმნილი ლექსი „ანანური". არაგვის ხეობის ეს დიდებული ტაძარი პოეტისთვის იმ უნაზეს ყვავილს წააგავს, რომლის სილამაზესაც გარსშემოჯარული მთები კიდევ უფრო შთამბეჭდავს ხდიან:

*შენ გოროზი ხარ უცხო თვალისთვის,*
*უცხოდ ნაგები და საოცარი,*
*მე კი მგონია - თეთრი ყვავილი,*

ეროვნული ბიბლიოთეკა

*ასე ამოდის ხის ძირს შროშანი.*

1974-1975 წლებში თედო ბექიშვილის ორი წიგნი გამოიცა - „ლექსები" და „დღის გაგრძელება". მათში მეტი პოეტური სითამამე, დახვეწილობა და თემატური მრავალფეროვნება იგრძნობა. ერთმანეთს ენაცვლება სასოწარკვეთილება და იმედი, თანამედროვეობის პრობლემებზე ფილოსოფიური მსჯელობა და წარსულზე ფიქრი.

აღნიშნულ კრებულებში პოეტი კვლავინდებურად თავს დასტრიალებს ბავშვობის შთაბეჭდილებებს, ადგილის დედასთან გაუცხოების სიმძიმილს, თუმცა ახლა გაცილებით მეტი სიღრმით და მხატვრული ოსტატობით წარმოაჩენს ამ საკითხებს.

ავტორი უკვე მთელი სიღრმით ხედავს, რა შედეგები მოაქვს მთის დაცარიელებას მთელი საქართველოს მასშტაბით, როგორ ღარიბდება ეროვნული სულიერება და ქართული კულტურა. გაუკაცრიელებულ სოფლებს, მიტოვებულ სალოცავებს და ციხე-ტაძრებს თითქოს მომავალიც აღარ გააჩნიათ:

*რა მოწყენილი და მშვიდი მხვდება*
*ჩვენი ბავშვობის მწვანე მინდვრები!*
*სადღაც წასულა სუყველა ერთხმად,*
*სად ხართ? რა მხარეს დაემკვიდრენით?*
..................................................
*ვინ გარეკს ხვალე ცხვარსა და ძროხას,*
*ვინ უნდა თიბოს ან შეკრას ძნები?*
*ღმერთო! ასე თუ გაგრძელდა დიდხანს,*
*დაუმარხავი დაგვრჩება მკვდრები.*
*გაღმით ჩამლილი მოჩანს სამრეკლო,*
*მთები დუმილის ბინდბუნდში შედის...*
*მივყვები შარას და გულზე ექლად*
*მესობა მოთქმა ადგილის დედის.*

დასამახსოვრებელი პოეტური სახეებით გვიხატავს თედო ბექიშვილი ქონგურებმორღვეული ციხის ტრაგედიას - დაბზარული კედლებიდან მოწყვეტილ ლოდებთან ერთად თითქოს დავიწყების უფსკრულში მიექანება ჩვენი ისტორიის სისხლით ნაწერი ფურცლები და მათ ადგილს სიცარიელე იკავებს:

*აცხუნებს კედლებს ხავსი ბიბინა,*
*და ისე, კრუხს რომ წიწილები დაეფანტება -*
*დაბლა გპრბიან ურჩი ლოდები...*
*ჩამორღვეული ციხის კარიდან*
*ძვლების ჩხრიალით გადის წარსული*
*და ქვიშადქცეულ ლოდების კვალზე*
*ნიავის ფრთები მისდევს ხეობას...*

მშობლიური კუთხის მიტოვებით გამოწვეული დანაშაულის განცდა თედო ბექიშვილის მთელ შემოქმედებას პირშეუკრავ იარასავით გასდევს. პოეტის ამგვარი გრძნობის სიწრფელე მკითხველში ეჭვს არ იწვევს, ისე ბუნებრივია ავტორის განცდა, ისეთი სიყვარულით ეფერება მისი მზერა მშობლიურ ქედებზე გადამავალ ნისლებს:

*საქორის ქედის ლურჯო ნისლებო,*
*ამომავალნო მიწის გულიდან;*
*ვაი, რომ თქვენვან არ წამესვლება,*
*ვცოცხლობ იგივე სიყვარულითა.*

თედო ბექიშვილის მთელ შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია მთიულეთს, მშობლიურ სოფელს, არაგვის წყალ-ჭალას. ამ ადგილებს დასტრიალებს პოეტის ფიქრი და, ვინ იცის, მერამდენედ ეკითხება საკუთარ თავს: „გულო, კვლავ იქით რად იხედები, სად დათოვლილი ჩანან ქედები?" თუმცა პასუხი ყველაზე უკეთ თვითონვე იცის: „თურმე შენ აქვე ხარ დამხობილი, სად შენი მოდგმა ბოგინობს ჯერაც, შენ აქ გიგია სიმწრის ლოგინი და აქ გაცმევენ იმედის პერანგს... აქ ხდება, შენთვის თუ რამე ხდება" („ღამე").

დედაქალაქში დამკვიდრებამ თითქოს კიდევ უფრო გაამძაფრა ბავშვობის მოგონებები. „რა სიყვარულით, რა მზრუნველობით გამომაყოლეთ თოვლის საგზალი" - უკვე აქედან მიმართავს პოეტი მშობლიურ ადგილებს, მაგრამ ამ სიტყვებში არც საყვედურია და არც კიცხვა. უფრო სევდაა იმის გამო, რომ ასეთი „საგზლით" ქალაქში დამკვიდრება, მასთან შეგუება გაუჭირდა და მის სულიერ ტკივილებს ისევ მშობლიური კუთხის გახსენება ედება მალამოდ:

*გაათბობს ხსოვნას*
*ატეხილი მწვანე ხევი*
*და ნამს დამსუსხავს იჭვნეული მზერა ქალაქის,*
*რომლის ქუჩებშიც ისე დავალ, როგორც სტუმარი,*
*შეუგუარი, მოწყენილი, უტყვი, მდუმარი.*

ამ პოეტურ კრებულებში ავტორის ხედვის არე გაცილებით ფართოა და მთელ საქართველოს სწვდება. თედო ბექიშვილს სამშობლოზე პათეტიკური ტონით არ შეეძლო წერა. მისი ლექსები: „მოჩანს სამშობლო მხარე", „ოდეს წარმხოცავს", „წერილი", „არა ყოფილხარ, მამულო", „ჯვარი", „მივდივართ", „ზღაპარი უმცროსი ძმისა", უფრო ფიქრია მამულზე. მათში პოეტის ღრმა კრძალვა, გულისგულში გატარებული სიყვარული იგრძნობა, რომელსაც იგი ფაქიზად და დიდი სინაზით ამოთქვამს:

*არა ყოფილხარ, მამულო,*
*მხდალი და ბედის მორჩილა,*
*ამ კოშკზე ნისლის ნიავი*
*შენი სულია ფოფინა...*
*ვნახე, დაჰქროლა ნიავმა*
*და საქართველოს მოჰფინა.*

"მოჩანს სამშობლო მხარე" - ეს ლექსიც ავტორისთვის დამახასიათებელი სიმართლით და გულწრფელობით არის აღსავსე: „ჩემი ცხოვრების დღენი შენზე ფიქრებში მიდის... ვგრძნობ, უსასრულოდ მავსებს ქარი, მამულის ქარი". განსაკუთრებით დასამახსოვრებელი და მშვენიერია ლექსის ფინალი: „მოჩანს სამშობლო მხარე, ვით ცრემლი უფლის თვალში".

თედო ბექიშვილმა იცის, რომ არც ერთი ქვეყნის ისტორია, მათ შორის, საქართველოსიც, ერთგვაროვანი არ ყოფილა. აქ განუმეორებელი გმირობის მაგალითებიც გვხვდება და საშინელი ღალატისაც. ამიტომ ამ თემაზე წერის დროს იგი ზედმეტ პომპეზურობას და პათეტიკურობას ერიდება და უფრო ზომიერ ტონს ირჩევს. მკითხველს ხიბლავს ჭეშმარიტი დარდით და ჩუმი სინანულით ნათქვამი სტრიქონები:

*შენ არასოდეს არ გეცალა, ჩემო ჯილაგო,*
*დიდხანს გემზირა ლაჟვარდების უცხო ნათლისთვის,*
*რადგან ყოველი ხის ძირიდან, ყოველ ხრამიდან*
*გითვალთვალებდა მოსისხლე ისრის პირები.*
*ახლაც აგროვებს მოდარაჯე, ფხიზელი სმენა*
*ცაში გაბნეულ უწყალო კვნესას*
*ქეთევანის დაშაშრულ მკერდის.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს გაერთიანება - ამ იდეით იყო გამსჭვალული ჩვენი სახელმწიფოებრიობის ისტორია, ამ მიზნისკენ ილტვოდა ყველა დიდი მამულიშვილი. ეს გზა სისხლით და ცრემლით იყო მორწყული, მაგრამ, ამის მიუხედავად, ერთიანი საქართველოს შექმნის სურვილი ერში არასოდეს ჩამქრალა, ამიტომ კანონზომიერი გვეჩვენება წარსულით პოეტის სიამაყე:

*შემოგვასხიპეს მხარ-მკლავი,*
*ყოვლის მხრით ჩამოგვათალეს,*
*მაგრამ კვლავ წამოვიმართეთ,*
*როცა კი მკვდარად ჩაგვთვალეს,*
*კვლავ ცეცხლი დავაგუგუნეთ*
*კახეთს, იმერეთს, თრიალეთს,*
*მიმლილ-მოშლილი მამული*
*ღვთის მადლით, - გავამთლიანეთ!*

1974-1975 წლებში დასტამბულ პოეტურ კრებულებში განსაკუთრებით საგრძნობია ადამიანის დანიშნულებაზე, სიკვდილ-სიცოცხლის მარადიულ პრობლემებზე ფიქრი. პოეტი წუთისოფლისგან დაბრძენებული ადამიანის სიმშვიდით მოინიშნავს თავისი მომავალი მარადიული სამყოფელის ადგილსაც: „აქ, ამ ზვარეში, მარადისად დავემკვიდრები, გაბრუებული, მონუსხული ქართლის მინდვრებით".

ასეთივე ფილოსოფიური სიღრმით აქვს პოეტს განჭვრეტილი ცისა და მიწის მარადიული ერთიანობა ლექსში „აქედანა და შენამდე", რომელიც თავისი პოეტურობით და ლირიზმით გვხიბლავს:

*აქედანა და შენამდე -*
*აქედანა და ზეცამდე*
*რამხელა ზღვარი ყოფილა,*
*მე გადაფრენას ვეცადე!*
*აქედანა და შენამდე -*
*აქედანა და მიწამდე*
*კარი გახსნილი ყოფილა,*
*მე რა ტყუილად ვიცადე!*

ამ პერიოდში ისევ გრძელდება ზამთრის თემაზე შექმნილი ლექსების ციკლი, რომელშიც პირობითად შეიძლება გავაერთიანოთ: „ზამთრის ელეგიები", „ზამთრის პირი", „წერილი ზამთრიდან" და სხვა.

თოვლსა და ზამთარს უკავშირდება თ.ბექიშვილის პოეზიაში არა ერთი მშვენიერი პოეტური სახე: „გადმოეკიდა მთებზე თოვლის თეთრი მუხლები", „თოვს, სივრცეები ჩამოვიწროვდა", „ხატავს მინებზე იანვარი ყინულის მინდვრებს", „და ლოლუები, ვით ნიშნები გაყინულ წამთა, სატევრებივით ჰკიდია კრამიტს" და სხვა.

თედო ბექიშვილის პოეზიაში თოვლი მრავალი მნიშვნელობით ფიგურირებს. იგი ხან ქალწულებრივი სისპეტაკის მიმანიშნებელია, ხანაც ჩამქრალი სიყვარულის თუ დაკარგული ოცნებების სიმბოლო. ქართული პოეზიისთვის ასეთი შედარებები უცხო არ არის, მაგრამ თედო ბექიშვილი ახერხებს თავისი სათქმელის ორიგინალურად გადმოცემას: ვინ გაგვაძევა გაზაფხულიდან, რომ ამ თოვლეთით სული აგვევსო, რომ სიყვარულის მძაფრი წყურვილი თოვლად გვექცია, უძვირფასესო.

ქართულ პოეზიაში, ტრადიციულად, დამკვიდრებულია თოვლის, როგორც სიკვდილის სიმბოლოს პოეტური სახე. ზამთარი ბუნების გარდაცვალების დროა, მაგრამ, იმავე დროს, უჩვეულოდ მშვენიერია და განსაცვიფრებლად თვალწარმტაცი. ჩვენი ხალხი კი ოდითგან ლამაზ სიცოცხლესთან ერთად ლამაზ სიკვდილსაც აიდეალებდა. აქედან გამომდინარე, არ გვეუცხოება პოეტის სურვილი თოვლის უნატიფეს საუფლოში სამარადისოდ დამკვიდრებისა:

*რომ დავიკარგო უნეტარეს ტკივილთა წიაღ,*
*რომ სიზმრად დარჩეს ეს მინდვრები, გაუკვლეველი,*
*რომ თოვლმა, თოვლმა დამიხუჭოს თვალები ღია*
*და წამყვეს შუქი ამ ქათქათა ქართლის ტყე-ველის.*

თედო ბექიშვილი არც იმას უარყოფს, რომ ზამთარი მკაცრი და მრისხანეც არის, განსაკუთრებით, მთაში. პოეტმა კარგად იცოდა, მგლების ყმუილით და ზვავების გუგუნის რა შემზარავი ხმებით ივსებოდა ამ დროს მიდამო, სიცოცხლის ნიშანწყალი როგორ ქრებოდა ირგვლივ და მხოლოდ „ლოლუები, ვით ნიშნები გაყინულ წამთა, სატევრებივით ეკიდა კრამიტს".

ზამთრის პოეტური ციკლი შემდეგაც გრძელდებოდა პოეტის შემოქმედებაში, თუმცა იმავდროულად ავტორი ოპტიმიზმით სავსე სტრიქონებსაც ქმნიდა და უკეთესი მერმისის იმედს არ კარგავდა: „გაზაფხულები, ვიცი, მოვლიან!"

1978-1981 წლებში თედო ბექიშვილის სამი პოეტური კრებული გამოიცა. „ზაფხულის მიჯნა" (1978), „რა აძლებინებს ზამთარში ხეებს" (1979), „დღიურის ფურცლები" (1981). ჩვენი აზრით, ეს ერთ-ერთი ნაყოფიერი პერიოდი იყო მის შემოქმედებაში. სიყმაწვილის გაოცებულმა მზერამ ადგილი დაუთმო დინჯ, სიღრმისეულ განჭვრეტას, აშკარად იგრძნობა ავტორის მაღალი ოსტატობა, სათქმელის მრავალფეროვნება და დახვეწილი სტილი.

თედო ბექიშვილის პოეზიისთვის უცხოა სიძულვილი. მისი ლექსი მკითხველის გაღიზიანებას და აგრესიას არ იწვევს. პირიქით, პოეტი ყოველთვის უფრთხილდებოდა მკითხველს, ცდილობდა, შიში და შფოთი არ დაეთესა მის სულში. თვით სასაფლაოც კი თედო ბექიშვილის ლექსის სტრიქონებში იმგვარად არის დახატული, რომ უჩვეულო სიმშვიდის გრძნობით გვავსებს.

*ისე ხასხასებს ამ საფლავზე მორწყული მოლი,*
*ისე საყვარლად მოვლილია აქაურობა, -*
*ნეტა ეს მწვანე, ნორჩი ბალახი*
*ჩემს მკერდზე იდგეს და ბიბინებდეს.*

როგორც აღვნიშნეთ, თედო ბექიშვილის პოეზიას ღრმად აჩნდა სუსხიანი ცხოვრების ნაკვალევი, ალბათ, ამიტომ ეკრძალებოდა სიყვარულს, როგორც მისთვის უცხო ფუფუნებას: „ვინც ჩემს ცხოვრებას უსაშველოდ აკლია დღემდე, სიყვარულია!" პოეტი ბევრს არ წერდა სიყვარულზე, მაგრამ ამ თემაზე შექმნილ მის ლექსებში დიდი სულიერი სისათუთე და სინაზე იკითხება. მისთვის ეს გრძნობა უფრო მშვენიერებისკენ ლტოლვას ჰგავდა, უფრო ოცნება იყო სიყვარულზე, თუმცა ამ ოცნებას მძაფრი განცდები და სევდაც ახლდა:

*აღარ ხარ, აღარ მეჩურჩულები,*
*შენი თვალები აღარ დამხედავს,*
*დრო ისე მიდის, თითქოს სრულებით*
*აღარ მიდის და უცებ გახევდა.*
*შუქი მთვარისა ცას ენაზება,*
*მთვარეა ოდენ დღის გახსენება,*
*ო, უშენობა დაემსგავსება*
*სამარადისოდ მზის ჩასვენებას.*

პოეტი მტკივნეულად აღიქვამს საოცნებო ქალის ჩავლილ სილამაზეს, რაც მას შემოდგომის გაძარცულ

ბალს აგონებს:

*ადრე გიცნობდი სულ სხვანაირს,*
*ახლა რომ გიმზერთ,*
*თქვენს დანახვაზე მახსენდება ნოემბრის ბალი,*
*სადაც მხოლოდ ქარებილა მითარეშობენ*
*და უკანასკნელ ყვითელ ფოთლებს მიაქროლებენ.*

თედო ბექიშვილის შინაგანი ბუნება, მისი პოეტური სამყარო ყოველგვარ ზედმეტობას და პომპეზურობას გაურბოდა. მისი ცხოვრება თუ შემოქმედება დიდი შინაგანი გულწრფელობით და უბრალოებით იყო აღსავსე. ეს განწყობილება გამოძახილს პოულობდა ლექსებშიც: „უბრალო, სულ უბრალო, პურითა და მარილივით მართალი სტრიქონი მენატრება". „ცის ქვეშ უფრო ბედნიერი ვარ, ვიდრე ტურფად ნაშენ ტაძარში. აღარ მინდა არავითარი აღტაცებულ-აღმატებული! ჩემს ზეცასთან, ჩემს მინდვრებზე, მხოლოდ ჩემი მდინარის პირას!"

ეს სტრიქონები მთელი მისი ყოფის და შემოქმედების გასაღებად გამოდგებოდა. ჭეშმარიტად ასეთი იყო თვითონაც - უბრალო, მეგობრული, მისანდო. ყველგან, სადაც კი მოღვაწეობდა: „ცისკარი" იქნებოდა, „კრიტიკა" თუ „ლიტერატურული საქართველო", თავისი გულის ნაწილს ტოვებდა, სულის სითბოს უნაწილებდა გარშემომყოფთ. მისი ბუნება განსაკუთრებით ვერ ეგუებოდა გულგრილობას, როგორც სულიერი სიმხდალის გამოხატულებას. თვითონ უაღრესად თბილი და ყურადღებიანი, წონასწორობიდან გამოჰყავდა ადამიანებისადმი უსულგულო დამოკიდებულებას. როგორი შეძრწუნება ისმის მის სტრიქონებში: „საოცარია, ყველაფერი გვერდს როგორ გივლის! არ დაგისველებს ფეხს ეგ ტალღები. არც ღრუბელი წამოგედება, არც ამ ძახილს გაიგონებს მდინარის ზათქით ამოვსებული შენი სმენა... არაფერი, არაფერი შენ არ გეხება".

თედო ბექიშვილს საკუთარი პიროვნების იდეალურად წარმოჩენა არასოდეს უცდია. მას არ ეშინოდა დაშვებული შეცდომების აღიარებისა და ამაშიც ვლინდებოდად მისი ადამიანური და მწერლური პატიოსნება. პოეტი არ გვიმალავდა, რომ ყოველდღიური ცხოვრების პრობლემები მისგან დიდ ძალისხმევას და ზოგჯერ გარკვეულ დათმობებსაც მოითხოვდა. ამის გამო იგი დაუნდობელი სიმკაცრით ეკითხება საკუთარ თავს: „რას ვანაცვალე სილაღე სულის? თუ ღირდა კერპი სამსხვერპლო სისხლად?"

1979-1987 წლები შემოქმედებითად ძალზე წარმატებული აღმოჩნდა თედო ბექიშვილისთვის. ამ პერიოდში მისი 4 კრებული დაიბეჭდა: „რა აძლებინებს ზამთარში ხეებს" (1979), „დღიურის ფურცლები" (1981), „ორი მდინარე" (1983) და „რასა სწერთ, მთვარის სხივებო" (1987). ამ წიგნებით მკითხველის წინაშე წარსდგა ჭეშმარიტად მაღალი პროფესიონალი და შემოქმედებითი სიმწიფის ასაკში გადამდგარი პოეტი.

თვალსაჩინოებისთვის შემოგიტანთ მის ორ პატარა ლექსს წიგნიდან „რა აძლებინებს ზამთარში ხეებს".

*შრიალებს ჩემი არაგვი,*
*ჩემი ძმა, დაუძინარი,*
*მიდის, სულ მიდის... ნეტა მას,*
*მიდის და მაინც შინ არი.*

და მეორე:

*გვერდით ოთახში*
*ჩემმა გოგონებმა სახლი აიკლეს,*
*მოზღვავებული სიხარული,*
*როგორც ჩანჩქერი,*
*ისე იღვრება მათი გულებიდან...*
*მე ჩემი ფიქრით დამძიმებული*
*ვზივარ, როგორც ბებერი ყვავი*
*და ჩხავილი რომ არ დავიწყო*
*ლექსებს ვწერ ზოგჯერ.*

ერთი შეხედვით, ეს ლექსები ერთმანეთს არაფრით არ ჰგავს, მაგრამ მათში საგრძნობია ერთი ხელწერა და ავტორის მაღალი პროფესიონალიზმი. ეს პერიოდი თედო ბექიშვილის შემოქმედებაში სხვა ნიშნითაც აღიბეჭდა - შეიცვალა მისი დამოკიდებულება წარსულისა და აწმყოსადმი, უფრო კრიტიკული და გაბედული გახდა. პოეტმა რეალობას თითქოს ერთბაშად გაუსწორა თვალი და მის ობიექტურ შეფასებას შეეცადა:

*რაც აღტაცების მომგვრელია,*
*უნდა გვახსოვდეს,*
*მაგრამ მახვილიც*
*ლუკმა პურზე ბევრჯერ გავცვალეთ...*
*ალბათ წარსულის საგანძურიდან*
*ფრთხილად უნდა გამოვარჩიოთ*
*წმინდა მარცვალი.*
*რომ ღვარძლი არ შემოგვეპაროს.*

პოეტის კრიტიკული მზერა განსაკუთრებული სიმძაფრით აწმყოსკენ იყო მიმართული. იგი მშვენივრად ამჩნევდა ჩვენს ხასიათში გაჩენილ ბზარებს, ზნეობრივი კრიტერიუმების ნგრევას, გალაღებულ სიცრუეს და უზნეობის აღზევებით „შემკრთალ სიმართლეს, რაც მასში უდიდესი პროტესტის გრძნობას იწვევდა:

*გინახავთ, ძმებო,*
*სიტყვას რომ ილებს გალაღებული უხამსობა,*
*თანაც ისეთი გულდაჯერებით,*
*რომ სიმართლე დაჩაგრულ ბავშვივით კუთხეში დგება*
*და თვალებზე ხელებს იფარებს?!*

თედო ბექიშვილი პროტესტს უცხადებს ამგვარ ყოფას, ასეთ სიტუაციასთან შეგუება არ შეუძლია და ეს განწყობილება აშკარად არის გაცხადებული მის პოეზიაში:

*კვნესა გულისა იქცა ყვირილად*
*და აქამდის რომ ყურს ვუყრუებდი -*
*მომთხოვა ყველა კითხვის პასუხი...*
*სურს ძირს დავხარო მაღალი დროშა...*
*მე კი თქვენს შორის, მამულის მთებო,*
*მყუდრო ცხოვრება არ მიღირს გროშად.*

თედო ბექიშვილმა სისხლსავსე ლიტერატურული ცხოვრებით იცხოვრა. ის მუდამ ლიტერატურული პროცესების შუაგულში ტრიალებდა, 13 პოეტური კრებულის გამოცემა მოასწრო, მკითხველს 5 ნათარგმნი წიგნიც მიაწოდა და მშვენიერი პუბლიცისტური და ლიტერატურული წერილების ავტორიც გახლდათ, მაგრამ თითქოს ესეც არ იყო საკმარისი. ლექსებში იგი უაღრესი თავმდაბლობით ერთგვარად ებოდიშება მამულს, რომ ბოლომდე ვერ დაიხარჯა, წუხს აუხდენელი ოცნებების გამო:

*შენზე ვფიქრობ და გული მტკივა,*
*ვერა გარგე რა სარგებელი,*
*ვერც რა კერია გაგიღვივე,*
*ვერც რა საქმე ვქენ საქებელი,*

.................................

*ალმართს მოვრჩი და დალმა მივალ,*
*გული ცრემლებმა ჩამოლიეს...*
*შენზე ვფიქრობ და გული მტკივა -*
*სიცოცხლე უქმად ჩამოვლიე.*

ალბათ, ამ თავმდაბლობამ და უბრალოებამ შეუშალა ხელი თედო ბექიშვილს, იმ სიმაღლით წარმოჩენილიყო თავის თაობაში და, საერთოდ, ქართულ მწერლობაში, რისი ღირსიც ნამდვილად იყო. თუმცა ქართული პოეზიის ჭეშმარიტმა მოყვარულებმა მშვენივრად იციან მისი შემოქმედების ფასი და ჯეროვან პატივსაც მიაგებენ.

1981 წელს გამოცემულ წიგნში, „დღიურის ფურცლები", დიდ ადგილს იკავებს ამ პერიოდისთვის დამახასიათებელი პროცესების მხატვრული ანალიზი. თავისუფლების თუნდაც ძალიან სუსტი სხივი გარკვეულ იმედებს აღვიძებდა ხალხში. ამ მოლოდინით გამოწვეულ მღელვარებას ვერ ფარავს თედო ბექიშვილიც, რომელიც ალეგორიულ ფორმებს წარმატებით იყენებს სათქმელის გადმოსაცემად: „ნეტავი იმ ჩიტის გულში ჩამახედა, ღიად დარჩენილი გალიის კარი რომ დალანდა... სულ მიკვირს, ამ პატარა ჩიტუნას გული როგორ უძლებს სიხარულის უეცარ ელდას... რა ძალა ჰყოფნის, რომ თავზარდამცემ სინათლეში თავისუფლების კვლავ შეუძლია გაიტანოს ნაგვემი სული?" (...ნეტავ ერთი).

სამშობლოს თემა აშკარად სხვაგვარ ჟღერადობას იძენს ავტორის ამ პერიოდის ლექსებში. პოეტი ცდილობს, წარსულის უმნიშვნელოვანეს, მომენტების გაცოცხლებით თანამედროვეებში მოქმედების წყურვილი გააღვიოს. ამ მხრივ განსაკუთრებით დასამახსოვრებელია ლექსი „ლომისას ჯაჭვი ჰკიდია", რომელიც ცნობილი ხალხური ლექსის გავლენით არის შექმნილი და რომელმაც გამოქვეყნებისთანავე დამსახურებული პოპულარობა მოიპოვა:

*ლომისას ჯაჭვი ჰკიდია,*
*შვიდკეცი, შვიდი მხარი,*
*ლომისას ჯაჭვი ჰკიდია,*
*მე ვიცი, ვისიც არი;*
*ჯაჭვი, შეჭმული ჟანგითა,*
*მთიულეთისა ფარი...*
.................................
*შეგვაძლებინოს მძლეველთა,*
*ლაღად გავშალოთ მხარი,*
*რომ მოყმე, შავეთს ჩასული,*
*ცოცხალთ არ გვჯობდეს მკვდარი.*

ასეთივე ამაღლებული განწყობილებით არის შექმნილი ეთნოგრაფიული ესკიზი „მთიულეთი", ნაჩვენებია უმდიდრესი ტრადიციების მქონე კუთხე, რომელსაც არც აწმყოში დაუკარგავს წარსულიდან გამოყოლილი გმირული სული: „ქერის არაყით სავსე ყანწებით ულოცავდნენ გზას კრწანისისკენ მიმავალ გმირებს. იმ სამასის ცხელი სისხლი საარაგვოში მერეც ბორგავდა განწირულის სულისკვეთებით".

კრებულში შესული ლექსებიდან ყურადღებას იქცევს „წერილი მამას" თავისი უაღრესად თბილი და ინტიმური ხასიათით. განსაკუთრებით დასამახსოვრებელია ლექსის ფინალი, რომელიც ჩუმი ნაღველით და სევდით არის სავსე: „ჯვარი გეწეროს, მშვიდობით, მყავ - კი არ გშორდები, გიახლოვდები".

"ორი მდინარე" - ასე ეწოდება თედო ბექიშვილის 1983 წელს გამოცემულ პოეტურ კრებულს. ამ პერიოდის ლექსებში პოეტის განწყობილება უჩვეულოდ აფორიაქებულია. იგი თითქოს ჩქარობს, რაც შეიძლება, მეტი მოასწროს, მეტი ჩანაფიქრის ახდენაზე ოცნებობს:

*სულმოუთქმელად დავხარჯო უნდა*
*დასახარჯავი რაც დამრჩა წლები!*
.................................
*რომ დაჭიმული გულის სიმები*
*ერთხელ განათდეს მხურვალე ალით*
*რომ მას, რაც ბედმა არ გაიმეტა,*
*ბოლო წამს მაინც შევავლო თვალი.*

თედო ბექიშვილს ცხოვრების წესი არასდროს შეუცვლია. უგრძნობლობის გამოვლინება სიცოცხლის ბოლომდე აოცებდა, სასოწარკვეთილებაში აგდებდა და ამ განცდას სახტად დარჩენილი კაცის უმწეობით ამოთქვამდა: „ამ ქვეყანაზე, ამ მოწყენილ წუთისოფელში ჩვენი სიმღერა თუკი ვინმეს ნაღველს გადაჰყრის, რატომ არ ვმღერით? ხმები ხმებს რად აღარ ეწყობა?"

ამავე კრებულში პირველად იელვებს ამირანის თქმულების პერსონაჟი ქალის, ყამარის სახე, რომელსაც შემდგომ პოეტმა არაერთი შესანიშნავი ლექსი უძღვნა:

მთვარის ნაწნავებს ცად მიჰყვება თეთრი ყამარი,
შავი ყორნები ყორეზე სხედან...
მაგრამ ამოდის, ის ვერავინ დაასამარა -
თავისუფლების მარადი სევდა.

ამ კრებულის დედააზრი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული ლექსში „დილიდან დალამებამდის". შემთხვევით არ იყო, რომ უკანასკნელ წიგნს (1991), რომელიც ავტორის მიერ არის შედგენილი, პოეტმა სწორედ ეს სახელი უწოდა და მასში სრულყოფილად შეაჯამა თავისი შემოქმედებითი გზა:

*დილიდან დალამებამდის,*
*დალამებიდან დილამდის,*
*ძილიდან გაღვიძებამდის,*
*გაღვიძებიდან ძილამდის -*
*გავიდა მთელი ცხოვრება*
*მზეშიც მნატვრელი სინათლის.*

1987-1988 წლებში დაიბეჭდა თედო ბექიშვილის მორიგი წიგნები. „რასა სწერთ მთვარის სხივებო?" (1987) და „გაზაფხულიდან შემოდგომამდის" (1988).

პოეტი ქვეცნობიერად თითქოს გრძნობს დასასრულის მოახლოებას - სევდიანი სტრიქონები უმრავლდება, ჩქარობს სიყვარულის, სითბოს და მადლიერების გამომჟღავნებას, გაზაფხულზე და მღელვარე განცდებზე ოცნებობს, უკან იხევს მისი საყვარელი ზამთრის მოტივი.

ძნელია, აუღელვებლად წაიკითხოთ მშვენიერი, ოსტატობით დაწერილი სტრიქონები: „მე ღარიბი ვარ, როგორც აპრილი, მე მარტოოდენ ყვავილების ანაბარა ვარ".

ან კიდევ: „ქართლის ხრიოკი გორები წინ გაგიშლიათ ეტრატად, რასა სწერთ, მთვარის სხივებო, მოქათქათენო თეთრადა?"

ეს წარმატებულად მიგნებული პოეტური სახეები აშკარად მიგვანიშნებენ თედო ბექიშვილის შემოქმედებით ამაღლებაზე, მის ნიჭიერებასა და მდიდარ პოეტურ სამყაროზე.

დროის მსვლელობასთან ერთად სულ უფრო ნათლად იკვეთებოდა, რომ არსებული რეჟიმი დიდხანს ველარ იბოგინებდა. შემოქმედებითმა ინტელიგენციამ ერთგვარი შინაგანი თავისუფლება იგრძნო და უკვე აშკარად და გაბედულად იწყო თავისი შეხედულებების გამოხა-

ტვა.

ამგვარი განწყობილება თავს იჩენს თედო ბექიშვილის შემოქმედებაშიც, თვალნათლივ იგრძნობა, როგორ თავისუფლდება პოეტი გულში წლობით დაგროვილი ბოღმისა და ყელში ჩახშობილი ყვირილისგან:

*მომკლა ამდენმა თანხმობამ,*
*ამდენმა წელში მოხრამ,*
*ამდენმა ვაინაჩრობამ,*
*ამდენმა გულში ოხვრამ!*
*თუ მუდამ მუხლზე იხოხე*
*მათხოვრად, მტრების კარად,*
*მტრისას, ამნაირ სიცოცხლეს,*
*ყოფნა გერჩივნოს მკვდარად!*

თედო ბექიშვილი მშვენივრად ხედავდა, რომ ახალი ვითარება ყოველი მოქალაქის და, განსაკუთრებით, მწერლობის აქტიურ მოქმედებას ითხოვდა და, როგორც ყოველთვის, მზად იყო, თავისი მამულიშვილური ვალი აღესრულებინა:

*რაღაცა უნდა ვიღონო,*
*მახვილი უნდა ვკვერო,*
*უნდა ბოროტთან ვიბრძოლო*
*დროშები უნდა ვკერო,*
*რომ თავზე მადგე გვირგვინად*
*სამშობლოს ზეცის ჭერო!*

კრებულის ერთ-ერთი საუკეთესო ლექსია „ქართლის გზაზე". ლექსში კინოკადრებივით ერთმანეთს ცვლიან ქსნის ციხე და მუხრანის ველი, ნასოფლარები, ნაციხრები, ნატაძრალები. დროთა განმავლობაში საქართველოს ამ ძირძველმა ნაწილმა უცხო ელფერი მიიღო, სარწმუნოებისთვის წამებული დედოფლის მშობლიურ კუთხეში არაქრისტიანულმა ჯიშმა და რწმენამ იმძლავრა და ამ ყველაფრის მიზეზი ჩვენივე ბედოვლათობა და უნიათობა იყო.

1987 წელს ამის ხმამაღლა გაცხადება ჯერ კიდევ იოლი საქმე არ გახლდათ. მით უფრო, რომ თედო ბექიშვილი შორეულ მინიშნებებს კი არ გვთავაზობდა, შეუფერადებლად, ღრმა გულისტკივილით გვიჩვენებდა მწარე სინამდვილეს:

*გამწკრივებულან გზის გასწვრივ მძივად*
*ნიშნები ჩვენი ბედოვლათობის,*
*გზა კი ჩვენია, დაუყვედრებლად*
*მივდი-მოვდივართ, არც ვაკვირდებით*
*თანდათან როგორ ცარიელდება*
*გზის პირს მომდგარი ქართლის მინდვრები.*

თედო ბექიშვილის უკანასკნელი წლების ლექსებში ისეთი სიძლიერით და სილამაზით წარმოჩინდა სიყვარულის თემა, რომ სიჭაბუკის წლებში შექმნილი სტრიქონები უკან ჩამოიტოვა. ესეც ალბათ განგების ნება იყო, მზის ჩასვლის წინ გედის მშვენიერი სიმღერები რომ უწყალობა და სიჭაბუკის მღელვარებით აავსო:

*ისევ ველი სიყვარულის*
*უცებ წამოფრთხიალებას,*
*ისევ ისმის ჩემს ძალებში*
*მისი ძველი ხმიანება.*
*ხმა ისმის და თვითონ არ ჩანს,*
*ნეტავ, რატომ გვიანდება?*
*ხოხობივით ფრთებგაშლილი,*
*ვიცი, ამობრიალდება.*

1988 წელს გამოცემულ კრებულში „გაზაფხულიდან შემოდგომამდის" განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ყამარის პოეტური ციკლი. ყამარი ქართული ზეპირსიტყვიერების პერსონაჟია. იგი ჩვენი ხალხის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და ტრაგიკული გმირის, ამირანის მეუღლეა. სიყვარულის გამო ყამარმა ზეცა მიატოვა, მამა სასიკვდილოდ გაწირა, მაგრამ, ამის მიუხედავად, მის შესახებ ქართულ ფოლკლორს ბევრის თქმა არ შეუძლია. ყამარი უეცრად შემოდის ეპოსში, მეტეორივით გაიელვებს, თვალისმომჭრელი სილამაზით გაანათებს თქმულებას და მიიმალება.

ყამარისადმი მიძღვნილ პოეტურ ციკლში შეიძლება პირობითად გავაერთიანოთ ხუთიოდე ლექსი, თუმცა ავტორს ისინი ცალ-ცალკე აქვს კრებულში შეტანილი. ყამარის სახემ თედო ბექიშვილის პოეზიაში ახალი სიცოცხლე შეიძინა, სისხლი და ხორცი შეისხა, სასურველ მიჯნურად იქცა.

ამირანის თქმულებაში ყამარი ეპიზოდური გმირია, თედო ბექიშვილის პოეზიაში კი ის ავტორის ყურადღების ცენტრშია მოქცეული. პოეტი სასურველ ქალთან სიახლოვეს ეძებს, თავისი ცხოვრების ტრაგიკულ მომენტებზეც მას ესაუბრება:

*ვერ გამოვფატრე, ყამარო,*
*შავი ვეშაპის მუცელი,*
*ცოცხლად ვმარხივარ სამარეს,*
*ჩემს ცოცხლად სიკვდილს ვუცქერი.*
*არც ბადრი, აღარც უსუპი,*
*აღარვინ მოჩანს მშველელი,*
*შავმა წამიღო ვეშაპმა,*
*შავი ზღვის გულში შეველი...*
*შენს ნათელს ეძებს თვალები,*
*სიბნელეს შეუჩვეველი.*

თედო ბექიშვილი საგანგებოდ გვახსენებს, რომ ყამარი „ღრუბელთ ბატონის" ასულია, მისი მიუვალი კოშკი ზეცაშია მიმალული. იგი ოცნებასავით შორია და ძნელად მისაღწევი, მაგრამ ჭეშმარიტად დიდ სიყვარულს ძალუძს მისი მიწაზე ჩამოყვანა. პოეტის სული სიყვარულის ლოდინით არ ილლება, მას არ ბეზრდება თუნდაც დაუსრულებელი და უნუგეშო ცდა.

*კოშკს მეც ვუარე გარშემო,*
*ვუვლი და ვუვლი ისევაც,*
*ვუვლი, სანამდის საჩემო*
*ცა ძირს არ ჩამოიქცევა.*
*სანამ კოშკიდან ყამარი*
*გარეთ არ გამოიხედავს -*
*არ ჩავბარდები სამარეს,*
*ფეხს არ მოვიცვლი იქედან.*

ყამარისადმი მიძღვნილი პოეტური ციკლი გვხიბლავს ძლიერი ვნებათაღელვით, სიყვარულის გამძაფრებული წყურვილით, თავგადადებული ტრფობით, რომელთანაც შერწყმულია ავტორის ფაქიზი სულიერი განცდები. ეს გრძნობები მონაცვლეობენ, ერთმანეთს ავსებენ, მიჯნურის შორეულ და, ამასთან, ძალზე მიწიერ სახეს ქმნიან. ყველა შემთხვევაში უცვლელი რჩება ავტორის გრძნობის მხურვალება, რაც ასე თამამად არასოდეს ყოფილა ხაზგასმული მის შემოქმედებაში.

მოვუსმინოთ, რა ცეცხლით, მონატრების რა ძლიერი გრძნობით არის გამსჭვალული ეს სტრიქონები:

ყამარ, სავსე ვარ შენი სინათლით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

*მიუწვდომელო, ცამდის ასულო!*
*ჩემი ცხოვრების დღენი ცრიატი*
*შენი ნატვრაა უდასასრულო.*
*....................................*
*ყამარ, თვით ღმერთსაც შევერკინები,*
*ოღონდაც შენი შუქი ვიხილო...*
*ყამარ, მიყვარხარ! ყამარ, მჭირდები!*
*ყამარ, სიცოცხლევ! ყამარ, სიკვდილო!*

ლექსში „გამოთხოვება" ყამართან გამომშვიდობებით თითქოს სიცოცხლეს, ყველა ამქვეყნიურ სიამეს ეთხოვება პოეტი, შიშით და ძრწოლით კი არა, უფრო სევდით და სინანულით. ასე მოხდა ოთხიოდე წლის შემდეგაც, როცა ლექსში ნათქვამი სინამდვილედ იქცა. თედო ბექიშვილი სულგატეხილი, შემდრკალი არ წასულა სამზეოდან, ჩუმი, შეკავებული კვნესა და ამოუთქმელი დარდი იყო მისი სამარადისო საგზალი. სხვანაირი ჟღერადობა აქვს დღეს მისი ლექსის ამ სტრიქონებსაც:

*ყამარ, ახლოა უკვე სამარე,*
*ჩემს სამარესთან შენ თმას არ გაშლი!*
*გადაიარა მზემ ცის კამარა*
*და მთების მიღმა ჩადის განგაშით...*
*მხოლოდ ხსოვნა ვერ დავასამარე,*
*დამნაშავე ვარ, ალბათ, ამაშიც!*
*ყამარ! მწარეა ეს აღსარება,*
*ეს გაცოცხლება ძველი ელდების,*
*სამგლოვიაროს რეკენ ზარები,*
*მზეო, ჩადიხარ! ცაო, ბნელდები!..*
*გულო, მიგყვება ძველი ბზარები*
*და სიყვარული გასანედლები.*

თუ მხედველობაში არ მივიღებთ ავტორის მიერ შედგენილ რჩეულს, რომელიც 1991 წელს დაიბეჭდა, თედო ბექიშვილის ახალი ლექსების უკანასკნელი კრებული „მძიმე წელიწადი" 1990 წელს გამოვიდა. ეს მართლაც ძალზე მძიმე პერიოდი იყო ჩვენი ხალხის ცხოვრებაში - 9 აპრილის ტრაგედიამ თავზარი დასცა ქართველ ერს. ამ დღეების განწყობილება დიდი სიმძაფრით გადმოიცა თედო ბექიშვილის ლექსებში: „სხედან ბიჭები", „ასე ყოფილა აქამდე", „წრიალებს ფიქრი", „ყოველთვის სისხლით შენდება", „ჩვენ მოვესწარით" და სხვა.

ისტორიულ ქრონიკებში შემორჩენილი „სისხლიანი კალო" საუკუნეების შემდეგ ისევ დატრიალდა ჩვენს მიწაზე და გაოგნებული პოეტი თითქოს აღამაჰმად-ხანის, თემურლენგის ან ჯალალედინის დროინდელი საშინელების მონაწილე გახადა:

*ჩვენ მოვესწარით გაუგონარ ბარბაროსობას*
*(თურმე მტარვალი ბავშვთა კალოს მართლა ლეწავდა),*
*დროს, როცა უნდა დავიწყნოდა მგოსანს მგოსნობა,*
*როს კალმის ნაცვლად ხმალი უნდა ამოეწვადა.*

მიუხედავად იმ საშინელი შედეგებისა, რაც ცხრა აპრილს მოჰყვა, პოეტს სიამაყით ავსებს ახალგაზრდების, თითქმის ჯერ ისევ ბავშვების თავდადება, რომლებმაც მამულისთვის „წამებულის ეკლიანი გვირგვინები" დაიდგეს და ამით უკვდავებაში გადააბიჯეს: „სხედან ბიჭები სუსხით, ყინვით შეფუთულები, სხედან ბიჭები - საქართველოს ცხელი გულები... ო, რა მწარე ხარ, მოწამეთა ეკლის გვირგვინო, იყინებიან, რომ სამშობლო არ გაიყინოს!"

გავიდა მცირე დრო და ქვეყნის გათავისუფლებისთვის წამოწყებულმა მოძრაობამ ბევრი ცხოვრებისეული ლექი ამოატივტივა ზედაპირზე. ერთმანეთის მიყოლებით განვითარდა პოეტისთვის გაუგებარი მოვლენები - სამოქალაქო ომი, ძმათა კვლა, მოყვასის ხელით დარბეული და გაძარცული სოფლები და ქალაქები.

ამ მოვლენებმა განაპირობა თედო ბექიშვილის შემოქმედებაში ახალი, სატირულ-ირონიული ნაკადის შემოჭრა. საშინელ სიმწარეს იწვევს პოეტში შვილთაგან დაქცეული მამულის ხილვა, თავისუფლების უწმინდეს სახელს ამოფარებულ უკეთურთა მიერ გაპარტახებული და შებღალული ეროვნული ფასეულობანი:

*მუშაობა მთავარი უკვე გაწეულია,*
*ჩვენი კოხტა მთა-ბარი*
*ლამის დაქცეულია!*
*ტყეში ჩიტი არ გალობს,*
*წყალში თევზი არ ცურავს...*
*სხვას ვის გადავაბრალოთ,*
*ჩვენ ვიშრომეთ კაცურად.*

პოეტის ირონია ქვეყნის უბედურებითაა გამოწვეული და იმ ადამიანების წინააღმდეგ არის მიმართული, რომელთაც სამშობლოს სიყვარული ყიდვა-გაყიდვის საგნად აქციეს და საკუთარ კეთილდღეობას ანაცვალეს ერიც და მამულიც:

*საქართველოს სიყვარული*
*სარფიანი საქმე გახლავთ,*
*ვიცით ბევრი, ვინც ამ ხერხით*
*გვარიანად შეიმაღლა.*

ამგვარი პირდაპირობა, ასეთი მძაფრი ირონია და სატირა იმ პერიოდში საკმაო გაბედულებას მოითხოვდა. შემოქმედებითი ინტელიგენციის ერთი ნაწილი განზე დგომას და დუმილს არჩევდა, თედო ბექიშვილი კი თითქოს გრძნობდა, რომ გაჩუმების და ცდის დრო აღარ ჰქონდა, ამასთან, ქვეყნისა და ერის საზიანო პროცესებისთვის თვალის დახუჭვა მისი ცხოვრების წესს არ მიესადაგებოდა, ამიტომ დაუნდობლად ამზეურებდა ქვეყანაში ფეხმოკიდებულ უზნეობას:

*კარგად რომ იყო, საჭირო*
*სულაც არ არის სხვა რამ:*
*ყური არ უნდა ათხოვო*
*შენი სამშობლოს ვარამს...*
*უნდა იყვირო, ქვეყანა*
*რომ სხვაზე მეტად გიყვარს,*
*სულ უნდა იყელყელაო,*
*გულზე მუშტები ირტყა...*

"გული მტკივა შენით, შენი უბედურებით!" - თედო ბექიშვილის ამ სიტყვებში დიდი ტკივილი იგრძნობა, თუმცა ასეთ განწყობილებას მაინც უკეთესი დღის გათენების იმედით სავსე სტრიქონები ცვლიდა:

*დღე-ღამის განუწყვეტელი*
*ჭიდილით სული რვალდება...*
*ერთხელაც ღამის კედელი*
*იხუვლებს, ჩამოზვავდება!*
*ჩემიც რომ მოვა ამინდი,*
*(ხომ ყველა მითი მართლდება)*
*შავი ვეშაპის გვამიდან*
*დილა რომ გამონათდება.*

ახლად ფეხადგმული ბავშვივით ეფერებოდა პოეტი განახლების გზაზე დამდგარ მამულს, ბორძიკ-ბორძი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კით რომ ცდილობდა წელში გამართვას:

*გაცოცხლებულა ნერგი*
*თავისუფლების ძირზე*
*უფსკრულზე გასდებ ხიდებს,*
*წინ დიდი გზები გიდევს...*
*მშვიდობით გევლოს! ფრთხილად,*
*ბოროტის თვალი გიმზერს!*

კიდევ ბევრი ჰქონდა გასაკეთებელი შუა გზაზე მიღწეულ შემოქმედს - რჩეულს ამზადებდა, ახალ ლექსებს წერდა, მაგრამ მისი ცხოვრების მზე უკვე ნელ-ნელა სამუდამო სამყოფელის ჰორიზონტისკენ მიიწევდა. გარდუვალის შესახებ გარშემომყოფებმაც იცოდნენ და პოეტმაც, თუმცა იგი საგულდაგულოდ გაურბოდა ამ თემაზე საუბარსაც კი. ჩვეულებისამებრ, ახლობელთა სიმშვიდეს უფრთხილდებოდა, მაგრამ თვალებში ჩამოწოლილ სევდას და ნაღველს ვერაფერს უხერხებდა.

ბოლოდროინდელ ლექსებში თედო ბექიშვილს ხშირად ეძალება სევდა, ენატრება სიჭაბუკის, „მთვარის სხივებით მინერილი ბარათების" ჟამი:

*ღამეა, მთვარე ანათებს,*
*სარკმელთან ჩამოვისვენე,*
*აღარ ვნერ მთვარის ბარათებს,*
*მხოლოდ გარდასულს ვიხსენებ.*
*გაფრენილია მერცხალი,*
*ამინდი დარჩათ ბლუყრებს,*
*მთვარეც მცხრალი და მეც მცხრალი*
*ერთმანეთს სევდით შევყურებთ.*

ამ სტრიქონებში ავტორის ბოლოდროინდელი სამყარო მოჩანს - მჭვირვალი ცრემლით და სინანულით განათებული.

მხოლოდ ორიოდე ლექსში ნასცდა მოახლოებული აღსასრულის შესახებ. ვითომ მშვიდად დაიწყო სათქმელი, ვითომ ებევრებოდა კიდეც გავლილი გზა და გადატანილი სიძნელეები, მაგრამ უკანასკნელ სტრიქონებში მკაფიოდ ისმის მოკუმულ ბაგეებს დაცდენილი კვნესა, მწარე გმინვა - ვერდაფარული:

*იმდენ ხანს გავძელ ამ ქვეყნად,*
*ჭაღარაც შემომეპარა,*
*სულ ქარის ქროლვა მარყევდა,*
*თავს სულ ღრუბლები მეფარა.*
*თავის უფალი ვერ გავხდი,*
*განა ქვეყანა მებარა,*
*ლექსები ვჯღაბნე ხანდახან,*
*სჯობდა, მეხნა და მებარა.*
*როს თავის საქმით გართული*
*თავის გზით მიდის ქვეყანა -*
*ვის უნდა ჩემი ქართული,*
*ტყუილად ვიქეც მყეფარად...*
*ან უკვე ღამის მანდილი*
*თვალებზე ჩამომეფარა.*

თედო ბექიშვილის ერთ-ერთი ბოლო ლექსი, ფაქტობრივად, საკუთარი ეპიტაფიაა, მის განვლილ ცხოვრებას ასე ზუსტად რომ მიესადაგება და პოეტის უკანასკნელ იმედგაცრუებაზე მოგვითხრობს:

*ზაფხული უკვე ჩამოთავდა,*
*წამოიმართა მთა მელოტი,*
*ასე მალე თუ ჩამოთოვდა,*
*მაინც, რატომღაც არ ველოდი...*
*სამარეს ჩადიხარ, ჩემო თედო,*
*მწირი, გაცრეცილი საყელოთი...*

სულ მუდამ მშობლიური მთებისკენ მომზირალი პოეტი საკუთარ ეზო-კარს და საყვარელ ნაღვარევს დაუბრუნდა 1992 წლის სექტემბერში, როგორც მარადიული შვილი და პატრონი. ეს მისი სურვილი იყო და არაგვის წყალ-ჭალაზე უკანასკნელად ავლილს მშობლიური ხეობის სურნელება გაჰყვა სამარადისო საგზლად.

თედო ბექიშვილი ავტორია შვიდი პოემისა: „როცა არავინ ცას არ უყურებს", „დიდხუთშაბათი", „ნინო და მარიამი", „ჭალა, მდინარე და გაზაფხული", „ორი მდინარე", „ხიდი" და „ხეობა". ყოველ მათგანში ავტორის სულიერი სამყაროს სიმდიდრე, თანამედროვეობის პრობლემებით დაინტერესება, მამულის დიდი სიყვარული და მშობლიური ადგილების მონატრება იგრძნობა.

განსაკუთრებით ღრმა ტკივილებით არის აღბეჭდილი პოემა „ხეობა", რომელშიც შთამბეჭდავად აისახა პოეტის მძიმე ბავშვობის წლები და, ამასთან, მომავალ თაობასთან პირნათლად წარდგომის სურვილიც გაცხადდა. რა სინაზით, რა სისათუთით ეფერება ავტორი თავის სიხარულდანატრებულ სიყმაწვილეს: „ჩემი ბავშვობა! როგორც ნამყენი, საქონლისგან გადაკვნეტილი! ახლაც მიკვირს, ყლორტი როგორღა აიყარა, რა ჯანსაღი ფესვი ჰქონია! ბალახი რომ ქვის ძირიდან თავს გამოიძვრენს და ნელ-ნელა წელში იშლება და იმართება - ისე გამოველ იმ წლებიდან!"

თედო ბექიშვილი დროდადრო ლირიკიდან ეპოსზე ინაცლებდა და უფრო ვრცლად გვესაუბრებოდა იმ პრობლემებზე, რაც მას ასე აღელვებდა და აწუხებდა, მაგრამ ის, პირველ რიგში, მაინც ლირიკოსი იყო. ასე მიიღო და შეიყვარა იგი მკითხველმა. ნაადრევად წასულ პოეტს დარჩა დიდი შინაგანი გულწრფელობით, ადამიანების სიყვარულით და სიკეთით სავსე პოეზია, რომელსაც ჯეროვანი მოვლა, შესწავლა და დაფასება სჭირდება ჩვენი სალიტერატურო კრიტიკის მიერ. ეს დღევანდელობის საქმეა და, რა თქმა უნდა, მომავლისაც!

124
ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მურმან თავდიშვილი

## პირველიცა და მარადიულიც

### სიტყვა ლაშა გახარიას პოეზიაზე

ამ პოეტურ კრებულს ლაშა გახარია ისე ეფერებოდა, ისე ელოლიავებოდა, ისე ენიაზებოდა, კაცს ეგონებოდა - პირველ და უკანასკნელ წიგნს ადგენს და მთელს იმედსა და სასოებას მას თან ატანსო. "ავტოპორტრეტში" კიდევაც დასცდა ალსარებასავით:

*შეუცნობელი პოეტი დადის,*
*გამომცემლობებს არ უმტვრევს კარებს;*
*მშიერ ლეკვივით დაჰყვება დარდი*
*და ჯიბის ლექსებს ბუზს არ აკარებს.*

ასე დიდხანს რატომ უჭერდა პოეზიის მერანს სადავეებს? რა იყო ეს: შიში, მოკრძალება, სიფრთხილე? ალბათ, ერთიც, მეორეც, მესამეც. და კიდევ იმის მწველი ნადილი, როცა მთელი თავისი არსით წარსდგებოდა მკითხველის წინაშე, მთლიანად შეებოჭა იგი, თავისი პოეზიის ორომტრიალში ჩაეთრია და თავის გუნებისად გაესინჯვინებინა საკუთარი პოეტური მარნიდან მანამდე საჭაშნიკოდ ძლივს გამომეტებული ლექსების ერთობლივი გემო, ფერი და სურნელი. და დღეს, როდესაც ეს პირველი და მარადიული კრებული ხელთ გვიჭირავს, ვხედავთ: მასში თავი მოუყრია შედევრებსაც, ცალკეულ სახეობრივ მიგნებებსაც, მძლავრ პოეტურ აზროვნებას დაქვემდებარებულ მეტაფორებსა და მუსიკალურ ალიტერაციას.

მე ყოველთვის იმ აზრისა გახლდით, რომ ავტორს პოეტად აქცევს თუნდაც ერთი ლექსი-შედევრი, მკითხველის მეხსიერებაში ჩარჩენილი თუნდაც ერთი ხალასი ბწკარი, რომელსაც დავიწყება არ უწერია.

ნამდვილი შემოქმედი დღენიადაგ სტრიქონის გამართვაზე ზრუნავს და ფიქრობს, ჯახირობს, ლამეებსა ტეხს და ტაეპებს რანდავს. შემთხვევითი როდია, ავტორს ეს ნაფიქრიც პოეზიად რომ უქცევია. მის სტრიქონში განცდას ფანტაზიაც წახმარებია და ასე მივილეთ პოეტური შენადნობი, რომელიც უკვე იმ პირვანდელ განცდებსა და ნაფიქრ-ნაოცნებარზე ალარ დაიყვანება:

*მორჩა!*
*ან ლექსს არ გაგაცრევინებ*
*და არც კირსა გთხოვ, ვით კირითხურო,*
*ოლონდაც ერთხელ მეც მათქმევინე,*
*რომ აქ ვწერ,*
*მაგრამ ცაში ვკითხულობ!*

დიახ, ეს შენადნობი უკვე ალარ არის ის, რაც ავტორის პირვანდელ შთანაფიქრში იდო და თავდაპირველ გონებრივ მონახაზს განსაზღვრავდა. არა, იგი უფრო მეტია და აქ გვახსენდება შილერის ერთი შეხედვით რთული, ოლონდ შემოქმედი კაცისთვის იოლად გასაგები მეტაფორა - გენიოსის კალამი ყოველთვის უფრო მეტია, ვიდრე თვით გენიოსიო! თუ ერთი პოეტი წუხდა: მე სულ სხვა რამე მინდოდა მეთქვა, მაგრამ სხვას ამბობს წყეული რითმაო, - ეგ მისი პირადი პრობლემაა. სინამდვილეში, როცა იქმნება ჭეშმარიტი შედევრი, ხდება პირიქით, სწორედ ისე, როგორც ამას გერმანელი ავტორი გვასწავლის: კერძოდ, რითმა წყეული კი არა, მადლიანი ხდება და, მართალია, ამბობს სხვას, არა იმას, რაც გვეწადა, ოლონდაც ეს სხვა უფრო მეტია პირვანდელ შთანაფიქრზე. ამგვარ ვითარებაში, შესაძლოა, სხვისი გავლენაც დაგეტყოს, მაგრამ მაინც გაუნაპირდე ეპიგონურ მონობას და სხვის მიერ ნამლერ ჰანგზეც კი საკუთარი, ახალი პოეტური სინამდვილე შექმნა:

*არის ლექსი - ეფერები*
*და ისეთიც - ისე, რა...*
*ქარის ექს-ეფემერებით*
*დაისეთის ის მზერა...*
*მუქი შუქი ორიონის*
*სიზმრებიან ზმორებით...*
*უქმი "უქიმერიონი" -*
*"ცისფერ ნიამორებით"...*
("ისე, რა...")

როგორც ვხედავთ, სიტყვის ფალავანი როდი შეუშინდა გალაკტიონის ვეება აჩრდილს, რომელიც კომანდორის მკაცრი ლანდივით წამომართულა ჩვენი პოეზიის ცის კაბადონზე და ყველას რკინის ხელის ჩამორთმევით ემუქრება.

პოეზიაში ბეწვის ხიდია გასავლელი, რამდენადაც იგი გადის უკვე ნაცად და ორიგინალურ ინტონაციებს შორის. თუ ჩვეულებრივ ხიდზე აცაბაცად სიარულიც შეიძლება, პოეზიის ბეწვის ხიდზე შემდგარს უნდა ჰქონდეს "მარჯვე თვალი, მტკიცე გული" (აკაკი). ამ უცნაურად ჯადოსნური ხიდის მარცხენა მხარე ხომ გიჩვენეთ, ახლა თვალი შევავლოთ მარჯვენასაც:

*ნუხელ მოვწურე ლექსი, პატარა,*
*ბუწუნა,*
*როგორც ბაბუაწვერა.*
*ქარმოტანილი ქარს გაატანა,*
*ნეტავი, სულაც არ დამეწერა!*
*რითმები წყალში გადამიყარა,*
*იჩარირამა ქუჩის ჩინართან;*
*არც შემიძულა, არც შემიყვარა*
*და მერმე ჩუმად გაუჩინარდა*
("ხომ არ გინახავთ?").

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვათა ნამღერის, კერძოდ, ხალხური მოტივის, მთლიანად დაურვებაზე შეიძლება ვიმსჯელოთ, როცა ვახსენებთ "თითზე ნაკბენს". ეს მშვენიერი შენათხზი წილნაყარია ხალხურ წარმოდგენებსა და მრავალნაცადი შაირის ინტონაციებთან:

*თვალადი ცოლის პატრონსა*
*ყანა ვერ დამითესია;*
*წისქვილში ვერლა წავსულვარ,*
*ვერც ცხორი დამიმწყემსია;*
*ძილიც აყეფდა, საგებში*
*ჭინჭარი შემომესია!..*

*სჯობდა, კონჯაი მეთხოვა -*
*ჯალაბთვინ უმჯობესია!*

ლაშა გახარიას ერთი ლექსის კითხვისას შიშისგან კინაღამ სუნთქვა შემიგუბდა. რამ შემაშინა? იმან, რომ ჩემი მეგობარი პოეტი ძლიერ ახლოს, საშინლად ახლოს მივიდა ქართული პოეზიის იუპიტერთან. მეგონა, მისი მიზიდულობის ოკეანეში უკვალოდ ჩაიძირებოდა, მაგრამ მოხდა საოცრება: ბევრი სიტყვაც გამოსძალა, ბევრი ცნობილი ცნება-ტერმინიც გამოსტყუა, ტაბიძისეული ინტონაციაც მოიმარჯვა, ორიოდე მისეული სახეც გამოიყენა და მაინც საკუთარი ქმნილება შექმნა. ეს გახლავთ ლექსი "სურათის წარწერად":

*ვით ცერერას - მენესტრელი*
*გადააფენ დაფნებს ნიავს,*
*ბეთანიავ, მკერდზე წვერი*
*ბიბლიურად დაგფენია.*

*ვერ პარნასობს სირინოზებს*
*ჩამჭკლეული მეფისჭალა*
*და მიმოზა სიზმრის რტოზე*
*ანგელოზი ჩამომხრჩვალა.*

*დიდხანს დგომაც იცის დრომა,*
*როს მზე ცივ პირს იით იბანს.*
*მიდის ბინდი შემოდგომა*
*და სველ ნაბადს მიითიბავს.*

როცა სიტყვის ოსტატი მოზღვავებულ პოეტურ ძალას გრძნობს, აღარ ერიდება სხვათა ინტონაციებს; ფიქრობს, რომ მათ თავისებურ ჰანგად გადახარშავს, დაძლევს, საკუთარ სათქმელს ათქმევინებს, თავისებურ მიმართულებას მისცემს. ვგონებ, აღნიშნულს მიდასტურებს ორი ლექსი. ერთია "ცისნადური", მეორე - "წერილი დედას". პირველი ეფუძნება ლაზურ-მეგრულ ფოლკლორს, მეორე შეგნებული გაჯიბრება იმ მგოსნებთან, რომელთაც ლექს-წერილები მისწერეს დედებს და უკვდავი შედევრები შეთხზეს. უკვე ეს ფაქტი - გაეჯიბროს სიტყვის ჯადოქრებს - მეტყველებს ჩვენი ავტორის დიდ გამბედაობაზე, იმაზეც, რომ მოზღვავებულ პოეტურ ენერგიას გრძნობს, რაკი მრისხანე ფალავნებს ერკინება. დამარცხების შემთხვევაში ეს შემოქმედებითი თვითმკვლელობა იქნებოდა, გამარჯვებისას - უკვდავებასთან ზიარება. ვგონებ, ლაშა გახარიამ ორივე შემთხვევაში გაიმარჯვა.

ჯერ ისა ვნახოთ, როგორ გამოიყენა ავტორმა თავისი უპირატესობა - მეტრული ენისა და ზეპირსიტყვიერების ცოდნა:

*ჯანყობს შინდის ჯარი -*
*ცეცხლის კალოდ ბრიალებს!*
*ცაში შვიდი ქარის*
*შვიდი თოხი ტრიალებს...*

*გარეულმა იხვებმა*
*წუნდა ჩაიწიალეს;*
*ნისლის მატყლი იხვევა,*
*ქარი-ჯარა წრიალებს...*

*ფილთას ეძებს თარიქა,*
*ოჩოკოჩი ხარხარებს!..*
*ჰარამი დო შარიქა*
*სისა ტურას ძვალს ხრავენ...*

ღრმა შინაგანი რითმები, რომელთაც თვალი ვერც ამჩნევს, ოღონდ გაწაფულ სმენას არ გამოეპარება, სასწაულებრივ მუსიკას ქმნიან. ეს მუსიკა ლაზისტანის ქარიან საღამოს დასტურ შეეფერება...

რაც შეეხება ლექსს "წერილი დედას", როგორც ესენინისა და იაშვილის ლექსები, ეს ლირიკული აღსარებაც ამბიანია, ამბავს გვიამბობს. ამ ამბავში შეტანილია ლირიკული პერსონის ნაფიქრ-ნაგრძნობი და სწორედ ეს ქმნის ქმნილების ემოციურ მწვერვალს.

მასთან ნაცნობი ინტონაციები და უკვე ნამღერი მოტივები ორიგინალურ სათქმელად და სახეებად იქცევა და ქმნის სრულიად ახალ პოეტურ სინამდვილეს. ნამდვილი მწერლის მოვალეობაც ეს არის!

პოეტს კარგად ესმის, რომ დამთავრდა ეპოქა მთვარესთან რომანტიკული ლაციცისა. მოვიდა 21-ე, ტექნიკის საოცრებათა ასწლეული, მაგრამ ისიც გაუთვალისწინებია, რომ მთვარე კვლავ რჩება პოეტურ ხილვათა გამომწვევად. ესეც უნდა გავითვალისწინოთ: შეიძლება კაცი იყოს გემოვნებიანიც, ნაკითხიც, გონიერიც, მშვენიერი ლიტერატურული წერილებიც დაგვიწეროს, მაგრამ აკლდეს პოეტური მადლი. ასეთი პიროვნება ლექსსაც "იოლად" შეთხზავს, მეტაფორას გამოჩორკნის, ოღონდ ღვთივკურთხეულ ქმნილებას ვერ შექმნის. მაინც სხვაა პოეტური მადლი. ამ გაგებით პოეზიის სფეროში, შეიძლება თამამად ითქვას, გენიოსია ის, ვისაც არაფერი წაუკითხავს, მაგრამ ყველაფერი იცის. ამგვარ აზრებს წამოშლის სტრიქონები, მიძღვნილი მთვარისადმი, სადაც მნათობი დანახულია თანამედროვე პოეზიის საუფლოდან, თან ოდნავ ირონიული პოზიციიდან. ეს ირონია იმ თანამედროვე კალმოსნებს მიემართებათ, რომლებიც დღესაც ვერ გადმოსულან მთვარის რომანტიკული ამბიონიდან.

*კვლავ აკვარანცხდა ცინცხალ სტრიქონზე*
*რითმა - ეშმაკის ხელით ნაკროლი;*
*ჩამომაშველე, უფალო, დროზე*
*მთვარე - პოეტის მაშველი რგოლი!*
("ვედრება")

"გულიდან ხორცად ამონატანი" თქმების, ტაეპების თვინიერ ნამდვილი პოეზია ვერ იხეირებს. იგი ჯანდაგ, ურწყულ და ბრუნდე, დაშაშრულ ხეს დაემსგავსებოდა. სწორედ ამგვარი, გულით ნათქვამია ეს ტაეპები: „შედევრი" ვინა სთქვა ცოცხალი მგოსნისა... შედევრი საფლავზე ამოდის!" ("თვითშედევრი"). ერეკლე საღლიანმა თვალმახვილად შენიშნა, რომ ჩვენი ავტორი "სხვათა ულლიდან გამოხსნილ რითმებსაც კი თავის უღელში აბამს". ასეც ხდება, ოღონდ, რაღა თქმა უნდა, ამას აზრი მხოლოდ მაშინ ეძლევა, როდესაც ამგვარი გამწევი ხარები ახალ ურემში შეებმება. ასეთი ლექსია "მეცენატი", სადაც კალმის ოსტატი მარჯვედ იყენებს პ.იაშვილის რითმების ცნობილ წყვილედს: მზის ვარდით - ნისკარტით. თვით აზრობრივად საკამათო ლექსში "ჩემი რჩეულნი" ფორმობრივად, მხატვრული ოსტატობის მხრივ, არაფერია საკამათო. კი, ბატონო, რუსთველის შემდეგ გურამიშვილი უნდა დავასახელოთ, მაგრამ საბა ორბელიანის, ვაჟა-ფშაველას, ბარათაშვილის, გალაკტიონისა და გრანელის სახელებთან რომ გოგლა არა ჩანს, ნონსენსის ფარდია. არადა, როგორც იტვიან, "შუბი ხალთაში ვერ დაიმალება", ტარი მაინც გამოუჩნდება! ასეც არის: ამ წიგნში ყველაზე მეტი ლექსი ვისაც ეძღვნება ან მისი სახეებით არის ნასაზრდოები, არის სწორედ გიორგი ლეონიძე.

მაშასადამე, ფაქტობრივად, ავტორის ყველაზე საყვარელი პოეტი გოგლა გამოდის, სიტყვიერად კი - სხვები. სინამდვილეში, შეუძლებელია, ლაშა გახარიას რჩეული პოეტი არ ყოფილიყო გოგლა. ამას აქვს მარტივი ახსნა: ჩვენი ავტორი ლეონიძის სტილის ერთგული მიმდევარია. მას სწორედ ლეონიძისეული მაძღარი შედარება, ჯავარიანი, დაფერილი, მშრომელი გლეხის ხელისგულივით დაკოჟრილი და გამძლე, გულქართლი ფრაზა, მოკვეთილი თქმა, მოულოდნელი,

ჯიქურ დაჯახებული მეტაფორა ახასიათებს. მე თუ მკითხავდით, გეტყოდით: "მუზის პაუზა" კვალში მისდევს ბუხუნა ხმის მქონე მესიტყვის ისეთ შედევრებს, როგორიცაა "მხარე - ვაზებში გამოხვეული", "ყივჩაღის პაემანი", "ნინოწმინდის ღამე", "ნინა ჭავჭავაძეს" და სხვ. ესენი კი მე-20 საუკუნის მსოფლიო პოეზიის უკვდავი ყვავილებია.

ახლა დავასაბუთოთ ეს თვალსაზრისი.

თუმცა მათ შორის არავითარი კონკრეტული მიზეზ-შედეგობრივი კავშირი არ ჩანს, მაგრამ ვით არ მოგვაგონოს გოგლას ცნობილი სახე - "როგორც საძროხე ქვაბს ოშხივარი, ქართლის ხეობებს ასდით ნისლები", რაც ლექსის კონტექსტისგან დამოუკიდებლადაც ქმნის მომხიბვლელ, დაუვიწყარ და ამიტომაც ღირებულ და დიდფას მხატვრულ სინამდვილეს, - ლაშა გახარიას ამ ტაეპებმა:

*დედაბრის ერდოს თაგვიც არა ჰყვის...*
*ჩამომხობიათ ბუერებს ქოხი.*
*დაუფჩენია მტკნარ მტკვარს ყბა-რაგვი*
*და კამეჩივით ლეწჩ ტალღებს ცოხნის.*
("ზემო-ქვემოთ")

ანდა როგორ არ მოგვაგონებს გოგლას "ივერიის ღამის" ამ ტაეპებს - "დარიალიდან გადავარდნილი ხაზარეთისკენ მისცურავს წერო" - ჩვენი ავტორის ეს ნახილავი:

*კლდეთა ნეკნებში კნავის არაგვი...*
*იმხელა ეზოს იზომავს ძერა!..*
*აესარსალა შურთხს სარსარაკი*
*და შუაფხოსკენ წაილო ცერად.*
("გაღმა-გამოღმით")

მხატვრული სახისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით მე ვერავითარ სხვაობას ვერ ვხედავ, როცა ერთი ამბობს, რომ ნინო ჭავჭავაძე გაზაფხულის ბანაკი იყო და მისი სილამაზის იქით წყვდიადი ეშვებაო, ხოლო მეორე ცირას თვალჭიაკოკონას უწოდებს, რომელიც, თურმე, ბრონეულების (წითელი ლოყების) ხანძარს ანთებს.

თვით ალიტერაციაც კი, რაც ესოდენ დამახასიათებელია ყველა მნიშვნელოვანი პოეტისთვის (გაიხსენეთ, რუსთველურ ალიტერაციას კ.ჭიჭინაძემ მთელი მონოგრაფია უძღვნა), გოგლასეულ პოეტურ ძალასა და მხატვრული სახის სიჯანსაღეს გვაგრძნობინებს. ზუსტი და მოულოდნელი შედარების მიგნების წესიც გოგლასებურია და ამის შეგრძნება მკითხველს აღაფრთოვანებს. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ გრძნობს ორი შემოქმედის სულისმიერ გადახმიანებას; მკითხველის შეგნებაში გარდასული ჟამის მგოსანიც ცოცხლდება და, მეორეც, იმის შეგნებაც გულზე (სალბუნს ადებს, რომ თანამედროვე პოეტურ) სიტყვას, თურმე, ძარღვი არ გასწყვეტია, გული ძალუმად უცემს და მზად არის ახალ სიმაღლეთა დასალაშქრავად.

ვერ მივაჩუმათებ ვერც ამ მეტაფორულ შედარებას, გოგლასეულ პოეტურ ენერგიას რომ შეგვაგრძნობინებს:

*დარანს ხელავენ*
*გახრულ ლუხართან*
*ნაკადულები საორკილონი;*
*თარზენის თავზე გადმომწუხარდა*
*ლაკადა ღრუბლის ლაოკოონი*
("წვიმის წინათქმად").

ხედვითი და სმენითი პლანების შერწყმამ სახეებით აზროვნებას, შეიძლება ითქვას, ახალი კალაპოტი გაუჭრა. მე არ მახსოვს პოეტი, გარდა შ. ნიშნიანიძისა, ესოდენ მძლავრად აზროვნებდეს სმენითი და ხედვითი ალიტერაციების მეშვეობით. ამის ნიმუშად რამდენიმე მაგალითს მოვიყვან: "ჭლის ფაჭაჭს ივარცხნიდა ჭალა, ჭალიკონი იღეღავდა უბეს ("მესეფური").

აქ პრიმატი ენიჭება სმენით ხატს. სხვაგან უპირატესობს მხედველობითი ალიტერაცია: "და წეროსავით კისერშვეტელა ონინარს ჭიდან ამოაქვს წყალი ("ნიშნობის ჯანჯუხები").

ალიტერაციული ოსტატობის უმაღლეს ზღვარს აღწევს ავტორი "ლუვრის ასულში". აქ ალიტერაციული ხერხის მოხმობით ბევრად მეტია ნათქვამი, ვიდრე ამას სტროფის მოცულობა გულისხმობს; ასევე, ხმის აუკანკალებლად უნდა ვთქვათ: შედევრში "ღამე ტიციანთან" სწორედ რომ აზლუდაწყვეტილი შედარებები და მძლავრი ალიტერაციული სახეები გვხვდება. პოეტური ხილვების ხიბლი აქ ბუნებრივად გადადის შემოქმედებით აღმაფრენაში. დილის საოცარი სურათია დახატული ორტაეპედში:

*უთხელდებოდა ნისლი ობობას...*
*იზლაზნებოდა ალაზნის ველი!*

ხოლო შემდეგ, მოულოდნელად, ამ ნისლიან სივრცეში ჩვენ თვალწინ წამოვარდა ალავერდი:

*ეს ალავერდი ჩემი სულია -*
*ლექსის ყელიდან ამოვარდნილი!*

ამ ლექსში ტიციანი "მოუწვიმარი მუზის ღრუბელია", ხოლო "თრიაქელით მთვრალი ნიავი" "ტყე-სავარცხელს ივლებს" თმაზე. მთავარი მხატვრულ-ემოციური სათქმელი კი, რატომღაც, ბოლოსთვის შემოუნახავს:

*ახლა სილნალი აზლუდს მოირღვევს,*
*წამო, მუხლებზე დავარდნა გველის.*
*ალაზანი რომ წელს წამოიღებს,*
*ლეკის წარბივით განწყდება გველი!*

ეს საოცარი ბოლო შედარება მეტაფორული ხასიათისაა, რამდენადაც "გველად" იგულისხმება ლეკეთის მთაგრეხილის გველეშაპი, ხოლო "ლეკის წარბივით გამწყდარი" მთაგრეხილი ქართული ცნობიერებისთვის უცხო როდია.

ლექსში "გოგლას" ყველაზე მეტად გამოჩნდა ოსტატისა და შეგირდის ურთიერთობა. აქ ჩანს ერთგულებაცა და ურჩობაც, ანუ, სხვაგვარად რომ ითქვას, საერთო-სტილური ერთგულება და აზრობრივ-შინაარსობრივი ურჩობა, ახლებურად თქმის ძიება, რაც ნამდვილი პოეტის მოუშორებელი თვისებაა. აქ ჩანს ერთგვარი პატივისცემაც და ერთგვარი ჯიბრიც იმ პოეტისა, ვისაც კიდევაც ეკამათებიან, ედავებიან, მაგრამ ფარულად ვის სიყვარულსაც გულისგულში ატარებენ, რადგან, რომ არ ატარონ, არ შეუძლიათ. რითი ეჯიბრება ნამყო დროის უდიდეს ოსტატს უკვე ოსტატად ჩამოყალიბებული შეგირდი? ჯერ ერთი, მოჰყავს სამოტივო ტაეპები გოგლას ლექსიდან: "გადამაგდე და დამკარგე, როგორც ჩერქეზმა ისარი!" შემდეგ თვითონაც "ისრის ამბით" იწყებს თავის ლირიკულ გნომას:

*ნაშხივებული ყაბახს ისარი -*
*ხარ პიტიახშის მშვილდით ნატყორცნი!*
*მწყემსის ბიჭივით მორბის ცისკარი*
*და ნაპოვნ ბატკანს თვალებით კოცნის...*

ეჭვი არ არის, ხაზგასმული პოეტური სახე-შედევრი ლექსის ჩარჩოს იოლად ტოვებს და თვითღირებულ და თვითკმარ მხატვრულ სინამდვილედ რჩება. ჩვენი ავტორი კიდევ უფრო ამძაფრებს ტკივილის შეგრძნებას, ხოლო სააზროვნო სივრცეს ახალი მეტაფორებითა და ღრმააზროვანი სახეებით ავსებს. მაშასადამე, ყალმით ნახატ სურათზე უაზრო სიცარიელეს არ ტოვებს.

პოეტური ინტონაციის ბუნებრიობა განწყობილების უტყუარად გადმოცემის უმთავრესი პირობაა. მირზა გელოვანის უძლიერესი ლექსის შთაბეჭდილებასა და მისით მოგვრილ განცდებს ისევ აღადგენს "სამადლო თოვლის" ეს სტროფი:

*იმ ქერა თმებსაც შეგახსენებენ,*
*რომ შეაშფოთეს თმები - შოლტები*
*და ლარიქსებზე მოქსოვილ ვნებებს*
*ჩამოატყდებათ სიზმრის ტოტები.*

მიძღვნით ლექსს მხოლოდ მაშინ აქვს ღირებულება, ადრესატის მიერ ოდესღაც მოტანილი განცდებისა და მხატვრული მიგნებების ფარდ ღირებულებას თუ ქმნის, წინა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმდეგ შემთხვევაში ხელთ გვრჩება მოდისადმი მეტიჩრული გამოდევნება - აქაოდა, კრებული თემატური მრავალფეროვნებით უნდა გამოირჩეოდეს, შიგ მიძღვნითი ხასიათის ლექსებიც უნდა ერიოსო. "ნიკო სამადაშვილს" გვიდასტურებს: ჩვენი ავტორი წინამავალი შემოქმედის მხატვრულად ტოლ და ფარდ ღირებულებას ქმნის და ამით ამართლებს კიდეც ამ ლირიკული გნომის არსებობას:

*აბა, რა გითხრა*
*ამაზე მეტი*
*(მეზედმეტება*
*სხვა ეპოლეტი):*
*ქრისტესისხლაზე*
*შენც შეგრჩა წვეთი*
*წითელამოხდილ*
*ერთი პოეტის.*

ერთია ფორმობრივი ოსტატობის მიღწევა, მხატვრული საშუალებების დაურვება, როცა ამ საშუალებებს ქვევიდან შესცქერი და მათი დამორჩილება ღვთის სასწაულად წარმოგიდგენია. ესეც მადლია, ოღონდ ნაკლული. სულ სხვაა, როდესაც ამ ფორმობრივ საშუალებებს, საპოეზიო ილეთებს ვირტუოზულად ფლობ და მათ თავისუფლად ეთამაშები, გუნებისად იმარჯვებ, მაშასადამე, მათ ზემოდან ჩამოჰყურებ, როცა გინდა და რასაც გინდა, იმას ათქმევინ-გამოახატვინებ. ესეც მადლია, ოღონდ მირონცხებული. ამგვარი თავისუფალი "პოეტური ჟონგლიორობის" ნიმუშად მიმაჩნია "ხელგაკრულად", სადაც შოთა ჩანტლაძის პატივისცემაც დასტურდება და რითმისადმი მისი დამოკიდებულების სამართლიანი რევიზიაც, აგრეთვე, მისდამი წარმატებული გაჯიბრებაც.

ლამა გახარია, თუ შეიძლება ასე ითქვას, "ლექსმკეთებელია". ის არ არის პოეტური ამბების მიმგნები. მაგალითად, თუ ასეთ მიგნებულ პოეტურ ამბებად ჩავთვლიდით, ვთქვათ, "მერის", "მესაფლავეს", "ვერონიკა კალუგელს", ლექსთკეთების ნიმუშებად უნდა მიგვეჩნია "ქებათა ქება ნიკორწმინდას", "მე და ღამე", "მთაწმინდის მთვარე..." ამ გაგებით ჩვენს მოშაირეს სულ რამდენიმე პოეტური ამბისთვის ჩაუვლია ხელი. ერთი მათგანია "ჩემს ქუდს", სადაც პოეზიას ცალკეული სახეობრივ-მეტაფორული ძიებები კი არ ქმნიან, არამედ თვით ამბის პოეტურობა. სხვათა შორის, ამბის პოეტურობის ერთი საუკეთესო მაძიებელი თანამედროვე ავტორებში გახლდათ გურამ პეტრიაშვილი. "ჩემს ქუდში" მოთხრობილი ამბავი, მართლაც რომ, "ისე თბილი და ალერსიანია, დედა რომ საბანს შემოგიკეცავს".

პოეტური სიტყვის ერთი თავისებურება ისიცაა, რომანტიკულ-დაუჯერებელი დასაჯერებელი გახადოს, მხატვრული პირობითობა რეალისტურ სინამდვილედ წარმოგვიჩინოს. საქმის ასე შემობრუნება პოეზიის თავისებურებაა. ვგონებ, ამ აზრს მიდასტურებს "თოჯინები". თურმე, თოჯინების განწყობილების აღწერით შესაძლებელია ერთი ოჯახის სიხარულ-მწუხარების ნათელყოფა. ეს შესაძლებლობა წარმატებით არის გამოყენებული ამ სტროფებში:

*გაზაფხული უშენობით ცივია...*
*ნიავი თმა სავარცხელზე ნელდება;*
*თოჯინები როცა არ იცინიან,*
*რაღაც ხდება,*
*რაღაც ცარიელდება.*
*გარეთ წვიმს და*
*ქოლგასა მთხოვს ტუია,*
*უჭირთ ხეებს -*
*ჭვიმით ხელგაკოჭილებს;*
*თოჯინები არასოდეს სტყუიან,*
*ეს დიდები ატყუებენ თოჯინებს.*

ზემოთ ითქვა და ახლაც ვიმეორებ: მიძღვნით ლექსს მხოლოდ მაშინ აქვს აზრი და ღირებულება, ადრესატის მხატვრული სიმაღლისთვის შესაფერის თუნდაც ერთ სახე-ხატს შექმნი, რომელიც მკითხველის ხსოვნაში ჩარჩება და არც ადრესატს შეარცხვენ მკითხველის წინაშე. ოთარ ჭილაძეს ეძღვნება "თოვლის ლიბრეტო". პრეტენზიული სათაურია, რა თქმა უნდა, ოღონდ მანამდე, სანამ ლექსი არ წაგვიკითხავს. ქმნილების გაცნობის შემდეგ ჩვენი ცნობიერებიდან ქრება ცნება "პრეტენზიული" და ისადგურებს მხატვრული გამარჯვებით მოგვრილი სიხარული და სიამაყე. ლექსის ფაქტურას, აზროვნების სტილს, ცალკეულ კარგად მიგნებულ სახეებს იოლად შევყავართ ოთარ ჭილაძისეულ სამყაროში. ვგრძნობთ, აქ ასახული სამყარო მისეულია, არაა უცხო და ძალად თავს მოხვეული, და ამ დროს მართლაც რეალურივით გჯერა, რომ

*მოშრიალებდა*
*შოპენის თოვლი*
*კლავიშებიდან*
*შორი ლირიკით...*
*და როგორც*
*ეჭვით დაღლილი ცოლი,*
*აუზთან*
*ქოლგით იდგა ტირიფი.*

ამ შესანიშნავ სახე-ხატს ბუნებრივად მოსდევს არა გონებით, გრძნობისეულად წარმოსახული ალიტერაციით განყობილი ანტურაჟი, სადაც "პორტის პორტალი" ცენტრალურ სახეობრივ ხატს, ხოლო "რ" და "ტ" ბგერების კანონზომიერი და ბუნებრივი ხმიერება შესანიშნავ აკუსტიკას ქმნის. ერთი სიტყვით, იხატება ბგერწერული სურათი.

სურათში ბუნებრივად შემოცურდება კიდევ ერთი აზრობრივად საინტერესო სახე: "და მოცარტ ცრემლებს იშრობდა ბავშვი".

ამ რთული, პოლიფონიური ლექსის (სხვათა შორის, ო. ჭილაძის რთულ მხატვრულ შემოქმედებას რომ შეესატყვისება) უმთავრესი ღირსება სავსებით სწორად დაჭერილი განწყობილების ბოლომდე შენარჩუნებაა. ეს ვითარება თვალნათლივ დასტურდება ქმნილების ბოლოში, სადაც ცნებები: ტირილი, ფრანტი, გიტარა, სიგარეტი, კარეტა და ვალეტი რაღაც თანხმიერსა და უსაშველოდ სასიამოვნო ჟღერადობას ქმნის. ჩვენ ვიხიბლებით ამ აკუსტიკის სინატიფითა და იდუმალი ალიტერაციის მშვენიერებით.

*თოვდა და*
*თოვლის ქალს*
*გაეტირა:*
*ფრანტი,*
*გიტარა*
*და სიგარეტი...*
*და თოვლ-კარეტით*
*კარტის ჰეტერას*
*მიაქროლებდა*
*თოვლის ვალეტი.*

ცნობილი თემაა - მეზობლის გოგომ ვიღაც შეიყვარა. ბევრი თანამედროვე პოეტი შეეცადა, ამ თემაზე მოესინჯა თავისი კაცობის ძალმოსილება. მათდამი ერთგვარ გაჯიბრებად ჟღერს ლექსი "აწ". მოშაირემ მიაგნო სათქმელის ორიგინალურად გამოხატვის გზას. ამიტომაც ხელთ შეგვრჩა ქმნილება - ნაცნობი უცნობი:

*მეზობლის გოგომ შეიგვიანა -*
*ვეღარ იპოვა ამწყდარი ღილი...*
*გაზაფხულია. წუხელ ნიავმაც*
*ჩვილ ალუჩაზე მოიჭრა კბილი.*
*აწ ორთავენი ერთად ივლიან,*
*სიყვარულია ისეთი ხილი...*
*კვლავ გაუტკბება ალუჩა ნიავს,*
*კვლავ ააწყდება გოგონას ღილი.*

"შელამებულზე" პირველი ტრფობის, პირველი კოცნის ალმურს აგვისახავს, რაც შინაარსობრივად იმავე თემას ეხება, მოტივაციითაც იმავე სათქმელს აგრძელებს და ავრცობს, ოღონდ გამოსახვის თვალსაზრისით განსხვავებულია.

*ციცინათელების წვიმაც გაწვიმდა,*

*ისე ცხელი და ისე უცები,*
*თითქოს, გაპობილ ბრონეულ ციდან*
*გადმოცვივდაო ცხარე კურცხლები.*

სასიყვარულო მოტივის აქცენტირება უკეთ ხერხდება ბგერწერული სახეების შერჩევით. როგორც ითქვა, ამ მხრივ "მუზის პაუზა" უკვე სათაურიდანვე აკეთებს სათანადო განაცხადს. "უბეგიტარა" სატრფიალო ციკლის ისეთი ნაწარმოებია, რომელშიც ალიტერაციული სახეები გადამწყვეტ როლს ასრულებს. სხვაგვარად, თითქოსდა, წარმოუდგენელიც იყო, რამდენადაც თვითონ "გიტარა" თავისთავად ალიტერირებული სიტყვაა.

*ია ეცვა ვარდს ფაჩუჩად,*
*ცრიდა აიაზმა ცით;*
*ინყებოდა დარდის ქუჩა*
*თქვენი ეზოს აბზაცით.*

*სასასთუმლე ლექსებს გწერდი,*
*განა საგიტარუბეს!*
*შენი მზერის მრავალწერტილს*
*ვკრეფდი, როგორც ალუბლებს.*

*მაგრამ ბედმა გიმდიდარა*
*(ხდება უარესებიც...);*
*რიმტიტარა... ის გიტარაც*
*მივიწყებულ ლექსებით.*

როგორც ვხედავთ, ამ ლექსში მეტრფის სათქმელს, მის განცდებს ბუნებრივად ასდევნებია შესაბამისი განწყობისა და ინტონაციის შემქმნელი ბგერწერული შესიტყვებები, რაც ქმნილებასთან ახლოსაც არ უშვებს "პოეზიის დიდ ლაფნიჭამიას" - სიყალბეს. ამ მხივ თვალმისადევნებელი ლექსებია "და მაინც არ ჩანს", "ყივჩალის მონანიება", "ნაადრევი მგზავრული". განსაკუთრებით კი მაინც "დიდგორობაზე" გამოირჩევა, სადაც ბუნებრიობა ესთეტიკურ ფენომენად ყალიბდება. ეს ესთეტიზმი იმდენად საჩინოა, დასტურყოფა აღარ სჭირდება, რამდენადაც გრძნობათა თვალსაჩინოებას მტკიცება არ უხდება.

როცა სისადავე და ბუნებრიობა ესთეტიკურ კატეგორიად ყალიბდება, თვით უკვე ნამღერი და სხვათაგან ნაცადი მოტივიც კი გულშიჩამწვდომ და თვალმისადევნებელ განცდად გვეძლევა. ამ აზრს ჩაგვაგონებს სტროფი ლექსიდან "ერთ დაფნის ფოთლად".

*დრო იყო ფრაკთა და მასკარადთა,*
*ცამეტი ტყვია რევდა რევოლვერს;*
*ერთი ყაჩალმა მოკლა არაგვთან,*
*დემონის ფრთებმა უხმეს მეორეს.*

ბუნებრიობის ესთეტიკურ ფენომენად ქცევის ნიმუშია "მწვანე ფოთოლცვენა". ჯერ ერთი, აქ ხდება რითმობრივი მიგნება (პალმა - "პალ მალს"); მეორეც, სახეებით აზროვნება ავტორის სათქმელის ეფექტიანად გამოხატვას ახერხებს:

*ტყვიის წვიმაში წაიქცა პალმა,*
*წამოიფარა ბოლო ფოთოლი;*
*წვიმს. სნაიპერი აბოლებს "პალ მალს",*
*ართობს ყვითელი სეტყვა - ფორთოხლის.*

*ქუდში ენევა მწარე ყალიონს*
*მეზენიტე და ცისკიდეს ზვერავს;*
*ნეტავ, სად მიაქვს ქა-ფოსტალიონს*
*ეს შავ წერილად გაშლილი ძერა?!*

"ცრემლის წერტილი" აფხაზეთის თემას ეხება. აქ ყურადღებას ის იქცევს, რომ ტრაგიკული და სევდიანი შეწყვილებულია მაღალმხატვრულობასთან. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილებაც კი გვრჩება, რომ, ტკივილს კი არ მივყავართ სახემდე, არამედ, პირიქით, მძლავრი პოეტური სახე იწვევს ტკივილის განცდას, სევდის ასოციაციას.

უნივერსიტეტის აღზრდილთა გულისნადები, მათი სათქმელი "თეთრი ტაძრისადმი" არაერთს გამოუხატავს ლექსითა და პროზით. ჩვენმა ავტორმა აქაც გამოიჩინა თავი, სათქმელი იმგვარად გამოხატა, იმდენად განზოგადებული სახე მისცა, ასე გგონია, ყველას გულისნადები გამოთქვაო. ქმნილება იწყება იმაზე წუხილით, რომ ერთგული სტუდენტი სანატრელს "ხელზე ვერ ემსახურა".

*ვწუხვარ, რომ ხელზე ვერ გემსახურე,*
*ხმელზე გავცურე უტევ სრუტეთი...*
*ეს რა მირონი გადმომასხურე -*
*ცალფეხსაფლავაც რომ ვარ სტუდენტი!*

ეს ჩვეულებრივი, "ნორმალური" სტუდენტის ან ნასტუდენტარის სათქმელია. უფრო მეტს გრძნობს და განიცდის ლექსის სივრცეს შეჭიდებული ნაშეგირდალი.

*შენ შემინამლე ლერწი პწკარები,*
*ცაც გადამისვი დედის ხელივით*
*და სტამბა-სტამბა დავწანწკარებდი*
*"პირველი სხივით" ლექსგამხელილი.*
*აქ დავეწყურე საბაქართულს და*
*მუზაც ვიულლე ნიას იეზით;*
*რა კარგი იყო თავგაპარსულთა*
*ჰოპლა! - მესამესემესტრიები!..*

გაზრდილი გამზრდელს წლების ჩაქრიალების შემდეგაც ველარ შორდება. "თეთრი ტაძრის" ბალმა შეჩვევა იცის, მისი სიტკბო-სიმწარე მთელ ცხოვრებას ეტოლება.

და ბოლოს გადაუხდელი ვალის შეგრძნებაც ეუფლება. ეს მარადიული ვალია, შეგირდი რომ მოძღვარს ვერასოდეს გადაუხდის.

*ვალი ვერც ლექსით გადამიხდია,*
*საბას "ძღვენს" ურცხვად გადავემალე;*
*ხომ არ დაგღალე, ჩემო ბიბლიავ,*
*ჩემი საფლავისქვამდე მევალევ?*

სვანეთის ციკლის ყველა ლექსი ღრმა აზრითა და გამოსახვის ელასტიკური ფორმით გამოირჩევა. ცალკეული ტაეპი, სტროფი, მთლიანი ქმნილება იჭერს და აფიქსირებს სვანურ სილამაზეებს. და ყველაფერი ეს, შეიძლება, დასკვნითმა სტროფმა გაგვითვალსაჩინოოს:

*აილამაზე დაჭრილი სქვერი*
*სისხლს შეიმშრალებს დალის კაბაზე.*
*ნეტავ, ამ თვალებს ჩაექცეთ ფსკერი,*
*რომ ჩაიტიონ ეს სილამაზე!..*

შეუძლებელია, მაძიებელი სულის შემოქმედს, ვინც სახეობრივ აზროვნებაზე ილებს აქცენტს, პეიზაჟი არ დაეხატა და ამ მხრივ კალმოსანი ყალმოსნებს არ გასჯიბრებოდა. ასეა, მაგალითად, "წაშლილ ღამეში".

*ღრუბლის ორწოხებს დაუძვრა მთვარე,*
*ვით სხვისი ხალით ჩაკრული - ჩვილი,*
*და მეტაფორს თავად ამთავრებს*
*ცა - ბრონეულად გულდახლეჩილი.*

სოფლის კონკრეტული პეიზაჟია წარმოსახული ლექსში "შაშვის ხელმოწერით". აქ წვიმა, ზაფხულის თბილი დარისთვის დამახასიათებელი ციცინათელები, წყაროს ვერცხლის ქამარი და ხროტინა წისქვილი ბუნებრივად იერთებს ზღაპრებიდან გადმოსულ ბეწვის ხიდსა და ავსულ დედაბერს.

მკითხველს სასიამოვნო შეხვედრა ელის ისეთ სახეებსა და მეტაფორა-შედარებებთან, რომლებიც ქართული სიტყვის ფუძესა და მწვერვალს უცნაურად აელვარებენ, მის ყოველ წიბო-წახნაგს ახალ ბზინვარებას ანიჭებენ. ამგვარი პირდაპირ საქრესტომათიო ნიმუშებია:

*ქარმა წინამურს*
*შეაშრო ყვავი,*
*ვით სამძიმარი*
*ძაძიან ხეთა.*
("არეულ ოქტავად")

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოულოდნელია, ოღონდ გაცნობისა და დაკვირვების შემდეგ ერთობ ნაცნობი, რეალური და ხელშესახები ხდება ეს შედარებაც:

*აქა-იქ მოლზე*
*დგანან ზვინები -*
*გათიბულ ველთა*
*ობელისკები.*
("ნასესხები")

ერთობ მარტივია, მაგრამ მოულოდნელად შემოფეთებული სასწაულივით გვახარებს გერგილიანი ორლესული თქმა - "აპრილმა მაისს გადასდო ტოტი" ("დაჭრილ ბარათად"), სადაც "ტოტი" ორგანზომილებიანი ცნებაა და მისი ორივენაირი გაგების შემთხვევაში მაღალ პოეზიას ვგრძნობთ. ღრმააზრობრივ მეტაფორად აღიქმება ტაეპები, კოჭლი ქმრის ცოლისადმი მიმართული; "დაკოჭლებულა ჭადრებიანად ქუჩა - კოჭლი ქმრით რომ ჩაიარე" ("ბედირონია"); ჩვენს სიტყვის ოსტატს არ უძნელდება, მკაფიოდ დაინახოს და ჩვენც გვიჩვენოს "კოცნის საშლელით წაშლილი პომადა" ("სხვისი ცოლი"); ისიც, რომ "მარტი მღვრიე თოვლზე კალმასობდა, ფეხი უსხლტებოდათ ჭადრებს" ("გადაუთეთრებლად"); ანთუ ისიც, "ღამეს ღილი როგორ შეხსნა ალიონმა" და ისიც, რომ ბეთანიის თოვლი "სათნოების დედანია", რომ "თამარიც იხდის ფრესკას და გუნდაობ რუსთაველთან" ("თეთრი პასტორალი"); აქ ისიც საინტერესოდ არის წარმოჩენილი, თუ როგორ იყო, "რომ ვერცხლილამის დავარცხნილ თმებში თითების სითბოს წვიმდა გიტარა" ("კაფკაში"); ხოლო ლხინის დროს როგორ ხდება, როცა "ჭრელ ცხვირსახოცს ლეჭავს "შალახო" ("თოვლიდილია"); ჭეშმარიტ ლექსში შესაძლებელია, ლექსი ცისფერთვალება იყოს, თუკი იგი ზღვისფერი ტბებიდან არის ამოწერილი:

*და მეძებს ლექსი,*
*ცისფერთვალება,*
*ზღვისფერ ტბებიდან*
*ამოწერილი.*
("ხსოვნის გუნდად")

ჩვენი მესიტყვის თვალთახედვით, "დინჯი დოინჯით დგას სამოვარი", ხოლო "წვიმით აცრილ მცივანა ქარში სიცხიან ნოტებს ფანტავს მოცარტი"; ისიც თვალსასეიროა, რომ "მოკლე კაბა ჩაიწია ქალმა... ფეხისწვერზე აიწია პალმა" და "მხატვრის ცოლმა გადმოზნიქა პიზა და ამოდის მთვარე - მონალიზა"; აქ ნიავიც ადამიანივით ტრფობის მოწადინეა: "ნიავიც ამალამ აიხდენს საწადელს: გალმა დაქალდება, ქარივით". პოეტურ კრებულში "ნელია სურო და საყდრის კარიც მშვიდია, როგორც ყდა სახარების", ხოლო ლექსში "ბრმა შედარება" ერთი ყველაზე თვალხილული და ტაშივით გაბედული შედარება ქმნის დაუვიწყარ სურათსაც და განწყობილებასაც:

*უკვე აუტყდა*
*ლამპას მთქნარება...*
*წვიმის "მორზე" და*
*ქარის სლოკინი*
*მიწყდა და*
*ლოკავს ბრმა შედარება*
*ხავსზე გაკლაკნილ*
*ვერცხლს, ლოკოკინის.*

ერთი შეხედვით შეიძლება მოგეჩვენოს, რომ ჩვენი ავტორი "ლექსთმკეთებელია" და არა "რითმამკეთებელი". სინამდვილეში, თუ ჩავუკვირდებით, აღმოვაჩენთ: შეუმჩნევლად, უხმაუროდ და ბუნებრივად შემოდის მის პოეტურ საუფლოში ახალი, საინტერესო, ერთობ მდიდარი რითმებიც. ამ მხრივ ყურადღება მიიქცია სრულიად ორიგინალურმა წყვილეულებმა: ავირჩიოთო აწ - ერთხორცად; დაიბზარა ცა - ზარმაცად; მოცარტი - მოცარდი; ელამი - "LM"-ის; კლავიშედი - ქალივით შედის; სხვა თონება - სათნოება; მეტი ორისთვის - მეტაფორისთვის; თოვლის მსვლელობით - ყოვლისელობით; ზის ქილით - წისქვილი...

ჩვენმა ავტორმა სიტყვათშემოქმედებაშიც თქვა სათქმელი. საერთოდ, სიტყვა ზოგადქართული ფენომენია, ის არავისი არ არის, ოღონდ ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ოდნავ სახეცვლილი ფორმით მისი მომარჯვება იმდენად ინდივიდუალურ იერსა სძენს, ვამბობთ: ესა თუ ის სიტყვა ამა და ამ მწერლის არისო. მაგალითად, "აღჩნდეს" გრ.ორბელიანის კუთვნილებაა ("ვინ ა ღ ჩ ნ დ ე ს გმირი..."). ვინც მას გაიმეორებს, ეპიგონობა შერჩება ხელთ. ასეთი "საკუთარი" სიტყვები მოეპოვებათ რუსთველს, გალაკტიონს, გოგლას... აი, ლაშა გახარიასეული "წარმოების" სიტყვები: წაწყნარდნენ, ამთავრებული, შემოეჭორნენ, გადმომწუხარდა, აცაზეპურე, ამოვისვანო, მოისარეცლებს, ზღვაგადასმული, ნათანდათარი, მოანამგალეს, ვეკრაზანებით, უპირველესყოვლობით, გადმოკურცხალდა...

პოეტური სიტყვა ხშირად ქვეტექსტის იდუმალებაზეა დაფუძნებული. ჩვენი ავტორის ლექსი ამ წესს გვერდს უვლის. იგი პირდაპირია, როგორც მაისის წვიმა და ნათელი, როგორც ბავშვის თვალები. ამიტომაც თუა, მიმართვაში "მკითხველისადმი" ასე რომ აცხადებს:

*რაც გამოვტოვე, ნუ წაიკითხავ,*
*არც სარჩევს შერჩა ჩემი ტკივილი;*
*წერტილიც, პწკარს რომ უმძიმდა დიდხანს,*
*დაკარგულია მთვრალის ღილივით.*

ჩვენი პოეტი გულშეძრულია ყოფნა-არყოფნის მარადიული კითხვით. "წერილი მეგობარს" სწორედ ამ შეგრძნებებს გვამცნევს:

*ჩემო ნუგბარო მეგობარო,*
*მწვიდობით მარად...*
*შენს თვალთა ტბებში*
*ჩემი ცრემლის შრება ციალი.*
*ბოლო ბილიკიც მიილევა*
*მალე ზღვისკარად*
*და დამთავრდება*
*ეს ხეტიალი.*

ამიტომაც თუა, ასე ბუნებრივად რომ ისმის წიგნის ბოლოს მწუხრის ზარივით ჩამოკრული ეს განაცხადიც, მიწევნილი "ცათა შინა":

*ნეტა რასა იქმთ, უხმეთ გონებას,*
*თუ კვლავ ბიბლიურ*
*ღვინით ბრუვდებით?*
*ვხედავ, აღარც აქ დამედგომება,*
*მაგრამ ვერც თქვენთან ვერ დავბრუნდები.*

ასეა, მწარეა მკაცრი სინამდვილე: უსაფუძვლო პატივმოყვარეობა, ანუ ნარცისიზმი, რომელსაც ტოლს ვერ უდებს შექმნილი, ავტორს ამსგავსებს ავადმყოფ არწივს (თომას მანი), მაგრამ კურთხეულია იგი, ვისი დიდებაც მის ჭეშმარიტებას არ აღემატება (რაბინდრანათ თაგორი). სინამდვილე იმ მხრივაც მწარეა, რომ უკვდავებაში გადასული მოკვდავებთან ველარ დაბრუნდება, ხოლო ცათა შინა ისევ და ისევ გაისმის პოეტი-ბურბულის ამოყეფა - ხელები სატრფოპოეზიისკენ გაწვდილი რომ დარჩენია:

*ჩხაოდა ყვავი მადათოვიდან,*
*იაფ პაპიროსს წევდი ხველებით;*
*შენს ბედად მზიდან მზე ამოვიდა*
*და გაწვდენილი დაგრჩა ხელები.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამუკა ცეცხლაძე

# ჩვენ და ჩვენი უფლებები

უწინ, ჯერ კიდევ ჩემ მახსოვრობაში, - ცხოვრება თქვენ თამაში ნუ გგონიათო — ასე ამბობდნენ და მხოლოდ ზოგიერთები, სოციალურად შედარებით უფრო აქტიურები თუ გულისხმობდნენ — ბრძოლააო. ახლა ამბობენ — თამაშიაო. ბრძოლა და თამაში ერთიმეორისგან რამ გაყო და ორივიე ცხოვრებაა, რა თქმა უნდა, მაგრამ ცხოვრება განათუ მართლა მარტო ბრძოლა და თამაშია და მეტი არაფერი? ცხოვრება თქვენ თამაში ნუ გგონიათო, რომ ამბობდნენ, რა იგულისხმებოდა და რისი თქმა უნდოდა ამით იმას, ვინც ბრძოლას არ გულისხმობდა, არ გულისხმობს და არ იგულისხმებს? - ფუ, ამას თუ ცხოვრება ჰქვიაო! — გამწარებულ კაცს რომ აღმოხდება — რას ჰქვია მისი აზრით ცხოვრება, რა ალიზიანებს და რა უშლის ხელს ცხოვრებაში და, უწინარეს ყოვლისა, რა არის საერთოდ ადამიანი?

არავითარი უტყუარი საბუთი საიმისოდ, რომ ვამტკიცოთ ღმერთის არსებობა ან არარსებობა ჩვენ, რა თქმა უნდა, არ გაგვაჩნია. ერთადერთი, რაც ყოვლად უეჭველია, ის გახლავთ, რომ ღმერთი როცა „კვდება", ყველაფერი, მართლა „ყველაფერი ნებადართულია", ხოლო, ვიდრე ცოცხალია ღმერთი, ანუ ვიდრე არსებობს ურყევი რწმენა იმისა, რომ ღმერთი მარადმყოფია, ყველგანმყოფი და ყველაფერს ხედავს, ნებადართულია მხოლოდ ის, რაც აკრძალული არ არის. ალტერნატივა ასეთია — წესრიგი ან უწესრიგობა. ღმერთი, უწინარეს ყოვლისა, წესრიგია, ულმერთობა კი — უწესრიგობა. უფალი და უფლის უფალობა, ანუ კულტი ერთია, ღმრთის ხატად და სახებად ქმნილი ადამიანი (რომელიც ღმერთს ედრება და — დავეჭიდოთო — სთავაზობს), მისი უფალობა და კულტი კი სულ სხვა. კულტურა ღმერთის არსებობის რწმენას, უფლის უფალობაზე ჩვენს წარმოდგენებს უკავშირდება და არა ადამიანის, როგორც პიროვნების, კულტსა და უფლებას. ჩვენ ვიცით, მაგალითად, რომ „მამა ზეციერი", რომელიც დღევანდლამდე და, ვინ იცის, უკვე რა ხანია, უეჭველად მამაა, ოდესღაც დედაც იყო, ანუ, ასე ვთქვათ, ყველგანმყოფი და მარადმყოფი, ერთი და ერთადერთი ღმერთი „დედა ზეციერად" გაიაზრებოდა. არ უნდა იყოს ამიტომ მთლად აზრს მოკლებული, თუ ვიტყვით და ვივარაუდებთ, რომ ოდესღაც შეიძლება „დედ-მამადაც" გაეაზრებინათ ღმერთი ადამიანებს. „რაც ზევით არის, ის არის ქვევით" და წინაუკმო — რაც ქვევით არის, ის არის, ჩვენი წარმოდგენით, ზევით. თქვენი არ ვიცი და მე პირადად ამაზე უფრო დამაჯერებელი პასუხის მოძიება მიჭირს იმ არსებითად უპასუხოდ დარჩენილ კითხვაზე, რასაც „დაბადებისეული" „ერთი ჩვენგანი" აჩენს — ღმერთი ჰო ერთია და რატომ ამბობს — „ვქმნეთ კაცი ხატებისაებრ ჩვენისა?" „და აჰა, ადამ, იქმნა, ვითარცა-ერთი ჩვენგანი"? ღმერთი მაპატიებს თუ ვცოდავ უნებლიეთ, მაგრამ სამების ერთარსებობით ამისი ახსნა მე პირადად ისეთივე გულუბრყვილობა მგონია, როგორიც ნეტარხსენებული ჩვენი უწმინდესი და უნეტარესი კათალიკოს-პატრიარქის — კალისტრატეს ეს ეტიმოლოგიაა: „ღმერთი, ანუ ღრმა ერთი". ორივე, რა თქმა უნდა, ეჭვშეუტანელი ჭეშმარიტებაა შინაარსობრივად და არსებითად, მაგრამ არა ამ ჩვენი დედამიწური წუთისოფლის ადამიანური ურთიერთობების დასაბამიერი ფორმისა თუ ფორმების თვალსაზრისით. „ნეტარ არიან მორწმუნენი", ანუ გულუბრყვილონი და არა „მწიგნობარნი და ფარისეველნი".

არ არის, რა თქმა უნდა, მთლად იოლი დასაჯერებელი, რომ მაინცდამაინც „ამასა ენასა შინა არს დამარხული ყოველი საიდუმლო", მაგრამ მთლად უსაფუძვლოდაც რომ ვერ იტყოდნენ და ვერ დაგვიწიგნებნენ ამას, ესეც ჰო საფიქრებელია, არა? სიკეთის, - მაგალითად, ამ სიტყვის, - ფუძე აშკარად „კეთ" არის ქართულში, ანუ კეთება. როგორიც არ უნდა იყოს ეტიმოლოგია სიტყვისა „ბოროტება", კეთების, ანუ სიკეთის ალტერნატივა ვერავითარ შემთხვევაში ვერ იქნება — ის, რასაც ჩვენ ბოროტება გვიქვია, რა თქმა უნდა, აგრეთვე კეთებაა. ალტერნატივა არა, მაგრამ სიკეთის — ამ ცნების — საპირისპირო ცნება უეჭველად სიფუჭე, ანუ არკეთება, ან ალარკეთებაა ქართულად, ხოლოს, ის, ვინც არ და ვერ ან ალარ და ველარ ა-კეთ-ებს, კეთილი ან ბოროტი კი არა, სწორედ ფუჭია, ანუ ისეთი, როგორიც ბავშვობაშია, მაგალითად, ადამიანი და გა-ფუჭ-ებული, ანუ ისეთი, როგორიც, მაგალითად, სიბერეშია. აი, ამიტომ და ამითი ემსგავსება, თუ ემსგავსება, სიბერეში ადამიანი ბავშვს. ზრდასრულმა ადამი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანმა კი, უწინარეს ყოვლისა, უნდა „დაუტევოს დედაჲ და მამაჲ თვისი და შეეყოს ცოლსა თვისსა", თუ უნდა, რომ სიკეთეს ეწიოს. ამ სიტყვის ჩვეულებრივი და საყოველთაო, უკლებლივ ყველა ენაში ერთნაირად გაცხადებული გაგებით ხომ ბავშვი კეთილია, როდესაც სიკეთის, ანუ რაღაცის კეთების იმედს იძლევა, ხოლო მოხუცებული — მაშინ, როდესაც სიკეთის, ანუ კეთებისთვის აუცილებელ გარემოს ამკვიდრებს თავის გარეირგვლივში, თუნდაც მარტოოდენ თავისი განვლილი ცხოვრების მაგალითით. ფუჭია ადამიანი, ვიდრე არაფერს არა და ვერა ქმნის და გა-ფუჭ-ებული, როცა აღარ და ველარ ქმნის. ბოროტი კი, რა თქმა უნდა, არც ერთ შემთხვევაში არ არის, რადგან მთავარი და გადამწყვეტი ყოველთვის ის გახლავთ, თუ კონკრეტულად რისი კეთების გარდაუვალი აუცილებლობის წინაშე დგას ესა თუ ის კონკრეტული ადამიანი, ესა თუ ის კონკრეტული ადამიანური და, ესე იგი — ყველა შემთხვევაში უეჭველად კულტურული გარემო, ანუ საზოგადოება და რისი კეთებაა შესაძლებელი ან შეუძლებელი ამა თუ იმ კონკრეტულ კულტურულ გარემოში, ამა თუ იმ კონკრეტულ დროში და ამა თუ იმ კონკრეტულ სივრცეში. გამოდის, რომ ჯოჯოხეთის გზები, ან ჯოჯოხეთის გზებიც, მართლა მარტოოდენ „კეთილი განზრახვებითაა მოკირწყლული" და „ბოროტება სხვა არა არის რა, თუ არა სიკეთისაგან მოკლება", ანუ შედარებითი და, ესე იგი, ნაკლები და ნაკლულევანი სიკეთე.

ცხოვრებაც სწორედ ეს არის — ცხოვრება ადამიანისთვის, უწინარეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, სიყვარულია, ანუ ურთიერთობა. სრულიად აშკარაა, რომ სიტყვა „ურთიერთობა", უწინარეს ყოვლისა, სწორედ „ორთა ერთობას" ნიშნავს ქართულად. ერთი — „ერთი ჩვენგანი" (როგორიც გახდა ადამი, ანუ ადამიანი იმის შემდეგ, რაც ადამმა და ევამ აკრძალულ ხილს გაუსინჯეს გემო) — არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს მთელი, და — ესე იგი — ნამდვილად ერთი, ნამდვილი ერთობა ადამიანისა მხოლოდ ორის ერთობა შეიძლება იყოს — ის, რაც ერთია ან ერთდება, სულ მცირე, ორი უნდა იყოს და ორ-ორი. ორთა ერთობის, ანუ სიყვარულის — თავად ამ სიტყვის — ამოსავალიც სწორედ ამიტომ არის „ორობა", ჩემი აზრით (შეადარეთ: „მიყორს" და ამისი მასდარი — „ყორობა" — მეგრულ „ყოროფას" — სიყვარული), ხოლო ღმერთის — ამ სიტყვის — ამოსავალი, იგივე ლოგიკის თანახმად და ისევ და ისევ, ჩემი აზრით, „ორ-ერთი" უნდა იყოს, ანუ ორი, რომელიც ერთია (შეადარეთ: ღმერთი — ღერბეთი — ღორონთი — ღორმოთი; მე თუ მკითხავთ, აქ პირველ ორ ვარიანტში „ერთი" ისმის საკმაოდ მკაფიოდ სიტყვის მეორე ნახევარში და თამამად შეგვიძლია, რომ „ორი" ვივარაუდოთ პირველში, მეორე ორ ვარიანტში კი წინაუკმო — „ორი" ისმის საკმაოდ მკაფიოდ სიტყვის პირველ ნახევარში და „ერთი" შეგვიძლია ვივარაუდოთ მეორეში). რამდენჯერმე მაქვს უკვე დაწიგნებული ეს სხვადასხვა დროს და სხვადასხვა გამოცემაში, მაგრამ ენათმეცნიერები ვერ იზიარებენ ამ ჩემს „ვერსიას", მე კი დღემდე გამოთქმულ ენათმეცნიერულ ვერსიებს ვერ ვიზიარებ და ასე ვფიქრობ ჩემთვის: იქ, სადაც საქმე რწმენას ეხება და — ყოველი საიდუმლო ამასა ენასა შინა არს დამარხულიო — გეუბნებიან, პროტოენიდან მომდინარე და გამომდინარე, ყოფით დონეზე სხვადასხვა დროს და სხვადასხვა დროით ნაკარნახევი „თამაშის წესების" ლოგიკით განხორციელებული ენობრივი ცვლილების შედეგად მიღებული ვითარების რეკონსტრუქციაზე უფრო მნიშვნელოვანი ადამიანური გონის იმ წამიერი გამონათების, „ცის გახსნის", ზეშთაგონების, „წინარე ცხოვრების" უნებლიე ფრაგმენტული რემინისცენციების, ანუ, უფრო დამიწებულად თუ ვიტყვით, ინტუიციისა და ამ „წინარე ცხოვრების წესის" ინტუიციური წვდომის ლოგიკის რეკონსტრუქციაა, რამაც თავის დროზე შვა, ალბათ, ეს რწმენა და რაც, უწინარეს ყოვლისა, რაღა თქმა უნდა, იმ ენაში ან იმ ენის ოდესღაც უკვე, უჩვენოდ და ჩვენამდე ძალიან დიდი ხნით ადრე, განხორციელებულ „რეკონსტრუქციაში" უნდა ასახულიყო, რომელიც „ერთი იყო მაშინ, როდესაც ღმერთიც ერთი იყო".

ქართული ანბანი რომ უეჭველად ქურუმების ანბანი უნდა იყოს, ეს თვალსაზრისი არც ახალია და არც არანაირად უარყოფილი, მაგრამ ქურუმების ანბანი რომ უეჭველად ქურუმების ენისა უნდა ყოფილიყო, ამის თქმასა და აღიარებას, შეიძლება მეცნიერული „კომპლექსებისგან" ჩემებრ „თავის უფალი" დილეტანტის მიამიტობა და სითამამე სჭირდებოდეს სწორედ. არადა, არსებობს ჰო ასეთი ცნობაც - ფარნავაზმა „ექვსი ენისაგან შექმნა ერთი ქართული ენა" (ენაო და არა ანბანიო)? მეცნიერები დღესდღეობით, თუ არ ვცდები, ერთხელ და სამუდამოდ შეთანხმებულნი არიან იმაში, რომ ანბანი, ველოსიპედისა არ იყოს, ისეთი გამოგონებაა, რომელიც მხოლოდ ერთხელ შეიძლება იქნეს გამოგონილი და ყველა სხვა ანბანი უეჭველად იმ ერთი, პირველი ანბანიდან მოდის. დაუდგენელია მხოლოდ, რომელია ის ერთი და პირველი ანბანი. ეს თუ მართლა ასეა და ერთი, პირველი ანბანიდან მოდის ყველა დანარჩენი ანბანი, მაშინ ქართველებს ერთი კი არა, სულ მცირე სამი ანბანი გვქონია. არადა, ღმერთმანი, მართლა ძალიან ძნელი დასაჯერებელია და გასაზიარებელი ის თვალსაზრისი, რომ ერთი ანბანი მეორისგან შეიძლება წარმოიშვას გაკრული ხელით წერის პროცესში და გამო. უეჭველია, ჩემი აზრით, რომ უკლებლივ ყველა ანბანს, მათ შორის სამ ქართულ ანბანსაც და იმასაც, იმ ერთსა და პირველს, რაღაც გარკვეული მოტივაცია უნდა ედოს საფუძვლად. როდის, რა ვითარებაში და რა მოტივით შეიძლებოდა დამდგარიყო იმ ერთი, პირველი ანბანის გამოგონების საჭიროება და აუცილებლობა? რისთვის, რა ამოცანის შესასრულებლად აღარ უნდა ყოფილიყო საკმარისი ანბანამდელი დამწერლობა თუ დამწერლობები? სამი ქართული ანბანიდან ერთ-ერთის შექმნის მოტივაცია, მე ვფიქრობ (და ეს თვალსაზრისი, თუ არ ვცდები, მეტნაკლებად გაზიარებულია მეცნიერთა მიერაც), ჩვენი წინაპრების ქრისტეს სჯულზე მოქცევა შეიძლებოდა და, როგორც ჩანს, იყო კიდეც. მეორისა — აი, იმ ექვსი ენისგან ერთი ქართული ენის შექმნა, მესამისა კი რა მოგახსენოთ, მაგრამ რაღაცა მოტივაცია უეჭველად იმ მესამესაც უნდა ჰქონოდა და, ვინ იცის, იქნებ მეოთხესაც და მეხუთესაც, გამორიცხული არც ეს არის, ჩვენი ხნისა ხომ, ბოლოს და ბოლოს, ქვა აღარ გორავს ამ დედამიწის ზურგზე. ობოლი ერი ვართო, გავიძახით... ობოლი კი არა, ყველა ჩვენი შორეული ნათესავია, მე თუ მკითხავთ და სუფთა ქართულ მენტალიტეტს (ძალიან მოდაშია ახლა ეს სიტყვა) თუ ვენდობით, - „სავსეს ქართული პატიოსნებით". თქვენი არ ვიცი და „ვეფხისტყაოსნის" ავტორიც ასე ფიქრობდა, ჩემი აზრით — დანამდვილებით, ალბათ, არ შეიძლებოდა სცოდნოდა არც იმას, რომელი ექვსი ენა იყო ის ექვსი ენა, რომელთაგანაც ფარნავაზმა ერთი ქართული ენა შექმნა, თუ შექმნა, მაგრამ თავის დროსა და ეპოქაში, უწინარეს ყოვლისა, ცხადია, სწორედ ინდურ და არაბულ სამყაროში უნდა ევარაუდა იმ „ერთი ქართულის" ცოდნა. სწორედ ამითი აიხსნება, ალბათ, რომ „ვეფხისტყაოსნის" ინდოელი და არაბი პერსონაჟები ერთიმეორეში „ტკბილქართულად" საუბრობენ. „ტკბილქართულად" საუბრობენ ერთიმეორეში, სხვათა შორის, გალექსილი „ამირან-დარეჯანიანის" პერსონაჟებიც, ყველანი და სულ არაქართველები, და სწორედ ამ „ქართულის" დაკარგვასა და უკმარისობას საყვედურობს „ვეფხისტყაოსნის" ავტორს გალექსილი „ამირან-დარეჯანიანის" ავტორი. არსად არც ერთი სიტყვით არ არის ნახსენები არც „ვეფხისტყაოსანში" და არც „ამირან-დარეჯანიანში" საქართველო და ქართველები, ნახსენებია მხოლოდ ქართული ენა ისევე, როგორც „ქებაჲს" ტექსტშია ლაპარაკი მხოლოდ ქართულ ენაზე და არაფერი, სულ არაფერი არ არის ნათქვამი საქართველოზე და ქართველებზე ან ქართველი ერის „მისიაზე". სიტყვა „ქართული" (ქართული ენა) გაცილებით უფრო ძველია, მოგეხსენებათ, ვიდრე „საქართველო" ან „ქართველი". ენაში ერიც იგულისხმებაო, ვფიქრობთ და, ცხადია, მართალია ეს იმ თვალსაზრისით, რომ ენაა უპირველესი ნიშანი ერისა, მაგრამ ის ენა, რომელიც „ერთი იყო მაშინ, როდესაც ღმერთი იყო ერთი", ან იმ მიზნით არის შექმნილი, რომ ისევე ერთი იყოს, როგორც ის „ერთი ენა" იყო, ვერავითარ შემთხვევაში ვერ გაიგივდება იმთავითვე ერთ რომელიმე ერთან. ჩვენი, ქართველების, როგორც ერის, მისიაც, თუ მაინცდამაინც მისიაზე ვილაპარაკებთ, ასეთ შე-

ეროვნული

მთხვევაში მხოლოდ ის შეიძლება იყოს, რომ ამ ენაზე ვლაპარაკობთ და, ესე იგი, ამ ენის შემნახველები ვართ. რა თქმა უნდა, რომ ქართული ენა ქართველი ერის უპირველესი მახასიათებელია დღესდღეობით და უკვე, ვინ იცის, რა ხანია, მაგრამ ნებისმიერი ერი, ნებისმიერი ძველი ერი ყოველ შემთხვევაში, უეჭველად სჯულიერია, ანუ სჯულის საფუძველზეა ჩამოყალიბებული და სჯულით ერთიანდება. არც ერთ სჯულს არ გამოსდის ბოლოს და ბოლოს ეს, მაგრამ ყველა სჯული, ანუ რელიგია იმას ცდილობს იმთავითვე, რომ ერთ ენაზე ილაპარაკოს.

შეიძლება ვცდები... მე კი არა, თვით დიდი ნიკო მარიც თურმე ძალიან ბევრ რამეში ცდებოდა, როგორც ამბობენ... კი არავის ვეკამათები და კი არაფერს ვამტკიცებ, ღმერთმა დამიფაროს, ვფიქრობ ჩემთვის და ვცდილობ, მკითხველსაც გავუზიარო ის, რასაც ვფიქრობ. ნიკო მარი დიდი მეცნიერი იყო, მე საერთოდ არა ვარ მეცნიერი — არც პატარა. ავი თუ კარგი, ლიტერატორი გახლავართ და ლიტერატურის გარდა სხვა არც არაფერი შეიძლება იყოს ჩემი ეს, არ ვიცი, რა დავარქვა... ტექსტი... ზღაპარი!

-მფრინავი ხალიჩის ზღაპარი თუ არ იამბო მეზღაპრემ, კონსტრუქტორებს აბა, საიდან მოუვათ აზრად თვითმფრინავის გამოგონება-მეთქი? — ვუთხარი ერთხელ ერთ ჩემს მეგობარ მეცნიერს — დაანებე, თუ გიყვარდე, თავი ამ ზღაპრებსო! — რო მითხრა. — ეგრე ზღაპარიც გამოგონებაა თავისთავად და შენ ისე გინდა ახლა გამოიყვანო, რომ იმას, ვინც მფრინავი ხალიჩის ამბავი იამბო, თვითმფრინავი ჰქონდა ნანახი, არაო? — არა, თავისი თვალით არ ექნებოდა ნანახი, მაგრამ უეჭველია, რომ რაღაც ბუნდოვანი გადმოცემისა თუ გადმოცემების, „გენეტიკური ხსოვნის" საფუძველზე უნდა გაეშალა ფრთები მის ფანტაზიას-მეთქი. ვიცინეთ, ერთი სიტყვით, ბევრი... ის ჩემზე იცინოდა, მე იმაზე. ერთში მაინც შევთანხმდით ბოლოს — თვითმხილველის ნებისმიერი, თვით ყველაზე უფრო „ობიექტური", ჩვენებაც კი ცალმხრივად სუბიექტური ინფორმაციის შემცველია ყოველთვის, ე.წ. „მხატვრული სიმართლე" კი მაინც გაცილებით უფრო დიდ გასაქანს იძლევა „ფიქრთ გასართველად". ცალმხრივად და ერთმნიშვნელოვნად სუბიექტურია ის შთაბეჭდილება, რასაც ძალიან ახლოდან დანახული რაიმე ძალიან დიდი საგანი ახდენს ჩვენზე, სწორედ ამ ცალმხრივად სუბიექტური ინფორმაციებისა და შთაბეჭდილებების უნებლიეთ თუ ნებისმიერად განზოგადოება, ანუ შორიდან და სრულიად მოულოდნელი რაკურსებით ჭვრეტაა ლიტერატურა. მთლიანად, ყოველმხრივ, ყველა კუთხითა და ყველა რაკურსით მარტო ღმერთი ხედავს ყველაფერს და ადამიანი ამას, ცხადია, ვერ იქმს. არც უნდა მოინდომოსო, უაზრობაა, ალბათ, ამისი თქმაც... მოინდომოს თუ უნდა, ვერ იქმს... აკი ვინდომებთ...

ჩემი ეს მონდომება, „წინარე ცხოვრების" წესის ეს ჩემეული, ასე ვთქვათ, „რეკონსტრუქცია" თუ ოდნავ მაინც უახლოვდება ჭეშმარიტებას და „სიყვარულის" — ამ სიტყვის — ამოსავალი მართლა „ორობაა" ქართულში და „ღმერთიც" მართლა „ორ-ერთია", აღარც ის უნდა იყოს მერე გასაკვირი, თუ აღმოჩნდება, რომ იგივე „საიდუმლოა დამარხული" სიტყვებში — „ჯვარი" (ჯე ორი — ჯორი; „ჯორიც", მოგეხსენებათ, უეჭველი „ორის ერთობაა" — ცხენისა და ვირის) და „გორი" (გე ორი — გორი — გე ორთა — გართა — ქართლი). ჯარ-ისა და გან-ის მონაცვლეობა, ენათმეცნიერებიც დამეთანხმებიან, ალბათ, რომ ჩვეულებრივი მოვლენა გახლავთ, მაგრამ უფრო ნიშანდობლივი აქ ის არის, რომ ქართულში სიტყვები „ჯვარი" და „გიორგი"აბსოლუტური სინონიმების შთაბეჭდილებას ტოვებენ — რა ხახმატის ჯვარი გითქვამს, მაგალითად, და რა ხახმატის გიორგი; წმინდა გიორგის სახელობისა კი არ არის ხახმატის ჯვარი, არამედ თავად ეს სიტყვები — „ჯვარი" და „გიორგია" სინონიმები. ჩემი არგუმენტია, აგრეთვე, ჩვენი უძველესი ქართული სიმღერების დღესდღეობით, და ისტორიულადაც, ჩვენთვის, სამწუხაროდ, გაუგებარი და ამოუხსნელი სიტყვები: „ჰარ-ირა" (აი, ეს „ჰარი" და „ირა" უნდა იყოს, ჩემი აზრით, ქართული „ორისა" და „ერთის" ამოსავალი და პირველი ქართული ანბანიც, ვინ იცის, იქნებ სწორედ ამ პარით უნდა იწყებოდეს, ჰარით, რომელმაც რამდენჯერმე გამოიცვალა ადგილი და მერე რატომღაც ანბანის ბოლოში აღმოჩნდა ყოვლად ლოგიკური ჯარ-ის შემდეგ), „ორერა", „ოროველა", „რაშა-ორ-ერა", „შინა ვორ გილ ვორ გილ ვოსა", „ორუდილა", „ოროველა" და სხვა და სხვა და სხვა და სხვა (კაცობრიობის „გლობალიზაციის" გარდაუვალობაც, სხვათა შორის, სწორედ ქართულ პოლიფონიაშია ყველაზე უფრო თვალსაჩინოდ მონიშნული და გაცხადებული). ჩემი არგუმენტია ის გაუთავებელი ორები და ორობები, რაც ქართულ ტოპონიმიკაში და ქართულ გვარსახელებში თითქმის ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდება (და გვხვდება, სხვათა შორის, სხვაგანაც ბევრგან — რუსები, მაგალითად, ისედაც უეჭველად ორობით ქართულ ტოპონიმებსაც კი თავის ჭკუაზე აწყვილებენ — „ვ კადჟორახ"-ო, ასე ამბობენ) — ბიბლიური „ური" ერთია, აქ კი, საითაც გაიხედავ, ყველგან ეს „ური" და „ორი" გვხვდება თვალში. ჩემი არგუმენტია, აგრეთვე, „გიორგიც" — ეს სახელი, რომელიც ჩვენ ქვეყანას ჰქვია და ერქვა, სხვათა შორის, გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე „საქართველო" დაერქმეოდა და, თუ გნებავთ — „ქართლი" და მხოლოდ იმ უეჭველად მცდარი მოსაზრების გამო გვგონია დღემდე ბერძნული წარმოშობისა, რომ „გე" ბერძნულად მიწას ნიშნავს. „ ჲორ ჲეოს" — ასე გამოთქვამენ და ასე გამოთქვამდნენ ყოველთვის ბერძნები ამ სახელს, აქედან არის მიღებული რუსული „ჲურიც", მიწასაც ბერძნულად სწორედ ეს „ჲე" და თანამედროვე ბერძნულში უკვე „ჲჲ" ნიშნავს, გამა ასო ბერძნულში ან როგორც „ღ" ისე ხმოვანდება, ან როგორც „ჲ". და ეს მიდრეკილება, როგორც ჩანს, არახალია, ძველია და ძალიან ძველი, ჩემი წარმოდგენით, ძველ ბერძნულშიც დაახლოებით ისეთივე ვითარება უნდა ყოფილიყო, როგორც რუსულში და უკრაინულშია — „გ-ს" ნაცვლად რო „ღ-ს" ამბობენ და ამავე დროს „ღ" ასონიშანი საერთოდ არ გააჩნიათ. ქართულში და ქართველურში კი, მეგრულში — მაგალითად, ეს ბერძნულად შერაცხული „გე" სწორედ მიწის მნიშვნელობით იკითხება ბევრ, ძალიან ბევრ სიტყვაში — „გება", და-გე-ბა", მაგალითად „გებუ", „გენთხორ", მეგრული და სხვა — ცვენაა პირდაპირ ასეთი სიტყვებისა ზოგადქართულშიც და მეგრულშიც, ხოლო სვანურად „გიმ" არის დღესაც მიწა. „შინა ვორ გილ ვორ გილ ვოსა..." ორი „გე", ან ორი „გიმ" ისმის აქაც, სწორედ ის ორი „გიმ", ანუ ორი მიწა, რაც „ქართლის ცხოვრებისეულ" გაცისა და გაიმის, თუ გა-ს სახელებშიც (ორ სახელში, რომელიც არსებითად ერთია) ისმის და რასაც უნდა ნიშნავდეს ან რაც უნდა ნიშნავდეს „გიორ-გის" ამოსავალში. იგივეს უნდა ნიშნავდეს, აგრეთვე, „გე ორთა", ანუ მიწა ორთა და ამას უნდა უკავშირდებოდეს უეჭველად „ჟინი ორთა" ("ჟინი" ზენაა მეგრულად) — უზენაესი ღვთაების, ერთი ღმერთის, აბსოლუტის აღმნიშვნელი სახელი, რომელიც დღემდე მხოლოდ მეგრულმა შემოგვინახა: რაც ზევით არის, ის „ჟინი ორთაა", ხოლო ის, რაც ქვევით არის — „გე ორთა". ამ „გე ორთას" უნდა უკავშირდებოდეს უეჭველად „ქართლიც" (გე ორთა — გართა — ქართლი) და მოგვიანებით „საქართველოც" — იმ მთას, სადაც გაცისა და გაიმის თუ გა-ს კერპები ივარაუდება, მოგეხსენებათ, წმინდა ნინოს საქართველოში მობრძანების ჟამს უკვე არმაზი ერქვა, მაგრამ მისი უფრო ძველი სახელი რომ „ქართლის მთა" გახლდათ, არც ეს იყო იმხანად ჯერ კიდევ დავიწყებული. არმაზიც, კაცმა რომ თქვას, აგრეთვე, ორ მიწას, ორ მხარეს ნიშნავს, მაგალითად, სომხურში — „არ-მას"; ძველ აღმოსავლეთში კი გაცილებით უფრო ადრე — ორ „თვალს" (იმ „თვალს", რომელიც ივანე ჯავახიშვილმა ამოიკითხა ქართული „მზისა" და იბერიულ-კავკასიური მთვარის — „მაზერ" — სახელებში) ნიშნავდა. არ არსებობს არავითარი „ქართების" ტომი, ვიცით ეს ყველამ და იცის მეცნიერებამაც, მაგრამ რატომღაც მაინც ამ მითურ „ქართებს" ვუკავშირებთ დღემდე „ქართლსა" და „საქართველოს". „იბერიის" ხსენებაზე ჰო სულ ჟრუანტელი გვივლის ტანში... არადა, თუ დაგითვლიათ ვინმეს, რამდენი იბერიაა ამ ჩვენი ცოდვით სავსე დედამიწაზე? ამერიკელი კუკლუსკლანელებიც კი იბერიელთა მზეს ფიცულობდნენ თურმე, როგორც ამბობენ; რა, ისიც ჩვენა ვართ? ერთადერთი, მეტნაკლებად სარწმუნო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეტიმოლოგია ამ სიტყვისა ებრაული „ყიბერ" გახლავთ, რაც გაღმელს, გაღმიდან მოსულს ნიშნავს და სწორედ ამიტომ უარყოფენ თავად ებრაელები ამ სახელს სათავისოდ — „ებრაელი" ჩვენ სხვებმა დაგვარქვეს, ჩვენი ნამდვილ სახელი ისრაელიაო. ჩვენ რაღატომ გვირჩევნია, ნეტა, რომ მაინცდამაინც გაღმელებად და გაღმიდან მოსულებად ვიხსენიებოდეთ? არადა, ჰო კოლხებიცა ვართ ბოლოს და ბოლოს და, თუ ჩვენს კულტურაზე მიდგა საქმე, ჰო ცხადია, რომ სწორედ კოლხურ კულტურაში ივარაუდება, თუ სადმე ივარაუდება, ჩვენი სადღეისოდ მეტნაკლებად მოხილვადი „სათავეები"? იბერიასაც ჰო სწორედ კოლხეთს ეძახდნენ ბერძნები? მშვენივრად იცოდნენ, რომ კოლხეთი ერქვა, მაგრამ მაინც იბერიასაც ეძახდნენ, რატომ? რა მოგახსენოთ — გიორგი შატბერაშვილს თავის „თვალადურ ქართულში", ქართლურში, ესე იგი, ანუ საქართველოს სწორედ იმ ნაწილის ქართულში, რომელსაც საკუთრივ „იბერიად" მივიჩნევთ რატომღაც, ასეთი გამოთქმა აქვს დადასტურებული — „რა იბრეულად ლაპარაკობ?", ანუ გაუგებრადო... რა თქმა უნდა, იბერიელებიცა ვართ, ალბათ, ამას ვერსად ვერ გავექცევით, მაგრამ ისიც ჰო სასურველია, არა, რო ვიცოდეთ, რას გულისხმობს ეს იბერიელობა ჩვენს შემთხვევაში და ჩვენი ეროვნული ხასიათის რომელ წახნაგებში ვლინდება ის, რასაც ეს იბერიელობა გულისხმობს ზოგადად? ფიქრი უნდა ამას... ერთადერთი ორიენტირი, რომელიც მე ახლა მაგონდება ამასთან დაკავშირებით, ცხადია, ფარნავაზისა და ქუჯი ერისთავის ერთობ მრავლისმეტყველი და უეჭველად სწორედ „ორთა-ერთობის" გარდაუვალი აუცილებლობის შეგნებით განპირობებული შენათვალ-შემონათვალია.

"ღმერთი არს სიყვარული", სიყვარული კი ორთა ერთობა არს. უწინარეს ყოვლისა, ღმერთია ის ორი, რომელიც ერთია, ერთად განაგებს ყველაფერს და ამიტომაც ჰქვია „ჟინი ორთა". ღმერთის ეს ორობა და ორ-ერთობა, სხვათა შორის, სრულიად აშკარად იკითხება ღმერთის ბერძნულ-ლათინურ სახელშიც — ღმერთის ბერძნულ-ლათინური სახელი და ბერძნულ-ლათინური „ორი" — ("დეუს" და „დოს") — ძალიან უნდა მოინდომო კაცმა, რომ ერთიმეორისგან განასხვავო. ამ „ორობასა" და „ორის ერთობას" უნდა გულისხმობდეს რუსული „ობა-დვაც"... „გიორგი" — ეს სახელი რუსულში ბერძნულიდან „ჲურის" ფორმით არის შესული, მაგრამ მანამდე, როგორც ჩანს, „გორა" (მთა, ანუ იგვე ქართული „გორი" მთის მნიშვნელობით) და „გიორგი" ორივე ერთად უნდა შესულიყო რუსულში ქართულიდან. წმინდა გიორგი, რუსულად გიორგია, თუმცა არსებობს რუსულში ამ წმინდანის სახელობის დღეც და ამ დღეს „ჲიურიევ დენს" ეძახიან რუსები. გამოდის, რომ რუსებსაც, ჩვენი არ იყოს, ორი გიორგობა აქვთ, ერთი — კანონიკური, ქრისტიანული და მართლმადიდებლური, მეორე კი — უფრო ადრინდელი და წარმართული (და, ალბათ, სუფთა ქართული... იმას, ვინც ნეტარხსენებული ჩვენი კათალიკოს-პატრიარქის კირიონის თხზულებას იცნობს ივერიის როლის შესახებ რუსულ ისტორიაში, მაინცდამაინც არ ეხამუშება, ალბათ, ასეთი ვარაუდი). კიდევ ძალიან ბევრი საინტერესო მაგალითის მოხმობა შეიძლება ამ ორობისა და ორის ერთობის დასტურად იქიდან, რაც მეც ვიცი, და სწავლულთ უფრო მეტი ეცოდინებათ... „ჲერუ-შალაიმ", მაგალითად; ესეც უეჭველი „ორთა ერთობაა". რაღა შორს მივდივართ: ქართლ-კახეთი, ფშავ-ხევსურეთი, სამცხე-ჯავახეთი, ტაო-კლარჯეთი, რაჭა-ლეჩხუმი... მთელი ეს ჩვენი გაუთავებელი ამერ-იმიერები, გაღმა-გამოღმები, ზემო-ქვემოთები, პირიქით-პირაქეთები... ეს ჩვენი, შედარებით გვიან აღმოცენებული გურია, ანუ იგივე „გე-ორია" — ძველკოლხური და ძველმესხური ტომების უეჭველად „ორ-ერთული", „გე-ორთული", ანუ ქართული ნაჯვარი...

ქრისტეს სჯული ჩვენში, მოგეხსენებათ, ანდრია პირველწოდებულმა იქადაგა იმთავითვე, მაგრამ საქართველოში ქრისტიანობის საყოველთაოდ გავრცელება მხოლოდ მაშინ გახდა შესაძლებელი, როდესაც „ორ გეს" ("გაცისა და გაიმს, თუ გა-ს") ისევე „ორი გე" ("ჯე ორი", ანუ ჯვარი) ჩაენაცვლა ისევე, როგორც გიორგის ჩაენაცვლა, ალბათ, თავის დროზე ჯერ „თეთრი გიორგი" (რაც უეჭველია, რომ ზოგადად გიორგიზე, შავზე და თეთრზე ერთად, უფრო „წმინდად" უნდა ყოფილიყო მიჩნეული იმ კონკრეტულ დროში, იმ კონკრეტულ სივრცეში და იმ კონკრეტულ ვითარებაში) და უფრო მოგვიანებით კი უკვე ქრისტიანული წმინდა გიორგი. სწორედ ამ ეპოქაში ხდება ჯვარი ქრისტიანობის ერთადერთი და საყოველთაო სიმბოლო, ანდრია პირველწოდებულის დროს ჯვარი, როგორც მარტოოდენ ჯვარცმის საშუალება და იარაღი, ისე გააზრებოდა და, ცხადია, ვერც თაყვანისცემის საგანი იქნებოდა. საქართველოში კი, და ზოგადად კავკასიაშიც, ჯვარი (ბორჯღალი), როგორც ეს ყველაფრიდან ჩანს, ქრისტიანობამდელ ხანაშიც სრულიად განსაკუთრებული თაყვანისცემის საგანი გახლდათ.

ძალიან ბევრს აწვალებდა ყოველთვის და აწვალებს დღესაც ეს კითხვა — ბოროტი ადამიანები რა იოლად ერთიანდებიან და კეთილი ადამიანები რატომ ვერ ახერხებენ ამასო? ამას წინათ ნეტარხსენებული მერაბ კოსტავას „ლაგერიდან", გასაგები მიზეზის გამო, რუსულად მოწერილი პირადი წერილები მათარგმნინეს... „ლაგერიდან", ანუ იქიდან, სადაც ეგრეთ წოდებული „ბოროტი" ("ბოროტმოქმედი"), ანუ „სიკეთისაგან მოკლებული" ადამიანების ძალაუნებური ერთობა მართლა ყველაზე უფრო თვალშისაცემია და სამაგალითო... ისიც ამას ჩივის, სიკეთე ძლიერი უნდა იყოსო, ამბობს, კეთილი ადამიანები უნდა გავერთიანდეთო... ვაი, რომ იმდენადვე მიამიტურია ეს სურვილიც, რამდენადაც კეთილშობილური... კეთილი ადამიანების „თავის უფალი" გაერთიანება შეუძლებელიც არის და ყოველგვარ აზრს მოკლებულიც. თავად განსაჯეთ — სად ცოლშვილიანი კაცი და სად — უცოლშვილო? არა, ცოლშვილიანებიც საკმაოდ ხშირად ვერთიანდებით და საკმაოდ „თავის უფლადაც" ნაირნაირ „საქმეებში" და ამ ბოლო დროს არც გათხოვილი ქალები იხევენ უკან, მაგრამ მაგალითისათვის მოგახსენებთ — ცოლიანი კაცის ან გათხოვილი ქალის „თავის უფალი" გაერთიანება, ჰო ცხადია, რომ გაცილებით უფრო პრობლემატურია მაინც ყოველთვის, ვიდრე ე.წ. მარტოხელა, ანუ „არავისი" (არის ერთი ასეთი ფრანგული კინოფილმი „არავისი ქალები", ძალიან კარგი ფილმია, მაგრამ ძალიან ცუდ გუნებაზე დამაყენა, მახსოვს) ადამიანებისა? (საბჭოთა მთავრობამ, სხვათა შორის, მშვენივრად იცოდა ეს ამბავი და ყველანაირად ცდილობდა ამიტომ, რომ საზღვარგარეთ უცოლოდ და უქმროდ არ გაეშვა არავინ მეტნაკლებად ხანგრძლივ მივლინებაში, საბჭოთა მოქალაქის „მორალურ იერს" რომ არ მისდგომოდა ფარსაგად რაიმე ჩრდილი). ეგრეთ წოდებული „ბოროტი", ანუ „სიკეთისაგან მოკლებული" „არავისი" ადამიანები სწორედ იმიტომ ერთიანდებიან ასე იოლად და სწორედ იმიტომ არის ეს მათთვის ყოვლად აუცილებელი, რომ „სიკეთისაგან მოკლებულნი" არიან, „გახლეჩილები" გათითოკაცებულნი, „თავის უფალნი" და უფალს თავდაღწეულნი... კეთილი, მართლა კეთილი ადამიანების „თავის უფალი" გაერთიანების ნებისმიერი მცდელობა უეჭველად მათ გათითოკაცებასა და გახლეჩას, უფლისგან ხელოვნურად „გა-თავის-უფლებას" შეიძლება ისახავდეს მხოლოდ მიზნად ან უნებლიეთ ემსახურებოდეს ამ, უკაცრავად პასუხია და, საქმეს. კეთილი ადამიანების საქმე „მადლის ქმნა და ქვაზე დებაა", დანარჩენი კი ყველაფერი უკვე იმ, სიკეთეს მეტნაკლებად მოკლებული, ადამიანების ხელშია, სამწუხაროდ, ვისაც ეს ქვაზე დადებული მადლი ხვდება წინ და იმაზეა დამოკიდებული თუ ვინ, როდის, როგორ აღიქვამს და რა ფასსა სდებს ამ მადლს. გარანტირებული წარმატების ნებისმიერი, ერთი შეხედვით, თვით ყველაზე უწყინარი მცდელობაც კი უკვე უეჭველად „სიკეთისაგან მოკლებაა". სიყვარული, მოგეხსენებათ, ბრმაა და ჩვეულებრივ ამ სიტყვით გამოიხატება — „მიყვარხარ!" ეს უკვე რწმენაა, ანუ რწმენა სწორედ ეს არის და ეს არის სასოებაც. ხოლო, როგორც კი იმას იკითხავ ადამიანი — თუ გიყვარვარო?, „თვალები აგეხილა", ესე იგი, ეჭვი გაგიჩნდა და გარანტიას ითხოვ, შენ მიერ ქვაზე დადებული მადლი გინდა, რომ აუცილებლად და ყოველ მიზეზ გარეშე ისევ შენვე დაგხვდეს წინ და თანაც ისე, რომ მისხალიც არაფერი

დააკლდეს თუ არ მოიმატებს, ანუ შენი საკუთარი თავის უფლების ხიბლში ხარ ჩავარდნილი, სასოწარკვეთილი და რწმენაშერყეული. ყველა ასეთები არა ვართ? ისეთი ჯერ არ დაბადებულა ამქვეყანაზეო, იტყვით; მით უარესი ამქვეყნისთვის, თუ არ დაბადებულა, მაგრამ თავადაც ჰო უწყით ყველამ, რომ არც მთლად ასეა საქმე? სამშობლოს დასაცავად რო ქუდზე კაცი მიდიოდა (რო უხმობდნენ და, რო მიყავდათ კი არა, რო მიდიოდა, თვითონ რო მიდიოდა) ლაშქრად, ის ამბავი სწორედ ისეთი სიყვარულის ნაძალი იყო და არა ასეთისა; წაგება და მოგება, დამარცხება და გამარჯვება კი არ იყივნენ ძმები, მოლაშქრენი იყვნენ ერთნი, სამშობლოს თუ ვუყვარვართო და ამ საქმიდან, ნეტა, თუ რამეს გამოვრჩებითო, ამას კი არ ეკითხებოდნენ ერთმანეთს და საკუთარ თავს, სამშობლო უყვარდათ. ისევ ნეტარხსენებული მერაბ კოსტავა მაგონდება, მართლა ნეტარის გულუბრყვილო სიბრძნით რო შეაფასა უმალვე იმ რამდენიმე „დიადი წუთის" მნიშვნელობა, ცხრა აპრილის ტრაგედიას რომ უძღოდა უშუალოდ წინ... სიმართლე მკაცრი კი არ არის ან ლმობერი, სმართლე სინათლეა. მეტ-ნაკლები, რა თქმა უნდა, რადგან ამ ჩვენ დედამიწურ წუთისოფელში იმასაც, სამწუხაროდ, გარდაუვალად „ახლავს ბნელი", მაგრამ ეს ბნელიც ჰო მეტ-ნაკლებია და შედარებითი და მარტოოდენ რწმენით, სასოებითა და სიყვარულით დაიძლევა ამიტომ, თუ დაიძლევა, და არა ძალითა და ძალმომრეობით. „ბნელი" სწორედ ეს „ძალა და ძალმომრეობაა" ყოველთვის და ბნელი ბნელს, აბა, რანაირად გაანათებს? ძალითა და ძალმომრეობით მარტო ეს ჩვენი მეტ-ნაკლები სინათლე დაიძლევა მიწყივ და „უფრო და უფრო ბინდდება", ამიტომ ეს ჩვენი, ისედაც კაი გვარიანად „ბინდისფერი სოფელი", მოგება და წაგება თამაშია, გამარჯვება და დამარცხება — ბრძოლა და, რა თქმა უნდა, რომ ცხოვრებაა ესე ყოველიც, მაგრამ ცხოვრება, უწინარეს ყოვლისა, მაინც ეს სინათლეა და, ვისაც როგორ ეძლევა ეს ცხოვრება, ცხადია, ისე და იმგვარად მიილტვის ყველა ამ სინათლისკენ...

ყველას ერთნაირად არ ეძლევა, რა თქმა უნდა, ეს სინათლე, ეს „ორობა" და „ორთა ერთობა" და, ვისაც როდის და როგორ ეძლევა, ყველა იმის კვალობაზეა შედარებით მშვიდი და შედარებით გიჟი (სწორედ ის გიჟი, რომელიც „თავის უფალია"), შედარებით კმაყოფილი და შედარებით უკმაყოფილო თავისი ბედისა, ანუ იმისა, რაც ღმერთმა (რომელიც, რა თქმა უნდა, სიყვარულია) არგუნა მას, ვითარცა ხატსა და სახებას თვისას. შედარებით კმაყოფილნი ღმერთს მადლობას სწირავენ, რწმენით, სასოებითა და სიყვარულით ილვწიან იმ ცოდვის გამოსასყიდად, რამაც მათი ეს შედარებითობა განაპირობა და ცოდვითა და მადლით ("ცოდვა-მადლით". ცოდვის მონახევრეობითო — რუსები იტყვიან) ღვთაებრივი სისრულისკენ მიიკვლევენ გზას. უკმაყოფილოებს კი ეს შედარებითობა სასოწარკვეთილებაში აგდებს, უსამართლობის შეგრძნება ეუფლებათ, კმაყოფილებს ედრებიან, ემეტებიან და თამაშითა და, ესე იგ, ბრძოლით იძიებენ შურს, ღვთაებრივი სისრულის ილუზიას იქმნიან, რათა მერე და მერე, უკვე „ვითარცა ღმერთნი", დაედარონ და დაემეტნონ ერთიმეორეს და ასე დაუსრულებლივ. ყველა ღონეს ხმარობენ, რომ როგორმე ამ თამაშსა და ბრძოლაში ჩაითრიონ ერთიმეორე, ანუ იმ ასპარეზზე გამოიტყუონ, სადაც ადამიანის ბედი უკვე ღვთის (ანუ სიყვარულის) ნებაზე კი აღარ არის დამოკიდებული, არამედ მის პიროვნულ სითამამეზე, გაბედულებაზე, გონებამახვილობაზე, გამჭრიახობაზე და სხვა. ჩათრეულები და გამოტყუებულნი თავიდან, რა თქმა უნდა, ცხოვრობის იმ წესს იცავენ, მათს შედარებით კმაყოფილებას რომ უზრუნველყოფს, მაგრამ თამაშსა და ბრძოლასაც აქვს თავისი წესები და ეს წესები, რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო შეუძლებელს ხდის იმას, რასაც ჩათრეულები და გამოტყუებულნი იცავენ თავიდან. ყველაზე უფრო ნიშანდობლივი კი აქ ის არის, რომ ამ შეუძლებლობაში უკვე თავად უდევთ წილი და არც მეტ-ნაკლებობაა ამ წილისა უკვე მთლად იოლი დასადგენი. ადამიანები პირობითად იყოფიან და პირობითად იყოფა კულტურაც — სხვადასხვა დროს ამას სხვადასხვა სახელი ჰქვია, ნიშანდობლიობით უეჭველად გამოირჩევა ჩვენი თანამედროვე ხალხური სახელი თუ სახელები — „არიფები", და „ქურდები". იწყება ახალი და მიწყივ განახლებადი, ნულოვანი და ნულის არმცნობი, „თავის უფალი" და „არავისი", კენტი რიცხვების ალტერნატიული, ალტერნატიული ბუნების, თვისობრივად ალტერნატიული, ცხოველური ხატისა და სახების, „ტყუილისა" და „ცრურწმენებისგან" თავისუფალი, „რეალისტურად" მიჩნეული კულტურა და, უწინარეს ყოვლისა, რაღა თქმა უნდა, რომ სიყვარულს ეძებნება ალტერნატივა — სიძულვილი. სიძულვილი სიყვარულის გარდაუვალი თანამდევი ხდება უკვე, რადგან ის, ვინც შენი არ არის და იჩემებ ან გიჩემებს, ანუ ვის სიყვარულსაც შენი „შიში შეიქმს" ან ვისი „შიშიც შეიქმს" შენს სიყვარულს, შეუძლებელია, ისე არ გიყვარდეს, როგორც გძულს და წინაუკმო — ისე არ გძულდეს, როგორც გიყვარს. ერთგულებაც მხოლოდ და მხოლოდ მტრობით გამოიცდება უკვე და მტრობითვეა ნასაზრდოები. ღმერთი სიყვარული კი აღარ არის, არამედ შენგან განყენებულ, შენსავით მარტოსულ და „თავის უფალ", სადღაც ცაში, ღრუბლის ქულაზე არხეინად წამოწოლილ თეთრწვერა ბერიკაცად წარმოგიდგენია უკვე, რომელიც შენგან ისევე მოითხოვს შიშსა და მორჩილებას, როგორც შენ მოითხოვ ყველასგან, ვინც გიყვარს, ანუ გძულს და შენგან მოითხოვს ყველა, ვისაც შენ უყვარხარ, ანუ სძულხარ. უნულოდ, მოგეხსენებათ, რიცხვი ცხრაა მხოლოდ — ცხრა მთისა და ცხრა ზღვის გადაღმიდან მოაბიჯებს ყოველთვის ეს კულტურაც და გარდაუვალად ბაბილონისკენ მიიკვლევს გზას, ბაბილონის გოდოლის მშენებლობის უტოპიურ იდეას ელაციცება, ვითარცა ფარვანა შუქს, და მარტოსული და არავისი ადამიანი კიბით ლამობს უკვე ასვლას მეცხრე ცაზე, რათა ღმერთის ადგილი დაიკავოს იქ. ზოგი ბრძოლით იქმს ამას, ზოგი — თამაშით.

მწერლობა, ცხადია, სპორტი არ არის და გულისგულში აქ იშვიათად, რომ ვინმე ეგუებოდეს და აღიარებდეს მეორე და, მით უფრო — მეათე და ოცდამეათე, ადგილს, ყველა უეჭველად პირველია, ერთადერთი და განუმეორებელი და ყველას თავისი დამფასებელიცა ჰყავს, სხვათა შორის, ვითარცა პირველს, ერთადერთსა და განუმეორებელს, ერთი მშვენიერი ძველთბილისური გამოთქმის ალალი სიმართლისა არ იყოს — „ვისაც ვინ უყვარს, მისი ლამაზიც ის არისო", მაგრამ ამავე დროს ყველასა აქვს თავისი „რეიტინგი", როგორც ახლა ამბობენ. აი, ამ „რეიტინგის" მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ცხადია, გალაკტიონის ხელა პოეტი, არც მის სიცოცხლეში და არც მისი გარდაცვალების მერე, ჯერ არ დაბადებულა საქართველოში. არ იყო და არ არის, მაგალითად, გიორგი ლეონიძის „რეიტინგი" იმხელა... თვითონაც გრძნობდა ამას და გულწრფელად და, ესე იგი, უშურველად უკვირდა ეს, თავისთვის რაღაცნაირად იქნება კიდეც ხსნიდა ამ ამბავს, მაგრამ, თუ არ ვცდები, ხმამაღლა არსად არაფერი უთქვამს ამის შესახებ. აი, ტერენტი გრანელმა კი თქვა და თქვა ისევე გულწრფელად და უშურველად, როგორი გულწრფელობითა და უშურველობითაც უკვირდა ეს გიორგი ლეონიძეს და არამარტო მას — „გალაკტიონში არის დემონი და ჩემში უფრო ანგელოზია..." გალაკტიონში მიწა ანათებს და ჩემში უფრო ზეცის სხივია". ხან მიწისა ვარ, ხან ცისაო — ბრძანებდა აკაკი... გიორგი ლეონიძეს რო ეთქვა ეს, შეიძლება არც კი დაგვეჯერებინა — გარეგნულად, ერთი შეხედვით და თითქოს გალაკტიონზე გაცილებით უფრო მიწიერად გამოიყურებოდა და იმიტომ... გარეგნულად, ერთი შეხედვით და თითქოს... ტერენტი გრანელს უნდა ეთქვა ეს უეჭველად, ტერენტი გრანელს, რომელიც მართლა „სულ არ იყო ამქვეყნისა", როგორც იტყვიან... გალაკტიონმა, რაღა თქმა უნდა, რომ, თავადაც მშვენივრად უწყოდა ეს — დაჲმონი არ უზის სულში, დაჲმონიო — ჩაიცინებდა ხოლმე იქედნურად, სიტყვა თუ რომელიმე მისი თანამოკალმის შემოქმედებაზე ჩამოვარდებოდა. მართლა „მიწისა „იყო და „მიწა ანათებდა", ცაში კი „სიკვდილთან შემრიგებელი" მზე ეგულებოდა თავისი და — ენაზე მომდგარ სიტყვას, ცხადია, ყველას არ უნდა თქმა, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ ეს მაინც უნდა ითქვას — აკი შეურიგდა კიდეც სიკვდილს... დღისით და მზისით... ერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეხედვით, ყოვლად „ულამაზო” „მშვიდობის წიგნი”, რისი წაკითხვისა და მეტ-ნაკლები წვდომის ბედნიერებაც ჯერჯერობით წინა გვაქვს ყველას, უკვე დაწერილი ჰქონდა. ასეა — „ანგელოზყოფილნი” და „მიწისანი”, „ქაჯეთს ტყვედყოფილი მინდიები”, „უფრო ანგელოზებზე” და უფრო „ზეცისანებზე” გაცილებით უფრო ლამაზები არიან ყოველთვის, ჯადოსნურნი, თვალისმომჭრელნი, მომხიბვლელები და... უბედურებც; გიორგი ლეონიძის გამოუვალი ტრაგიზმით აღსავსე „ოლე” და „ოლოლები” არ არის გიორგი ლეონიძის ან მარტო გიორგი ლეონიძის უბედურება, ქვეცნობიერად ეს შეიძლება სწორედ გალაკტიონისა და მისი „ოლოლის” „შემობოლებული სევდის” პოეტური განზოგადებაც იყოს... და მაინც ყველა და ყოველთვის ერთნაირად არ იხიბლება ამ „ანგელოზყოფილთა” შემოქმედებით — გალაკტიონის თაობაშიც იყვნენ ადამიანები, მისი გულშემატკივრები, ნიჭით და რეიტინგით დიდად რო არაფრით დაუდებდნენ ტოლს და არც მისი ფასი ესწავლებოდათ არავისგან, მაგრამ არ იხიბლებოდნენ ან აღარ იხიბლებოდნენ მისი შემოქმედებით. „მშვიდობის წიგნით”, მაგალითად, დღესაც სულ რამდენიმე კაცი თუ იხიბლება. გაუგებრობას იწვევს ჩვენში ასეთი „სხვაგვარად მოაზროვნება”. ჩვენთვის გაცილებით უფრო იოლი გასაგები და შესაწყნარებელია, თუ ვიტყვით, ან გვეტყვიან, რომ ტოლსტოი არ იხიბლებოდა შექსპირით... არადა, ვინ იცის, რამდენი ნიჭიერი კაცი რამდენი ნიჭიერი კაცის შემოქმედებით არ იხიბლება და არ იხიბლებოდა... აი, ჰო ყოვლად წარმოუდგენელია, არა, „ვეფხისტყაოსნით” არ მოიხიბლო ადამიანი, ქართული თუ იცი? ჰო ცამდე მართალი გამოდგა ჩვენი შალვა ნუცუბიძეც და ჰო ცხადია, არა, რომ მართლა ჩვენთვის აგრერიგად სასიქადულო რენესანსი და აღორძინებაა ეს ჩვენი „წიგნთა წიგნი”? არადა, ჰო მართლა „ცხრა ანბანია” მაინც და „ცხრა ანბანი” იქნება მანამ, ვიდრე ანტონ კათალიკოსისთვის „პირის მოწმენდას” არ დავანებებთ თავს, ვიდრე არ დავინამდვილებთ, რას ემართლებოდა, მაგალითად, არჩილი ან გალექსილი „ამირან-დარეჯანიანის” ავტორი, სულხან თანიაშვილი, რუსთაველს... არ დავინამდვილებთ თუ რისი, რა ცნობიერების, რა კულტურის რენესანსზე და აღორძინებაზე შეიძლება იყოს აქ ლაპარაკი — არ დავადგენთ და არ დავინამდვილებთ საბოლოოდ ამ ჭეშმარიტად ხელთუქმნელი თხზულების სრულ ტექსტს... ნებისმიერი რევოლუცია ბოლოს და ბოლოს რაღაცის რენესანსი, აღორძინება და რესტავრაციაა. რისი? რისი აღორძინებაა, მაგალითად, ვაჟა-ფშაველა და რისი — ბესიკ ხარანაული? ორივე ჰო არამცთუ მარტო ქართველები, ერთი კუთხის შვილები არიან? რა დროა გასული ვაჟადან ბესიკამდე? აი, რა სწრაფად იცვლება თვალსაწიერი, თვალსაწიერი და არა სულისკვეთება... იმ ჩვენი ცოდვით სავსე „პროგრესულად მოაზროვნეებს”, მეოცე საუკუნის დასაწყისში რომ ეგნატეს იჩემებდნენ ვითომ ილიას ჯიბრზე, თავად ეგნატესთვის რომ ეკითხათ — ვისი ხარო? — ილიასიო! — ჰო ცხადია, რომ ასე უპასუხებდა. არც ბესიკ ხარანაულია, რა თქმა უნდა, „იმათი” — ისიც ეგნატესია, ვაჟასია და ილიასია, ანუ ჩვენია ყველასი და არც ისინი არიან „ისინი” — ჩვენა ვართ ყველა, „რაც კარგები ვართ” და, „რაც ცუდები ვართ”, ისიც. თამაშისა და ბრძოლის წესების თანხმად ვიყოფით, თორემ არჩევანიც ჩვენია, რაღა თქმა უნდა, და არადანიც და ჩვენივე ცხოვრების წესს ანადგურებს მიწყივ და გარდაუვალად ჩვენი ეს გაუთავებელი ცელქობა. მონატრებით კი მაინც ყოველთვის „მეცხრამეტე საუკუნე” ენატრება ყოველი მეოცის მიწურულსა თუ ოცდამეერთის დამდეგს. არც ერთი რევოლუცია არ არის კმაყოფილი თავისი შედეგით, მაგრამ „ყველას რაღაცა აქვს სახსოვარი”. ვიქტორ ჰიუგო უმალვე მიხვდა, ალექსანდრე დიუმა-მამა (ულამაზესი ტაიტელი მონა ზანგი ქალისშვილიშვილი და გვარის გამგრძელებელი) რო მასხრად იგდებდა უმაღლესი ფრანგული საზოგადოების იმ „ყოჩობას”, „ყოჩაღობას” და „ყაჩაღობას”, რაც დასავლურ კულტურას აღმოსავლურზე არანაკლებად ახასიათებს და ემაყება ისტორიულად, და ფრთხილად, თავისი თავის გაუმჟღავნებლად, ისე, რომ მაინცდამაინც არ გაეყადრებინა მისთვის თავი, ებრძოდა, მაგრამ ამ ყოვლად „უკომპლექსო”, როგორც ახლა იტყვიან, „ყოჩმა” და „ფავორიტმა” იმავე ფრანგული საზოგადოებისამ, თავად ვიქტორ ჰიუგოც აიგდო მასხრად, როცა შეიტყო მისი „ავკაცობა” და დღემდე „მისი ხაზი იმარჯვებს” (გალაკტიონისა არ იყოს, თუ იმისი არ იყოს, გალაკტიონს რო ეგონა და დღიურებში სწერდა — ჩემი ხაზი იმარჯვებსო). რევოლუცია იმარჯვებდა და იმარჯვებს, ის რევოლუცია, რომლის დასაბამიერი, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და ნიშანდობლივი პერსონაჟიც, ჩემი აზრით, მაინც ბრიუმელია და არა ვინმე სხვა, ბრიუმელი — პირველი „დენდი”, ადამიანი, რომელმაც მოახერხა, რომ არავის (სულ არავის!) არაფერი (სულ არაფერი!) არა სცოდნოდა არც მისი ბიოგრაფიის, არც მისი წარმოშობის, არც მისი ნათესავების, არც მისი საქმიანობის, არც მისი წარმოშობის, არც მისი ნათესავების, არც მისი საქმიანობის, არც მისი სასიყვარულო თავგადასავლების (რაც უეჭველად ივარაუდებოდა, მაგრამ არავისთვის (სულ არავისთვის!) არ უნდა ყოფილიყო და არც იყო ცნობილი), არც, რაც მთავარია — ქონების (რაც, რა თქმა უნდა, აგრეთვე ივარაუდებოდა, მაგრამ დანამდვილებით არც ამის შესახებ იყო, ცხადია, არავისთვის (სულ არავისთვის!) არაფერი (სულ არაფერი!) ცნობილი), არც მისი თვალისმომჭრელი ჩაცმულობისა და საერთოდ მისი პიროვნული ხიბლის საიდუმლოს შესახებ და ისე იქცა, ისე და იმგვარად იქცა საყოველთაო აღტაცების, მოწიწების, თაყვანისცემის, შურის, ბაძის, გაუთავებელი ჭორების დაუშრეტელ წყაროდ. ინგლისის უმაღლესი საზოგადოების წიაღში აღმოცენებული ამ ფენომენის — „დენდიზმის” ფილოსოფიაში უკვე სრულიად თვალსაჩინოდ იკვეთება, მეოცე საუკუნის ლიტერატურასა და ხელოვნებაში ორიგინალურობის ჟინით შეპყრობილი ეპატაჟური მოდერნიზმებითა თუ მოდერნისტული ეპატაჟებით ინილბება ერთხანს და ბოლოს ყოვლად შეუნიღბავი პრაგმატიზმით გაჟღენთილი „მასკულტურული” იპოსტასით აშკარავდება, რომ „მეფე შიშველია” ამჯერადაც, ანუ რევოლუციური გზით ადამიანური საზოგადოების დემოკრატიზაციისა და გლობალიზაციის ნებისმიერ მცდელობას, უწინარეს ყოვლისა, სწორედ თვითიზოლაციის, სხვათაგან, ყველასგან გამორჩევისა და ამ გზით სათავისოდ ყველაზე, ყველაზე, ყველაზე „ტკბილი ცხოვრების” უზრუნველყოფის დაუოკებელი სურვილი ასაზრდოებს.

ადამიანის ცხოველური (მაიმუნისგან) წარმოშობის მეცნიერულად ავად თუ კარგად დასაბუთებულ ვერსიას, ჩემი აზრით, მთავარ დაბრკოლებას ის გარემოება უქმნის, რომ ადამიანი, ცხოველისგან განსხვავებით, არსებითად ნებისმიერ ცხოველურ და მცენარეულ გარემოს ეგუება და ასე თუ ისე, მეტ-ნაკლები წარმატებით, მაგრამ მაინც ყველგან ახერხებს, შეიქმნას თავისი ადამიანური არსებობისთვის აუცილებელი და, ესე იგი, უეჭველად კულტურული გარემო. ვერანაირი ცხოველური ინსტინქტი ვერ უზრუნველყოფს ამას ვერც ერთი ცხოველის შემთხვევაში. ესა და ეს ხილი ამა და ამ ადგილას ხარობს და ესა და ეს ცხოველი ამა და ამ ადგილას ბინადრობს, ადამიანი კი ყველგან ბინადრობს, ყველგან ხარობს და ყველგან ახერხებს, მოიშინაუროს ის ცხოველი და ის ხილი, რომელიც იქ ბინადრობს და იქ ხარობს, სადაც თავად ბინადრობს და ხარობს. ერთადერთი გარემო, რომელსაც ადამიანი ნებისმიერ შემთხვევაში ვერ ეგუება, ისევ და ისევ სხვაადამიანური და უცხოადამიანური გარემოა. ადამიანს ყოველთვის რაღაცა სჭირდება იმისთვის, რომ შეეგუოს სხვაადამიანურ და უცხოადამიანურ გარემოს, რაღაცა უშლის ხელს, რომ შეეგუოს და ეს რაღაცა არავითარ შემთხვევაში არ არის და არ შეიძლება იყოს ცხოველური ინსტინქტი, ან ამ ინსტინქტის არქონა, თუ აღარქონა - ფიზიკურად ადამიანი, ცხადია, ნებისმიერ ადამიანურ გარემოს გაცილებით უფრო იოლად ეგუება, ვიდრე ნებისმიერ ცხოველურსა თუ მცენარეულს, მაგრამ ადამიანი ადამიანურ გარემოს ყოველთვის ვერ ეგუება და ამისი მთავარი და არსებითი მიზეზი, როგორც ჩანს, სწორედ კულტურულ გარემოთა ხარისხობრივი თავისებურებებია და არა თვისობრივი — კულტურა გონის თვისებაა და, ამდენად, თავად არის სწორედ თვისობრიობა, ანუ კულტურა არის ის, რაც თვისობრივია ნებისმიერი ადამიანური გარემოსთვის და, ამ თვალს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

აზრისით, კულტურის — ამ სიტყვის — მრავლობით რიცხვში ხმარება უბრალოდ უაზრობაა. აი, ხარისხი და ხარისხობრიობა კი ამ თვისობრიობისა უკვე მთლიანად სხვადასხვა მიწიერი გარემოებებითა და აქედან გამომდინარე ევოლუციური განვითარების სხვადასხვა დონით არის განპირობებული. უცნაურია ერთი შეხედვით, მაგრამ კარგად თუ შევხედავთ — არც იმდენად, რომ ადამიანისთვის, მიუხედავად იმისა, სჯერა თუ არა სჯერა სულის უკვდავება, სულის რაობა სხეულისაზე გაცილებით უფრო იოლი გასაგებია და ამიტომ არც უკვირს მაინცდამაინც — კულტურა სულიერებაა ზოგადად, მაგრამ ყოველი ცალკე აღებული ადამიანური გარემო თავისი საკუთარი კულტურის, სხვათაგან ხარისხობრივად განსხვავებულის, შესაბამის სულისკვეთებას შობს და ამკვიდრებს. ეს სულისკვეთება მეტნაკლებად საერთოა და, ამდენად, ყოვლად ბუნებრივიც ამ კონკრეტული კულტურული გარემოსთვის. ყველაზე დიდი სასწაული, რაც ადამიანს ეძლევა ცხოვრებაში „ფიქრთ გასართველად", მისივე სხეულია და არა სული, როგორც ეს ბევრს ეგონა აქამომდე და ჰგონია დღესაც, ბევრს, მაგრამ, ცხადია, არა ყველას... დიდი, გადამწყვეტი და საბედისწერო მნიშვნელობა აქვს ამიტომ იმას, თუ როგორ აღიქვამს, რა ფასს ადებს და როგორ მოიხმარს იგი ამ თავის სხეულს... ღმერთმანი, არაფერ შუაშია აქ არანაირიი ცხოველური ინსტინქტი. ჩვენი თანამედროვე, არსებითად უკვე უეჭველად გლობალური, „მასკულტურა", მაგალითად, ლამის ყველა კულტურული „კომპლექსისგან" ათავისუფლებს ადამიანს და შეიძლება ითქვას, რომ ავტომატურად აკომპლექსებს უკვე თავად ამ, ყოვლად აუცილებელი და გარდაუვალი, უკომპლექსობის კომპლექსით. ახალ კულტურას ეძახიან ამასაც, მაგრამ ახალი, კულტურული თვალსაზრისით, აქ არაფერია — კულტურა სწორედ ის არის, რაც ყოფით, ანუ „მასკულტურულ" დონეზე ხორციელდება და ხორციელდებოდა ყოველთვის, ახალი სწორედ ეს მასა გახლავთ, მასა, რომელიც მოწყვეტილია თავის ფესვებს, ანუ კულტურულ გარემოს, ლამის ყველა კულტურულ გარემოს არის ერთდროულად მოდებული (აღოღებულია, ნენა, ქვეყანაო — ცხონებულმა ბებიაჩემმა იცოდა თქმა. იმას დაეჯერებოდა — პირველად რო გამოგვრეკეს რუსებმა აფხაზეთიდან, იმ ტალღაში გახლდათ მოყოლილი) და ბავშვი რომ სტუმრად ყოფნისას თავს აიგდებს, ისეთი უშუალობით ტკბება ამ „თავის უფლებით". „თავის უფლების" ხიბლი სულ უფრო და უფრო აგიჟებს ამ ისედაც უკვე კაი გვარიანად „შეშლილ, შეშლილ, შეშლილ მსოფლიოს" და, უწინარეს ყოვლისა, ადამიანის სხეულის კორექციის ამოუწურავ, სრულიად ფანტასტიკურ შესაძლებლობებზე აფიქრებს — ადამიანი თავის უფალია და, რადგან თავის უფალია, შეუძლია და უეჭველად უნდა ჰქონდეს არჩევანის საშუალება, უნდა შეეძლოს, მაგალითად, რომ ორივე ყური ცალ მხარეს გამოიბას, თუ ასე ურჩევნია, ან ტვინი, მაგალითად, თავში კი არა, სადმე სხვაგან, წელს ქვევით იქონიოს... წმინდა წყლის „სიურეალიზმია" ეს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მარტოსული დიდოსტატისა, „დენდის", სიგიჟის ზღვრამდე მისული ინდივიდუალობა და ორიგინალობა (სალვადორე დალისა, მაგალითად) მასობრივი ტირაჟით გამრავლებული „შირპოტრების" თავბრუდამხვევ „ჰით-პარადს" უთმობს ასპარეზს. კი, ბატონო, თავისუფალი საზოგადოება ვართ და „ნო პრობლემ", როგორც ახლა ამბობენ უკვე ჩვენშიც, ვისაც რა უნდა, ისა ჰქმნას და ვისაც როგორ უნდა, ისე იცხოვროს, ვისი რა საქმეა, მაგრამ ყველა თუ იმას ვეცადეთ, რომ როგორმე, გვინდა თუ არ გვინდა, ყოველ მიზეზ გარეშე და რადაც უნდა დაგვიჯდეს, განვსხვავდეთ ერთიმეორისგან, როგორღა შევეგუებით მერე ერთიმეორეს ადამიანები? ასე ჰო უეჭველად კიდევ უფრო მეტი გაუცხოება და თვითიზოლაცია გვიჭირავს ხელში ყველას და, კახელისა არ იყოს, „იდეებ რა ვუყოთ" მერე, გლობალიზაციურს? გნებავთ — ანტიგლობალიზაციურს... ერთი და იგივეა ესეც. ჩემი თვალით რომ არ მენახა ტელევიზიით, ჰო ვერასოდეს დავიჯერებდი იმას, თუ როგორ აპროტესტებდნენ თავიანთი შიშველი უკანალებით ანტიგლობალისტები, მეტწილად — დედაკაცები, სამი თითის გლობალისტურ კომბინაციას ერთი, სანიმუშო დემოკრატიით გალაღებული განვითარებული ქვეყნის შუაგულ ქალაქში. ერთი და იგივეა, მართლა ერთი დაიგივეა უკლებლივ ყველა „იზმი", როგორც კი „იზმად" იქცევა, ანუ როგორც კი მეტნაკლებად კეთილი ადამიანები გაერთიანებას იწყებენ სიკეთისგან მეტნაკლებად მოკლებული ადამიანების წინააღმდეგ. „ამაოება ამაოთა და ყოველივე ამაო" — ამაზე უკეთ მართლა ვერაფერს იტყვი ამაზე კაცი.

ცხოვრების წესს დაუმორჩილებელ, „თავის უფალ" და „თავ აშვებულ", „უკომპლექსო", „ყოჩებს", „ყოჩაღებსა" და „ყაჩაღებს", ანუ, ჩვენი თანამედროვე ტერმინოლოგიით თუ ვიტყვით, უეჭველად ყველაზე უფრო რადიკალურად გაწყობილ „დისიდენტებს" (აბა, რა უნდა ჰქონდეთ, ერთი შეხედვით, საერთო ქურდებსა და პოლიტიკოსებს? არადა, ჰო ფაქტია, რომ ციხეში, რომელიც ყოველთვის და ყველა დროში უეჭველად „ქურდებისაა", მხოლოდ „პოლიტიკურები" სარგებლობენ სწორედ ერთგვარი კეთილგანწყობით? რაღა თქმა უნდა, რომ მათი საერთო „დისიდენტობა", ანუ სხვაგვარად მოაზროვნეობაა ამისი საფუძველი, აქედან გამომდინარე ყველა მოსალოდნელი თუ მოულოდნელი შედეგით — პოსტსაბჭოური სივრცის თანამედროვე ხელისუფლებათა, ძველისგან თვისობრივად არცთუ მაინცდამაინც თვალში საცემად განსხვავებული, ახლებური კრიმინალიზაციით, მაგალითად) თავიდან ნებისმიერი კულტურული გარემო მოიკვეთს ხოლმე, მაგრამ მერე და მერე ნებისმიერი კულტურული გარემოს ზღაპრებს ამშვენებენ უკვე ეს მოკვეთილები, ვითარცა გადამთიელი მხსნელნი (რა თქმა უნდა — მზეჭაბუკნი) უძეოდ და უმემკვიდრეოდ, ერთადერთი ასულების (რა თქმა უნდა — მზეთუნახავების) ანაბარად დარჩენილი; იგივე, ანუ სხვა მოკვეთილებისავე (მარადიული სხვებისა მარადიულ სხვათა ომებში) წყალობით გამოუვალ განსაცდელში ჩავარდნილი მეფეებისა და სამეფოებისა და ბოლოს და ბოლოს თავად ხდებიან ყველგან მეფეები. ამგვარი ვითარების ნაძალი უნდა იყოს უთუოდ, რომ ისტორიულად მეფეებსა და დიდ-დიდ თავადებს თავიანთი უცხოური წარმოშობით მოჰქონდათ ზოგჯერ და ძალიან ხშირად თავი, ბევრი მართლა უცხოელი იყო წარმოშობით, ბევრი კი იგონებდა ამას... უწინარეს ყოვლისა, ამისი ნაძალია, როგორც ჩანს, ეს ჩვენი ქართული, მარად „საუცხოოდ" მომართული და მიწყივ უცხო თვალზე გათვლილი „აზნაურობის მაძიებლობაც..." ამერიკული კინოფილმი „შესანიშნავი შვიდეული" ჰო ყველამ ვიცით? ასე იწყება, როგორც ჩანს, ისტორია; გაიხსენეთ, რითი იწყება, მაგალითად, რუსული ისტორია და შეადარეთ ეს საწყისი ხანა რუსული, და არამარტო რუსული, ისტორიის ნებისმიერ მონაკვეთს დღევანდელის ჩათვლით. ასეა — „წმინდა რუსეთი" ერთია ყველგან, „მესამე რომი" კი ყველგან მეორე და ყველგან „წმინდა რუსეთის" სახელითა და საფარქვეშ, ებრძვის, უწინარეს ყოვლისა, თავად ამ სიწმინდეს (ჩვენში, მაგალითად, ამირანი, ერთი მხრივ სწორედ ჯგრაგს, ანუ გორგის ებრძვის, მეორე მხრივ კი ღმერთს სთავაზობს — დავეჭიდოთო. ერთია, ცხადია, ეს ორივე მხარე), ან, იაპონელი „კაბუკებისა" არ იყოს, დროთა ვითარებაში დაუძლურებული, ბროძლისუნარდაკარგული და, ესე იგი, ფუნქციადაკარგული, თამაშითღა იბრუნებს სულს და ქმნის ჩვენში ამ ათი-თხუთმეტი თუ ცოტა მეტი წლის წინათ საგასტროლოდ ჩამოსულ „კაბუკის თეატრს". კაბუკის თეატრი მშვეიერი სანახავი იყო, მაგრამ ჩვენი სუხიშვილების თეატრი გაცილებით უფრო „კაბუკურია" და „ჭაბუკური", მე თუ მკითხავთ. „შესანიშნავი შვიდეულის" თავდაპირველი ვერსიაც, სხვათა შორის, იაპონური ყოფილა, როგორც მითხრეს და „შვიდი სამურაი" რქმევია. ძალიან მინდა ამ ფილმის ნახვა, მაგრამ როგორღაც არ მომეცა ჯერჯერობით ამისი საშუალება.

თამაშიცა და ბრძოლაც, მოგეხსენებათ, მოგებაზეა და ტყუილით მოიგება, თუ მოიგება და როცა მოიგება — ჩვენი ამირანიც ჰო იგივე ნაცარქექიაა, იგივე ლუარსაბ თათქარიძე, იგივე კვაჭი კვაჭანტირაძე და იგივე ყვარყვარე თუთაბერი? ჰო ვხვდებით ამას და ვიცით, მაგრამ ჰო ისევ ეს ამირანი გვეიმედება მაინც? ხერხი სჯობია ღონესა — მით უფრო და განსაკუთრებით იქ, სადაც აღარც სოფელია უკვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ღონიერი," ანუ ცხოვრების წესია მოშლილი და უგულებელყოფილია ის სიმართლე, რაც, რა თქმა უნდა, ერთია და ერთადერთი მანამ, სანამ არსობის პურს ადამიანები — ორ-ორნი და ორ-ორები — თავისივე ოფლით მოიპოვებენ და ცხოვრების ეს წესი საყოველთაო, ან მეტნაკლებად საყოველთაო სიმშვიდეს უზრუნველყოფს, სანამ ღმერთია ერთადერთი სიმართლე, ღმერთი, ანუ „ჩვენ", ჭეშმარიტება, სიტყვა, სიყვარული...

სიმართლის უგულებელმყოფელს, უწინარეს ყოვლისა, სწორედ მის ერთადერთობაში ეპარება ეჭვი, სიმართლეს კი არ უარყოფს, ტყუილთან აჯიბრებს და ამ გზით ცდილობს, შეამოწმოს თავისი ეჭვის სისწორე. ეჭვი თუ გამართლდა, უკვე სიმართლეა და, ამრიგად, სიმართლეც უკვე ორია და, ესე იგი, ბევრიც. სიმართლის მთქმელს ველარც შეკაზმული ცხენით გამოარჩევ მერე ადამიანი, არაფერში აღარა სჭირდება მერე და მერე არც ეს შეკაზმული ცხენი, თავისუფლად შეუძლია, რაც უნდა, ისა თქვას, წეროს და იკითხოს, სულერთია, მაინც აღარავისა აქვს იმ ერთადერთი სიმართლის შიში და რიდი. ტყუილის ეშინია უკვე ყველას, ყველა ტყუილზეა გაფაციცებული და ყველა იმიტომ ტყუის, თავად რომ არ დარჩეს მოტყუებული. გაგებით გადახედავენ ხოლმე ერთიმეორეს მეტყუილენი და მათ შორის უსათნოესთა თვალებში სიმართლის მთქმელი ამ დროს სიბრალულს თუ ამოიკითხავს — დედა, რა სულელი ხარ, შე საცოდავო, რა გეშველებაო! — მეტს არაფერს. კაცმა რომ თქვას, სიმართლეა ესეც, საქმეც ეგ არის, რომ სიმართლეა — ის ნახევარი და ყველა შემთხვევაში უეჭველად სათავისო სიმართლე, რის შესაძლოობასაც იძლევა თამაშისა და ბრძოლის წესებით განპირობებული სიმრავლე სიმართლეებისა.

შეგუებულნი — რას იზამ, ადამიანი კეთილიც არის და ბოროტიცო, სიმართლეს თვალი უნდა გავუსწოროთო — ამბობენ, სულ ახალ-ახალ კულტურებზე ლაპარაკობენ და, რაღა თქმა უნდა, ახალ-ახალი თამაშებისა და ახალ-ახალი ბრძოლების ახალ-ახალ წესებს გულისხმობენ და იგონებენ. ადამიანი თუ ერთსა და იმავე დროს კეთილიც არის და ბოროტიც, სიმართლეც, ცხადია, ორია უკვე, ანუ ბევრი და, ესე იგი, საერთოდ არ არს, ანუ ტყუილია უკვე ყველა სიმართლე და ერთადერთი სიმართლე უკვე თავად ეს ტყუილია. ცხოვრება თამაშია, ანუ ბრძოლა და მეტი არაფერი. პროგრესი უამისოდ შეუძლებელიაო — ვამბობთ მერე საკუთარი გამოცდილებით დაბრძენებულნი და, რაღა თქმა უნდა, რომ ნახევარი სიმართლეა ესეც — თამაში და ბრძოლა უეჭველად აჩქარებს პროგრესს, მაგრამ პროგრესი, ცხადია, უამისოდაც შესაძლებელია და გარდაუვალი. ცივილიზაციაა, მაგალითად, სათვალე, მაგრამ თვალს თუ არ გაკლია და ისე, სლამაზის გულისთვის გაიკეთე, თვალებს აგიჭრელებს და თავს აგატკივებს. ცივილიზაციაა ჩვენი სამცხე-ჯავახეთის ჟამთა სიავით იავარქმნილი სასოფლო-სამეურნეო ტერასებიც და თანამედროვე პესტიციდებიც. განსხვავება ის არის, რომ ერთი ევოლუციური გზა გახლავთ განვითარებისა, მეორე კი — რევოლუციური. ერთ შემთხვევაში ყველანაირი პროგრესი იმთავითვე ყოფით დონეზე ხორციელდება და, ამდენად, სრულ შესაბამისობაშია იმ ადამიანური, ანუ კულტურული გარემოს განვითარების რიტმთან, სადაც ხორციელდება, მეორე შემთხვევაში კი სწორედ ამ რიტმს არღვევს, რადგან თავს მოხვეულია, ხელოვნურად დაჩქარებული და, უწინარეს ყოვლისა, ყოფით (გნებავთ, „მასკულტურულ") დონეზე უგულებელყოფს იმ ადამიანურ, ანუ კულტურულ გარემოს, სადაც შემოდის. უგულებელყოფს და, ძალიან ხშირად, ყოვლად შეუქცევად წინააღმდეგობაშია სწორედ კულტურასთან. კულტურა, რომელიც ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, სიყვარულივით ბრმაა და უბირი, ყველა ღონეს ხმარობს თავდასაცავად, მაგრამ, რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო ნაკლებად ახერხებს ამას. რევოლუციური პროგრესი და ტოტალური, ერთდროული და თვითმიზნური ცივლიზაცია კაცობრიობისა ისევ და ისევ „ძველებური აზროვნების" გზას ადგანან ჯერჯერობით და კვლავინდებურად ბაბილონის გოდოლის მშენებლობის ღმრთის უნებური იდეა უტრიალებთ თავში.

ცხოვრება თამაშიაო — ამას ჩვენი გალაკტიონისთვის „მწარე და ძვირფასი", პოლ ვალერის შეფასებით კი „ყველაზე მნიშვნელოვანი ფრანგი პოეტი", ხელმოცარული დენდი — შარლ ბოდლერიც აღმოაჩენს თავისთვის თავისი დროის „ახალი კულტურისთავის" თავისუფლების, ძმობისა და ერთობიის სახელით გაჩაღებული სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის ეპოქაში, მაგრამ უმალვე იმასაც მიხვდება, რომ „იქ, სადაც არავინ არავის არ ენდობა, ყველა ქურდია". დემოკრატიაზე უკეთესი კაცობრიობას ჯერ არაფერი მოუგონიაო — იტყვის მოგვიანებით თამაშისა (ვითარცა პოლიტიკოსი) და ბძოლის (ვითარცა სამხედრო პირი) ისეთი ვირტუოზი, როგორიც უინსტონ ჩერჩილი გახლდათ მეოცე საუკუნეში და ყოვლად კომპეტენტურად დასძენს და დააზუსტებს — ჩვენ არა გვყავს მარადიული მეგობრები, მარადიული ჩვენ მხოლოდ ინტერესები გვაქვსო. სიმართლეა, ცხადია, ესეც — დემოკრატიაზე უკეთესი მართლა არაფერი მოუგონია კაცობრიობას მოთამაშეთათვის და მებრძოლთათვის, რომელთაც, რა თქმა უნდა, არა ჰყავთ, არა ჰყოლიათ და არც შეიძლება ჰყავდეთ „მარადიული მეგობრები", ისინი მართლა მხოლოდ და მხოლოდ „მარადიული ინტერესებით" ხელმძღვანელობენ, ხელმძღვანელობდნენ და უნდა იხელმძღვანელონ ყოველთვის და ყველა დროში, მაგრამ იმ ერთადერთი სიმართლის ძიებას თუ დავიწყებთ, ანუ ჭეშმარიტებას არამცთუ საკუთარ თავზე, არამედ სამშობლოზე მაღლაც კი და დავაყენებთ, როგორც ამას, უინსტონ ჩერჩილისაგან განსხვავებით, უწინარეს ყოვლისა, მაინცდამაინც თავის საკუთარ თვისტომთაგან მოითხოვდა სულ ამ ცოტა ხნის წინათ ნეტარხსენებული მერაბ მამარდაშვილი, იძულებული შევიქნებთ, ალბათ, რომ ვაღიაროთ — ზოგადად კაცობრიობის „მარადიული ინტერესი", უწინარეს ყოვლისა, სწორედ ეს „მარადიული მეგობრობაა", რასაც თამაშისა და ბრძოლის წესები ხდის შეუძლებელს ყველგან, სადაც ცხოვრების წესის ადგილს იკავებს, ცხოვრების წესისას, რაც, რა თქმა უნდა, გულისხმობს, მოიცავს, განსაზღვრავს და, ესე იგი, ზღუდავს კიდეც თამაშისა და ბრძოლის წესების სამოქმედო დროსა და სივრცეს — თამაშის უფლებას, მაგალითად, მხოლოდ ბავშვებსა. რთავს და ამასაც ყოვლად უნართაულოდ და არაორაზროვნად ეშმაკობას არქმევს (ასეა, ყოველ შემთხვევაში, ეს ქართულად და ერთობ ნიშანდობლივია, ალბათ, ეს ქართულიც). რაღა თქმა უნდა, რომ ბავშვების თამაში, ანუ „ეშმაკობა", მომავალი ცხოვრებისთვის მზადებაცაა და ხიფათიც სწორედ აქ არის ჩასაფრებული. ყველაფერს და, ესე იგი, თამაშსაც თავისი დრო და ადგილი აქვს და უნდა ჰქონდეს. დიდი და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რას თამაშობს, ანუ რის საკეთებლად ემზადება ბავშვი, ან, უფრო სწორად, რის საკეთებლად ამზადებს, ნებისად თუ უნებლიედ, მას ის კონკრეტული ადამიანური, და ესე იგი — კულტურული, გარემო, სადაც ის დაიბადა და იზრდება.

აი, ამიტომ უარყოფენ ბოროტი ადამიანის არსებობას თამაშის წესებს ვერშეგუებული, ცხოვრების წესის მონატრებით გულგასენილი ადამიანები — ბოროტება სხვა არა არის რა, თუ არა სიკეთისგან მოკლებაო — ჯიუტად იმეორებენ და ზოგადად კულტურის შეუძლებლობის განცდა აგდებთ საგონებელში, ანუ სწორედ მარადიული მეგობრობისა და სიყვარულის შეუძლებლობის განცდა. იციან, რომ რაღაცა დემოკრატიაზე უკეთესიც შთაუგონებია ღმერთს კაცობრიობისთვის — ჯერ იყო და ერთი, სულ ერთადერთი ხილის ჭამა აუკრძალა ღმერთმა ადამიანებს, მერე — ოფლითა შენითა მოიპოვე პური შენი არსობისაო — დაარიგა, მერე „ათი მცნების" განუხრელი დაცვა შთააგონა მერე გიყვარდეთ მოსულნიო — ასეთი აღთქმა დაუდო, მერე ახალი აღთქმით დააზუსტა — გიყვარდეთ მტერნი თქვენნიო... კულტურაა ესე ყოველი, ანუ კულტურა სწორედ ეს არის, ათიც ისაა, რაც ერთი, არც მრავლობითი რიცხვი აქვს ამას და არც რაიმე ალტერნატივა. ახლა, მაგალითად, უკვე ასე ამბობენ ჩვენშიც — „არ არის აუცილებელი, რომ მართალი იყო, მთავარია, ბედნიერი იყოო..." ფსიქოლოგები ამბობენ და ურჩევენ ამას „მოსახლეობას"... არ გაემტყუნებათ, რა თქმა უნდა, რადგან, რაც დრო გადის, მართლა სულ უფრო და უფრო შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უძლებელი ხდება, ერთსა და იმავე დროს მართალიც იყო ადამიანი და ბედნიერიც, მაგრამ მოდი, ნუ დავარქმევთ „ახალ კულტურას" იმას, რაც სწორედ უკულტურობის ან, უფრო სწორად და ზუსტად, კულტურის შეუძლებლობის გამო გვჭირს თამაშისა და ბრძოლის წესების გადამკიდეთ.

ცაშია, რა თქმა უნდა, გადაწყვეტილი ეს ამბავი — სამოთხეში, ანუ იმ პირველყოფილ გლობალიზაციაში, სადაც მთელის სისრულით გახლდათ სწორედ განხორციელებული ნებისმიერი ადამიანური საზოგადოების განვითარებისთვის ეს ყოვლად აუცილებელი, უეჭველად თანდაყოლილი და — შეიძლება, ალბათ, ასეც ითქვას — გენეტიკურად ნატრული იდეალი — ნებადართულია ყველაფერი, რაც აკრძალული არაა. აკრძალული კი, როგორც უკვე ითქვა და ყველას კარგად მოგეხსენებათ, ერთი, სულ ერთადერთი ხილის ჭამა იყო სამოთხეში. ამ ხილს თუ არ შეჭამდი, უფალი (ღმერთი, ანუ სიყვარული, რომელიც, რა თქმა უნდა, ბრმაა) შენთან იყო, ხოლო უკეთუ შესჭამდი, იმწამსვე თვალები აგეხილებოდა და იქნებოდი, „ვითარცა ღმერთნი", ანუ უფალს თავს დააღწევდი და თავად იქმნებოდი შენივე თავის უფალი. ღმერთი კი არა, „ვითარცა ღმერთნი" იქნებოდი და თამაშიც სწორედ აქ იწყება, პირველი ტყუილი სწორედ ამ მრავლობითის შინაარსის გაუცნობიერებლობას უკავშირდება, ამ მრავლობითში ა დაუნჯებული ჭეშმარიტებაცა და სიცრუის მთელი სიბრძნეც ანიდან ჰოემდე.

ერთი შეხედვით, „ვითარცა ღმერთნი", ვერავინ და ვერასოდეს იქნება, რადგან ღმერთი ის არის, რაც ერთია და მუდამ იქ არის, სადაც ერთია ყველა. თავის უფალი ადამაინი კი მხოლოდ „ერთი ჩვენგანი" შეიძლება იყოს — „და აჰა, ადამ იქმნა ვითარცა ერთ ჩვენგანი" — ასე აფასებს თავად ღმერთი ადამიანის ამ საბედისწერო ნაბიჯს. არადა, დააკვირდით — ღმერთი მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელით მოიხსენიებს თავის თავს — ერთი ჩვენგანიო — ამბობს, „ჩვენ" ვარო — ამბობს, ესე იგი, არ ამბობს — მე ვარო. აი, ეს „ჩვენ" არის სწორედ ერთი, ხოლო „მე", უწინარეს ყოვლისა, ორია და, ესე იგი, მრავალი და მრავლის უმრავლესი — უთვალავი, იმდენი, რამდენი „ერთი ჩვენგანი" და, ესე იგი, „თავის უფალი", ანუ „არავისი" და მარტოსული ადამიანიც დაიარება, დაფრინავს თუ დახოხავს ამ დედამიწის ზურგზე კენტად მას მერე, რაც ღმრთის ხატად და სახებად შექმნილმა პირველმა „ჩვენ", პირველმა მამაკაცად და დედაკაცად ქმნილმა „იგიმ", ანუ „იგინმა" (ადამიანმა, ესე იგი — მამაკაცმა და დედაკაცმა ერთად) აკრძალულ ხილს გაუსინჯა გემო, ერთიმეორისა შერცხვა, ანუ თავისი სხვადასხვაობა გააცნობიერა, ჩვენობას მოსწყდა და ორი დამოუკიდებელი და „თავის უფალი" „ერთი ჩვენგანი" გახდა.

უწინარეს ყოვლისა, აი, ამ ორი დამოუკიდებელი და თავის უფალი „ერთ ჩვენგანის" კვლავ ერთ „ჩვენად", ანუ „ერთ ღმერთთაგანად" ქცევა არის სწორედ ის კულტურული ამოცანა, რასაც მეტ-ნაკლები წარმატებითართმევდა და, სამწუხაროდ, სულ უფრო და უფრო ნაკლებად ართმევს თავს უკლებლივ ყველა რელიგია დაწყებული ეგრეთ წოდებული ტრადიციული, ადგილობრივი, სოფლური, ანუ პაგანისტური (ქართულად — წარმართული) რწმენა-წარმოდგენებით და დამთავრებული დღევანდელი მსოფლიო რელიგიებითა და მათი ფუნდამენტალიზმებითა თუ ეკუმენიზმებით.

ცხადია, რომ ღმერთი თუ „ჩვენ" არის, ერთსა და იმავე დროს ძალიან ბევრიცაა და ერთიც და ერთადერთიც... ცხადია, რა თქმა უნდა, ეს და დღესავით ნათელი, მაგრამ სამოთხეს მოწყვეტილი „სული ცხოველის" დედამიწური ყოფის მთელი ტრაგიზმიც სწორედ ის არის, რომ, ცხოველური ინსტინქტებით ალჭურვილს, მას, უწინარეს ყოვლისა, სწორედ ამ თავისთავად ცხადი და დღესავით ნათელი ჭეშმარიტების სათანადოდ გაცნობიერება და დაჯერება უჭირს. მეობა და „ერთი ჩვენგანობა", ანუ ჩვენთაგან რომელიმე ერთის უპირატესობა, ჩვენობის უკვე სულ პირველ, საწყის საფეხურზე იჩენს თავს და იწყება კულტურულ გარემოთა და საზოგადოებათა გაუთავებელი „ანდროგენიზაცია" და „ფემინიზაცია", პატრიარქატები და მატრიარქატები, მამაკაცებისა და დედაკაცების გაუთავებელი კულტები და ამ კულტებით თავმოწონება.

აი, ეს არსებითად რევოლუციური და, ესე იგი, ღვთის გარეგანი და ამაო სულისკვეთება აცოდვილებს ათადან და ბაბადან ადამიანს, რომელსაც სიზიფეს ცნობილი მითის მიხედვით ყოველთვის და გარდაუვალად უგორდება მწვერვალზე რის ვაივაგლახით ატანილი ლოდი და იძულებულია, რომ ისევ და ისევ სიმწრითა და ვაივაგლახით აიტანოს უკან, ხოლო ამ მითის ქართული, სულხან-საბა ორბელიანთან დადასტურებული ვერსიით, თავად ჰკრავს ხოლმე ყოველთვის და გარდაუვალად წიხლს ამ მის მიერვე რის ვაივაგლახით მწვერვალზე ატანილ ქვას და სიცილითაც კვდება ამ დროს, ანუ ქართული ვერსია დიდი ხანია უკვე იცნობს ალბერ კამიუს ეგზისტენციალურ თვალსაზრისს იმის თაობაზე, რომ ცხოვრება თამაშია და სწორედ ამ თამაშისთვის ღირს, იცხოვრო ადამიანმა ამ ქვეყანაზე, რადგან თავის მოკვლას ისევ ესა სჯობია, მაგრამ ამ ქართული ვერსიის შემქმნელმა (ხალხმა თუ თავად სულხან-საბა ორბელიანმა) ისიც მშვენივრად იცის, რომ ეს სიბრნე სიცრუისაა — „ამაოება ამაოთა", ანუ უკვე „გა-ფუჭ-ებული" ადამიანის (გნებავთ — „ანგელოზყოფილის") უჩარობის ჩარა და ჭეშმარიტებასთან ბევრი არაფერი აქვს საერთო. რატომ შვრები ამასო — „ქართველ სიზიფეს" რომ ეკითხებიან — ზოგსა კაცსა ერთი ამდენი ოქრო აქვს და იმით ვერც ჭირსა ნახულობს და ვერც ლხინსა, მე კი ეს ერთი ლოდი მაბადია და ამით ჩემს სამყოფ ჭირსაცა ვნახულობ და ლხინსაცო. მორალი კი ამ იგავ-არაკისა ასეთია: „მომეწონა მისგან, ცოტა ცუდი სიტყვა დიდად კარგა მითხრა", აი, ეს არის სულ, ეს არის მთელი ხიბლი თამაშისა და, ღმერთმანი, არ არის მთლად იოლი ამაზე უარის თქმა. ხალისობაა ეს ერთგვარი, საკუთარი ძალების მოსინჯვა იმის გასაგებად თუ „სად გადის შენი შესაძლებლობების ზღვარი", პატივმოყვარეობასაც უეჭველად ერთობ სასიამოვნოდ ელამუნება, მაგრამ, როდესაც ყოველივე ამას ძალით გაგაკეთებინებენ, მთელი თავისი „სიდიადით" წარმოგიდგება ადამიანს თვალწინ ამ ხალისობის სრული აბსურდულობა — გერმანელი ნაცისტები, მაგალითად, ტყვეებს აიძულებდნენ, რომ სწორედ ეს „სზიფეს ლოდები" ეზიდათ აქედან იქით და მერე ისევ იქიდან აქეთ. „კეთილი განზრახვით" სჩადიოდნენ ამას, რალაცით რომ გაერთოთ ტყვეები ისე, რომ მათი ნებართვის გარეშე აღარ ეფიქრათ მერე არაფერზე — არც სიკვდილზე და, მით უმეტეს — არც თვითმკვლელობაზე. თავის მოკვლას, ცხადია, ყველაფერი სჯობია, მაგრამ თამაშისა და ბრძოლის წესების აყოლა ყველა დროში და ყველა კულტურულ გარემოში გარდაუვალად წარმოშობს ისეთ ვითარებას, როდესაც „ღმერთი კვდება" და ღმერთის ადგილს კერპი, „პიროვნების კულტი", „ზეადამიანი" იკავებს, ანუ „ხელ-მწიფე" ადამიანი, რომელიც მეფის, ანუ მეუფის სახელს აფარებს თავს და ზოგჯერ — არც მეტი, არც ნაკლები — მეც „ჩვენ" ვარო, ანუ მე ვარ ის „ჩვენო" — აცხადებს; ჩვენ — ნიკოლოზიო, - მაგალითად... მერე და მერე კი ღმერთი საერთოდ ავიწყდება და „მეო" გაიძახის, მე ვარ და ჩემი უფლებები, ჩემი ინტერესებიო, პიროვნებისაო, „ღმერთი ვის დაჰკარგვია, ადამიანი — აი, ესა „ჟღერს ამაყადო..." ადამიანები მარტო კაცები ვართ, ქალები ყველანი ასეთები და ისეთები არიანო... არა, ბატონო, ადამიანები ჩვენა ვართ, ქალები, კაცები არიან ყველანი ასეთები და ისეთებიო... რის სიყვარული, რა სიყვარული, მთავარი სექსიაო... „საიმედოობა შობს ნდობას — იყიდეთ ჩვენი ფირმის პრეზერვატივებიო!". — „დაარტყი, ჭიჭიკია, შე უბედურო, რაღას უყურებო? — როგორ დავარტყა, სუდია არ მიშვებსო? — ვინ კითხავს სუდიას, მე მაგისი ასე და ისეო!" — „ვინ კითხავს გაეროსო?" „დავანებოთ ბოლოს და ბოლოს თავი ამ პირველ მილიონებს, გავიგეთ, ბატონო, რომ ყველა პირველი მილიონი უეჭველად ნაყაჩაღარია, მაგრამ ჰო არ შეიძლება ყველა დავიჭიროთ ამ გაგანია დემოკრატიის პირობებში, ვერაფერი გაგვიგია ამ ხალხისა, მდიდარი ადამიანი არ უყვართ, ტო, ესენი ვინ არიანო?" „არა, ბატონო, ამ მთავრობის ხელში არასოდეს არაფერი არ გვეშველებაო!" რომელი მთავრობის ხელში გვეშველება რამე, ხო არ იცით ვინმემ, ღმერთი თუ არ ვიწამეთ და ერთხელ და სამუდამოდ არ გავიცნობიერეთ, რომ ამ ჩვენი აგრერიგად სასიქადულო

„პიროვნების" უპირველესი, მთავარი და მთავარზე უმთავრესი, ერთადერთი ჭეშმარიტი უფლება სიყვარულია, ანუ ორი „პიროვნების" ერთობლივი უფლება და არა ერთმეორისგან თავისუფალ მარტოსულთა „სიგიჟე"? თუ არ გავაცნობიერეთ ბოლოს და ბოლოს ის უმარტივესი ჭეშმარიტება, რომ „ჩვენა" ვართ ყველა — „მე და შენით" დაწყებული და ზოგადად კაცობრიობით დამთავრებული და უკლებლივ ყველა ჩვენი „ჩვენობა" ერთსა და იმავე დროს ერთიც არის და ძალიან ბევრიც. ყველამ თუ არ გავაცნობიერეთ ეს ერთად, ზოგადად კაცობრიობამ — გლობალისტებმაც და ანტიგლობალისტებმაც? გაერომაც და იმანაც, ვინც გაეროს დაუკითხავად შეიძლება ზოგჯერ მართლა უკეთესად აკეთებდეს გაეროს საქმეს. ჭიჭიკიებმაც, ჭიჭიკიების გულშემატკივრებმაც და „სუდიებმაც". მე და შენ თუ არ გავაცნობიერეთ, ჩვენმა ოჯახმა, ჩვენმა სანათესაომ, ჩვენმა სამეგობრომ, ჩვენმა სოფელმა, ჩვენმა ქალაქმა, ჩვენმა მტერ-მოყვარემ, ჩვენმა ეთნოსმა, ჩვენმა ერმა, ჩვენმა დედამიწამ და ჩვენმა კაცობრიობამ. თუ არ გავაცნობიერეთ, რომ ღმერთიცა და სიყვარულიც არის სწორედ ეს „ჩვენ", რომელიც ვერც ერთ თავის გამოვლინებაში, ანუ ვერც ერთი საფეხურის ჩვენობაში ვერ იტანს „ვიღაც მესამეს ჩვენს შორის".

ჩვენი ილიასი და აკაკის „პროვინციალიზმი" დაახლოებით ისეთივე სირცხვილში და საგონებელში აგდებს დღესაც ჩვენს, ამჯერად უკვე „დეიდეოლოგიზებულ" დემოკრატ გლობალისტებსაც, როგორშიც XX საუკუნის დასაწყისის „სოციალ-დემოკრატ" გლობალისტებს აგდებდა. შენი და ჩემი ცოლი აღარ იქნება, ყველაფერი საერთო იქნებაო — ასე ფიქრობდნენ და ირჯებოდნენ მაშინ და დაახლოებით ასე ფიქრობენ და ირჯებიან ახლაც. განსხვავება ის გახლავთ, რომ მაშინ ეგონათ, ფული საერთოდ აღარ იქნება საჭიროო, ახლა კი ფულის გარდა ყველაფრის გაყოფასა და გაზიარებაზე არიან თანახმა — ჩემი სახლის კარი მუდამ ღიაა შენთვისო, ამას კი აღარ ეუბნებიან მოყვასს — ჩემი სახლი შენი სახლიაო — გაიძახიან და ამით, ვითომ, ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარებასა და გამყარებას უწყობენ ხელს. არადა, ჩემი ცოლი და ჩემი სახლი ერთსა და იმავე დროს თუ ჩემიც არის და შენიც, ჰო ცხადია, რომ აღარც ჩემია უკვე და აღარც შენი და საერთოდ აღარ არის ცოლი და სახლი? რაღაცა სხვაა. სახლი, უკეთეს შემთხვევაში, ის სესერეკაა, რომელსაც ეს-ეს არის გამოვეთხოვეთ და რომელმაც იმდენი ქნა, რომ ბოლოს და ბოლოს „ბოროტების იმპერიის" სტატუსით ჩაბარდა ისტორიას, ცოლი კი ის სხვა, რომელ სხვად ყოფნაც, თუ გახსოვთ, ჩვენშიც ყველაზე დიდ სირცხვილად მიიჩნეოდა ქურდობასთან ერთად ჯერ კიდევ სულ ამ ცოტა ხნის წინათ. ვერც, ასე ვთქვათ, „პოეტური უზრუნველყოფის" თვალსაზრისით გაექცევიან ერთიმეორეს ვერსად მაშინდელი და ახლანდელი „გლობალისტები", ეგ არის, რომ ახლანდელებს უკვე შოუბიზნესი უმაგრებთ ზურგს და ნიჭსა და უნიჭობას ის, ცხადია, გაცილებით უფრო ეფექტურად და, რაც მთავარია, „დემოკრატიულად" ათანასწორებს. აბა, რომელ გლობალიზაციაზე შეიძლება იყოს ლაპარაკი, თუ, უწინარეს ყოვლისა, სწორედ აკაკის, ამ მართლა გამოუსწორებელი პროვინციელის (ვინც ვერ იქნა და ვერ შეელია სხვიტორის ნიავს მაშინ, როცა მისი ცოლი პარიზსა და სანკტ-პეტერბურგში „მაზურკას" ცეკვავდა), ეს სადღეისოდ უკვე ყოვლად უნივერსალური პოლიტიკური ჟღერადობის ფორმულა არ გავითავისეთ, არ გავითვალისწინეთ და განუხრელად არ დავიცავით „ახლებური აზროვნებისა" და „ახალი მსოფლიო წესრიგის" ე.წ. არქიტექტორებმა — „ჩემი ხატია სამშობლო, სახატე — მთელი ქვეყანა"? დედამიწა ჰო მრგვალია, ბატონებო, და, თუ მართლა მრგვალია, მაშინ ჰო ზუსტად იმდენი ცენტრი აქვს, ესე იგი, რამდენი „დასახლებული პუნქტი", ანუ სულ პაწაწკინტელა პროვინცია და სოფელიც არის ამ ჩვენი ცოდვით სავსე დედამიწაზე? უამისოდ ჰო ცხადია, რომ ისევ და ისევ ბაბილონის გოდოლს მივადგებით და იძულებული შევიქმნებით, ისევ თავიდან დავიწყოთ ყველაფერი, ყველამ ისევ თავიდან ვზიდოთ ჩვენ-ჩვენი ლოდი იმ მწვერვალზე, საიდანაც სულ სიცილ-სიცილით დავაგორეთ ჩვენ თვითონვე, რადგან თამაში გვეგონა ეს ცხოვრება და მეტი არაფერი?

არადა, ორი გზა მიდის, როგორც ჩანს, გლობალიზაციისკენაც — ერთი, როცა არავითარ შემთხვევაში (მეფეც რომ იყო და მით უფრო — თუ მეფე ხარ), არ მოინდომებ და არ იზამ ადამიანი იმას, რომ შენ ოჯახზე, შენ დედმამიშვილებზე, შენ სანათესაოზე, შენ სამეგობროზე, შენ სამეზობლოზე, შენ თვისტომზე და შენ სამშობლოზე უკეთ იცხოვრო და, ამას რო არ მოინდომებ და არ იზამ, არც იმას მოინდომებ და არ იზამ მერე, რომ შენმა სამშობლომ იცხოვროს მაინცადამაინც სხვის და სხვათა სამშობლოებზე უკეთ და, ბოლოს და ბოლოს უეჭველად იმასაც მიხვდები, თუ რატომ ჰქვია „ამასა ენასა შინა" სოფელი ერთსა და იმავე დროს შენ კონკრეტულ სოფელსაც და მთელ „ქვე_ყანასაც", ანუ ზოგადად „დედამიწას ადამიანებისას" და მეორე — როდესაც სწორედ იმას ცდილობ ადამიანი, რომ, რადაც არ უნდა დაგიჯდეს, მაინცდამაინც შენ იცხოვრო ყოველთვის და აუცილებლად ყველაზე უკეთ შენ ოჯახში, შენ დედმამიშვილებში, შენ სანათესაოში, შენ სამეგობროში, შენ სამეზობლოში, შენ სამშობლოში, სხვის და სხვათა სამშობლოებში და, ბოლოს და ბოლოს, შენ ჭკუაზე განაგო ეს შენ მიერვე გლობალიზებული დედამიწა, რომელიც ზოგადად ადამიანებისაა უეჭველად და არამარტო შენი. სათქმელად, ცხადია, ორივე იოლია და საქნელად ორივე ძნელი, მაგრამ რომელია აქ უტოპია და რა შეიძლება და რა ჯობია, რომ რეალურად განხორციელდეს ბოლოს და ბოლოს და ოდესმე, „საკითხავი აი, ეს არის".

"ესე ასეთი სოფელი, არვისგან მისანდობელი, წამია კაცთა თვალისა და წამწამისა მსწრობელი! რასა ვინ ეძებთ, რას აქნევთ? ბედია მაყივნებელი, ვის არ შეუცვლის, კარგია, ორისავ იყოს მხლებელი! — ინტერპოლაციას ან ნაწილობრივ ინტერპოლაციას ჰგავს ესეც, მაგრამ აქაც ჩვენი, ქართული „ორგემაგეური" მსოფლმხედველობა იპყრობს, უწინარეს ყოვლსა, ჩემ ყურადღებას. საქმე ის კი არ არიის, კარგია თუ ცუდი თავისთავად ეს ჩვენი ლამის თანდაყოლილი ორგემაგეობა, საქმე ის გახლავთ, რომ სწორედ ამ ორგემაგეობის წყალობით მოვიტანეთ, როგორც ჩანს, დღევანდლამდე თავი და, ვინ იცის, იქნებ სწორედ ამას ვარაუდობს „ვეფხისტყაოსანშიც" ან „ვეფხისტყაოსნის" ავტორის ავტორიტეტს იყენებს საამისოდ ამ შემთხვევაშიც ეს კონკრეტული, ცხადია, გაცილებთი უფრო გვიანდელი ხანის, ინტერპოლატორი? ასეა თუ ისე, უეჭველია, ჩემი აზრით, რომ ეს „ორისავ მხლებლობა", ანუ იგივე, თუნდაც დავით გურამიშვილისეული, „ორგემაგეობა" ადამიანთა ურთიერთობის ("ორთა ერთობის") გარდაუვალი აუცილებლობის ურყევ რწმენას ემყარება და ორგულობას კი არ გულისხმობს ამოსავალში, არამედ ორგულოვანებას ისევე, როგორც ორთავიანი არწივი, რაც ჩვენს მეტნაკლებად მოხილვად ისტორიაში, თუ არ ვცდები, პირველად ხეთურ სამყაროში ჩნდება, მიწყივ აღმოსავლეთისა და დასავლეთის გზაშესაყარსა თუ გზაგასაყარს დასტრიალებს თავს, ყოველთვის, ყველა დროში და ყველა ხალხის ხელში, უწინარეს ყოვლისა, ევრაზიულ ერთობას გულისხმობს და ამ საფუძველზე გარდაიქმნება ხოლმე, როგორც ჩანს, თუ გარდაიქმნება და როცა გარდაიქმნება, ეროვნული მესიანიზმის სიმბოლოდ.

"თავის უფალი" ვარო, კაცი რო იტყვის, ის, ცხადია, უფალს აღარ ენდობა უკვე და „ძალა უფლებას" ენდობა მხოლოდ კაცისას, თავისასაც და სხვისასაც და წინაუკმო, ვინც უფალს ენდობა, იმას კაცის ნდობა უჭირს, თავის თავსაც აღარ ენდობა და — მე არ ვწერ ლექსებს, ლექსი თვითონ მწერსო — ამბობს, ანუ უფალი მაწერინებსო, ყველაფერი ღვთის ნებით ხდებაო. ასეთ კაცს აღარც „თავის უფალი" კაცები ენდობიან მერე, აბა, ვინ იცის, როდის რას დააწერინებს ასეთ კაცს ლექსი? — „დავბადებულვარ, რომ ვიყო მონა და საქართველოს მედგას ულელი" — შეიძლება ასეთი რამეც კი დაწეროს ფარსაგად და წინდაუხედავად იმ დროს, როდესაც „თავის უფალი" ადამიანები საქართველოს „წაღმა-უკუღმა გადახვნას" აპირებენ და დაიჭერენ, აბა, რა იქნება?

იმას, ვისაც უფლის შიში და მორიდება აქვს, უეჭველად უნდა ჰქონდეს „თავის უფალი" კაცის შიში და მორიდებაც — ადამიანი ღმრთის ხატად და სახებად არის ქმნილი ყველა და „თავის უფალი"

ეროვნული ბიბლიოთეკა



ადამიანიც, უწინარეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, უფალს ედრება, უფალს სთავაზობს — დავექიდოთო — და მისი მომრევი ისევ და ისევ უფალია მხოლოდ ად არა მეტნაკლებად კეთილი ადამიანების „თავის უფალი" გაერთიანება სიკეთისგან მეტნაკლებად მოკლებული ადამიანების წინააღმდეგ. უფალი, ანუ „ჩვენ" — ღმერთი — სიყვარული — სიტყვა — ჭეშმარიტება.

ბიბლიის ზოგიერთი კომენტატორი ასე ვარაუდობს — ოდესღაც, როგორც ჩანს, ჩვენს, „აბელურ", ცივილიზაციას წინ უსწრებდა კაენური, რომელიც იმიტომ დაიღუპა, რომ ბოლოს და ბოლოს პირწმინდად ქალაქურ ცივილიზაციად იქცაო. ამ ბოლოდროინდელი არქეოლოგიური მონაცემები სულ უფრო და უფრო სარწმუნოს ხდის ამ თვალსაზრისს — აგერ, სულ ახლახანს მეტროს გვირაბები აღმოუჩენიათ იქ, სადაც ამ ჩვენ „აბელურ" ცივილიზაციას ჯერაც არ შეუღწევია ხეირიანად... რა მოგახსენოთ — კაენური ცივილიზაცია, ცხადია, დაიღუპა, მაგრამ თავად კაენის მკვლელობისთვის ღმერთს „სამეოცდაათგზის შვიდგზის" შურისძიება აქვს ნაწინასწარმეტყველები... კაენი ცოცხალია, ესე იგი (ჰო ვიცით ყველამ, რომ მისი, სიკეთისგან ეგზომ საბედისწეროდ მოკლებული, გენი დღესაც უეჭველად ცოცხლობს ყოველ ჩვენგანში? ეს რო არ ვიცოდეთ, აბა, როგორ ვიტყოდით და ვიფიქრებდით იმას, რომ ადამიანი ერთსა და იმავე დროს შეიძლება კეთილიც იყოს და ბოროტიც?), სამარადჟამოდ „იწროებით ცხოვრებისთვისაა" განწირული, თავისი ცოდვა რომ გამოისყიდოს როგორმე და არავის, არავის, არავის არა გვაქვს უფლება მისი მოკვლისა. ვინ იცის, იქნება სწორედ მისი ხვედრია, რომ ერთ მშვენიერ დღეს „ზვარაკი ჭამებული" დაგვიკლას „ძე შეცთომილთ" ნიშნად ჩვენი სიკეთის მარადიულობისა, გარდაუვალობისა და უალტერნატიობისა? ვინ იცის?..

ზღაპრის გუდა, მოგეხსენებათ, უძიროა და ამოუწურავი, ყველა ზღაპარი კი ბოლოს მანც ერთნაირად მთავრდება, მაგრამ, ვიდრე ამ ზღაპარსაც ზღაპრის წესისამებრ დავამთავრებდე, მანამდე მინდა, ასე ვთქვათ, დასკვნის სახით შევაჯამო ზემორე თქმული, როგორც ეს მეცნიერთა წესია:

ღმერთი არს „ჩვენ" და, რა თქმა უნდა, ერთია და ერთადერთი ისევე, როგორც ერთია და ერთადერთი ყოველი ჩვენი ჩვენობა. ადამიანი, - ანუ მამაკაცია და დედაკაცი, ორივე ერთად, - ხატი და სახება ღმრთისა და არა რომელიმე ერთი ჩვენგანი. ღმერთი ჩვენშია და არა ჩემში ან შენში.

მე მართლა ასე ვფიქრობ, რომ სწორედ ეს არის ის მთავარი „სადუმლო," რომელიც რომელიმე ერთმა ენამ — თავისი უფლობის ხიბლში ჩავარდნილი ადამიანების მიერ დავიწყებულმა და „დაწუნებულმა" — „შეიძლება გაუმხილოს" ყველა სხვა ენას.

აი, ეს „საიდუმლოა" უეჭველად დაუნჯებული ამ სიტყვებშიც: „მზე დედაა ჩემი, მთვარე — მამა ჩემი, ეს წვრილწვრილი ვარსკვლავები და და ძმაა ჩემი..." დედამიწური „გლობალიზაცია", ცხადია, ზოგადსამყაროულ, კოსმოსურ და კოსმოგონიურ ჩვენობასაც უნდა გულისხმობდეს და ითვალისწინებდეს.

ზღაპრის ბოლო კი, რა თქმა უნდა, ასეთია: „ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო, ჭალას ჩიტი ჩამკვდარიყო, დიდ ქვაბში არ ეტეოდა, პატარაში არ კმარიყო..." ჩიტი, მოგეხსენებათ, თავისუფლების სიმბოლოა და თავისუფლების გარდა სხვა არც არაფერი შეიძლება იყოს ის, რაც დიდ ქვაბში ვერ ეტევა და პატარაში არასოდეს არ არის საკმარისი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

შოთა ვადაჭკორია

# ისევ აჭარის ავტონომიის შესახებ

(რეცენზია უჩა ოქროპირიძის საკანდიდატო დისერტაციაზე "აჭარის ავტონომიის შექმნა")



საქართველოს უახლესი ისტორიის საკვლევ პრობლემათა შორის განსაკუთრებულ ინტერესს იქცევს ქვეყნის რეგიონულ მოწყობასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა. იგი დღევანდელობისთვის იმდენად არის აქტუალური, რამდენადაც საქართველოში გვაქვს ავტონომიური სახელმწიფო წარმონაქმნები. მითუმეტეს, როცა ზოგიერთი მათგანი საქართველოს ერთიანი სახელმწიფოსა და მისი ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ, გარეშე ძალაზე დაყრდნობით განსაკუთრებით აქტიურობს. ასეთ ფონზე მკვლევარის წინაშე ურთულესი და პასუხსაგები ამოცანა დგება: მან უნდა გაარკვიოს ავტონომიური წარმონაქმნის განმაპირობებელი მიზეზები, რამდენად შეესატყვისება მისი სახელწოდება, სტატუსი და უფლებამოსილება ერთიანი ქართული სახელმწიფოს დღევანდელ ინტერესებს. პრობლემის ამ კუთხით ობიექტური კვლევა საბჭოთა ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული სტერეოტიპებისგან და მაღალი ჩინის პირთა ზეგავლენისგან განთავისუფლებას, არქივ-საცავებში არსებული მდიდარი მასალის საფუძვლიან შესწავლას და მიუდგომელ ანალიზს საჭიროებს. ამ თემატიკისადმი მიძღვნილი სამეცნიერო შრომების დიდი ნაწილი სრულად ვერ პასუხობს ამ მოთხოვნებს, რის გამოც ბევრი რამ ბურუსით მოცული რჩება. მსგავსი ანალიზი გვხვდება „სამუსლიმანო საქართველოს" ავტონომიისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შექმნასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ ზოგიერთ პუბლიკაციაში. აღნიშნულ პრობლემატიკაზე შექმნილი ნებისმიერი სამეცნიერო ნაშრომი მკვლევართა ყურადღების ცენტრში ექცევა და მის ავტორს, წინამორბედი ისტორიკოსებისგან განსხვავებით, ერთიანი ქართული სახელმწიფოს ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით, პრობლემის ობიექტურად გააზრების მოთხოვნებს უყენებენ. ბუნებრივია, ჩვენც ამ კუთხით მივუდექით უჩა ოქროპირიძის საკვალიფიკაციო ნაშრომს. მისი სამეცნიერო ღირებულების შეფასების მიზნით კლასიფიკაციის შემდეგი ფორმა გამოვიყენეთ: 1) სადისერტაციო ნაშრომში აღწერილი ისტორიული მოვლენების და მოხმობილი მასალების სწორად გაანალიზების ავტორისეული ხედვა. 2) შეძლო თუ არა დისერტანტმა, სრულფასოვნად წარმოეჩინა „სამუსლიმანო საქართველოს" ავტონომიისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შექმნის მიმდინარე პროცესები - ევოლუციური გზა. 3) სწორად გაიაზრა თუ არა აღნიშნული ავტონომიების სტატუსი, უფლებამოსილების კანონზომიერება და გამოიყენა თუ არა შესატყვისი საარქივო მასალები.

რაც შეეხება საკვალიფიკაციო ნაშრომში განხილულ ძირითად საკითხებს, იგი შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს: 1) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის არქივებსა და მუზეუმებში დაცული მასალების, პრესაში გამოქვეყნებული პუბლიკაციების და წინამორბედ ავტორთა სამეცნიერო შრომების მხოლოდ ნაწილობრივად გათვალისწინებით დისერტანტი ეხება „სამუსლიმანო საქართველოს" დედა-სამშობლოსთან შეერთების მიმდინარე პროცესებს, მისდამი ქართველი სამოციანელების დამოკიდებულებას. დისერტანტი სავსებით სწორად იქცევა, როცა „სამუსლიმანო საქართველოს" მოსახლეობაში ეროვნული თვითშეგნების განმტკიცების მიმდინარე პროცესებზე აკეთებს განსაკუთრებულ აქცენტირებას და ამ საქმეში ქრისტიანი ქართველი ინტელიგენციის როლსა და დამსახურებას უსვამს ხაზს. დისერტაციაში მხილებული რუსეთის ხელისუფალთა ის მზაკვრული პოლიტიკა, რომელიც მუსულმანი და ქრისტიანი ქართველების ურთიერთდაპირისპირებას ისახავდა მიზნად. იგი ობიექტურად აშუქებს რუსეთის ხელისუფალთა მხრიდან მუსულმანი ქართველების „მოღალატეებად" გამოცხადებისა და მუჰაჯირებად იძულებით გახდომის ფაქტებს. დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით სწორ სამართლებრივ შეფასებას აძლევს ამ პროცესებს. მიუხედავად ამისა, დისერტაციის ეს ნაწილი, „სამუსლიმანო საქართველოსა" და აჭარის ავტონომიის შექმნის წანამძღვრების, ან თუგინდ ფონის, მიცემისთვის საჭირო მასალას არ იძლევა. იგი XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან 1917 წლამდე რეგიონის ზოგად ისტორიას შეიცავს. ცნობილი ფაქტია, რომ რუსული მმართველობის პერიოდში საქართველოს ამ რეგიონის ავტონომიის საკითხი დღის წესრიგში არასოდეს დასმულა. 2) ამიერკავკასიის რეგიონში მიმდინარე რთული მოვლენების ფონზეა განხილული „სამუსლიმანო საქართველოს" განმათავისუფლებელი კომიტეტის შექმნისა და მოღვაწეობის ისტორია, მისი საპროგრამო დოკუმენტი - „პროგრამა და ინსტრუქცია სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტისა". დისერტანტის სამართლიანი შეფასებით, აღნიშნული დოკუმენტი ეროვნული სულისკვეთებით იყო გაჟღენთილი და ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნას, მის განმტკიცებას, რეგიონის პროგრესული ძალების გაერთიანებას და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან დამპყრობთა განდევნას ისახავდა მიზნად. 3) დოკუმენტურ მასალაზე და სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით წარმოჩენილია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისის მიზნები ბათუმის ოლქთან მიმართებაში. ახსნილია ის ძირითადი მიზეზები, რამაც დენიკინელების, რუსული ეროვნული საბჭოსი და „სედაი მილეთის" წარმომადგენელთა გააქტიურება განაპირობა. ასეთი ფონის შექმნით დისერტანტი „სამუსლიმანო საქართველოს" განმათავისუფლებელი კომიტეტის მათთან დაპირისპირებას და რეგიონის მოსახლეობაში ამ მიმართულებით გაწეულ საქმიანობას წარმოაჩენს. 4) საკვალიფიკაციო ნაშრომის მესამე თავი, „სამუსლიმანო საქართველოს" ავტონომიის იდეის წარმოშობის ძირითადი მიზეზების ახსნის მცდელობას შეიცავს. საქართველოს სახელმწიფოებრიობის მოწინააღმდეგე ძალების მიერ ავტონომიის სპეკულაციას იგი გავლენის სფეროების შესანარჩუნებლად წინასწარ გამიზნულ ქმედებად მიიჩნევს. მართებულია უჩა ოქროპირიძის დასკვნის ის ნაწილი, სადაც „სამუსლიმანო საქართველოს" განმათავისუფლებელი კომიტეტის გადაწყვეტილება - საქართველოს შემადგენლობაში „სამუსლიმანო საქართველოსთვის" და არა აჭარისთვის, როგორც თვითონ წერს (დისერტ. გვ.58) ავტონომიის მინიჭება იმ რთულ პოლიტიკურ სიტუაციაში ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება იყო. ამით მომზადდა მყარი საფუძველი საქართველოს შემადგენლობაში „სამუსლიმანო საქართველოს" შესანარჩუნებლად. მეორე მხრივ, იგი ქართული ორიენტაციის პოლიტიკურ მოღვაწეებს მოქმედების მეტ გასაქანს აძლევდა, რითაც მტრული ძალების მიზნების განხორციელებას ფრთები ეკვეცებოდა. 5) სადისერტაციო ნაშრომში ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება 112-დან 138 გვერდებზე (სულ 26 გვერდი) მოტანილმა მასალებმა და მისმა ანალიზმა მიიქცია. იგი დღევანდელი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსს და მის უფლებამოსილებას ეხება. დსთ-ს სივრცეში არსებული დამოუკიდებელი სახელმწიფოების და ევროპის ქვეყნების ავტონომიური წარმონაქმნების სტატუსის, მისი უფლებამოსილების ურთიერთშედარებითი ანალიზის საფუძველზე დისერტანტი ცდილობს, დაასაბუთოს (თუმცა უშედეგოდ) დღევანდელი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის და უფლებამოსლების საერთაშორისო კანონმდებლობასთან და პრაქტიკასთან შესატყვისობა (დისერტ. გვ.142). თუ რამდენად წარმატებულია დისერტანტის მიერ ჩატარებული ეს სამუშაო და რამდენად მისაღებია მის მიერ გაკეთებული დასკვნები, ამის შესახებ შენიშვნებში საგანგებოდ გავამახვილებთ ყურადღებას.

ჩვენ არ ვეკუთვნით იმ ადამიანთა კატეგორიას, საკვალიფიკაციო ნაშრომში აღმოჩენილი მეორეხარისხოვანი ან მცირეოდენი შენიშვნების აისბერგის მთასავით აგორებას რომ ცდილობს. ასეთი სახის შენიშვნებზე (სულ 39) ყურადღება შეგნებულად არ გავამახვილეთ. აქცენტირება მხოლოდ „სამუსლიმანო საქართველოს" ავტონომიისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შექმნის საფუძველთა საფუძველზე გავაკეთეთ, რადგან მისმა არასწორმა გააზრებამ დისერტანტი ისტორიული მოვლენების გაყალბებამდე მიიყვანა. ნაშრომის მიმართ რეცენზიაში გამოთქმული შენიშვნები პირობითად ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: 1) პრობლემის გაშუქებისას დისერტანტის მიერ ძირითად საკითხებთან მიმართებაში დაშვებული შეცდომები. 2) „სამუსლიმანო საქართველოს" ავტონომიისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შექმნისთვის გაწეული კონკრეტული საქმიანობისადმი გვერდის ავლა.

რაც შეეხება პირველი ჯგუფის შენიშვნებს, მხოლოდ რამდენიმე მათგანს გამოვყოფთ: 1) დისერტანტი შეცდომას უშვებს, როცა მემედ და ჰაიდარ აბაშიძეების საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის აღმასრულებელ კომიტეტში არჩევაზე მიუთითებს (დისერტ. გვ.36). საქართველოს პირველმა ეროვნულმა ყრილობამ (1917 წლის 19 ნოემბერი) აღმასრულებელი კომიტეტი კი არა, საქართველოს ეროვნული საბჭო (1917 წლის 22 ნოემბერი) აირჩია. აღნიშნული საბჭოს 26 ნოემბრის სხდომამ აკ.ჩხენკელის წინადადებით ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი პოლიტიკური ორგანო-კომიტეტი 15 კაცის შემადგენლობით დაამტკიცა, რომლის წევრებად „სამუსლიმანო საქართველოდან" მემედ და ჰაიდარ აბაშიძეები შეიყვანეს.[1] 2) 1918-1921 წლების მოვლენების აღწერისას დისერტანტი ერთმანეთთან აიგივებს „სამუსლიმანო საქართველოს" ავტონომიას და აჭარის ავტონომიას. მას მკითხველი შეცდომაში შეყავს, როცა საქართველოს ხელისუფლებას და „სამუსლისმანო საქართველოს" განმათავისუფლებელი კომიტეტის ლიდერებს აღნიშნულ პერიოდში აჭარის ავტონომიის დასმის საკითხს მიაწერს. ამასთან დაკავშირებით სადისერტაციო ნაშრომიდან მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს: 1) ბათუმის ოლქისთვის ქემალისტური თურქეთის მიერ შემოთავაზებულ ავტონომიას საქართველოს ხელისუფლებამ დაუპირისპირა „აჭარის ავტონომია დედა-სამშობლო საქართველოს შემადგენლობაში" (დისერტ. გვ.50). 2) „სამუსლიმანო საქართველოს პროგრესულმა ძალებმა დაუპირისპირეს აჭარის ავტონომიის იდეა" (დისერტ. გვ.58). 3) „ხსნის ერთადერთ გზას საქართველოს შემადგენლობაში აჭარის ავტონომიად გამოცხადება წარმოადგენდა" (დისერტ. გვ. 78). 4) „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი... აჭარის ავტონომიის მინიჭების საკითხში მხარს უჭერდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პოზიციას" (დისერტ. გვ.79). დისერტანტი კიდევ უფრო შორს მიდის და დაბეჯითებით აცხადებს: „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი დაკანონებული იქნა დემოკრატიული საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციით" (დისერტ. გვ.132). უჩა ოქროპირიძე აშკარად ცდება, როცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის დაკანონებას 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციას მიაწერს. აი, რას ვკითხულობთ აღნიშნული კონსტიტუციის 107-ე მუხლში: „საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილებს - აფხაზეთს (სოხუმის ოლქი), სამუსლიმანო საქართველოს (ბათუმის მხარე) და ზაქათალას (ზაქათალას ოლქი) ენიჭებათ ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური მმართველობა".[2] როგორც ვხედავთ, აქ არათუ აჭარის, არამედ რესპუბლიკის ხსენებაც არ არის. მასში გარკვევითაა ნათქვამი „სამუსლიმანო საქართველოსთვის" (ბათუმის მხარე) ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური მმართველობის მინიჭების შესახებ. „სამუსლიმანო საქართველოს" (ბათუმის მხარე) აჭარად გამოცხადება, ხოლო ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური მმართველობის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსად გასაღება ჭეშმარიტების გაყალბებაა, რაც შეეხება „სამუსლიმანო საქართველოს" (ბათუმის მხარე) ცნების გარკვევას, ამასთან დაკავშირებით დავეყრდნობით საქართველოს ტერიტორიის ადმინისტრაციული დანაწილების შესახებ საქართველოს დამფუძნებელი კრებისადმი წარდგენილ პროექტს, რომელიც დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმმა მოიწონა და ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში განხილვის რეკომენდაცია მისცა. იგი 1920 წელს ცალკე წიგნაკის სახითაც გამოქვეყნდა. ამ დოკუმენტის მიხედვით, „სამუსლიმანო საქართველო" (ბათუმის მხარე) ორ ოლქს - ბათუმისა და ართვინის ოლქებს მოიცავდა.[3] აქ ერთი მეტად ანგარიშგასაწევი ნიუანსია გასათვალისწინებელი. კერძოდ: იმ პერიოდის ქართველი მეცნიერები და პოლიტიკოსები, მიღებული ტერმინოლოგიიდან გამომდინარე, ბათუმის მხარეს (ბათუმ-ართვინის ოლქები, „ანუ „სამუსლიმანო საქართველო") ხშირად ბათუმის ოლქით მოიხსენიებდნენ. ამის შესახებ იმავე დოკუმენტის 43-ე გვერდზე სქოლიოში გაკეთებულ შენიშვნაში ვკითხულობთ: „სახელწოდება ბათუმის მხარის, მიღებული ტერმინოლოგიის თანახმად, იქნება ბათუმის ოლქი". ხოლო 72-ე და 88-ე გვერდებზე, სადაც ოლქების მოსახლეობაა მითითებული, მე-17 ნომრით ბათუმის ოლქის შემადგენლობაში დაბა ართვინი და ქალაქი ბათუმია დასახელებული. ეს იმას ნიშნავს, რომ 20-იანი წლების ქართველი მეცნიერები და საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრები ბათუმის ოლქის ტერმინოლოგიის ქვეშ „სამუსლიმანო საქართველოს" - ბათუმისა და ართვინის ოლქებს მოიაზრებდნენ. ამის დამადასტურებელ მეორე დოკუმენტს „სამუსლიმანო საქართველოს" ავტონომიის შესახებ პ.საყვარელიძის მიერ მომზადებული დებულება წარმოადგენს, სადაც „სახელმწიფოებრივი ტერიტორიის" ნაწილში, ბათუმის ოლქის შემადგენლობაში შემავალი ტერიტორიების ნუსხა შავით თეთრზეა მითითებული: „ბათუმის ოლქი (ქობულეთი, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, ლივაქნა)." (სცსსა. ფ.1836. აღწ.1. საქ.420.ფურც.156). თავად განსაჯეთ, თუ რაოდენ დიდ სიყალბეს სჩადიან ის მკვლევარები, ვინც „სამუსლიმანო საქართველოს" ავტონომიას, აჭარის ავტონომიასთან აიგივებს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სრული უფლება გვაქვს განვაცხადოთ, რომ, იმ პერიოდის ზოგიერთ საარქივო დოკუმენტში და მათ შორის მუსლიმან

ქართველთა 1919 წლის 31 აგვისტოს მიმართვაში დასმულ მოთხოვნაში - ბათუმის ოლქის საქართველოს რესპუბლიკასთან „სამუსლიმანო საქართველოს" ავტონომიური უფლებებით შეერთებაში, მემედ აბაშიძე და მისი თანამებრძოლები ქართული პოლიტიკური აზროვნებისათვის მიღებული ტერმინოლოგიიდან და ცნებიდან გამომდინარე, ბათუმის ოლქს ფართო გაგებით - ზემოთ აღნიშნულ დოკუმენტებში ჩამოთვლილი ტერიტორიების ფარგლებში მოიაზრებდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი ფორმის გამოძებნა მათ არ გაუჭირდებოდათ. ამიტომ 1918-1921 წლების მასალებში მოხსენიებული ბათუმის ოლქის აჭარასთან იდენტიფიცირება, მაშინდელი ქართული საკანონმდებლო ორგანოს წევრთა შეხედულებების გამრუდებას წარმოადგენს და გაუმართლებელია. ეს რომ ასეა, ამის ნიმუშად გამოდგება „სამუსლიმანო საქართველოს" განმათავისუფლებელი კომიტეტის, „სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისის", უშუალოდ ბათუმის ოლქის მცხოვრებთა სახელით საქართველოს მთავრობისადმი გაგზავნილი დოკუმენტები, საქართველოს ეროვნული საბჭოს, საქართველოს პარლამენტის, საქართველოს დამფუძნებელი კრების, საქართველოს დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის სხდომის მასალები და თვით საქართველოს მთავრობის მიერ გამოცემული ოფიციალური დოკუმენტები. ამ მასალებში აჭარა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა არსად ნახსენები არ არის. აქცენტირება მხოლოდ „სამუსლიმანო საქართველოს" ავტონომიაზეა გადატანილი. 1) თუკი დისერტანტი არ დაგვეთანხმება, უფლებას ვიტოვებთ, მოვთხოვოთ, წარმოადგინოს 1917 წლიდან 1921 წლის 22 თებერვლამდე შედგენილი ისეთი დოკუმენტი (გარდა ბათუმის ბოლშევიკური ორგანიზაციის პროკლამაციისა), სადაც აჭარის ავტონომიაზე ან აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაზე იქნება საუბარი. 2) „სამუსლიმანო საქართველოს" ავტონომიის აჭარის ავტონომიად გასაღება ჭეშმარიტების იმ დონის ფალსიფიკაციას განეკუთვნება, „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი" - „აჭარის განმათავისუფლებელ" კომიტეტად რომ მოვიხსენიოთ, ხოლო „სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისს" შეგნებულად „აჭარის მეჯლისი" დავარქვათ.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ დემოკრატიული საქართველოს ხელისუფლების მესვეურები, „სამუსლიმანო საქართველოს" განმათავისუფლებელი კომიტეტისა და მეჯლისის ლიდერები მომავალი ავტონომიური ერთეულის სახელწოდებას ისეთი ფორმით აყენებდნენ, რომ იგი ერთიანი ქართული სახელმწიფოსგან განსხვავებული ნიშნით არ ყოფილიყო წარმოდგენილი. მათ კარგად ესმოდათ, რომ ავტონომიის სახელწოდებიდან საქართველოს ამოღება და მისი თუნდაც რეგიონის სახელწოდებით შეცვლა არაქართველის ცნობიერებაში ბათუმისა და ართვინის ოლქების მოსახლეობის არაქართველობის ასოცირებას გამოიწვევდა. ამიტომ მემედ აბაშიძის თანამებრძოლები „სამუსლიმანო საქართველოს" ავტონომიის მოთხოვნაში, ოფიციალურად უსვამდნენ ხაზსს, მის ქართველობას. ამას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა იმ თვალსაზრისითაც, რომ იმ უაღრესად რთულ პოლიტიკურ სიტუაციაში ქართველი ერის მტრებს ქრისტიანი და მუსლიმანი ქართველების დაპირისპირების საფუძველი არ ჰქონოდათ. უჩა ოქროპირიძე კი ისეთ ფონს ქმნის თითქოს ჩვენი წინაპრები - მემედ აბაშიძე და მისი თანამებრძოლები, დემოკრატიული საქართველოს ლიდერები, „სამუსლიმანო საქართველოს" ავტონომიის ნაცვლად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შექმნის აუცილებლობას უჭერდნენ მხარს.

ახლა ორიოდე სიტყვით იმაზე, ჰქონდა თუ არა საქართველოს ხელისუფლებას სამართლებრივი უფლება, როცა „სამუსლიმანო საქართველოს" შემადგენლობაში აქცევდა ართვინის ოლქს. მართალია, ბრესტის ხელშეკრულებამ საქართველოს ტერიტორიების დიდ ნაწილთან ერთად ბათუმისა და ართვინის ოლქებიც თურქეთს გადასცა, მაგრამ მუდროსის 1918 წლის 30 ოქტომბრის ხელშეკრულების მე-11 და მე-15 მუხლების ძალით, თურქეთმა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები დატოვა და იგი ინგლისის სამხედრო შენაერთებმა დაიკავა,[4] რაც ბრესტის ხელშეკრულების ანულირებას ნიშნავდა. ამ ფაქტიდან გამომდინარე, იმავე წლის 13 ნოემბერს საბჭოთა რუსეთმა ბრესტის ხელშეკრულების ანულირება ოფიციალურად გამოაცხადა, ხოლო ვერსალის საზავო ხელშეკრულების (1919 წლის 19 ნოემბერი) 116-ე მუხლით ბრესტის ხელშეკრულება ოფიციალურად გაუქმდა.[5] ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამ დოკუმენტზე, საქართველოს წარმომადგენლობას ხელი არ ჰქონდა მოწერილი. რაც შეეხება 1918 წლის ივნისში თურქეთ-საქართველოს შორის ბათუმში დადებულ ხელშეკრულებას, საქართველოს პარლამენტს მისი რატიფიკაცია არ განუხორციელებია. ეს ფაქტები, სამართლებრივი თვალსაზრისით, საქართველოს სასარგებლოდ მიუთითებს. მეორე მხრივ, 1920 წლის ივლისში ქართული ჯარის ნაწილები ართვინ-არდაგანის ოლქებში შევიდა და ქართული სახელმწიფოს იურისდიქცია აღადგინა. დადასტურებულია, რომ საქართველოს დასაპყრობად საომარი მოქმედების დაწყებისთანავე საბჭოთა რუსეთმა მის მოკავშირე თურქეთს საქართველოს წინააღმდეგ სამხრეთის ფრონტის გახსნა მოსთხოვა. თურქეთის 1921 წლის 22 თებერვლის ულტიმატუმიდან გამომდინარე, მოწინააღმდეგისთვის ახალი ფრონტის გახსნის საბაბი რომ არ მიეცა, საქართველოს ხელისუფლებამ ართვინ-არდაგანის ოლქებიდან ქართული ჯარის ნაწილების გამოყვანა მხოლოდ იძულებით განახორციელა. ამასთან დაკავშირებით, 1921 წლის აპრილის „საქართველოს მთავრობის განცხადება"-ში ვკითხულობთ: „22 თებერვალს... ანგორის მთავრობამ საქ. მთავრობას წარუდგინა ულტიმატუმი, რომლითაც მოითხოვდა არდაგანისა და ართვინის ევაკუაციას. საქ. მთავრობას წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლო და თავისი ჯარები გამოიყვანა ამ რეგიონიდან". ყოველივე ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ დემოკრატიული საქართველოს მთავრობას ართვინ-არდაგანის ოლქებზე უარი არასოდეს განუცხადებია. ზემოთ აღნიშნულისა და თვით ტერიტორიების ისტორიული კუთვნილების გათვალისწინება ცხადყოფს, რომ „სამუსლიმანო საქართველოს" ავტონომიის ართვინის ოლქით მოაზრება სრულ სამართლებრივ საფუძველს ემყარებოდა.

3) რაც შეეხება შენიშვნათა მეორე ჯგუფს, იგი „სამუსლიმანო საქართველოს" ავტონომიისა და აჭარის ავტონომიის შექმნისთვის გაწეული საქმიანობის მნიშვნელოვანი ფაქტებისადმი დისერტანტის მიერ შეგნებულად გვერდის ავლის წარმოჩენაა. ისიც კარგად გვაქვს გაცნობიერებული, რომ ავტორზე უკეთ არავინ უწყის თუ რა უნდა იქნას შეტანილი ნაშრომში, მაგრამ ჩვენს მიერ ქვემოთ გამოთქმული შენიშვნები სადისერტაციო ნაშრომის სპეციფიკურობამ და წლების განმავლობაში არქივ-საცავებში მუშაობის შედეგად აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოვლენილმა უნიკალურმა მასალებმა გაგვაბედინა. როცა დისერტანტი „სამუსლიმანო საქართველოს" ავტონომიის შექმნასა და კონსტიტუციურად მის დაკანონებას შეეხო, ვალდებული იყო, საარქივო მასალებზე დაყრდნობით აღნიშნული ავტონომიის უფლებამოსილება განეხილა. ეს სამუშაო რომ ჩაეტარებინა და სცსსაის მასალებს გაცნობოდა, „სამუსლიმანო საქართველოს" ავტონომიასა და აჭარის ავტონომიას ერთმანეთთან არ გააიგივებდა. თუ რა უფლებებში უნდა მოქცეულიყო „სამუსლიმანო საქართველოს" ავტონომია, ამის საილუსტრაციოდ საარქივო მასალებიდან მხოლოდ რამდენიმე ცნობას მოვიტანთ: 1) საკონსტიტუციო კომისიის 1920 წლის 20 თებერვლის სხდომაზე, აფხაზეთისა და „სამუსლიმანო საქართველოს" ავტონომიების სტატუსთან მიმართებაში პ.საყვარელიძე ოპონენტების მისამართით აცხადებდა: „თქვენ გინდათ სახელმწიფოები შექმნათ სახელმწიფოში და ამით... თქვენივე ხელით სპობთ იმას, რისი გაკეთება და აშენება მიზნად დაისახეთ",[6] 2) 1920 წლის 8 მაისის სხდომაზე აკ.ჩხენკელი ამბობდა: „ავტონომია ჩვენ ფაქტად უნდა ვაქციოთ. შინაარსი, ვიმეორებ სხვა საკითხია, იგი შეიძლება არ გაცდეს ჩვენი ერობის უფლებებს... კონსტიტუციაში უნდა ვიხმაროთ სიტყვა „ავტონომია" და მოვიხსენიოთ ყველა კუთხე",[7] 3) 1920 წლის 7 ივლისის საკონსტიტუციო კომისიის სხდომაზე პ.საყვარელიძე კატეგორიული ტონით აცხადებდა: „ფართო ავტონომიას ჩვენ ვერავის მივცემთ. უსათუოდ უნდა იქნეს დაცული უნიტარული ხასიათი ჩვენი სახელმწიფოსი, ავტონომიის ფარგლები არ უნდა გასცილდეს ჩვენი ერობის უფლებებს".[8] 5) 1920 წლის 1 დეკემბრის დამფუძნებელი კრების სხდომაზე კონსტიტუციის პროექტის განხილვისას ნ.ჟორდანიამ ხაზგასმით აღნიშნა: „ერთ სახელმწიფოში ადგილი არ უნდა ექნეს მრავალ სახელმწიფოებს" და ამ პრინციპის ბოლომდე გატარება ეროვნული სახელმწიფოებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რივი ინტერესებიდან გამომდინარე აუცილებლობად მიიჩნია.[9] მის ამ მოთხოვნას მხარი დაუჭირა დამფუძნებელი კრების უმრავლესობამ. ჩვენს მიერ მოტანილი ფაქტები სრულ შესაძლებლობას იძლევა, გაკეთდეს დასკვნა, რომ „სამუსლიმანო საქართველოს" ავტონომია არ იყო პოლიტიკური სახელმწიფო წარმონაქმნი. ერობის გაფართოებული უფლებები ავტონომიას გულისხმობდა ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში და არა ავტონომიური რესპუბლიკის შექმნას, როგორც დისერტანტს ჰგონია.

4) რამდენადაც სადისერტაციო ნაშრომი „სამუსლიმანო საქართველოსა" და აჭარის ავტონომიის შექმნას ეხება, დისერტანტი ვალდებული იყო შეესწავლა „სამუსლიმანო საქართველოს" ავტონომიასთან მიმართებაში ეროვნული საბჭოს მიერ მიღებული ღონისძიებების ამსახველი საარქივო მასალები, კერძოდ: 1) საქართველოს ეროვნული საბჭოს 1917 წლის 1 დეკემბრის სხდომაზე „სამაჰმადიანო საქართველოს" სექციის შექმნის მოტივაცია. სექციის თავმჯდომარედ აკ.ჩხენკელი აირჩიეს, მოადგილედ - მემედ აბაშიძე. სექციის ამოცანა იყო „სამაჰმადიანო საქართველოსთან" მიმართებაში ყოველგვარი სახის ინფორმაციის შეკრება და მასზე დაყრდნობით სათანადო რეკომენდაციების შემუშავება.[10] დისერტანტს ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩენოდა იმავე სექციის 1917 წლის 13 დეკემბრის სხდომის მასალები, რადგან აღნიშნულმა სხდომამ „სამაჰმადიანო საქართველოს" კანტონალური მოწყობის მემედ აბაშიძისეული პროექტი განიხილა.[11] აღნიშნული მასალების გაცნობა დისერტანტს შესაძლებლობას მისცემდა, გაერკვია, რატომ იყო მიუღებელი საქართველოს სინამდვილისთვის კანტონალური მოწყობის პრინციპი და ადგილობრივ საქმეებში თვითმმართველობას რა თვალსაზრისით მიეცა უპირატესობა. ამ საკითხებთან დაკავშირებით სექციის მიერ მიღებულ დადგენილებაში ვკითხულობთ: „ეროვნულმა საბჭომ გამოსცეს სამაჰმადიანო საქართველოსათვის სპეციალური მოწოდება თვითმმართველობის შესახებ მთლიანი საქართველოს ფარგლებში".[12] დოკუმენტის პროექტის შედგენა ივანე გომართელს, პავლე საყვარელიძეს, მემედ აბაშიძეს და გრიგოლ ვეშაპელს დაევალა. ასეთივე საინტერესო მასალებს შეიცავს იმავე სექციის 15 და 17 დეკემბრის სხდომის ოქმები და სტენოგრაფიული ანგარიშები. „სამუსლიმანო საქართველოს" ავტონომიის შემადგენლობაში შემავალი ოლქების სავარაუდო ჩამონათვალი იყო მოცემული „სახელმწიფოებრივი ტერიტორიის" მოწყობის შესახებ პ.საყვარელიძის მიერ მომზადებულ დებულებაში, რომელიც მან პარლამენტს წარუდგინა 1918 წელს. რამდენადაც ეს მასალები „სამუსლიმანო საქართველოს" ავტონომიის შესაქმნელად მოსამზადებელი სამუშაოს პირველ საფეხურს წარმოადგენდა და პრობლემისადმი ქართული პოლიტიკური აზრის დამოკიდებულებასაც გამოხატავდა, დისერტანტს იგი ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩენოდა.

5) რამდენადაც დისერტანტმა ერთმანეთისგან ვერ გამიჯნა „სამუსლიმანო საქართველოს" ავტონომია და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, იგი აშკარად მეორე უკიდურესობაში აღმოჩნდა. მან გვერდი აუარა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შექმნის ძირითად განმაპირობებელ მიზეზებს. დისერტანტის აზრით, 1921 წლის 16 მარტის მოსკოვის „ხელშეკრულების მოთხოვნათა შესაბამისად საქართველოს მთავრობამ 1921 წლის 16 ივლისს გამოსცა დეკრეტი № 54 საქართველოს სსრ რევოლუციური კომიტეტისა აჭარის ავტონომიური სსრ მოწყობის შესახებ" (დისერტ. გვ.109). ამ შემთხვევაში დისერტანტი ორ შეცდომას უშვებს: 1) ეს დეკრეტი საქართველოს მთავრობამ კი არ გამოსცა, არამედ საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა. დოკუმენტს ასეთი დასახელება აქვს: „დეკრეტი № 54 საქართველოს სსრ რევოლუციური კომიტეტისა აჭარის ასს რესპუბლიკის მოწყობის შესახებ". 2) 1921 წლის 16 მარტის მოსკოვის ხელშეკრულებაში არსად ფიგურირებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა. ხელშეკრულების მეორე სტატიაში აქცენტი კეთდება მხოლოდ ბათუმის ოლქის შემადგენლობაში მაცხოვრებლებისადმი ფართო ადგილობრივი ავტონომიის მიცემაზე. „სტატიაში მითითებული ადგილების მოსახლეობა - ვკითხულობთ დოკუმენტში - ისარგებლებს ფართო ადგილობრივი ავტონომიით ადმინისტრაციულის მხრით, რომელიც უზრუნველყოფს თითოეული თემის კულტურულ და სარწმუნოებრივ უფლებებს და რომ მოსახლეობას მიეცემა საშუალება დაადგინოს ისეთი საადგილმამულო კანონი, რომელიც ეთანხმება მის სურვილებს".[13] რამდენადაც დოკუმენტში ავტონომიის ფორმა და სახელწოდება დაკონკრეტებული არ იყო, ეს გარემოება საბჭოთა ხელისუფლების მესვეურებს საკითხის გადაწყვეტის თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობას აძლევდა. სამწუხაროდ, იგი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასარღვევად იქნა გამოყენებული. მხედველობაში გვაქვს ავტონომიის, როგორც სახელმწიფო წარმონაქმნის შექმნისა და მისთვის რეგიონის სახელწოდების მინიჭების ფაქტი. დისერტანტს ვერ დავეთანხმებით, როცა მხარს უჭერს ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ მოსაზრებას, აჭარის ავტონომიის შექმნას თითქოს ეროვნული ნიშანი არ დადებოდეს საფუძვლად (დისერტ. გვ.7). სინამდვილეში საქმე გვაქვს საწინააღმდეგო პროცესებთან. საბჭოთა სივრცეში ეროვნულ საკითხზე ი.სტალინის გარეშე არც ერთი გადაწყვეტილების მიღება არ ხდებოდა. მით უმეტეს, იგი 1917-1922 წლებში ეროვნებათა საქმის სახალხო კომისარი იყო და, როგორც ვ.ლენინი ამბობდა, ეროვნული საკითხის საუკეთესო მცოდნე.. იგი აჭარელს ქართველისგან განცალკევებული ეროვნული ნიშნით განიხილავდა. ეს შეხედულება ი.სტალინს 1913 წელს დაწერილ ნაშრომში „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი" აქვს გამოთქმული, ხოლო დახვეწილი ფორმით რკპ (ბ) XII ყრილობაზე (1923 წელი) გაკეთებულ მოხსენებაში წარმოადგინა. „ავილოთ საქართველო, - ამბობდა ი.სტალინი, - იქ არის 30% მეტი არაქართველი მოსახლეობა. მათ შორის სომხები, აფხაზები, აჭარლები, ოსები, თათრები, სათავეში ქართველები დგანან".[14] იმავე სტალინმა აჭარა საქართველოსგან განცალკევებულ ქვეყნად მოიხსენია. „საკმარისია, - ამბობდა იგი, - ერთი მცირე შეცდომა ჩავიდინოთ პატარა ქვეყანაში - აჭარისტანში (120 ათასი მცხოვრები) და ეს გამოხმაურებას ჰპოვებს თურქეთში".[15] როცა ქვეყნის მეორე პირი (რკპ (ბ) ცკ-ის გენერალური მდივანი 1922 წლიდან) აჭარლებს არაქართველებად თვლიდა, ხოლო აჭარას საქართველოსგან განცალკევებულ ქვეყნად მოიხსენიებდა, ბუნებრივია, მისი ხელქვეითებიც ამ გზას გაჰყვებოდნენ. მაგ. ს.ორჯონიკიძე საქართველოს კომპარტიის პირველ ყრილობაზე (1922 წლის 30 იანვარი) აცხადებდა: „თქვენ მიეცით აჭარას ავტონომია და მთელი აჭარელი ხალხი თქვენთან არის".[16] აჭარელთა არაქართველობის პროპაგანდას ბათუმის რევკომის ყოფილი თავმჯდომარე გუბელიც (ს.მეძმარიაშვილი) ეწეოდა. აი, რას წერდა იგი: „მენშევიკებს აჭარის გაქართველება სურდა და ამ საქმეში ხელს მემედ აბაშიძის პარტია უწყობდა".[17] ანალოგიური შეხედულებაა გამოთქმული ბათუმში მყოფი საბჭოთა რუსეთის კონსულის კ.იუსტის მიერ გ.ჩიჩერინისადმი გაგზავნილ საიდუმლო მოხსენებაში. კ.იუსტის „მტკიცებით", აჭარელი და ქართველი თითქოს სხვადასხვა ერი იყო, ხოლო საქართველო და აჭარა სხვადასხვა ქვეყანა.[18]

საბჭოთა ხელისუფლების მესვეურთა მიერ აჭარელთა არაქართველებად აღიარების დამადასტურებელ ფაქტად პასპორტში ეროვნული რეკვიზიტის - აჭარელის ჩაწერა გამოდგება. ქართველ ერთან მიმართებაში ეს დანაშაულებრივი ნაბიჯი „ეროვნული ნიშნით" შექმნილი აჭარის საბჭოთა ავტონომიური რესპუბლიკის არსებობის გამართლებას ემსახურებოდა. რაც შეეხება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფუნქციას, ამის შესახებ კ.იუსტი იმავე დოკუმენტში წერდა: „თუ აჭარის ავტონომია გახდება საფუძველი საქართველოდან აჭარის ჩამოცილებისა, ქართული კოლონიზატორობის ლიკვიდაციისა, მაშინ ავტონომია შენარჩუნებული უნდა იქნეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, აჭარის ფაქტიური ავტონომია უნდა გაუქმდეს და მოხდეს მმართველობის ცენტრალიზაცია".[19]

როგორც ვხედავთ, აჭარის ავტონომიური საბჭოთა რესპუბლიკის, როგორც სახელმწიფო წარმონაქმნის შექმნა, პირველ რიგში დანარჩენი საქართველოსგან აჭარის რეგიონის მოსახლეობის გაუცხოებას ისახავდა მიზნად და საქართველოს ტერიტორიული ერთიანობის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიება იყო. იგი რუსეთის ხელისუფლების მიერ ადრე ჩაფიქრებული მავნებლური პოლიტიკური კურსის გაგრძელებას წარმოადგენდა. ამიტომ ქართველი ერის ეს შეურაცხმყოფელი ფაქტები დისერტანტს საგანგებოდ უნდა განეხილა და მისი სამართლებრივი შეფასება მოეხდინა. აჭარის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა ავტონომიური რესპუბლიკის სამართალსუბიექტად არსებობა სსრკ-ის 1924 წლის კონსტიტუციამ დაადასტურა. რაც შეეხება მისი სტატუსის შესაბამისობის უფლებამოსილებას, იგი საქართველოს სსრ 1927 წლის კონსტიტუციის მეოთხე თავით, ხოლო შემდეგ საქართველოს სსრ 1937 წლის კონსტიტუციის V და VI თავებით იქნა განსაზღვრული. აღნიშნული კონსტიტუციებისგან განსხვავებით, 1978 წლის საქართველოს კონსტიტუციამ საქართველოს შემადგენლობაში აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს სტატუსი დაუკანონა (მუხლი 79). სამწუხაროდ, იგი 1991 წელს კონსტიტუციაში უცვლელად შეიტანეს. ყოველივე ამას იმისთვის მოგახსენებთ, რომ დისერტანტი ნაშრომის 137-ე და 141-ე გვერდებზე წერს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენითა და კონსტიტუციის განახლებით (1991 წელი) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამართლებრივი სტატუსი იქნა აღდგენილიო. აი, რისთვის დასჭირდა დისერტანტს „სამუსლიმანო საქართველოს" ავტონომიის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასთან გაიგივება. 1) რამდენადაც საქართველოს გასაბჭოებამდე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, როგორც სამართალსუბიექტი, არ არსებობდა, ბუნებრივია, არარსებულის აღდგენაზე საუბარი შეუძლებელია. 2) 1991 წლის კონსტიტუცია საქართველოს 1978 წლის კონსტიტუციის რედაქტირებული ვარიანტია. ამის დამადასტურებლად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ 1990 წლის 14 ნოემბერს მიღებული კანონი - „საქართველოს რესპუბლიკის კანონი № 293 საქართველოს რესპუბლიკაში გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შესახებ" გამოდგება. „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, - ვკითხულობთ დოკუმენტში, - აცხადებს რა საქართველოს რესპუბლიკაში გარდამავალ პერიოდს, რომლის განმავლობაშიაც უნდა მომზადდეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის საფუძვლები, ადგენს: შეტანილი იქნეს საქართველოს სსრ კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) შემდეგი ცვლილებანი..."[20] და 1991 წლის 20 მარტს მიღებული „საქართველოს რესპუბლიკის კანონი № 241 საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ".[21] 3) საქართველოს ეროვნულმა ხელისუფლებამ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას, ფაქტობრივად, საბჭოთა კონსტიტუციით მინიჭებული სტატუსი და უფლებამოსილება შეუნარჩუნა. ამის დადასტურებაა საქართველოს 1978 წლის კონსტიტუციის 79-82 მუხლებისა და 1991 წლის კონსტიტუციის 79-82 მუხლების ერთმანეთთან შედარება.[22] საქმე გვაქვს არა აღდგენასთან, არამედ საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში არსებულის დღევანდელობაში გადმოტანასთან და მის დაკანონებასთან. ამიტომ ბათუმის ოლქის მუსლიმან ქართველთა 1919 წლის 31 აგვისტოს რეზოლუციისა და დემოკრატიული საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის დისერტანტის მიერ დღევანდელი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შექმნის სამართლებრივ საფუძვლად გამოცხადება (დისერტ. გვ. 141) მცდარია. 1918-1921 წლების საარქივო დოკუმენტები და თვით ნაშრომში მოტანილი საკონსტიტუციო მასალები ამის საუკეთესო დადასტურებას წარმოადგენს. რაც შეეხება აღდგენის ცნებას, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, იგი წინანდელი სახის მიცემას ნიშნავს.[23] აქედან გამომდინარე, თუ აღდგენაზე ვსაუბრობთ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკითხთან მიმართებაში დაცული უნდა ყოფილიყო ძირითადი პრინციპი მაინც, რასაც 1921 წლის კონსტიტუცია ითვალისწინებდა. 1) უნდა მომხდარიყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელწოდების შეცვლა - თუგინდ ბათუმის ოლქის ავტონომიით; 2) ავტონომიას ჩამოსცილებოდა სახელწოდება - რესპუბლიკა, როგორც სახელმწიფო წარმონაქმნის დამადასტურებელი; 3) ავტონომიის უფლებები სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის უფლებებიდან შემცირებულიყო ადგილობრივი თვითმმართველობის გაფართოებულ უფლებებამდე, როგორც 1921 წლის კონსტიტუცია ითვალისწინებდა და რომლის შესახებაც ზემოთაც მოგახსენეთ. აღნიშნული საკითხებისთვის გვერდის ავლას დისერტანტი იმ მოტივით „ამართლებს", რომ აჭარის ავტონომიური საბჭოთა რესპუბლიკის შექმნა ყველა სამართლებრივ უფლებრივ ნაკლს ატარებდა (დისერტ. გვ. 111). თუკი ამ პრინციპით ვიხელმძღვანელებთ, უარი უნდა განვაცხადოთ მეფის რუსეთის არასამართლებრივი ბატონობის დროინდელ (1801-1917 წწ.) 116-წლიან და საბჭოთა საქართველოს 70-წლიან ისტორიაზე, რომელთა იგნორირებით ისეთივე მდგომარეობაში აღმოვჩნდებით, რა მდგომარეობაშიც აღმოჩნდა საბჭოთა ისტორიოგრაფია 1918-1921 წლების მოვლენებთან მიმართებაში.

დისერტანტი ვალდებული იყო, საქართველოს სინამდვილის ფონზე შედარებითი ანალიზი გაეკეთებინა დემოკრატიულ საქართველოში „სამუსლიმანო საქართველოს" ავტონომიის, საბჭოთა პერიოდის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და დღევანდელი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელწოდების, სტატუსის და უფლებამოსილების მიზანშეწონილობაზე. დისერტანტს თვალი რომ მიედევნებინა აღნიშნული ავტონომიური წარმონაქმნების შექმნასთან დაკავშირებული პროცესებისადმი და გაცნობოდა შესაბამის საარქივო დოკუმენტურ მასალებს, იმ დასკვნამდე მივიდოდა, რომ დღევანდელი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა (სახელწოდებით, სტატუსით და უფლებამოსილებით) საბჭოური ავტონომიის მემკვიდრეა. და მას დემოკრატიული საქართველოს „სამუსლიმანო საქართველოს" ავტონომიასთან სამართალმემკვიდრეობის იოტისოდენა შეხებაც არა აქვს.

6) სადისერტაციო ნაშრომი ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს ბოლშევიკებს გასაბჭოებისთანავე გამოეცეთ დეკრეტი აჭარის ასს რესპუბლიკის შექმნის შესახებ. არადა, ამ დოკუმენტის გამოქვეყნებამდე ფართომასშტაბიანი ღონისძიებები გაატარეს, რომელიც რამდენიმე საფეხურს მოიცავდა: 1) „სამუსლიმანო საქართველოს" მეჯლისისა და მისი ლიდერიის დისკრედიტაციისთვის გაწეული საქმიანობა. დისერტანტი ვალდებული იყო „სამუსლიმანო საქართველოს" მეჯლისისა და მისი ლიდერის მისამართით გამოთქმული ცილისწამებების გარკვეული ნაწილი მაინც განეხილა. მხედველობაში გვაქვს ბათუმის რევკომის ყოფილი თავმჯდომარის გუბელის (ს. მეძმარიაშვილი) 1921 წლის მარტში პარტიულ კრებაზე გამოსვლა და გაზეთ „უწყებებში" № 62 ვინსანის ფსევდონიმით დაბეჭდილი საბრალდებო სტატია „ახალი მეჯლისი". დისერტანტს ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩენოდა ოპონენტებისადმი მემედ აბაშიძის დასაბუთებული პასუხი - „დროიძეობა თუ სიბოროტე", ამ ღირსეული ქართველისა და უანგარო მამულიშვილისადმი თანადგომის პუბლიკაციები, რომლებიც გაზეთმა „სოციალისტ-ფედერალისტმა" გამოაქვეყნა. 2) საბჭოთა ხელისუფლებას „აჭარისტანის" მეჯლისის შექმნა (1921 წლის 6 მაისი) „სამუსლიმანო საქართველოს" მეჯლისისადმი დასაპირისპირებლად და რეგიონის მოსახლეობის ინტერესების გამომხატველის ფონის შესაქმნელად დასჭირდა. ამ ნაბიჯს გარკვეული პოლიტიკური სარჩული ედო საფუძვლად, კერძოდ: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შექმნა „აჭარისტანის" მეჯლისის, როგორც ხალხის „ნდობით" აღჭურვილი ორგანოს, მოთხოვნად უნდა გაესაღებინათ და საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებისთვის, გარეგნულად „სამართლებრივი" ელფერი მიეცათ. „აჭარისტანის" მეჯლისის მიერ საქართველოს რევკომისადმი წარდგენილი მემორანდუმი (1921 წლის 9 ივლისი) 10 მუხლისგან შედგებოდა და შენიშვნების სახით 6 მუხლი ჰქონდა დართული. იგი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, როგორც სახელმწიფო წარმონაქმნის შექმნას მოითხოვდა. დოკუმენტს ხელს აწერდნენ „აჭარისტანის" მეჯლისის თავმჯდომარე ჰასან ლორთქიფანიძე, მეჯლისისა და დელეგაციის წევრები (სულ 9 კაცი).

გასაიდუმლოების მიუხედავად, აღნიშნული მემორანდუმი ხელში ჩაიგდეს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტებმა და გაზეთ „სოციალისტ-ფედერალისტში" გამოაქვეყნეს. ეს დოკუმენტი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს: ვ.კოტეტიშვილმა წერილში „ყოველივეს ზომა აქვს"; კ.გამსახურდიამ „ძმები ხართ თუ მტრები"; ე.საჩინოელმა (ჩახუნაშვილი) „ისტორიის უსამართლობა"; თ.ღლონტმა „პირდაპირობა" და სხვებმა.[24] სადისერტაციო ნაშრომის სათაურიდან გამომდინარე, ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტები დისერტანტისგან წინწამოწევას და სამართლებრივ შეფასებას მოითხოვდა. მითუმეტეს, იგი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შექმნას უკავშირდება და მისი ისტორიის განუყოფელი ნაწილია.

7) სადისერტაციოდ წარმოდგენილი ნაშრომის 103-106 გვერდებზე დისერტანტი მოსკოვის 1921 წლის 16 მარტისა და

იმავე წლის 13 ოქტომბრის ყარსის ხელშეკრულების ერთმანეთთან შედარებითი ანალიზის საფუძველზე სწორ და ლოგიკურ დასკვნამდე მიდის. იგი ყარსის ხელშეკრულებას მოსკოვის ხელშეკრულებაში ამიერკავკასიის საკითხთან მიმართებაში არსებული მუხლების დუბლირებად აცხადებს. მიუხედავად ამისა, ეს დებულება დისერტანტს ორიგინალობაში ვერ ჩაეთვლება, რადგან ასეთივე პროცედურის საფუძველზე ანალოგიური დასკვნა ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა სიმონ ხუნდაძემ გააკეთა. მხედველობაში გვაქვს ყარსის ხელშეკრულების რატიფიკაციისადმი მიძღვნილი საგანგებო სესია (1922 წლის 14 აპრილი), სადაც მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის სახელით ს.ხუნდაძე გამოვიდა. ეს ხელშეკრულება მან საერთაშორისო სამართლებრივი პოზიციიდან განიხილა და მისი რატიფიცირება მიიჩნია ქართველი ერის წინაშე დანაშაულებრივ ქმედებად.[25] აღნიშნული მოხსენება იმდენად არგუმენტირებული იყო, რომ შ.ელიავა წონასწორობიდან გამოვიდა და ს.ხუნდაძეს იმპერიალიზმის მსახური უწოდა, ხოლო, მისი პარტიის მისამართით განაცხადა: ოსმალეთის იმპერიალისტები არაფრით განსხვავდებიან ჩვენი მემარცხენე ფედერალისტებისგანო.[26] ცინიზმი იმაში მდგომარეობდა, რომ საბჭოთა საქართველოს ხელისუფალნი ძმობისა და მეგობრობის სიმბოლოდ ოსმალეთის იმპერიალისტებს ქართულ ტერიტორიებს უძღვნიდნენ. ვფიქრობთ, დისერტანტი ვალდებული იყო, აღნიშნული საკითხის შეფასებაში 80 წლის წინათ გამოთქმული იდენტური დებულებიდან გამომდინარე, ს.ხუნდაძე რამდენიმე სიტყვით მოეხსენიებინა, ამას გარდაცვლილი ისტორიკოსისადმი ელემენტარული პატივისცემა თუ არა, კოლეგიალობა მაინც მოითხოვდა.

8) სადისერტაციო ნაშრომის 26 გვერდი (112-138 გვ.) დღევანდელი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის და უფლებამოსილების საერთაშორისო კანონმდებლობასთან შესატყვისობის დასაბუთების მცდელობას შეიცავს. თავისი შეხედულების დასამტკიცებლად დისერტანტი დსთ-სა და ევროპის ქვეყნების ანალოგიებს მიმართავს და აკეთებს სავსებით სწორ დასკვნას; დსთ-ს ქვეყნებში ეროვნული უმცირესობების თვითგამორკვევის ფორმას ტერიტორიული, პოლიტიკური და ადმინისტრაციული ავტონომიები წარმოადგენს. დისერტანტი 114-ე, 122-ე გვერდებზე ჩამოთვლის ეროვნული ნიშნით შექმნილ ავტონომიებს, მაგრამ არ მიუთითებს მათი ძირითადი მოსახლეობის ეროვნულ კუთვნილებას. თუ რას ისახავს მიზნად უჩა ოქროპირიძის მიერ მოტანილი მასალები და მისეული დასკვნები, ამის წარმოსაჩენად ავტონომიების დისერტანტისეულ ნუსხას შესატყვისი ეროვნული ნიშნით წარმოგიდგენთ.

1) მოლდავეთი - გაგაუზთა ავტონომიური რესპუბლიკა
(გათურქებული ბულგარელები. თავს ეროვნებით
გაგაუზებად თვლიან)
2) უზბეკეთი - ყარაყალფახეთის რესპუბლიკა
(ეროვნება - ყარაყალფახები)
3) ტაჯიკეთი - მთიანი ბადახშანის ავტონომიური ოლქი
(ეროვნება - ყირგიზები)
4) უკრაინა - ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკა
(ეროვნება - ყირიმელი თათრები)
5) საქართველო - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა
(ეროვნება - აფხაზები)
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
(ეროვნება - ქართველები)
6) აზერბაიჯანი - ნახიჩევანის ავტონომიური რესპუბლიკა
(ეროვნება - აზერბაიჯანელები)
7) ესპანეთი - კატალონიის ავტონომია
(ეროვნება - კატალონიელები)
გალისიის ავტონომია (ეროვნება - გალისიელები)
ბასკეთის ავტონომია (ეროვნება - ბასკები)

როგორც ვხედავთ, ეროვნული ფაქტორის გათვალისწინების საფუძველზე შექმნილი ავტონომიებიდან კურიოზად საქართველოში აჭარის ქართველთა ავტონომია და აზერბაიჯანში ნახიჩევანის აზერბაიჯანელთა ავტონომიები მოჩანს. აქ ერთი ნიუანსია მხედველობაში მისაღები, კერძოდ, აზერბაიჯანელი ისტორიკოსების სამართლიანი მტკიცებით, ნახიჩევანის დღევანდელი ავტონომიური რესპუბლიკის არსებობა მხოლოდ მისი გეოგრაფიული მდებარეობის სპეციფიკურობიდანაა გამართლებული. იგი ფიზიკურად აზერბაიჯანს მოწყვეტილია, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სომხეთი კეტავს, სამხრეთიდან - ირანი. ანგარიშგასაწევია ის ფაქტი, რომ აზერბაიჯანელთა აღნიშნული ავტონომია ქალაქის სახელწოდებას ატარებს და უცხოელის ცნობიერებაში მისი მოსახლეობის ეროვნული კუთვნილება აზერბაიჯანელი ერისგან განსხვავებულ ასოცირებას არ ქმნის. რაც შეეხება დღევანდელი აჭარის ავტონომიას, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, იგი საბჭოთა ხელისუფლებისგან „ნაანდერძევი" ეროვნული ნიშნითაა წარმოდგენილი. ასეთ ფონზე, დსთ-სა და ევროპის ქვეყნების დასახელებული ავტონომიების საკონსტიტუციო ნორმების ურთიერთშედარებითი ანალიზით დისერტანტი მცდარ დასკვნას აკეთებს: „თუ გავითვალისწინებთ დსთ-სა და საზღვარგარეთის ქვეყნების ტერიტორიული მოწყობის პრინციპებს და მათი შემადგენელი ერთეულების სტატუსს შევადარებთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსს, მივალთ დასკვნამდე, რომ იგი აღნიშნულ საკითხში სრულად ექვემდებარება საერთაშორისო პრაქტიკას და არ შეიცავს ამ ქვეყნების სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული მოწყობის განსხვავებულ, რაიმე განსაკუთრებულ სტატუსს; პირიქით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი ამ მხრივ სრულ თანხმობაშია საერთაშორისო კანონმდებლობის გამოცდილებასთან" (დისერტ. გვ.142).

ამონაწერიდან გამომდინარე, საკითხი სულ სხვაგვარად ისმის; საერთაშორისო ნორმების მიხედვით, ავტონომიების შესაქმნელად ეროვნული ნიშნის ერთადერთ პრიორიტეტად აღიარება და დისერტანტის მიერ მოტანილი ფაქტოლოგიური მასალა აჭარის ქართული ავტონომიური რესპუბლიკის, როგორც სამართალსუბიექტის, დღევანდელი ფორომით არსებობის მიზანშეწონილებას კითხვითი ნიშნის ქვეშ აყენებს. იმავე საერთაშორისო ნორმების - ანუ ეროვნული ნიშნის პრიორიტეტის გათვალისწინების ფონზე და ნაშრომში მოტანილი მასალების საფუძველზე, დისერტანტს მყარი არგუმენტი გააჩნდა, დაესვა საკითხი აჭარის დღევანდელი ავტონომიური რესპუბლიკის, როგორც სახელმწიფო წარმონაქმნის, სახელწოდების, სტატუსისა და უფლებამოსილების გადახედვის შესახებ. მით უმეტეს, ზემოთ აღნიშნული ავტონომიების კონსტიტუციებში მათი შექმნის ძირითად საფუძვლად ეროვნული მოთხოვნის დაკმაყოფილებაა აღიარებული. მაგ. გაგაუზთა ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ გამოცემულ კანონში „გაგაუზთა განსაკუთრებული სამართლებრივი სტატუსის შესახებ" გარკვევითაა მითითებული: „გაგაუზეთი არის ტერიტორიული ავტონომიური წარმონაქმნი... გაგაუზიის ხალხის თვითგამორკვევისა... ამ რესპუბლიკის შექმნის მიზანი ეროვნული მოთხოვნათა დაკმაყოფილება და გაგაუზთა თვითმყოფადობის შენარჩუნებაა" (დისერტ. გვ.116). როგორც ვხედავთ, გაგაუზების, ყარაყალფახების, ყირიმელი თათრების, აფხაზების, ბასკების და ა.შ. სახელმწიფო წარმონაქმნის ფორმის ავტონომიების შექმნის მიზანი ეროვნული მოთხოვნილება და მისი თვითმყოფადობის გადარჩენაა. აღნიშნულ ავტონომიათა ჩარჩოში აჭარის ავტონომიის მოქცევა ბუნებრივად აჩენს კითხვას: რა ეროვნული მოთხოვნილების დაკმაყოფილებას და ვისი ეროვნული თვითმყოფადობის გადარჩენას ემსახურება დღევანდელი აჭარის ქართველთა ავტონომია. საერთაშორისო კანონმდებლობასთან სრულ თანხმობაში რა შესატყვისი პრინციპით უნდა მოთავსდეს იგი მაშინ, როდესაც, იმავე კანონმდებლობის მიხედვით, სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის ფორმის ავტონომიების შექმნას ეროვნული მოტივაცია უდევს საფუძვლად. სამწუხაროდ, დისერტანტი ეროვნული ნიშნით შექმნილი ავტონომიების ფონზე დღევანდელი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსისა და უფლებამოსილების საერთაშორისო ნორმებით გამართლებას შეეცადა. მოტანილი ფაქტებიდან გამომდინარე ლოგიკური თანმიმდევრობა დისერტანტის მხრიდან აჭარელთა არაქართველობის ი.ბ.სტალინისეული ე.წ. თეორიისადმი მხარდაჭერაზე მიგვანიშნებს. თუკი ეს ასე არ არის, მაშინ უჩა ოქროპირიძემ განგვიმარტოს: მის მიერ ეროვნული ნიშნით ჩამოთვლილი სახელმწიფო წარმონაქმ-

ნის მქონე ავტონომიების (მოლდავეთში - გაგაუზთა, უზბეკეთში - ყარაყალფახეთის, საქართველოში - აფხაზების, უკრაინაში - ყირიმელი თათრების, ესპანეთში - ბასკების და ა.შ.) შექმნის სამართლებრივ ჩარჩოში რა მოტივით ან რა ეროვნული ნიშნით ათავსებს აჭარის ქართველთა ავტონომიას. ეს ნაშრომი სათაურით „აჭარის ავტონომიის შექმნის ისტორიიდან". გამომცემლობა „აჭარა", ბათუმი, 2001 წიგნადაცაა გამოცემული და მისი ობიექტური შეფასება დღემდე რატომღაც არავის უცდია.

9) სადისერტაციო ნაშრომს ბოლოში დართული აქვს გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის ნუსხა. ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მისმა პირველმა ნაწილმა - (საარქივო მასალებმა № 1-დან № 19-ის ჩათვლით) მიიქცია. საქმე ეხება საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის ფონდების ჩამონათვალს. ფონდი 12 - კავკასიის სამოქალაქო ნაწილის კანცელარია (7 საქმეა ჩამოწერილი), ფონდი 13 - კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარია (8 საქმეა ჩამოწერილი), ამ ფონდის სათაურის ქვეშაა მოქცეული 1861 ფონდი. წესით, იგი ცალკე უნდა ყოფილიყო გამოყოფილი შემდეგი დასახელებით: - საქართველოს მენშევიკური ხელისუფლების საქმეთა სამმართველო. დისერტანტს ამ ფონდიდან სამი საქმე აქვს ჩამოწერილი. ფონდი 31 - საქართველოს პრეზიდენტის არქივი (ერთი საქმეა მითითებული). როცა დისერტანტი საარქივო ფონდებისა და საქმეთა ჩამონათვალს დისერტაციაში გამოყენებული წყაროების დასათაურების ქვეშ აკეთებს, ეს იმას ნიშნავს, რომ მან იგი დაამუშავა და ნაშრომის შესაბამის ადგილას დაიმოწმა. მით უმეტეს, დისერტაციის შესავალ ნაწილში წერს: „გამოკვლევაში გამოყენებულია საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივის... ახლანდელი პრეზიდენტის არქივის... ფონდებში მოძიებული მასალები" (დისერტ. გვ. 9-10). ეს მასალები დისერტაციაში დამოწმებული არ არის გარდა 99-ე საქმისა (დისერტ. გვ.73). აღნიშნული საქმიდან ამოღებული დოკუმენტის ციტატა დისერტანტს თვითნებური ჩასწორებებით აქვს მოტანილი. დისერტაციის ტექსტიდან ირკვევა, რომ უჩა ოქროპირიძე 99-ე საქმეს, რომელიც 4 ფურცელს შეიცავს, საერთოდ არ შეხებია. მას რომ აღნიშნული საქმე ენახა, მის მიერ დისერტაციაში დამოწმებულ საარქივო დოკუმენტს ნ.ჟორდანიას მიერ „სამუსლიმანო საქართველოს" ახლად არჩეული მეჯლისისადმი გაგზავნილად არ გამოაცხადებდა, რადგან: 1) 1861-ე ფონდის 99-ე საქმის სატიტულო ფურცელზე გარკვევით წერია: „მიმართვა ზემო აჭარის დელეგაციისადმი". 2) ხოლო თვით დოკუმენტი შემდეგნაირადაა დასათაურებული: „მიმართვა ზემო აჭარის დელეგაციას". საარქივო მასალებით დადასტურებულია, რომ 1919 წლის 10 სექტემბერს ნ. ჟორდანიამ მიიღო ზემო აჭარიდან თბილისში ჩამოსული დელეგაცია, 11 სექტემბერს კი აღნიშნული მიმართვა გააკეთა. რაც შეეხება დისერტანტის მიერ გამოყენებულ წყაროებში სცსსა, პრეზიდენტის არქივის ფონდებისა და საქმეების ჩამონათვალს, იგი უჩა ოქროპირიძეს ოპონენტთა თვალის ახვევის მიზნით, დისერტაციისთვის გარეგნული კოსმეტიკური ელფერის მისაცემად დასჭირდა.

უჩა ოქროპირიძის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო ნაშრომი „აჭარის ავტონომიის შექმნა", ფაქტობრივად, XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან დღემდე - რეგიონის ზოგად ისტორიას შეიცავს. საკითხის კონკრეტულ მხარეს - აჭარის ავტონომიის შექმნას ნაშრომის მხოლოდ 30% უჭირავს. დანარჩენი 70% რუსეთის კოლონიური პოლიტიკის, საგარეო ურთიერთობების და მასთან დაკავშირებული საყოველთაოდ ცნობილი მოვლენების გადმოცემას აქვს დათმობილი. თემის სათაურიდან გამომდინარე, დისერტანტს ეს მასალები მხოლოდ ფონის მისაცემად, გარკვეული დოზით უნდა გამოეყენებინა. ამ პრინციპით რომ ეხელმძღვანელა უჩა ოქროპირიძეს და სათაურის შესატყვისი არქიტექტონიკა შეექმნა, შენიშვნების სახით წარმოდგენილი საკითხები გაეთვალისწინებინა და მისი დამუშავება სწორი მიმართულებით წარემართა, გარდუვალ წარმატებასთან ერთად დისერტაციის მოცულობისთვის განსაზღვრულ ჩარჩოშიც სრულად ჩაჯდებოდა. ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების გაყალბების დისერტანტისეული მცდელობა, სათაურისა და ტექსტის ერთმანეთთან თითქმის შეუთავსებლობა და ნაშრომის თვისობრივად დაბალი დონე შეუძლებელს ხდის სადისერტაციო საბჭოს წინაშე უჩა ოქროპირიძის მიერ წარმოდგენილი დისერტაციისადმი ძიებული ხარისხის მინიჭების შუამდგომლობას.

## მითითებული წყაროები და ლიტერატურა


1 საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (შემდეგში შემოკლებით სცსსა) ფ.1836. აღწ.1. საქ.8. ფურც.1.
2 საქართველოს კონსტიტუცია მიღებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის თებერვლის 21. თბ.1990. გვ.23.
3 პროექტი საქართველოს ტერიტორიის დანაწილებისა ახალ საადმინისტრაციო ერთეულებად (ოლქებად) თბილისი 1920. გვ.11; 42; 72; 88.
4 ვ.ნოზაძე. საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო. თბ.1989. გვ.37.
5 იქვე. გვ.38.
6 სცსსა ფ.1833. აღწ.1. საქ.181. ფურც.127.
7 იქვე. საქ.180. ფურც.138.
8 იქვე.
9 გაზ. „ერთობა" 1920. 4 დეკემბერი № 277.
10 სცსსა ფ.1836. აღწ.1. საქ.4. ფურც.3.
11 იქვე. ფურც.5.
12 იქვე.
13 სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის დოკუმენტები (რუსულ ენაზე). ტ.3. მოსკოვი. 1959. გვ.598.
14 ი.სტალინი. ტ.5. გვ.276.
15 იქვე. გვ.307.
16 გ.კ.ორჯონიკიძე. ტ.1. გვ.280.
17 გაზ. „ტრიბუნა" 1921. 17 სექტემბერი.
18 აჭარა რუსი დიპლომატის თვალით 1921-1922. კ.იუსტის მოხსენება. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს და შესავალი წერილი დაურთეს მ.ვაჩნაძემ და ვ.გურულმა. თბ.1998. გვ.15-18.
19 იქვე. გვ.30.
20 საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები. № 11.1990. გვ.17-21.
21 იქვე. № 3. 1991. გვ.31-34.
22 საქართველოს სსრ კონსტიტუციური აქტების კრებული (1921-1978) თბ.1983. გვ.269. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი) თბ.1991. გვ.31-32.
23 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ტ.1. თბ.1950. გვ.744.
24 გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი" 1921. 13 ივლისი.
25 გაზ. „ტრიბუნა" 1922. 23 აპრილი.
26 გაზ. „კომუნისტი" 1922. 24 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მადლენ მირიანაშვილი

## „პატრიოტი პესიმისტი"



2003 წელს სრულდება ცნობილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის — დავით სარაჯიშვილის დაბადებიდან 155-ე და კონიაკის ქარხნის გახსნის 115-ე წელი.

დავით სარაჯიშვილი — ღვაწლმოსილი მამულიშვილი, ქველმოქმედი, ერის ქომაგი, მეცენატი, ღარიბ-ღატაკთა შემწე, ქართული კონიაკის მესაძირკვლე დაიბადა თბილისში 1848 წლის 28 ოქტომბერს. მან ცხოვრების მიზნად სამშობლოს სიყვარული, ქვეყნის კულტურული კერების აღორძინება და ახალგაზრდობის სულიერი აღზრდა დაისახა.

თბილისის შეძლებული მოქალაქის შვილმა — დავით სარაჯიშვილმა საფუძვლიან განათლება მიიღო თბილისის ჰაკეს პანსიონში, კლასიკურ გიმნაზიაში, პეტერბურგში, მიუნხენის უნივერსიტეტში. 1871 წ. ჰეიდელბერგის უნივერსიტეტი დაამთავრა ქიმიის დოქტორის და ფილოსოფიის მაგისტრის ხარისხით, მაგრამ მიღებული ცოდნით არ კმაყოფილდება და ჰოჰენჰეიმსა და ჰალეში 1878 წლამდე სოფლის მეურნეობას ეუფლება. 1878-79 წლებში დავითი საფრანგეთში გადადის და მევენახეობა-მეღვინეობას სწავლობს, მაგრამ მამის გარდაცვალების გამო, იძულებულია, 13 წლის შემდეგ, მრავალმხრივ განათლებული, სამშობლოს მონატრებული, 32 წლის ასაკში, 1880 წელს დაბრუნდეს სამშობლოში. ამავე ხანებში დაოჯახდა — ცოლად შეირთო ცნობილი სოვდაგრის — ივანე ფორაქიშვილის ასული — ეკატერინე.

დავით სარაჯიშვილმა სამრეწველო საქმიანობა 1884 წელს დაიწყო. მან ვლადიკავკაზში და თბილისში ერთდროულად წამოიწყო სპირტიანი სასმელების წარმოება, რომელიც წლების განმავლობაში გაზარდა და გააფართოვა. იგი ხდება ამიერკავკასიაში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი მრეწველი კაპიტალისტი. მის ხელში მოექცა საქართველოში სპირტიანი სასმელების წარმოება-გასაღების უდიდესი ნაწილი. სარაჯიშვილის ფირმა მრავალმხრივ საქმიანობას ეწევა: აწარმოებს თითქმის ყველა სახის სპირტიან სასმელებს, მარცვლეულისა და ყურძნისგან ხდის არაყს, ასუფთავებს სპირტს, ამაგრებს ღვინოს, უშვებს დენატურატს, ამზადებს სხვადასხვა სახის არაყის ნაწარმს — ლიქიორს, რომს, ნაყენს, ტკბილ და ცხარე არაყებს, ღვინისგან ხდის საკონიაკე სპირტს და, მრავალი წლის განმავლობაში საკონიაკე სპირტების დაძველებისა და დაკუპაჟების შემდეგ, ამზადებს მაღალი ხარისხის კონიაკს.

დავით სარაჯიშვილი ითვლება რუსეთის იმპერიაში ფრანგულ ტექნოლოგიაზე დაფუძნებული კონიაკის წარმოების დამაარსებლად. 90-იან წლებამდე რუსეთში არ იცნობდნენ კონიაკის დამზადების ტექნოლოგიურ ნორმებს, ამიტომ კონიაკად იწოდებოდა ყურძნისა და მისი ნარჩენებისგან წარმოებული ყველანაირი არაყი. დავით სარაჯიშვილმა პეტერბურგის ტექნიკური კომიტეტის სხდომაზე ფრანგული კონიაკის ტექნოლოგიის ნორმების შემოღების საკითხი დააყენა. დიდი კამათის შემდეგ, 1890 წლის 8 მარტიდან რუსეთის იმპერიაში ძალაში შევიდა მისი წინადადება, როგორც სავალდებულო კანონი კონიაკის ყველა მწარმოებლისთვის.

1904 წლისთვის დავით სარაჯიშვილის ქარხნების პროდუქცია შეადგენდა: პურის სპირტის გამოხდა — 852 000 გრადუსს, საკონიაკე სპირტის გამოხდა — 980 000 გრ., პურის სპირტის რექტიფიკაცია — 10 838 000 გრ., ღვინის სპირტის რექტიფიკაცია — 8 400 000 გრ., ღვინის გაწმენდა — 980 000 გრ., სულ — 25 062 000 გრადუსს.

სარაჯიშვილის წარმოება მოიცავდა მის მიერ საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ შექმნილ 6 სპირტის სარექტიფიკაციო, 1 არაყის სახდელ, 1 სხვადასხვა სახის სპეციალური არაყის, ლიქიორის, რომის და 10 კონიაკის ქარხანას, სპირტის საბითუმო და კონიაკის საწყობებს თბილისში, პეტერბურგში, მოსკოვში, კიევში, ბაქოში, ფეოდოსიაში, პეტროვსკში, ჩარჯოუში და სავაჭრო სააგენტოებს რუსეთის იმპერიის თითქმის ყველა დიდ ქალაქში.

დავით სარაჯიშვლის პროდუქცია გადიოდა საზღვარგარეთ. მის ნაწარმს იცნობდნენ ევროპისა და აზიის ქალაქები — პარიზი, ლონდონი, ბერლინი, ვენა, ჟენევა, კონსტანტინოპოლი.

სარაჯიშვილის ფირმის ნაწარმი მაღალი ხარისხისა და ღირსებისთვის (1889-1913 წწ.) ადგილობრივ საერთაშორისო გამოფენებზე დაჯილდოვდა 8 ოქროს, 3 ვერცხლის, 1 ბრინჯაოს მედლით და 1 დიპლომით ოქროს მედალზე. 1902 წ. ალკოჰოლური სასმელების წარმოების განვითარების საქმეში გაწეული დიდი წვლილისთვის დავით სარაჯიშვილის „კომერციის მრჩევლის", ხოლო 1913 წელს მის ფირმას „Поставщик двора Его Императорского Величества"-ს წოდებები მიენიჭათ. - ფირმას უფლება მიეცა რუსეთის იმპერატორის სამეფო კარისთვის თავისი მაღალი ხარისხის სასმელი მიეწოდებინა!

დიდია ერის ქომაგის — დავით სარაჯიშვილის დამსახურება და წვლილი თავისი ქვეყნის წინაშე. საქართველოში არც ერთი ეროვნული საქმე არ წამოწყებულა დავითის, ამ მადლიანი ქართველის მხარდაჭერის გარეშე. შეუძლებელია მისი ღვაწლის შეფასება ქართული ეროვნული კულტურის აღორძინების საქმეში. სიცოცხლეში იგი უხვად გასცემდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი, საისტორიო-საეთნოგრაფიო, დრამატული საზოგადოებების საჭიროებისთვის; ეკლესია-მონასტრების აშენება-აღორძინების, სათავადაზნაურო ბანკის, სასულიერო სასწავლებლებისა და სკოლების, ქართული უნივერსიტეტის მშენებლობისთვის; წიგნების, გაზეთების, ჟურნალების გამოცემისთვის; მეცნიერთა, მსახიობთა და მუსიკოსთა გამოზრდისა და ხელშეწყობისთვის; მოწინავე ნჭიერი ქართველი ახალგაზრდების უცხოეთში სწავლებისა და მათი სტიპენდიებით უზრუნველყოფისთვის; ილვწოდა უცხოელ და ქართველ საზოგადო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოღვაწეთა, მწერალთა, მეცნიერთა, მხატვართა, მუსიკოსთა, მსახიობთა მოწვევისთვის...

დავითი პირველი ქართველი საზოგადო მოღვაწეა, რომელმაც თავის ქარხანასთან ნიჭიერ ახალგაზრდათა გამოსავლენად, ნიკო ცხვედაძის ხელმძღვანელობით, სტიპენდიების გამანაწილებელი კომიტეტი დააარსა. 1889-1911 წწ. კომიტეტი ყოველწლიურად სტიპენდიებისთვის 30-40 000 მან. გასცემდა. მისი სტიპენდიანტები იყვნენ: მელიტონ ბალანჩივაძე, ია კარგარეთელი, ვანო სარაჯიშვილი, მოსე თოიძე, დიმიტრი არაყიშვილი, იაკობ ნიკოლაძე, ფილიპე გოგიჩაიშვილი, კალისტრატე ცინცაძე, კოტე ფოცხვერაშვილი, სარგის კაკაბაძე, არჩილ ქართველიშვილი, შალვა ქიქოძე, სერგი მესხი, სოლომონ ჩოლოყაშვილი...

ქართულ ჟურნალ-გაზეთებში ხშირად იბეჭდებოდა ინფორმაციები დავით სარაჯიშვილის ქველმოქმედების, თბილისისა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეებისთვის დახმარების გაწევის, სკოლებისა და საზოგადო მოღვაწეებზე მზრუნველობის შესახებ. მისი ქველმოქმედება თავის გამოჩენით არ იყო განპირობებული. იგი განსაკუთრებული სახის ქველმოქმედი იყო — საქმისთვის, ქვეყნისთვის იღვწოდა. „ქონება მის ხელში იყო სამშობლოს აღდგენისა და ძველებურად აყვავების საშუალება... ახალ ისტორიულ პირობებში".



იშვიათია ისეთი განათლებული მრეწველი, როგორც დავით სარაჯიშვილი. იგი ევროპელი მრეწველი იყო ჩვენში. დავითი კარგად იცნობდა ფილოსოფიას, ეკონომიკას, ისტორიას, ლიტერატურას, პრესას. ახალი გამოცემებით მუდმივად იღრმავებდა ცოდნას, ერთადერთი ქართველი იყო თბილისში, რომელიც თვალყურს ადევნებდა, იწერდა და კითხულობდა უცხოელი მწერლების ნაწარმოებებს. ბერლინის წიგნის მაღაზია დავითს თბილისში უგზავნიდა ცნობილი ეკონომისტებისა და ფილოსოფოსების წიგნებს. მის ბიბლიოთეკაში იყო შმოლერის, მარქსის, ენგელსის, ზომბერტის, ვაგნერის, კაუცკის და სხვა ავტორთა წიგნები (ბიბლიოთეკა 1918 წ. სახელმწიფო უნივერსიტეტს გადაეცა).

დავით სარაჯიშვილის ცხოვრების დევიზი იყო — „ყველგან და ყველაფერში პატიოსანი უნდა იყო", მილიონებზე მაღლა პატიოსნება უნდა დააყენო, რადგან „ფული ძალიან ცუდი ბატონია და მოსამსახურედ კი მეტად კარგი მოსამსახურე". კალისტრატე ცინცაძე დავითის შესახებ აღნიშნავდა, მან საქმით გვიჩვენა, რომ საფუძველი ერის ბედნიერებისა არის შრომა და ცოდნა, ამიტომაც ცოდნის გავრცელებისთვის იგი არ იშურებდა არც საკუთარ ძალ-ღონეს, არც შრომით შეძენილ ქონებას. მან თავისი ქონება „უკეთეს ბანკში დატოვა. ეს ბანკი არის მისი მშობელი ხალხი, რომელიც მას თავდავიწყებამდე უყვარდა" — აღნიშნავდა მისი თანამედროვე.

დავით სარაჯიშვილის ცოდნასა და ნიჭს პატივს სცემდნენ და აფასებდნენ ევროპელი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწენი. დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა პარიზისა და ბერლინის, ვარშავისა და პრაღის, მოსკოვისა და პეტერბურგის ელიტარულ საზოგადოებებში. მისი მეგობრები და თაყვანისმცემლები იყვნენ: ბარონი დე ბაი, არტურ ლაისტი, ადოლფ ვაგნერი, ნატალია უვაროვა, რუჟენა იესენსკაია და ა.შ. მისმა ყოფილმა მასწავლებელმა, შემდეგში მისმა მეგობარმა — ადოლფ ვაგნერმა თავისი ნაშრომი „პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლები" დავით სარაჯიშვილს მიუძღვნა, ხოლო ბარონ დე ბაიმ — წიგნი „თბილისი" (1900 წ.) დავითის ოჯახის დიდი მეგობარი არტურ ლაისტი წერდა: „კავკასიელ მდიდართაგან სხვამ ვერვინ მიაღწია ისეთ სიმაღლეებს, როგორც დავით სარაჯიშვილმა. იგი იყო მეგობარი პოეტების, მეცნიერების, მხატვრების, როგორც დახვეწილ წრეებში, ისე მდაბიოთა შორის არა მხოლოდ თავის სამშობლოში, არამედ ბერლინშიც."

დავითი იშვიათი ბუნების კაცი იყო, აღნიშნავს ალექსანდრე ხახანაშვილი და აკი მეგობრადაც ჰყავდა დიდებული პიროვნება, დაუვიწყარი ილია. სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული დავითი, ილიას მსგავსად, მკვეთრად გამოხატავდა თავის შეხედულებებს ქვეყნის ნაკლზე და ჭირ-ვარამზე, ამხელდა, აკრიტიკებდა, მის უარყოფით თვისებებზე მიუთითებდა. სამშობლოს ზრდისა და წინსვლის გზებისა და მისი მომავლის ძიებაში მყოფი მუდმივად მისი გადარჩენისთვის წამალს ეძებდა. მას ძალიან აღელვებდა ის გარემოება, რომ ქვეყნის ეკონომიკური ზრდის პერსპექტივას ვერ ხედავდა. სამშობლოზე საუბარი ილიასა და დავითს შორის ხშირად მწარე კამათში გადადიოდა, თუმცა ბოლოს მშვიდად მთავრდებოდა. „ჩვენ, მის მოყვასთ, დავითი გვტანჯავდა სამშობლოს მარტო ჭირსა და ნაკლზე ლაპარაკით", - იგონებს ალ. სარაჯიშვილი. ამის გამო მას „პატრიოტი პესიმისტი" შეარქვეს, მაგრამ ვინ წარმოიდგენს, ამ პესიმიზმში სამშობლოს რამდენად ღრმა სიყვარული და პატრიოტული გრძნობა იყო ჩაქსოვილი. „იგი ქართველებისათვის იტანჯებოდა და მისი სიცოცხლით სუნთქავდა, ხოლო სამშობლოს უნუგეშო მდგომარეობა მას სიცოცხლეს უწამლავდა", - იხსენებს მისი სიყრმის მეგობარი — ალექსანდრე ცაგარელი.

დავით სარაჯიშვილის სახლი (დღევანდელი მწერალთა კავშირის შენობა) ქართველი მოწინავე საზოგადოების შესაკრები გამორჩეული ლიტერატურული სალონი იყო. თითქმის ყოველ კვირას აქ ერთმანეთს ხვდებოდნენ უცხოელი სტუმრები და ქართველი საზოგადო მოღვაწეები: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, რაფიელ ერისთავი, ივანე მაჩაბელი, იაკობ ნიკოლაძე, ნიკო ცხვედაძე, ალექსანდრე ცაგარელი, გრიგოლ ყიფშიძე, გიგო გაბაშვილი, პეტრე უმიკაშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, იაკობ მანსვეტაშვილი, იონა მეუნარგია, ვასო აბაშიძე, ავქსენტი ცაგარელი, ნატო გაბუნია, არტურ ლაისტი, ნატალია უვაროვა, რუჟენა იესენსკაია, დავით გურამიშვილი, ბორის ესაძე და სხვანი. მათ შორის ხშირად იმართებოდა პოლემიკა ამა თუ იმ საყურადღებო ეროვნულ პრობლემაზე, იხილებოდა ქართველ მწერალთა ახლად შექმნილი ნაწარმოებები; ილია ჭავჭავაძემ პირველად აქ გააცნო საზოგადოებას თავისი შესანიშნავი ნაწარმოებები — „განდეგილი" და „ოთარაანთ ქვრივი". ბუნებით კეთილშობილი, ორიგინალური იუმორით შემკული დავითი მონაწილეობას იღებდა პოლემიკაში ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, პოლიტიკასა და ქვეყნის პრობლემებზე საინტერესო აზრებს გამოთქვამდა და საკუთარ დასკვნებს სთავაზობდა.

ხალისიანი, გულუხვი და მხიარული მასპინძლები — დავითი და ეკატერინე, ყველა ასეთ საღამოს ნადიმით ამთავრებდნენ. ისინი დიდი გულისყურითა და სიყვარულით ხვდებოდნენ სტუმრებს და მათს ღრმა პატივისცემას და თანაგრძნობას იმსახურებდნენ. დავითთან ერთად, ეკატერინე მეგობრულ ურთიერთობაში იყო ილია ჭავჭავაძესთან, აკაკი წერეთელთან, ვანო მაჩაბელთან, იაკობ გოგებაშვილთან. ეკატერინე საჭიროების შემთხვევაში მეგობრების ოჯახების მიმართ დიდ ყურადღებას იჩენდა, მფარველობდა და ეხმარებოდა.

სამშობლოს ბედით მუდმივად შეწუხებული დავითი, მოურჩენელი სენით შეპყრობილი, საოპერაციოდ გერმანიაში ჩასული, მძიმე მდგომარეობაში მყოფი, ოპერაციამდე ერთი კვირით ადრე საკუთარ ჯანმრთელობის მდგომარეობას არად მიიჩნევს და ფ. გოგიჩაიშვილს, უმხელს რა თავის გულის წუხილს, ეუბნება: „ვკვდები ... რა მშვიდობით მოვკვდებოდი, რომ სამშობლოს იმედი მიმყვებოდეს".

დავითს არ გამოეპარებოდა არც ერთი საზოგადო საქმე, ცოტად თუ ბევრად საგულისხმო, რომ მონაწილეობა არ მიეღო. მისი მხარდაჭერით ჩატარდა აკაკი წერეთლის 50 წლის იუბილე, მან იკისრა ილია ჭავჭავაძის ძეგლის დადგმის ზრუნვა-დაფინანსება და ა.შ. — წერს ზაქარია ჭიჭინაძე. ხშირად „მარცხენამ არ უწყოდა, რას აკეთებდა მისი მარჯვენა", გაჭირვებული დავრდომილისათვის და საზოგადო მოღვაწი-

სათვის გაუმხელელი, დაფარული დახმარებაც იცოდა, იგონებს აკაკი წერეთელი. გაცემას ისეთ ხასიათს აძლევდა, თითქოს ეს თანხა მიმღებს ეკუთვნოდა — აღნიშნავს ფილიპე გოგიჩაიშვილი.

სიყვარული სამშობლოსადმი, სამსახური ქვეყნისადმი, მზრუნველობა ხალხისადმი, ეროვნული კულტურისადმი დავით სარაჯიშვილმა ანდერძით გამოხატა. იგი 1911 წლის 20 ივნისს გარდაიცვალა. მისი ანდერძის ცალკეული ფრაგმენტები გაზეთ „თემის" საშუალებით გახდა ცნობილი. ადგილობრივი პრესა ფართოდ გამოეხმაურა, ხოტბა შეასხა ერის კეთილდღეობისთვის მზრუნველ მამულიშვილს და მის ღირსეულ გადაწყვეტილებას. მან თავისი უზარმაზარი ქონების დიდი ნაწილი ქართველ ხალხს უანდერძა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარებისთვის. ანდერძით გაიღო: 150 000 მან. — ეროვნული მუზეუმის აშენებისთავის; 150 000 მან. — სტიპენდიებისთვის; 25 000 მან. — თავისი ფირმის მუშებისთვის; 100 000 მან. — ქარხნის მოსამსახურეების და ობოლ-უპატრონო ბავშვებისთვის; 10 000 მან. — თბილისის გიმნაზიისთვის; 5 000 მან. — თბილისის სასულიერო სემინარიისათვის. უხვად დაასაჩუქრა საგანმანათლებლო დაწესებულებები, სკოლები, ქართველი ერის ცალკეული წარმომადგენლები — ახლობლები, ნათესავები, მშობლიური ქალაქი თბილისი. მან თავისი სახლი სერგეევის ქუჩაზე (დღევანდელი მწერალთა კავშირის შენობა) მთელი თავისი მოწყობილობებით დაუტოვა ქალაქს, მასში ხელოვნების მუზეუმის ან სამხატვრო გალერეის მოსაწყობად.

ქართველი ხალხი დიდი გულისტკივილით გამოეთხოვა სასიქადულო მამულიშვილს. „ასეთი გრანდიოზული ხალხმრავალი და დიდებული დაკრძალვა, დაუვიწყარი ილია ჭავჭავაძის შემდეგ, არ უნახავთ თბილისელებს", - იუწყებოდა პრესა. უკანასკნელი პატივის მისაგებად მოვიდნენ არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი კავკასიის ხელისუფლების, კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებების, ერისა და ხალხის წარმომადგენლები. ქართულმა, რუსულმა და უცხოურმა პრესამ ფართოდ გააშუქა დავით სარაჯიშვილის ღვაწლი: იგი „გაჭირვებულს, დაბეჩავებულს ქვეყანას ემსახურა მანამ შეძლო და ახლა ლამპრად აენთო მწუხრში მყოფ სამშობლოს, სასოწარკვეთილ მშრომელ ხალხს კვლავ გაუღვიძა თითქმის ჩამქრალი ძველი იმედი". „აქ სიკვდილს რა ხელი აქვს? აქ მიცვალებაა, ე.ი. უკვდავება," — აღნიშნავდა ივანე მაჭავარიანი. „ჩვენ რომ არ დაგივიწყებთ, ეს გასაკვირალი არ არის, მაგრამ არ დაგივიწყებს შენ ჩვენი ჩამომავლობაც და ყოველ ეროვნულ საქმის დროს შენც, როგორც თანამოაზრე, ოცნებით გვერდით ეყოლები წარმოდგენილი. მშვიდობით, დღეიდან ველარ გიხილავთ, მაგრამ გულის ფიცარზე კი მარად გვეყოლები დახატული," — ასე გამოეთხოვა დავით სარაჯიშვილს აკაკი წერეთელი. „მან სიკვდილი დათრგუნა, იმიტომ, რომ ამისთანა სიცოცხლე და გარდაცვალება უკვდავს, დაუვიწყარ სახელს ანიჭებს... ჩვენი ერის ხსოვნაში," — წერდა იაკობ გოგებაშვილი. „დავით სარაჯიშვილი უკვდავია და უკვდავისათვის არც არაფერია ადრე და არც არა გვიანი..." „ხსენება შენი საუკუნოდ დარჩება ჩვენში..." „შენი სახელი აროდეს არ აღმოიფხვრება ქართველთა გულთაგან..."

დავით სარაჯიშვილის მოღვაწეობა შესანიშნავი მაგალითია ერის კეთილდღეობისთვის მზრუნველი მამულიშვილისა. იგი დღესაც ენთუზიაზმით განაწყობს ქვეყნის აღორძინებისთვის დაინტერესებულ ქართველებს, რომლებიც დავით სარაჯიშვილისებურად მზად არიან, თავისი ღირსეული წვლილი შეიტანონ ერის კეთილდღეობისთვის საჭირო მრავალ საქმეში.

საქართველოს პრეზიდენტის, ბატონ ედუარდ შევარდნაძის 2003 წლის 14 აპრილის N 431 განკარგულებით, სასიქადულო მამულიშვილის, დიდი ქართველი მრეწველისა და საზოგადო მოღვაწის, ქველმოქმედისა და მეცენატის, ჩამომავლობით თბილისის საპატიო მოქალაქის, ქიმიის დოქტორისა და ფილოსოფიის მაგისტრის დავით სარაჯიშვილის სახელის უკვდავსაყოფად დაწესდა „დავით სარაჯიშვილის დღე", რომელიც გაიმართება ყოველწლიურად. მიმდინარე წელს იგი 10-11 ნოემბერს აღინიშნება.

შეიქმნა სამთავრობო-საორგანიზაციო კომისია „დავით სარაჯშვილის დღის" აღსანიშნავად, რომლის თავმჯდომარეა საქართველოს პრეზიდენტი, ბატონი ედუარდ შევარდნაძე; მოადგილეები: სააქციო საზოგადოება „დავით სარაჯიშვილი და ენისელის" პრეზიდენტი, ბატონი ელგუჯა ბუბუტეიშვილი და სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, ბატონი ვლადიმერ პატეიშვილი. კომისიაში შედიან უმაღლესი სასწავლებლების რექტორები, მუზეუმების დირექტორები, ცნობილი ბიზნესმენები, „2002 წლის საუკეთესო მეწარმეები", საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, ცნობილიი მეცნიერები და სახელმწიფო დაწესებულებათა დირექტორები. კომისიის მდივანია საქართველოს პრეზიდენტის გამგებლობაში არსებული ოფიციალურ გამოცემათა სამსახურის უფროსი, ბატონი ზურაბ ჯიბლაძე.

დავით სარაჯიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალური პროგრამა, რომელიც 4 პუნქტისგან შედგება, ფართო სპექტრს მოიცავს. იგი გამოირჩევა მრავალფეროვნებით. საქართველოს პრეზიდენტის ეგიდით, ამ დღის აღსანიშნავად, პირველად გაიმართება კონკურსები — „ეროვნული ეკონომიკის მეწინავენი" და „მშვიდობიანი და ძლიერი კავკასია".

შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს დაევალათ, პროგრამის ფარგლებში დახმარება აღმოუჩინონ „დავით სარაჯიშვილის დღის" მოწყობის ორგანიზატორებს. საქტელერადიომაუწყებლობას ევალება ფართოდ გააშუქოს „დავით სარაჯიშვილის დღის" პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებანი.

პროგრამით ჩასატარებელი სამეცნიერო-პრაქტიკული ღონისძიებებიდან გასათვალისწინებელი საერთაშორისო კოლოკვიუმიდან, უნდა აღინიშნოს თემატიკა: „ღვინისა და კონიაკის მრეწველობის განვითარების პრობლემები საქართველოში", „დავით სარაჯიშვილის მოღვაწეობა და მეწარმეობის განვითარება საქართველოში", „სათნოების დღე", „მეწარმეობის განვითარების პრობლემები საქართველოს რეგიონებში", „შინამრეწველობისა და ხელოსნობის განვითარება საქართველოში", „მამულის სიყვარულით დაკავშირებულნი" (დავით სარაჯიშვილისა და ილია ჭავჭავაძის ურთიერთობა), „დავით სარაჯიშვლი და ქართული მწერლობა" და სხვ.

საიუბილეო დღეებში მოხდება ბიზნეს სკოლა-ლექტორიუმის პრეზენტაცია, წარჩინებული სტუდენტებისთვის სახელობითი სტიპენდიების დაწესება, დავით სარაჯიშვილის სტიპენდიანტთა — მხატვართა გამოფენები, მუსიკოსთა ნაწარმოებების შესრულება.

გადახდილი იქნება დავით სარაჯიშვილის სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი ქაშვეთის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიაში, რომლის გალავანში დაკრძალულნი არიან დავით სარაჯიშვილი და მისი მეუღლე ეკატერინე ფორაქიშვილი-სარაჯიშვილისა.

"დავით სარაჯიშვილის დღის" გამართვის პროგრამაში აქტიურადაა ჩართული სააქციო საზოგადოება „დავით სარაჯიშვილი და ენისელის" კოლექტივი. გათვალისწინებულია სამეცნიერო და პრაქტიკული, კულტურუ-საგანმანათლებლო და სპორტული ღონისძიებები.

"დავით სარაჯიშვილის დღისადმი" მიძღვნილი ღონისძიებების დამაგვირგვინებელი საზეიმო აქტი იქნება დაბადების 155-ე წლისთავზე, რიყეში მისი ძეგლის მიმდებარე ტერიტორიაზე „ქართული ღვინისა და ვაზის სასახლე-მუზეუმის" საფუძვლის ჩაყრა.

ჯერ კიდევ ბევრი ფაქტია უცნობი და შეუსწავლელი დავით სარაჯიშვილის ბიოგრაფიიდან. ამიტომ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება დიდად მისასალმებელი და სასიხარულოა.

ფრთებს ისხამს დიდი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის — ლუარსაბ ბოცვაძის სიტყვები: „დავით ზაქარიას ძე არ მომკვდარა, მისი სახელი უკვდავია და უკვდავადვე დარჩება ქართველი ერის ხსოვნაში".

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიხეილ მიქაძე

# საქართველო-სომხეთის კონფლიქტი და მისი შედეგები

ისტორიულად ცნობილია, რომ ამიერკავკასიის ხალხებს შორის წარსულში სრული სიმშვიდე სუფევდა, თუ მხედველბაში არ მივიღებთ ირან-ოსმალეთის მესვეურების მიერ აზერბაიჯანელთა მასობრივი კონფლიქტების გამოყენებას ქართველ-სომეხთა წინააღმდეგ. სომეხ-აზერბაიჯანელთა ამ კონფლიქტებს XX საუკუნის დასაწყისში სათავე დაუდო ცარიზმის ანტიხალხურმა, ანუ „დაყავი და იბატონე"-ს პოლიტიკამ. ქართველი მოწინავე საზოგადოების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ კონფლიქტებში მისი უშუალო ჩარევის შედეგად ორ მეზობელ ხალხს შორის არაერთხელ შეწყვეტილა უაზრო სისხლისღვრა.

ქართველ-სომეხთა შორის ერთადერთი ომის გამჩაღებლები იყვნენ დაშნაკთა პარტიის მესვეურები, რომელთაც გადაწყვიტეს, საქართველოსგან ჩამოეცილებინათ მისი ძირძველი ისტორიული ტერიტორიები, კერძოდ, სამცხე-ჯავახეთი და ბორჩალოს მაზრა (ქვემო ქართლის დიდი ნაწილი).

როგორც ცნობილია, 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ რუსეთის დროებითმა მთავრობამ ერთ სახელმწიფოდ გააერთიანა ამიერკავკასიის სამი ხალხი და სათავეში ჩაუყენა ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი (ოზაკომი). 1918 წლის ბოლოს კი მან თავისი რწმუნებები ამიერკავკასიის მთავრობას - კომისარიატს გადასცა. 1918 წლის თებერვლიდან რწმუნებები სეიმს გადაეცა. 1918 წლის 26 მაისს სეიმმა უკანასკნელი სხდომა ჩაატარა და თვითლიკვიდაცია გამოაცხადა, ამის შემდეგ კი ამიერკავკასიაში სამი დამოუკიდებელი სახელმწიფო - საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის დემოკრატიული რესპუბლიკები წარმოიშვა. სწორედ მათ შორის იწყება ტერიტორიული დავა და პრეტენზიები. ტერიტორიული დავის აქტიური პიონერი სომხეთის დაშნაკთა პარტია იყო, რომელმაც, განაცხადა, წარსულში საქართველომ სომხეთს მისი კუთვნილი ტერიტორიები ჩამოართვა და დროა, ისინი მის პატრონს დაუბრუნდესო.

პარტიის მესვეურებს იმაზეც არ უზრუნიათ, რომ ამგვარი განცხადების გაკეთებამდე საჭირო იყო მომზადება, ყველა ისტორიული საბუთის წესრიგში მოყვანა საკითხის ღრმად და ყოველმხრივ შესწავლა, საზღვრების დაზუსტება, ერთი სიტყვით, „ასჯერ გაზომვა და ერთხელ გაჭრა".

დაშნაკთა ერთ-ერთი „გამოჩენილი თეორეტიკოსი" შახატუნიანცი შეეცადა იმის დამტკიცებას, ამჟამად სომხეთის მოსაზღვრე საქართველოს შემადგენლობაში არსებული მიწა-წყალი ქართველებმა სომხეთისგან მიიტაცესო. ეს ტერიტორიები, რომელთაც აქვთ ზუსტად მოხაზული საზღვრები, ისტორიულად ცნობილია სომხეთის მთიანეთის, ანუ ზექანის სახელით და ეს სივრცე მოიცავს ორ ადმინისტრაციულ ერთეულს - ერევნის გუბერნიას და ყაზახის ოლქს და ვრცელდება ელიზავეტპოლის სამხრეთ-დასავლეთ და თბილისის გუბერნიის მცირე ნაწილზეო. თბილისის გუბერნიის ამ მცირე ნაწილში იგი გულისხმობდა ახალციხე-ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრებს. ნაშრომში Административный передел закавкаского края? შახატუნიანცი იმოწმებს ფიგუროვსკის, ლინჩასა და სხვა ავტორებს, რომლებიც აღნიშნულ ტერიტორიებს თითქოსდა სომხეთის კუთვნილებად აღიარებენ და ცნობენ. შახატუნიანცს ხსენებული ავტორების დამოწმება არ გამოადგება, ვინაიდან არც ერთი და არც მეორე ამიერკავკასიის ხალხების ისტორიას არ იცნობდა. ზემოთ აღნიშნული ცნობები ყალბია და არ შეესაბამება სინამდვილეს.

ჩვენი აზრით, ლინჩი, სანამ თავისი ნაშრომის „სომხეთის" დაწერას შეუდგებოდა, პირველ რიგში, ქართველი და სომეხი ხალხების ისტორიას უნდა გაცნობოდა, მათ ენებს, ტრადიციებს; მან კავკასიის არც ერთი ხალხის ენა არ იცოდა, ალბათ, ხეირიანად არც რუსული იცოდა, ამიტომ, როგორც ეტყობა, არც რუსული ნაშრომები გამოუყენებია, თორემ მას არ გამორჩებოდა ისეთი რუსი ისტორიკოსების ნაშრომები, როგორებიც იყვნენ პოლტო, ზაგურსკი, ბერჟე და სხვები. ესენი და სხვა რუსი ისტორიკოსები ერთხმად აღიარებენ, - რომ არაფერი ვთქვათ ბორჩალოს მაზრაზე - ძველი მესხეთის ტერიტორია, მიუხედავად იმისა, რომ იქ მცხოვრებთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ნაწილი არაქართველია, უძველესი დროიდან საქართველოს ტერიტორიის განუყოფელ ნაწილს შეადგენსო. თუ ჯავახეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი სომეხია, ეს სულაც არ გამოდგება იმის საბუთად, რომ სამხრეთ საქართველო ოდესღაც სომხეთის განუყოფელი ნაწილი იყო. ვინც ჩახედულია სამცხე-ჯავახეთის თუნდაც XIX ს-ის ისტორიაში, იმან კარგად იცის თუ როგორ მოხვდნენ სომხები ამ ტერიტორიაზე: XIX ს-ის 30-იანი წლების დასაწყისში საქართველოს მთავარმმართველმა პასკევიჩმა აქ თურქეთიდან გადმოასახლა 30 ათასი სული სომეხი.

მაინც საიდან მომდინარეობს მესხეთის ტერიტორიის მფლობელობაზე ნაციონალისტი დაშნაკების ასეთი პრეტენზიები? როგორც ცნობილია, ძვ. წელთაღრიცხვის II საუკუნეში სელკიდების სახელმწიფოს ორმა ეროვნებით სომეხმა სარდალმა - არტაშესმა და ზარიალოიმ ისარგებლეს სახელმწიფოს მძიმე მდგომარეობით, მასთან კავშირი გაწყვიტეს და სომხეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადეს, მათ დაიწყეს თავიანთი მეზობლების ხარჯზე ტერიტორიების გაფართოება და ამ გაფართოებულ საზღვრებში მაშინ მოექცა სამხრეთ საქართველოს და ქვემო ქართლის ერთი ნაწილი.

ორ მოძმე - მეზობელ ხალხს შორის ომი გარდაუვალი გახდა. გაზეთ „საქართველო"-ს ერთ-ერთი კორესპონდენტი 1918 წელს სტატიაში „მოულოდნელი საფრთხე" წერდა: „არარატის რესპუბლიკამ ახალციხის, ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრების დაცლა მოგვთხოვა და, ვიდრე ამ ულტიმატუმს წარმოადგენდა, მოულოდნელად თავს დაგვეცა და სამხედრო მოქმედება დაიწყო".

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ 1918 წლის 16 დეკემბერს ერევნიდან მიიღო სომხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ულტიმატუმი, რომელსაც ხელს აწერდა საგარეო საქმეთა მინისტრი ტიგრანიანი. იგი საქართველოს მთავრობას წერდა, რომ ახალქალაქის, ახალციხისა და ბორჩალოს მაზრების ტერიტორია, რომელიც სომეხი მოსახლეობითაა დასახლებული, დაპყრობილია საქართველოს მიერ, რომ საქართველოსთან მისი შეერთება ძალადობის შედეგია და ყოვლად უკანონობას წარმოადგენს. ტიგრანიანი თავისი მთავრობის სახელით საქართველოს მთავრობისგან მოითხოვდა ამ ტერიტორიების, როგორც სომხეთის საკუთრების, დაუყოვნებლივ განთავისუფლებას ქართული ჯარისგან. ტიგრანიანი დასძენს, სომეხ-ქართველთა ჯარების შეტაკება მოხდა იმ რაიონებში, რომლებიც დასახლებულია სომეხი მოსახლეობით, ჩვენგან ამ მოსახლეობის დაცვა კი საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევას ნიშნავსო.

შემდეგ ტიგრანიანი წერს: ჩვენ ამ საკითხის გადაწყვეტა მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით გვინდოდა და ჩვენი მთავრობა იმედოვნებდა, რომ საქართველოს მთავრობა თავს შეიკავებდა აგრესიული მოქმედებისგან ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ, რომელთაც არ უნდათ საქართველოსთან შეერთებაო და ა.შ. ტიგრანიანის ის არგუმენტი, რომ ახალციხის, ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრები სომხებითაა დასახლებული, სრულიად უსაფუძვლოა, რადგან სომეხთა დიდი ნაწილის საქართველოში დასახლების ისტორია ცნობილია, რაზეც წერილს დასაწყისშივე მივუთითეთ.

სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი თვალთმაქცობს და უსირცხვილოდ ტყუის, როცა ცდილობს, დაამტკიცოს, თითქოს ხსენებული მაზრების სომეხი მოსახლეობა საქართველოსთან შეერთების წინააღმდეგია. ასეთი სურვილი შუბლმაგარ დაშნაკებს და მათ მიერ მოტყუებულ სომხებს თუ გაუჩნდებოდათ - საქართველოში მცხოვრებ სომხებს ქართველების მიმართ არასოდეს ჰქონიათ პრეტენზიები.

1918 წ. 9 დეკემბერს სოფ. უზულარში საქართველოს სანაპირო რაზმს თავს დაესხნენ სომხური ჯარის ნაწილები, რომლებმაც დაატყვევეს და გაჟლიტეს რამდენიმე ათეული ქართველი ჯარისკაცი. მოწინააღმდეგეთა რაზმებს სომეხი ოფიცრები მეთაურობდნენ: იმავე წლის 16 დეკემბერს, დილის 5 საათზე, სომეხთა რაზმები ახალციხისკენ დაიძრნენ და თავს დაესხნენ საქართველოს მესაზღვრეებს. ქართული ჯარის ნაწილებმა ისინი უკუაგდეს, საღამოს 8 საათზე კი დაიწყო სასტიკი ბრძოლა, რომელიც 10 საათს გაგრძელდა. პოზიციები ხელიდან ხელში გადადიოდა. შემდეგ ცნობებში ნათქვამი იყო, რომ ჩვენმა ჯარმა ბრწყინვალედ გაიმარჯვა და მტერი საზღვარს იქით განდევნა. ტყვედ აიყვანეს 60 ჯარისკაცი და 2 ოფიცერი (გაზეთი „საქართველო", 1918 წ. № 242).

ამ უგუნურმა, მეზობელთა შორის ომმა და სისხლისღვრამ სომხეთს გამარჯვება ვერ არგუნა და დაშნაკთა მთავრობას კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. ამგვარად, სომხეთის ვითომდა ისტორიული საზღვრების აღდგენის თავისი სამხედრო ძალით შესაძლებლობის იმედი გაუცრუვდა". (ბ. არველაძე. დამნაშავეებს არც არაფერი დავიწყებიათ და არც არაფერი უსწავლიათ. თბილისი 2002 წ.).

ფაქტობრივად, ეს ომი ძალიან ხანმოკლე აღმოჩნდა. 1919 წლის 10 იანვარს შედგა ქართველ-სომეხთა სამშვიდობო კონფერენცია. მეზობელი ხალხების დელეგაციების გარდა მას ესწრებოდნენ ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლები. კონფერენციის დღის წესრიგში იდგა საკითხი საზავო მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ ჯარების იქ გაჩერების შესახებ, სადაც ისინი 1918 წ. 10 დეკემბრამდე იყვნენ. როგორც ზემოთ აღინიშნა, მეზობლებს შორის ეს ომი ორივე მხარისთვის დიდად საზიანო აღმოჩნდა.

იმ დროს, როდესაც სომხური რეაქციული ძალები საქართველოს წინააღმდეგ ომს ამზადებდნენ, სომხეთის რესპუბლიკის საქმეთა რწმუნებული საქართველოში ა. ჯაბალანი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს წერდა: მძიმე და უბედურ დღეში იყო სომხობა, როცა სისხლიანი ბაკქანალია გათამაშდა ბაქოში, რამაც ათასობით მშვიდობიანი სომეხი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. მაშინ მოქალაქე ქართველებმა მაღალი კეთილმოყვარეობა და ჰუმანურობა გამოიჩინეს და სომეხთა ოჯახები გადაარჩინეს, რომელთაც საშუალება მიეცათ, კრიტიკულ მომენტში ქართველებისთვის მიემართათ.

ჯამალიანი მადლიერების გრძნობით თხოვს ქართველ მინისტრს, მისი წერილი გაზეთებში გამოაქვეყნოს. გაჭირვებული სომხებისთვის დახმარების აღმოჩენა ქართველებისთვის ჩვეულებრივი მოვლენა იყო და დაშნაკების მიერ პროვოცირებული ეს სამარცხვინო ომი მართლაც დიდი უმადურობის გამოვლენად უნდა ჩაითვალოს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ს 42/417

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 2 ლარი



ნომერში გამოქვეყნებულია ვლადიმერ ღურღულის ნამუშევართა რეპროდუქციები











